

ახალი ქართული ლიტერატურა

(XIX ს.)

ქრისტოგათია

I ნაწილი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს
მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სტუდენტებისათვის



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

ქრესტომათიაში წარმოდგენილია XIX საუკუნის 20—50-იანი წლების ქართულ მწერალთა (რომანტიკოსთა) შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი.

წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტთათვის. იგი დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლებლებსაც.

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ნ ი:

ო. ევგენიძე, პრ. კეკელიძე, ი. ლოლაშვილი,
ვ. მინაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი

რედაქტორები:

პრ. კეკელიძე, ს. ხუციშვილი.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა ბ ა ნ

წინამდებარე ქრესტომათიაში შეტანილი ზოგიერთი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა რამდენჯერმეა გამოცემული (ალექსანდრე ჰავეკავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა...), ზოგიერთის შემოქმედების ნიმუშები მხოლოდ ერთხელაა გამოცემული (მიხეილ თუმანიშვილისა, ალექსანდრე ორბელიანისა და სხვათა), ზოგიერთისა კი საერთოდ ჯერ არ გამოცემულა (სოლომონ რაზმაძისა), თუმცა მათი შემოქმედების შესწავლა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით არის გათვალისწინებული.

ქრესტომათიაში წარმოდგენილ თხზულებათა ტექსტები იბეჭდება შემდეგი გამოცემებისა და ხელნაწერის მიხედვით:

ალექსანდრე ჰავეკავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ.

გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული ა. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, 1959 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი ა. გაწერელიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1972 წ.

ვახტანგ ორბელიანი, ვ. კოტეტიშვილის რედაქციით, 1928 წ.

გრიგოლ რჩეულიშვილი, თხზულებანი ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1965 წ.

ალექსანდრე ორბელიანი, ა) ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა, 1877; ბ) დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი, 1891 წ. გ) ა. ჭამბაკურ-ორბელიანის

ნაწერები და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა,
ზ. კიკინაძის გამოცემა, 1879 წ.

სოლომონ რაზმაძე, სსსრ მეცნიერებათა
აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, № 1712.

მიხეილ თუმანიშვილი, რჩეული ლექსები,
1881 წ.

ტექსტები შეჯერებულია ძირითად გამოცემებსა და
აეტიგრაფებთან; ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები
და ლექსიკონი წარმოდგენილია ცალკე თავში.

ნ. ბარათაშვილის წერილთა კომენტარები აღებულია
პროფ. აკ. გაწერელიას შრომებიდან.

ქრესტომათია შედგენილია ახალი (XIX ს.) ქართული
ლიტერატურის ისტორიის პროგრამის მიხედვით.

სახე უენი

- სახე უენი მემახევა, მებადა,
სრულ განმძარცვა რაცლა ცნობა მებადა.
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
- 4 მღერად ოხრვა, ლხინად გლოვა მებადა.
- მე მოგმართე უენ მკურნალად დანაგულს,
უენ წამლის წილ მყის მომპაყარ დანა გულს.
ზილფნი რყევით, უარის თქმის მსახენი,
- 8 მიჩვენებდენ ბალახშის კარს დანაგულს.
- გული ჩემი მუჯამარი ახალი,
სურვილს აკმევს სიყვარულის, ახ, ალი!
არ ვიკვირეო, მაშა რა ვჰყო ბედ-კრულმან,
- 12 იგი გტრფობდა, უენ მახვილი ახალი!
- რა მესშირა უენთა ისართ მალემა,
მეტმან ცრემლმან ლაქვარდის ფერ მალემა;
გლახ პყრობილი ამას ვაებს, ვალალებს,
- 16 ვერ განერა, ესრედ ვითაც მალ ება.

ვაჟ დრონი დრონი

- ვაჟ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვენენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
- 4 არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
- მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ მხედავთ კვლავცა სულმდგარად?
- 8 მე იგივე ვარ მარად და მარად!

გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედლოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

- 12 იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამით,
უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკედარად...
მე იგივე ვარ მარად და მარად.

- 16 მე ერთმან ერთ გზის ერთს ეუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად —
მე იგივე ვარ მარად და მარად.

- 20 თუ მასცა ჩემებრ უცავს სიმტკიცე,
ვიბრალებ რაყიფს, შვრების მომცდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.

- 24 ჰსაჯეთ: ჰყრობილმან უწყისა ტრფობა?
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

მუხამზაზი ლათაიური

- ლოთებო, ნეტავი ჩვენა,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,
შემოდგომამან ბახუსი,
4 საწნახელში ჩააყენა!

- რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს,
გინდ ყვავიც ველარ ჰფრინავდეს,
ვერ შეგვაშინოს სიცივემ,
8 თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.

- მინდა ვსვა — საღვინე მამე,
მოდღვარო, დასტური დამე!
წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,
12 წარღვნაა ამის მოწამე.

ნოემ რა ერთხელ ინება
ყურძნის წვენისა გემება,

- 16 თვითონ ნუნუას მიუჯდა,
წყალი პირუტყვით დაანება.
- ვაჟკაცნო, მოდით დავლიოთ,
სჯობს, რომე ღვინო დავძლიოთ.
20 ომამდინ სისხლად იქცევა,
მერმე ბრძოლაში დავსთხოთ.
- რა ომის ცეცხლი ასტყდება,
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე
24 ან მოკლავს, ან შეაკვდება!
- ჭკვიანო, ნუ შერები ყბედვით,
შენ წინ ვერ მიხვალ გაბედვით.
28 გულს ომამდისვე გაიხეთქ
განსაცდელთ წინასწარ ხედვით.
- დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
32 და ლოთი გამარჯვებასა.
- აქიმო თუ გაქვს ქამალი,
ჰსცადე ეს ჩემი ნასწავლი:
რაც სენი უკურნალ იყოს,
36 ღვინოა იმის წამალი!
- ბერებო, თქვენც შეთანხმებით
ღვინის ქებისა ხსენებით,
რჯულისთვის მაინც დავლიოთ,
40 მაჰმადის გამოჯავრებით.
- ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება:
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,
44 ოხრათ რჩენიათ ქონება.
- მაშ მოდით ისევ ღვინითა
დრო გავატაროთ ღვინითა:
ქეიფი მაინც მოგვივა,
48 გოგრითა ვსვათ, თუ ჩინითა.

როს დავესწრათ გაზაფხულსა,
ველსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა,
ჩვენ წითელს ღვინოს ვეწაფნეთ,
52 ვარდი ვანებოთ ბულბულსა.

ოჰ, საყვარლისა ვერ მნახო,
როდემდის იგლოვო: „ახ-ო?“
აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე,
56 თუ რომ შენც არ შემოსძახო!

ზაფხულს დამე თუ დილითა
ვერვინ ვერ იშვებს გრილითა;
ჩვენც სიცხე ვერას დაგვაკლებს,
60 ვსთვრეთ, გავატაროთ ძილითა!

სიხვარულო ძალსა შენსა

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს
4 და ბულბულსა რად ეძრახვის რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰკიებ საცა,
8 გულეზი გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ღხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
12 მაშა ცუდია, თუ მაში სიბნელეც არსით ერევის!

უწყალო სენმან

უწყალო სენმან, ყოვლთ მაწყენმან გვიკოდა გულნი,
გვყო ჰირთა მთემნად, მგლოვარენად ყოვლნი სულდგმულნი,
სუსტ-გვქმნა ვათაგან მთიებთაგან დაშორებულნი;
4 გარნა უფრ ამად, და ყოვლ ჟამად ვართ გულმოწყულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი.

ეჭა, მნათობთა, ტფილისს მყოფთა გულნი ლმებიან,
სავანთ მტეეებნი, მათთვის მეებნი სოფელს ჰხლებიან!
8 ვარდნი უშლელნი, მიჯნურთ მწყლველნი უდროდ ზრებიან,
მათზედ ბულბულნი ხელებულნი აღარ ჰკარბებიან...
ამისთვის გულთა, დადაგულთა გვეხდების სულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი.

12 ჩვეულნი ლხინსა მიგვცა ჰირსა უბედობამან,
მოგვაკლო შვება, გემატა ვება შავ-სევობამან,
გვიტევა ყოვლმა განსაცხრომმა, თანაზრობამან,
მოგვიცვა აღმან, შეუწყალმან, გვალმო გრძნობამან,
16 გვეკვეთა სასო დაუფასო, ვშთომილუვართ კრულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი.

როს მწირთა თვალთა, დამაშვრალთა ეცემის ძილი,
წარმოუდგების კეთილ-დღების შვება განვლილი,
20 გონება ჰხარის, მათთას არის გული დაღლილი,
არ უწყის. რომე თვისთან მჯდომე არს ოდენ ჩრდილი,
გარნა განღვიძვით, ოხვრათ აღძვრით ეახლვინ წყლულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი.

24 ნეტა ხილვა როს უკვმელირსოს ელისეს ველთა!
მუნ ვიხარებდე, ვიქარებდე განვლილთ ჰირთ მწველთა,
მდელითა სუნსა, მოსასურნსა ვჰყნოსვიდე მრთელთა,
ვხედვიდე ყოვლთა განხარებულთ კეთილ-მდღეველთა!..
28 მე აწ მტირალმან მუნა ვჰკოვო ნუგეში სრულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი.

უწყალო სიყვარულო

უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად;
რისთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?
რად მაჩვენე შევენება გულის დასატყვევენელად,
4 სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად?
ვიცი, — მისი იხმარენ მშვილდნი ჩემად საწყლველად:
და ჰინდელნი ლესულნი საკედად, განსაისრველად.
უწყალო სიყვარულო და სხვ.

- 8 გრძნეულთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირებიათ,
 ყოვლინი მათგან კოდვილნი მათვე ემსჭვალეებიათ?
 გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,
 ესზომად ჰსწყურთ სიახლე, რაზომათაც ვნებიან,
 12 თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი რჩომილსა ხელად!
 უწყალო სიყვარულო და სხე.

- მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალით,
 მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით.
 16 ხან აღმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალით,
 უძრავად ვმდუმარეობ და ვიწვი წვლილის ალით,
 ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.
 უწყალო სიყვარულო და სხე.

- 20 ოდეს ვჰშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
 სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკედრების;
 ვჰრბი და მსდევენ დასები სევდის და მწუხარების.
 მასვე საგანს ვეძიებ, გარნა რა ვერსად მხვდების,
 24 სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, ღღე შემეჭმნების ბნელად.
 უწყალო სიყვარულო და სხე.

- ბედნიერო ჰაბუქნო, თუ გწადს მართლად დაცვა გულთა,
 ეკრძალენით ვარდთ, ზამბახთ, საროზედ აღზარდულთა!
 28 თვარა თვალთავე თქვენთა, მათ მიერ მიზიდულთა;
 ძალუძსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მისყიდულთა;
 ვერღა გყურნოსთ ჩივილმან, გინა ჰსხლეთ ჩემებრ მოქმელად.
 უწყალო სიყვარულო და სხე.

სძგერს გლახ-გული

- სძგერს გლახ-გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას;
 ჰსცემს სურვილის წამთა ხშირად, მაგრამ აგრძნოს ვისსა სმენას?
 გზის გუშავად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთუნებენ,
 4 ხან ფოთელნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზენას;
 ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,
 ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას.
 თვით ნიავთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,

- 8 რომელიც ცეცხლმოდებულს ლალით გამო მბერდა ლხენას!
 მახსოვს, ოდეს ტრფობის წინდად შეიწირე სული ჩემი,
 ამა ბავით შენსა ბალახშს გარდმოვიდა... ჰმადლა ზენას!
 იგი ამად არ გემსხვერპლა, რომე მომკლა მოშორვებით,
 12 კავშირ ექმნა ორთა გვამთა ცხოვრებისა ერთად დენას!
 ნუთუ დაჰგმო შენსა პყრობილს თვისთა გრძნობათ ლაღად
 მოთქმა?!
 რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვასა გრილთა ენას!

სხვადასხვანა ღროისათვის კაცისა

- ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჰმუნვის ალთა!
 რა ვიშვებით, მყისვე ესტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,
 მოვიზრდებით, წიგნის კითხვით არ გაგვიშრობს მწვრთნელი
 თვალთა,
 4 უამი გვიროკს, იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა.
 რა ჰასაკსა შევალთ, ახლად ჰირი უფროს გვემრავლებს!
 თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას
 ემსჰვალეზის;
 სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,
 8 და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკენსარად და მოქმელად ვების.
 ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა;
 არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზოჰ, უხვა,
 გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;
 12 რავერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექნების შურით ჰმუხვა.
 ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით,
 ყოველთავე მოვძაგდებით, ზნე გვეცვლებს გრძნობის კლებით:
 სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილ ლებით,
 16 მათგან ერთი გვეცემს და გვეტყვის: „ახით ნაშენო, მოკვდით
 ვებით!“

ვაჰ, სოფელსა ამას

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
 ბოროტებისა და სიცრუეის ჰურთა,

- კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
 4 უსაფუძველოთა
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!
- აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
 სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;
 8 ზოგადნი არიან გამდიდრებულნი, —
 განა რითა, ძმანო?
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
 12 შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;
 მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
 და ყვავილოვნებენ
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- ძალი დავალს ღიმიტ ნაქცევთა ზედა,
 სად სიმართლე მისგან შენარაზედა
 მისთ ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
 რომელნი სჭკნებიან
 16 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
 თვისგან ქმნილი თვისდავე მიეჭტევის,
 ყველაკაი წარუვალს, განელევის, '
 24 რაცა ჰქონდა პოვნილ
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- ზოგადნიმე სარგებლის საპოვნელად
 დაარღვევენ სჯულსა დაუყოვნებლად;
 28 არ დაზოგვენ მსგავსთა თვისთა საკვლელად.
 შეჭკრებენ საუნჯეს
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
 32 არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
 ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,
 ატარებენ ჟამთა
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- 36 მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,
 ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი,

- ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომჩინებელი,
და შეექცევიან
- 40 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
- რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას.
- 44 არ მარადის იშვებთ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

ვისაც გსურთ

- ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჰირში ფლობილს;
მისმინეთ, ვით მაქვს ჰმუნვა და თმობა
- 4 ურვისგან გულ-შეპყრობილს.
- მას ვსჰვრეტ ჰატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
- 8 მარად მეახლვის წყლული.
ვისაც გსურთ და სხვ.
- გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვეყვან ნების წარმტაცველად;
- 12 ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცველად,
გველივე ჰშთება გველად.
ვისაც გსურთ და სხვ.
- ლმობითა ვხედავ ყოვლთ წარმავალთა
- 16 მოხუცთა, ვაჟთა, ჰალთა-
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა
და მადენს ცრემლთა ცხართა.
ვისაც გსურთ და სხვ.
- 20 კაცთ უბედობა, თუმცა სატირე, —
გარნა რად განსაკვირე, —
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე.
- 24 ვისაც გსურთ და სხვ.

სიხვარულსა შეუპყრვიარ

- სიყვარულსა შეუპყრვიარ აწ შენსა,
გეტრფის გული
სურვილ რგული.
- 4 ამის ნაცვლად რად მცემ მე სენსა?
პირო მზეო. განმრჩათლე ბნელ გული:
თმა გიშერო,
ლამის ფერო,
- 8 სიგრილესა მიმეც დაგული-
მშვიდლო ხრილო. ნუ მეზიდვი საკვდავად:
განშლით მყარე
სევდა მყარე,
- 12 ახლად მექმენ სულის ჩამდგავად!
მელნის ტბათა გარ-მდგომელნო მცველადა,
შავნო ჰინდნო,
მახვილთ მზიდნო,
- 16 ნუ მექმენებით მე გლახ მკვლელადა!
ლაწვნო ვარდნო, რად განმაძებთ ბულბულსა,
ეშყის მსტვენსა
ტრფობის მჩვენსა,
- 20 ოდენ თქვენის ხედვით სულ-დგმულსა?!
ბაგე ლალო. მარგალიტებთა მცველო,
მომემტკბარე,
განმახარე....
- 24 საამოთა სიტყვათა მთქმელო-
ბროლის ველო, ორთა მათ საბუდარო,
მნათო ყელო,
სავედრველო,
- 28 მციარ არს, რაზომცა გემუდარო!
საროვ ნაზო, რტოთა მათ შენთა რხევა
მტაცებს გულსა
ხელებულსა:
- 32 ამად მაქვს მე გრძნობათა რყევა!
შვენებანო, აღსაესენო სიამით,
მიმიასლეთ,
განმანათლეთ, —
- 36 შემისმინეთ მკვდარსა აჯა მით!

ისმინეთ, მსმენო

- ისმინეთ, მსმენო, ჭირთა მთმენო, მომიპყარო ყურნი,
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ზშირნი, მწველნი ალმურნი,
ვნახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!...
- 4 წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაკვარგეთ კრულნი!
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...
- უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი;
ურიცხენი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავლ ათასათნი,
- 8 მუნა მყოფელნი, ყოვლ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
ცხოვრება ცუდნი, გულთ მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი,
აქვსთ ყოვლთვის ხელად სჯულად ძველად საფრხე, საცთურნი...
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.
- 12 ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰსწყევენ მტრულად,
- 16 კაცთა მკილაენი, ლიზლნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი, —
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი!...
- ვინც ჰხვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება;
- 20 ერთგულთა ჭილდო, გულთ საბინდო მიხვდება ხვება,
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი,—
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან. აწ გვაგო შურნი:
- 24 ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!
შემდგომ საცთურნი მას პირველსა უძვირესია,
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,
- 28 ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ, ვით უღაბურნი, —
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

ეჰა, ჩემო ოცნებაჲ

ეჰა, ჩემო ოცნებაჲ, კვლავ რად წარმომედგინე
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა,—

4 ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკობელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მიბრუნა.

ნუ მიტევენ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,

8 მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხრვანი;
წარსულისა სიცოცხლის ნიავე კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
12 რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.

ქაჰჰასია

თხემის შეუპოვარის პონტოის ზვირთთ მიმყრდობი
და ტერფითა სალითა კასპიისა განმპობი,

კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,

4 შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა.

მას შინა ჰსჩანს ბუნება საშინელად და მშვენად:

გვერდნი მისნი ძლიერნი, ოფლვილნი შეუსვენად,
ქუხვით გარდმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა,

8 ჰრწყვენ და განაპოხებენ შორიელთა ველებთა.

იგი, ზურგით მზიდველი მთებზედ შემდგართ მთებისა,

ათას წლოვანთ თოვლთაგან ზეავად შენაკრებისა,

ოდესმე რომელსამე მათ სპეტაკ ტვირთთაგანსა,

12 გარდმოაგდებს ზვაეებად, სცემენ ყურსა და თვალსა;

სრიალნი განმაშტერნი, სახენი განმაკრთობნი,

ყინულ-ლოდთა ბორცვები ერთმანერთის მასწრობნი,

თოვლის მტვრისა ზრქელისა აღმყვანელნი ცათამდე.

16 ჰგროვენ რახით და ხლტომით, ღრმათ ღელეთ უფსკრულადმდე;

ვიდრემდის ბუქს ჰაერი, მბერველ ქარიშხალებით,

დღისა მცვალები ღამედ, მომცველ ნისლით შაგვებით,

ღეღამიწისა პირი წარღვნას ახალს განმცდებლობს,

20 აქ იგლიჩება გორა, მუნ ველი აღარ ველობს;

ტყენი ძველთა ნაძეთანი გარდაქმნილან რიყებად,

წყალნი — ადგილად მშრალად, გზა-ვაკენი — კლდეებად;

და კავკას, მათ მათ შორის მხოლო უცვალებელი,

24 ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს, ვით ღმერთი მბრძანებელი.

აქვე ღღე მხიარული ოდეს კეთილ დარითა

- დაახედს ზოცულთა ზედა მსუგ შარავანდ წყნარითა.
 ყინულნი ათას თრამნი, წყალნი ფანტულ წინწყლებად.
 25 სხვა და სხვა ფერად ბრწყინვენ ოქროდ-ბრილიანტებად.
 ყველა კაშკაშ ნათლოს! ან დიდ შეენიერებას
 იოტნიცა ბზინვითა უმატვენ მკობილებას.
 ყვავილნი. საძოვარნი მომფენნი გვერდობ გრილთა,
 32 სუნით, გემოთ იწვითნი მიიზიდვენ ნადირთა:
 მუნ ირემი აღვალს რა წიაღით ბნელის ტყისა.
 განიშვებს უშიშარად მომკვლელთ ხელთ შეხვედრისა:
 შტოვანთ რქათა დამღრეკი, მყუდროდ დამზერს ღრუბელთა.
 56 თვისთ ფერხთა ქვე მქუხარედ და მეხისა მშობელთა:
 ირმისგან უმკვირცხლესი ჯიხვი უმაღლესს კლდესა,
 რომლის რქანიც მწეობენ ჩლიქისა სიმტკიცესა.
 თავ-ახმული შესცქერის მყინვარეს აუვალსა
 40 და ვერ შემძლე მიწთომად. ღმუილით ემდურს ძალსა.
 ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა,
 ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა, —
 მთა რეცა განგებ ზღუდეთ აღშენებული სალად,
 44 დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად:
 გარნა რომელს ბოლოსდა, როსთ მხედარად აღზრდილი,
 მიებჯნა რა უდრეკლად მამაცი კაციშვილი;
 შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი
 48 და ტინმან შარა გზათა ფართოთ განულო კარი:
 შეეჭრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,
 არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა;
 ფოლადნი. ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა.
 52 ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა
 ჰტემდენ. ჰგლეჯდენ, ქუხოდენ, — და კავკასი მკენესარედ
 ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!
 განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
 56 რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

პ ო ზ ჩ ა

- გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მზაძავი,
 ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანეთ:
 ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო წმინდა, უძრავი,
 4 თვის შორის ჰხატავს ცისა ლაყვარდს და მთათა მწვანეთ.
 2 ქრესტოპოლი ნაწ. I

- მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაბით მმოსველნი,
 სავლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
 სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
- 8 და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა —
 კმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.
 უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა.
- 12 თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
 და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:
 აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
 აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
 აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი:
- 16 მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!
 ესე კამარა ძვილ საცნობო ყოფილ ტაძარად,
 სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
 სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად.
- 20 და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა, —
 დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
 ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
 ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმველელი
- 24 მუნ შეათარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!
 ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა
 ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან:
 სომეხნი, მხენი ხელოვანნი მომგებლობისა,
- 28 პირსა ქვეყნისას ამა საქმით აღრივ ცნობილან.
 კაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურუართა მქონე
 არა-თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
 აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
- 32 ზათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!
 მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვა-ყრილსა ბნელად,
 კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა.
 ჩოგნით ტაცება ქაბუჯ-მხედართ გამოსაცდელად.
- 36 შუბთა ტრიალი, ჯირით ტყორცნა და ისართ სროლა.
 ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
 ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან;
 ჯეუთუნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
- 40 ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.
 აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
 წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა:
 აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულეზი ხარბად:
- 44 ტრფიალნი აქაც შემსჯეალვიან კვლავ ერთმანერთთა.

- რავდენტ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
 ქავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
 ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი, და გიშრის მწყობრნი
- 48 რავდენგზის ტურფად გარდულია სარკესა წყლისას.
 რავდენგზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით.
 უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
 მაგრამ რა?!... დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარმწყმედით,
- 52 ციურთა მკობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

1841 წ.

ახლოით განჩხრაქილი კაცი

(მთარგმნელისაგან)

ქმნილი მხოლოობისა თვისისა ეამსა რომლისამე ფრანკუზისაგან,
 ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად.

აღწერა მუნ მრავალნი წიგნნი აღვისილნი ბრძნულითა და ჭეშმა-
 რიტითა მეტყველებითა, ყოველსა არსებასა ზედა კეთილ განმპყელობი-
 თა და პირუთნებლად.

მათ შორის იყო წიგნაკიცა ესე, რომელი ვჰსთარგმნე ქართულსა
 ენასა ზედა თ. ა. ჰ. დეკემბრის 8, 1804. ქალაქსა ტფილისს.

ყოველსა კეთილმგრძნობელსა ეს სინჯვა უეგმოვნია,
 არ დაუგდია უცილოდ, თუ თვისი ცნობა ნდომენია,
 სიცრუვის მტევებს მცირეს ეამს თვისს გულთან დაუყოვნია,
 მუნ უძებნია გამქრალნი სიმართლის დანარჩომნია.

მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ირაკლის ძის
 ფარნაოზისადმი,

უგანათლებულესო მეფის ძეო.

უმოწყალეო ხელმწიფეო

ფრიადი მოწყალეობა რომელი მიხილავს მე თქვენს შორის, მცემს
 კადნიერებასა ამას, რათა შრომათა ჩემთა მცირისა ნაყოფისა ამის შე-
 წირვა გავუბედო უგანათლებულესსა სახელსა თქვენსა, არა მიმხედვე-
 ლი ნაკლულევანებათა მათ, რომელნი უსაშვლოდ იპოვებიან მუნ, არა-
 მედ მოიმედე კეთილმნებლობისა თქვენისაგან, რომელ შეცთომათა ჩემ-
 თა თანაწარხპდებით ვითარცა კეთილ-გონიერი მოძღვარი, რომელი დაჰ-
 ფარავს ახალთა მოწაფეთა თვისთა შეცოდებასა სიბრძნით და მით განმა-
 მხნობელი მათი ჰწავლისადმი უმჰსწრაფლესად განმართავს ნაკლუ-
 ლევანებათა მათთა, ვიდრელა შიშით და ჰრცხვენით სხვებრ ვიმედოვ-

ნებცა რომელ კინისა ქმნილებისა ამის. ცუდ თხზულებისა დამბურ-ველად იქნებ-ან მას შინავე მბუღაი: პოძნულნი და ქემმარტნი ჰაზრნი.

უმოწყალესო ხელმწიფეო. ყოველნი ზემოხსენებულნი¹ მიზეზნი არა საკმარ იქმნებიან ბოდიშის მოსახდელად, უკეთუ არა და-ურთო უპირველესი ესე. რომელ აწყყოსა მდგომობისა თქვენისა სუბუქად და განუკვირვებლად განტარებისათვის საჭირო არს თქვენდა განწვლილვით ცნობა კაცთა ბუნებისა. რომელსაცა ცხადჰყოფს წიგნა-კი ესე წოდებული ესრეთ: „ახლით განჩხრეკილი კაცი“.

თქვენის უგანათლებულესობის უმოწყალესის ხელმწიფის უერდ-გულესი

თ. ა. ჭ.

ბუნება გვაჩვენებს ყოველჯან მხიარულთა სახეთა კეთილ დღეო-ბისათა, ხილვითა ამით აღტაცებული გული ჩემი განიშიშვლების, გარნა მალიად დაიხშვისე იგი. ვაიმე, ვხედავ კაცსა გაბმულსა უბედურებისა ბადეთა შინა, და მწუხარებთა მისითა გარდმომედინებიან ცრემლნი. საფიქრებელ არსა რათა კეთილსა ღმერთსა შეექმნას ესოდენი სულნა უბედურებისათვის? ჩჩვილი მხილვეელი პირველად სინათლისა, ისწა-ვების სოფლად შემოსვლასა თვისსა ხმოვანებისა თვისისა ძლით, ბუნე-ბა გამოღებული მრავალ გვართა საქებელითა შრომითა საკვირველისა ნაყოფისა ამის თვისისა უმსხვერპლებდა მას მუშაკობისა და მწუხარე-ბისა ტირანულსა ხელმწიფებასა. შორს ჩემგან ღვთის საგმობელი ფიქ-რი ესე. პოი, შენ რომელი იწყებ ხედვასა სინათლისასა, მწუხარება გარე მოგიცავს სარწებელსა შენსა, ოდენ ხმოვანება შენი ცხად ჰყოფს, რო-მელ ხარ შენ მშვენიერი. შენ მჰსგავსებ განმზადებულსა შრომისათვის, და გრძნობ მწუხარებასა და საჭიროებასა, გარნა ნუ მიისწრაფი, და ნუცა ბრალეულ-ყოფ თავსა ჯერეთ ბუნებასა, აჰა შეძრწუნებული და საყვარელი დედაი შენი ჰრბის უკვე შენდამი მოსასულელად; ხილვითა მისითა ცრემლნი შენნი შეშრობილ, და საჭიროებანი შენნი კმაყოფილ არიან და ჰხსნილი შრომათა შენთაგან ჰსკვრეტ დატკობილითა თვალი-თა კეთილ მყოფელსა მას არსებასა, რომელმან შეამოკლნა ჰმუნვა-ნი შენნი, შენ უღიმი მას სიყვარულით, შენ ჰსთრთი მხიარულებით, და მცირენი ხელნი შენნი მჰსვავსებენ მისდამი მადლობისა მის მიმართმე-ველთა, რომლითაცა აღვსილ არს ყოვლადი ყოფაი შენი; აჰა პირველი სწავლა მგრძნობელობისა ბუნებისაგან კაცისადმი; აჰა გზა იგი ბედნი-ერებისა რომელი განწესებულ არს მისთვის.

ბედნიერო ჩჩვილო, იხარე კეთილდღეობისა ამის მჰსწრაფლ წარა.

¹ B. ზემოხსენებულნი.

კალითა წააშობთა; აჰა უწმინდესი სიამოვნე ყოვლისა ცხოვრებისა შე-
 ნისა, ბუნება ისურვის რათა მიგცეს შენ გცხრომაი, ხოლო კაცი მალიად
 გრთავს შენ მწუხარებასა. იქმნების უწყალომან დედამან მიგცეს შენ
 სხვასა გამოსაზრდელად, შენ აღავსებ დედა მთქმესა შენსა ტკბილითა
 აღერსითა, რომელ არს საამო ჯილდო განწესებული დედობრივისა
 ზრუნვისათვის; გული შენი შეეკერის სიყვარულისა და მადლობისა
 კავშირებითა მომვლელსა შენსა, ხოლო შემდგომად ამისა გაგმობი-
 ნებენ შენ მალიად ბუნებითა კეთილმგძრნობელობასა შენსა, წარმოჰ-
 სდგების უკვე შენს წინაშე ახალი კინმე მშობელი და ითხოვს შენგან
 სიყვარულსა, რომელი არა თვის ეყვის მას, ვინაითგან არა არს მოჰირ-
 ნახულე შენი, შენ დაგარღვევინებენ ბუნებისა პირველთა კავშირთა,
 და გასწავლიან ამით შეურაცხებასა საღმრთოისა ჰჯლისასა; იქმნება
 ოდესმე შეიქმნა შენ მისხვერპლად ბარბაროსებრისა¹ მოქმედებისა;
 რა უამს ხარ შენ ჰთაკრულ არტანებით იწროსა საპატიმროსა მას შინ,
 ჰსციდილობ გარნა არ ძალგის განძრვა სხეულთა შენთა, ჩხავ-ლნი შენ-
 ნი არა განაღვიძებენ უგოდროსა ღედა მქუძისა შენისა სასმენელთა,
 რომლითა უფროს განმრავლდებიან შენ შორის მწუხარებანი, და უმე-
 ტესად ჰგოდნობ ტყვეობასა შენსა, ხოლო უკეთუ შემკვრველნი შენნი
 ბორკილნი არა აგხდიან სრულებით სიცოცხლესა. მაშინ უსაშვალოდ
 სუსტ² ჰყოფენ ახლად მცენარეთა ორღანოთა შენთა, რომელთა წინა
 აღუღებნიან იგინი და განგიკვეთენ მით ზრისხანებისა და სულმოკლეო-
 ბისა პირველთა ჰსწავლათა.

ჯერეთ შენ ხედავ, ოდენ დასაწყისსა მძათა შენთავან შენთვის განმ-
 ზადებულთა უბედურებათასა. სხეულნი შენნი თავისუფალ არიან, გო-
 ნება შენი განჰხსნილ არს. და შენ ჰგოდნობ ახალთა საპიროებათა, შენ
 ჰბოებ ყოველსავე გარემოს შენსა. შენ ჰსჭვრეტ მრავალთა წინა მღე-
 ბარეთა, რომელთა ძალ-უღსო კმაყოფი სახეღველთა შენთა და მად-
 ლობ დიდითა მხიარულებით ყოველთა ამით კეთილთა ქმნილებათა შე-
 მოქმედსა. აჰა სარწმუნოებისა პირველნი ვრძნობანი იშობებიან გულ-
 სა შინა შენსა, გარნა კაცი მალიად განგიქრობს შენ აღსაგზნებელსა
 ნაბერწყალსა მაგას. შენ ჰსდებ კეთილთა ქმნილებათა მით ხელსა შენ-
 სა სრულითა ნდობით, უკუთნ აქტიუ ზელი შენი მათგან, იგინი არა არიან
 ქმნილნი შენთვის. შობა უფლურება და წელნი შენნი გაყენებენ შენ მათ-
 გან სიამოვნისა მიღებად და გემოვნებად. ვსურს ცნობად თუ ვითარი
 წილი მოგეცემის შენ მათგან? მიმოიხედე გარემოს შენსა. იხილე მშო-
 ბელთა შენთა მდგომობაი, არიან იგინი მდ-ღარ. ანუ გლანაკ, ტირან-
 ნი ან მონანი. სვე მათი იქმნების შენოცა: შობილხარა ბარბაროსთა

¹ B ბარბაროზებრისა.

² A სუსტ.

მათ ქვეყანათა შინა, სადაცა კაცი პირუტყვებრ განისყიდების ძსგავ-
სისა მიერ თვისისა... ჰსცან დარწმუნებით უკეთუ ხარ შენ რიცხვსა
შინა მათ მონათასა, გეყოლება შენ პატრონი ვინმე, მუშაკობა, სიყვა-
რული და ერთგულება. რომელი გექნების მისთვის, მოგიპოვებენ შენ
სარჩოსა. იგი ნუგეშ გცემს შენ შრომათა შინა შენთა, მოგხედავს უძლუ-
რებისა ეამსა და განგიფრთხილდება სიკვდილისათვის; გარნა თუ მოს-
რულ ხარ შენ სოფლად ყოვლად ბარბაროსთა ქვეყანათა მათ შინა.
სადაცა უბედურსა კაცსა არარაი აქვს თვინიერ ჰაერისა, უკეთუ შშო-
ბელნი შენნი იძულებულ არიან მიწისა მის სხვათავთვის შემუშავებად,
რომელი არა რასა გამოსცემს მათთვის ნაყოფად მუშაკობისა და
მწუხარებისა-კიდე. შეკრთი კაცყოფობისათვის. ყოველნი წამნი ცხოვ-
რებისანი შეწირულ გაქენ შენ შეურაცხყოფელისა შენისა მდიდრი-
სათვის, რომელი ამპარტავანითა სახითა გადმოგიგდებს შენ ოდენ
მცირესა ლუკმასა სიკვდილისაგან განსაშორებლად, შენ ჰპოებ თავსა
შენსა იძულებულად. რათა ჰსთხოო მას განთავისუფლებათი ფერხთა
მისთა ქვეშე დამხობილმან, იგი თანახმა გეყოფა შენ ამად, რომელ
მით დაგიზავს სრულიად მცირისა მოწყალებისა თვისისა კარსაცა და
განგაშორებს საჭიროებისა შენისა კმა საყოფელთა ნივთთაგან. და
ოდეს განგელევიან ყოველნი ძალნი სამსახურითა მისითა, ოდესცა
სუსტ ქმნილნი სხეულნი შენნი ვერლა შეიძლებენ მუშაკობასა, მაშინ
შეგიყვარნეს იგი საპატიმროსა სახლსა მას შინა, რომელი დაფარულ
არს მშვენიერსა სახელსა ქვეშეს — სნეულთ სამკურნალოსასა; ესე
არს უფსკრული იგი, სადაცა უმადლოება საზოგადოებისა ჰშთაგ-
დებს მჰსხვერბლთა მათ. რომელთა განცხადებულად დაკლვაი შეუძ-
ლებელ არს მისგან; იგი შეგაგდებს შენ მკვდართა და მომაკვდავთა
გუნდსა შინა. ხოლო სიკვდილისა შენისა მიზეზთა შრომათა და მუშა-
კობათა მივეაქციეს შვილთა შენთა ზედა.

კაცი შობილი ღარიბად, არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად
მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა კნინდა უფა-
სოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განირინებს მის მიერ განმზადებულისა
მისთვის რკინისა საგდებელისაგან, ამად რომელ მიზეზებულნი მდიდ-
რისაგან უსაპართლოებანი განაღვიძებენ გულსა შინა ღარიბისასა სი-
ძულვილსა დიდსა, და ოდესმე სიკვდილისა მისისა სურვილისაცა.

აწ ეთრიე პირსა ზედა ამა ქვეყანისასა, უბედურო მოკვდაო, და თა-
ნა ათრიენცა რკინისა ჭაჭვნი იგი, რომელნი აბიან კისერსა შენსა, ყოვ-
ლად წრფელნი ბუნებითნი თვისებანი შენნი ეჩვენებიან ტირანთა შენ-
თა ბოროტებად. იგინი განგაშორებენ შენ ყოველთა კეთილთა ზნეთა-
გან განმწევი შენნი ჭაჭვითა მით. ცუდლა ეცდების ბუნება გამოხსნასა
შენსა ბარბაროსთა მათ ხელთაგან. იგინი გდევნიან შენ საფლავამდე.¹

¹ B საფლავამდე.

ივინი განაღებენ შენ წინაშე კარსა საუკუნოებისასა და გამხილებენ უწყალოებისა ნათისაგან შენთვის განამზადთა ტანჯვათა.

ბედნიერნი ცხოველნი, თქვენ არა უწყით დამამხობელნი ესე გან-
რჩევანი, რომელთა მიერ კაცი იძულებულ არს კენესად ძმისა თვისისა
მონებითა შობითვე. თქვენით მიწა კმა ყოფს ყოველთა საჭიროებათა
თქვენთა, ბუღბულსა არა ოდეს უთქვამს თვისთა მობუღართა სხვათა
ბუღბულთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი არიან და ყოველ-
ნი მათ ზედა მბუღარნი მფრინველნი ჭერარს დამემორჩილნენ მე! ჭია
დაბადებული ფურცელსა ზედა, სულთქავს თავისუფლებით, ხოლო კა-
ცი ვერა სადა ჰპოებს თავისუფალსა ადგილსა! თვით ქვაცა იგი, რო-
მელსა ზედა სდებს იგი თავსა თვისსა, თვის ეყვის ვიეთსამე პატრონსა.

უკეთუ შენთხვევასა სარწებელსა მისისათვის არა გარე მოუყრია
ოქრო გინა ვეცხლი. მიწაცა იგი რომელსაცა ზედა შობილ არს, უცხო
არს მისთვის. — იგი ვერ შეაჩებს ხელსა თვისსა ვერცაღა მცირესა
ქმნილებასა ღვთისასა.

კაცი შობილი სიტყბოებისათვის. მიიღებს პირველსა ჰაზრსა უწყა-
ლოებისასა მჰსგავსთა თვისთა უსამართლოებისაგან, ბუნება შთასძა-
ხის გულსა მისსა. რომელ არს იგი მცირედ მონაწილე. მიწისა მის. რო-
მელი თვის ეყვის მხოლოსა ღმერთსა: უწყალოებით იავარქმნილი
ნაწილისა მისგან მჰსჭერტს იგი მჰსგავსთა თვისთა. შუროვანთა თვა-
ლითა სიძულელი შევალს გულსა მისსა და ჩამოიყვანს მას უქვენაესსა
ხარისხსა შინა ყოველთა სხვათა ცხოველთაგან.

ჰოი. შენ უბედურესო ყოველთა მყოფთაგან. უკეთუ გსურს პოე-
ნად სარჩოი შესაბამისი შობისა შენისა, დაემხე ამპარტავანისა ძმისა
შენისა ფერხთა ქვეშე. ემთხვე მტერსა მათსა. და დაიმდაბლე თავი
შენი, რათა ტირანმან შენმან მიიღოს შეწყნარებით შენ მიერ მისდა
შეწირულნი ოფლნი. დაკვალადცა მკითხავთ თქვენ. თუ რაისთვის არს
კაცი უუწყალოესი ყოველთა იძვრისთაგან პირსა ზედა ამა ქვეყნისასა.
აჰად რომელ იგი არს ყოვლად უსამართლო.

უბედურსა, შობილსა ღარიბად. აწუხებენ საჭიროებანი თვისნი
და ცდილობს ყოვლითა ღონითა კმა ყოფასა მათსა. აღურიცხველნი
დამაბრკოლებელნი წინა აღუდგებიან მას. და ვინ არიან ესე დამაბრ-
კოლებელნი? მჰსგავსნივე მისნი. ამისათვის ჰრაცხს იგი ყოველთა კაც-
თა თვისთა მტრად. გრძნობა თავისუფლებისა თვისისა აქვს მარად
გულსა შინა და ჰხედავს რა თავსა თვისსა განშორებულად მისგან და
შევრდომილად ტირანთა თვისთა უფლებისა ქვეშე მოემატების სიძულ-
ვილო: იგი ჰპოებს მათ თვისგან წარტაცებულთა საჭიროებათა მიერ
მოგებულთა სიამოვნეთა და განცხრომათა შინა. ახალთა კრებათა გან-
მალვიძებელთა სიამოვნეთა მათ ხილვაი კვალადცა მოუმატვენ მას სი-
ძულვალსა, რომელი გარდაექცევის ცოფად და სიკაპასედ. — იგი გან-

გლეჯდა ყოველსა თვისგან უმდიდრესსა უკეთუ. არა აყენებდეს შიში, და ოდეს მდგომარეობამან აღუთქვას მას გარდაუხდევინებლობაი, არა დაუტეოს წადილი იგი აღუსრულებლად. ესრელ გარდაიქმნება ყოვლად ტკბილი არსებაი ყოვლად უწყალოდ და ბარბაროსად.

ჰოი. საკუთრებაო, უბედურო წყაროო კაცთა შეძრწუნებისაო, შენ არიხებ კაცსა მსხგავსისა თვისისა პირისპირ, შენ აძლეე ზელთა მისთა საკუთრელსა დასამალავსა, შენ ყოფ მას უუწყალოესად ყოველთა მხედრთაგან ღარიბსა ჰსძაგან კაცნი. ვინაითგან ჰხედავს მათ შორის არა თუ სავსებით, არამედ გარდმოდენადცა საქონელთა მათ, რომელთაგან იმყოფების თვით მოკლებულად და ქონებანი იგი არიან პირველნი საქონლებანი კაცსათვის. მდიდარი მდგომარე საშვალ ღარიბისა, რომლისა არს შეურაცხნყოფელ და შემძლებელისა, რომლისა არს მოშურნე, რტანჯვის ცუდთა საქიროებათაგან მთხოველთა და ბოროტებათა თვისთა მიერ წარმოშობილთა ვნებაებითა. მას ჰსძულან ყოველნი თვისგან უმაღლოესნი, ჰსურის დამონება ყოველთა კაცთა, ავი მონად თვისად ყოფდა მათ უსაშვალოდ, უკეთუ არღვიან იყოს მისგან უძლიერეს და არა დაუტევებს სურვილსა ამას თვისსა აღუსრულებლად, შეიქმნება რა ყოვლად ძლიერი. ფრიად სააუღვეელი სურვილი ესე ეპოების ხელმწიფეთაცა შორის. ხელმწიფენი განვლენ საზღვართა მათ რომელნი თვითვე დაუდვიდესთ. ქვეშევრდომთა თვისთა ბოროტებათათვის, მათ არა უწყიან სხვა რაიმე სჯული. თვინიერ ძალისა. იგინი არიან პირსა ზნედა სრულიად ქვეყნისასა, ვითარცა ერთსა ოდენ ნაწილსა შინა. აღვირუსხველთა ვნებათა მქონებელნი კაცნი, მოშურნე მუნობლისა თვისისა. რომელსა ჰყავნ მისგან უმეტესნი ყმანი და აქენ უმჯობესნი ნამულნი. შეიტანს იგი საკუთრელსა და ცეცხლსა ქვეყანასა შინა თვისსა. ვნებათა სახარებისა მისისანი არღა განჰსჩხრევენ შართლმსაჯულებასა. არამედ ჰსწონენ ძალთა და ესგვარ დამაშხობელნი კაცთა ნათესავთანი არიან რიცხვსა შინა ღმერთთასა.

მივხედოთ ყოველთა ბოროტებათა წყაროსა! საკიროება კაცისა მდგომარეებდა ნაყოფთა. რძესა და წყალსა შინა. შენღშაკებული მიწა გამოპყვემდა მისთვის სიუხვით ამა პირველთა უმანყოფისა საქონელთა; ლიტონი საზრდო ესე რომელი თავით თვისით მივცემოდა ხელთა მისთა დაიცევდაცა კეთილ მოყვარებასა გულსა შინა მისსა. გარნა იგი გამოიზარდა ცხოვართა სისხლითა და ხორციითა, მან დაჯარა გვამი თვისი კრელთა სამოსელთა ქვეშე, და დაიდვა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და ჰსთქვა აშპარტავანებით: მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ მუნთ ყოველსა კაცსა, რომელსა არ ექმნება საკმაო ძალი, გინა მხეცობრობა თავისა თვისისა განსარიხებლად დავჰსდებ მათ ჯაჭვსა რკინისასა. და იძულებულ ვჰყოფ რათა იმუშავონ სიამოვნეთა ჩემთა

კმა საყოფელად, ხოლო უამოუცემელად ფასისა ამის, ვერცა მიიღოს მან ნაყოფი მიწისანი, და ვერცაღა ხორცი ცხოვართა.

გონება ჩემი აღმიტაცებს მე უმაღლეს სფეროსა ამის, იგი ჰსბრუნავს სახედველთა ჩემთა ქვე, და ყოველნი ერნი ქვეყანისანი წარმოუდგებიან თვითოეულად განწვლვილით მკვრეტელთა თვალთა ჩემთა, ევა ვითარი საგლოველი სახილველი ცხად მყოფს მე, რავდენთამე ასთა ტირანთა განუწაწილებიესთ კაცთა ნათესავნი, და შეკრებენ ურიცხეთა მონათა მათ, რომელნიცა ანუ შემთხვევასა და ანუ ძალსა მიუციან მათთვის ყმად და მონად.

ზოგადგან ჰხოცენ კაცთა, მხოლოდ ერთისა ბარბაროსისა¹ კაცისავე საამებლად. ზოგადგან ჰყრიან ხალხთა მსგავსთა თვისთა პირისპირ მისასვლელად და ველურთა მხეტამებრ ურთიერთისა ვანსაგლეჯად სახისა ამის ქვეშე, რათა დასაჯონ მკიცხველნი მისნი. რომელსაცა ოდესმე იგინი იცნობენ ოდენ თვისადმი მიზეზებულთა მისგან ბოროტებათა ძლით. ზოგადგან ჰრეკენ მათ ანუ აღსაოხრებლად, ანუ დასაქცევლად და ანუ დასაპყრობელად ვიეთდამე ნაწილთა ქვეყანისათა², ხოლო განმმარჯვებულნი იგი ერნი არა მიიღებენ ჯილდოდ არცაღა მცირესა მუშებასა გონებისაგან.

ყოველგან ჰსჩანს უღმობელობა, სულმოკლეობა, მრისხანება, შური, სიძულვილი, კაცთა კლვა და მხეტებრიობა.

მე გარე მივაქცევ სახედველთ ჩემთა საშინელთა სახეთა მათგან, რომელთა მაჩვენებენ მე კაცთა ნათესავნი. ვეძიებ პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა ოდენ ალავსა ერთსა, სადაცა უძლო მიღება უმანკოსა ჭაერისა. გარნა ვაი ვერა სადა ვჰპოვებ მას. სრულიად ქვეყანა დაფარულ არს ცოდვისა ქვეშე, დაშთომილ არსა ვინმე ტკბილთა წრფელთა და მოწყალეთა მათ კაცთაგანი. რომელთა არა უწყიან არცა სიცრუე. არც უწყალოება. და არცაღა დამონება? უკეთუ ცოცხალთა ვინმე არს მათგანი, ჯერ არს ძიება მათი აღვალთა მათთა და კლდეთა ქვაბთა შინა, შინაგან ჰსშირთა მათ ტყეთა, რომლისაც გზისა განკვალვით უგულუბელს უყვიეს მეცნიერთა გინა გონება ვანათლებულთა ბარბაროსობასა³,

რანი არიან ყოველნი იგი არსებანი. რომელნი ჰსტანჯვენ, ჰხოცენ, ჰგლეჯენ და ჰსჭამენ ურთიერთთა? იგინი არიან იოტნი და ჰინჰველნი, მოძრავნი კორახსა ზედან ამა სფეროსასა, რომელთა ცხოვრებაი დასრულდება მაღიად, ხოლო იგინი შეიქმნებიან კორახისა მის ნაწილად. შეკრებულთა მათი დაფუძნებულ არს უგუნურებასა ზედა, და ამათ

¹ B ბარბაროსისა.

² A ქვეყანისათა.

³ B ბარბაროზობასა.

ჰსდევენ ურთიერთსა, იბრძვიან. ჰრბიან. დაიფანტვიან და ვანწყდებან-
 ცა. ამპარტავანება მათი ჰბზუის წამსა ერთსა, ოდენ წერტილსა ზედა
 ვოცელისა ქვეყანისასა. იგინი აღმართვენ რომელთაჲე ქვათა ნაჭერთა
 და ჰსკვრეტენ მას მომწონებელითა თვალითა, გვაში მათი დაფარულ
 არს რაითაჲე ყვითელ ფეროანითა, რომლიცა არიან დაბრმობილ; მათ
 შორის ჟამი მოიწვევის მომუქართა სახითა, მოხვევს ბადესა თვისსა
 ამპარტავანთა მათ ქინკველთა¹ სასაცილოსა ხორასა. ხელმწიფენი, თა-
 ვადნი, ტირანნი, მონანი, ქალაქნი, სამეფონი, ყოველივე განურჩეველად
 წარიდებიან, ყოველივე განქრების, არლარა ჰრჩების კაცსა შეცოდე-
 ზათა თვის სახისა კიდე, რომელსაცა უგდებს შემდგომად თვისა მო-
 მავალთა მაგალითად.

დასასრული

პყრობილის შრომა ვნახე პყრობილმან,
 ამად შევიქმენ მხირაულადა,
 ჰაზრი ჰსჯობს თხზვათა, მისგან ნათქვამთა
 ყოვლად წყვედიადებს დაფარულადა,
 მსურს განმარტება, ჰირთა მატება,
 რადგან მისგან ვართ გამომხულადა,
 საკვდავ წყლულადა, ისარ სმულადა,
 მისის ხედვისგან შორკებულადა.

ალექსანდრე ჰავჭავაძე

1804 წ., 8 დეკემბერი

¹ B ჰინკველთა.

მბირალ ნ... ს...

- თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრგვევენ მწუხარებით,
სულისა შენის ტანჯვანი არ არს უკეთუ ოცნებით.
მაშ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შეენებოთ,
4 ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის ჭმუნვისა მიღებოთ.
თუ ოცნებით ცრემლსა აფრტვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის.
ვარდებრივთა ლაწვთა ზედა მარგარიტნი ჯადმოგცვივის.
8 თუ შეჰსწყვიტო, შევიანებე, გიმზერ ჩემად ღა მიხარის.

ტბილისი. 1829 წელსა.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

- ნუ მასმევ ღვინოს,—უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით,—
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვანს ენა ყოველსა.
ესდენ ხან კრძალვით დაჯარულსა ღობად ჩენსა გულსა:
4 უიმედოსა შენდა მომართ ჩემს სიუცარულსა.
ტანჯვათა, ოხრვათ, იღუძალად მომღონარ ცოცნლსა,
ჩემს შესაბრალისს გაშმაგებას ცნობათ დათანტვით...
ნუ მასმევ ღვინოს,—უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!
8 გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომია-ლა და მისიკა გსურს დაბნელება!
მის დასამონად იცი, კმარა შენი შევენება.
ერთი მოხედვა ტრფიალებით. მცირე ყურადღება!
12 იცი, მარამა თასს კი მაძლევ მღიმარეს სახიო.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!
რადგან არ იწლი ჩემს საკვდავად შენს სასტიკ სურვილს
და ჭილდოდ ვარდსა მაძლევ ოღეს შეესვამ თასს ალესილს:

- 16 მაკ ეარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენთ ღაწვთზე გამლილს,
და მაშინ გინა სიხარულით შევსვამ თვით სიკვდილს!
რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყვი: გეტრფი მთვრალ ეშხით!
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!
- 20 ზოგჯერ მლიმარე გინზერ ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს. რომ ღაწვთ ზედა გარდაგვკვრია ნუშის ყვაველი!
მაშინ მას ზედა დავონების მკლავს მე სურვილი.
მამ გინდა ნომკლა, გეტყვი, თმენის არლა მაქვს ძალი,
- 24 ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიყდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით.

თბილისი, 1829 წ.

ი ა რ ა ლ ი ს

- ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
4 ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!
- ძ ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზეა დასტრიალებდეს.
ყნოსუა დამტკვარი-მის სუნით,
მაღასა განგვიღვიძებდეს.
- 12 კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალა, თევზი. მწვანელი
აგვიპრელებდნენ წინ სუფრას.
- 16 ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგენათიღეს,
გაცხელებულთა
- 20 ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიაფი განგვიგრილებდეს...

- 24 შენ მომითხრობდე,
 მე ყრმა გისმენდე.
 გამოუცდელი მოხუცებულსა.
 თუ ვით ივერნი,
 ლომგულნი გმირნი,
 ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.
- 26 გისმენდე. თუ ვით მღევარის ხმაზე
 ჰაბუკნი მხნობით აღტაცებულნი,
 მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
 შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.
- 32 ვაჟ მას მტერსა, ვის ანუ კლდენა,
 ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰჭარვიდნენ,
 ვითა შურდულეზი, ტრედთ შავარდენი,
 მიესევოდნენ და შემუსვრიდნენ.
- 36 დაენატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
 შეჰსწირა მსხვერპლად,
 დაენატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი
 გულს აღბეჭდილად,
 როს ერთგულება, სარწმუნოება,
 ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
- 40 ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
 მათსა სახელსა განადიდებდნენ...
- გისმენდე. თუ ვით ღღესასაწულსა,
 შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
 44 ჰაბუკ მხედარნი ყაბახსა¹ ვრცელსა
 ტურფად დარახტულ და დაკაჰმულნი,
 ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად.
 ესრედ მოჰქრიან ვითა ნიავი;
- 48 ჰკრეს ნალარასა—განიყვნენ ორად,
 აჰა, საამო სჩანს სანახაჯი.
 ცხენთა გრიალი,
 შუბთა ტრიალი,
 52 ჯირითთ სრიალი.
 ყურთმაჯთ ბრიალი.
 ცხენით ქვე ხტომა.

¹ სადაც ეხლა არის სასვირნო ბაღი ალექსანდროვისკისა, იყო დიდო საჯირითო შვიდანი, სახელად ყაბახი.

- კვალაღ შეხტომა.
 56 უზანგთა ცემა
 და ხმალთ კრიალი!..
 ზოგი არწივსა
 ზეცას მფრინავსა
 ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
 60 ჭირითი ზოგის
 ზუზუნით მოჰქრის
 და მოხვდა ქვაზე ¹ თასს ნიშნად დგმულსა.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი ² სიამით მარაღ უმზერდა შორით,
 64 ვისცა ეწერა დიდება სახეს. ვინცა არღა არს, ვისთვისაც
 ეპსტირიოთ.
 წარსულთა ღროთა, დიდების ღროთა, ყოვლი კეთილი თანა
 წარიღეს,
 აწ უცხოს ცის ქვეშ. ზოგსა ეპყვერეთ ოხრვით, და ცრემლით
 ზოგის წმიდა სამარეს!..

- 68 ვინ აღჩნდეს გმირი,
 რომ მის ძლიერი
 ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
 რომელ მარჯვენით,

- 72 ერთისა დაკვრით
 უსულღვ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?
 მაგრამ ამაო. ჩემო იარალი,
 არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
 სად აზარფეშა. სად არს მწვანელი?

- 76 ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა!
 გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვიდადსა
 სადღა იხილოს ცა მშობლიური?
 შენ ხარ პეტერბურდს, მე ნოვლოროდსა.

- 80 გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.

გულს ეწუხების რა აგონდების ღღენი წარსულნი ნეტარებისა.
 მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და კმუნვა მითცა

შემცირდებისა.

მარტის 8-სა, 1832 წელს,
 ნალედნიყის პრინც პრუსკის შტაბი,
 [ნოვლოროდი]

¹ ყაბაჩი: თავს და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ
 თასსა და ესროდნენ ჭირითს და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჭილდოდ გა-
 მარჯვენისა. ესანასწნელ ჭირითში ვინა ერისთავმა გაამარჯვა.

² მეფე იოაკლ.

მისი სახელი კაცხვითა მარადის იხსენებოდეს.

ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს.

და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს

4 და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს კი

ჰზოგავდეს.

მტერსა ხანჯალზედ აღებულს ვინცა სიამით არ ჰსჭვრეტდეს

და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არა უტკობდეს!

რა სასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამ სოფელს მოსული.

8 და სამარეზღის კვნესითვე უღელსქვეშ დამწარებული:

ჰსჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქნას დაარსებული!

მხვედრი ესრეთი ვაგლახი არს ვისთვისც განშაადებული!

ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს,

12 რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს! —

ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...

სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!

[1832]

ჰე, ივერიაჲ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი.

ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი.

რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,

4 ძლევათა მათგან. როს დიდებით იყავ მოსილი.

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არლა მდინარებს.

თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს!¹

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,

8 მოყვრულად გვმტერობს, გტაცებს ყოველს, გვიქმს

აღერსობას...

¹ ამ სტრიქონის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია ეს ოთხი ტაქვა:

[საღლა ვჰპოთ სიწმინდე ჩვენთა ზნეთა,

აწ იქების მოქმედი სიბილწეთა,

ე- ნაყოფი მოსულთ მტერთ-მოყვარეთა,

ვინ აღმოჩნდეს მოპყევი წარსულთ ღლეოა:] — რედ.

ესე ნაყოფი აქვს შარადის ცუდსა მონებას.
ბელო! ნუ გძინავს. გახილიჯე; ისმენდ ვაებას!

- 12 ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,
ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის.
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის.
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.

[1832]

ჩემს დას ეფთხიას

- ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შეებად, სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჰკენარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
4 და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შევების ვარსკვლავი.
შენის ღიმილით შექმუხვნილი სახე მინათლე.
შენი აღერსი მშვიდი. წყნარი, მიხარის შორით.
8 და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე!

- სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ.
ძლივ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინებულნი,
მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ,
12 და ახლად ლამპარს აღმინებდა გულს სიყვარული,
რომლისა სხივნი თვით ეკალთა შეჰქმიდენ ვარდად,
რომლით აღვსილი არა ვჰსცნობდი ჰმუნვისა ცრემლთა,
მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად
16 და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!

- აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად.
რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი ჰმუნვათა დასნა
20 ესრედა ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?
უცებ გრიგალმა უბედობის დამჰქოლა ესრედ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის, ჰფარა ღრუბელთ ქვეშ
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ,
24 და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ,
სადაც ოხრვანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით.
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!

- სადაცა ჰსწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ლაწვთ ცრემლნი დენით,
 28 და მათ არ ჰსწყვეტდა არაეისი ხელი ნუგეშის;
 სად ვერა ჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა.
 სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე—უფარსკვლავ,
 და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,
 32 თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ.

- მწუხარების ღროს ჟამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად,
 და უბედურის სახეზედა ღრმად ჰბეჭდვენ თვის კვალთ,
 არღა აპყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად,
 36 მახვილი გულით ვერ აპგლიჯონ შემდეგ სიხარულთ.

- ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ, მაგრამ ოდესმე
 გულსა რაღაცა გაეღვებით განახარებდა...
 ან დავიწყებით, ან შებრალებით წარსულ სიამე
 40 თითქოს ჩემს გულში სურვით ნაცნობს ძველ კვალს ჰპოებდა;
 თითქოს ჰსციდილობდა განბნევეასა გულის სიბნელის
 და ვით თვის სადგურს, ჩვეულებრივ მუნ დამკვიდრებას!
 მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის,
 44 წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას.
 ესრედ ამშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს,
 ესრედ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელეებს ღიმი,
 თუმცალა გულში უზომოსა ჰფარავს სიმწარეს;
 48 ესრედ ვარდს დამჰკნარს დაეცემის უღროდ ცის ნამი.
 უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით
 დღენი და თვენი. და ვერც ვჰსთვლიდი მე მათსა დენას,
 შემამორნენ ცრემლნი, მაგრამ არ თუ ჰმუნვათ განჰქარვით,
 52 არ-თუ ვისგანვე მოვისმენდი ნუგეშის ცემას.

- არა! წყვდიადსა მას სადგურსა სხივი ნუგეშის
 ვერ მოეფინნენ საშვეებელად გულსა უბედურს.
 ვაი მას, ვინცა ჰრაცხს ნუგეშად, ვით მე მიმაჩნის,
 56 რომ შევეჩვიე მწუხარებას და ვაის სადგურს!

- ჰმუნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი.
 შემამორნენ ცრემლნი და ესეცა შვება მომაკვლდა.
 მაშინ შემექნენ გონება ჩლუნგ და ქვადა გული.
 60 და ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ, ყველა მავიწყდა.

მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჰიკჰიკი მერცხლის.
 და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა,

იმეორ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,
64 და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი,
და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქვეს ბანი!

68 ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი,
გავოცდი, ვჰსდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი.
მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს, უხმოდ, უსიტყვოდ,
ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს.

პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძლეს, დავშოი უნათლოდ,
72 შემდეგ სიამით მიმოვხედე გარეშე არეს:—
მდინარე იგი, იგივე მთანი, ნიავ მომფენნი.

წალკოტნი, ველნი, უწინდელებრ აღმწვანდებოდნენ,
იგივე უღრუბლო, უცვალებელ ცა ნათლოვანი,
76 მხიარულ ყრმანი თამაშობით მოიმღერინდნენ.

გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვგონებდი,
წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დავიწყებასა;
მარამან იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი:

80 მშობლის ხვევის წილ შევხვდი ახალს მუნ ვაებასა!..
ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე

თვალთ იხილეს და არ დაბრმავდნენ მყისვე ეს თვალნი!
უგუნურადა დავჰმზერდი მის საფლავს მდუმარე,

84 და გლახ გულისა სანუგეშოდ ვერ ვჰპოვე ცრემლნი!

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შევჰბრალდე, რომ ეგებ მით გული განჰგრილდეს?
ღრუბელი ჰმუნვის განმიბნოს აწ ვისმან ღიმმან?

88 უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დაჰსტკებეს?
სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთმობს გულს,
მისი სიცოცხლე ვერა დასტკებეს მართლ სიხარულით.
ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვისილს,

92 უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალთ.
ხვალე არდა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი.
ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით ღლეს ბედნიერ?

ვისწავლე ესე, როს განმეჭრო ბედის ვარსკვლავი,
96 და აწ თუ განვლის ღღე მშვიდობით, მწუხრს პირჯვარს ვიწერ!

მაგრამ ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამჰკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამმთი მხოლოდ.

- 100 და განმისვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!
 მისთვის ვლოცავ ცას, შავნი ღლენი ჩემთვის შთომილნი,
 არ შეჰსწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ.
 და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულთ თვალნი,
 104 მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.

რიგა, 1835

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

- სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
 თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
 ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
 4 ალავერდა¹ დასვით თარით ნაქებით.
 ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღუღუნეთ,
 დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!
- ლხინის პაპა², სახით არაბისტნელი,
 8 ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი,
 ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!
 მის შკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი?
 ორმოცი წლის რომ შეიქნეს, — გააგდეთ,
 12 დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!
- სიქაბუკე, ვით მაისი მშვენიერად
 აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად:
 ვაი ვისთვის ეს დრო განვლის უგრძობლად,
 16 და ცის ალით—ეშხით არ ჰყოფს გულ-დამწვრად!
 სიქაბუკე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ:
 დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!
- ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,
 20 არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ!
 მოდი, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
 ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ.
 შენი თასი არს სადგური სიამეთ!
 24 დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

¹ იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს.

² მირზაჯანა მადათოვი.

სატროფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,
ეს ფიალა იყოს სადღევძო ხალის,
ვისც არ უყვარს, რა ნახოს კეთილ სოფელს?
28 შავნი ფიქრნი განსტევენენ,—მტანჯნი გულს...
გულში ეშხით, ხელში ჭამით ილხინეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს?
32 ვისი მზე არ ღრუბელსა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოჭი სულ აღჩუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამლუპავს, წყეულს ხეაღეს!
დღეს მოხარულთ, დღესვე ესიამოვნეთ,
36 დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

მიმოხედეთ, რავდენთ ველარ იპოვნით
ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქვენთან ყოფნით.
სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოხრვით;
40 ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ღზინით!
ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცვიდით
და ჰკირთ მღევნი ღვინო ტკბილი დამწარნეთ?..
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

რეგა. 1835 წ.

სალამო გამოსალმებისა

- მზე ჩავსვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მღუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
4 ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით შემეკულნი!
- მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,
8 მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

- 12 შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
 მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
 რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა,
 და აღგვაძალღებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!
 მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
- 16 ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა-
 არლა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,
 წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით. ზრუნვითა.

- 20 ეტლი ჰრბის, სატრფო მშორღების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული,
 ვუმზერ... შორს ძლივსლა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა
 ვუმზერ შმაგ-ქმნილი?
 სიშორის ნისლმა მიჰვარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
 და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...

- 24 მშვიდობით! ვინცა დამატყბე სიცოცხლის ნეტარებითა,
 აწ ვისთვის გული მიკენესის, სული ჰსწუხს განშორებითა.
 ვის ხილვა არლა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
 არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა!
 მარამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად,
 28 რომ შენც განმშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად?
 წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
 და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
 ან მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
 32 აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს
 მშვიდობა!

- არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
 ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს
 გულ-წყალულსა?
 შედამდა... მარტო ვზი ჰმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის?
 36 დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
 მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
 და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
 წყალნი მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
 40 თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს. კლდენი ბანს ეუბნებიან!

ღმობ[რი] ონ[იკაჰვილ]ის დარღები

როდის მობრძანდებით, ჩემო ბატონო,
ფეხ-ქეშ გაგეშალო ფიანდაზადა!..

ს ა ვ ა თ ნ ა ვ ა

- ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ?
ძალღსავითა ვჰგღივარ ა იმ ქუჩაში,
- 4 ვჰყარაუღობ ერთის ვისმეს კარებზა,
ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას;
ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..
ეშხისაგან გონება გამოცლიღსა,
- 8 მზე ბრწყინავს, თუ თოვღი მოღდის, არ მესმის!
განა ღამით ძიღი არის-ღა საღმე,
ანუ ღღისით განსვენება სუღისა?
ან ვიღასა აგონდება საღიღი,
- 12 ანუ ღამით აბანოში ღხინებღი?..
ნაბად-გახვეუღი ვჰგღივარ ქუჩაში;
ვოხრავე, მაგრამ ჩემი ღარღი ვის ესმის?
ვინც გაივღის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?
- 16 — შენ რას ნაღვღობ, მე რას გიშღი, რა გინდა?
მითიღი ხარ, თორემ არა მკითხავღი,
მოღი ამ ვირს ეშხზე ეღაპარაკე!
ჩემი ღარღი, თვალის ჩინი აქ არის;
- 20 ერთი მითხარ, მე საღ უნდა წავიღდე?
თვალის ჩინო, ღროა რომ შემობრალო:
მომარჩინო ამღენ ღავიღარაბას!
გამობრწყინღე მოაჯირზე მზესავით,
- 24 პირ-ღავემხო. მიწას მაღღით ვემთხვიო!
გამაგონო სირინოზის ხმა შენი,
სიყვარუღის სიტყვით გუღი მიღხინო!
აბა, შემომხეღე ღამაზ თვალებით,
- 28 ნახე, როგორ გავღიღკაცღე, გავმეფღე?
მაშინ მნახავ თავი ცამღის ამეღოს-
ჩემზე მეტად არსად არღინა ჰსჩანდეს!
შემიღღღა მაშინ ვებრძო ქვეყანას,
- 32 შენი ეშხი იმღენს მამცემს ძალასა!
ქუღ ჩაკეცით, ყეღზე ჩით-მერღინითა,

- რა ქევ-ქევით გავსწევ ორთაჟალისკენ!
 მტკერის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
 36 სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარდიმანდნი;
 იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ,
 რა მადანი მიპოვნია ბედისა!
 საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა
 40 სიხარულით ვსევამდე შენ სადღეგრძელოს!

ყოჩორი, 1860 წ.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

ჩ ა მ ჩ ი-მ ე ლ ქ ი
 ბუხამბაზო, რა ტბილი რამ ხმა ხარო.

- გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
 თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
- 4 ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
 გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
 სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ.
 გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ,
 რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
- 8 ჩემთვის ჩუმაღ ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!“
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
 თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
- 12 რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
 მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
 ეგ თვალეზი — ცაში ელვა მგონია.
 ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.
 როს მელირსოს, ვსპთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“
- 16 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
 თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
- 20 ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
 ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
 მინდა რამ ვსთქვა — შენი სახელი მოდის!
 ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
 ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“

24 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ.
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინალვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის?
28 მკედარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

32 ორთაქალის ბალში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —

36 მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

კოჭორი, 1861 წ.

პასუხი შვილთა

ჰე, განუსჯელნო,
უმადლო შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს გობილნო.
4 სადღაც მიმალვით,
რას პროტავთ, ჰენავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?
უკადრისობით
8 და უმეცრებით
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებთ
თქვენვე ინანებთ,
12 თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაცობისა,

- წარვიდა მათთა სახელთა ქებით ¹,
 16 მამანი თქვენნი,
 თავის ღროს ძენი,
 თავის ღროს იყვნენ სახელოვანნი!
 20 ოსმალ-სპარსები,
 დალისტნის მთები,
 ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
 მათ დაიფარეს,
 სისხლით დაიცივეს
 24 სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
 და სასო ღვთისა,
 მცველი ერისა,
 ენა, საყდარი, სარწმუნოება!..
- 28 დრო შეიცვალა,
 გამეფდა სწავლა,
 გაგელოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
 სწავლის მამები,
 32 პროფესორები.
 თქვენთვის მოცილინი, თქვენთვის
 მქადაგნი,
 თქვენ გასწავებდენ
 და მზად გაძლევდენ
 36 რაც შეეძინათ საუკუნოებს!..
 ჩვენც ვჰნუგეშობდით,
 გულით ვჰხარობდით,
 შვილი მამასა ემჯობინება!
 40 და მოგელოდით
 დიდის იმედით
 სიხარულისა ღელვით აღვსილნი!
 ვითმინოთ, მოვლენ.
 44 და გაგვინათენ
 ჰსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!
 ჩვენც მივეგებოთ
 მხიარულებით,
 48 ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!..

¹ ღებრალი ივანე აფხაზი, ალექ. ჰავეკ. ვასილ ბებუთოვი, მოსე არღუთ., ივანე ანდრონ., ზაქ., ილია და სოსიკო ორბელ., იასონ და ნიკო ჰავეკ., ნიკო ერის-თავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახივი, ზაქ. ანდრონ., ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხ., ქობულოვი, სვიმ. შალიკოვი, ბაქრაძე და ას სამოცნი. სხვანი დაბოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში, ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძლავნი?

მოვიდენ... და რა?
 სულ ჩაგვამწარა...
 52 ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..
 პირველად იწყეს,
 შკოლა გამართეს...
 ვსთქვით ახლა მხარე გაგვინათლდება!..
 ყმანი საწყალნი,
 56 უბიწო გულნი,
 ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..
 უსასოება,
 ურწმუნოება,
 60 უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს;
 „—ლოცვა რათ გვინდა?
 ღმერთი რათ გვინდა? !
 ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!“
 64 და დაიწყევლა
 თქვენი აჰ მოსვლა,
 და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!
 ღმერთი არ არის?..
 68 შენთვის ნუ არის!
 შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?



სხვათა ხელი ჰყვეს
 კეთილსა საქმეს:
 72 სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
 აღჩნდნენ მწერლები,
 ეჟურნალისტები,
 ვაი საბრალოს... ვაი ჩვენ ენას!..²
 76 მათ უსწავლელთა,
 ცრუ რუსთაველთა,
 სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
 ენა მაღალი,
 80 მის ძალი, მადლი,
 უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..

¹ ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფისაგან ლ. მე...საგან.

² წაიკითხეთ „დროება“ და იხილავთ ჭართულის ენის დაპრანჭევას.

ერის ცხოვრება.
მისი დიდება,
84 მის ისტორია დატულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!.

•

88 ახლა რას ელით?
მამათ რად ჰსწყევლით?
ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!
ძველთ უძველესი
92 არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
ჰსწავლითა, საქმით!
96 მამის გალანძღვა შვილს ვერ აღიდებს!
ცუდ მეტყველებით
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
100 თქვენი დიდება
ჩვენც გვეამება:
მის სხივის შუქიც ჩვენც მოგვინათებს!..
აჰა დიდების
104 და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დატლილი!..
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
108 არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიყინით,
112 იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა.
ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა.
116 ქუხილის მსგავსმა.
შეჰსძრას ქვეყანა მის აღსადგენად?..

ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
120 თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!...

•

ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ ფრაზები:
124 „მოყვასს—შეწევნა,
ბოროტსა—დევენა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
128 ზნეთ ამალღება,
მამულისათვის თავის განწირვა!..“
სიტყვა—სიტყვაა,
საქმე კი—სხვაა...
132 თქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

•

ვონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
136 ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ,
მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!..
და გულით ოჰხრავს
140 ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...
თქვენსა უქმობას,
არარაობას,
144 და უმეცრების ამაყობას!..

•

ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
148 რომ შენსა ბედსა,

შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
152 მ[ე]ს[ხ]ი, მეველე, მელიქ ალები.

1874 წელსა,
ახალციხიდან.

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
4 ეუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის — გიმზერ,
8 ექსწუხეარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოფხიზლდე,
რომ აღარ ვპგრძნობდე
12. ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებულა,
16 აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ ღროთა¹ ძალით. ფერ წახდენილი!..
და, ვით განვლილსა
20 სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს ღროს,
გული გვიმაგროს,
24 სრულად არ წავსწყდეთ ცის შემრისხაენი!
ხნით დამაშვრალი,

¹ შემოსვლა ლანგ-თემურისა და შაჰ-აბაზისა, რომელთა საშინლად ვააობრეს ჩენი ქვეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი ღრო ამათ შემოსელასა.

- დაღონებული,
 28 შენადვე, მეფევე, მოველ ვედრებით:
 მოხედო ბედკრულს
 შენს სატრფოს — მამულს,
 და ჭვარით¹ შენით აკურთხო კვალად.
 შენი ივერი
 32 აღსდგეს ძლიერი,
 და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
 წმიდით საყდარით,
 ენით მდიდარით,
 36 სწავლისა შუქით განათებული!
 ზნე ამალღებით,
 ძლევის დიდებით,
 სამშობლო მიწის სიყვარულითა! —
 40 და გაგვიცოცხლდეს,
 რომ კვლავც მოგვესმეს
 სიტყვა ქართული რუსთაველისა.
 რომ განვიღვიძნეთ,
 44 სულით განვანხლდეთ,
 და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
 ...მარამ ცად თვალნი
 გაქვს მიქცეულნი,
 48 და მე ველარ მცნობ გულ-შემუხსვრილსა,
 დაპცირებულსა,
 ხმა-მიღებულსა,
 ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!
 52 ეჭვით აღვსილსა,
 უსასოდ ქმნილსა,
 გულ უიმედოს, გაუხარებელს!..
 ვაჰ თუ რაც წახდეს
 56 ველარა აღჰსდგეს,
 ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
 და რაც დაეცა
 ის წარიტაცა
 60 შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!
 ჰე, ცრუ სოფელო,
 დაუნდობელო,
 შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?

¹ როდესაც საქართველოს ჭარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჭარსა ჭვარითა.

- 64 დიდება ჩვენი,
 ცად სხივ-მიმფენი,
 ნუთუ ესლა გვაქვს. ვჰხედავთ რასაცა?
 დაყრუებულსა.
- 68 გზა შეუვალსა,
 უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს.
 სად სახე მეფის,
 დიდის თამარის,
- 72 სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

1877 წ.

მუზა ბოქულაძე

- რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
 ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?
 მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტკრიანი,
- 4 ფერით რკინა, კისერჩაქანგებული,
 კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,
 სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
 ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
- 8 შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..
 ან რა გიკვირს? — ჩემ შუბლზედა ღარები,
 წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული,
 ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
- 12 დიდთა შრომათ. ღრმათ ფიქრებთა მწარეთა.
 უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..
 ჰსჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
 არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..
- 16 ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემ გულში ჩახედო.
 წაიკითხო სიმწარისა ამბები:
 ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
 მეგობრისგან იუდასი ამბორი,
- 20 საყვარლისგან — წყეული სიყვარული,
 ნაზის ხელით გულს დასმულნი დაღები!
 სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
 დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!..
- 24 და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად:

ტანჯვით შრომა, ოფლით ობნა ლუკმისა...
 და მიდის დღე. მიდის ღამე ამ ყოფიჯა!
 ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა,
 28 სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
 მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..
 ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!
 ბალით მესმის ქიანურის, ლხინის ხმა,
 32 სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
 გულით მინდა მეც აქედან ხმა მივქსცე,
 მარამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?
 და ღრმად ვჰმაღავ გულში სიმწარის ოხრვას,
 36 მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...
 ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰქენესის?..

მაშ ვინა ვარ, რა მჰქვიან ამ სოფელში,
 თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
 40 სიკაბუჯე ტანჯვით შრომამ წაიღო
 და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
 მკირედ სხივსა სიხარულის ნათლისას..
 წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა,
 44 მოკლებული ყოველ-გვარის შვებასა,
 კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!..

რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
 მოვჰხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
 48 თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
 რა მიამა? რომ მოვეკდე, რა ვინანო?..
 როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
 სიცოცხლისვე დროსა დავიწყებულნი!..
 52 რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
 ვინ ვადილო, ვინ დავსწყევლო? — არ ვიცი!
 მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება...

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
 56 ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ,
 რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
 არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..
 მაშა მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
 60 ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული?

მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
 მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
 სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
 64 ზეციურის მაღლით განათებული.
 გულში ჰქრება დღევა სიბოროტისა...
 ეპგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
 მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
 68 ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
 თვალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
 და აღარ ვჰსწყევ ვჩემ შობის დღეს, ჩემს ბედსა!..
 მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
 72 და მას ლამეს მძინავს ისე მშვიდობით,
 თითქოს ჩემ ქოხს დაჰფრინვენ ანგელოზნი...

განცხრომის ძვე, ნებიერად გაზრდილო,
 ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!
 76 ველთ სიმწვანე, ცის ლაქვარდი, მზის შუქი,
 გაზაფხული, სუნნელების ნიავეთ,
 შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
 შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;
 80 ნაზი წელი რხევით შენსკენ რონინებს;
 მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც,
 ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი.
 თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
 84 შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
 დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,
 რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,
 და შორით გმზერ, კრძალვით მლოდვ წყალობის...
 88 შენ ხარ მეფე... მე ძალღადაც არ მაგდებ!..
 რაღა გითხრა, ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი,
 რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?
 როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს
 92 და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
 ეჰ, ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით...
 მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,
 სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
 96 საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!..

ფსალმუნო

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
4 ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მის შუქს ფუჟ-წარმავალსა,
8 ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

25 ივნისს 1879.



დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით...

1883 წ.

სადღეგრძელო

ანუ

ომის შეხედვით ღამე ღმერთს, ერევნის სიხალისის

- შესწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;
- 4 ურდო ცეცხლებით განათებულა!
- აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა,
ვითა ნუგეშსა მოგვფენს საშვებლად;
შევექცეთ, ვინც დღეს გადურჩით ომსა;
- 8 კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად!
- ძმანო, მორიგის სავსე ფიალით,
ჩვენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმით, ვინცა სიკვდილის ზელით
- 12 დაეცნენ ომში დღეს რისხვით წასულს!
- და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ღმერთს, შექცევით გულნი აღგვიგზნე;
გულის ჰირთ მდევნო, ნიჰო ციერო,
- 16 ვინ არს, რომელ გსვა და არ აღზინე!

მ ხ ე დ ა რ ნ ი

- ჰოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ღმერთს, შექცევით გულნი აღგვიგზნე;
გულის ჰირთ მდევნო, ნიჰო ციერო,
- 20 ვინ არს, რომელ გსვა და არ აღზინე?

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

- ძმანო, აღვაესოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად;
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნეველად,
- 24 რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთომილი.
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი, —
ეგრეთ იქმნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
28 გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სადა ჰსცხოვრებდენ ძველ-
გმირნი?

დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით მათნიცა საფლავნი;
მარამ, ჰსცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
32 მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი
36 გმირთა, მაჰულის განმადიდეთა!..

ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუთუ ველარა უცვნია შვილი...
40 მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?

შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
44 და ერთობისა წესი და ძალი!

და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
48 და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!

ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავეს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
52 შეჰმუსრავეს კერპთა მათის ბომონით!

და განჰქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით
56 და საუკუნო ჰსცენეს მუნ ცხოვრება!..

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?

ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
60 მზად არს საომრად სახე-შერისხვით!

ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,¹
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰერთოდნენ,
მისწოდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
64 მტერთა შელეწდენ და შემუსვრიდენ!

ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა², ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალებსა მსაჯულსა.
68 ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!..

დავით ჰსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განჰვლე უდაბნო ოხერი, — სავსედ დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი, — და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
72 მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ჭინიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!..
აღმხედრდი ლაშქრად, — და ილტვის სულთანნი³

76 შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენი ხმლით
შედრწუნებული,
შემოხაზული⁴.

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
80 თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!⁵

ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი
84 ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!

¹ ვახტანგ მეფეს მუზარადზე აქენდა გამოსახული მგელი და ლომი და იმისათვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგასლანად. ან მგელ-ლომად. საშინელი იყო ყიზილბაშთათვის ძალი მუზარადისა ამის (შენიშვნები ყველგან ავტორისაა — რედ.)

² დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველო იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთაგან.

³ შემახის სულთანი გაიპარა შეშინებული მეფის დავითის ჭარის მიახლოებითა.

⁴ მაშინ საქართველოს სამზღვარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი (იხილე ქართლის ცხოვრება).

⁵ ანტონ კათალიკოზის სიტყვა.

სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრავს დიდებას და სათნობას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი

88 განადიდებენ მისსა შეფობას!

მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი

92 და გამრეკელი, ლომებრ გულადი!

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს¹ ლაშქარი;
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშაგ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,

96 ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუბოვარი!

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი წარდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით...
თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევეს გულის უხვევით;

100 გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!..

გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა,² ერთის შეტევით მიღეწეს!
ლომებრ მისცივიდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს,
განვლეს არეზი³, თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,

104 და მტვერი გაოხრებისა, ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

დრონი იცვალნენ იხილეთ, ქეთევან ნაზად აღზრდილი⁴
მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი;

108 ხორც-დაგლეჯილი შანგებით, მკერდზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმალღეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი!

ნათელ გვირგვინით მოჰსჩანან კახეთის მსხნელნი გმირები
ელისბარ, შალვა, ბიძინა⁵ მტარვლისგან დატანჯულები!..

112 ტარიგათ შესაწირავათ მახვილით განგმირულები,
ღმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები!

¹ დიდუბეს ეძახდნენ იმ შინდორს, სადაც ეხლა არის ნეშენცის კოლონია, მეშ-თაიღის ბაღი და მინდორი ავჭალისაკენ, — დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე, რომელშიც იყო მეორე მისი ქორწილი.

² კარნუ ქალაქია, აწინდელი აზრუმი.

³ კნ. პასკევიჩიან 1827 წელს სწორეთ ამ გზით განვლო ძლევა-შემოსილის რუხისსი ჯარითა მიანამდის.

⁴ ქეთევან დედოფალი.

⁵ ელისბარ იყო ჩოლოყაშვილი; შალვა და ბიძინა — ქსნის ერისთავნი (ავტორი აქ ცდება. უნდა იყოს: ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები — რედ.).

აპა, ცხრა ძმანი, სახელ-განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმინდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი. .
116 ერთ უამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი!

აპა, ერთ-გული ამილახვარი²
თავდადებითა მეფისთვის მკვდარი!..
და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი³.

120 თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!..
აპა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვე-დამწარებული⁴.
სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამაღლებული!
უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
124 დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!

აპა, ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
128 პატარა კახი, მეფე ირაკლი!⁵

წარბშექმუხენილნი, ხმალ-ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
132 ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ველარ ვმზერთ მისს სახეს!
136 მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

¹ ხერხეულიძის ძენი განთქმულნი ვაჟაკობითა, დაიხოცნენ ერთად მარაბდის ომში პირისპირ შაჰაბაზისა.

² ერთმა ზედგინიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (ვგონებ გიორგი XI) შეთქმულებაზე, რომ დამე მოკვლას უპირებენ. მეფე არ უჭერებდა, ზედგინიძე თავის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გადარჩენისათვის დაწვა მეფის ლოგინში, რომელშიც იმავე დამეს მოკვლეს და აკუწეს შეთქმულთა. ამ თავდადებისათვის ზედგინიძის გვარეულობასა მეფემ მისცა ამილახრობა, რომელისაც შთამომავალნი არიან ეხლა ამილახვარიანი.

³ ესენი იყვნენ ერთ დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი-კუზიანი და ბორტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყვოდა: „თითო ზაალ ღირს თითო ჯარად.“

⁴ მეფე ვახტანგ მარხია ასტრახანში.

⁵ კახელები ეძახიან მეფე ირაკლის პატარა კახად; სიმღერაშიც მოიხსენიებენ: „ბატონი მეფე ერეკლე ჩვენი პატარა კახია“.

- მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე, ლევან! სულით ნათელო?
 შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო!..
 140 მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შეკმულო!..
 შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო.

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის

ბრძოლისა?

- მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
 144 ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
 გაჰირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?
 ორასის მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი²,
 ნოდარის ძენი, და ბოსტა³, დავით⁴ და ბებურიშვილი
 148 გაჩნდნენ... დაჰკიეღეს... ხმაღ და ხმაღ შუა გააპეს ლეკთ ძალი
 და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!

დიდებულ სახით, გულუშიშარი

ვინ არს, რომ მისგან მტერი იშიშვის?

- 152 ჯარის იმედი, მტკიცე საფარი,
 ძღვევა მის დროშას წინა მიუძღვის!

შენ ხარ, ჰე დავით⁵, გმირი ლომგული,

ვინც იყავ მტრისთვის, ვით ცისა რისხვა;

- 156 მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი,
 სადაც შეჰსძახე, მუნ იყო მტერთ სრვა!

¹ მეფე ირაკლის შვილი, მალალ გონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა ამას დიდ ვაჟკაცობისათვის თავის ბაირალი და ორი ათასი გამოჩენილი ვაჟკაცობითა მხედარნი მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგის ჯარი (იხ. ბუტკოვის ზაპისკა). ამბობენ ვითომც ლევან მოწამლა მისმა მეუღლემ (ნათქვამია ალ. ვ-ძის ორბელიანისაგან).

² სოლომან და ოთარი იყვნენ ძმანი ქვაბულაშვილნი.

³ მეფე ირაკლის, ძალიან დამარცხებულსა ალაზნის პირზე ჰარელებისაგან დაუდგა დაღალულობით ცხენი. მეფემ სთხოვა ქიზიყის მოურავს თამაზ ანდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: „ბატონო. შემომიჭექით და ორნივე ერთად მოვრჩებით, თორემ მტერი ახლო მოგვდევს“. „შენც შეგარცხვინა და შენი ცხენიცა“, უპასუხა ბატონმა. ამ დროს მოადგა ყმაწვილი კაცი, — ჩამოხტა ცხენით და მიართვა და ამით მეფე მორჩა განსაცდელისაგან. ეს ყმაწვილი კაცი იყო ბოსტა, რომლის გვარა მეფისაგან გააზნაურ-შვილებული ეხლაც არიან ბოსტაშვილები.

⁴ დავით იყო ბარათაშვილი.

⁵ დავით სარდალი ორბელიანი, განთქმული ვაჟკაცობითა და სარდლობითა ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა აზატ-ხანზე ერევანთან და ასპინძის ომშიაც ოსმალ-ლეკებზე.

და ზაქარია¹, მიწისა მგელი
ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა,
160 სადაცა მტერი გალალებული,
მისგან შემუსრვას არ მოელოდა!

ვითარცა ჰეჰა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად;
164 სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად!

გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის მფარველნი!
ზოგნი აზატის დამმხოზნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!
168 აი ასპინძის გმირები, ღირსებით თაყვან-ცემულნი,
რომელთ შეჰღებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი
აღელებულნი!

აი სამასნი გმირები² დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:
— „თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვქსდევნეთ მტრის
ძალი.

172 იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან, შინა წავიდეს ცოცხალი!“
და გარდიწერეს პირს-ჭვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს...
და შავარდნებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი
დააკლეს...

176 ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკვდილით შემოწმეს!
თავგანწირულმა გმირობამ ვერა დაჰსძლია შავ-მხვედრი...
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!..
და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი აწ ეჰმზერთ სიამით ბალთ
მწვანეთ.

180 მუნით მოისმის ღვინის ხმა გულ-უზრუნველთა მოღვინეთ!
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსთრგუნავს გულითა
უგრძობით!..

¹ ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი, დიდი ვაჟკაცი. ლეკნი ამას ეძახდნენ „მიწის მგელად“.

² სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდან ალა-მაჰმადხანის შემოსევის დროს, შეჰფიცეს მეფეს და ერთიჯ აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან, ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ (ნათქ. თ. ალექ. ვახ. ორბელიანისაგან).

- გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
 184 თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
 მხნეობით ალტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

მ ხ ე დ ა რ ნ ი

- გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
 188 თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება.
 მხნეობით ალტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

- 192 ხელმწიფევე ჩვენო,
 ძლიერო ბრძენო,
 ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
 მხედარნი შენნი,
 ერთგულნი მხნენი,
 196 ვჰსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა!
 გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-
 შესაწირავად:
 ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის
 ჩვენდა საკმევად:
- 200 ძველი ივერი,
 შენი ივერი,
 შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა;
 შენგან მოელის,
 რომ ლამპარს ჰსწავლის
 204 კვალად აღუნთებ ძველად გამქარალსა!
 შენგან მოელის,
 ვით გაზაფხულის
 ყვავილი შზისგან აღმოცენასა!
 208 განახლებული,
 განათლებული,
 ჭენიქსებრ იწყებს აღმა-ფრენასა
 მტრისა მძლეველსა,
 212 ჩვენსა მფარველსა,
 მარჯვენას შენსა განაჯრცობ ჩვენზე;

- ახლის ცხოვრებით
 აღვყვავილდებით,
 216 ვითარცა მღვლო მზის შარავანდზე!
 მტერი შეძრწუნდეს,
 რა მოახლოვდეს
 მხნეობით დაცულს, შენსა სამზღვარსა!
 220 თამარის დღენი,
 დიდების დღენი,
 შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..
 ღმერთო, გვისმინე,
 224 მეფეს მოჰფინე
 ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
 ჩვენდა დიდებად,
 ბედნიერებად,
 228 მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!

მ ხ ე დ ა რ ნ ი

- ღმერთო, გვისმინე,
 მეფეს მოჰფინე
 ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
 232 ჩვენდა დიდებად,
 ბედნიერებად,
 მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!
 მრავალ-ჟამიერ!
 236 მრავალ-ჟამიერ!

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

- ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
 არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
 ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი.
 240 არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!
 ვინ არ შევჰსტრფით მას ადგილს, სად აღგვეხილნეს პირველ
 თვალნი?

- 244 სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი?
 სად გვფარვიდა ნებიერად ხვევნა-ალერსი მშობლისა.
 და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა,
 სად აწ ნაზისა რხევითა კეკლუცნი, გულის მიმტაცნი,
 ტაძრად მიდიან ცრემლითა ჩვენთვის მხურვალედ მლოცავნი!

სადა შევქზართ ლაყვარდად ცისა კამარას მორთულსა,
248 მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ღამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვარით განათებულსა!
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი
252 და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი,
უფესკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი—თვალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე ჰსდევს ჭიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან.
256 მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყუავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან;

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
260 ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..

მამულისათვის ფიალა სავსე ვჰსვათ სიამოვნებით,
264 და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით!

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
268 თუ ფუჰი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევჰხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

მ ხ ე დ ა რ ნ ი

ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
272 არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვისილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

ვაი ვინცა ეშხის ცეცხლით ჩემებრ გულსა მკვდრადა ჰხედვენ...
276 მაგრამ, ჰე შენ, მეგობრობავ, შევბის ვარსკვლავად აღგვეგზენ!

- გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილნი მოჰფინენ,
და განჰვლოთ გულის სიმტკიცით, შენც თანა-მგზავრად შეგვექმენ!
- რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
280 თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?
- ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას!
284 ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;
ვჰსდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურს ანგაარებას:
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მალლობას!..
- მიეცი თ ნიქსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას:
288 ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული!
- ქმარა მოძღვრობა... დავლიოთ... ვინ იცის ხვალ ვინ
მოგვაკლდეს?
292 ნაცვლად ლხინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნენ სამარეს?¹
ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ ჰსტკრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!
- მისთვის ეს ჟამი ლხინისა მოჰსწყვიტოთ, ვითა ყვავილი,
296 რომლისა სუნი, სიტურფე, არა არს ჭერეთ გამქრალი!
ხვალის იმედით არ ვჰკარგოთ ეს ჟამი მალხინებელი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ხშირად არს მაცდუნებელი!
- მეგობრობასა წმინდასა შევჰსწიროთ სრულად რაც გვაქვდეს!
300 დავლიოთ მისთვის ფიალა და აღთქმა არა გვავიწყდეს...
ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად და ვენცა ომში დაეცეს,
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!

მ ხ ე დ ა რ ნ ი

- აწვე შევექცეთ, ჰე, ძმანო! ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს?
304 ნაცვლად ლხინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნენ სამარეს.

¹ ერეენის ქორშტატში მოჰკლეს სვიმონ ვაჩნაძე; ჭავან-ბულაღის ომში გაბრიელ სოლოღაშვილი და ურდო აბბატის სიახლოეს სვიმონ ჰავკავაძე, სამნივე მშენიერ-ნი და საესე გონებთა ყმაწვილნი კაცნი. გაბრიელი იყო დასახტავი ცხენოსანი იმ დროს, როდესაც საქართველოში იყვნენ მრავალნი გამოჩენილნი ცხენოსანნი.

ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ ჰსპერეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას გერ აძლევდეს!

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება:

- 308 მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტყებება.
რომლის შუქი აღგვაძლავებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!

სად ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი?

- 312 ღიმილით შენსა შეყრასა ნუთუ ამაოდ ვისურვი?
გულისა მნათი, ლამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა
და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?..

- გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეც მაშინ აჰყვავდეს,
316 ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვაიწყებდეს:
მას შევსტრფოდეთ, შევხაროდეთ, თავს ვეველოდეთ, ის
გვტანჯავდეს.

ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ღმობითა
ნუგეშგვცემდეს!

- რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა ჭირებთა.
320 ვის არ შეეხო ეშნი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა?
მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა!
ოდეს ნიაფი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!

სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს.

- 324 და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა, მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?

- 328 მაშ აბა, ძმანო, გულის სატრფოსთვის
ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით!
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჰმუნვის
გაზრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!

- 332 შგებისა დღენი მისთვის არ შეჰსწყდეს,
არ ვნახოთ იგი ჰმუნვისა ღრუბლით!
ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჰსჩნდეს,
ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით!
ჰე, ჩემო ღმერთავ!

- 336 აწ შენ მოგმართავ!
მისმინო კვალად შორით სიტყვანი:
ყოველ ჩემ ფიქრთა,
ჩემთ საუბართა,
- 340 იღუმალ ოხვრათ, ხარ შენ საგანი!
თუ-არა შენზე,
ვეუბნობდე სხვაზე!
ბრალი არს ენა და მის როტვანი!
- 344 ვაი-თუ ჩემმან, უღროდ შავ-ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც
აღსასრული!
ვაი-თუ მოგვედე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს
სატრფოის ცრემლი:
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკვდილის ჟამის დამატკობელი?
არა ვემთხვიო, ბავით ძლივ-ცოცხლით, უკანასკნელად
მშვენიერს მის გულს.
- 348 რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ
სოფელს
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშად, და რათა მითვე ვჰსცნა
უკვდავება!..
რაა გინდ მოვჰკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა
წარჰყვება!..
არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა
ექმნების;
- 352 მაშ სახე, სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ
განგვეშორდების,
და სიყვარული, სულის მაშვენი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ
რა მომცეს?
უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის
შეიქმნეს!..

მ ხ ე დ ა რ ნ ი

- 356 მაშ აბა, ძმანო, ერთიც სატრფოსთვის
ფიალა სავსე შევესვათ წყურვილით;
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჰმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით!
- 360 ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეჰღებუა,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება!

აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათლედება... მასა შეენატრლით მხილველნი!

364 ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიაეც გულისა მავროლებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბალში ფოთოლთ შრიალი!

368 ოჰ, რა ღამაზად ილვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული?
ირაკლის თაფაც¹ გამოჩნდა... აჰა მთაც კიდობანისა!..²
აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!..

გ ა თ ე ნ დ ა

372 ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჰმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..
ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს
შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

376 ურლოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნალარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა!
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?

380 ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ!
და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ!
დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ღზინიცა ღამისა...
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხვედრისა!

თ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ა ხ ტ [ა ნ გ ი ს] ძ ე ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს

384 აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა ღზინში ვინც იყვნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟკაცნი, რომელნი ხილვით გვაღზენდნენ?
განგვმორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ,
თვალთ მიგვეფარნენ... წავედნენ... ძველთაგან დავშთით მე
და შენი!..

¹ სარღლის ბლთან ირაკლის თაფაა, მარჯვნივ ზანგისა. ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი, როდესაც დაიმორჩილა ერევანი.

² არარატის მთა.

388 ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა
და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა და მით
მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა,
ვიტიანჯი!...
ვიეიწყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!...

392 ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა?
დღე ყოველ, უამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჰად წარსულსა...

[1827—1870]

კნიაზ [ი]: ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიცა მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესეობისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

მე: საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან სამზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს¹.

კნიაზ [ი]: არა ძალუძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკებრი მდგომარეობა მესამზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქნების რა დატევებულ რუსთაგან, ვითარ წინააღუდგების მათ. ერეკლე იყო ჰკვიანი და მხნე მეფე: ხედვიდენ მას მხნეობის მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი, — მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მხდალთა, არა ჰქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნეობა სპასალართა; მაშინ, ვამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. ხოლო აწ გამოიცვალა დრო და შეიცვალნენ იგინიცა, გააწყეს მათ რელული² და ჩვენ ველარ ძალგვიძს, რომ გაწყობილს ჯარს ვებრძოლოთ ისევ იმ ღონისძიებით, ვითარცა იბრძოდნენ მეფეების დროსა. რელულსა უნდა ვებრძოლოთ რელულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსაცა სამჯერ ვერ ესრვის საათში, მაშინ ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც ესროლოს³; ერთის სიტყვით, საქართველო ურელულთ ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთა. — და, გარდა ამისსა, ოცდაათმან წელიწადმან ფრიად შეჰსცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქნებოდნენ უწინ.

მე: რელულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ, იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალით

¹ ამის შემდეგ გადახაზულია: „გარდა ამისსა, ტბილისის წახდენა ალა-მაჰმად-ხანის მეერ იყო დიდი შეცთობა ყიზილბაშთათვის, ამისთვის რომელ ამა მიზეზით დაუმეზობლდნენ მათ რუსნი. ესოდენნი საშინელნი მათთვის მესამზღვრენი, და ვგონებ, რომელ ყიზილბაშთა და ოსმალთ არღა მოინდომონ, რომელ საქართველომ კვალად მოსთხოვოს მფარველობა რომელსაჲმ ძლიერსა სახელმწიფოსა“.

ეს ადგილი ავტორს გადაუხაზავს იმიტომ, რომ მსგავსი მსჯელობა მას ჩაუმატებია დიალოგის მომდევნო ნაწილში.

² რეგულარული არმია.

³ შემდეგ გადახაზულია: „გარდა ამისსა, ერთის კაცის პატრონა მეორის თოფისათვის არ გამოდგება“.

დაინახვენ რელულის სარგებლობასა; თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რელულისა და გააჩინა მორიგის ჯარი, და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის¹ მმართველად, და ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცდების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერცა სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულითა ვაჟკაცობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არაარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. — გარდა ამისსა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცთომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწროებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშინი ჰსწყევდენ ალა-მაჰმად-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზად რუსების გადმოსვლისა.

კ ნ ი ა ზ [ი]: მართალ არს, რომე ქართველნი არიან მხნენი; გარნა რელულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია, ამიტომ, რომ რელულის დაწყობის დროს, ჯერ-არს პირველად შევიდნენ სამსახურში სალდათად, სამაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვსთ პატივი და ხმა მემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შეჰსწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლეცა, ვისაც ვითარ ძალუძს, საზოგადოებისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა; ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რელულისა. — აბა, ჩემო გრიგოლ! დამისახელე გინა ერთი კაცი, რომელმანცა დასდევას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადოებისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნოება, რომელსაცა ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეცარი და უმსწავლელი ვერა მიხვდების ამა ამალღებულსა გრძნობასა, რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. თქვენ, ახალგაზრდანო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახავთ და გამართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ

¹ პირველად აეტორს დაუწერია „ხალხის“, შემდეგ გადაუხაზავს.

საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყობილება ადვილად აღსრულდება; ახლა ვინ იკისრებს და ან ვინ გაუგონებს. — აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისაივის. ჰსცხოვრებენ უსაგნოდ, დეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისადებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება; გარნა ნუ გვონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა. ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა.

მე: ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ იგინი, ვინცა იქმნებიან, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქმნების მათ ზელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება.¹

კ ნ ი ა ზ [ი]: ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სასწავლებელთა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი სამეფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად. — გარდა ამისსა, საქართველო არს დაგლეჯილ ნაწილ-ნაწილად. ალექსანდრე მეფის² შემდეგ, რომელმანცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, ლურია — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხოდა მოუწყვეტელ. აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერთგან უნდა შეერთხორცდნენ და შეადგინონ ერთი მთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდს ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი მზე არს დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულისა შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი; მაშინ იქმნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა. გარე შემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთა-

¹ ამის შემდეგ გადახაზულია: „და მახვილ მესხიერება“.

² ამის შემდეგ გადახაზულია: „აბზახეთი“.

გან, ჯერ-არს, რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა.

ღმერთი არს მოწამედ, რომელ მთლად ქართველთ არ უყვარსთ ეგოდნად მამული თვისი, რაოდენათაც მე მარტოს, ასე რომ, თუ სიკვდილითა ჩემითა შეიცვლებოდეს საქართველოს მდგომარეობა ესრეთ კეთილად, ვითარცა მსურს მე, წამსავე ამას სიხარულითა გადავარდებოდი ფანჯრიდამ სასიკვდილოდ. — კვალად ვაპბობ, რომელ დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქაროველო.

[1831 წ., 3 აგვისტო]

შემოღობა მთაწმიდაზე

- ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი
ვითარ ჰშეენიან, როს მონამენ ცუარნი ციურნი,
4 ოდეს სალამოს დაჰშეთენ ამოს ციაგნი ნელნი!
ვითარი მაშინ იღუმელობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ
მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰტვენენ, ვითა ტაბლას
წმიდასა,
8 და, ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!
მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
12 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!
ოჰ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა
მოისწრაფიან,
16 მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მკვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
20 მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!
დაფიქრებული ვიდევ სერზედა და ცათა მიმართ მზიარალს
ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხარი, აღმცეები ნაპრალთ მღუმარებითა:
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვენსოლენ
24 და ზოგჯერ ჩუმი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

- მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
 ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვეება
 არა იპოვოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება;
- 28 გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

- სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადევრა ცისა კამარას,
 მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას
 გინახავთ სული ჭერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
- 32 მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით
 შუქმბინდული!

- ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
 ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
 მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
- 36 მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძლევნით მას შვეება!

- ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
 როს მკმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!
 მწუხრი გულისა — სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
- 40 რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

[1836 [1843]

ძია ბ...სთან

- ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
 წაგართო ავის ენისა გესლმან;
 სატრფონი მისნი შემოგარენი
- 4 გარდახეწილსა დაგისშო ეტლმან!

- მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის არე,
 გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
 თუმც უცხო-უცხო თემად იარე,
- 8 მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.

- მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
 აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
 ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
- 12 შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი.

[1836 წ., ზაფხული]

- მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
 მისის ლამე მიბუნდვილი, გრილი და ამო;
 მაგრამ უმეტეს მიყვარს ლამე, როს მთვარე შუქით
- 4 მოჰფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავეთ,
 და მომდინარე ხან ზვირთთ ცემით, ხან ნელად მტკვარი
 მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!
 ამგვარი იყო ის ლამეცა, ოდესცა გარე
- 8 ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
 აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
 პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,
 და მათ გარემო შეჰფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი,
- 12 ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
 თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
 როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.
 „სთქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,
- 16 „თუნდ თავსა უფლად, ახლა პრანჭვას ნუკი მოჰყვები!“
 ყაფლანც სულდგმული აშიკობით დაილიდინებს
 გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
 ვის არ ჰსმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები
- 20 არა აპშლოდეს ჩვენსა ქალსა — ტრფობის ჰირები!
 უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი
 და მეყვსეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.
 არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
- 24 სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
 ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
 მას აქეთ თვალი ველარ მოვჰკარ და ახლა ერთი
- 28 სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი, ვეფხვთა შორისა;
 ყელი ყელყელობს აღმგზნებელი გულთა ჰირისა!
 თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
 ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდევნი წინა
 და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად
- 32 სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად!“ —
 „გმადლობთ“, მითხრა მან, „რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ,
 ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“, —
 „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
- 36 ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“
 ამა სიტყვაზე ვარდი დაწვთხედ მყის აეფურცლა,
 ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა

- და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
 40 რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.
 ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტეხა ბროლსა,
 რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
 მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
 44 რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი -- თვალსა.

[1836—1841]

ფიქრნი მტკვრის პირას

- წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
 აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
 აქ ლბილს მდელიოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
 4 აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
 ნელად მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა
 და მის ზვირთებში კრთის ლაყვარდი ცისა კამარა.
 იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ეუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
 8 და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
 ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
 მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
 არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
 12 რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
 მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
 თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
 ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
 16 და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?
 თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
 ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
 ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
 20 ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვირიან
 იმავე მიწისთვის, რაც ღლეს თუ ხვალ თვითვე არიან...
 თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
 მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
 24 მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
 თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
 არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
 მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,

28 მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...

.
მაგრამ რადგანაც კაცი გვქვიან — შვილი სოფლისა,
უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
32 იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

1837 [1843]

თავადის ჰ...ძის ასულს ეპ...ნას

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები!
4 თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სადც ხარ, იმ არეს
8 მოჰფენ სიამეს,
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ღხენითა
12 ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,
16 პირმცინარითა,
სინარნარითა
მგონის ყარიბს გულს ესხვიმფენარე!

1839 .

სული ოგოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტომობას!

საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
4 ძნელა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული,
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
8 მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალების, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
12 ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
16 ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839

ჩემი ლოცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ლელვილი!
ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულის-ტკივილი,
4 ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?
ჰოი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასობას?
პირველ უმანკომ თვით ადამამაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
8 გარანა იხილა სასუფეველის მან ნეტარება!

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
12 არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!
გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე.
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?
16 მაშა, დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!

1840

- არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა:
 მოკვდავსა ენას არ ძალ-უძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!
 მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,
 4 საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
 მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
 რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.
 მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
 8 რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელი, სიციხითა დამკნარი,
 რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს
 და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰყენდნენ სიცოცხლეს,
 არეს ავსებდენ სიამით მცენარეთ განმაცხოვლებლად,
 12 იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!
 ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვეა სიყვარული სხვათაებრ?
 მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;
 მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს
 16 და ცისა ცვარმან მდელი არღარა გააბიბინოს.
 მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!
 მაშ, რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?..
 მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი
 20 და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!

1841

- ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
 მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.
 ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი
 4 და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!
 მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა დელვით,
 მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
 გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით.
 8 ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!
 მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
 რომლის საკუთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
 ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს

- 12 მეგონა, ვახედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!
მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
- 16 მის ნაცვლად სევდა და წყვილიადი დაისადგურებს!
მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰქრა თვისი მას ავი თვალი! —
არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
- 20 დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!
ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
- 24 და დავალ ობლად ისევ მწირი მიუხაფარი!

1841



მიყვარს თვალები მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
მაგრამ როს ვუჰკრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად

- 4 განეწონვიან მათი ისრები.
მივხვდი, თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას?
- ვიცი, რომ ჰმტრობენ გულსა მგრძნობელსა,
8 უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა!
თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
12 თუ არა სჰკრეტდეს თქვენგან სიკვიდელში თვით უკვდავებას?

1842

სუმბული და მწირი

მ წ ი რ ი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჰკრეტელს არ გააჩნდა დილა, სალამო?

- მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
4 რომლით ათრობდა სიცოცხლის ეამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი

- მწირო, ხომ ჰხედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს.
ჩემთ სწორთა ყვავეილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს-
აგერ, მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
8 მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,
ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მ წ ი რ ი

- ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
12 სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიჰკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

ს უ მ ბ უ ლ ი

- მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,
16 ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?
არღა მეველება გარე წყარო ცივი, კამკამი,
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
20 და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს.

მ წ ი რ ი

- სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახლა იქმნებოდი უწყალოდ მკვდარი;
ნახე, რა ძალ-უძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
24 რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და ბოლო,
მაგრამ ამას ეწუხ, რომ უქამოდ მელების ბოლო!

- ზამთრით ბუნება არა კედება, სევდით იმოსვის,
 28 რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განუშორების!
 და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცელის,
 ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
 ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
 32 რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მ წ ი რ ი

- მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვაეილსა:
 ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!
 ვაი, თუ მასაც უდროდ აჰქნობს უწყალო ხელი,
 36 და არღა მომხვდეს სუნი მისი, ჳირთ უკუმყრელი!

1842



- რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
 თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
 რომ არ გემსკვალვის საუკუნო ტრფიალეებითა?
 4 ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.
 სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
 და, ვით ყვაეილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰქენების,
 აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსკვალეები,
 8 ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!
 მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
 რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
 და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
 12 რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?
 თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
 მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
 მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
 16 ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!
 მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუჟველი,
 რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!
 მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
 20 და უკვდავებით აგვირგვინებს ჳეშმარტება!

1842

მირბის, შიძაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
4 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!

გაპკვეთე ქარი, გააბე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
8 ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემობრალე დაქანტულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს
ტკბილ-მოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
12 მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე
საიდუმლო!

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის დელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
16 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი
მწუხარის!

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელლოთა შორის ტიალის
მინდვრის
20 და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას
მომაცრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი
ცვარნი,

ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვანნი
მყივარნი!

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის
სამძღვარი;
24 თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

დაე, მოვეკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
28 და ნიავეს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის-კვეთება
და გზა უვალო, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
32 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
36 და ნიავეს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842 [აპრილი]

საფლავი მეფის ირაკლისა

(ცნიაზს მ...პ...ძეს ბარატაევს)

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფეე ხმოვანო!
ახ, რად არ ძალ-უძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
4 რომ გარდმოჰხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შეილსა!

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ეამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი
8 და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტუბილსა აწ შენნი ძენი!

ეამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შეილთ მიდამო
მოაქეთ მამულში განათლება და ხმა საამო.
მათი ცხოველი ტრფიალებით აღსავსე სული
12 უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხრმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
16 მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
20 აწ მოგვიგერიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიჰხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა
24 და თავყანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

1842



სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფოთრად?
მარქვე, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
4 რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადღი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევედი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
8 და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევედი!

მარქვე, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები;
12 რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულმც იყოს ღღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა
მას აქეთ არის, დავუქარგე მშვიდობა სულსა
16 და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოჲ მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
20 ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

1843 [ავგისტო]

- შევიშრობ ცრემლსა, ჰირთ მანულებელს,
 გულსა დავიწვავ დასანაცრებელს
 და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
 4 შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

- მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
 მისი ღიმილა შევების მომცემი,
 ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
 8 განმბარძნობელი, გამხელებელი!

- ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
 ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
 სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
 12 და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად!

1843

ჩ ო ნ ა რ ი

- განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი
 ახალი,
 მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.
 საამო არის მის ჩრდილში ოცენა, და მისთა ფოთოლთ შრიალთა
 სმენა
 4 და წყალთ ღუდღუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჰირთა დათმენა!
 მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,
 და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
 მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსასაკოთაც და უსულთ
 შორის
 8 და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!
 ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა
 ევლების
 და აღმოარხევს უფსკრულებიდან და აღელვილი კლდესა ეხლების!
 მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, ღვას მედიდურად და სიამაყით
 12 და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერხევის
 სახით.

რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს
ოხრავს,
თითქოს სიშურიტ შეშფოთებული, და კლდის პირებზე ზვირთთა
შემუსრავს.
ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად დაიტანჯების მარად მიჯნური,
16 თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი
ციური.
1844

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შეეთვალეზიანო,
დღისით მზევე, ღამე მთოვარევე, წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით სულდგმულ ვარ, თაყვანს ესცემ შენსა სახელსა!
4 დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!
ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი;
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,
8 მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

10 იანვარს 1845

გელი ქართლისა

თქმული წელსა 1839-სა ტფილისს

კახთა მიმართ¹

- ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გამირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
4 როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!
- და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატეასა ჩემს ყმაწვილობის, —
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმალანად,
8 ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.
- როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჭამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
12 მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

თ. ნ. ბ.

კარი პირველი

- „მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
16 საქართველოსა ჰირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
20 და აღადგინე დღეს საქართველო!“—
- ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალე.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
24 მამულისათვის მეფისა ცრემლი!
ბატონს თვის ჭარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად!
პატარა კახი აღა-მაჰმად-ხანს
28 უპირებს შებმას, ძლიერს, რისხვიანს.

¹ ლექსი „კახთა მიმართ“ არ არის პოემის პირველ რედაქციებში.

- ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.
 ცა მოწმენდილი, ცა შშვენიერი
 ზე-დაპნათლიდა ბრძოლისა ველსა
- 32 და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
 განამხნევებდა მამობრივის ხმით:
 „ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
 შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
- 36 საქართველოს დღეს გარდაუწყდება
 თავისი ბედი და უბედობა!
 დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა!
 დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
- 40 ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:
 დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
 ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“
- „შენი გამჩენის კირიმე, შენი,
 44 რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“
 შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:
 „ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხოცებით,
 ოლონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგრძელი!
- 48 მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
 ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს;
 მისთვის სიცოცხლეს ვინლა დაზოგავს!“
- ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
 52 ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
 განუცხადებენ თავისს სიყვარულს!
 დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა
 და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
- 56 ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა
 ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
 მხდალსა განამხნევს, მხნეს განალვიძებს
 და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!
- 60 შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
 ვითა ნადირსა მშვიერი ლომი,
 ეკვეთენ სპარსთა ივერთ მხედარნი
 და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
- 64 ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
 ორნივ ომებში გაქეზებულნი.

- თამაზ, ენისენტ მოურავის ძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
- 68 განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, —
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
- 72 რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქულები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
- 76 ბინდმა განჰყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
- 80 ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!
აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის;
- 84 ჰაერში განჰქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა:
ღუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა! . .
- 88 მაგრამ, ჰოე გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
- 92 ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიღუმებს,
ალა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

- მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიტყეთ
96 და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხეალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,
ალა-მაჰმად-ხან რა აქა გენახავს!
ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს
100 და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ“.
- ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს
104 და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საქურედ ჯართა ქართლისა!

- გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,
 მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად,
 108 ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს;
 ალა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს,
 საში დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
 მაგრამ ვერარა აენო ვერსაით. —
 112 დაღონდა სპარსთა მეფე ბორგენილი
 და თურმე ყოვლით იმედმიხდილი
 ქართლითგან წასვლას დააპირებდა:
 მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
 116 აჰა, მან იგი აწ მოიხელთა
 და მუხთალისა ანგართა ხელთა
 აპყარეს მამულს სიმტკიცის ბჰენი!
 მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
 120 სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
 მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,
 მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
 მტერზედ ამაყად გამზადებული!
 124 მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
 ალა-მაჰმად-ხან კვლავ თავმომწონე
 შემოეპარა ციხისა კართა
 და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
 128 გაფოთებული ეძიებდა მას,
 ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფეებას
 ქართველთა შორის წაართვა ძალა;
 მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
 132 მთიულეთისკენ თავისი ცხენი
 და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი ღღენი!

კ ა რ ი მ ე ო რ ე

- მორბის არაგვი არაგვიანი,
 თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
 136 და შეუპოვრად მოუთამაშებს
 გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
 ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
 მობიბინენო, შვებით მომზირნო,
 140 ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
 ოდეს შვენება თქვენი იხილოს,

- რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
 რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
 144 როგორ იქნება არ განისვენოს?
 სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს!
 ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
 გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
 148 ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს:
 „არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს!“—
 და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
 იგი იმისთვის აღარ დალონდეს!
- 152 მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
 მთიულეთისა ზეობის არეს,
 და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
 ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.
- 156 მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
 მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
 დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
 გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა.
- 160 თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
 ნიქთა კეთილთა უხვად მორკმული.
 ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
 მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
- 164 სადღა არიან აწ ესე კაცნი,
 რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი?
 დიდხანს უქვერეტდა მეფე მღუმარედ
 არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ.
- 168 ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს:
 „შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
 შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
 მისი აწ ძალა, ყოფა-ცხოვრება.
- 172 ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
 მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
 აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
 შენ გაგიმელავნებ, ვით საყვარელს შეილს!
- 176 არ მითვისებდა ქართველთა გული,
 რომ ვიყავ მათი მეფე ეული:
 ჩემი მეფობა, ზე დავასრულე,
 რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!

- 180 და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განვეუზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს. . .
- 184 ამიერიტგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყენარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
- 188 ეს ხმა ლექათაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ჰბძარვენ!
- 192 მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახვივარ!
- 196 აბა, რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს? . . .
ჰოჲ, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!
- 100 აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო? . . .
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო!
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უფისთ ბრძენი და ქველი,
- 204 დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება,
მას, მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“
- 208 ამის გამგონი ჩენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს,
- 212 „რასა მიბრძანებ“: — ჰკადრა მან მეფეს,
„ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა!
ეზდენ შენზედა მსასოებელთა!
- 216 ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

- იცი, მეფეო, რომე ივერნი,
 იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
 220 სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
 არარას არგებს, ოდეს მის შორის
 თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.
 ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
 224 რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
 ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
 ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
 რაც მოისურვოს ქართველობამა?
 228 მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
 მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!
 მაშინ ირაკლის სახსენებელი
 ვინლა ახსენოს, აწ საქებელი?
 232 ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
 შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ
 და, მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,
 მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი,
 236 ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
 უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“

- „ჩემო სოლომონ“, — მეფემ უბრძანა,
 „მე ეგ ყოველივ არ ვიცი, განა?
 240 მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
 რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
 მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
 თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
 244 არამედ ვითა მამა კეთილი,
 რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
 თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
 ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
 248 უჭკრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
 აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
 რა ჰქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!
 კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
 252 ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
 სხვით არ აღივსო მან საწყაული!

- ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
 მშვიდობა ნახოს საქართველომა.
 256 მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის

- ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის;
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს
- 260 საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“
- ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:
- 264 „განზრახვა შენი, მეფევე, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება
თუ აქეთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება.“
- 268 „სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ, აბა, თქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა, ირაკლიმ რა მოაგვაროს
- 272 მშვიდობისათვის საყვარელ ყმათა?...
აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას,
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
- 276 რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“
- ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,
- 280 ქართლისა ბედსა განსამართლებდენ.
- ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
- 284 ცამ მოკედლიმან ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, საესემ შევებითა,
და მთვარის შუქზედ არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს,
- 288 ოხერა დაჰმართეს, ვით კაცსა ლიტონს.
მას მოაგონდა დრო ყრმაწვილობის,
განტარებული თვისთა კახთ შორის,
როს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,
- 292 როს ჰქონდა ჟამი უზრუნველობის
და საყვარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!

- 296 დიდბანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
 დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
 შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
 „ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
 300 ქალაქს ჩაეხედოთ; მაგრამ ჭერ ერთი
 მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
 შვეიცყო კახთა საჰიროება,
 ესცნა აზრთა მათთა აწ ვითარება;
 304 შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
 და დამახვედრე ჩემი სამზადი“.
- დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
 ქსნის ხეობაში, დაფიქრებული.
 ვიდრემდის იყო შიშინობა,
 308 მას აქ ესახლა თავის სახლობა.
 მეფის აზრთაგან სულით ღელვილი,
 ზრახვიდა გულში მამულის-შვილი:
 „მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
 312 ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
 და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
 განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
 და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
 316 ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
 მაგრამ, შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
 სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება,
 მისდევდე შენსა გულის-კვეთებას
 320 და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
 შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
 რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
 და რად ივიწყებ, რომე მარადის
 324 ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის!...
 იქნება მეფე ციხის გატეხას
 აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
 იქნება ამან აჰყარა გული
 328 ბატონს ქართლზედა, შეუორგული? ..
 მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
 თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.
 მაშ, რამ შეჰშფოთა მას გული მყარი,
 332 ქართველებისთვის ესთ თანამკედარი? ...
 მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება

უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეპირება?—
ბევრ-ჯერ ლეთიურსა ზრუნვასა მეფის
236 გონება ყმათა ვერა მიჰხედების!“

- ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
340 სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
შვენიერება, გულკეთილობა.
რა დანახა მან თავის ქმარი
344 სახეშეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა, —
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!
„ვექვობ, სოფიო, რომე ირაკლი
348 ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
352 თავის შვილების ამა ურჩებას.
ვექვობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
356 როს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენს
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
360 და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
364 ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულგასართობლად.
მაშინ ვისალა მოესურვება,
368 ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!“

„—უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული

- 372 და არს უთვისო, დაობლებული?
 რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
 გალიაშია დატყვევებული!
 და ველად იგი ამხანაგთ შორის
- 376 ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის?
 ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
 თუ მოაკლდება თავისუფლება?
 თავის მამულში მას გაქირება
- 380 სხვადასხვა რიგად ენუგეშება:
 მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
 და გულსა გულის-პასუხი ესმის!
 რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
- 384 ოდეს მეფეცა და დედოფალი
 გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი
 და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
 ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად
- 388 მწუხარებათა სანუგეშებლად
 რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?

.

- მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
 დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
 392 და, აწ რა ნახა ცოლი ამ აზრით,
 გარდაეხვია მას მხურვალებით.
- ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
 კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
 996 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
 ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი
 მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
- 400 ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
 გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
 „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
 ოლონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
- 404 რის ქართველობა, რა ქართველობა,
 მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?“
- რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
 დიდხანს უჭკრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
 408 პალატნი მისნი გადმონგრეულან,
 სახლნი — სამშობლო დანაცრებულან!

- მიდამო ხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
- 412 ღუმილი სუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე;
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!
- 416 აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება სცნა ირაკლისი;
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა აღრინდელს მრავალი აკლდა!
- 420 წარვიდნენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად;
- 424 სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი,
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
- 428 დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!

წერილები

I. გრიგოლ ორბელიანს

ტფილისი. გარეთუბანი.
1837-სა წელსა თებერვლის...

საყვარელო ძიავ!

გთხოვთ მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო (я чиновник экспедиции суда и расправы)* და ამაობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე, როდესაც მანდაური პოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდარიასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях.** და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც. ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ, რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვპხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვქსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ პხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულება-

* მე ვარ მოხელე სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციისა.

** როდესაც ჩემი მომავალი წარმტაც ოცნებებში წარმომიდგებოდა.

საო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა ჰამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევე ჩემს მამულში, ვანვქსწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა. თუმც ხანდისხან ჭავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციასზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნე. უნდა მართალი იქნას. რომ ეს ადგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შეკოლა; ეს არის, რომ *круп чиновников не выгоден для образования нравственности**; მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჭავრება. ქეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ექნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!...

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში ყანასზე დავიარებოდი, სადაც მისმან შევენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდლებერ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატებეს სახედველი, აღმტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქაოლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“; და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის-მეთქი. და კიდევ აღვასრულე: მიუ უტრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისათვის მასხედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის. აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი, შემოგარენი
გარდასვეწილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუნც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.
მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
აღამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი ჰსწორნი!

* მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისათვის.

ღამე უაბახზედ

მიყვარს, ყაბახო. მყუდროება ღამისა შენის. . .

(მოყვანილია მოლიანად ლექსის პირველი რედაქცია)

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოტოს ვერ ვანდე კიდეც, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო? იქნება დაკარგულიყო და მერმე პ. . .

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან.“²

სხვებზე, გთხოვთ. თქვენის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე. იგი ჩემთვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს. რომ კვალად მამულში გიხილოთ.

თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი.

11. მიხეილ თუმანიშვილს (წერილი დაწერილია რუსულად)

6 აგვისტო, 1878. ქ. ტფილისი.

საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები ღუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში. რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენია და მტერისაგან — სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ გამოვცოცხლდები ხოლმე ნთვარიან საღამოს, რომელიც ასე მშვენიერია თბილისში. გუშინ ერთ-ერთ ასეთ საღამოს წავედი სახეტილოდ მოსკოვის სადარაჯოსაკენ და მოულოდნელად თავი სასაფლაოზე ამოვეყავი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შეეშფოთდი. როდესაც თვალი მიმოვაველე ამ მყუდროებას; ღამის 11 საათია, არც ერთი სული! გარშემო მარადიული სიცილიერე: მოვარე მკრთალად ანათებს საფლავებს, როგორც მიცვალბულის მიმქრალი ბაზმა. ჩემად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროება. . . შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგაშფოთო მკმუნვარე ფიქრებით, რომლებიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა; ის აუცილებელია. რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს! ბედკრულის ნუგეშისინისცემა—დასასრული ბედნიერებისა!

აბა, ახლა შენ მოგმართავ.

გმადლობ, ძმობილო, წერილისა და სიამოვნებისათვის. უკანასკნე-

ლი წერილი, ჩვენ ზაქარია ორბელიანთან' ერთად წავეიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა ანუ. უკეთ. ეპისტოლე „ასტრას“ ავტორისადმი. ჩინებულა! მხოლოდ, მგონია, მიზანი მიღწეული არ იქნება, ესე იგი, შენ ვერ გაეგებ. ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იმას არც შენთვის წერდა, არც ქვეყნისათვის; მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის, წერდა, იმას ესმის მისი და ის ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა მას? საჭირო არაა, გაუგე თუ არა მას. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსებს ამშვენებს და, თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა იგივე სიტყვისა „ასტრა“, ეს სულ ადვილია: ესაა ურანგული *astre*, რაც ჩვენებურად, ძმაო, თავყანა, ნიშნავს: „მთიები“. ასე ჩემო ბატონო!

ერთს ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. ამ საღამოს მივდივარ წყნეთში. რისთვის? იმიტომ, რომ ის იქ არის. დედამისმა მთხოვა, გვატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი იქნება ეს დღეები? ოჰ? მაშ, მოკვდი, ბზ!

ღროა საუბარი გავათავო, თორემ ფოსტა გამასწრებს, შენ იცო, რომ არ მიყვარს წინასწარ წერილების დამზადება.

მწვიდობით ალაზნის ველის მეუღაბნოვე! მიაშვებ რამე შენი ველის ქალწულის შესახებ. მთლიანად შენი ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

P. S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმწერა ვარლამოვისთვის². თუ ნახო, უთხარი, რომ მისი საქმე მოგვარებულია ისე, როგორც თავად სურდა, და ჩინზე წარდგენილია. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.

III. გრიგოლ ორბელიანს

საყვარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი, მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ. დიმიტრიევსკის ლექსები! გეთხოვნა, მთელი ქალაქი სულ შევაჭერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა! შევიტყუეთ, რომ თურმე ფრანციუსს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“. „რაზლოვორს“ და „ღრამატიკას“ დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია, ამას უცდი, თვარემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი. თუ ქალაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი ჰორიანობაა და ჰირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჰირი ტყუილია ამ ხელად და ჰორი კი მართალი. დიდი დაძგერებაებია ქალებისა, დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის-თევაები, დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით. დაწვრილებით მოგწერდა ყოველსფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს

დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში. ჩვენც ახალ სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში, უწინ რომ აფხაზი² იდგა.

ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა³ გადმოთარგმნა *Ромсо и Джулиетта** — შექსპირის⁴ ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский*** — ტრადედია ლეიზევიცისა⁵, თუ წაგიკითხავს, „ბიბლიოტეკაში“⁶ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს. მაიკო⁷ ძალიან გწყევლის. არ ვიცი, რა მოგიწერია. ბალაშოვის⁸ სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შაეები არ აცვიათ თორემ სხვა აღარა აცლიათ რა.

სხვა? — სხვა ამ ხელად ეს იყოს, ნუ კი შემომწერები!

შენი მარად და მარად და მარადის იქითაც

ნ ი კ ო ლ ა ო ზ .

წელსა 1841-სა.

მაისის 28-სა დღესა.

ქ. ტფილისი.

IV. მ ა ს ვ ე

საყვარელო ძმად გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ¹. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტარე ქართველების ქებამ, — მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი!² მილიციამ. როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში,³ თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვრილებით. მითამ როდის და რაში არა ვყოფილ-ვართ კარგნი, მაგრამ ჩ ი მ ი ქ უ ნ ი მ!

მჯერა სარდლობა არღუთინსკისა,⁴ საგინოვისა⁵ და გურამოვისა,⁶ რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ. შენი დიპლომატობა ხომ აღრევე ვიცოდო! ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უ ბ ე დ უ რ ე ბ ა, რომელიც შეუღლების აღშფოთებას. შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმად გრიგოლ. ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია. ცოტას ხანს დაჰყვეს აქ ადლერბერდის⁷ შეილებმა და, რაღა განგიმარტო შენ მიჰხედები, რაც ადლერბერდის შვილები აქ იქნებოდენ. პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს⁸, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე

* რომეო და ჯულიეტა.

** იულიუს ტარენტელი.

გამოიძიებდნენ ჩილაევის⁹ სიმართლეს, რომელიც ვპეიანებ არ დადუმდეს. ვაჟლანს¹⁰ ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად. თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. ჩვენს დიდს პლატონს¹¹ ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვედარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ შოიზარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს ქახვს! სხვა ტფილისის ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი ღვით ღღე და ღღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცილილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტობაში შეეწევიან მამეთულს ენას, რაოდენიცა ძალუქთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავეთ ვონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი ჰაჟი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

(აქ მოყვანილია ლექსი „ვპოვე ტაბარი“).

გიორგი¹² მომიკოთხე, ვასილ¹³ და სხვანი ჩვენნი ნაცნობნი. მამა ეგნატიმ¹⁴ შემოგითვალა: „ქრისტემ გაკურთხოს!“ ჩვენიანებმა ყველამ მოგიკოთხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

წელს 1841
ოქტომბრის 18-სა
ქ. ტფილისი

წ. მ ა ს ვ ე

საყვარელო მამო გრიგოლ! ილია! მართლა ტყვეთ არის შამილთან¹⁵ ეს ამბავი აღრევე მინდოდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები¹⁶ შეინახავდნენ დამშვიდებამდე. По официальному донесению Фезе: известно только то, что адъютант его, князь Орбеллиани, 20-го марта был послан в Андалал¹⁷ с поручением и: что его взяли там в плен¹⁸, ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაქერამი, აი რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუქერიათ სინაქსაროვი¹⁹ და ყაზიყუმუხის ხანი²⁰ დაქერი-

* ფუნჯის ოფიციალური მოხსენებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი ადოქტანტი, თავად ორბელიანი, 20 მარტს გაგზავნილი იყო მინდობილობით ანდალალში და ის იქ ტყვედ ჩაიგდეს.

ლები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შაჰილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწვეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები⁸, ახმეტ ხანისაგან⁹ გამოტანებულები: შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთწინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები¹⁰ კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშვივლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანსედ ძალიან გაბრაზებულად თურმეა და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს საბელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ქვეშაირტად ახლა მეც სიკვდილი მირჩვენია შენს ხელში ყოფნას!“ ვითომც შამილს ჰსდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარისშვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში! გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის — ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო. მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო, ახლა ილიკო დარღოშია¹², სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გაშინჯე, გალაგინის ცოლმაც¹³ კი თქვა, რომ: მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქაოთველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მირჩვენია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო¹⁴ ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов⁵.

ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში.

ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თუარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა⁶

Вот что поэт думает за Илнко***.

მარბის, მიმაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი!

(მოყვანილია მუღლ ლექსი).

არ ვიცო. ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვანზე, რასაკურველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჰქერა რომ შევიტყე. ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებულად ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა⁷***

⁷ ახლა წარჩინი ანეკდოტთა საგანია.

⁸ ამის მომდევნო ოთხი სტრიქონი პოეტის მიერ წაშლილია და მისი მთლიანად წაკითხვა ვერ ხერხდება.

⁹ აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მავარაღ:

¹⁰ აქედან წერილის ტექსტი გრძელდება ოთხივე გვერდის აშეებზე.

ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი. გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.

ზაქარია¹⁵ ახტას არის სინაქსაროვის ადგილს; იასეც¹⁶ იქ არის ელი-სოს¹⁷ მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოვე-ლივე სოფელში ღვთის ნებაა და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის. რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაუ-რობისა, იმედია რომ პოზინი¹⁸ კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს¹⁹ შეიძს მაისს მოველით ერევანზედ. სხვებრ ჩვენიანები ყვე-ლანი კარგათ არიან, მხოლოდ ფეფოს²⁰ მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.

მარად შენი ერთგული ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

მაისის 2-სა დღესა
1842 წელსა.

ელიზბარს²¹ ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს, ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა. ოცენა დააბრუნეს для исправления некоторых недостатков против формы*.

ვიცი. როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულს გულზე. გთხოვ: მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან.

VI. მაიკო ორბელიანს

წელსა 1842-სა
ოქტომბრის 31-სა
ქ. ტფილისით.

საყვარელო დაო მაიკო!, მადლობელი ვარ, რომ რახაელს² წიგნი დაჰსტყუე, გუშინ იასემ³ მამიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა-დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მა-ნანასთვის*. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ, რადგანაც ეს პირობა აღას-რულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავიწყდება.

*. ფორმალური ხასიათის ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად.

გალავინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმ სახლში გატარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინჰსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს^ნ დღეობა იყო და ელენეს^რ სახლში გარდაიხადეს. მე, ჰსწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ. . .

მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს. დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჰად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლო მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღელისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილა ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელისა საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ. ასე გეგონება, დამწვარი ვლამაჩაკობ. ჰეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განჰსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სულიძნელადლა გარდაიცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
ოხვრა არის შეება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ. ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის-სოფლისა. დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანყოება გულისა! აი, ჰეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამა-

უად და გრწამდეს, რომ იგინი შეუჩრჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი და. თუ დამიჯერებ. იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემღუბები, რომ წიგნს არა მწერ; ხომ იცი, მიაგება. თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მამწერ. თუ ნინუცას⁷ ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას⁸ წიგნი მისწერო ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ: დიდად ვწუქვარ. რომ აღარ გაციებს-ტქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი

(პირველი გვერდის აშიაზე მიწერილია):

შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი⁹ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ: რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისა-ცენ-ტქო? როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსა-ტქო?

VII. გრიგოლ ორბელიანს

საყვარელო ძმად გრიგოლ. არა. უკაცრავად. მთავარო აეარისაო, ემირ-აეარო. ატილას¹ ტახტზე მჯდომარეო!²

ვეშმარიტად, არ ვიცი. მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წაიკითხე, ყველასთან ზემორობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა; ჩემთან რომ ფარაჩინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრეება. საკურველია, რომ ქართველს კაცს. რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს. არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვებერდებო, კპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში). მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ. რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ზვედრისაყენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან³ დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ: რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცი დაგავიწყდა. მაგრამ არა, არ დავგიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს.

გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავენ: ემბრობა მან-
ხარად აიგდე და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ
ციო.

ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი⁴, ევრო-
პიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ სამშა-
უათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი⁵. მაგრამ ვინც შენ
გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაზარე.
რომ ბალში არ იქნებიან. Но и тут она выигрывают; будь вместо
Мирза-Сали граф Чичероин⁶, она тотчас бы приехали на бал⁷.
ბალის ამბავს შეგატყობინებ.

ჩვენი ლევან⁸ ქუთაისში გააგდეს პორუჩენით. მე და შენში დარ-
ჩეს (ისე კი არა, ბაკლანას⁹ რომ ხონალდი დაედუხა). გრიგოლ წერე-
თელი⁹ ინაზებოდა. არ უნდოდა მილიციის მიღება და მთავარმმართე-
ბელმა ლევან გაუგზავნა. ასი ოქრო გინის ხარჯად და დაიბარა. იმასაც
ეს უნდოდა. რა საკუთრეელია, რომ უარი აღარა ჰსთქვა. დახე, ქვეყნის
ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წაეკით-
ე. ბევრი ვიცინე.

ილია¹⁰ კარგად არის, პარუჩიკობა გაეკრა, ას თუმნამდინ თავისი
ჯამგარი გამოუვიდა და წარდგენილია არნიანი. ამისა საქმე თავში
ბოსტანი. გულში სიყვარული. დაიჭვრე. სუმრობა არ გეგონოს¹¹.

არ ვიცი, ბუმაჟნიკი და ქუდი მოვივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ
გიმზადებდენ.

კნიაზი ჰავკუვაძე¹² თავისის კნეინათი¹³ მარტყოფს იყვენენ ჯვარო-
ბას. ამბო დასტაში იყვენენ სავარსამოძის¹⁴ ცოლი¹⁵, სივრიჩის¹⁶ ცოლი¹⁷
და პეზაგის¹⁸ ცოლი¹⁹; ეს კი მუხრავანოდგან გადმოვიდა, ამ ზაფსულს
იქ იღვა უქმროდ. არ გიმდა, რომ ერთს სააას მაგ მთებში გამომ-
ძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში შუალამისას დაბადებული-
ყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ
წინ და კნეინა და სავარსამოძის ცოლი — ერთად უკან. ДОВОЛЬНО ПО-
ДРОМНО**

მეც ევნატიმ²⁰ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან. ერთი თთვეა,
რაც გარდაიცვალა. საწყალი! Вот человек, который по своему поло-
жению в свете более всех страдал. Минувшее проходило перед
ним и волновалось, как море-океан***.

⁴ მაგრამ ისინი აქაც მოგებულნი არიან: აბა, მირზა-სალის ადვილას გრაფი
ჩიჩერონე იყოს, ისინი მაქინე მოპრანდებოდნენ ბალზე.

⁵ კმარა დაწვრილებით.

⁶ აი აღამიანი, რომელიც თავისი მკვლამარობით საზოგადოებაში ყველაზე
მეტად ოტანებოდა. წარსული მდიოდა მის წინაშე და დელავდა, როგორც ზღვა-
ოკეანე.

სხვა რალა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები и вообще здесь «[I] грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды»²¹.

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

(„ყვეანილია ლექსი „სული ბოროტი“)

ამით გავათათ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს და შემდეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ და, რაც ვიცი და არ ვიცი, სულ გავაქრელებ. ახლა ფაცაფუტით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები.

სირცხვილია, რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე, რომ დაწერონ.

21 августа, 1843.

Тифлис.

შენი მარადის ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

[პირველი გვერდის აშიაზე სწერია]: მამამ, ფეფომ²², კატომ²³, ბაბალემ²⁴, ნინუცამ²⁵ და აპლიპუტილამ²⁶ მოგიკითხეს.

არ გებრალება, რომ მათა²⁷ ქვეშაგებად ჩაეარდა? გიორგი²⁸ ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ.

VIII. მაიკო ორბელიანს

9-სა თებერვალს, 1845,

ქ. ნახჩევანით.

საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამივიდა. დიდად მაღლობელი ვარ. ვიცი, რომ გიყვარ-ვარ, მაგრამ, შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს). ნეტა, ვის ნათესავეებს ემღური? თითქოს არავის იცნობდე! განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? — არა, რომ მეპატიუები მანდ, რას მეპატიუები? ახლა ყველანი კარგად გიცანით; აი სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა! ეჰ, მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე. ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადორობას შევექსილენ! სულ ზომ ყმაწვილობა არ იქნება? დრო არის რიგიანის სამსახურისა. თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა. დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბძანებია, რომ აქ მოგვეყინდნენ და გავყარეთო, ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ

ჩვენ წელს ოც და ექვსისა შეესრულდით და წინაც ჯერ ნუგეში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოეღოს!...

კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დიდიანია თავრიზიდან ხუთი კრიანოსანი დავიბარე, აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედგან). მაგრამ ჯერ კი არ გამოვიგზავნით, სანამ ტასოს¹ ნება რა გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისტანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და, რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა. ხომ გაგიგონიათ:

„რაკი ტურთა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“²

და რადგანაც პირველად ტასოს გამოუგზავნე, ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისტანა კრიანოსანი. თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ მაინც მე კიდეც ასე მოვახსენებთ.

ილაქი წაიღეს მაგ ჭაფარას³ ქებით. ვისიეც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიყდებით? მაგის ამბავი ჩვენა გეკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა⁴ გარდმოიყვანა სპარსეთიდან, ორი ღლე და ღამე ჩვენთან იღვნენ; რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა ჰკობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისტანა სმა აღარავის ექნებაო. ერთი, ორივეს სახე ნახეთ: ერთი კაცია. მეორე — ჯოჯობეთის მაშხალა.

ახლა ნახეჩვენაში⁵ ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩაბეგუმ ჰქვიან; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოვიდგენთ ორლოვის⁶ ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს. საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა. რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რამანია! ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთს ადგილას ამბობს: „ჩემო მშვენიერო ბაღჩაო, მიწდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“. ამ ლექს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოვიგზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდეც ძალიან სასიამოვნო, ჭაფარამაც იცის და სათარამაც. როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ „ე. ი. მუსელმან ნამარი ხანჯალხანი“ იმღეროს⁷.

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა⁸ წიგნს არა მამწერს? ივანეს⁹ კიდეც არ დავემღურები, ამიტომ, შენის ძმის წყლობით,

რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბაზზედ დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს: არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით არც კი უნდა დავემდურო. ახლა ჩვენ ვილას მოვავონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი¹⁰ გდია ნახჩევანში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდამი ოთხმოცის წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისთვის. კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და? ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია; რუსულიც ვერ უსწავლია და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?

მაიკო, ეს რისაგან არის: რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლთგან, მაშინვე ჰკორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებზე ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას. ნუ დამივიწყებ. შენი მარადის ერთგული:

თ-ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

[პირველი გვერდის აწიანზე პოეტის ხელით მიწერილია]:

აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნი, მდაბიურულად დაწერილს. როგორღაც ფიქრში მამივიდა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — იმის ხმაზედ¹¹.

[მეოთხე გვერდის აწიანზეც პოეტის ხელით მიწერილია]:

არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეკდა შენი წიგნი? იქნება ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?

[მეორე და მესამე გვერდის აწიებზე ლევან მელიქიშვილის ხელით მიწერილია]:

უფალმა ნაჩაღნიკმა¹² მოკითხვა შემოგითვალათ. ტატო დღე და ღამე იხვეწება: თუ ღმერთი გწამს, გააშვებინე ქმარიო. მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშერებ¹³.

* ლ. მელიქიშვილის ხეობობა ეხება გონჩა-ბეგუმს (პავლე ინგოროყვა).



ვინა ვალია თავის დადება მამულისათვის ყოვლის კაცისგან.
მის გამო მეცა, კადნიერ ქმნილან, ვსთარგმნე ეს წიგნი რუსთა
ენისგან.

დაბეჭდვასაცა არარა მრიდდა, რომ ივერიელთ ისწავლონ მის-
გან

4 და მით მწე ექმნან მამულსა თვისსა და თავი იხსნან სკვითთ
დესპოტისგან

ლიანას მეჯლიში

- ადრე ალიონს აღსდგა ნიავი,
მან ააქმუნა მდოვრე სჰეკალი
და დაადუნა სიცხისა კვალი,
მეხომალდეთა აუშვეს ნავი,
5 გაშალეს ნაზად აფრა. ალამი.
გასწია ნავმა, იწყო სრიალი.
ტევრთა და შამბთა რსმის ხრიალი.
დანამულთ ფოთოლთ ამო შრიალი.
ვარდსა შეამრა დილისა ნამი,
10 დაიწყო ტურფამ ნაზად ღიმილი.
მოჰფინა ყოვლგან საამო სუნი.
ბულბულმა აღძრა მალლა ნახილი,
ტრედთა და გვრიტთა ტკბილი ღუღუნი
და სხვათა ჩიტთა შეჰქმნეს ჟღერვილი.
15 ესე ვითარის მზიარულეებით
დედა ბუნება ტურფის შვენებით
მიესალამა ამოსულს მზესა,
ოქროიანსა პირველსა სხივსა.
ამ დროს საამოს განელო კარი,
20 ზე ოლიმპისა ციერთა ჭარი
გამოჰხდა მუნით და მოეფინა
კიდით კიდემდე ცისა ციალსა.

- მერე გამოჰკრთა ეტლით დიანა.
ვისაც შეჰხედავს, მიუდებს აღსა.
- 25 მას მოეხვია ზეევისის ხასი,
ნიმფთა, ამურთა და მუზთა დასი!
საამოთ ისმის მათის ფრთის ცემა,
ვინც დაინახავს, მით მიეცემა
გულსა ლხენაი. ფრთეთა შრიალით
- 30 გამოემართნეს და ასფოდელოს,
წყაროიანსა ადგილსა სამოს
დაეშო ნელა მალლის ოლმპით
ღრუბელმოსილი ეტლი მცხინვარე.
აჰა, გარდმოხტა მუნით დიანა,
35 აღმკული ნაზად. პირით მზიანა,
ნათელიანი ზეფირის რხევით,
და განანათლა ივერთა მხარე.
მუნ შეყრილიყვეს ტურფად მორთულნი,
ფოლადის გულთა დამადნობელნი
- 40 მნათობნი, ქალნი ივერიელნი,
ჰაეროვანნი, ვენერას დარნი,
შვენიერებით სახელგანთქმულნი.
დიანას სახე მათ რა იხილეს,
მოვიდეს, ნაზად მიესალამეს.
- 45 ჰრქვა მათ დიანა ტურფის ღიმლით:
„თქვენი ქებანი ზეცას მოგვესმნეს,
მართლა ხართ ნაზნი, სახე მზიანი,
დღეს თქვენთან მნებავს შვება სვიანი,
მე გიმასპინძლოთ ოლიმპის ხილით“.
- 50 მსწრაფლად ამურმა ქვე დაიწვია,
სადაც ყვავილი მას გაუშლია —
ვარდი, ზამბახი, ღილანა, ია,
მოფენილია, სუნი დის დია.
მას ზედა დასხდეს იგი მნათობნი,
55 იაღონის ხმით მუზთაგან მკობნი.
შუაზედა სდგას ოქროს შანდალი.
რაი გგონია, მას ზედა ენთოს?
მზისა სინათლე მას ვერ ედაროს, —
სიყვარულისა პრიალებს ალი.
- 60 იყვეს შვებასა და განცხრომასა
და სიტკბოებით სცურევედეს ზღვასა
და ციურთ დასი მათ მსახურებდეს.

- როს ნექტარიტა გამხიარულდეს,
 მაშინ დიანამ უხმო ამურსა,
 65 სიტყვა რაიმე ყურს უჩურჩულა.
 მოიქცა ამურ, იპურო ფიალა
 ცალის ხელითა, მეორეს ხელით
 სასმელით საესე სურა სპეკალი,
 შეასვა ყველას სურვილის ალი.
- 70 ეფირის დარად ნაზისა ქცევით,
 ესრეთ მეტყველმან ნარნარისა ხმით,
 ამ ლხინის თვალმა, დიანამ ბრძანა:
 ::აწ კვლად იამე
 სოფლისა სიამე,
- 75 მერე განაღო მოკვება ნანა.
 შესვი? გაამოს!
 ნეტარ მას რაღა სურს ამა სოფელსა,
 რომელმა იკონა
 ეს ვარდის კონა.
- 80 შესვი. რისთვის ჰფარავ ბროლისა ყელსა?
 შესვი? გაამოს!
 ფიალავ, ფიალავ, საესე ნექტარით,
 ვინ შესო ფიალა,
 მას ეტრფიალა
- 85 გული დაგული სურვილის ალით.
 შესვი? გაამოს!
 ვენერას დარია მნათობი ესე,
 ნატიფად გებულო,
 შევენებით სრულო,
- 90 შესვი ეს ფიალა, ალი დამივსე
 შესვი? გაამოს!
 ხმა იადონისა, ელვა მთვარისა
 გაქვს. შენი სახე
 არს ძნელი მახე,
- 95 ვინც მას გაებმის, ვაი იმის ბრალსა.
 შესვი? გაამოს!
 დიანას მგოსანნი ნორჩსა გამკობენ,
 ციურთა დარსა,
 ჰაეროვანსა.
- 100 იამე, ღმერთნიცა შენ გტრფიალებენ.
 შესვი? გაამოს!

- ახელე ნელადა შენნი მიჯნურნი,
შესვი ეს ნექტარი,
გულთა ისარი.
- 105 აწ ვისცა ესროლო, მსწრაფლად ჰყვანა
უსულო.
შესვი? გაამოს!
ან იკონეთ ია სამოთხის არეს
და ან ნაზი ვარდი,
გულისა დარდი,
- 110 ვისცა შეხედოთ, მსწრაფლ განუმრავლდეს..
შესვით? გაამოსთ!
შესვი, სიტკბოება არ დააქციო,
შენებრ ნარნარი
არავინ არი,
- 115 რომელ ანიავოს სიცოცხლის სიო.
შესვი? გაამოს!
ხარ ნათელმოსილი, გულმობიერი,
შენ, ეკატერინავ,
ზმას ვერ გიბედავ,
- 120 შენ ქებას ვერ მივხვდი, თუმცა ვარ ციერი..
შესვი? გაამოს!
ტრედსავით უმანკო, ნიავებრ ნაზო,
(იტყოდა ფრთოსანი,
ტკბილად ხმოსანი)
- 125 შესვი ეს ფიალა ლამაზთ ლამაზო.
შესვი? გაამოს!
დაგივიწყებია შენთვის ლეული,
ალარ მოიგონებ აბა ლესული,
კვლავ სტყორცე ისარი, მარიხისაებრ.
- 130 შესვი? გაამოს!

რა რომ სრულ იქმნა მეჭლიში მათი,
ერთობ წარმოსდგეს სურვილით მთვრალნი.
და დაუფინეს მადლი დიანას.
„ვინ ღირსა შენსა ესთა წყალობას?
135 მზეთა მზეი ხარ და ჩვენი მნათი,
კვლავც განახარნე შენნი მხევეალნი,
იუნონასცა შეგვამუდარე.
მანც განამზეოს ეს ჩვენი არე“.



- უსამართლოა მართლა ბუნება,
 რადგან ამ სოფლის ყოველი ღირსება
 შენ შემოგწირა, შენში შეჰკრიბა.
 შენში მზეობენ, შენ გამშვენიებენ
- 5 სილამაზეი თვით დიაფასი,
 სინარნარეი პროზერპინასი.
 კანის სინაზე. ჰაეროვნება.
 სირინოზის ხმა გულის მიმღები
 მისის სმენითა მარადის ვსდნები,
- 10 მინერვას სიბრძნე. ლმობიერება,
 ნიმფთა დასნიცა შენ გტრფიალებენ.

ე ლ ბ რ უ ს ი

- აღუჩნდა თვალთა სვეტი ელვარე.
 იალბუზადა სახელდებული,
 ვის უნათია ქვე არე-მარე,
 რომლისა ძირსა ბიბინებს ველი.
- 5 მოქშუის ცემა წეროთა ფრთეთა.
 დასავლეთიად მიმფრინვალეთა.
 ანაზდად შეხვდნეს გარდაუვალსა მთასა მაღალსა,
 ფრთეთა იგინი ოლიერად სცემენ,
 თოვლის ქულათა ანიავებენ
- 10 და უძალონი გარდაფრენისა ქვე ეცემიან,
 გარნა არწივნი მხნენი, ძლიერნი, მას გარდავლიან.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

- ჟამთა ჟამები იალბუზია ღრუბელ-მოსილი,
 ხოლო არწივი არს დიდი ღენი, ზეცით მოსული.
- 15 თუმცა ნამდვილად ესე ესრეთ არს,
 გარნა. მკითხველო, ნუ შეგაწუხებს,
 ვინცა ვირიცა მძიმედ ტვირთული
 სრულიად კავკაზს გადააბიჯებს.
 მოჰქრის უკუნი გამწარებული,
 20 ქვეყანას ჰლუპავს სიბნელეშია.

მ ა მ უ ლ ს

ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა
შენის ხილვისა სურვილის ალი,
ურვის სახმილში არ დადნებოდა
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი.

5 ეჰა, მამულო, ეჰა, მამულო!
გაჰქრი, რად მინდი უმისოდ სულო!

მარად მტირალად არ დავაგდებდი
დედას საბრალოს, ჩემს სიცოცხლესა,
არც შვების ღღესა დავუღამებდი
10 არც გარდუქტევედი მას ბნელად მზესა.
ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ,
ვგოდებ ნიადავ, რომ ვერა გხედავ!

მოსუცნი ღაწენი მას დაულარეს
პრავლისა დენით სისხლისა ცრემლთა,
15 გული და სული მას დაულარეს
მწუხარებისა უღმო მახვილთა.
ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ,
ვგოდებ ნიადავ, რომ ვერა გხედავ!

ს ო ფ ე ლ ს

რა მშვენიერ ხარ, ეჰა, სოფელო,
მაგრამ, შენ, გულო, სვისგან მოკლულო,
მისი სინათლე ვერღა გახარებს!

ვერღა განათბობს ცხარის მზის სხივი,
5 უღმოს საფლავში მკუდარსა მდებარეს.

ჩემთვის უცხოი ადგილი ცივი,
სადა ვლასლასებ აჩრდილის დარად,
ხვედრისაგანა მექმნას სამარედ.

ზედა უზომოს მთასა და ველსა,
10 ყვავილოვანსა, მწვანით მოსილსა
ვაცორვებ ხედვას დაღამებულსა,
ხედვაც მიშრტების დაობლებულსა,
რას ვაქნევ სოფლის მშვენიერებას,
ან სიცოცხლისა ბედნიერებას,

- 15 თუ ველარ ვნახავ გულის სინათლეს,
 ძვირფასის დედის ანგელოს სახეს.
 ვისიკ ჰვრებითა ვერ განსძღნენ თვალნი
 უშეხოდ, დედავ, ჰიდნების ძვალნი.
 მაცოცხლებელნი, წყარო სპეკალნი
- 20 მთანო და ბორცვნი, ნათელნი ველნი,
 ნაყოფიერნი, ჩემთვის ხართ მკვდარნი:
 ვერა მამოს თქვენმა ხედვამა,
 ვერც კავკასიის გრილმა ნიავმა.
 მომძაგდი შენცა, დღეო ბრწყინვალევე,
 შენცა, უფსკრულო, ღამის სიბნელევე!
- 25 მიმედო სრულად ყოვლის სიამე,
 სიცოცხლისა მზე დამიბნელია მე.
 დაცალიერდა ჩემთვის საწუთრო,
 სისხლისა ცრემლნი სიკვდილმდე ვღვარო,
- 30 ეს ხვედრი ჩემი ვერვინ შესცვალოს,
 გულზედა მაწევს ურვა ვით ლოდი,
 მისმან მახვილმან მგმიროს და მგმიროს,
 ჰოი, სიკვდილო, რას ჰლამი? მოდი!

მ ა რ ღ ი

- მოაელვარებს ბუნებას მზე რა,
 მაშინ მიაღის მე შენი მზერა,
 იადონისა, ჰოი. მიჯნურო.
 შენს სიახლოვეს სხვა არ ვისურო,
- 5 მომენიავა სიო ცხოველი,
 მან განმიოტა ურვა ყოველი.
 მაპკურა გულსა სიამის ნამი
 და გადამბანა კაემნის ლამი.

იღინე წვიმავ. იღინე ღვარად,
 ასიამოვნე მღელვარე ყანა,
 მან უშრილოს შვებისა ნანა
 პაპანებაში მაშვრალსა მარად.

- 5 მოქშუის ბინდი გამწარებული,
 ქვეყანას ჰლუპავს სიბნელეშია,
 მოგრიალებს და მოჰქრის დევნილი
 ჩასაეარდნელად სიბნელეშია.
- 10 მოსდევს ღრუბელი ნათელიანი,
 მას შიგანა ჰსჩანს ეტლი მცხინვარე,
 რიგზედ შებმულნი თეთრი ჰუნენი
 ელვა მოსილნი, ნიავეიანი,
 მოაქროლებენ, ირყევა არე.
 რა მნათობია შიგან მჭდომარე,
- 15 იგი ვერ ვიცან! ენავ, დაები, —
 მისსა ქებასა შენ ვერ მიჰხედები,
 გაზაფხულის მზე მასთან რა არის!
 ნეტავ ვინ არის, მაისის დარი?
 როს განვიცადე მანანა წყნარი.
- 20 პირად ნარნარი, განვსცოცხლდი მკუდარი.
 რა რომ გამშორდა ელვისა დარად,
 კაემნის ცეცხლში დამენთქა სული.
 იდინე წვიმავ, იდინე ღვარად,
 ნეტავ შეგეძლოს და განმიახლო,
- 25 ცვარო სპეკალო, ზეცით დენილო.
 გული, გონება აღმოდებული.

დათვი და ცხვარი

- ერთს უდაბურსა, ახლოსა ტყერისა
 სად გულს აამებს წკანწკარი წყლისა,
 იდგა მოხუცი საბრალო ცხვარი,
 თავის ცოლითა
- 5 და შეილებითა.
 ჰქონდა ადგილი შემოლობილი,
 სად დაენერგა მცირე ხე, ხილი
 და ბალის შუა მას ედგა ქოხი.
 არარა ჰქონდა, პინა და ჯოხი
- 10 და კუთხეშია ეყუდა ბარი,
 მაგრამ საწყალსა, მოხუცებულსა,
 ტურა და მგელი,
 ვერაგი მელი

- არ ასვენებდნენ არც ერთსა წამსა.
 15 ამ სოფელშია ძლიერი სთრგუნავს
 მარად საწყალსა.
 მის ახლო იდგა დათვი ძლიერი
 და ეპყრა დიდი ველი ტყიერი,
 მას მორჩილებდა მის ტყის ნადირი,
 20 და განთქმულ იყო ვით შახნაზირი.
 ცხვარმა შესჩივლა ნადირთ მეფესა
 და მოახსენა გულმტკივნეულად:
 „შენი სინათლე აშვენებს მზესა,
 მოწყალებითა გევხარ ზევესსა,
 25 არა ყოფილხარ არსად ძლეულად,
 აბჯარსა ხმარობ ათასდევულად,
 აწ გეაჩები ცრემლთა მფრქვეველი,
 შენს ახლოსა მაქვს მეც მცირე ხვრელი,
 რომლის გამოთხრით ვიტყინე ხელი.
 30 არ მასვენებენ ტურა და მგელი
 და ავაზაკი, ქვეშ-ქვეში მელი.
 მათგან მედების მე ცეცხლი მწველი,
 მიშველე რამე, დიდი გაქვს ძალი,
 ლამის დავიქცე შე შესაბრალი,
 35 შენ დაიფარე ჩემი ცოლ-შვილი“.
 რა მოისმინა პირად მზიანმა,
 თავკოდალამა, მცირე ჭკვიანმა,
 გასივებულმა. ბრჭყალებიანმა
 ცხვარის ჩივილი.
 40 გლოვა, ტირილი.
 დაღუნა თავი. შეუდგა ფიქრსა.
 ასე ეგონა საწყალსა ცხვარსა,
 რომ დიდათ იღმო მისი ურვაი...
 (მოიცა. მელაე. მოგცემს რისხვასა.
 45 დათვი გადგიხდის ჩემს აკლებასა
 და მოგეცემა სოფლის მდურვაი).
 მსწრაფლ აიხედა, აიღო თავი.
 დააბრიალა საშინლად თვალნი,
 სისხლმოდენილნი და შეუპკრთალნი,
 50 ცქვიტა ყურები, გაიძრა მკლავი,
 მოჰყევა მთქნარებას და გაიშორა
 და წვერი ხელით ჩამოისწორა.
 მერე შეჰყვირა გაჯავრებულმა,

როგორც ტვირთულმა წავეკისის ვირმა:

- 55 „მე ცოცხალი ვარ, როგორ თუ მოხდეს უსამართლობა,
ამას არ დავთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღვთობა.“
მიექცა ცხვარსა პანტა-ნაჰამი,
უბრძანა სიტყვა გულის საამი:
„აწ წარვედ შინა, ნულარას ლამი,
- 60 მე დავუბნელო წუწკის შვილებსა დღეი მზიანი,
ალარ ვაცოცხლო შენის გულისთვის არც ერთი წამი“.
ოდეს ესე მოისმინა,
სიხარულით გაიცინა,
ადგა, წავიდა მხიარულათა იმედიანი.
- 65 ერთ დილას იჯდა მყუდრო ადგილსა საწყალი ცხვარი.
ნახა. რომ შოდის ნადირთა ჯარი,
მათ წინ მოუძღვის მრისხი აფთარი,
მოვიდნეს მასთან და მოესალმნეს,
სიტყვა მცბიერნი მას მოახსენეს:
- 70 „ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვავლინა
შენის სამზღვრისა დასაცველადა,
აწ შენნი მტერნი ჩვენგან მოისრნეს,
მათთა სიცილთა ვაქცევთ ხველათა“.
ეს რა ესმა ცხვარს, მყის მოიღზინა
- 75 და სიხარულით ამოიქშინა,
სწრაფლ გაულო კარი,
შეიწვია ჯარი
და უმასპინძლა, მთავრთა მწვარი.
ამისა შემდგომ გავიდა ხანი,
- 80 გარდაიცვალა საწყალი ცხვარი,
მისთვის ტიროდეს მთაი და ბარი.
რა ესმა აფთარს, მყის ნახა ხანი
თავის ჯარისა: „აწვე წარვედით,
ცხვარის ცოლ-შვილსა შემოერტყენით“.
- ~
— „რა ანბავია, რას გვემართობით...
რა დავაშავეთ, რაზედ გვიწყრებით?...“
ამას იძახდნენ... ვინ გაიგონებს?
შენ ნუ მომიკვდე... მოხვიეს ხელი
და გადაკარგეს ერთობ ყოველი
- 90 ერთს ჰაობიანს ადგილსა მყარალსა.
დათვის მოახსენეს მას შეუბრალსა:
„ — რათ გვართმევ, საწყალთ, ჩვენსა მამულსა,
ეს არის შენის შეწვენის ალთქმა?“

- 95 „ — როგორ მიბედავთ? ჩემად ეგდენით“ —
 შესძახა დათვმა გაბრაზებულმა —
 „მაგ წყალობისაც არა ხართ ღირსნი,
 გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე,
 მოგეფონებათ ჩემი სახის მზე
 ათასში ერთხელ, სხვა რაღა გინდათ?
- 100 რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ,
 რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?
 თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ
 და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ“.
- „ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ
- 105 ტურა-მელისგან და შველა გთხოვეთ,
 რადგან ბრძანდებით შეფე ძლიერი“ —
 უთხრეს ბატკნებმა: „ — ახლა მშიერნი
 უნდა ვეყარნეთ. რა შევიმატეთ
 თქვენის შველითა. ჩვენ კი დაგვორგუნეთ
- 110 ერთიანათა და დაგვატყვევეთ,
 რაც მათ გადაჩაათ, სულ თქვენ მიგვიღეთ!“

როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად
 და აღასრულონ სახარებისა სიტყუანი სრულად,
 არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა,
 115 არამედ სნეულთ და დავრდომილთა.

მ თ ო ვ ა რ ე

- ჩუღლებრივ მთვარე ნათლით ნისლს სვლიდა,
ხან მიჰფარა ვსილი დისკო, ხან ბრწყინა,
უამთა რავედნს სძარცვდა, ნიავე სცვლიდა,
4 შემდეგ ჰსჩნდა სრულ-მშვენად. სფერა მოჰფინა.
- არ მიხილავს ღამე მისთანა თვალით,
მის სინათლეს ეტრფობდი გულისა ძალით,
როს სხივი მზისი ვიდა ჰაერთა ალით,
8 მთოვარემ ჰფარა თვისი დისკო თვალთ წინა.
- კუალად ლოდინი მქონდა ეგრეთ ღამისა,
ღღე დაბინდდა, ვპკრეტდი ადგილსა მისა,
ცას შევხედე, ჰფინა შუქნი ნათლისა,
12 სიხარული ჰქროლა, ზეჟირ მოჰფრინა.
- აღმოვიდა თუმცა მისი შვენება,
მსწრაფლ ღრუბელნი ესხნენ, შავნი შინება,
მით დაჰფარეს მისი შუქი, ჩვენება,
16 ვნატრი წარსულს არყრით, ღრუბელნი გრგვინა
- გარდიყარა შემდეგ დროთა ღრუბელი,
ვნახე მთვარე მოშლილ იყო, სულ ბნელი,
მილეოდა მშვენი სახე, ნათლ მსულელი,
20 ესტქვი: ვნახე რა ესე, იგი თუ ვინა!

საპართველოს გაჯაფხული

ნიმფნი რხევით სეირობენ
ასფოდელსა დარაზმულნი;
ყვაილს სწყვეტენ, ნაზად სტროფობენ,

- ყნოსვენ სუნთა სიხარულნი.
- 5 ნორჩებზედა გაზაფხული
დასძრწის სუფთად ხან-დაზმული,
დააკვდებათ შეკონილი
მღელვართ სიოთ სიყვარულნი.
ეთერ მდელოს მოეფინვის,
- 10 სიამითა შეეხვევის,
იქ ფოთლებში მოიბზინვის
შარავეანი მხიარული.
კარგნი ჩიტნი ჭიკჭიკობენ,
ხმის წყაროთი მოეშხობენ.
- 15 წვრილად, წყნარად გულთ იდნობენ
სურვილითა შელაშქრულნი.
მუზნი ეთერთ ცეცხლს ისვრიან.
საწყალთ ამურთ გულს აყრიან.
სულს შეწირვით კვლად შესტრფიან
- 20 ტრფიალებით გაბასრულნი.
ცა, ქვეყანა, სულიერი,
გაზაფხულსა შეეხარვის.
ამ დროს რომე კაციც ბერი
მოკედეს, ვფიცავ. ცოდო არის.

1824

კავკაზიის მთები მაშუჰის მთიღბან

(ფანტაზია. როკა ახლად გაუნდება)

- „აგერ საგულოვნო. რა მზე ამღელვარდება:
ანუ საასპარეზო დღე. ეითარ მოემზადება.
მაგრამ არავინ არიან შეჯავშნილ-შეზოსტრილნი,
და მოოქროვილს მუზარადებით მოხდენილნი,
- 5 რათა ძველებრივ მეჩოგნეობა ასტყდებოდეს.
რომ ცხენთა ნქრევა გადმოესიამოვნებოდეს,
ეთ ფრიალოს ქვეში მჭდომარესა, დამგრილებდეს ქარი,
და მეორეს მხრით ჩარდახიღამა მშვენიერი ქალი,
დამარცხებისა ჯილდოსა გაიღებს,
- 10 და ჰაბუკს ყელზედ გადაავლებს დამღიმარი.
მაშინ მითხარი,
ეითარ ბედნიერი იქნები შენ, ჰაბუკო?“

- „ღღეს დილით. ამ გააკამამებულს ცის მოლაყვარდულობაში
დავინახავ იქით შორსა, იმ ჰაერობაში,
- 15 კავკაზიის ბორცვთ მოკიდურთა, თავის ქედებით;
თავის დახავსებულის თეთრის წვერებით,
რომელზედაც მის შარავანდი დანებიერობს,
და ღვთაების გამოსახული დიდება
მეტის დაშვენებით, ზედ რა განისვენებს“,
- 20 „ბრუტოს, ბრუტოს! შემოვყურებ შენს თოვლიანს
სპეტაკოვნებასა:
შენს გამომჭვრეტს მობზინვარობასა და შენს ამაყად მოღერებასა!
კავკაზიის მთებს შორის თვით მოყელყელაოდ,
და გმირ-ფალაენებრივ რო შემოგიცრცვა ღრუბელი,
ვი ვილასაც შეერკინო ტიტველი.“
- 25 „იქით მოხმე შენი, მყინვარე მთა აწოდვილი,
ხელსა გაწვდენს მკლავ-გაშლილი,
შენ თანასწორად, შენებრ უშიშრად,
შენებრ აღმართული, და სდგას შენებრ განძვინებულნი,
რათა თოვლების ზეავები შეიგლიჯოთ,
- 30 და ღრიღლოვანს ღრანტეებში გაღმონარცხოთ,
ზარ-ახდლის გრგვინვის შეძრწუნებით,
რომ შეილნი თქვენი წარმოსთქმიდენ გაკვირვებით
და იტყოდნენ თავიანთ სახლეულებაში,
რომელთ გაშტერებით შეჰყურებდნენ მათ მონებთა,
- 35 ვით შეიხეთქთ ზეავენი ანუ ხეობაები რიგორ ჩამოახერგეთ“.
„აგერ ბორცვთ კლდეები, კავკაზო, და ფრილონი,
მღუმარ დაყმენდილნი სვაენი, ზედ რა დაჰფართოებენ,
და გაფაციცებულის თვალთ მძოვრსა ეძებენ,
რათა ჩაილუკმონ და ჩაიგემონ“.
- 40 „აგერ შორს შეღრმაებულნი შენი ხეობაები,
სადაც ყურათ ხმა აღარ ისმის, მკვირცხლოთ მდინარეთ ვარვარებით,
რომელ მათში თავს მოიკვლენ ზვირთი ზვირთზედ ქაფთ-ჩქარებით!“
„შენი არ თანასწორი, გრძლად გადაჯაჰვილევა.
შავ ზღვით კასპადმდე იმისი მოფერხულება,
- 45 მოიტაცებს ჯონებას. გაწოლილო კავკაზო!
რომელზედაც მისნი ქალნი დათამაშობთ ნაზნო,
და შექცევით დასეირნობთ.
რეც. თქვენს ქმასა, გადამიტანთ მის შეკრულებაში
და მის შეკმუხვნილებაში:
- 50 ჯერ მე თქვენთან ვმუსაიფობ, ლამაზ ახალ მოლზე:
მოლზე მსხლომარენი და წმინდას მოწანწკარეს წყაროს პირზე

- მესმის თქვენი სანიმუშო სიტყვანი!
 მიანბობთ თქვენსა ანბავს აქამომდე,
 კარგ ქალებო, ვინ გითხრათ ეგ? —
- 55 არის მამა-პაპის სიტყვაო ეს.
 შემდგომ მიბრძანეთ და თქვენსა ნებისამებრ
 თქვენგნით წავალ კავკაზის ბორცვების ქედებზე:
 თუ ნება მეცით, მაშ რალათ გამამატანთ ცრემლსა,,
 ცრემლისა გულის საკლავსა?
- 60 სდუმთ ქალებო? მაგ დადუმებამ ხომ სულ გამიქრო,
 ვაი ჩემს თავს, ახლა გამწარებით და მიბრძანეთ:
 წადი, წადი, ეხეტე იმ მთებზე რას დასდეთ.
 რას ასე, მაშ წავალ ისევ, წავალ მის კლდეზე,
 რომელზედაც დაენადირობ ჯიხვთ რქიანთა;
- 65 ეგრეთა ვლევნი დიდრონთ ირმებს ქორ-ბუდიანთა,
 და ნებისამებრ მიმოვიარებ მთით მთაზედ,
 მთის ზეფიროსის, მორბედობის სიმოვნითა...“
 „მიყვარს შენი შენზე შეკაზმულნი ღრუბელნი,
 როდესაც არაზმულებრივ შემოგემართების
- 70 და წყნარ დაზანტებით რო გცოცავს ზედ და განგერთხმის“.
 „მიყვარს შენი დაგუნდებულნი ბნელნი ღრუბელნი.
 უფრო მაშინ ლამაზნი, ელვარებანი რო დაგეგრაგნება“.
 „მიყვარს, კავკაზო, შენი ესრეთი ცეცხლებრ აღლაშქრულება
 და შენი ძახილითა ადრტივინებული დალადება,
- 75 ნამეტნავად მაშინ, ოდეს ცის საყვირნი დაგყივის შენ“.
 „სად ერთ საყდრად სუფევ, კავკაზის თან შეზრდილო,
 და ერთი მუცლის ძმა არარატო!
 გემდური და შემოსძახე — სად განშორებულხარ?
 შუბ-დარდნობილს თეთრ დევსავით რო გაველებულხარ,
- 80 რათა უამხანაგოთ იდგე და უმეგობროდ?
 სტირდე, სტირდე, დაობლებულო შენ არარატო,
 შენსა ძმასა მხარს არ უმშვენებ და სწუხ მარტო.
 გადმოუბუკე მაინც, არარატო, და აღძარი
 იგი წარღვნის მოწამე, არარატზედ დამდგარი
- 85 ნოეს კიდობანი იგი,
 რომელიცა გადმოვიდეს ჩემთან სწრაფის ქროლვით,
 ჩემს მშობელს ქვეყნად, ჩემს გადასაყვანად,
 რომ მისი ჰაერი, ბუნება, წყალი კიდევ განვიცადო,
 და კეკლუტნიც ქალი ვნახო:
- 90 სულზედ უფრო სულის სულნი იგინი!...
 თორემ ბედმან მომწყლა, აღარ მახსოვან ისინი მე.

შენ, არარატო! წმინდა იაკობის ტარბნი
მინც გამოგზავნე, ჩემი სულისაგან მკალნი
შემუსრონ და მოსპონ, არარატო, არარატო!

95 „ახ! ჩემო საყვარელო კავკაზო!

არა წადილით საყვარელო,
არამედ ძლიერის ვენებით სასურველო!...
კავკაზო მშვენიერო და კავკაზო განსაცვიფრებელო!
შენ თეთრ ფრთოსანი ორბი გამომიფრინე

100 და თან შენი საუცხოება გამოატანე;

რაოდენის წლების მკვდარს გულზედ ფრთებით დამნიაოს,
უკვდავებად მივილო და კვალად გამაცოცხლოს...
გესმის ძველთ უძველესო კავკაზო,
და პირველ ქმნულ კაცთ ბუნებათა ბუდეო!

105 მე ვარ ძე შენი. ძე შენი, კავკაზო,
და ძველ ივერიანელი ქართველი,
რომელიცა ამით მოვამაყობ!

შენ გემგოსნი

შენ გინეტარებ,

110 შენ შეგამკობ,

შენ შემოგტრფი,

შენ თაყვანსა გცემ მოწიწებით,

და ახლა ველარც კი ვიჭერ, რომ არ შემოგტრიო
საცოდავად და მწარედ!

115 ახ! ვის ვუთხრა? — ესე ცრემლი რას ჩაიტანს თვის უფსკრულში...
რომლისაც მის აზრი გალობს გლოვითა,
მარად ღვთის წინათ დაობლებული
ხომ ჩემი გესმის? — მამ გულს არ ილმობ? ჰოი შენ ღმერთო“.

1839-სა წელსა, 15 სექტემბერს

ქ. პიატივორსკს

ეპიტაფია

საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი

ღმა რამ კეთილ ხმით მღერს ტროადის მთას
კაცობას, სიმხნეს, ძალს დეკტორისას!
და აქ, მეც, საფლავს კარგის მეფისას
მოვრთავ, შევამკობ ჩვენს ირაკლისას!

5 მოგიწვევ, დიდო ლორდო ბაირონ,
მეფის საფლავზე ზეცის მგოსნებით

- და გთხოვ, ეს ლექსი ჩანგით დამღერონ
 მგოსნებთ მის საფლავს ცის ხმოვანებით:
 „მაშინ ყმაწვილსვე გეკრთა, გებრწყინა
 10 ჰკვისა ვარსკლავი და ვაჟკაცობა.
 ეს ორნივე ესე ნადირშამ იგრძნა
 მისთვის თავისთვის დაგიმშვიდობა“.
 „ღმერთმანი მართლა არა დამტკიცდა
 ინდოეთს შენგნით ძნელი ადვილად.
 15 ნადირ ხშირადა ასე იფიცდა:
 „ვალი ირაკლი მიყვარს ვით შეილად“.
 შენს სიმარდესა, სინავარდესა
 ვითა ნიავი ფრთებს ქვეშ უშლიდა,
 ცა გვირგვინობდა შენს მოდარდესა,
 20 შენს მტერს ყველასა მარჯვენს უშლიდა.
 ქართველნი კრულნი, შენი ერთგულნი,
 შენ გეკაფოდნენ. გემსხვერპლებოდნენ,
 მაჟითა რაზმით მტერნი ეულნი
 გარს გაიყვანე. რბოდნენ. ჩქარობდნენ“.
 25 „ოთხკუთხივ ბრძოლა, თოფთ ცემა, სროლა,
 გქონდა მარადი მამულის დარდი,
 რაგინდ საქმეში არ იმცნე ძრწოლა,
 გული გულადი გქონდა ფოლადი“.
 „ორმოც-ათ-თოთხმეტ წელსა შენს წელსა
 30 თუმცა მეფობა მძიმედ ეტვირთა.
 მარამ ყოველგან შენსა სახელსა
 აქებდნენ ცამდის, ქართველთაც გმირთა!“
 „კეთილკაცობა შენი ილიას
 დაჰქონდა ზეცას ნათლისა ღრუბლით,
 35 გარნა დავითი შენს დიდ სულობას
 დახმობდა ქნარსა, სიხარულის ხმით“.
 „ყოველთვის ღმერთსა. თავისა სვეტსა
 ირაკლი მეფე ჰყავს დიდებისა,
 იქაც ზძანებლობს ათს გუნდსა მტერსა,
 40 მხნე ქართველებსა, თავის დასებსა“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

რუსთაველ!

ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებულო,
 და ანგელოზებრ წმინდათ ამომსუთნთქმელო!

- ნეტავი მითხრან, ანუ ზეცითგანა გადმომძახონ,
 5 ვინ გადმოაქცია შენზედ მეტად კარგი უცხოება ნეტარებისა!
 ვინ მოგიტანა დიდსულოვნობის რტო სასუფეველიდგან?
 ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა,
 და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა?
 ვინ გაჩვენა მომფრინავე სული, დავნებული სურვილით,
 10 ვინ გაურია შენს მტკინვარეს ცრემლში აურაცხელი სიტკბო...
 ის ცრემლი, რომელს მალაროში შეგუბებულა მეტათ წმიდა
 გაბროლოვილი?
 ის ცრემლი, რაც ემბაზით მიაქვს ცის კამარის მოსარწყავათ
 მთვარე სრულსა?
 რომელს მინდორზე ილოცავდი, რომელ ცთომილთა მოგაფინეს
 მზის პოდირი?
 რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?
 15 რომელ მკურნალმა გასო წამლად უკვდავება შენ?
 როგორ, საიდგან ტკივილი სცან სოფლის გულისა?
 ნეტა რად ილმე ტკინვა მისი, დაუდგრომლისა?
 რომელს სამოთხისა ყვაველების სურნელებით აესილი ხარ?
 რომელ მხარის ედემისა წყარო გისომს?
 20 რომელს სანუგეშოს წალკოტში ხარ აღზდილი?
 რამდენი გვარი მფრინველები ყოფილან შენთან მოსაუბრედ?
 რამდენი ბრძენისგან დალოცვილხარ?
 რომელს ზდილობიანს საზოგადოს ეკუთვნის შენ?
 ვინ მოგართო მხედრობის გამკვეთელი ბასრი ძრიელი?
 25 ის რა ტყვე არის, შენგნით მოლბენ მხეც-ნადირნი გააფთრულნი?
 ის რომელი გველი იყო, შენ წინ კრძალვით ამოწყრიტა გესლი
 თვისი?
 იყო სადა და ვინ გითხრა? — „აგერ, ხედავ? ცა პატივს გცემს
 ღრუბლის გრგვინვითა“!
 იმ დროს სიგრილის ცვარიც მოვიდა გულსა მშვებელი?
 ვინ გასწავა ცხოვრებისა წესი-მეგობრობა და ზნეობა?
 30 სიხარულით და სიკეთილით მოზღუდული სცურავ სიამოვნებასა
 შინა!
 სიმდიდრე და დიდება სულ არა ჩანს არად შენთან.
 ჩანგ-ებნები და ყოველი სამუსიკო შეგამკობენ,
 მგალობლები და მომღერალნი შემოგტრფიან.
 რა უნდა იმ შენსა მეფესა დავითს შენგნით?
 35 შენი შურით თავისი ქნარი უკიანეს ზღვაში გადაუგდია

და მწარეთ დასტირის საწყალი ზედა...

აი, ესლა ჰესმის მთელი ქვეყნის ლექს-მგოსნების ღალადება,
მაგრამ, რუსთაველის ხმოვანება უფრო აღმატებულია და
სატრფილო იმაზე!...

უ მ ა ნ კ ო ს ი ს ხ ლ ი

უნ იცის რამდენი ამბავი მომხდარა ჩვენს ქვეყნებში, დიდი ანუ მცირე; მგონია ერთი მცირედი ადგილი არ იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაედვართ იმ ადგილზედ თავის მამულისათვის და სარწმუნოებისათვის. ამაზედ ბევრი სათქმელია, მაგრამ ლაპარაკის გაუგრძელებლობისათვის ეს ვიკმართ და ამის შემდგომი წავიკითხოთ ამ უმანკო სისხლის ამბავი.

ერთს ქართველის დიდის კაცის სახლში აღიზარდნენ სამნი ყმაწვილნი ქალები: საღმრთო-საერო წერილები დაასრულეს, კერვა-ხელსაქმეში განეითარდნენ, წყნარი მშვიდობიანი ქცევა მიიღეს, უფროსების პატივის ცემა დაიხსოვეს, დედ-მამისა მორჩილება დაიმარხეს, კრძალული ყოფა-ცხოვრება შეიძინეს, თანასწორის პირებისათვის შესაფერი ზრდილობა ისწავლეს და დარბაზობის საუბარსაც უცხოდ მიმოხვრიდნენ, სადაც კი ადგილი ექნებოდათ უბნობისა. ერთის სიტყვით: მართებული ხასიათი დაიმკვიდრეს და ყოვლის კეთილის ზნეობით შეიმკნენ. აი ძველი სწავლა ჩვენი ქართველებისა.

იმ ქალებს ერქვათ: ანა, ბარბარე და მართა. სამნივე იყვნენ მშვენიერები, სამნივე პირგვალნი, სამნივე შავ-თვალ-წარბანი, სამნივე ტანადობით სრულნი, მაგრამ ერთმანეთს კი არა გვანდნენ სახით. ანნა იყო იმ სახლის თავადის ქალი და ის ორნი იყვნენ იმისი აზნაურებისა, რომელნიცა იმ თავადის ცოლმა გააზრდევინა თავის ქალთან სიყმაწვილითვე ერთად დებისავეთ სიყვარულით.

ამ ქალების გამდელი იყო მოხუცებული ფერია (სახელი), მშვიდობიანის სახის მქონე და სრულებით თეთრთმიანი. ამ მოხუცებულს გამდელს თავის დროზედ მოეთხოვა ხარკი სოფლისა, იმანაც მისცა დამყუდროებულს გულით.

იმ თოთხმეტ-თოთხმეტ წლის ქალებმა, თუმცა წესისამებრ თავიანთი მზონინარე შავი ღულამბრები და გრძელი დალალები არ დაიშალეს თავიანთის ნაზის თითებიტა, რადგანაც ყმაწვილები იყვნენ, მაგრამ გულმოსაწყვლელის სიტყვებით დასტიროდნენ წყნარის მოთქმით და გულსაკლავათა ცრემლთა დააფრქვევდნენ თავიანთ მოჭირნახულეს ცხედარზედ, იმათ მაყურებლებს გული უდუღდებოდათ და შორიდად ჰქვითინებდნენ.

იმის დასაფლავების შემდეგ. იმ ღამეს ის ქალები ისხდნენ თავიანთს ოთახში შეწუხებულები, სადაც ამ დროს არავინ არ იყო და ანას აზრობდნენ:

ანნა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ჩვენს გამდელს ფერას.

ბარბარე. ოჰ, კემშარიტად.

მართა. ან, რა კარგი რამ იყო, აბრაამის წიაღში განუსვენოს ღმერთმა.

ანნა. ჩემო უსაყვარლესო დებო, იმისი სწავლა კარგათ გვანსოვს, ეს სოფელი კეთილისათვის არის დაარსებული ღვთისაგან; მაგრამ როგორღაც ბოროტად არის შეცვლილი; ამისთვის იმისი სწავლისაშენებრ, გვმართებს ეხლანდელს მდგომარეობას მოვშორდეთ სოფლისასა და ღმერთსა შეუღდეთ.

მართა. დიად, კარგი იქნება, ჩემო სიცოცხლე დებო.

ბარბარე. მართლა, დიად კარგი იქნება, ჩემო მანუგეშებლებო დებო, მარამ სად და რომელს ადგილს შევიდეთ?

ანნა. ქ. თბილისის მახლობლად, რომ ეკლესია არის მთაწმინდის შუა გულს მთაში, წ. დავითისა, იქ შევიდეთ: იმ ეკლესიის მღვდელი და იმისი ცოლი მეტად კეთილები არიან ორნივე. — მე დარწმუნებული ვარ, კარგათ მიგვიღებენ ის საწყალი უშვილოები.

მართა. ბევრჯელ ვყოფილვართ ქალაქში. შარშანაც ხომ იქ ბრძანდებოდნენ შენი დედ-მამა, და ჩვენც იქ ვიყავით? — ერთხელ რომ წავედით სამნივე ჩვენ, იმ წ. დავითის ეკლესიაში სალოცავათ, მაშინ ეგ ახრი წარმომიღვა გონებაში, რაც ეხლა ჩვენ განზრახვა გვაქვს.

ბარბარე. როგორც იქნება იქამდინ მივალთ. მაგრამ იმ მღვდელმა რომ გაგვამელავნოს?

ანნა. რას გვიცნობს, ვინა ვართ? თუნდა გვიცნოს, მღვდლისათვის შეგვიწირავს თავი და მისთვის დიდათაც უნდა იამოს.

კარგად, მოლაპარაკების და ვახშმის შემდეგ, როდესაც ფეხის ხმა მისწყდა კარზე, და ამჟამად იმათ ოთახში არავინ არ იყო, ამ დროს ღვთის სახელი ახსენეს, სამნივე მამაცურად წარმოდგნენ ფეხზედ, პური და ყველი ხელსახოცში შეახვიეს, კარებში გაიხედეს, ნახეს ყველას ეძინათ. გარდა იმისა, რომ თექვსმეტი დღის მთვარე იყურებოდა მოწმენდილის ზეცითგან და ვითომცა ტალარს სწევდა უმანკო იმათთვისა, გზა ეჩვენებინა.

ტრედები ბუდითგან გამოფრინდნენ და სასუფეველის კარებისაკენ წასვლა ისწრაფეს. იმათ არც აზარავის ფრინველებისა ეშინოდა, არც მტაცებელის მხეცებისა.

გამოიარეს სახლის ეზო, — გაიარეს სოფლის ორღობე და დიდ შა-

რას გზაზედ გავიდნენ მხნედ ის პატარა ფეხებიანები გაწყობილს წითელის წულეებით; ასე ჩქარა მიდიოდნენ უქოშონი, რომ კარგნი შიკრიკნიც ვერ მიჰყვებოდა იმათ. კარგი ის იყო, რომ გზა კარგათ იცოდნენ ქალაქისა და არც მგზავრი შეხვდათ ვინმე.

გარიყრაუხე მცხეთის ხილზე გავიდნენ; შარას გზაზე ველარ გაბედეს წასვლა მგზავრების შიშით და ამისთვის მაღალსა მთასა შეუდგნენ იქვე ხიდის მოახლოვოდ მტკვართან; მინამ კარგათ ინათლებდა, მთის წვერზედ ავიდნენ, და იქილამ ქალაქის მთები დაინახეს დიდის სიამოვნით. ახლა მთა-მთა იარეს ტყის პირს, ქალაქი არ დაჰკარგოდათ თვალითგან და ბინლზე დიღმის ხეობაში შევიდნენ წყალის პირზე; ამ დროს მთვარეც ამოვიდა.

მცირეს ხანს წყალის პირზე დასხდნენ, ცოტა დაისვენეს, პური იგემეს და მას უკან გზასვე შეუდგნენ. ახლა სწორეს გზაზე იარეს; შუალამეზე აღრე მთაწმინდაში ავიდნენ, წ. დავითის ეკლესიას თაყვანი სცეს, იქილგან გამობრუნდნენ და მღვდლის სახლის კარი დაარაკუნეს.

იოსებ მღვდელსა და იმის ცოლს ანასტასიას ჭერ არ ეძინათ, ლოცვის წიგნი ხელში ეკირათ და გულმხურვალედ ილოცვიდნენ. უდროო კარის დარაკუნება არც ერთს არ იამა, მაგრამ მაშინვე მივიდა მღვდელი, კარები გააღო და ანთებული წმინდა სანთელი გაანათა კარებში, შეხედა, იცნა სამნივე და გაკვირვებით ჰკითხა:

„ანნა, რა ამბავია ასე უდროოთ თქვენი მობრძანება?“ ცნობისათვის, თუმცა დიდად შეკრთნენ ქალები, მაგრამ ანნამ თავიანთი განძრახვის ყოველივე უთხრა გადაწყვეტით. — მღვდელსა და სახით საუცხოვოს, იმის ტანწვრილს და ტანად ცოლს, თუმცა დიდად იამათ, მაგრამ კიდევაც შეშინდნენ.

რასაკვირველია, იმ ღამეს დიდი პატივი მიაპყრეს სამსავ. მეორე დღეს მღვდელი კათალიკოზთან წავიდა მოადრეოდ და ყოველივე მოახსენა, რომლებთანაც ორი ეკლესიის დიაკონები დარჩნენ, ერთი ორმოცი წლისა და მეორე ორმოცდა ათისა. ეს დიაკონები დიად უცხო მოსამსახურენი იყვნენ ეკლესიისა და მღვდლისა დიდი მორჩილნი. ორმოცის წლისას ერქო პეტრე და ორმოცდა ათისას თევდორე.

უკეთილესმა კათალიკოზმა რომ მოისმინა მღვდლისაგან, დიდად მოიწონა, მაგრამ იქით ზევით მხარეს ბევრი აძებნინეს ის ქალები ანნას მშობლებმა; ბოლოს შეიტყვეს როგორც იყო და ქართლის მეფეს წიგნი მოართვეს. ამაში ორი-სამი დღე აღარ გამოვიდა, ანნასთან აბრძანდა მეფე; ამ დროს ეს ქალები ეკლესიაში იყვნენ დაჩოქილნი ამბიონის წინ და გალობით ქებას შეასხავდნენ ღმერთსა.

მეფე დიად ახლო ნათესავი იყო ანნასი: — ერთმანეთს რომ არ მოშორებოდნენ ის ქალები, მოინდომა სამნივე გამოეყვანა და ანნა დედამამასთანვე დაებრუნებინა. ყოველს მეფის ბრძანებაზე დიად კრძალ-

ვით მოახსენებდნენ საქნივე გადაწყვეტილის სიტყვით, რომ უთუოდ იქ უნდა დამკვიდრებულიყვნენ, ერთი მეორეს განუშორებლად. ვერას ჩაგონებით ვერ შეიძლო მეფემ იმათი გამოყვანა, ამისთვის მთაწმინდაში დამკვიდრდნენ ღვთის შვილებად.

ერთი თვე აღარ გასულა, ქალაქში განითქვა: — „ხვალ სამი ქალი უნდა იკურთხნენო მოლოზნებად“. ამახედ მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეიძრნენ რაღაც საამოს ფიქრითა: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რასა. — მეორეს დღეს, მრავალნი ქალნი და კაცნი შეიყარნენ სიონთა მღვთისშობლის ეკლესიაში მოლოზნების კურთხევის საყურებლად. მცირე ხანს უკან ის ქალები მოიყვანეს და კათალიკოზის ხელით იკურთხნენ მოლოზნებად, როდესაც მოლოზნების კურთხევის დრო მოვიდა, კათალიკოზი ამბიონზე გამობრძანდა თავისის სამღვდელთა, აქედგან მოლოზნები მივიდნენ და იმის წინ დაიჩოქეს; კათალიკოზმაც იმათ შავი მანარები გადააფინა. მასუკან მოლოზნები მოჰყვნენ და ღმერთს მადლობას შესწირვიდნენ გალობითა. ამბიონიდგანაც კათალიკოზი და მისი სამღვდელონი მოსძახოდნენ, ზოგი თქმას, ზოგი მოძახილსა, ზოგი ბანსა და უცხოდ შეწყობილს გალობას ღიად მშვენიერად გალობდნენ.

აქამდისინ ეკლესიაში მდგომნი სურვილის თვალთ უყურებდნენ იმათ; ახლა ამ სახეზედ და ამ გალობაზედ, საერთო შესაბრაალისი ქვითინი შეიქნა. იმ მოლოზნების დედ-მამებმა ხომ ველარ მოითმინეს, თითქმის გულ-მეწუხებულები გავიდნენ კარზე. ეგონათ მომკვდარანო და ჩვენსა მკვდრებსა ვმარხამთო. რალათ გავაგრძელო ლაპარაკი, მხიარულის ტანისამოსებით შევიდნენ ის სამი ქალი ეკლესიაში და მძიმის შავებით გამოვიდნენ ღვთის მადლობელნი გულ-მხიარულად.

ორი წელიწადი ღიად მშვიდობიანს ცხოვრებაში იყვნენ ის ზეციური ქალები; ყოველთვის ღმერთს ევედრებოდნენ თავიანთი ქვეყნის ბედნიერებას და ხშირადცა შეჰგალობდნენ ზეციერებას. მღვდელი თავის ცოლით დასტრფიალებდა იმ მოლოზნებს, როგორც საკუთარს დებს. მეტის სიხარულით აღარ იცოდნენ სად იყვნენ, ასე ბედნიერათ მიაჩნდათ თავი. ის მოლოზნებიც ღიად პატივსა სცემდნენ იმათ.

ბევრჯელ შუალამეზედ, წინ თუ უკან, ის მოლოზნები გადმოსხდებოდნენ ეკლესიის წინა მთაზედ; აქეთ მღვდელი მოუჭდებოდა იმათ გვერდით და იქით იმისი ცოლი, რომლებზედაც უწმინდესი ჰაერი გადმოჰფენოდა და ვარსკვლავნი მკრთოლვარებდნენ ზეცაში.

ამ დროს საქართველოზედ თვალს გადაავლებდნენ, საიდგანაცა ღიდი სივცე დაინახება საქართველოსი. საქართველოს მყუდროს მშვიდობიანობას რომ წარმოიდგენდნენ იმ დროსას, მეტის სიამოვნებით სასიხარულოს გალობას მოჰყვებოდნენ ეს ხუთნი წმინდანი და მაშინვე ის გალობა მოიცავდა თავისის საუკეთესოს ხმოვანებით იმათ გარემოს არეთ.

ვინც ამ გალობას გაიგონებდა, ქალი თუ კაცი, ყველანი ყურს მიუპყრობდნენ იმ ტკბილ ხმოვანებას; ყველანი ძლიერ იგრძნობდნენ იმ საუცხოვოს მელოდიას და ყოველთა სანატრელად მიაჩნდათ იმათი განწორებული ტკბილი ცხოვრება სოფლისაგან.

ერთს უამის შემდგომ გასწყდა ის მიმოქცეული გალობა მთაწმინდის შუა მთაში, თავისი გაძახილი ეპო და ისინიც გულმობილი მადლობელი დაშთებოდნენ, ვინცა კარგს ხმას ყურს უგდებდნენ გალობისას.

ზეციურისა ამის ცხოვრებითა ასე გაატარეს ორი წელიწადი იმ სუფთა წმინდათა. რაც მისართმევი მიუყვიადათ საქართველოს ერისაგან, თავიანთ სარჩოს გარდა, სხვა სულ საწყალსა, დავრდომილსა და გლახაკთ აძლევდნენ.

ორის წლის დასრულებასთანავე სპარსეთის ხელმწიფე აღიძრა საქართველოზედ ძლიერის ჯარებით და განძვინებული წამოვიდა უსამართლო შაჰთაბაზი.

გმადლობ ღმერთო! რა შეედრება ახლანდელს სწავლას... განვითარებას... და განათლებას... განათლებამ დასცა სიბრძნე და ველარ აღსდგება იმისი მხეცური ყოფა-ქცევა.

მშვიდობიანს, მოსვენებულს, ტკბილს და კეთილ ცხოვრებაში მყოფნი, ახლა ერთს დილაზედ მთაწმინდიდგან დაინახეს იმ ხუთთა წმინდათა შაჰთაბაზის ძლიერი მხედრობა, მრავალ ტოტებად დაყოფილი; სხვასა და სხვას ადგილებში მოვიდნენ, დროშებ გაშლილები და საქართველოს ნაყოფიერნი მინდვრები წაელეკათ იმათ ნიაველრულს მომდინარეობას.

ეს ხუთნი წმინდანი ამითი სიხარულობდნენ, რომ საქართველო მშვიდობიანს ცხოვრებაში იყო და მცხოვრებნი თავიანთს ნაყოფიერს მამულებს აკეთებდნენ გულმოდგინედ, ღვთისაგან მომადლებულის კეთილის ჯილდოს მისაღებად. ნაცვლად ამისა, ახლა საქართველოზე ამხედრებული სპარსელები დაინახეს უეცრად, — და, გულმობიერო, იგრძენ იმათი სული რა საშინელს ბორგვაში ჩავარდებოდა! სპარსეთის ცხენოსანი ჯარები მოვიდნენ გაამაყებულნი, ისინიც მთაწმინდიდგან დაჰყურებდნენ მეტად დაღონებულუბი. რა იცოდნენ რა ომი მოხდებოდა.

მოწინავე ჯარი ქ. თბილისს რომ დაახლოვდნენ, აქ თბილისელების საქონელი დახვდათ სპარსელებს, რომელიცა რამდენსამე ყმაწვილ ბიჭს დაუდიოდა საძოვარზე. ბრძანებისამებრ შაჰთაბაზისა: — „ცოცხალს ნურავის ნუ გაუშვებთ“ სპარსელებმა ხმლებს ხელი გაისვეს, ის მწყემსები იქვე აკუწეს და საქონელი გამოირეკეს. ამათ მახლობლად რამდენიმე დედაკაცი მივიდოდნენ ზევით სოფლისაკენ, წინდა-პაჭიქის ქსოვითა და მხიარულნი მიმგზავრობდნენ, რომელიცა ისინიც სპა-

რსელების ხმლებით დაიხოცნენ და იმათი სისხლით შეიღება იმ ადგილის მწვანოვანი მოლი.

ამ დროს ქ. თბილისში უეცარი ამბავი მოხდა, რომ ვაების ხმა გამრავლებოდა, დედა-კაცების და კაცებისაგან. რა იცოდნენ რა ამბავი იყო; ამ ეპოს ქ. თბილისში შემოცვივდნენ სპარსელების ცხენიანი ჯარი და დაერივნენ მცხოვრებში, დაუწყეს კაფვა დედა-კაცსა და კაცსა; ჰკაფავდნენ გამხეცებულნი სპარსელები უიარალოს თბილისელებს, როგორათაც შესეულნი კაცები ტყესა და თბილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ.

ქ. თბილისში ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდებოდა ჰაერში ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიციო ჰაერი იმათმა შესაბრალისმა ხმოვანებამ, მაგრამ ვინ გაიკითხავდა იმათ?

რამდენიმე მშვენიერი ქალები მამაცად და უშიშრად წინ წამოუდგნენ მოღერებულს სპარსთა ხმლებს, ხელები განუპყრეს და სთხოვეს საღმობიერით ხმითა, არ დასთხოონ იმათი უმანკო სისხლი. რა ბრძანებაა, ვერც იმათმა მშვენიერებამ ღმობილი ჰყო სპარსელების გული და ვერც იმათმა ვედრებამ, მხეციც მოღებებოდა იმათის ვედრებით, მაგრამ სპარსელებს სულ არ მიეკარათ იმათი ვედრება და არც იმათი მშვენიერის თვალებიდგან მომდინარე ცრემლი. დაუყოვნად ის მშვენიერი ქალები დახოცეს და იმათი სისხლით შესივარეს ხელები მტარვალებმა. შემდეგ დაერივნენ შიგნით თბილისელებში: დაუწყეს სვრა გაუკითხავებმა ქალსა, კაცსა და წვრილთა ყმაწვილებს. იმათი საცოდაობის სისხლი შჩქედდა, იმათის ხორცისაგან, რომლისგანაც სხვასა და სხვასა ადგილებზე მიდიოდა დარუებულისავით იმათი უმანკო სისხლი. წივილ-ძახილის ვედრება და გულმტკივნეული ხვეწნა ვის ესმოდა? ვინ იყო ამ საშინელების სახის მოწაფე? თუ არ დამშვიდებულა, მყუდროდ მაყურებელი იმათზედ.

ამ ვაების დროს ნახეს ერთი ჰაეროვანი, უცხო სახის ყმაწვილი კაცი მორბოდა სიონთა ღეთის მშობლის ეკლესიის წინ ქუჩაში და ძლიერის მუშტით იგერიებდა თანამომდევართა სპარსელებს, მაგრამ ოთხსავე კუთხივ მოასწრეს ხმლიანმა მკვლელებმა; ის იყო უნდოდან აეკუწნათ ის ყმაწვილი კაცი, ამ დროს ასეთი კივილი მოისმა, რომ მოღერებული ხმლები ისე დარჩათ სპარსელებს. შეხედეს, ერთი მშვენიერი ყმაწვილი ქალი მოვარდა, ამ ყმაწვილს ყელზედ გადაეხვია და სურვილით უთხრა.

— „შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მეც შენთან მოკვდები, ჩემო გიორგი.“

ამ სიტყვაზედ იმ ყმაწვილმა კაცმა შეხედა, ნახა რომ იმისი ცოლი იყო, რომელიც გივისავით გადაეხვია და ეგრეთისავე სურვილით უთხრა.

— მოდი, ჩემო ნინუცი, ორნივე ერთად დავიხოცნათ მტარვალე-
ბის ხელისაგან.

ერთის კვირის წვარ-დაწერილები და გაგიყვებით მოყვარულნი ერ-
თმანეთისა, უწყალოებმა ზედ ეკლესიის მახლობლად ჩაკაუეს ის უმან-
კოები და იმათი წმინდა სისხლით მოისხურა ის ადგილი.

ის იყო მოღერებულთ ხმლიანებსა უნდოდათ შესვლა სიონთა
ღვთის მშობლის ეკლესიაში, ამ დროს ერთი მაღალი ხმა მოესმათ უკა-
ნიდგან. „ხელი შეინახეთ, ეკლესიაში უჩემოდ არავინ არ შევიდესო“.
შეხედეს, შაჰთაბაზ მობრძანდებოდა ოქროს დასტულის თეთრის ცხე-
ნითა, რომელიცა ყოველი სპარსი განკრძალული დადგა.

შაჰთაბაზ ცხენითგან გადახტა და ეკლესიაში შებრძანდა. იქ შე-
სულთ ქალებმა შემობლავლეს და კაცები კი გაჩუმებულნი იყვნენ.
აქედგან ბრძანებულმა ანიშნა დაჩუმებულიყვენ. თუმცა დაჩუმდნენ,
მაგრამ თრთოლით მოელოდნენ — „სადაც არის უბრძანებს ჩვენს გაწყყ-
ეტასაო“.

შაჰთაბაზ მივიდა და შუა ეკლესიაში დასდგა. ამ საუცხოვოდ შემ-
კობილს ეკლესიას თვალი რომ შემოავლო, დაიძახა: „ღვთის სახლს
რომ იტყვიან, სწორედ ეს ის სახლი არისო“. მერე მკაცრი ბრძანება
ჯასცა; არავინ არა აენოსრა ამ ღვთის სახლსაო. იქ შესული ქალი და
კაცები აღარ გააწყვეტინა იმ ეკლესიის პატივის ცემისათვის.

ამ თბილისელების საცოდაობის კვილ-ძახილის ხმა ესმოდათ იმ
ხეთთა წმინდასა მთაწმინდაში, რომლებსაცა შეეძლოთ გაქცეულიყვ-
ნენ. მთაზედ გადაეველოთ და ერთს მიფარებულს ადგილს თავი მოერ-
ჩინათ, მაგრამ თქვეს: „რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგ-
ვემართოსო და მტარვალეების ხელით დავიხოცნეთ, ჩვენი მამა-პაპუ-
რის სახელოვანის სიკვდილით, ვინაიდგან სასუფეველი მიგველის ზე-
ცაში სარწმუნოების გამოვო“.

ამ სიტყვაზედ დადგნენ და დედა-მიწაზედ დამხობილნი, საცოდა-
ვათ ბლაოდნენ თბილისელებისათვის ის ოთხი ქალი და მწარესა ცრემ-
ლსა აფრქვევდნენ გულამოსკვნილები. გულგანხურვებულს მღვდელ-
საც მოეხადა ქუდი, ზეცად ხელები განეპყრა და გულმტკივნეულად
შესძახოდა ღმერთსა. ამ ვაებაში და ამ მწუხარებაში იყვნენ, ქ. თბი-
ლისის ავარდა ასეთი საშინელი ალი, რომ მთელი ქალაქი ცეცხლად გა-
დაიქცა და იმისი ალი უმაღლესსა პაერს შესწვდა: ამის მნახველი
უდიდესი მწუხარება და ვაება გაამრავლეს, ვინ იცის რამდენი ქალი
და კაცი დაიწო იმ ალით?... ვინ იცის, რამდენი წვრილი ყმაწვილები
დაწვეს იმ საშინელს ცეცხლში?...

რამდენ გუნდგუნდს მიიყვანდნენ დედა-კაცთ და კაცებს: ეტყოდ-
ნენ, გათათრდოთ; ნაცვლად პასუხისა, ესენი თავს მიუშვერდნენ სარწ-
მუნოებისათვის და სპარსელებიც აყრევიანებდნენ შეუბრალებლად. გა-

ლესილის ხმლებით. ამდენი თავები დააყრევინეს, რომ ბეზარს მოვიდნენ და შაჰთაბაზმა უბრძანა, მხოლოდ ტყვედ ჰყონ დანარჩენნი. არა მხოლოდ თბილისში იყო ეს ამბავი, არამედ სადაც კი სპარსელები შევიდნენ, ყველგან ეს საშინელება ასტეხეს.

ამ ვაებაში რომ იყვნენ ის ხუთნი წმინდანი, ამ დროს ერთი მცირედი გუნდი დაინახეს იმათზე მიმავალი სპარსელებისა.

აქამდისინ დავრდომილებმა, სპარსნი რომ დაინახეს იმათზე მიმავალი, მაშინვე გული დაიშვიდეს და როცა იმათთან მივიდნენ, ისინიც შეურყეველი გულით დახვდნენ და ანნამ უშიშრათ უთხრა:

— „მოდით. მტარვალეზო. მაინც არ გეწყალვისთ, როგორც თბილისელები“.

ერთი ხნიანი თეთრ-წვერა კაცი ერია; ის იყო იმათი ათასის თავი, რომელსაცა დიად კეთილი სახე ჰქონდა. ის ცხენიდგან გადახტა, სხვანიც იმასთანა. იმ ათასის თავსა ბრძანება ჰქონდა, თბილისის მიდამო ადგილები დაეარა და თუ ენახა ვინმე, უნდა გაეწყვიტა, ამის გამო იმასთან მიჩენილი იყო ერთი საქართველოში გაზრდილი სპარსი, კარგათ მცოდნე ქართულისა. — ანნას სიტყვაზედ, იმ ათასის თავმა იმ მიჩენილ სპარსსა ჰკითხა. — „ის შაოსანი ქალი რას ამბობსო“. იმან გადაუთარგმნა და ათასის თავმა გალიმებით უთხრა.

— „იქნება უარესის სასჯელით დაიხოცნეთ თქვენ. მანამ თბილისელები“.

— „ჩვენ არ გვეშინიან, რომლის სასჯელითაც გინდოდესთ, დაგვხოცეთ“.

ანნამ უშიშრად უთხრა ეს სიტყვა და ამ თქმაზე ამისი ამხანაგებიც შეუპოვრად მოუდგნენ ანნას გვერდით. ათასის თავმა იმათი შეუპოვრობა რომ ნახა, ლმობიერის გულით უთხრა.

— „ვითომ რა უნდა ჰქნათ? — აჰა, მიიხედეთ ამ ქვეყანას, როგორ აიხსნენ ჩვენის ჯარებით, — აბა რასა იქთ? — ბრძანება არის შაჰთაბაზისაგან, ზოგი უნდა გაწყვიტონ და დანარჩენნი ტყვედ წაიყვანონ“.

— „მითხარ, რა ბრალი აქვსთ ქართველებს სპარსელებთან?“

— „უკუ-უდექით შაჰთაბაზს“.

ანნას პასუხი უნდა ეთქვა, მაგრამ ათასის თავმა აღარ დააცალა ღა უთხრა.

— „მშვენიერო ქალო. ნება არა გვაქვს, რომ ბევრი გელაპარაკოთ. ამისთვის მოკლედ გეტყვი: ჩემი რჩევით მრავალნი გაბედნიერებულან და თქვენც ისე გაბედნიერდებით, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ“.

მოდიდურის და მრისხანის სახით მიუგო ანნამ.

— „აბა თქვი, რა გაქვს სარჩევი?“.

— „ჩვენი სარწმუნოება მიიღეთ“ — დაუყოვნად უთხრა ათასის თავმა, ეგონა ამით ასიაშოვნებდა.

— „მგონია, უფრო მაგისტვის ქლევტ ჩვენს ქართველებს. რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და თქვენ განძლიერებული მაჰმადიანი, თორემ მაგისტანა ტყუილს რათ მოგვიგონებდით? — „უკუგვიდექითო?“ აბა ვინ გიდგათ წინა? — მაგრამ არა, რადგანაც ქრისტიანები ვართ ჩვენ, ამისთვის ტყუილი მიზეზი გიპოვნიათ და უსამართლოდ ქლევტ ქართველებს, ნამეტნავად უიარაღოთ. მე დედაკაცი ვარ და თქვენ მაგიერათ მე მცხვენიაან“.

მართლა, ყველას ასე შერცხვათ სპარსელებსა ვინც იქ იყვნენ, რომ თვალი ველარ გაუმართეს ანანასა.

ერთი გულ-ფიცხი სპარსი წამოდგა წინა, — ის იყო ათასის თავის თანამემწე და გაფიცხებულმა უთხრა.

— „თუ გათათრდები დიად კარგი, თუ არადა ეხლავ უნდა დაგხოცოთო. ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა“.

ანამ დიახ დამშვიდებით და თავილობით უთხრა.

— „ნუ გვაშინებთ სიკვდილით ჩვენ, — ოღონდ იმთენი დრო მოგვეციო, ჩვენის სარწმუნოების წესი შეცაბოლოთ და მას უკან თქვენი სურვილი აღასრულეთო“.

თუმცა სპარსნი თანახმანი შეიქმნენ, მაგრამ გაკვირვებულნი იყვნენ იმათ უშიშარობაზედ, ისინი რომ თანახმანი შეიქმნენ, ესენი დავით გარეჯელის ეკლესიაში შევიდნენ და კარგახანი დაპყვეს, იქ მღვდელმან ლოცვები წაიკითხა. შეძლებ გულ მზურვალეს ცრემლით წმინდა საიდუმლო მიიღეს და მერე გამოვიდნენ, შეხედეს ამ ოთხს მშვენიერს ქალს, თავები მოხდილი ჰქონდათ: თავიანთი გრძელი შავი ბზინვარე თმები შუბლზევითვან თავზე შემოებორბლათ და განსპეტაკებული თეთრი ყელი სრულად უჩნდათ მბრცნაჟისინ. ეს ის ნიშანი იყო: „უფრო აღვილად გაგვადგებინებენ თავსაო“. ასე და ამ სახით უფრო მომატებული შვენება მოჰფენოდა იმათ სახეს და ერთი მეორეს მეტად ამშვენებდნენ, ეტყობოდათ ზეციური ნათელი სწეოდათ იმათ.

ამათ მოუძლოდა ჯვარით მღვდელი ანთებული წმინდა სანთელით, დიად მაღალი ტანისა. სახე იმისი იყო მედიდური, თმაცა დიად შავი ჰქონდა და ხუთნივე დაწყნარებულის სახით მოვიდოდნენ მტკიცის ნაბიჯებით.

მოვიდნენ, ჯვარი მწოვანსა ადგილსა დაასვენა მღვდელმა, წმინდა სანთელი წინ დაუნთო; მერე ხუთთავ დაუჩოქეს ჯვარსა და შეწყობილი გალობა აუშვეს უუმშვენიერესის ხმით.

ის ხნიანი ათასის თავი ამ დროს ერთ საფლავის ქვაზე იჯდა იმათ

მახლობლად: ასე ეცოდებოდა ისინი, და ასე ელმო იმათი გალობა, რომ შესაბრალონად ატირდა, წამოხტა მოუთმენლად და ხელ-გაპყრობით ზეცას შესძახა.

„ოჰ, ღმერთო! რა ბრალი აქვს ამ საცოდავებს?..“

ამ თქმაზედ გულადნა ცეცხლმა თანა-შემწემ დაიძახა — „არ იქნა, ესეც გაქრისტიანდა“.

იშიშვლეს ხმლები; გაცეცხლებულებმა ექსპლექტით ერთად დაკაფეს ის წმინდანი და იმათი სისხლით გაწითლდა ყვაილ შერეული ის მწვანოვანი ადგილი.

ასე დაიხოცნენ ის ხუთნი სული სარწმუნოებისათვის და მეექვსე სიწყალულისათვის.

მიმავალ სპარსელებს ტყვეები, რომ მიუდროდათ ჩვენის ქვეყნიდან, გუნდ-გუნდად, ხელებ გაკრულები. ქვევითები, ფეხშიშველანი და დაბნძილი ტანისაწონით, ზოგი დედ-მამას ტიროდა, ზოგი ძმებსა, ზოგი დებსა, ზოგი შვილებს და ამ სავაგლახოს მწუხარებით თავიანთს ქვეყანას ესალმებოდნენ საუკუნოდ, მაგრამ უფროსი ერთი მოთმინების მღუმარებით იყვნენ და ხმას არ იღებდნენ.

იმ დიაკვნების აღარა ითქვარა აქ, ამისათვის რომ მინამ ის უწყალობა შეემთხვევოდათ, იმის წინა დღეებში მახლობელს სოფლებში გაგზავნეს სარჩოს მოსაკრეფად. საშაბუროში რომ მივიდნენ, იქ ბარბარე მოლოზნის დას შეხვდნენ, იქვე გათხოვილსა: ეს ქალი უფრო მინაზებული ლამაზი იყო, სუსტის სიამისა, ახლად დაქვრივებული და არც შვილი ჰყავდა, რომელმანცა დიაკვნები კარგათ მიიღო.

მეორე დილას ესეც დიაკვნებს გამოჰყვა, შვიდი ცხენოსანის მოსამსახურით, საუტხოვოს საგზლით და სთქვა: — „რახანია დაი არ მინახავს, წავალ და მცირეს ხანს იმასთანა დავყოფო“.

ქ. თბილისზედ ცოტა მოშორებით რომ მოვიდნენ ვერის ხეობაში, იქ რამდენიმე კაცები და დედა-კაცები მორბოდნენ თავიანთის შვილებით და ამას მოიძახოდნენ: — „არ იქნა, თქვენს თავს უშველეთო: ქალაქელებს ყიზილბაშის ჯარი შემოგვეხვია. ქალაქელებს წყვეტა დაგვიწყეს და აქაც ჩქარა მოვლენო. მანამ ზევით პირში ჩვენს მხარეს ამოვიდოდნენ, გოყისავითს გამოვცვივდით და ამ ჰალისაყენ გამოვიქვითო“.

ამათ გაკვირვებით მიუგეს: — „რას ამბობთ, როგორ თუ ყიზილბაშები?“.

ამ სიტყვაზე იმათ ამოიხრეს და უპასუხეს. — „უეცრად შემოგვესივნენ, თორემ თუ შეგვეტყო, თავიანთ ყოფას ნახავდნენ.“

ეს რომ სთქვეს. მაშინვე ვერის ხეობაში შეცვივდნენ ხშირ ჰალაში

და წვრილმალნი დაიძალნენ, გაკვირვებულნი ესენიც ქალაქი შევიდნენ და წყნარ-წყნარა შეუდგნენ ხეობას ამ ლაპარაკით.

თქო თევდორე დიაკვნმა: „ღმერთო, შენ დაიფარე ლუარსაბ მეფე; დღეს დილას მე ვნახე, თავის შვილს რომ მარხავდა მცხეთის ეკლესიაში, სადაც თავიანთი მამა-პაპის სასაფლაოა; თუ ეს შეჩვენებული ყიზილბაშებიც იქ წავიდნენ, სახლეულობით დატყვევდება ლუარსაბ მეფე. შვილის სკვდილზე მეტად შეწუხებულია მეფე. ასე, რომ გონება დაკარგული აქვს, ამისთვის ამ ყიზილბაშების შემოსვლის ამბავი სრულებით არა იცის რა და მეწინიან არ დატყვევდეს“.

პეტრემ უპასუხა. — „იმისთანა კარგს მეფეს ღმერთი დაიფარავს და იმედი მაქვს, რომ ყიზილბაშები იქ აღარ წავიდნენ“.

— „ღმერთმა ინებოს“, — თევდორემ მიუგო. თუნცა იმათი ლაპარაკი ქვრივს ქალს ესმოდა, მაგრამ მეტად დაღონებული იყო, ისე უეცრად ყიზილბაშების შემოსვლაზე.

მწყნეთის მთიდგან ქ. თბილისს რომ გადნობდეს, ნახეს ქალაქი ცეცხლად იყო გადაქცეული, რომელინიცა მწუხარებამ აიტაცა და ქვრივმა ქალმაც თავი გაიწუნა საცოდავმა.

სადაც სპარსელები ველარ შევიდნენ. ეს საშინელი ხმა მაინც ჩქარა მივიდა იმათთანა, საიდგანაც ცეხოვრებნი გამოკვივდნენ და ტყიანს მთებს მიმართეს საჩქაროდ, რომელთაცა ქონება სულ სახლებში დარჩათ, ასე სწრაფად გამოკვივდნენ.

სპარსელების დაბრუნების შენდევ. ორი დღის დახოცალები იყვნენ მოლოზნები. რომ ესენი მოვიდნენ. დახოცალს მოლოზნებს და სხვებს რომ დახედეს, გულმტკვნეულად ატორდნენ, ნამეტნავად ბარბარეს დაი, ტიროლით რომ გული მოიოხნეს. მიწა გასჭრეს ეკლესიის მახლობლად და ხუთნივე ერთად დაასაჯლავეს. იმ მოხუცებულის სპარსის სიკვდილიც შეიტყვეს, როგორც იყო. და იმასაც იმათ გვერდით დაუშკვიდრეს საუკუნო განსასვენებელი. ამ ამბავში კიდევ დაღამდა.

იმ ღამეს ის დიაკვნები და ის ქალი ისხდნენ საფლავებთანა გულხელ დაკრფილები; ხანდისხან შესაბრალისს კვნესას ამოუშვებდნენ და თან მწარეს ცრემლს აბნევდა დაქვრივებული ქალი. ამ მწუხარებაში იმ დიაკვნებმა განიძრახეს ბერად შედგომა. რომლებიცა მეორე დღეს შიო მღვიმის უდაბნოსკენ წავიდნენ, სადაც მტერი აღარ შევიდა შიშის გამო: არც იქ და არც მცხეთაში.

ეს დიაკვნები შიო მღვიმის წმინდა კრებასთან, ძმათა მოვიდნენ და მონაზონად შედგნენ იქა, სადაცა ბოროტებისა აღარ ისმოდა რა, თვინიერ ძმობისა. სიწმინდისა და სიკეთილისა.

ბოლოს იმ ქვრივის ქალისა თქვეს: სამს თვეს უკან მწუხარებით მოკვდაო.

ღვეთი ალმაჟენებალი ანუ უკანასკნელი შანი საქართველოში

ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად

გომამდნი პირნი

აბულელი, ქ. ტფილისის მამასახლისი და ამის ამხანაგნი ორმოცნი.

ანასტასია, ამის ცოლი, პირველი სახლის ქალი სომხისა და ამის ამხანაგნი ორმოცი ქალი.

ელენე, ამათი ქალი და დანიშნული.

ლიპარიდ, ელენეს საქმრო და ამის ამხანაგი სამოცი. ამ სამოცში ერთი აბესალომ. ლიპარიდის მეგობარი, ესეც პირველი სახლის შვილი სომხისა. ლიპარიდის ძიძისშვილი.

ზურაბ და ამის ამხანაგნი.

სერაფიმ ბერი ი. აბულელი მამასახლისის ძმა, უდაბნოს ბერი და ოცი სხვა ბერი.

ოთარი, აბულელის ერთგული მოსამსახურე.

არიშიანი და ბარამ, საქართველოს პირველი კაცის შვილები.

ივანე, ლიპარიდის მამა, გამოჩენილი კაცი საქართველოში და ამის ცოლი სარა. ოცი პირველი სახლის შვილები, კეკელიძის მთებიდან და ამთგანი ერთი ბეჟენე. თურქებისაგან თვალებდათხრილნი ქალნი და კაცნი და მათი ხელის დამკვრენი წვრილი ყმაწვილები.

დავით მეფე, ანუ აღმამენებლად წოდებული და დედოფალი გურანდუხტ. ნინო ა. კახაბერის ძე და კლდეკარელი თევდორე. საქართველოს გამოჩენილნი კაცნი. ნინო, ლიპარიდის დედიდაშვილი და ამის ამხანაგნი ორმოცნი, ყმაწვილი ქალები. ოთხი ობოლი ქალი, სერაფიმ ბერის ყურადღებით გაზრდილნი.

ბურდული, ნადიბაიძე და ზაქაძე და ამათი ამხანაგნი ოცდაშვიდი. სულ თეთრწვერა დიდათ მოხუცი. დაქრილი ბერი.

თურქების ბრძანებლობის ქვეშე, პირველი არაბი ასისთავი. მეორე არაბი ამაღის პირველი კაცი. მესამე არაბი, ორმოცდაათის თავი. მეოთხე არაბი ათისთავი და სხვა ჯარისკაცი, ასი არაბი.

ჯვარდაუწერელნი გაუთხოვარნი ქალნი—ბეგუმ, როდამ, ბაზიყა, სოსანა და მანჯა, არიან დანიშნულნი.

გორჯასპი.

ოქანეზა. ინდოელი სომეხი. ამის ამხანაგნი ცხარამეტი და ამათში ორნი მახარობელნი. ქართველების კათალიკოზი იოანე. სომხების პატრიარქი გიორგი და მაჰმადიანთ პირველი ახუნდი. პატარა ყმაწვილების დასი ვაჟებისა და ქალებისა.

ომში დაკეწული კაცი და დამახინჯებულნი. კიდეც ომში დაკეწული ქალნი,

ეგრეთვე განთვლებულნი და იმათში ნინოც, ლიპარიდის დედიდაშვილი.

მგალობლები. ქალნი და კაცნი ორს მოაჯირხედ.

დედოფლის გურანდუხტის მახლობელი ქალი მათა.

კეკელიძეების ოთხი მხედართმთავარნი შავი ზღვიდამ კასპამდისინ — მანზა, არდოშ, დაელე და სავარ.

საქართველოს სამნი მახარობელნი.

• მომდერალნი. სამი ქალი და სამი კაცი.

• თარგამოსის ერნი და ექვსი დროშა.

• ღორმეტი ეპისკოპოსი.

დავით აღმაშენებლის კრება — ამის მოძღვარი არსენ იყალთოელი, ფილოსოფოსი იოსებ, თეოფილე, ივანე ტაიჭის ძე, ეფრემ მცირე და პეტრიწი ჭირჭიმელი. მცხეთის ეკლესიის კედელზე თარგამოზის სურათი, ამის რვა შვილისა და ამათი სახლის მომავალნი, ქალებისა და კაცებისა.

პირველი მოქმედება

ვიწრო, გრძელი ოთახია ორხუებით მოფენილი: ერთ მხარეზე ტახტი დგას, აქეთ-იქით სკამები უდგას. საფენით მოფენილს შუა ოთახში მუთაქაზე წამოწოილ-დაყრდნობილია მკლავზე აბუღელი მამასახლისი. ამ ოთახის წინ სულ რუსები ახსნიან აქვს, და მტკერის მომდინარეობა სრულიად ჩანს, აბუღელი ღრმად დაფიქრებულია და როდესაც ფიქრებისაგან გამოვა, თავს აიღებს, დაღონებულის სახით ნელად წამოდგება, მტკეარს მიხედავს, შესაბარლსა ოხვრას ამოუშვებს და მასუკან გულ-მტკივნეულად მოაკყება.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ოპპ! ავდენ დაღონებას ვინ უნდა გაუძლოს მტკუარო. უფრო სწორეთა ვსთქვათ: მტკებარო მდინარეო! სამოთხის მზგავსო, საქართველოს რომ ჩამოეცლები კანკლედად: მშვენიერი ქართველი ქალი, სპილოს ძელის საეარცხლითა, გრძელ შავ-მომბზინვარეს, ნაწნულ გაშლილს დალალებს რომ ჩამოივარცხნის, თეთრ, სპეტაკის, საუცხოვოს თითებით და გაატლასულს ყელს-მკერდებზე დადღევა-რობს, იმისთანა სიამოვნება გაქვს შენა. შენს მონარნარეობას შევამსგავსებ: გაზაფხულ გაფურჩქენილს. უმზეოსა დიდის წალკოტში; მორთულ-მოკაზმული, მშვენიერ მოწიფული ქართველი ქალი რომ შევა, წყნარის სიარულით ყვავილებთა შორის და ვაზების ხეივანებში დანარნარებს, სწორეთ იმისი კმაყოფილება გაქვს შენცა. — შენი მოხმაურობა შეედარება ჩვენის ლამაზის ქალის საღიღინარსა ხმასა, როდესაც წინწილსა ზედა დაღიღინობს, და გაშლილ ვარდებთან მჯდობარე, ვარდებს ეღუღუნება. ეგრეთ ეღუღუნე, საამოდ ეკმაყოფილები შენს საქართველოს. ღმერთსა თავისი მდიდარი ყოვლის კეთილით საესე კალთა, ჩვენის დიდის მამის თარგამოზის ერთიანს ამ კავკაზიის ქვეყანაში ჩამოუბერტყავს... მაგრამ ამთენი შენი საუცხოვებით ვით ნუგეშობს მტკეარი? ვის მონებას ქვეწ იმყოფები? მითხარ, ვერა გრძნობ? სამოთხის მგზავსი შენი საქართველო თურქთა წარიტაცეს, შენსა სასიცოცხლოს ჰაერსა იგინი ჰყლაპავენ? შენსა დამატკობელსა წყალსა იგინი სვამენ? შენს მიმომცურავსა გემოვანსა თევზსა იგინი სვამენ? და ყოველი რაიცა არის შენს საქართველოში, სულ თურქებისაა. ქალნი და ძენნი შენნი საქართველოვ. სულ ერთობრივ თურქთა თაყვანს ვცემთ მოწიწებით, იმათ წარბებს შევცქერით გაფაციცებით,

რად ვასიამოვნოთ და იმათი სასარგებლო რად ვქნათ.—ოჰ! რა უსამართლოდ იღუპება პარბაროსებისაგან ჩვენი შვილების საკურველი გონების ნიჭი, მთელი ქვეყნის და კაცობრიობის დიდი შესამატი კეთილი! აი, რა არის დაჩაგრული კარგი კაცი. მტარვალნი ძლიერის კაცისაგან? — რა გაეწყობა მონებას! ჩემო მშობელო საქართველოვ! ადევ, ჩემს მახლობლად მოდი დაჯექ! (მუთაქაზე დაჯდება) სამგლოვიარო ხმა აღმოუშოთ: საცოდავთ ღმერთს შევბღავლოთ ვა! მგლისაგან შეშინებული ბატკანი, უგება ჩვენი სამწუხარო ხმა გაიგონოს და იმ დალოცვილმა ღმერთმა შეგვიბრალოს (აჲ ღრმა ღუმოშივე ჩაუარდება, მაგრამ დაახ. ცოტას ხანს; შემდგომ ახედავს და თავის ქალს ელენეს დაუახებებს) შვილო, შვილო. ელენე!

ელენე — (დაახ. კრწანდით შემოვა და ეგრე მოახსენებს) რა გნებავთ, ჩემო ბატონო მამავ?

აბუღელი — რაღა რა მნებავს ჩემო ელენე, ი, დედი შენის საქმე მიკვირს, სად წავიდა?

ელენე — შენი ჰირიმე მამავ, თავის სამშობლოში გაიხლათ, თავის დედას, ბებიაჩემს დაებარებინა და იქ წავიდა. ეხლავ მოსამსახურეს გავგზავნი, საჩქაროთ დავიბარებ. (ამასთანვე გავა, აბუღელი თუმცა თვალს გადაეწვინებს, მაგრამ ისევ თავს ჩაკლებით ჩაფიქრდება. შემდგომ ახედავს და წუხარებით იტყვის).

აბუღელი — ანბობენ: ქალაქ ტფილისის მამასახლისი აბუღელი ფიქრიანი არისო. გამიკითხეთ ღვთის გულისათვის, აგრე ჩქარა ნუ მკიცხავთ, აბა ფიქრიანი როგორ არ ვიყო? რომ ჩვენი ქვეყანა თურქთა აქვთ მიტაცებული. და ეს ფიქრიანი სასიკვდილოა ჩემთვის. ჩვენი ქვეყანა თურქებს უნდა ჰქონდეს მიტაცებული? არ ვიცი, რა სამართალია? ოჰ, დაღუპილი ენავ და მოკვდი გულო! ჩემო ფიქრო, ჩემი ფიქრი ეს არის, რომ ჩემი უსაყვარლესი და უპატივცემულესი მოხუცებული გამდელი მზისახარ! როგორ დამავიწყდება, ის იმისი თეთრი თმანი. მედიდური თავი და გრძელი კავები, თოვლსავით მხრებზედ გადაფენილი, ის იმისი გაბრწყინებული პირმრგვალი თეთრი სახე? შე საწყალო მზისახარ, რა იყო, რომ მცირეწლოვანს ყმაწვილს ამიყვანდი ხელში ხშირად, შენს პტყელს მკერდზედ მიმიკრავდი ორის ხელით მაგრა. შენც ატირდი და მეც ავტირდი საცოდავთ ასე. რა გულს მოიკლავდი ტირილითა, მსუქან მოჰყვებოდი და საშინელის სიტყვებითა თურქებს სწყევლიდი, ჩვენის მამულის მიტაცებისათვის. გარდა ამისა, ყოველს ღამის გათენებას, პირველს ყვილის მამლისასა, შენ რომ ძილით აღგებოდი შეღონებულის გულით, სადაც ბნელი სიჩუმის მეტი, სხვა ხმა არა იყო, თვინიერ ხანგაშვებული ყვილი მამლისა. ამ სასიკვდილოს ემს, რომ წამოიჩოქებდი ხელგანპყრობილი ღვთისადმი, მწარეს ცრემლით, გულმტკივნეულის ძლიერის სიტყვებით და სთხოვდი თურ-

ქებისაგან განთავისუფლებას. იმ ვედრებით დაქანცული, ბოლოს დროს რომ ცენესით წაიქცეოდი და რას ყოფით დატანჯული ძილი მოგივიდოდა. მართალია, მე მაშინ ყმაწვილი ვიყავ, მაგრამ სულ მესმოდა შენს მახლობლად მწოლიარეს, ეგ შენი მწუხარება ჩემი გულის დასადალი ძლიერ. არა, არ დამავიწყდება ეგ შენი ლოცვა ღვთისადმი, და ეგ შენი სიმწარე მამულისათვის. არამცთუ დამავიწყდება, უფროს და უფროს გაუჭდის ეგ შენი საცოდაობა ამ გულს. ჩაუვლია გაბორკლვლილსა მამულის სიყვარულის ფესვებს ხელი, ჩემი სრულის აგებულებისათვის, და იმავე ყმაწვილობითვე ვიტანჯები, დაფარულად მამულისათვის. ეს იყოს შენგნით სახსოვარი ჩემო გამზრდელი მზისახარ, აწ ბედნიერო საფლავში, რომ მტარვალს თურქებს აღარ უყურებ. აჰა, ჩემი ფიქრი, აი, ჩემი მღუმარება. (აქ ისევ ღრმად დაფიქრდება, ამასობაში ვიღაც ჩადრწამოსხმული სწრაფად შემოვა. ანასტასია საჩქაროდ ჩადრს გადასტყორცნის და აბულელს შეაძახებს მხიარულის ხმით).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — ჩემო სიცოცხლე, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, რათა ხარ აგრე დაღონებულა?

ა ბ უ ლ ე ლ ი — (წებდავს უკმაყოფილოდ) სადა ხარ, შენ გაზრდას? ხომ იცი მშობლის მამულის სიყვარულით დაჩაგრული ვარ. კიდევ შენი სიყვარული მათმენინებს, თორემ აქამდისინ ოცჯერ მოვკვდებოდი.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — შენ რომ აგრე ამბობ, ჩემს გულს რაღას ეუბნები? როდესაც შინ არა ხარ ხოლმე, როგორ ვიტანჯები მამულისათვის უშენოდ? (აბულელი მეტის კმაყოფილების სურვილთ შეხედავს ანასტასიას) რა ვქნა, მოხუცებულს დედას დაეუბარებინე, იქ წავედი.

ა ბ უ ლ ე ლ ი — როგორა ბრძანდება, შეუძლოდ ხომ არ არის?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — (გვერდით მოუჭდება და აღერსით) ღვთის მოწყალეობით კარგად გახლავთ. სამღურავეი მითხრა: ეს სამი დღეა შენის უნახაობით შევწუხდიო. ესეც მკითხა თვალ-ცრემლით მოხუცმა დედამ: დავით მეფის წიგნი აღარ მოსვლია შენ ქმარსაო და ან თურქებისა რა იცისო?

ა ბ უ ლ ე ლ ი — ჩქარა კაცი გაუგზავნე, საშინელი დიდი ძალა დაუმარცხებია მტრისა თავრიზთან, რომელიცა მცირე ხანს უკან, თვით მე ვიახლები და ყველას მე მოვასხენებ (ამ დროს სწრაფიმ ბერი შემოვა და დაიძახებს).

ა ბ უ ლ ე ლ ი — შენი შეუძლებლობა არ ვიცოდით თორემ, როგორ არ გნახამდით, მეც და შენი ეს რძალიც. როცა მოკითხვის მოსამსახურეს გაახლებდით, გვითვლიდი: კარგათა ვარო.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — მე ბერი ვარ, ჩემი შეუძლებლობა რათ უნდა იცოდეთ და ჩემი გულისათვის შეწუხდეთ (ამ სიტყვასთან სამივე გაჩუმდებიან, ბოლოს).

ა ბ უ ლ ე ლ ი — შორს, შორს ლაპარაკს, მაგრამ შენს მადლს მამაო სერაფიმ, ჩემი სასიძოხათვის პარაკლისს არ იხდი ხოლმე?

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — არამც თუ ერთხელ, ყოველს ცისმარეს დღეს ვდგავარ მეტეხთა ღვთისმშობლის ეკლესიაში, ვთხოვ და გულმხურვალეს ცრემლით ვევედრები შენი სასიძო ლიპარიდის მშვიდობის გამო.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ევედრე შენს მადლსა, შენს წმინდას ლოცვას ლმერთი გაიგონებს და თურქების ხელიდგან გამოგვიხსნის. ლმერთო, როდის გვეღირსება.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — მშობლის ქვეყნიდგან თავისუფლება, ოჰ რა კარგია, მაგრამ ის ყმაწვილი კაცი. ჩვენი სასიძო იმ საშინელებაში რომ არის ჩაყარდნილი, ყველგან თურქები ეძებენ: დავით მეფესთან მიწერ-მოწერა აქვსო. ამის გამო სადღაც რომ დამალულია, აბა რა ვქნათ, თუ იპოვნეს ხომ თავს გააგდებინებენ უწყალო თურქები.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ჩემო ანასტასიავ, მშობლის ქვეყნის განთავისუფლებას ვინც მოინდომებს, იმას ბევრი განსაცდელი სდევს, მაგრამ როგორც მე ლიპარიდს ვიცნობ, თუ მძინარე არ დაიჭირეს, ვერაფერ ვერ შეეხება იმასა: საკურველი ღონე აქვს ძლიერი და ვაჟკაცობისა ხომ რაღა გითხრა!

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — მშვიდობა თქვენთანა. (წარმოდგებიან ცოლქმარი და სიამოვნებით ხელზე ემთხვევიან).

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — როგორა ხართ? ხომ კარგად იმყოფებით ყველანი? (აქ ანასტასია გაუა).

ა ბ უ ლ ე ლ ი — შენის ლოცვით კარგად გახლავართ. ვთხოვთ დაბრძანდეთ. დაღალულსა გეეხართ.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — შორსა ვდგევარ და ცოტათი დავიღალე, (ამასთან ანასტასია ისევ შემოვა, მივლენ, ტახტზედ დასხდებიან, შუაში ბერს ჩაისწენ და აქეთ იქიდგან ცოლქმარნი მოუსხდებიან).

ა ბ უ ლ ე ლ ი — მეტეხის ღეკანოზი მეტად გიყვარს სერაფიმ? სერაფიმ, როცა ჩამოხვალ იმასთან დადგები ხოლმე?

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — ჩემსავით ხნიანია, ეკლესიაც ახლოა. მომითვეთ, ეს მესამე დღეა, აღარ მინახვიხართ ცოტად როგორღაც ვიყავ, ღვთით ახლა ისევ მოვლონიერდი და მაშინვე წამოველ თქვენთან.

ა ბ უ ლ ე ლ ი — საიდგან?

ს ე რ ა ფ ი მ — თავრიზიდგან.

ს ე რ ა ფ ი მ — როგორ? ის კაცი ჰფრინავს თუ რა, ან შავია? როგორც შავარდენმა წაიყაროს ფრინველთ დასი წინა, იმას მიემსგავსება თურქების გამლალველი ჩვენის მამულიდგან.

ა ბ უ ლ ე ლ ი — მართლა და აგრეა, რა ამბავია, თქვენი ჰირიმეთ,

იმისაგან, ვერ მიმესვლა: ვერ არ ვიცი, როგორ მოხდა. ვითარს შეიძლო?

ანასტასია — მიხარია, ნაშ რისთვისა არის ქ. ტფილისში და მეფე დავითთან არ მიდის?

აბულელი — როგორ გავიდე, ყველგან დარაჯები უყენიათ თურქებს და ლიპარიდს ეპებენ; ისევე ჯობიან დამალული იყოს დრომდინ, ვნახოთ. ღმერთი რას ინებებს. მამაო სერაფიმ, ხომ იცი მეფე დავითს მიწერ-მოწერა აქვს საიდუმლოთ ჩემთან. ეს არის იმის წიგნი კიდევ მომივიდა, იცი საიდგან? მოხდა, ვითარ შეიძლო? უნამეტნავესი ნაწილი საქართველო გაოხრებულია თურქებისაგან, საიდგან როგორ-ღაცა გააშენა საფუძვლამდის დანგრეული, ის გატყავებული, სხვადასხვა ნადირით სავსე? — მერე რითა? სულ პიტალო ქართველებით. ამაში და ამ ამბაეში თურქებისაგან დაცემული ქართველები წამოაყენა, თავიანთ მამაპაპის ხმლის ვადაზე ხელი დაადებინა კიდევ და ამ დაუწყნარებელს საშინელებაში ჩავარდნილი იბრძოდა, აშენებდა, იბრძოდა, რომელმაც ქართველების ზრდილობიანს თათბირში გადაწვევითა, თუმცა სხვა სარწმუნოებისა, ნაგრამ წარჩინებულის ყივჩაღის სახლისა, ათრაქა შარაღანის ძის ქალი გურანდუხტ, მოიყვანა ცოლათ და იქორწინა ჯვარდების გვირგვინითა. ამ გაბრწყინებულის შეუღლებით, აღქა ყივჩაღელები სულ ერთიან და დიდრონის მსედრობითა, ერთად ქართველებით. გადაულახავს ანატოლია, ჩაუვლია ანტიოხი და ალგეზში შესულა, თავმოწონებული იგი დავითი! რაღა გითხრა? იქიდან გამოტრიალებულა და თავრიზი აუღია, საიდანაც მებოძა წიგნი ყოვლისათვის ანბით. ჩვენს ქვეყანას ემზადება სვეტი დიდებისა, დავითისა დავითისაგან?

სერაფიმ — რა განსხვავებული უებრო მეფეა დავითი. ღმერთო, შენ განუგრძელე ღღენი იმას. — ვერ შემიტყვია, მე უდაბნოს ბერი, სადღა მიპოვნა? ჩემთანაც აქვს მიწერ-მოწერა გამოქვამულს კლდის ბერთან მამასახლისო აბულელიო.

აბულელი — როგორ არ მოთხარ შენს მადლს ეგ ანბავი აქამომდისინ?

სერაფიმ — გაჭავრებული ვარ მე იმაზე.

აბულელი — რათა სერაფიმ?

სერაფიმ — რას ელის და ქალაქს ტფილისზე არ მიდის ასაღებად, სადაც თურქების და არაბების ჯარი ჩასწოლია ბევრი, ვინ იცის რამდენი. მინამ ჩვენს დედაქალაქს არ აიღებს, საქართველოს განთავისუფლება არა მგონია.

1 მამის დავითმა ბევრი ქალაქება აიღო. მხოლოდ საცნობლად მე აქ თავრიზი დავწერე.

აბულელი — დროს ელის, იმან უფრო კარგად იცის. მეც აგრე მეგონა. სწორედ აგრე მივსწერე. მაგრამ მოიწერა: მე უფრო კარგად ვიცი, როცა ავიღებო.

სერათიმ — ჩემთვის არ მოუწერია არც ერთი ეგა, მე სულ ამას მწერდა: შენ უდაბნოს ბერები მოამზადე და როცა შენმა ძმამ გითხრას, მაშინ ამხედრდითო.

აბულელი — ჰოო, აბა ეგ არის სერათიმ დღევანდელის წიგნით, კიდევ წამოსულა, ქალაქ ტფილისის ასაღებად (დაღის აღტაცებულის ამბით).

სერათიმ — აბა ახლა არის ნამდვილის დრო მამულის გამოხსნისა, აბულელო, ეხლა ჩემი გული რამეთენს რაებს მოუთხრობს, სულის სატრფოს ეტრატზედ, ჩვენის მამულის სიყვარულსავით, ვით მერცხალი კიკიკით ჩაბეირებული თავის ბუდეში. მოიცადე ჩემო გულო, რა გეშურება, შენს სერათიმს ჩქარა, ჩქარა ეღირსება მამულსათვის სიკვდილი, გესმის, სიკვდილი, და ბედნიერი!

სერათიმ — (მოუთმენლობაში შევა). ოჰ, ასე მგონია ჩემს აგებულებას რაღაც შეუკეთეს მეთქი: როგორათაც კვარის მუგუზლები ცეცხლსა. ამიტანა ერთიანათ სირცხვილის მოუთმენლობამ. რძალო, რა გაშტერებული მიყურებ? ჩქარა მოიტანე ცივი წყალი, დამალევიწე, თორემ სადაც არის ის ნაღველა გამისკდება მოუთმენლობის ოხშივარით, ხომ მხედავ, თავი ველარ დამიმალავს, ვკვდები. (ამასთან გაღისვენება და ბორგავს, აბულელი მივარდება, ხელი ხელში დაჭრით აბრუნებს და ანასტასია იქვე ტახტიდან ვერცხლის ჩარეკით წყალს გამოიღებს და თავის ხელით დააღვეინებს საჩქაროთ. დაღვეის შემდგომ გულზე ხელს ჩამოსივს).

სერათიმ ბერი — იი! რა გრილად გაღიარა ჩემს შინაგანს აგებულებაზე, ამ ცივმა წყალმა. რა კარგი რამა ხარ ცივო წყალო, მოუთმენლობის განმქარვებელო და სიწყნარის მშვიდობაო. აბა რა ვქნა, როგორ არა ვსთქვა? ახ, ღმერთო ჩემო, რას გადაგვეკიდნენ ის ბარბაროსი თურქები, რა უნდათ ჩვენგნით? დასანთქმელნი ისინი, მართლად დასანთქმელნი. ვინც იმათ ხელს აშველებს კაცობრიობასთან შემცოდება და თუ კიდევ განუგრძელებს ხელის მიშველებას, უფრო შემცოდე იქნება!... (ახლა დამშვიდებით) გაიგონეთ ახლა რა გითხრათ? ეს ჩვენი ქვეყანა, როგორც უნდა მოინდომონ თურქთა თავისათ არ შეიძლება არ განათავისუფლდეს. — მე რომ უდაბნოში ვიმყოფები, ჩემს გამოკვეთილს კლდეში ვილოცამ, არ დაიჯერებთ, ჩემი სულის ცხოვნებისათვის მე აღარასა ვთხოვ ღმერთსა. (ამ უკანასკნელს სიტყვასთან აბულელი გულზედ დაიკრფეს და თავს ჩაიღებს დაბლა, მეტად დაღონებული. ანასტასიაც ბაღდადის ხელკახოციოთ ცრემლს იწმენდს თვალებიდან და თავის ცოტა დახრილი აქვს, სახე დაღონებული და ხანდახან ცრემლიანსა თვალებს იწმენდს). ჩემი ვედრება და მწარე ცრემლი ეს არის ღვთის წინაშე: ავღენი ჩვენი მონებისათვის ბარემ მე წამწყმიდე და თურქების ხელისაგან კი განგვათ-

ვისუფლე მეტქი, (აქ შეშფოთებული) ოჰ, ღმერთო! რისათვის დამბადე? თუ დამბადე რისთვისღა მამეც მშობლის მამულის სიყვარული, განა არ შეგეძლო ისე დაგებადე, როგორც ზოგიერთი ჩემი მამულის შვილები ესათნობებიან თურქებს, ისე მე დაგებადე? ეს განხურვალეული გული და სული რისთვის მომეც; ასეთი სურვილი ანუ სიყვარული რათ, რათ ჩამიდე მამულისა: რა იქნებოდა — მეც სხვებისათვის სათნო კაცი ვყოფილიყავ და მამულისათვის ცივის გულით მეყურებიანათავს რომ მოვესწარ და სწორედ თავი ვიკან? ვნახე საქართველო თურქების მონების ქვეშ იყო. მაშინვე საზიზღრათ მეჩვენა იგინი, გარემოების გამო. თუმცა მიდეგ-მოდევნა დაუწყე მე იმათ, მაინც ჩემი გული იმათთან ვერ დაეჩვია. უფრო და უფრო საზიზღრად ამიჩნდნენ თურქები. ამ დროებში, საბერძნეთში გაზრდილი, ჩინებული ყმაწვილი კაცები მოვიდნენ, ჩვენი მამულის ძენი. მე მნახეს და თურქების გარეკა მითხრეს, მე ასე მეგონა თორმეტი ფრთა შემასხეს-მეთქი. მეტი მამულის სიყვარულით საქმის განუჩხრეკლად გულმოდგინეთ შეუდექით საქმეს. მოვინდომეთ თურქები გაგვერეკნა და საქართველო გაგვენთავისუფლებინა, მაგრამ შეგვიტყვეს, დაგვიპირეს და თურქეთში გადაგვყარეს. რას ვიფიქრებდით? ამ დროებაში ხელმწიფეთ იჯდა დიდი გონიერი კაცი, ვინმე, დიდი მოწყალე, ყოველის მხრით ძლიერი. — და თავისი სახელმწიფო მაღალ ხარისხში რიგზედ დამყარებული ჰქონდა. იმისმა ღმობიერმა გულმა უთხრა იმის დიდ ხელოვნობას, „თავის მშობლის ქვეყნის განთავისუფლებისათვის, რომ გყავო ზოგიერთი ქართველები ტყვედ, დაითხოვე თავის ქვეყანაში წავიდნენო“, მაგდენი ხანი აღარა გამოვიდა რა, — ჩვენს საქართველოში მოვედით და მეორედ გაცოცხლდა გული მშობლის ქვეყანაში მოსვლით. ბევრი ვცადე, მინდოდა გულის გრძნობა დამეთრგუნა და მშობლის ქვეყნისათვის არა მეფიქრა რა, რავდენიც მოვინდომე, უარესი და უარესი ვნების ცეცხლი მომეკიდა მამულის სიყვარულით! ამის მეტი ველარა მოვიფიქრე რა, ბერად შევდექე, კაცს განვშორდი და უდაბნოში წავედი. იმ კლდეში როდესაც ძლიერი სიყვარული მამივლის მამულისა, უნდა იცოდეთ, რა საშინელებით მოეჭიდება იმისი ძალი ჩემს გულსა? — ახლა ველარ დავმალავ თქვენთან და სწორედ გეტყვით თუნდა დამძრახხოთ მართლად, მაშინა ვარ მე შესაბრალისი, — მე საცოდავი, — მე ესე მწირი ბერი კლდისა. მაშინ აღმიტაცებს ხოლმე: ხან სიგიჟე განშფოთებული, ხან გულშეწუხებული დავეცემი დედამიწაზედ დასუსტებული, და ხანდისხან ცრემლსა ვაფრქვევ ცხელსა, თურქების მაყურებელის ამ ჩემის უბედურის თვალებიდგან. ახ! მამულის ღვერფლში გახვეული გრძნობავ! (ხელს გულზე დაადებს) იქ იმ კლდეში, ჩემს უბედურებას არავინ უშლის, ჩემს საცოდაობას ვერავინ ზედავს, თვინიერ ღვთისა. ვმადლობ ღმერთსა! ამ სიმწარეში ამამივიდეს სული,

ვნახოთ ღმერთისათვის რა შესამატი იქნება, მაგრამ საკვირველს რას-
მე გეტყვი: (აქ აბუღელი და ანასტასია თავს აიღებენ. გასწორდებიან) ამ ერთი
კვირის წინათ, ლოცვის შემდგომ ჩამეძინა ჩემ კლდეში, დილა იყო,
მზეც მალა იყო ამოსული, სიზმარი ვნახე, ზეცას შევხედე. განწმენ-
დილის ზეციდგანა თეთრმოსილი ბრწყინვალე ანგელოზი წამოვიდა
ჟრენით, ამ დროს მე ერთს მწევანოვანს ადგილზე ვიჭექე და ეს ჩვენე-
ზა მაკვირვებდა, ის მშვენიერი ანგელოზი ჩემთან მოახლოვდა, ჩამო-
ფრინდა, მინდოდა წინ მივეგებებოდი, მომასწრო და მიბრძანა: „ნუ ად-
გები, როგორც ხარ, აგრე იჭექეო“. მე იმის ბრძანებას დავმორჩილდი.
მოვიდა და მითხრა: „მამაო სერაფიმ, შენი მხურვალე ედრება ღმერ-
თმა შეისმინა; მომილოცავს, თურქების ხელისგან გამოიხსნებით ზე-
ცის სასწაულის ძალითაო!“ ამ სიტყვასთან აფრინდა და ზეცაში მიი-
ფარა, მეც მაშინვე გამომეღვიძა და ღმერთს მადლობა შევეწირე, მასუ-
კან ვთქვი: რამდენი წელიწადია ამ გამოქვაბულ კლდეში ვიმყოფები,
თუმც ყოველ წელიწადს ერთხელ ჩავალ, ჩემს ძმასა და რძალს ვნა-
ხამ ხოლმე, რაც აქ, ქალაქ ტფილისში იმყოფებიან, მაგრამ ამ ერთს
წელიწადს, ამითი მეორეთ ჩავალ და სიზმარს უფაზობ ჩემს ძმასა
შეთქი. ჩამოველ და თქვენი სასიძოს ანბავი მიანბნეთ რისთვის დამა-
ლულა. (ამასთან წამოდგება, ენკულას მოიხდის, ზეცაში აიხედამს და სავედრე-
ბელის ხმით დაიძახებს). ღმერთო მოწყალეო! შენ შეეწიე, შენ დაიციე იგინი,
ვისაც ჩვენი მამულის განთავისუფლება უნდოდეთ. შენის გამოხსნი-
სათვის, ჩემო მშობელო მამულო. რასაც კი გონება წარმოიდგენს,
ავსა თუ კარგსა, სუბუქს თუ შიძიმეს, ერთის თქმითა ყოველს ღონისძი-
ებასა, ყველას ვიკისრებ, არაფერს არ დავერიდები, ოღონდ ვნახო გა-
მოხსნილი და შენს თავისუფლებასა კიდევ ხმაურობდნენ ერნი შენნი,
ძველებურად, ძველის გრძნობით!... (სერაფიმის ამ უკანასკნელს უზნობაში
აბუღელი და ანასტასია გაკვირვებით ისმენდნენ ამის ლაპარაკსა, მასუკან აბუღელი).

ა ბ უ ლ ე ლ ი — შენმა მადლმა, მამაო სერაფიმ, ყოველი შენი
სიტყვა ძვირფასია, ეგ სიზმარიც სასწაულია, მაგრამ იმ ანგელოზს ვერ
ჭკითხე, როდის ეღირსება საქართველოს განთავისუფლება?

ს ე რ ა ფ ი მ — აღარ დამცალდა. საჩქაროთ აფრინდა (ამაზედ სამხრე
შესწუხდებიან და ანასტასია იტყვის).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — იმ დალოცვილს ანგელოზს, რა იქნებოდა ებრ-
ძანებინა საქართველოს განთავისუფლება როდის იქნებოდა? (ამ ლაპა-
რაჟში ოთარა მოსამხატვრე შემოვა და დიახ, გაფრთხილებით მოახსენებს),

ო თ ა რ ა — შენი ჰირიმე, თქვენი სიძე ლიპარიდ გახლავსთ, თქვენს
ნახვას ისწრაფის, მაგრამ ტანისამოსი სისხლით შესვრილი აქვს და
დალაღვაც ეტყობა. (სიძის მოსვლაზედ ცოტათი შეკრთებიან, მაგრამ დიდათ
იამებათ).

ა ბ უ ლ ე ლ ი — ოთარავ, წადი! გაფრთხილებით შემოიყვანე
(ოთარა რომ გავა) გაფრთხილებით ვიყენეთ, თურქებმა არ შეგვიტყონ.

სერაფიმ ბერი — ვერას შეიტყობენ, ნუ ატოკდი აგრე აბუ-
ლელო. (ამ ღრის ოთარა შემოიყვანს, შეხედავენ მკლავებზე, გულზე და კალ-
თებზე სისხლი გადასდის. სამივე გაკვირვებით შეხედვენ. უნდათ უთხრან რამე,
მაგრამ ლიპარიდი მოასწრობს. ოთარ კუთხეში დადგება ხანჯალზე დაბჯენილი).

ლიპარიდი — ჩემს სიმამრს გაუმარჯოს, ჩემს სიდედრს მშვი-
დობას მოვასხენებ, და მამაო სერაფიმ, შენდობა ბატონო. (მთვა და ხელ-
ზე ემთხვევა. სერაფიმიც სიყვარულით აკურთხებს და შემდგომ გაოცებით კეით-
ხამს).

სერაფიმ — შეილო ლიპარიდი, რა ანბავია შენს თავზე, სისხ-
ლით შესვრილი ხარ?

ლიპარიდი — მეტად დაღალული გახლავართ, სამი თვეა ტანი-
სამოსი არ გამიხდია, ხან სად ვგდივარ და ხან სადა. — ბევრჯერ ორი
დღე და ღამე გავა ჩემს თვალს რული არა აქვს. დღეს მესამე დღეა
ჩემს პირს პურის ნაწილი არ უნახამს. თურქები თავგადაგლეჯილი მე-
ძებენ. მაგრამ ჩემი კვალიც ვერ გაიგეს. ამ დალოცვილს ქალაქის გა-
რემო. ბევრი სამალავი აღგიღებია. თუ შეიძლებოდას მაქაპეთ რამე.
დანარჩენს მასუკან მოგახსენებთ.

აბულელი — ოთარავ, საჩქაროთ მოართვი რამე, იგემოს. (მა-
სუკან თავის სიეს ეტყვის) შეილო, მინამ საკმელს მოგართმევენ, მოდი,
დაქვე და დაისვენე (ოთხნივ დასხდებიან. ცოლ-ქმარნი სიძეს შუაში ჩასვამენ
ტახტზე და სერაფიმ პირდაპირ დაუჭდება სკამზედ, გულ-სიწმინდით მოყვება).

ლიპარიდი — კარგად იცით თურქების ძლიერება! თუ ღვთის
განგება არ დაეცათ რა იმათ. მარტო ჩვენ რა შეგვიძლიან, ამიტომ
ღმერთზე უნდა მიგვეგდო და იმათი წინააღმდეგი ათა ვაგვევლო რა
გულში. (ამ უჟანასუნელ სიტყვასთან. ოთარამ ვახშამი მოართვა, მინამ ვახშამს არ
იგემებს, ხმას არ ამოიღებს. მაგრამ მცირედა სვამს და საჩქაროდ. ვახშამს რომ მორ-
ჩება, ოთარას ეტყვის):

ლიპარიდი — ოთარავ! მეყო. დანარჩენი ვახშამი აიღე. (მაგრამ
ნახევარ პურს აიღებს და ხელში დაიჭერს. სიდედრი ეტყვის).

ანასტასია — ჩემო სიძევ რა ცოტა მიირთვი?

ლიპარიდი — ჩემთვის ბევრიც გახლავს, ოაც გიანხელ ორდღეს
მეყოფა, ნახევარ პურსაც გაჭირვებისათვის შევინახამ (ჭიბეში ჩაიღებს).

ანასტასია — ჩემო სიძევ, რას გეყოფა ეგ ცოტა პური?

ლიპარიდი — ჩემო სიდედრო, კაცს რომ უჭირდეს, უნდა იკმა-
როს. ახლა გაიგონეთ რაც მე გიანხოთ! მხოლოდ ამისი ნება მქონდეს,
ჯერ ეს გკითხოთ? ამ რამდენისამ წლის წინეთ. თქვენ და მამაჩემი რომ
შემოურიგდით თურქებს და იმის შემდეგ აქ ქალაქში იმყოფებით, მი-
ზეზი რა არის ჩემო სიმამრო?

აბულელი — მეფე დავითის ნებით, საიდუმლოთ დავეხმარე-
ნით თურქებს, მითამ იმათ ძლიერებას დავემორჩილდით და ამიტომ
შეგვირიგეს, მაგრამ ჩვენს საკუთარს მამულში კი აღარ დაგვაყენეს

არც ერთი, მე ტფილისის მამასახლისობა მამცეს და მამაშენს რამდენიმე სოფლები. ჩვენც ეს გვინდოდა.

ლიპარიდ — და რა შეიმატა დავით მეფემ თქვენის შერიგებით თურქებისაგან?

აბულელი — აი რა შეიმატა! — ასე დავიახლოვეთ თურქები მე და მამაშენმა, რომ ყოველი იმათი საიდუმლო წვრილათ ვიცით. ჩვენც საიდუმლო კაცებს უგზავნით ჩვენს მეფეს დავითს და ამით ამბავს სულ ვაცნობებთ ხოლმე. პირველი საქმე ეს არის, რომ მტერმა მტრის ამბავი შეიტყოს, ნამეტნავათ დავით მეფისთანა კაცმა. დანარჩენი იმან იცის.

ლიპარიდ — მერე გენდობიან თურქები თქვენ?

აბულელი — სულელი, ერთგულად ვაჩვენეთ თავი და საქმიტაც ასე დავუმტყციეთ. სულელ ერთგულს უფრო ენდობიან ესენი, მინამ გონიერსა. ასე დავგარიგა ჩვენმა მეფემ: ასე მოიქეციეთ და მართლა რომ ასეც იყო.

ლიპარიდ — ყოვლისფერით სრულია მეფე დავით, რომ იმაში ნაკლოვანება არა არის რა ჭეშმარიტად.

აბულელი — ეგ დიახ მართალია, მაგრამ ამაზედ-კი ვნაღვლობთ მე და მამაშენი, რომ რამდენიმე ჩვენი ქალაქის ვაჭრები წავიდნენ თურქებთა შიშის გამო, მეტი ღონე არ იყო, ჩვენც მოუმართეთ იმათ ხელი და დავით მეფეზე შესჩივლეს თურქების სულთანს, მაგრამ მალე ვაცნობეთ ყოველი იმათი ანბავი მეფეს, რომლისგანაცა შეიმუსრა საშინელი მოსული თურქების ძალა და გამოგვიხსნა უკანასკნელი უბედურებისაგან მეფე დავითმა!

ლიპარიდ — ეგ კარგი და კეთილი თქვენმა მზემა! აბა ახლა ჩემი ამბავიც გაიგონეთ. (სამივე ყურადღებით უჩრებას დაუწყებენ). ჩემი ამბავი რომ წვრილად გიამბოთ, გაგრძელდება, ამიტომ შევემოკლებ, თავი არ გეტყინოთ, მე თურქების წინააღმდეგი არასოდეს არ გამივლია გულში, მაგრამ ყარაყუმშიც რომ არის, ჯერ დამიმეგობრდა, მასუკან მთელი სამი თვე მდია, საქართველო გამოვიხსნათ თურქების ხელიდგანაო. მე ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. ერთხელ სადილათ დამპატიყა, სადილის შემდგომ მაცხოვარზე შემომფიცა, არ გილალატებო. მე მაინც უარი უთხარი. მეორეთ კიდევ დამპატიყა, პურის შემდგომ კიდევ მაცხოვრის ხატზე შემომფიცა: თავს შემოგწირავ, ოღონდ შეუღვეთო. სწორეთ მოგახსენოთ კაცობაში ჩავარდი, შეუღვექ გულმოდგინედ. დავით მეფეს ვაცნობე თურქების ამბავი, რასაკვირველია იქიდან ამბავი მოგვივიდა, მადლობა ებრძანებინა ჩემს მეფეს დავითს ჩემთვის და ესეც მოეწერა: ჩემს ყოველ ამბავს, ჩემი მეორე წიგნით შეიტყობ, მხოლოდ მანამდისინ ეცადე მამულის ამხანაგები გაამრავლო. თურმე რა იყო, იმ შეჩვენებულის ყარაყუმშიც-

საგან... მამატყუა, წამაცდინა, თვითონ წავიდა, თურქების უფროს შეატყობინა ყოველი ჩემი საქმე, მითამ დიდი რამ საქმე გამოიჩინა თურქების წინააღმდეგი საქართველოში და ამით გააბედნიერებდნენ. რაღა მოგახსენოთ, ერთ საღამოზე ჩემი მეგობარი სოლომან მოვიდა ჩემთან, ყარაყუმძისაგან გაცემა მიამბო და რასაც ამბობდა სულ მენიშნა. რაღა უნდა ვსთქვა, კაცობაში შთაეარდი და უკან როგორღა დავდგებოდი. გიჟსავით წამოვხტი. ხანჯალი შემოვიკარ, კარზე გავარდი, ვთქვი: მუნიან ძალსავით დავკლან ყარაყუმძისა მეთქი. კარზე გავედი, ოთხი თურქი დამხვდა და ჩემი დაქვრა მოინდომეს, მალე მტერი თქვენ მოგიკვდათ, მალე მე იმათ დავახწიე. მე ამით ღმერთს ვმადლობ, ამ დროს ჩემი ღედმამანი სოფელში იყვნენ, თორემ დაიქვრდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი — შენ რომ გავარდი, იმის მეორე დილაზე თურქების უფროსს დავებარებინე და შენი ამბავი მიამბო. მე არ ვიჭერებდი, ფიცით დამაჭერებინა. რაღა გითხრა, მეორე დღეს შენი გავარდნის ხმა გამოვიდა, იმ დროს დავით მეფის წიგნიც მოვიდა, და სულ ერთიანათ ჩურჩული დავიწყეთ ქალაქელებმა.

ს ე რ ა ფ ი მ — ჰგავს რომ ჩვენი განთავისუფლების დრო მოახლოებულა, ამისათვის ხომ ზეციურის მადლის ნიშნები ჩანს.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ღმერთი, იმისმა მადლმა. კაცისაგან დაცემულს კაცს, ღმერთი ალადგენს.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — მეც ღმერთს აღარ მოვასვენებ. ყოველთვის შეევედრები საქართველოს განთავისუფლებასა.

ლ ი პ ა რ ი დ — ჩემო სიდედრო, თქვენს გულმხურვალე ვედრებას ღმერთი გაიგონებს, ევედრეთ შენი ჭირიმი, მაგრამ თუ ჩემი ღედმამის ამბავი იცოდეთ რაბე, მიბრძანეთ?

ა ბ უ ლ ე ლ ი — შენი გავარდნის ამბავი მე მაშინვე მიეწერე. მამაშენს მოეწერა: „რაც საქმეები ყოფილა დიახ მოსაწონია, მართალია ერთი შვილის მეტი არ მყავსო, მაგრამ მშობლის მამულისათვის გამომიმეტებია, ან მამული გამოიხსნას, ან არა და მსხვერპლად დაედოს მამულსაო. ჩემი ცოლიც ამ ჩემი ჰაზრის თანახმაა და ღმერთმა მშვიდობის გზა მისცესო“.

ს ე რ ა ფ ი მ — აი, სწორე მამულის შვილობა აგრე უნდა.

ლ ი პ ა რ ი დ — მე იმათი ჭავრი მქონდა. რადგან ჩემი გულის სასიამოვნო ამბავი გავიგონე ახლა კი მე ვიცი.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ყველა ითქვა შენი ამბავი კი არ დაგისრულებია, ჩემო სიძეე?

ლ ი პ ა რ ი დ — მართალია, მე რომ გავარდი, იმ ღამესვე მინდოდა ბატონიშვილ დავითთან წასვლა, მაგრამ ვთქვი, რა კაცობა იქნება, მინამ ყარაყუმძის არ მოვკლავ, აქედან წავიდე მეთქი. ეს სამი თვეა,

იმას ვლევ. -- დღე ქალაქის გარეთ კლდეებში ვარ, დამე შემოვდივარ, ყარაყუმბიძეს ვეძებ და ჩემს საქმესაც ვსაქმობ. ამ საღამოზე ქალაქის პირში რომ შემოველ: უეცრად ყარაყუმბიძე შემხვდა, მიველ და ვკითხე: „აბა შემომხედე. მიცნობ თუ არა?“ რა წამს შემომხედა, მაშინვე სატევარი გაიძრო, უნდოდა უეცრად გულში დაეცა. მკვირცხლავ მიწვიდი, სატევარი წავართვი. მოვიქნე, გულაღმა წავაქციე, უნდოდა სახვეწარი ეთქო რამე, მე იმას სიტყვის თქმა აღარ დავატალე, ზედ დავაჯექ და დაუკითხავათ თავისი შიშველი სატევარი მკერდში დავეცასე გავგმირე ბოროტი სული, მეც გული შოვისვერე. ამაზე კი ვწუხვარ, იმის საზიზღარის სისხლით შევისვარე (სამთავ დიას კმაყოფილებით ეს მოჯათ და ამ უკანასკნელ სიტყვასთან დაიძახა):

ს ე რ ა ფ ი მ — იმისთანა კაცის სიკვდილი თუ ცოდვა იყოს, ღმერთმა ჩემი სული ჯოჯოხეთში ჩააგდოს.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ეგ მარჯვენა შეგრჩა ჩემო სიძვე, როგორ არ იცოდა იმ შეჩვენებულმა, ცუდს კაცს, გამცემელს. მაშულის მოღალატეს კეთილი არ ექმნება. მაგას თავი დავანებოთ, ახლა ეს მითხარი, ვინ გაქმევდა პურსა?

ლი პ ა რ ი დ — ორ დღეში ან სამ დღეში ერთხელ ჩვენს საქართველოს მწყემსებთან მივდიოდი, ისინი მაძლევდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი — მერმედ, შენს ვინაობას კითხულობდნენ!

ლი პ ა რ ი დ — დიას, კარგათაც მიცნობდნენ და სიხარულითაც მაძლევდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი — მე მიკვირს, ყოველი მხრის გზები და ბილიკები რომ აქვთ თურქებსა, როგორ შემოხვიდოდი ქალაქში, ან როგორ გავვიდოდი?

ლი პ ა რ ი დ — რომელს მხარეზეც მე შემოვდიოდი და გავდიოდი, თურქებს არ უდგათ იქ დარაჯები.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ქალაქში რომ შემოხვიდოდი შენს მახლობლებს არ ნახამდი?

ლი პ ა რ ი დ — როგორ არა. დიას ცოტა ხნობით. ისიც ჩემის საქმისათვის. მაგრამ მახარობელი ვარ, ამ ახლოხანებში დავით მეფე დიდგორის თავს გადმოივლის ჯარებით და დიდმის მინდვრის თავში, დიდი ომი მოუხდება თურქებთან. ეს ებრძანა წიგნით ჩემთვის და თვითონაც ზევით ხეობაში შემომხვდა ჯარებით.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ყველა ვიცი თუ ეგენი, ახლა ჩვენც სამზადისი გვმართებს.

ს ე რ ა ფ ი მ — ჩვენ ბერები სულ მზათა ვართ.

ლი პ ა რ ი დ — ჩემი ამხანაგი ყმაწვილი კაცები სულ გავიფიცენით. (აქ ლიპარიდ გაჩუქდება, რალაც სათქმელი აქვს, ვერ გაუბედნია და ტოკაშს, ბოლოს რის ყოფით იტყვის, ძლივს წარმოსთქომს).

ლიპარიდ — ერთი სავედრებელი მაქვს, გთხოვთ აღმისრულოთ.

აბულელი — რა გინდა შეილო, მითხარი!

ლიპარიდ — ვაიმე, თუ არ აღმისრულოთ?

აბულელი — დიდის სიხარულით.

ლიპარიდ — ჩემი დანიშნული, თქვენი ქალი ელენე მაჩვენეთ და საუკუნოდ დამავალეთ. (აბულელი დაღონდება).

ანასტასია — როგორ იქნება, შეილო ლიპარიდ, ჭვარდაუწყვრელი, მაგისტანა უკადრისი საქმე ვიკისროთ. (ლიპარი დაღონდება).

სერაფიმ ბერი — აბულელო, რას დაღონდი?

აბულელი — არ ვიცი რა ვქნა, შენმა მადლმა.

სერაფიმ — რაღა რა უნდა ვქნა? ჩემო რძალო ანასტასიავ, ადექ, გამოიყვანე. — მე დამგმევით, თუ ეგ ურიგო იყოს.

ლიპარიდ — (წამოიჭრება დაჩოკებით, ორსვე ხელებზე ემთხვევა და მასუკა). თუ მაგთენს მოწყალებას მოიღებთ გვედრებით, მარტო მაჩვენოთ ორიოდ სიტყვა უთხრა, მასუკან ისევ შემობრძანდით.

სერაფიმ — აგრე იყოს შენმა გაზრდამ, ჩემო ძმაო და რძალო, გთხოვ გამობრძანდეთ, მე უნდა დამიჭეროთ, მე ურიგოთ არას გირჩევთ. (ერთს ხელს თავის ძმას დაუჭერს. მეორეს თავის რძალს და სამნი ვაეღენ. ისინი რომ გავლენ ლიპარიდ მოვა კარებზე პირდაპირ, შუა ოთახში დაღვება. შემოსავალს კარებს ყურებს და ეუწყებს და დაგდება).

ლიპარიდ — ამბობენ საკვირველი მშვენიერებაა ელენეო! არ ვიცი როგორ გამოვხატო? ანგელოზათ თუ ზეციურის რაისამე საკვირველებით! რა ვქნა, ჭერ მე ის არ მინახამს, ასე ვძრწი. როცა იგი მშვენიერება ვნახო, რა დამემართება? უნახავმა სიყვარულმა ჩემი მაგარი და ჩემი ამაყი გული დაიბონა და იმის თაყვანისმცემელი შემქმნა. — კარებო, კარებო როდის იქნება. მაგ შენს შემოსავალში შემოვიდეს, რომ რაღაცა დიდებად მოველი! არა ვიცი, ეს ერთი წამი, ჩემთვის რამდენი დროებია (კარებისაკენ დარჩება თვალი. — ამ დროს მეორეს კარებიდან შემოვა. დიას. წყნარის რხევით, ტანზე თეთრი ფარჩა აცვია, ფეხებზე წითელი წულები და სრულიად უჩანს ფეხებო, წელზედ პირის ფერი სარტყელი არტყია, გულისპირით ეგრეთვე. ვიწრო თავსაკრავი აკრავს, თეთრი ოქრომკერდიანი ნაკერი წითელ ხავერდზედ და ლეჩაქი ფანჯი რამე არის. შავნი დალანნი მუხლებამდინ გადმოშლია, რხევით მოდის და ჭერ ვერ ხედავს).

ლიპარიდ — რა იქნა იგი მშვენიერება! იქნება რომელიმე ანგელოზი ჩემი მეტოქე შეიქნა და ზეცაში ალიტაცა სასუფევლისა დასაშვენიებლად? იტყვიან: მეტი მშვენიერი ქართველი ქალი, ანგელოზსაც უყვარს და ძილში თეთრს მკერდზე ესიამოვნებაო. ოჰჰ, იმ დროს რა იქნება ჩემი ელენეს ძილი. არა, არა, დამეხსენ ანგელოზო, დამეხსენ ანგელოზო, დამეხსენ შენი ჰირიმე. ელენე ჩემია, ჩემი დიდება! ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილიც. (ამ დროს კაბის შრიალს გაეგონებს და ში-

ხედავს, ის ქალი გულზე ხელებს დაიწყობს და დადგება შემკრთალი სახით. რა წამს ლიპარიდ დაინახავს, დაიბარბაკებს, მაგრამ საჩქაროთ ისევ გამოსწორდება და ამასთანვე დაიძახებს: ოჰ! ეს რომელი საკვირველება დაევინახე! ჭეშმარიტად მოლოდინად ღირდა (გაეჟანება და იმის წინაშე თაყვანა სცემს და შემდგომ დაიროქებს ერთს მუხლზედ). ზეციდგან მოწყვეტილო მშვენიერებაე! მე შენ მარად თაყვანს უნდა გცემდე და შენს მშვენიერებას ვილოცავდე! მართლა რომ ზეცის ტახტსა ზედა უნდა იჯდე! შენს მშვენიერებას შემოსტრფიდნენ ანგელოზნი—ზეციურ მომშვენიერებავო! მაიტა შენს ფეხს ადგილას ვენთხოვო, შენი მშვენიერება მფარველად იყოს ჩემდა. მარადის (მივა და იმის ფეხის ადგილას ემთხვევა კრძალვით. ელენე ღიდათ შემკრთალა და არ იცის რა უნდა ქნას. ლიპარიდ კიდევ იტყვის) ღვთაებისაგან დახატულო! იმისაგანვე გადმოვლენილო ჩემად გვირგვინად! — დამზობით გვედრები, მაგ შენი სარტყლის ნაკუწი მცირედ მიბოძო, თაყვანის საცემელად მქონდეს და ჩემს ხატად ვისვავდე. — გვედრები შენი გასპეტაკებული თითებით გადამიხიო, თორემ მე როგორ შევეხები შენსა სამოსელსა, შენ საწყენად, შენმა სიცოცხლემ ელენე. შენმა და ჩემ მშობლებმა, მე ექესი წლისას, შენს გულზედ ხელი რომ დამადებინეს შენს აკვანში ჩაძინებულსა შენ. მე და შენი ცოლქმრობისა, მაშინვე მეწვია მადლი ზეცისა, სიყვარული შენი, შენმა გაზრდამ. ელენე დამკრთალი დგას გულზედ აკრფილი და ვერ გაუბედა. ამ დროს სერაფიმ, აბულელი და ანასტასია შემოვლენ, სერაფიმ ელენესთან მივა, სარტყელის წვერს მოუხვეს და ელენეს ეტყვის).

სერაფიმ — აჰა, ჩემო ელენე, ეს ნაკუწი შენის ხელით მიეცა. შენსა ქმარსა ლიპარიდს. (ელენე უნებურად გამოართმევს და გაუბედავად მისცემს. ლიპარიდ იმის წინაშე აკოცებს, მასუკან წარდგება და სერაფიმს ორსავე ხელებს გადაუკონის. შემდგომ მამაკურის სიტყვით დაიძახებს).

ლიპარიდ — ეს ნაკუწი ჩემი მფარველი უნდა იყოს. ეს რომ უბეში მქონდეს, ვილასი ძეშინიან? ბრძოლაში რომ ერთი ათათ მომიმატებს ვაჟაკობას. (აჟ გაჩუბდება, ნაკუწს უბეში ჩაიღებს და მასუკან შეწუხებით იტყვის) მაგრამ ახლა წყალობას ვითხოვ დამითხოვეთ, საჩქაროდ მინდა წავიდე. მშობელი მამული მიწვევს და ველარ დაეგვიანებ.

აბულელი — რას ამბობ შვილო, საით უნდა წახვიდე?

ლიპარიდ — ჩემთვის ნუ სწუხხართ, ამ მტკვარში შევალ და საჩქაროდ გავცურდები.

ანასტასია — შვილო, შენი ჰირიმე არ დაიხრჩო.

ლიპარიდ — არ დავიხრჩობი ჩემო სიდედრო; შიში სადა არის ეხლა ჩემთვის?

სერაფიმ — წადი შვილო, დმერთი იყოს შენი შემწე და წინამორბედი (მოშორებით დგას ელენე, სიყვარულს აუტაცინა და შიშით ცოტათ კანკალებს და ცდილობს არავინ შეამჩნიოს).

სერაფიმ — მშვიდობით რომ გახვიდე, როგო შევიტყოთ შენი გასვლა!

ლიპარიდ — სამ ნიშანს ნოცემთ. პირველი, მტკვარში რომ გავალ სამჯერ დაუშტვენ, მეორე, აგერ, იმ მთაზე, ავლაბარს რომ ავალ, ათჯერ დავაკვესებ ტალკვესს; იმისი ცეცხლი ნიშნათ იყოს, სამ-შვიდობოში გავედი და მესამე ამ ათს დღეზე, აგერ დიდგორის ეკლესიის დღესასწაული რომ მოვა, სადაც საქართველოს მლოცავნი მრავალნი შეიყრებიან, იმ დღის შუალამისას, იმ დიდგორის მთაზე, ერთი დიდი წითელი სინათლე ამოვარდება, რომელიც ყოველ არე-მარეს განანათლებს. ეს ის ნიშანია, მთელი საქართველო აღიჭურვება. გავარდნილი ვიყავი, მაგრამ ჩვენი მეფის დავითის ბრძანებით და მისი წერილის დარიგებით: ასე და ასე მოიქეც და ასე ისაქმეო, მეც თვითეულად აღვასრულე იმისი ბრძანება და ყოველს მხარეს ესაქმობდი. რაღა მოგახსენოთ, სულ მზად არის ჩვენი ერნი და იქ ცეცხლის მახლობლად გადაწყდება ჩვენი და თურქებრს საქმე.

სერაფიმ — მაშ პირდაპირ რატომ არ მიღიხარ და მტკვარში უნდა გაცურდე?

ლიპარიდ — არ შეიძლება პირდაპირ წავიდე, თურქებს ყოველგან კაცები უყენიათ; ყოველს თვითეულად ჩხრეკვენ მგზავრსა და მე მეძებენ. ჩემთვის ნუ სწუხნართ. რაკი იმ ავლაბარის მთაზედ ავალ, იმას იქით ხევში ჩემი რავდენიმე მახანაგი დამხედება ცხენიანები და მასუკან ჩვენ ვიცით, როგორც ავალთ დიდგორზედ.

სერაფიმ — შეილო, ლიპარიდ გაეშურე. გაეშურე, მეც მოხუცებულს ბერსა ჩქარა მნახავთ თქვენს რაზმებში მოქადაგედ. ბერი, მოხუცებული, ყმაწვილნი და დედაკაცი. სულ ერთიან უნდა გავიდეთ; ან ჩვენს ლეშზე ვატაროთ თურქები, ან არა და თურქებისაგან გამოვიხსნათ თავი. ახლა ჩემთან მოდი ჩემო შეილო: (ლიპარიდ მივა) ქული მოიხადე: (მოიხდის) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ. (ფვარს დასწერს) საჩქაროთ წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი (და ხელზე ამხვევინებს, მასუკან ლიპარიდ გამობრუნდა, სიღვრე და სიმაღრიც გადაეხვევიან. მერე ელენეს თაყვანსა სცემს ერთის მუხლით და სწრაფ მტკვრის პირისაკენ წავა, მაგრამ ამ ოთახს რუშები რომ აქვს და სრულიად ახსნილია. ზეეითაც ითქვა, რომელსაც მტკვარი ჩამოუღის წინა; მტკვრის მომდინარეობა სრულიად სჩანს ოთახიდან. ამ ოთახს მღაბლი მოაჭირი აქვს, რომელზედაც გადავა და მტკვრის პირზედ დადგება. ამ ამბავში ელენე კუთხისაკენ დგას და ციებასავით კანკალებს სიყვარულისა და შიშისა ქვეშ ყოფი. მტკვრის პირს რომ დადგება. ესენი მოაჭირთან მივლენ და იქიდგან ყურებას დაუწყებენ).

ანასტასია — ჭა! გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო სიძეე, ხომ ხედავ როგორ მოდის მტკვარი, დიდი ზვირთების სროლით? საიდან როგორ უნდა გახვიდე ამ მოჩანჩქარეს მღრნარეში?

ლიპარიდ — ჩემო უძვირფასესო სიღვდრო! მამულის სიყვა-

ოულის სასწაული გამოიყვანს. მამულის მოყვარულმა შიში არ უნდა იტოდეს აიას ღრთს, ხოლო, რასაკვირველია, ყველა გაფრთხილებით უნდა ვიცოდე, რომ ჩვენი თავი არის მსხვერპლი მამულისა და სიცოცხლე, იმისი ბედნიერება; ვინც თავის მამულს ცივის გულით უყურებს და მხოლოდ ანგარებას მისდევს, ანუ პატივის მოყვარულობას, იმისი საპო დიდება ჰგავს კლექის მადას საკმელისათვის.

სერაფიმ — შვილო ლიპარიდ, სწორედ აგრე უნდა გრძნობა მამულისა. ვისაც მაგისთანა გრძნობა ექნება, უთუოდ მამულს გამოიხსნის, — რაც უნდა დიდი მტრებისაგან იყოს დაპყრობილი.

აბუღელი — მართალია, ამისათვის რომ იმას სიკვდილისა არ შეეშინდება არას საშინელებაში; მართალია, ამისათვის რომ იმისი სვინდისი ყოველთვის და ყოველისფრით წმინდა იქმნება და პატიოსნებით სავსე. ნეტავი იმას, ვინც თავის მამულზე წმინდა სვინდისით არის (აქასთან ისე ტანისაშოსთ შვეა ლიპარიდ და თან ამას იტყვის):

ლიპარიდ — რაც ითქვა მართალია. ღმერთო დიდო, შეგვეწიე. (ის რომ მტკვარში შვეა, ესენი აქ დაიჩოქებენ, სერაფიმ კუნჯულას მოიხდის და მასუენ სულ ერთიან ზედაპრობით ღმერთს ვედრებას დაუწყობენ ჩუმათ, ელენეს, ყველას დაუჩოქნია და ღმერთს ევედრება მწარეთ შეწუხებული ზეცაში შეპვრეტი. ლიპარიდ მტკვარს შიარღვევს და თამამად მიცურამს. ბოლოს, მშვიდობით გავა, მტკვარის ნაპირზე სამჯერ დაუშტვენს და საჩქაროთ წავა მთისაკენ. აქ ესენი წამოდგებიან, ამ ღროსვე სრული მთვარე ღრუბელს გადაიყრის და სრულის სინათლით გამოჩნდება).

ანასტასია — კარგი ნიშანია, მთვარემ ღრუბელი გადაიყარა უეცრად და ლიპარიდიც მშვიდობით გავიდა მტკვარში.

აბუღელი — მაგრამ ჯერ სამშვიდობოში არ გასულა.

სერაფიმ — ღვთის მოწყალებით, იმ მთაზედაც მშვიდობით ავა. თვალს ნუ მოაშორებთ იმ მთას, ათი დაკვესება დაეითვალთ. (მცირე ხნის შემდეგ).

ანასტასია — მამაო სერაფიმ! — ხედავ. იმ მთის შესავალზედ, მგონია საჯარო გამოჩნდა კაცისა! — (სერაფიმ და აბუღელი შუბლზე ხელის გაღმოფარებრთ).

სერაფიმ — ვხედავ, ძალიან სწრაფათაც მიდის, მაგრამ ძლივ მოჩანს.

აბუღელი — მგონია ის საგანი მთის წვერზედაც ავიდა?

ანასტასია — სწორედ მთის წვერზედ დადგა. ვნახოთ ახლა რა იქნება? (ამ ღროს მთვარეს ღრუბელი ისევ გადაეფარება; აქ ხმას აღარ ამოიღებენ და ყურებას დაუწყებენ. ელენე ისევ ისე დაიჩოქებულია და ისევ ისე ევედრება ღმერთსა. მარამ ამ ქალს სრულებით არ უყურებენ ბიძა და დედ-მამა და სამთავ თვალს იქნევენ აქვთ დაჩოქილი. — აქ ლიპარიდ დაკვესებას მოპყვება და სერაფიმ თვალს):

სერაფიმ — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი. (ეს რომ ათს იტყვის, ელენე მიწაზე დაემხობა; ღმერთს მადლობას

შესწირავს და საჩქაროთ ადგება, რომ ვერ შეამჩნევენ და მეორე მხრიდან გავა. მასუკან მობრუნდებიან და სერაფიმ იტყვის).

ს ე რ ა ფ ი მ — აქ ჩემი დადგომა აღარ შეიძლება, დიდად საჭიროა საჩქაროდ გავეშურო. ოცი ათასი მეტი ბერია უდაბნოში განდევნილი; ყველას დაუყოვნად შევატყობინებ, იმ ეკლესიის დღესასწაულში წავიდნენ. ხუმრობა არ არის, ოცი ათასი ბერი სულ მომზადებული ვართ, ერთი მოხუცებული ბერი უდაბნოში აღარ დარჩება და გულმოდგინედ წავლენ. დიდი ხანია ჩვენ, ბერები, ვეშაადებით. (მასუკან კარებისაკენ წავა და კარებთან რომ მივა დიძახებს): მშვიდობით. (საჩქაროთ კარებში გავა. აბულელი თავის ცოლს ხელს დაუქერს, მივლენ და ტახტზე დაქდებიან).

ა ბ უ ლ ე ლ ი — ჩემო ანასტასია, მართალია შენ სომეხი ხარ, მაგრამ სულ ერთიანი ვართ, ერთი დედამისი შვილები, აბა ეხლა გამოვიჩინდებით თქვენც სომხებსა, თქვენი მამულის სიყვარული და ერთგულება. შენ ხვალ დილაზე პირველი საბლები დიარე სომხებისა და ჩვენიც. ყველანი შეაგულიანე, იმ ეკლესიის დღესასწაულში წამოვიდნენ, იმათაც შეაგულიანონ. როგორც შენი კეთილგონებისაგან ვიცოდე, ისე მოიქეც, მაგრამ გაფრთხილებით.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა — მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე მე ისინი აღვძრა, ოო! საქართველოს ქალებს ნუ გვეხუმრებიან, ჩვენი მამული გულით გვიყვარს, ვგრძნობთ და დრომდისინ დაჩუმებულნი ვართ.

ა ბ უ ლ ე ლ ი — დიან კარგათ მოჰუს საქმე, ახლა მეც ჩემს საქმეს შეუდგები. ასე უნდა მოეგეაროთ, რაც ამ ქალაქში ჩვენი ერნი არიან — დედაკაცი თუ კაცი, თავის შვილებით, სულ იქითკენ წამოვიდნენ; ერთი აღარ დარჩეს ამ ქალაქში თურქების მეტი. ვინ რას იტყვის, ეკლესიის თავყანისსაეგმლად მიედევართ დღეობაში. (ამასთანავე ორნი დადგებიან და გავლენ. პატარაანსუკან ელენე შემოვა, ნელიადის გავლაგამოვლით მოჰყვება ლაპარაკს; ლაპარაკში ხშირად შედგება და ისე ლაპარაკობს).

ე ლ ე ნ ე — რა ჩვეულება აქვთ. ამ ჩვენს ქართველებს? მინამ ეკლესიაში არ შეიყვანენ ქალს-ყრმას ქორწილისათვის, მინამდისინ ერთმანეთს ვერ ნახვენ. არ ვიცი რა ჩვეულებაა — ქალი ყველგან ხედავს თავის საქმროსა დაფარულის ადგილებიდან და საქმროსათვის სრულებით დაფარულია. ამის გამო ზეციური რაღაც საკვირველი შევნიერება ჰგონია თავის დანიშნული თავის საქმროს, ამისათვის ატაცეზულისავეთ არის უნახავის სიყვარულისაგან: — მე რომ გონჯი ვყოფილიყავი, მაშინვე ხომ წამოსტებოდა ჩემი საქმრო და გაიქცეოდა, რომელიც ათასი მავალითი მომხდაოა — კარგი იქნებოდა ამისთანა უმსგავსო საქმე! — აბა რა იყო? — ჩემი საქმრო ჩემს წინაშე სრულს სიყვარულს მიდუნდა და მე ვერცკი შამეხედა, მაშინ, როდესაც რომ ჩემი გული კვდებოდა ძრიელის სიყვარულის გრძნობით! და სულ ერთიანათ ვკრთოდი ვნების სურვილით! აბა რა არის ამისთანა უმზგავსო

ჩვეულება? — არა. ვერ შემიტყვია! ვის ვეკრძალებოდი? და მეც იმისთანა მსგავს სიყვარულს არ უფენდი საქმროსა? — არა, ეს ჩემი წმინდა სიყვარულიანი გრძნობა, კაცის წინაშე რომ დაფარული იყოს, ღმერთთან ხომ ვერ დაიმალება, ან ჩემს სვინდისთან? არა, ეს ჩემი წმინდა და უმანკო სიყვარული, უბრალო ხომ არ არის, ჩემი ჩრდილისაც მემინოდეს? რათ უნდა დამალული იყოს ეს ჩემი მომბზინვარე და გაბრწყინებული სიყვარული! რომელიცა ამისი სინათლე ჩემს სულს ანათლებს, გულსაც ათასობით აცოცხლებს! არა, — არა, — მე ველარ დავმაღავ. მე ქართველი ქალი ვარ და ჩვენი მზის სიციხით გამაძლარი!.. თუ ერთი კიდევ ვნახამ ჩემს საყვარელს საქმროს, ჩემს წინაშე აღარ დავაჩოქებ, მაშინვე მივალ, ხელით ყელზე გადავეხვევი, თავს გულზე გადაუგდებ და სურვილით ვეტყვი: „აი, შენი საუკუნო საყვარელი ელენე“. კარგია, გავათავო, მასუკან მე ვიცი და ჩემმა ცხელმა გულმა! ახლა სხვა ვთქოთ. — ჩემი საქმრო ლიპარიდ გააჭავრა ყარაყუმიძემ და მაგიერი მიაგო, ჩემი საქმრო მშვიდობიანი ყმაწვილი კაცი იყო, არავის საქმეში არ ერეოდა; ახლა ძალათ შეიყვანეს ძნელ საქმეში. მაგრამ ადვილად მოქმედობს და მრავალნი ამხანაგნი იზოვნა მამულის მოყვარულები. ბიძაჩემი ბერი, გიყსავით გაიჭრა ოცი ათასი ბერის შესაქურველად. — დედაჩემი ხვალ დილით აპირებს პირველი კაცების ცოლების ნახვას და უთუოდ მხარს მოაბამენ მამულის განთავისუფლებისათვის. — მამაჩემს აღრითვე ლაპარაკი ჰქონდა პირველ კაცებთან და ეხლა ხომ მამაცურად მოემზადებიან ყველანი. — აქ რომელიღა დარჩა მშობლის მამულის შეუწყენელი? — აი, ჩვენ ყმაწვილი ქალები, ჩემო უსაყვარლესო დებო. ყმაწვილო ქალებო; ქრმინებო, ანუ გასათხოვარნო. აბა ჩვენ რაღას ვაპირებთ? ეს ხნიანი ადამიანები, რომ აღიძრნენ, ჩვენს ყმაწვილ სისხლსა და გაცხელებულს გულს რაღა მართებს? წავიდეთ, წავიდეთ და სისხლი დავღვართ. ვინც მამულისათვის მოკვდება ზეცილგან ანგელოზნი გადმოეგებებიან იმის სულს ჯალობით, მოწიწებით მიიყვანენ და ზეცის ტახტსა ზედა დაამკვიდრებენ. აბა, ახლა ჩვენ ყმაწვილი ქალები მეტოქენი შევიქმნათ ყმაწვილის კაცებისა, ვნახოთ, ვინ უფრო ვაეკაცობას შევიძინებთ? წავიდეთ, ჩვენ წაუსწრათ, იმათზე აღრე შევიდეთ მტრის გუნდებში საომრათ და მაგალითი ჩვენ შევიქმნათ ყმაწვილის კაცებისა! მშობლის მამულის სიყვარული ჩვენი მაგალითად დავიდოთ და ყოველთვის ვიქებოდეთ ქვეყნისაგან. ამდენი ჩვენი დამდაბლება ვიკმაროთ შემოსულის, უცხოს თესლისაგან და დრო არის მტერსა ხელი მივყოთ. ამ ჩვენის წმინდის გიორგის ნაწილის მადლმა (ოქროში ჩაძვარს ამოიღებს უბიძგან და დაანახვებს ყველას). რომელიცა დავით მეფეს გამოეგზავნა მამჩემისთვის: შენს ქალს მიეცი ჩვენი ქალების მამულის სიყვარულის ნიშნათ ჩენმაგერათო. ამისმა მადლმა, ასე წვრილ-წვრილ ნაკუწათ უნდა

დავეკუწნეთ ჩვენს მშობელ მამულს და ზედ სამკურნალოს წამლათ დავედოთ. ეს იქნება არა მსხვერპლი. არამედ მოპოვება მამულისა. (ამასთანავე ერთის მუხლით დაიჩოქებს, ორსაც ხელის თითებს ერთმანეთში გაუყარის. ასე ნიკაჰს ქვეით გულთან დაიქვრს და მასუკან გულტვიფნულად მოჰყვება): რალა ბევრი შეგაწყინოთ, — უსამართლოდ დაცემული, უბედურებით შეწუხებული გვეედრებათ ივერია, თავო შეიღებო, მუხლდადრეკით და შეიწროებულის გულით, მოწყალება მოილოთ, თურქების ტყვეობიდან გამოიხსნათ და საუკუნოდ დასდოთ ვალი თქვენს მშობელსა ივერიას! მთელი ხმელეთის ერნო! თქვენც გულმობიერად მოიხედეთ და ქვეშარიტი კეთილ სეინდისიერი სამართალი მოახდინეთ, ივერისა და თურქების შორის. ადუღებულის გულით და გამწარებულის ცრემლით გვეედრებათ თურქებისაგან მოტყუებით დატყვევნილი ივერია! (ამ უკანაჲნელ სიტყვასთან უწყალოდ შეწუხებული, მარცხენა ხელს გულზე დაიდებს და მარჯვენას გაიშლის სათხოვარისას. კარგახანი ასე იქნება და მასუკან ფარდა ჩამოეფარება).

დასასრული პირველის მოქმედებისა

მეორე მოქმედება

დიდი მთაა და მთის წვერზე ცეცხლი ეკიდება დიდის ალით. ქვემოთ ტყის პირია და დიდ გაფოთვილ ხეებს ქვეშა სხედან ყმაწვილი კაცები, წითელის ტანისამოსით, დიდრონს ხის კუნძებზე, მელიდურის სახით იმათ კარგა მოშორებითა დგას ლიპარიდ.

ლიპარიდ — სწვდება ზევით ჰაერს, ამ გაშანთლულის ცეცხლის უმწვერვალესი ალი. ნაპერწყლებშეტყორცილი გაციებულს წმინდას ჰაერში. შენ ცივო ჰაერო, მიიღე და გამიხურე თავი მაგ მძაფრისა ალითა და უფრო მალალსა სფეროზედ აიტანე მაგის სინათლე. მართლად, კარგ სიმალღებზე ავარდა და იქიდგან ანათებს ყოველს არემარეს ჩვენს მიდამოს გარემოსად. ეხლა ჩვენი ბატონი, იმ ზეცის საგებზედ, პირველ ჩვენდა მოსწავება ღვთაებისაგან მოდის ჯარით, იმ ხელგამოძავალს ქართველებით და მოაქვს თანა თავიანთი გათამამებული ვაჟაკობა! კარგი ოსტატი გვყავს ეხლა ჩვენ. ისეთი მასწავლებელი და წინამორბედი, რომ მთელი ხმელეთი ჩვენზედ შეიძრას, ბუხსაც ვერ აგვიფრენენ. ჩემო ხელმწიფეო დავით. შენ რომ გებრძანა ჩემთვის: ვინმე ლიპარიდ. კარგი დიდი ცეცხლი დაანთეო დიდ გორის წვერზედ, ბრძოლის სამი დღის წინათაო, რომელმაც მისმა შუქმა თურქთა ზარი დასცეს და ქართველთა გულთა ეპრათ სიხარულიო. ოჰ! ღმერთო! ახლა ჩვენის ბატონის გული გაღვიძებულია რამდენიმე სიამოვნით, ამ ცეცხლისა შექცეპრითა. მოდიან და მოუხარბიანთ ერთობ იმა ქართველებთა. ეს აპრილებული სამი დღე და ღამის ცეცხლი, ჩვენი ხვალის ბრძოლის ნი-

შანია თურქებთან. ჰაი, ჰაი, კაცთა სისხლის ღვრათ, რა იქნები ხვალე? კარგი მომკალი კარგია ხვალ. ეტყობა, ცხელს დღეს ამზადებს ზეცა! შენ დღო სანათო დიდგორისათ! ნათლად გაუნათე ჩვენ მეფესა გზანი, რომ ერთი მცირედი დაყოვნება არსად არ მოუხდეს და ერთი ბეწოდ არ დაუღონდეს გული იმას. (ახლა თავს ქარაუკლებსაკენ).

ლიპარიდ — ზურაბ, (ერთი იმათგანი კუნძებზე რომ სხედან წამოდგება) ეგ უკანასკნელი ხის კუნძები წაიღეთ და ცეცხლსა მიუმარჯვეთ, არ უკლოს იმისმა სინათლემ. გესმის ზურაბ, იმისმა ალმა არ უკლოს, რომ ხვალ სიკვდილის ქორწილი გვექნება, სიკვდილი დიდებული და სიკვდილი სადღესასწაულო!

ზურაბ — პირველად მე ჰქირავს სანაცვლო, ხვალ ჩინებულს დღესა! (აიღებენ კუნძებსა და გაუწენ).

ლიპარიდ — რა კარგი რამ არის ეს ჩემი ზურაბა, ჩემს ძუძუსთან ერთად გაზრდილი, ჩემი ძიძისშვილი. რა ვიცი, მე და იმან თხუთმეტ-თხუთმეტი წლისა, მარტო ჩვენის ხელებით მეტად მოვაწონეთ თავი თურქებზედა ჩვენს მეფესა დავითსა და ეხლა რალა ღმერთი უნდა გაუწყრეს ჩვენს კახობას? (ზურაბ ისევ შემოვა).

ზურაბ — თქვენის ბრძანებით, ლიპარიდ, ამალამ ამ ცეცხლისა სინათლესა მოფენილი ბრწყინვალეობა არ მოაკლდება, მაგრამ ვილაც ცხენიანები მოვიდნენ ჩვენ წინა ჯარში; აი ცხენიდგან გადმომხტარა და კიდევ მოდიან. ბარამ, მეფე დავითის პირველი საყვარელი. როგორ დასწვია სიცხით პირი, იმ ცხელს ქვეყნებში?

(ბარამ შემოვა თხუთმეტი შუახნის კაცებითა, წითლად შემოსეილნი).

ბარამ — ლიპარიდს გაგიძარჯოს! (ლიპარიდ მძიმედ თავს დაუკრავს).

ლიპარიდ — ღმერთმა გადღეგრძელოსთ სახელოვანო ბარამ!

ბარამ — ლიპარიდ, რა კარგი ვაჟკაცი შექმნილხართ. გახსოვს? თურქები რომ წაიყარე წინა ვითა ლომმა ველურნი ნადირნი და ხმალმოსეული, გამოხვედი მთელი ისევ? — თხუთმეტის წლისამ, ის რომ შეიძლე, ეხლა რა დაემართება შენს მოპირდაპირე მტერსა.

ლიპარიდ — თავს ნუ მომაწონებინებ ეგრე, პატივცემულო ბარამ, მაგრამ გთხოვ მიბრძანოთ, ჩვენმა მეფემ დავითმა ხომ არა დაგაბარათ რა ჩემთან? იმის ბრძანება ჩემთვის ღვთის წყალობაა.

ბარამ — შენთან და სხვებთანაც ბევრი.....

ლიპარიდ — ჩემთან რაო შენი ჰქირავებ?

ბარამ — მაჟულის სამსახურისათვის ბევრი, ბევრი მადლობა გიბრძანა. ეგ იმისი საჩუქარი წითელი ტანისამოსი, ოქრომკერდით ნაყერა, რომ ზედ გაცვია. და ესეც შემოგითვალა: „მეც ჩქარა გნახამო“;

ლიპარიდ — (სიხარულით) სად და, რომელს ადგილს ბრძანდება ეხლა?

ბ ა რ ა მ — რად გინდა სადა ბრძანდება, ამ ცეცხლს უყურებს და მოდის ალტაცებულის გონებით. ამაღამვე მობრძანდება აქ უთუოდ.

ლიპარიდ — მიაბზეთ იმისი ანბავი, მეტად მიაბება, თავრიზში რომ შებრძანდა გამარჯვებული, რა ქნა ნეტა, მითხარ!

ბ ა რ ა მ — ჭეშმარიტად ღვთის განგებაა, თორემ კაცისაგან როგორ შეიძლება, რაც დავით მეფემ შეიძინა! ჭერ ეს უნდა გითხრა, ღვთის მოშიში და მლოცავია საკვირველი! იმის პირი ღვთისადმი ვედრებისაგან არ დასცხრება და იმის ვედრება ეს არის: „ღმერთო, თურქების ხელიდგან განგვათავისუფლეო“. ერთს დილაზე მობრძანდა ჩვენთან, შენი წიგნიც თან მოიტანა და სიამოვნით ბრძანა: „უნდა ჩვენც ვეცადნეთ და ღმერთი შეგწე იქნებაო“. ამ დროს ალეპო აღებული ჰქონდა, მაგრამ ბრძანა: მინამ თავრიზს არ ავიღებ, ქალაქ ტფილისის აღება არ ვარგაო. ეს ხომ შენც იცი. მასუჯან ალეპო დააგდო, ალეპოს გარემო თურქები გათელილი და თავრიზისაკენ მიმართა პირი. დღე და ღამე გასწორებულმა, იქაც გარეჯა დიდი მტერი და ახლა სადაც არის აქაც დაუკრავს თავსა თავის მტრებსა.

ლიპარიდ — ბრძენი პლატონ უნდა იყოს, რომ იმან გამოთქვას იგი თორემ, ვის შეუძლიან სხვასა. მაგრამ ახლა ეს მიბრძანეთ, ბევრი ქართველები ხომ არ დაგეხოცათ ომებში?

ბ ა რ ა მ — როგორ არა, მაგრამ — კანონათ დაკდევით და კიდევ გავიფიციენით: ვინც ომში მოგვიკვლეს. არ შევწუხდეთ და დიდი სიხარულით გადავიხადოთ იმისი სიკვდილი!

ლიპარიდ — დიახ, ჩინებული პირობა და კანონია, ჩვენც აგრე აღვასრულებთ.

ბ ა რ ა მ — მშაო ლიპარიდ, აბა ეხლა შენ იცი, ანბავი მიანბე, დავით მეფეს მოვახსენო.

ლიპარიდ — დავით მეფის ბრძანებით, ეს დიდი ცეცხლი ის ნიშანია, რომ მთელ საქართველო აღიქურვება, სულ ერთიანათ აქ მოიყრიან თავსა, რომელთაც ამ ცოტა ხანში ნახამთ იმათ. ეს ასე მოახსენე, ამის მეტი არაფერი.

(ამასთანავე ერთმანეთს თავს დაუკრავენ და გავლენ).

ლიპარიდ — (მარტო რომ დარჩება ცეცხლს მიხედავს, მასუჯან მოიხედავს და მოჰყვება) — არ ვიცი, ჩემისთანა ბედნიერი კაცი იქნებალა სადმე? — მიყვარს საუცხოვო სატრფიალო ჩვენი მშობელი მამული და მშვენიერი ქალი ელენე! ამ ორს საგანში გართული ვარ მარადის და ჩემი სრული გონება ამათ მიერ არის მიზიდული. ამ წუთისოფლის ბედნიერება ეს არის!.. ვისიც გული ამ ორის საგნით სავსეა, იმის სული განწმენდილია ყოვლის მწიკვლით და ბევრს კეთილსაც აქმევინებს კაცობრიობისათვის. საქმე მშობლის მამულის სიყვარული და ქალისა ჩემგნით

სიყვარული, ამ ცეცხლსა ჰგავს, ჩემს აგებულებას ასე ეკიდება ელენეს სიყვარული! ჩემს გულს ასე ანათებს ამ ალსავეთ! და ჩემი სულიც ამ გაბრწყინებულს ამღზნებარესა ჰგავს! — ეს ჩემი მანათობელი სიყვარული, ზეცის დიდების ფრენასა ჰგავს (სიყვარულის განციფრებაში შევა) აგერ ზეცის კარი განაღო, ექვს ფრთოსანმა ბრწყინვალე ანგელოსმა, რა ნელად გამოაქვს ბუდესავეთ მობზინვარე ჩასაჯდომი სიყვარულისა. ერთსა გუნდსა თეთრთა მტრედთა მოაქვთ, უკან რავედნი დასნი გვრიტნი მოსდევენ ამა უმანკოთ ფრინველთ დასებთ, რა სიყვარულის მოღუღუნებით მოაქვთ იგი, ანგელოზთა მიერ შემზადებული სიყვარულის ბუდე! — აგერ, ჩემს მახლობლად მოიტანეს, მიველ და შიგ ჩავექე. ნებას გაძლევთ, მატარეთ გვრიტებო, წამიღევით და სადაც გინდოდეთ დამატარეთ. წაველ, წაველ ზეცას! ოჰ, რა საკვირველებაა! ნიაფ-სიო აღუშვიათ განსაცვიფრს სიყვარულის საკრავების ხმებზე და მანათობელ ვარსკვლავთაც — საყვარულის ღბინი მოუფენიათ! აი, მიმიყვანეს და მეც მანათობელ ვარსკვლავთ შუა ჩამსვეს. რამწამს დამინახეს, ეს ამაყი ვარსკვლავნი მეყსეულად წამომიდგნენ და კრძალვით თაყვანს მცემენ. იგი წვრილი ვარსკვლავებიც ჩემსა ზედა ფრიალებენ და განათლებულსა სიყვარულს ზედ მაყრიან. — ავივსე! ავივსე სიყვარულით! ამ დროს რასა ვხედავ? იგი გაბრწყინებული ვარსკვლავი სიყვარულისა, მოდის უმაღლესის ზეციდგან, ვითარცა ტყორცილი ისარი. აი, მოვიდა, მოვიდა, ხელი მომავლო, გამიტაცა და ერთს წალკოტსა შინა ჩამაგდო ედემსავეთ მშვენნიერში. რა მიმოვხედავ, ვხედავ ერთს ბროლის აუზში ვგდივარ; ეს აუზი სიყვარულის ნეტარებით საესეა! — აჰა, დავეწაფე და უტკბილესის სურვილით დავლიე მისი ძლიერება... (ამ დროს საშინელი ღრებლები აღიმართება დაუცხრომელის ელვა-ჰქებით და ჰერიც ქარიშხალით ღელვას შეიქს).

ლიპარიდ — ესეც ჩემი მეორე მაგალითი; აი, ასე ირევა ჩემი სისხლი მშობლის მამულის სიყვარულით. აი, ამ ელვასავეთ ასე დაკრთის ჩემი გონება და მშობელს ქვეყანას გარს ევლება. აი, ასე გრგვინავს ჩემი ვედრება ღვთისადმი მშობლის მამულისათვის. გრგვინვიანო ჰეჰეჰე!... ეგ ქუხილი წინმობრბედი სიმღერა იყოს ზეციური განგების მახარებელი და გვიღალადებოდეს მშობლის ქვეყნის განთავისუფლებას. ჩვენო მშობელო ქვეყანავ, შენ რაღას აპირებ? ძენი შენი წამოვდექით, ვითარცა მეორედ მოსვლისა მკვდარნი საფლავით. გაფიცებულნი ვართ, ან თურქები გავიყვანოთ აქედან, ან არა და სულ ერთიანათ გავსწყდეთ მშობელო ქვეყანავ, განა გამოგვიმეტებ, შეილნი შენი მოისპენ აქედან და ჩვენს ნაცვლად უცხო თესლი დაისახლო. — ოო, მშობელო, მშობელო ქვეყანავ, ამას ნუ გვათქმევინებ. შენ, შენი სიმაგრეები მოამზადე

და ბრძოლა ჩვენზედ მოაგდე. (ამ დროს ბატის კვერცხის ტოლა რამდენიმე სეტყვა ჩამოვარდება აქ-იქ).

ლიპარიდ — ოჰო, ახლა კი აღარ ხუმრობს ზეცა, თუ ეს ღრუბელი აქვე დატრიალდა, დიდს ვნებას მოგვცემს ეს სეტყვა. (ამ დროს ღრუბელი გატრიალდება). ღრუბელი სწორედ თურქებისავენ წავიდა და ღმერთსა თავისი რისხვა იმათზე მიაქვს. მოიცადე თურქეთო, ჯერ შენს უსამართლობის ქცევასა უპკრეტს ღმერთი; თავისი მგზავრებისამებრი ითმენს, ეგება მოიფიქრო და სამართლის გზაზე დადგე, მაგრამ, თუ როგორმე მოთმინებისაგან გაიყუან, მაშინ თავის მრისხანებას გამოგიგზავნის თქვენს თურქეთში და წამსვე დაგცემსთ. არ იცით, რომ ბევრი თქვენისთანა მაგალითი ყოფილა ქვეყანაზე თურქეთო. (ამ დროს წერო მოფრინავს ყვილითა).

ლიპარიდ — წეროვ, მესმის შენი მაღალი ყვილი, მცირედი მოიცადე. ჩვენი და თურქების ბრძოლის მოწამე იყავი, კაცების სისხლის ღვრა ნახე როგორ გამხეცებულები მივესევით ერთმანეთს და წყვეტას დაუწყვებთ ურთიერთსა. ამ უბედურების მიზეზნი თურქები არიან, თორემ შენზე მაღლა ხომ ვერა ფრინველი ვერ აფრინდება; აბა, მიდი და ყოვლად უზენაეს მოსამართლეს კითხე, თუ მე ამას ვტყუი?

(წერო რომ გაფრინდება, მას უკან სვავი მოფრინავს, ყრიყინით და ამ დროს მგლები დაიღმუილებენ).

ლიპარიდ — ოოოო, ეს რა საზიზღარი ხმები მესმის; მგლები ღმუიან და სვავი ყრიყინებს. აი გულ-ღვიძლიანო და პატივისმოყვარულო კაცო; ამ მტაცებელს მფრინველს და ამ დაყმენდილ მგლებსა რა საუცხოვო ნადიმს გაუშლით... მაშინ მზვერავი უნდა იყოს ვინმე, რა ტბილ-გემოვნებით დაუწყებენ ჰამას ჩვენსა მკვდრების ხორცსა და ან როგორ განსცხრებიან ჩვენის მუცლიდგან გამოთრეულის შინაგანებზე, ღმერთმა ხომ იცის ამ საცოდაობის მიზეზნი თურქები იქნებიან, გაუმადლარნი პატივმოყვარულებითა. საიდან სად მოვიდნენ? ვისი ქვეყანა დაიპყრეს? რისთვის და ან რომლის კაცობრიობის ბედნიერებისათვის. — თურქები სიცრუით ამბობენ — საქართველო მტრის ხელიდგან გამოვიხსენითო? საქართველოს მფარველნი შევიქენითო! საქართველო განვანათლეთო! საქართველო გავაბედნიერეთო! და სხვანი. ამაჲს კი აღარ ამბობენ: საქართველო მოტყუებით წარვიტაცეთო, საქართველოს მემკვიდრე მეფის ჩამომავლობანი თურქეთში გადავყარეთ გაუკითხავათაო, ქართველები ჩვენი ფეხის მონანი არიან და დასალახავათა გვეყვანან იგინიო, ქართველების მაგივრად თურქები გვინდა დავასახლოთ საქართველოში და თურქების ქვეყანად გავაკეთოთ, რომ ქართველების ხსენება აღარსად იყოს საქართველოში და სხვანი. კარგი გაბედნიერებაა

ქართველებისა. ოჰ! დასთრგუნე ძლიერო, კაცის უსამართლობა! ძირში მოსაპრელო ცრუ ენავ კაცისა და მკვერად მოლაპარაკეო, რომელიცა ტყუილთა აჯერებთ სხვებსა და — დასასრულ, დიდების სურვილითა დაყმენდილო თურქებო, თქვენ გარე მიმოიხედეთ, რა ხართ? ერთი იგრძენით რა ხართ თქვენ საწყალნო თურქებო, რომ თქვენს პატივს, დიდებასა საზღვარი არა აქვს. თუ ქართველების ნაკლუვანებასა ხედავდით რასმე, არ შეგეძლოთ თქვენის ძალით და ძლიერებით გავესწორებინათ, ამით უფრო ბევრს კარგს შეიძინებდით და არა წარგეტაცნათ?... განა საქართველო წარიტაცეთ პატივის მოყვარულნო თურქებო? ბოლო ენახოთ რა იქნება თქვენი. დაღალული ვარ და ახლა მცირედ დავისვენებ. (უბიდან ელენეს სარტყლის ნაკუწს ამოიღებს, ტკბილად დაკოცნის, მასუკან აქეთ-იქით თვალეზზე დაიდებს, მერე ყურებას დაუწყებს და ასე მოჰყვება).

ლიპარიდ — შენ სარტყელო, ვის წელზედ ეხვიე, რომელს მოხდენილობას? — იმის თითებს აუღიხარ შენ სარტყელო, — როგორ დაეიჭერო, რომ არ ათართოდები იმის თითის შეხებით! იმის თვალებს დაუნახავს უცხო სიკრულე შენის სახისა? თუ დაუნახავს, კვრეტის გრძნობა ხომ დააჩნდებოდა ამ სარტყელზე, აბა, ერთი კარგად გავჩხრიკოთ სინათლეზე. (სიხრეკავს სინათლეზე) აი, ახლა კარგად გამოჩნდა: წითელი პატარა ჩიტი აზის ზედა და ერთი წითელი ვარდის ფურცელი უჭირავს, პატარა, თეთრის ნისკარტით. უკაცრავათ წითელო ჩიტო, ველარ დამეხწევი მე. (საჩქაროდ უბეში ჩაიღებს და ორსავე ხელებს უბის გარედგან მაგრად დაადებს და ამასთანა ეტყვის): მანდ სიყვარულის ბუდეში ჩაჭექე. აღარ შეიძლება, ველარ წამიხვალ. ჰოო, აბა აგრე იყავ, მართლად უცხოთ დაიბანაკევი. ამის შემდეგ ეხლა რა კარგად დამეძინება. (შემდეგ წამოწოლით ერთს ზეზედ მისდებს თავსა და განსვენებით დაიძინებს. — პატარა ხანს უკან ელენე შემოვა თავიანთის ძველის სამხედრო ქალის თეთრი ტანისამოსით და მახვილებით შეკურვილი. მოვა, ჭერ თავზე დაადგება, მასუკან გაფრთხილებით გადაეა და ცოტა მოშორებით დადგება და გაოცებული შეხედვით მოჰყვება).

ელენე — ახ! რა მშვენიერი ხარ მაგ წითელ ტანისამოსში; მიკვირს, ამისთანა დიდ საქმეში ხარ გაბმული, ასე განსვენებით როგორღა გძინავს? ვინ მოიგონებდა, მაგისთანა მშვიდობიანი და კეთილი ყმაწვილი კაცი, ამ საშინელს საქმეში შეხვიდოდი და ამთენ ყმაწვილკაცებს აღძრავდი? გასაშტერებელია შენი ყმაწვილკაცობა და შენი სახელი მარადის დაუეიწყარი იქნება ჩემო ლიპარიდ. რავექნა, სიყვარული თავს მართმევს, შინდა მოვიდე და სურვილით გადაგეხვიო მაგ მამაცურს შკერდსა, მაგრამ ეგ განსვენებული ძილი როგორ მოგიშალო ჩემს სიცოცხლეს და ჩემის გვამის სულსა? (ამ დროს ლიპარიდ გაიღვიძებს; წამოჭდება და თვალების ფშენვით იტყვის).

ლიპარიდ — კაცი რომ დიდ საქმეში ჩავარდეს, უნდა ცოტა საქმელის ჰამა იკმაროს და ცოტა ძილსაც დასჭერდეს. ჩემს მესამე ღამის

უძილობასთანა, ეს მცირედი ძილი საკმაოა. ვისაც მშობელი მამული უყვარს და იმის კეთილ მდგომარეობა სურს, დაუცხრომლად უნდა ცდილობდეს იმის გაბედნიერებას! კაცი თავის თავისათვის არ არის დაბადებული, კაცი დაბადა ღმერთმა, კაცის საზოგადოების ბედნიერებისათვის. ახლა ავდგე და საქმეს შეუდგე. (წამოღება და ელენეს გულზელს დაკრეფილს რომ დაინახამს, ხანჯალზე ხელს დაიდებს და გულანსვენებით ეტყვის).

ლიპარიდ — დაუყოვნებლად მითხარ: ეშმაკი ხარ თუ ანგელოზი? მითხარ თორემ ეხლავ მოგკლავ!

ელენე — აბა სწორედ შემომხედე ვინა ვარ? (ლიპარიდ თვალს რომ დააკვირვებს, განკვირვებით დაიძახებს):

ლიპარიდ — ჩემო ზეციურო ნუგეშო! (გაექანება და იმის წინაშე უნდა დაემხოს, მაგრამ ელენე ხელს სტაცებს სატრფიალოს სიტყვით):

ელენე — ჩემო სიცოცხლეო ლიპარიდ! მე ხომ ხატი არა ვარ, ჩემს წინაშე მეტანიას იყრი და თაყვანსა მცემ?

ლიპარიდ — ახ! რა ანგელოზებრ, გაწმენდილის ხმით მითხრა — „ჩემო სიცოცხლეო ლიპარიდ“. მართლა შენი სიცოცხლე ვარ, საკვირველო მშვენიერებაო ქალო!

ელენე — ადექ და ეს ჩემი გული გეტყვის სიყვარულსა, რომ საუკუნოდ შენ გეკუთვნის და შენს სიყვარულს მოუთხრობს მარადის.

ლიპარიდ — ხედავ ღვთაებაო! რა ბედნიერი კაცი ვყოფილვარ: ამისთანა ქალს ასე ვყვარებივარ!

ელენე — მაშ რა გეგონა? ჩვენი ქართველი ქალების გული აგრე ადვილად არ აღიძვრის სიყვარულით. როცა აღიძვრა, ვერაფრისთანა წინააღმდეგი ველარ დაიჭერს. იმას შეხედე, ამ სასიცოცხლო კარგსა პაერსა!... შეხედე, ამომჩქეფარეს ბროლებრ წყალთა! — შეხედე, ამ განსაცვიფროს ბუნებასა! შეხედე უებროსა ჩვენსა მზესა!... ამათ შორის დაბადებულს ქალებს, უთუოდ ძალიან სიყვარული ეცოდინებათ!... კარგი ჩემო ლიპარიდ! მაგ შენს ილლიას ქვეშ შემიფარე, — შენი მარჯვენა მკლავი მხრებზე გადმომახვიე, შენს სიყვარულს ვიახლო მცირეს ხანსა. (ლიპარიდი უნებურად მკლავს აიღებს და ელენეც საჩქაროთ შეეფარება)..

ლიპარიდ — ეს რა მოველო ჩემს აგებულებას შენის მოახლებით? სიტკბოსაცა ვგრძნობ, — სიამოვნებასაც, — კმაყოფილებასაც, — სიხარულსაც და ბედნიერებასაც! ყოველი ქვეყნის კეთილი ჩემს აგებულებაში ტრიალებს ეხლა და უკვდავების ნეტარებაში ვცურავ... რადენი დრო მიდის, ეს ავდენი სიამოვნე, სულერთიანათ ჩემს გულში იკრიბება და სადაც ცხოვლათ კეთდება, რომელიცა სულსა ცეცხლსავით ეკიდება და სისხლი ათას რიგათ ღელავს.—აი, ეს ცეცხლსავით მღელვარება ახლა ჩემს აგებულებაში დადის და მომწვარსავით იწვის ჩემი სრული სხეული. მცირე ხანს უკან, ასე რომ მოვკვდე, ჩემი სხეული ასე შეიწვის

ჩემო ელენე, შენი სიცხოველით, ჩემო ელენე. აუარებელი ჭიანჭველა რომ დაეხვიოს და ჩემის სხეულის შექმა მოინდომონ, ბრწვალსაც ვერ შეაგდებინებენ.

ელენე — მე რაღა გგონივარ ჩემო ლიპარიდ! ჩემი ახლანდელი გრძნობა. სურვილის ჭურღმულში ჩავარდნილა და ჩემი სიყვარულის ვნება გარს მევლება ღელვარებით. მეორეს მხრით, ასე მგონია, მზის შარავანდელი მამეწყვიტოს და იმის სიცოცხლეში ვიბანებოდე. აჰა, შემამხედე, თუ ადუღებულისავით ცხელი ოფლი არ გადმომდის შუბლიდან. არ ვიცი, ადრინდელი დაწმენდილი და უმანკო ჩემი სიყვარული, ეხლა შენის მოახლოებით საშინელს ცეცხლად რად გადამექცა, როდესაც, არამც თუ ჩემს სრულს სხეულში, არამედ ძვლებშიაც გამწვავამს და ასე მგონია, სადაც არის, ერთს რომელსამე ცეცხლის უფსკრულში დავიღუპები შემწვარი მეთქი. ესრეთ რომელ უძლიერესი არწიენი რომ დაეხვივნენ თავის საშინელის ბრჭყალებითა სხეულსა ჩემსა, ნამცეცსაც ვერ ამოიღებენ. (ამ დროს ერთი ყმაწვილი ქალი შემოვა, ელენესავით ჩაცმული და ლიპარიდს დაუძახებს).

ნინო — ძმაო ლიპარიდ! ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობით გნახე. შენ ნუ მოკვდები, ბევრი, ბევრი მწარე ცრემლი გადმამდიოდა და ღმერთს ვუხვეწებოდი შენის მშვიდობისათვის. (ამის ხმაზედ ლიპარიდ და ელენე განშორდებიან, მაგრამ ძლივს გონებაზე მოვლენ და ბოლოს ლიპარიდ):

ლიპარიდ — ჩემი დედიდაშვილი ნინო! მითხარით რა ანბავია? რისთვის მოსულხართ? ან შენი ქმარი სად არის, ჩემო დაო ნინო?

ნინო — ჩემი ქმარი საომრად წავიდა, მაგრამ ჩვენ, ყმაწვილმა ქალებმა გამოუღსწარიტ, მოვდიოდით და უეცრად აქ გიპოვნეთ, ნამძინარევი.

ლიპარიდ — როგორ? განა ჩემი და ელენეს ლაპარაკი გესმოდა?

ნინო — უკაცრავად, ჩვენ ამხანაგთ ყმაწვილ ქალებს, ერთმანეთთან დამალული არა გვაქვს რა, სწორე ვითხრა, შორიდგან გიყურებდით, ყოველი თქვენი ლაპარაკი გვესმოდა (ლიპარიდ შეკრთება და ელენე ატყვის).

ელენე — ჩემო ლიპარიდ, ნუ შესწუხდები, შენ ნუ მოკვდები, ჩვენი სიყვარული დასამალავი არა არის.

ლიპარიდ — კარგი, ჩემო ელენე! შენმა გაზრდამ აღარ შეეწუხდები, მაგრამ თქვენი ანბავი მიანბეთ, საიდგან მოხვალთ და ან სად მიხვალთ?

ნინო — როგორ სად მივალთ? ერთი ეს მითხარი, რითა ვართ ჩვენ ქალები კაცებზე ნაკლები?

ლიპარიდ — ჰეროვნებით და ღონით.

ნინო — ჰეროვნებით მართალია, მაგრამ ჭერ მაგის პასუხს გეტყვი, რამთენი პატარა კაცია, დიდსა და მაღალ კაცს შეჰკრავს და მცირე

ყრმასავით ქვეშ ამოიღებს? — მეორე, თვითონ შენც კარგათ იცი, ღიახ, უცხოთ გამაფითარეს ბერძნულს ენაში, ჩემმა დედ-მამამ, რომელმაცა, შენც კარგათ იცი იმათი ენა და ბევრმა სხვათაც ჩვენთანებმა: მე ბერძნული წიგნები ბევრი წამიკითხავს; ამ ახლახანშიაც ვკითხულობდი. მამ მითხარი, ვინა სჯობდა ჩვენ ამაზონელს ქალებსა, ვაჟაკობით და ან ღონით! მაშასადამე, სწავლაზე და გავითარებაზე არის დამოკიდებული კაცისა, თუ დედაკაცის ყოველი საქმე. ახლა ჩვენ ყმაწვილმა ქალებმაც შემოვირტყით საჭურველი და ოთხი ათასზედ მეტმა აქ დაგიკარით თავი ჩემსავით ჩაცმულთა, ვნახოთ თქვენ კაცები, როგორ დაგვემჯობინებით მამულის გამოსხნაში.

ლიპარიდ — როგორ? განა თქვენც საბრძოლველად მომზადებულხართ?

ნინო — თავდადებით და უკანასკნელის სისხლამდისინ.

ლიპარიდ — ეგ თქვენი ნარნარი სიწყნარე, არ გებრალებათ? ჩემო დაო ნინო, ყველას გვედრებით თქვენ ნუ გაირჩებით, თქვენ, ქალებმა შორიდგან გვიყურეთ და ჩვენის კაცების გამხეცებული ვაჟაკობა ნახეთ, რა საშინელება მოხდება. ღმერთმა ნუ ქნას ჩვენ კაცებმა ქალები გამოგიმეტოთ და მტრის პირში მიგკეთ. ჩვენის გამხნეობისათვის თქვენ შორიდგან გვიყურეთ, ესეც საკმაოა ჩვენთვის.

ნინო — რას ამბობ? შორიდგან ვიყურეთ! ჩვენ მშობელ ივერიას საშინელის პყრობილობით სული ამოსდის და თურქებისაგან ტანჯვით კვდება. მწარედ შეწუხებულსა, საცოდავი ხელი გამოუშლია და გულმტკივნეულის კვნესით ითხოვდა შეწევნასა. ოჰ, რა უღმერთობა იქნება, ვინც სახლში დარჩება, საპყარისა და დიდათ მოხუცებულის მეტი. (ამ სიტყვასთან ორნე ქალნი ატირდებიან და თვალებზე ხელს მიიფარებენ. ლიპარიდ ერთს ხეზე მიყუდება შეწუხებული და ხმას ევლარ ამოიღებს. — ნინო თვალებს მოიწმენდს და მასუკან იტყვის).

ნინო — ჩემო ძმაო, ლიპარიდ, ნუ შეწუხდები, მიყურე ეხლავ რა გაჩვენო (ამ სიტყვასთან გამოვა, საჩქაროთ უკან შემოვა და ორმოცი მეტი ყმაწვილი ქალი თან შემოჰყვება იმათებურათ ჩაცმული, სომხებისა და თავიანთი, ყველანი ლიპარიდს თავს დაუკრავენ).

ლიპარიდ — ამ ყმაწვილი ქალებისაგან მიკვირს რა ამბავია?

ნინო — რა ამბავია ძმაო ლიპარიდ, სხვა ოთხი ათასი ყმაწვილი ქალი ჩვენსავით ჩაცმულები, ჩვენ და სომხებისა, აგერ იქა დგანან, ჩვენზე მოახლოვოთ და სადაც არის შენს სიმამრ-სიდელრსაც ნახავ ჭარებითა (ლიპარიდს აღარ დასცალდება სიტყვის თქმა, ელენეს დედა შემოვა და ამასაც ორმოცზე მეტი თავის ხნის ქალები შემოჰყვება, სუყველას ლურჯი ამაზონის ტანისამოსი აცვიათ).

ანასტასია — ჩემო საყვარელო სიძე ლიპარიდ! ოჰ, რა სასიხარულოა ჩემთვის შენი ნახვა! (ლიპარიდ გაეჩანება, ერთმანეთს გადაეხევიან და

შემდგომ ლიპარიდ ეტყვის:) ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობით გხედავთ, მაგრამ მიბრძანეთ, ამდენი ქალების შეყრილობა რა ამბავია?

ანასტასია — ჩვენ ხნიანი ქალების სურვილია, ან ჩვენი მშობელი ქვეყანა გამოვიხსნათ, ან არა და სულ ერთიანათ თურქების ხელით გავსწყდეთ.

ლიპარიდ — ჩემო საყვარელო დედაე! მაშ, ჩვენ კაცები რილასთვის ვართ, ჩვენი ქვეყნისათვის ხმალი არ მოვიჭნიოთ და თურქების წინააღმდეგ ომი ვერ გავებდლოთ?

ანასტასია — შვილო, ლიპარიდ! მეტად ბევრნი არიან წყეული თურქები, თითქმის კიანჭველებზე მეტი, ნუ შეწუხებულხარ; ბრძოლის მინდორზე ნახამ საქართველოს დედაკაცები რა საშინელს ზარს დასცემენ თურქებსა. (ამ უკანასკნელ სიტყვასთან ანასტასიას ქმარი აბულელი შემოვა და ამასაც ორმოცზე მეტი თავის ხნის მემორები, თავიანთი და სომხების შემოპყვება მწვანეს ტანისამოსით და ლიპარიდს შემოსძახებს).

აბულელი — შვილო ლიპარიდ? კიდევ გვეღირსა საქურველის აღება. ჩემი და ჩემი ამხანაგების ხანი, ოცი წელიწადი უკან მოგვექრა; სრულებით გავყმაწვილდით და მოგვეცა ღვთის წყალობა, ჩვენ ხელი გამოვიდით. (ამ სიტყვასთან ლიპარიდი და თავისი სიმამრი გადაეხვევიან ერთმანეთს, ლიპარიდ მალა აიხედავს და გულმობიერედ იტყვის).

ლიპარიდ — ღმერთო ვმადლობ! რამდენს სასიხარულოს ამბავს გხედავ!...

აბულელი — ეგ დიახ, კარგი ჩემო ლიპარიდი, ახლა შენი ჭარისკაცები სად არიან და ან რომელს მხარეს დგანან?

ლიპარიდ — ამ შიგნით ტყეში დგანან, ჩემო სიმამრო, გნებავთ. რამდენიმე მოვიყვანო და გაჩვენოთ?

აბულელი — დიახ, კარგი იქნება ჩემო სიძევე. (ლიპარიდ გაბრუნდება და ერთს ხეს იჭიდვან ბუეს აიღებს, ტყის მხარეს სამჭერ დააყვირებს და ამის ხმაზედ სამოცი მშვენიერი ჰაეროვანი ყმაწვილი კაცები წამოვლენ ტყიდგან წითელი-სავე ტანისამოსით და ლიპარიდს დაუკრავენ კრძაღვით თავსა; ნახევარი სომხებისა და ნახევარი თავიანთი).

ლიპარიდ — ესეც ჩვენი ჭარისკაცნი, ჩემო სიმამრო!

აბულელი — მართლა მოსაწონი და მშვენიერი სანახავნი არიან. (მასუკან ყმაწვილ კაცებს ეტყვის): ყმაწვილო კაცებო, დღეს მთელმა საქართველომ საქურველი აიღო, არამც თუ კაცებმა, დედაკაცებმაც და ყველას აზრი გვაქვს: მამული გამოვიხსნათ. ახლა გამოგიჩნდებათ როგორც გამოიღებთ თავსა და ან ხელს გამოიღებთ. (ერთი სომეხი ყმაწვილი კაცი ამათგანი იტყვის):

აბესალომ — ახლა ამ თავით ტრიაბახი საჭირო არ არის, ღმერთმა ინებოს დროით მოხდეს თურქებთან ბრძოლა, მაშინ თქვენი კეთილი თვალი ნახავს, რანი ვართ ჩვენ ყმაწვილი კაცები ჩვენი საქართველოსი.

ა ბ უ ლ ე ლ ი — (დიდის სიამოვნებით მიუგებს პასუხად), დიახ, დიახ, ჩემო აბესალომ, ღვთის მოწყალებით ყოველი ჩვენი საქმე კეთილად მოდის. (ახლა ლიპარიდს მიუბრუნდება ისევ და ჰკითხავს): მაგრამ მამიშენის ამბავი ხომ არა იცი რა ლიპარიდ?

ლიპარიდ — როგორ არა, შენი ჭირიმე. ცოტას ხანს გიახელ და დედაჩემი ვნახე. დავით მეფის მოწერილობით და იმის ბრძანებით, ამ ორის თვის წინათ აღმოსავლეთის კავკასიის მთებში წასულა მამაჩემი, რადგან ბევრი მეგობრები ჰყავს იქით მხარეს; იქითა მხარეს ერნი უნდა აამხედროს და ჩვენ შეგვეერთოს. სადაც არის, ეხლა გიახლებიან აქ ისინი (ამ სიტყვის დასრულებასთან ლიპარიდის დედ-მამა შემოვა, ამათაც ხნიან ადამიანებსავით აქვთ ტანისამოსი ჩაცმული და უკან ოცზე მეტი მთის კაცები შემოკყვებთან ჯაჭვითა და ბეგურებით).

ლიპარიდის მამა ივანე — ოჰო! ჩემთვის რა სასიხარულოს ყრილობას ეხედავ (ლიპარიდ თავის დედ-მამას გადაეხვევა, მასუკან მძახლები ერთმანეთს შეხალმობიან და შერე თავის რძალს ეღვინეს აკოცებს).

ივანე — ჩემო მძახალო აბულელო, ასე ჩქარა, როგორც ჩვენ მოვემზადენით, მართლად მოსაწონია. ნეტავი, ღვთის მადლით, ამ ერთის-თვის შემდეგ მომხდარიყო თურქებთან ომი, მაშინ ნახამდით თურქების ყოფას.

ა ბ უ ლ ე ლ ი — ჩემო მძახალო, როგორ რა ამბავია? რა შეგიტყვია?

ივანე — ორასი ათასი კაცი მოდის აღმოსავლეთის კავკასიის მთებითგანა, სულ მათებურად ჩაცმული, თავიანთი ორი თვის საგძალით. განთქმულის და სახელოვანის ჩვენი მეფის დავითის სიტყვით: გავერთდეთ ძმებო კავკაზიელნო, დრო მოვიდაო! ეს იმისი ხუთი სიტყვა მიუტანეთ იმათ, რომელზედაც ელვასავით გადირბინა მთელს კავკასზე ამ სიტყვებმა. ამის გამო დიდი ყრილობა შეიქმნა მთებში და დიდი მომზადება, შავი ზღვიდგან კასპამდისინ ყველანი იმას იძახიან „დიდი ჩვენი მამის თარგამოსის მამული უნდა გამოვიხსნათ თურქებისაგანაო და ახლა-დროა, სულ ერთიან გავერთდეთო“. ეს იმათი პირველი სისხლის შეილები, იმათგან არიან გამოგზავნილნი ჩვენ დასარწმუნებლად. მართალია ძმებო თუ არა? (ერთი იმათგანი, რომელსაც ჰქვიან ბეშენი).

ბეშენ — იმათი გამოგზავნილნი გახლავართ სწორედ თქვენს დასარწმუნებლად.

ა ბ უ ლ ე ლ ი — დიახ, კარგი და სასიამოვნო ამბავი გავიგონე. ღვთის-მოწყალებით ჩვენი ბედნიერების ვარსკვლავი ახლა ჩვენკენ მობრუნებულია.

ივანე — ღვთით იმისმა მადლმა, მაგრამ ჩვენი ტფილისის ერნი როგორ მოემზადნენ?

ა ბ უ ლ ე ლ ი — ოჰ, რაღა მოვახსენო! სულ ერთად გამოვიდნენ ქალაქიდგან ცოლშვილებით, რომ ერთის კირმენაულისა არავის არა-

გამოუტანია რა, თვინიერ ორი საცვალი პერანგისა და ერთი ხელი ტანისამოსისა, სულ იქ დაჰყარეს თავისი სიმდიდრე, ამას ამბობდნენ: „თუ თურქები დაგვამარცხებენ — დაფიცებული ვართ, სულ ერთიან უნდა გავწყდეთ და ჩვენი სიმდიდრე რაღა საჭიროა ჩვენთვისაო და თუ ჩვენ დავამარცხებთ, ჩვენი სიმდიდრე ისევ ჩვენ დაგვრჩება და ყოვლიფრით გაუბედნიერდებითო“.

ი ვ ა ნ ე — აბა აგრე უნდა სიყვარული მამულისა (მასუკან ივანე თავის შვილს მოუბრუნდება): შვილო ლიპარიდ, ყოველი შენი და ამ შენი მეგობრის აბესალომის ამბავი წვრილად ვიცი, პირსათნობით არ გეტყვით. თავგამოდებული მამულის შვილები ხართ ორნივე მართლად (ორთავე შერცხვებთ, თავს ჩაჰკიდებენ და ამისათვის აბულელს მოუბრუნდება).

ი ვ ა ნ ე — ყოველი ჩვენი საქმე დიას კარგად მოღის, მაგრამ სერაფიმ ბერი სად გახლავს!

ა ბ უ ლ ე ლ ი — მიკვირს, აქამდისინ უნდა მოსულიყო, მაგრამ არ ვიცი რა იქნა? (შორიდგან ვიღაც მოლიან გალობითა და საეკლესიოს ხმითა გალობენ).

ი ვ ა ნ ე — ეს რა მშვენიერი გალობაა! (ყველანი ყურს დაუგდებენ სიამოვნით, გალობას რომ გაათავებენ, კიდევ ივანე იტყვის): ნეტავი მითხრა, ასე საუცხოვოთ ვინ გალობენ?

ა ბ უ ლ ე ლ ი — მგონია სერაფიმ ბერი მოდიოდეს და იმისი ბერები მოიგალობდნენ (ამ სიტყვასთან სერაფიმ ბერი შემოვა და ოცი ბერი თან შემოჰყვება. ყველანი სიამოვნებით მივლენ და სერაფიმ ბერს ხელზე ემთხვევიან).

ს ე რ ა ფ ი მ — ყველანი ხომ მშვიდობით ბრძანდებიან?

ი ვ ა ნ ე — ღვთისა და თქვენის ღოცვით.

ს ე რ ა ფ ი მ — მგონია დავიგვიანე? ასეთი მიზეზები მომეცა; როდესაც გიამბობთ, კიდევ შეწუხდებით, კიდევ გაიკვირებთ, და ბევრს საქებელ სიტყვასაც იტყვით (ყველანი ცნობის სურვილში ჩაცვივდებიან და უნდათ საჩქაროდ შეიტყონ).

ი ვ ა ნ ე — რა ამბავია? შენს მადლს, გვიანბე.

ს ე რ ა ფ ი მ — მე რომ ჩემის ძმის აბულელის სახლიდგან წავედი, დაუყოვნად უდაბნოები დავიარე და რაც უდაბნოების ბერები იყვნენ, სულ ერთიანათ აქეთკენ გამოვისტუმრე. მეც უკან დავედევნე და მარტო მოვდიოდი ფარულს ადგილებში. ამ მომავლობაში ჩემი ძმის მოსამსახურე ოთარა დამხვდა და ამბის კითხვა დავუწყე, მოჰყვა: ქალაქს გარეთ რომ გამოვედით, თქვენმა ძმამ მიბრძანა: „ოთარავ, თითქმის თურქეთში ხარ გაზრდილი და იმათი ენა წმინდათ იცი, ახლავ უნდა დაბრუნდე და თურქებს თვალყური ადევნო, რა ამბავში იქნებიანო. ქალაქს რომ დავახლოვდით, თურქის ტანისამოსი ჩავიცვი და ქალაქში შევედი. რაღა გვაგვრძელო, ას ოცი ათასი თურქი და არაბი გამოვიდა ჩვენ დასანთქმელად. ოცდაათი ათასი ცხენიანი და ოთხმოცდაათი ათა-

სი ქვეითი; საკვირველი გაწყობილი, გამოჩენილნი პირველნი ვაჟაკები და ორასი ათასი კიდევ დაუბარებიათ თურქეთიდან. თავის მკვდრების საფლავებზე გაიფიცნენ: უნდათ ერთობლივ გაწყდნენ და ქალაქი ტფილისი კი არ დაგვანებონ. ახლა რაღა გვეშველება შენს მადლსაო? ამის მეტი არამთუ მახვილი ოთარავ, ჩვენი მაგარი კბილიც იბრძოლებს მეთქი...

ამასთანავე ცხენზე შეეჭექი, ოთარა წინ გავიმძღვარე, მთელი ღამე მთა-მთა ვიარეთ და გათენებისას დიღმის სოფელს გადმოვადექით. მაღლა მთაზე ტყის პირში, მანამ კარგად გათენდებოდა, დავიძინეთ; როცა მზემ მოიარა, ავდექით და დიღმის გადავხედეთ. ვნახეთ, ერთი დიდი რაზმი მოვიდა თურქ-არაბების ჯარი და დიღმელებს გარშემოერტყნენ. დიღმელებიც ერთს მაგარ კუთხეებში გამაგრდნენ სანგარსავით მოვლებულს ადგილში და საომრათ მოემზადნენ. მე და ოთარიც ხეობაში ჩავედით და ტყე-ტყე ვიარეთ. ასე ახლოს მივედით იმათზე და დიღმელების სანგარზედ, რომ იმათი მაღალი ლაპარაკი გვესმოდა.

ი ვ ა ნ ე — მიკვირს დიღმელები რაღათ დარჩომილან და ამ დანიშნულ ადგილს არ მოსულან?

ა ბ უ ლ ე ლ ი — ვინც აქეთ მხარეს სოფლებში დავატარე, იმას დაეწიყებოდა დიღმელები მისვლა. ხელმეორედ გავგზავნე, ეგება აყრა მოასწრონ მეთქი, მაგრამ რაღას მოასწრებდნენ, ჩემი გაგზავნილი კაციც იმათში დარჩებოდა.

ი ვ ა ნ ე — ასე ჩქარა ვინ შეატყობინა ჩვენი განზრახვა თურქებს?

ა ბ უ ლ ე ლ ი — რამდენიმე თურქების დიდი კაცები დავხოცეთ გუშინწინა გზაზედ. უთუოდ შეტყობის მიზეზი ეს უნდა იყოს.

ი ვ ა ნ ე — ჰოო. (ამასთან მობრუნდება) აბა ახლა თქვენა ბრძანეთ, მამაო სერაფიმი.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი — ეტყობოდით გაკაპასებულნი იყვნენ თურქები და არაბები. რაწამს თავისი ჯარი დააწყეს, მაშინვე შემოუტყეს, უნდოდით სანგარზედ გადმოსულიყვნენ და სულ ერთიანად გაეწყვიტათ. ღმერთი ნუ გაგიწყრებათ, იმათ ვერ იკადრეს სანგარზედ გადმოსვლა და ზედ სანგარის პირზედ წყვეტა მოხდა ორივე მხრითა. გარშემოხვეულნი თურქ-არაბნი უკან აღარ დაბრუნდნენ, დიღმელებიც ზედ სანგარზედ ავიდნენ კაცი და დედაკაცი და ასეთი საქმე შეიქმნა, რომ რაღა მოგახსენოთ. ქვა, კეტი, ხმალი, შუბი, სატევარი, ისარი, სულ იქ ტრიალებდა და ერთმანეთს სწყვეტდნენ. მგონია ხუთი თურქ-არაბის წინ ერთი დიღმელი დედაკაცი და კაცი იდგა და უშიშრათა ომობდა. თურქ-არაბებმა, რომ ველარ გააწყეს რა, დაბრუნდნენ და მოციქულობა დაუწყეს, მაგრამ დიღმელებმა ხმამალა დაუძახეს: „ჩვენი ბედნიერება იქმნება, თუ ჩვენი მამულისათვის დაეიხოცებითო“. ამასთანავე, თავგადადებულთ შემოუტყვეს თურქ-არაბებმა და სიმრავლის ვამო, სანგრებში

გადმოვიდნენ. პირველი ომი ამითან შექცევა იყო; სულ ერთიან დიღმელი დედაკაცები დატრიალდნენ, რაც წვრილი და უხმარი ყმაწვილები ჰყვანდათ, თავიანთ ქრემების წინ ყელები დასკრეს თავის შეილებს და მასუკან თურქ-არაბებში დაერივნენ გაგაყებულები. მოკლეთა ვსთქვათ: ის იმთენი თურქები და არაბები. სულ დიღმელი დედაკაცის და კაცებისაგან დაიხოცნენ, რომ თხუთმეტზე მეტი აღარ დარჩომილან, მაგრამ დიღმელებიც სულ ერთიანად მოისრნენ. ასე გათავდა დიღმელების თავგადასავალი, საქებელი ომი, და მშობლის მამულის სიყვარული, მაგრამ თურქებს და არაბებს ძვირათ დაუჯდათ დიღმელების ომი. ერთმა დედაკაცმა და კაცმა, მგონია, ხუთი თურქ-არაბი ინაცვალა, თორემ ოთხი მაინც იქნებოდა. მე ვიცი, თურქ-არაბებსა ამით ზარი დაეცემათ და ჩვენ ქართველებს სიმხნე მოემატებათ.

ყ ვ ე ლ ა მ ე რ თ პ ი რ ა თ — ნეტავ დიღმელების სიკვდილს! ბედნიერი არიან! ბედნიერნი!... (ამ დროს დაეთ მეფის ბარამ შემოვა თავის კაცებით და ყველას შემოსძახებს).

ბ ა რ ა მ — ძმებო! ღმერთსა ვმადლობ, ამისთანა ამბავს ვხედავ! მაილოცავს, მეც კარგს რასმე გახარებ. დავით მეფე მობრძანდა თავის ქართველების ჯარით და ეხლა შემობრძანდება თქვენთან. (ამაზედ დიდი სიხარული შეიქნება და ყველანი ძახილს შეიქმს): დავით მეფე აღლეგრძელოს! აღლეგრძელოს!... (და იარაღის ჩხარა-ჩხურს დაუწყებენ, ამასთან შორიდგან ისმის, მომსულელთ ფეხთ-გუგუნ-გრიალით და დასახვედრი ძახილი): ჩიქნს მეფეს დავითს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!... (იქილგანაც შესახვედრი ძახილი): გამარჯვება, ძმებსა გაგიმარჯოთ..... (ამათთან ბუკების ცემით და გალობა გამრავლებული მოდიან, დიდის ყოფით. ამ დროს არსენ იყალთოელი, მოძღვარი მეფისა. ოლარი გულზედ ჩამოფენილი და ოქროს ჯვრით შემოვა, ამას კათალიკოზი იოანე შემოჰყვება კვერთხით, შემდგომ ამას გიორგი ჰყონდიდელი, ამას კიდე ბედიელ ალავერდელი, შემდეგ ეფრემ მცირე, თეოფილე, იოანე ტაიკისძე და ფილოსოფოსი იოსებ, პეტრიწი ჰირაკიძე, მოელენ ერთობ ესენი, შუა ადგილზე დადგებიან და გალობას წარმოსთქმენ):

და ვით აღმაშენებელის წარჩინებულნი კრება — „დღეს ძალმან ყოვლად წმინდისამ შეგვეკრიბნა ჩვენ, მთისა და ბარისა ერი, ჩვენის დიდის მამის თარგამოზის ქვეყნის გამოსახსნელად. (ამას რომ იტყვიან, დავით მეფე შემოვა მდიდრის ტანისამოსით და ამ შეყრილობის შუაში დაიჩოქებს ცალ მუხლზე ხელგანაყრობილი და ამასთან ყველანი ეგრეთვე, თვინიერ კრებისა). ღვთისაგან დანიშნული მის კერძათ მამული, საშვილიშვილო მისი შეიბღალა თურქებისაგან. ვის სთმოს უგვანება მათი ძის ძენო თარგამოზისანო? ხვალე ცისკრის დროსა, ჰიდილი გვემზადება, ჰიდილი ბარბაროსებთან, გარნა ნათელი ზეცისა! (ამ გალობაც გაწყდება და ამასთან წაზოდგებიან. დავით მეფესა მოშორებთ უდგანან: ნიანი კახაბერიძე, არი-

შ ი ა ნ ი, ბ ა რ ა მ, ქ ა ე თ ა რ, თ ე ვ დ ო რ ე და ს ხ ვ ა ნ ი ბ ე ვ რ ნ ი. ს უ ლ წ ი თ ლ ა დ პ რ ი ა ლ ე ბ ს ი მ ა თ ი ტ ა ნ ის ა მ ო ს ი, მ უ ზ ა რ ა დ ე ბ ი თ და ს ა კ უ რ ვ ე ლ ი თ მ ო ე ლ ე ა რ ე).

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ — ერთობ საყვარელთა შვილთა ჩემთა გაემარჯვოთ (სველამ მძიმედ დაუკრეს თავი). თქვენი ნათელი მხიარული პირი მიცხადებს ხვალე ბრძოლისას, ვითა მეუბნებიოთ: ან ჩვენ ვიქნებიო, ანუ თურქებიო. აგრე უნდა, ან ჩვენ ვიყვნეთ და ან თურქები საქართველოში. დიდი ბრძოლა მოგვიხდება ხვალე; ასეთი ბრძოლა, რომე ჭერ არ გადაგვეხადოს, იმისთანა საშინელება! ამბავი მომივიდა; გარდა ფიცისა, გუშინ თურქების დედაკაცებს, თავიანთი საღამური პერანგები გამოუტანიათ და თავიანთის ქმრებისათვის შემოუძახიათ: ამ ჩვენს საღამურს პერანგებსა, თქვენ ჩალმის მაგივრათ თავზე დაგახურავთ, თუ უსიკვდილოთ ამ ქალაქს ქართველებსა დაანებებთო. ამის სამაგიერო ჩვენ რაღა გემართებს? (დაიძახებს უეცრად) ბარძიმები შემოასვენეთ! მსხვერპლი ქრისტესი! (თორმეტს ბარძიმს, თორმეტი ეპისკოპოზი შემოასვენებენ. ერთს კათალიკოსი ჩამოართმევს). მოვედით შვილნო, მოვედით და მიიღეთ წინმძღომელი ჩვენი ესე სასუფეველისა. (გალობით წარმოთქვამენ ამას. ამ გალობაში მეფე დაემხობა, მასუკან წამოიჩოქებს და შერე მიიღებს წმინდას საიდუმლოს კათალიკოსის ხელით. შემდეგ ადგება ამ სიტყვით): გვედრებით მამანო, დაიარეთ და ყველას მიალებინეთ წმინდა საიდუმლო ეგე ძის მღვთისა, ან თურქების ტანჯვის ჯოჯონეთისაგან გამოგვიხსნას, ან არა და სასუფეველი მიგვიძღოდეს ღვთის წინაშე. (დაიღლიან და ყველას მიალებინებენ სასოვებით და თან კათალიკოსის სიტყვას გალობენ). მოვედით შვილნო, მოვედით და მიიღეთ წინამძღომელი ესე ჩვენი სასუფეველისა. (ამას რომ შორჩებიან, მოვლენ და მეფე დავითის წინაშე დადგებიან ბარძიმებით და დაფარნებით დაფარებული. თავყანისცემის შემდეგ).

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ ი — სულიერნო მამანო, გაისარჯენით და ერთობ ჩვენსა ჯარსა მიალებინეთ წმინდა საიდუმლო, იმ თავგამოდებულს ჩემს შვილებსა (კათალიკოზი გაუძღვება და ერთობლივ გავლენ გალობით). მოვედით შვილნო, მოვედით, და მიიღეთ წინმძღომელი ჩვენი ესე სასუფეველისა (ამათ გაყვებიან: არსენ იყალთოელი, გიორგი კყონდიდელი, ბედიელ ალავერდელა, ეფრემ მცირე. თეოფილე. იოანე ტაიქისძე, ფილოსოფოსი იოსებ და პეტრიწი კირკიმელი. ესენი რომ გავლენ მეფე მობრუნდება და დაიძახებს):

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ ი — ივანე და აბულელო, აქ მობრძანდით ჩემთან. (მოვლენ და თავყანს სცემენ). ივანე, შენ მარჯვენას მკლავ ქვეშ-შემომიჯექ, (შეუჯდება და მარჯვენა ხელს გადააულებს მხრებზე). შენ, აბულელო, მარცხენა მკლავ-ქვეშ შემომიჯექ. (შეუჯდება და ამასაც გადააულებს ხელსა). შენ, ნინია კახაბერიძე, ივანეს მოუდექ გვერდში, (მოუდგება). შენ, ქავთარ, აბულელს მოუდექ, შენ თევდორე კახაბერიძეს მოუდექ, შენ არიშიანო, ქავთარს მოუდექ და შენ ბარამ, თევდორეს

მოუდგე. თქვენა ხართ ჩემი სვეტი სიმკვიდრისა! ჩემი სიმყარენი, ჩემი ბრძანების აღმსრულებელნი; ბრძოლასა შინა შეურყეველნი მამაცნი! თქვენა ხართ მომხრენი და მკლავნი ძლიერნი ჩემნი! (ახლა ერთობ ყოველთა). ახლა თქვენგან მოვიქცევი ერთობ ძმანო და უძლეველნი მხედარნი! ვის ძალუძს წინააღმდეგობა ჩვენი და ჩვენის ხმლისა? არამც თუ ჩვენ თურქთა დავამარცხებთ და იმათ შემწვით არაბთ, გარწმუნებთ ჩვენ დედაქალაქს ტფილისსაც გამოვიხსნით იმ ბარბაროსებისაგან. მაშინ დაიწყება ქეშმარიტი სარწმუნოება ჩვენი ქრისტიანობისა და ეკლესიანიც იღლესასწაულებენ ყოველის ბრწყინვალებით! მაშინ ერთა შორის განმრავლდება სასწავლებელნი და განათლება ამალდება! მაშინ ვაჟარნი ნამდვილს ვაჟრობას შეუდგებიან და სიმდიდრით აფუღუნებენ ქვეყანას! მაშინ უსასიამოვნესი მოქალაქეობა შემოვა და ზრდილობა გამშვენიერდება! მაშინ სრული სიბრძნე განვრცელდება და ჩვენი მეცნიერნი შეამკობენ ყოველს ამას, ვითარცა იოვანე კათალიკოზი, ჩემი მოძღვარი არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი, ზედელ ალავერდელი, თეოფილე, ეფრემ მცირე, იოანე ტაიჭისძე, ფილოსოფოსი იოსებ, პეტრიწი ჭირჭიმელი, და მე, რომლითაცა ამათის შემწეობით, გარწმუნებთ აღვადგენ ჩვენსა მამულსა და პირველ ხარისხში აღვიყვანთ!..... (მასუკან განშორდება ამათ ცოტა მოშორებით).

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ — აბა, ივანე, ახლა შენი შვილი ლიპარიდ მომგვარე.

ი ვ ა ნ ე — (ხელს დაუქერს, მიიყვანს) აი, ჩემო ხელმწიფეო! ეს გახლამთ ჩემი შვილი.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ — (მარჯვენა ხელს მხარზე დაადებს) ხედავთ, ის ჩემი ნახული ბიჭი, ხმალმოსმული თურქებზედა, როგორ დავაუკაცებულა საჩენად! ივანე, ამას იქით, ეს ჩემი შვილია, მინდა წაგართო და ხვალისათვის პირველი სპასპეტობა ამას მიეცე ჩემს ბრძანებლობას ქვეშე. (მამა-შვილი მივლენ ორნიც და ცალის მუხლით დაჩოქილნი კაბის კალთაზე აკოცებენ. ლიპარიდისაჲს მეფე დავით). კარგად ვიცი ყოველი შენი ამბავი, ლიპარიდ! ამას იქით ბევრი წარმატება მიგიძღვის წინ და დიდი ფართო კარები გაღებულია შენთვის (ამ დროს შორიდგან მოისმის ხმა ალიაჩოჩოლისა და ძახილი) დედოფალი გურანდუხტ მობრძანდა იმერეთის ქალების ჯარით, თხუთმეტი ათასი ჰყავს.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ — გავეგებნეთ, გავეგებნეთ, იმ დასთა, რომელთა სწყურთ თურქებთანა ბრძოლა, ჩქარა! (გავეგებებიან და ბუკ-დაფის ცემით შემოიყვანენ სიხარულით. მეფე დავითს ხელი უჭირავს გურანდუხტისა; მოჰყავს და სხვანიც მოსდევნენ რამდენიმე გამოჩენილი ქალები. ამათაც ისე აცვიათ, როგორც ელენესა და ნინოს. მაგრამ გურანდუხტს უფრო განსხვავებულად აცვია მდიდრად. შუა ადგილს დადგებიან მეფე-დედოფალი).

დედოფალი გურანდუხტ — მშვიდობას მოგახსენებთ ჩემსა დებსა და ჩემსა ძმებსა. (ერთობლივ მიმედ დაუკრავნ თავსა) მე ყივჩაღის ასული, ჩვენი მამულის ქალი, არ დავრჩები, რომ ხვალინდელს აღმატებულს დღესა მეც თქვენთან თავი არ გამოვიდო მამულისათვის, მეც იმერეთიდგან თხუთმეტი ათასი ქალი მოვიყვანე, სულ რჩეულნი, სულ თავდადებულნი და ღმერთი გვიძლოდეს წინ, ერთობ ჩვენ.

ერთობ — დედოფალი გურანდუხტ მრავალ ჟამიერ იქმნას, ასულა ყივჩაღისა და ქალი მამულისა! (ყველას თავს დაუკრავს, მასუკან თავის ქმრისკენ).

დედოფალი — უძვირფასესო ხელმწიფეო! ხომ არ გეწყინათ, მეც რომ ავამხედრე იმერეთის ქალები თურქებზედა, ჩემო ნუგეშო დავით? (მეფე მივა, გადახვევა და შემდეგ მალღობის ხმით).

მეფე დავით — რას მიბრძანებ უწარჩინებულესო, ჩემო საყვარელო! არამც თუ მეწყინა, საფლავშიც თან ჩავიტან, მაგ შენს სამსახურსა და ათას წელიწადს შემდეგ მოგიგონებენ ჩვენი შეილნი მამულისა და ქებასა შემოგწირავენ დედოფალო.

დედოფალი — მაშ მაგისათვის ნება მამეც გულზედ გაკოცო (მივა, ერთმანეთს გადახვევიან და გულით შიტიკბობენ ერთმანეთს, მასუკან ლიპარიდს ხელს დაუქერს, მიიყვანს).

მეფე დავით — დედოფალო, აბა იცან ვინ არის ეს?

დედოფალი — თქვენი ჭირიმე, ვინ არის ეს ჩინებული ყმაწვილი კაცი?

მეფე — ივანეს შვილს, ლიპარიდს, ველარ იცნობ?

დედოფალი — ლიპარიდ! ივანემ და სარკამ თავისი შვილი ლიპარიდ, ათის წლისა, მე რომ მომართვეს, და მასუკან შენ რომ ომში წაიყვანე, ეს ის არის? რა კარგი ვაჟკაცი შექმნილა მართლად. ვაჟკაცობა გეტყობა ლიპარიდ, თუ ხელის გამომავლობა გექნება!

მეფე დავით — თქმა არ უნდა მაგას. დასამტკიცებლად ამისა, ხვალის სპასხეტობა მივეც ჭარისა. ამის გამო ეკუთვნის.

დედოფალი — ყმაწვილობა არა მოუვიდეს რა?

მეფე — ნუ სწუხნარ, ჩემთან არა მოუვა რა. ამას თავი დავანებოთ, ახლა ეს მოისმინე (მასუკან ლიპარიდისკენ) ლიპარიდ, იახელ დედოფალსა, ყველანი გააცან და ანბავიც მოახსენე (მასუკან მობრუნდება); მაგრამ სავარძლები და სელები შემოიტანეთ (ორს სავარძლებს შემოიტანენ, რაზედაც მეფე-დედოფალი დაბრძანდებიან და სხვანი სულ ერთიან სელებზე. აქ ლიპარიდ წარმოდგება, მეფე-დედოფალს თაყვანს სცემს ცალ მუხლზე და შემდგომ მოახსენებს).

ლიპარიდ — ჩემო ხელმწიფეო დედოფალო! (მიიყვანს თავის დედმამას). ორთავ კარგად იცნობ დიდებულლო ამ ჩემ დედ-მამას! (დედოფალი წამოდგება, მიმედ თავს დაუკრავს და შემდეგ ისევ დაჟდება) ჩვენი ღიღის მე-

ფის ბრძანებით, ამ მამაჩემმა შვიზღვიდამ კასპიის ზღვამდისინ, რაც მთების ერთი არიან, სულ ამან აღძრა, სულერთიანათ ჩვენთან გაერთდა და ორასი ათასი ჭეოპარი მოდის ჩვენს შესაწევნელად, ამის დასარწმუნებლად, იქაური პირველი კაცნი ჩამოჰყვენ თანა (მძიმეთ თავის დაკვრით).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — პატივცემულო ივანე, დიახ, დიდი საფუძვლიანი საქმე გიქმნია, ერთობ თარგამოსიანთათვის.

ლ ი პ ა რ ი დ — ესეც დედაჩემი, სარა, გახლავთ. ეს თავის ქმარს არ შორდება და ანბობს: სადაც ჩემი ქმარი მოკვდება, მეც იქ უნდა მოკვდეთ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ქეშმარიტად დიდი ბედნიერებაა მაგისთანა სიყვარული, ჩემო სარაე! გთხოვ ამას იქით, შენს შვილსავით გიყვარდე და გულზედაც მკაცრო. (გულზედ შეეტკობა. მასუკან სიმამრსა და სიდედრს მიიყვანს).

ლ ი პ ა რ ი დ — ეს გახლავთ ქალაქ ტფილისის მამასახლისი, ჩემი სიმამრი, აბულელი, ამასაც კარგათ იცნობთ, შენი ჭირიმე. ამ ქალაქის გარშემო სოფლების მცხოვრებელნი, ამან გამოიყვანა და დღეს შექურვილნი აქ გახლავან თქვენს წინაშე. (ამასაც მძიმედ დაუკრავს თავს და ეტყვის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — პირველი ბრძოლისათვის, დიახ დიდი საქმეა მაგვარი სამსახური.

ლ ი პ ა რ ი დ — ეს გახლავს ჩემი სიდედრი ანასტასია. მთელი ქალაქის დედაკაცები სომხისა და ქართველისა, ამან გამოიყვანა და შექურვილნი აქ გახლავან ხუთი ათასი მეტი, თავგამოდებით ემზადებიან თურქებს შეებენ და ბრძოლა აუტეხონ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — დიახ, დიდათ გმადლობ ანასტასიაე. ასეთი ვალი დაგიდვიათ ჩემთვის, რომ გულშემატკივართ დედათ მიწოდებიხარ ჩვენი ქვეყნის თარგამოსისა.

ლ ი პ ა რ ი დ — ეს გახლავთ, ჩემი დიდი მეგობარი და ჩემის სიდედრის ძმის წული, პირველი სომხის შვილი აბესალომ, ჩემი გეგარდნის დროს ეს გახლდათ ჩემი დიდი თანაშემწე, რომელმაცა დღეს მთელი ქალაქის მცხოვრებელნი კაცნი ამან გამოიყვანა და უკანასკნელ სისხლზე ემზადებიან საომრათ (დედოფალი თავის დაკვრით აბესალომს).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — აბესალომ, შენც იმისთანა მადლობა გეკადრება, როგორათაც ლიპარიდსა.

ლ ი პ ა რ ი დ — ეს გახლამსთ ჩემი დანიშნული ელენე და ეს მეორე ჩემი დედიდაშვილი ნინო. რაც ყმაწვილი ქალები გახლავან, ამათ აამხედრეს ოთხი ათასზე მეტი და ჩვენ ყმაწვილკაცების მეტოქენი შეიქნენ. თავგამოდებულნი ანბობენ: ვნახოთ თქვენ ყმაწვილი კაცები, როგორ დაგვემჯობინებითო მამულის გამოხსნაში.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ყმაწვილო ქალებო, ამას იქით, თქვენ ჩემი დები

ბრძანდებოდეთ და თქვენც თქვენი დედის ნაშობს დასავით გიყვარდეთ, ამაზედ მეტი ჭილდო არა მაქვს რა თქვენთვის და გთხოვთ, ჩემი ეს თხოვნა მიიღოთ, როგორათაც რამე სათავაზო უნტროსის დისავან.

ლიპარიდ — ეს გახლავთ, ჩემი სიმამრის ძმა, ბერი სერაფიმ, ამან ოცი ათასი ბერი გამოიყვანა მონასტრებიდამ და აქ თქვენ წინაშე გიახლენ თურქების საბრძოლველად. ყოველი, რაც მოგახსენე, არავისი არ არის რა, სულ ჩვენი დიდის მეფის დაწყობილობაა, დიდო დედოფალო!

დავით მეფე — (დავით მეფე და დედოფალი ბერების წინაშე დაიჩოქებენ). წმინდანო მამანო, უმდაბლესად გვევდრებით, თქვენის წმინდის ლოცვით გვაკურთხოთ. (ამ დროს სავარძლებს და სელებს სულ გაიტანენ. ამ სიტყვისთანავე ბერები კუნჯულას მოხდინან, ხელებს თავზე დაადებენ. სერაფიმ ბერი გულმობიერად ზეცას მიხედავს და იტყვის).

სერაფიმ ბერი — დიდო, საკვირველო, მიუწოდებლო ღმერთო! შენი უხვი მოწყალება გადმოავლინე შენს მისავთ და მონათ, დავითს მეფესა და დედოფალსა ზედა, რათა ძლევა შემოსილი ჰყო და მტერსა ზედა გაემარჯვათ (დავით მეფე და დედოფალი წამოდგებიან, სერაფიმ ბერს ხელზე ემთხვევიან. და მასუკან სავროდ).

დავით მეფე — დღეს ასეთს მაგალითსა ვხედავ ჩვენის ერისას: კაცისასა თუ ქალებისასა, რომ არას დროს არ დაივიწყება ამათ საქმე, შეიძრა ჩვენი მთა-ბარნი და ახლა ნახამთ თქვენს ყოფას თურქებო: — ხედავთ, აქამდისინ როგორ ძნელათ მიგვაჩნდა გაერთება და ერთი ერთმანეთს არ ვენდობოდით? — ახლა ცხადათ დავინახეთ, ადვილი ყოფილა ჩვენი გაერთება და ერთმანეთის სიყვარული. შავი ზღვიდამ მოკიდებულ კასპამდინ, მთა და ბარი ეფრატის მდინარემდისინ, სულ ერთიანი ვართ და ერთი მამის თარგამოსის ჩამომავლობა. მაშასადამე, ძმანი ვყოფილვართ და ამას იქით ერთად უნდა ვიყვნეთ ყველანი: ნულარავის ხულარ გვეშინიან თურქებისა. ხუთასი ათასი მეომარი გამოგვივა მთებში და ბარში, სულ პირველნი ვაჯკაცნი და ერთი ბრძანებლობის მორჩილნი; სიმაგრეები და ხეობები ხომ რალა მოგახსენოთ! მთელი თურქების მხედრობა რომ მოვიდეს ჩვენზედ, შეგვიძლიან ასი წელიწადი გავაგრძელოთ ბრძოლა მაშინ, როდესაც რომ თურქეთს თავის პლიერება ჩვენში დაეღუპება და რამდენიც დრო გაივლის, იმდენი უფრო განვძლიერდებით ჩვენ! — ჩემო უსაყვარლესნო მამულის შვილნო! ეს ხომ გაიგონეთ. ახლა რანი ვნახოთ, რამდენი მხედრობა გვეყოლება ხვალე?

ლიპარიდ — თხუთმეტი ათასი ჩვენ ვიქნებით, სულ ერთიანათ ჩემსავით ყმაწვილნი კაცნი.

აბუღელი — ათი ათასი ჩემი ხნისა, ჩვენ ვიქნებით.

ანასტასია — ხუთი ათასი ჩვენ ვიქნებით ჩემი ხნის ქალნი. (ელენეს შერცხება. ვერ გაუბუნია და ნინო მოახსენებს):

ნინო — ჩემო ხელმწიფევე, ჩვენ ყმაწვილი ქალებიც ვიქცებით, ოთხი ათასზე ცოტა მეტნი.

სერაფიმ ბერი — ჩვენც ბერებიც თქვენ წინაშე გახლავთ ოცი ათასი მეომარი.

დავით მეფე — მეც მეყოლება ოცდა ხუთი ათასნი დიახ. ჩინე-ბულნი, გამოცდილნი ვაეკაცნი და ეხლა ხომ დედოფალიც მოგვეშველა თხუთმეტი ათასი ქალით. სულ ერთიან რაც ეხლა მხედრობა გეყავს, რომ ვიანგარიშოთ (პატარა ხანს დაფიქრდება და მასუკან იტყვის) ოთხმოცდა თათხმეტი ათასია სწორეთ. — ეხლა თათბირი მოვახდინოთ. რომლის რიგით შევებნეთ თურქ-არაბებსა?

სერაფიმ ბერი — ჩემო ხელმწიფევე! ჩვენ ბერები მოწინავეთ დავდგებით და დანარჩენი თქვენი ნება იყოს.

დავით მეფე — ეგ დიახ კარგი. საჭურველი რომ არა გაქვსთ, ეგ ანაფორა რა იქნება? (სერაფიმ ბერი თავის ამხანაგებს ანიშნებს. მაშინვე ანაფორას გადაიხდიან და შორს გადაადგდებიან. ნახვევს რომ დიდრონი ხანჯლები წინ ედგებოდა და გრილი ხმლებიც გვერდზე).

სერაფიმ ბერი — ეს ხანჯლები და ხმლები ჩვენთვის საკმაოა ჩვენო ხელმწიფევე. და მეწინავეთაც დავდგებით ჩვენ ჭარების წინ.

დავით მეფე — მამაო სერაფიმ, თქვენს განძრახვას ეხედამ, თქვენ ბერები ველარც ერთი ვერ დაბრუნდებით ცოცხალი და თურქებსაც კეთილი არა მოუათ რა.

სერაფიმ ბერი — თუ ამისთანა შემთხვევაში არ გამოვადგებით ჩვენს ქვეყანას, მარტო ჩვენის ლოცვით რა იქნება. — თვით უფალი ბრძანებს: მხნე იყავ და განძლიერდით. ჩვენ ბერებს, ახლა შემთხვევა გვაქვს და საჭიროა მოგეხმარნეთ. მართალია ჩვენ გავსწყდებით, მაგრამ დიდი შვება მიეცემა ჩვენს შვილებს. ვინც მშობლის მამულისათვის დაეინოცებით. ბედნიერი სიკვდილი იქმნება! რას ბრძანებთ? ჩვენი მამული გვაძლევს თავის ნაყოფს, ვითარცა დედა თავის მეგრდსა ზედა ზღვიდეს შვილსა, სიყვარულის გემოვნებით, ეგრეთ ეიზდებით მამულითა. ამის შემდეგ, რომელი უღმთო, უსვინდისო უნდა იყოს თავის ქვეყანას არ მოეხმაროს, ანუ უღალატოს. იგი წყეულმც იყოს ღვთის პირისაგან!

ერთპირად — წყეულმც იყოს.

სერაფიმ — მაშ, ჩემო საყვარელნო, ერთიანათ გვეედრებით შავი ზღვიდან მოკრძეული კასპადისინ და თარგამოსის ერთიანად შვილებთა, ან ერთიან გავწყდეთ და ან გავთავისუფლდეთ!

ერთპირად — გავსწყდეთ და ან გავთავისუფლდეთ! (რამდენჯერმე ეს ხმა. ამ ამბავში მთიელნი უკან იდგნენ; ლიპარიდმა ვერ დაინახა, რომ წარედგინა და გულიდან გადააიწყდა. მასუკან თვითონ წადგნენ და ერთმა იმათგანმა მოახსენა):

ბეშქენ — დავით მეფევე! ჩვენ რაღას გვიბრძანებთ? მართალია

ოცნი ვართ, მაგრამ უომრათ არ დავრჩებით, ჩვენც და ჩვენი ომი სიკვდილზე იქნება. ჩვენი სუღარები თან მოვიტანეთ: ომში უნდა გვექონდეს და იმითი დავიშარხნეთ. (ჯიბიდან თეთრს საშოსს ამოიღებენ და მხარ-ილივ გადაიხევენ). ეს გახლავთ ჩვენი სუღარა. მხარზე უნდა გვექონდეს და ჩვენი ომიდან გამობრუნება აღარ იქნება ხელმწიფეო!

და ვ ი თ მ ე ფ ე — ჩემო საყვარელო ძმებო, როგორც თქვენ გეკალრებათ, სწორედ იმისთანა გული გაქვსთ. ეგ ოცნი რომ დაიხოცნეთ, რა სარგებელი იქნება, მაშინ, როდესაც რომ უთქვენოთ ვერას ვავაწყობთ მთებში?

ბ ე შ ე ე ნ — არა შენი კენესამე. ბევრი ჩვენისთანა გახლავთ მთებში და უფრო კარგი სახლის შვილები. ჩვენ რომ მოვდიოდით, ჩვენმა შეყრილმა ერმა ეს სუღარები თან გამოგვატანეს და გვითხრეს: ეს სუღარები წაიღეთ. ჩვენსა მძებსა აჩვენეთ ნიშნათაო. შავი ზღვიდამ მოკიდებულ კასპაშდისინ, რაც მთებიდან ჯარები ჩამოვლენ, ყველანი სუღარებით უნდა ვიყენეთო; ან ჩვენის მამულისაგან ვავიყვანთ თურქებსაო, ან არა და იმათი ხელით დავიხოცებთო, რომ ჩვენი სამარბი სუღარა თანა გვექონდესო. ახლა ჩვენი უომრობა თუ შეიტყვეს მთებში ქვას დაგვიშენენ და ჩაგვაქვავებენ.

და ვ ი თ მ ე ფ ე — თქვენი ნება აღსრულდეს ძმებო. მაგრამ ამას იქით თქვენ ჩემთან უნდა იყვნეთ განუშორებლად და ჩემი მფაოველობა მიზოძებია თქვენთვის (დახ მძოშოთ დაუკრავენ თავსა. მაგრამ დავთ მეღემ ამისათვის უბოძა თავის მფარელობა. რომ ვერ გამოიშეტა ომში დასოცილიყენენ, რადგან პირველი სახლის შვილები იყენენ და მთებში დიდ სახელს ქონდათ. მასე-კან მობრუნდება და საერთოდ იტყვის).

და ვ ი თ მ ე ფ ე — ახლა პირველს საქმეს დავუბრუნდეთ და ჯარების დაწყობა ვსთქვათ.

ი ე ა ნ ე — ჩვენო ხელმწიფევი! როგორც თქვენ ინებებთ: თქვენი მორჩილი ვახლავართ ყველანი.

და ვ ი თ მ ე ფ ე — ასე დავიწყით და ასე მოვეყვით. ბერები ხო, მოწინავეთ დადგებიან. ჯარის დაფარვა უნდათ. ბერების უკან ქალები დადგნენ და ჩემი ათი ათასი მეომარი: იმათთვის მიმიჩენია ჩემი პირველი სპასპეტი ნიანია კახაბერის ძითა. ქალების მარჯვნივ მხარეს ყმაწვილი კაცები მოთავსდნენ და ლიპარიდ იყოს იმათი ბძანებელი. მარჯვენას მხარეს ქალებისაკენ დადგეს აბულელი თავის ჯარით და ხუთი ათასი ჩემი საკუთარი მეომარი იმათთვის მამამატებია. ამ დაწყობილობით. უფრო სწორე ომი იქნება და არც არევა მოხდება, აქ მე დამრჩება ათი ათასი მეომარი, რომელითაც ყველას უკან დავდგები და გაჭირვებისათვის შევიწინახამ: მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს. დიდი მთა რომ უძევს დიდმის მინდორს, იმ მთას ზურგი მივაყუდოთ და აუჩქარებლივ ვიბრძოლოთ, მაგრამ როგორც ჩვენ მამა-პაპის ჩვეულებას ეკადრება:

ასეთი თავ-კაცობა უნდა ვაჩვენოთ თურქებსაც, რომ ვინც იმათგანი დარჩეს, წავიდეს. და თურქეთში უამბოს ჩვენი მკლავის ძალი და ვაე-კაცობა! ღვთის შეწევნით, იმათ სიამაყეს მალე შევმუსრავთ. ჩვენთვის როგორა ღირს? ჩვენი შეილიშვილები ბედნიერებით აპყვავებულნი მადლობას რომ იტყვიან ჩვენსას, თავიანთი თავისუფლებისათვის? და ამასაც დაატანენ: „მინც ხომ მამაკვდავნი იყვენ და ასეთი სახელგანთქებული სიკვდილი სანატრელია იმათთვისო“. ახლა, საყვარელო ძმებო! ანდერძი დავადლოთ: ვინც მამულის თავისუფლებისათვის მოვკვდეთ, იმათი ძვლები შეიკრიბოს და წმინდას ადგილას შეინახონ. რომელზედაც სია დაპყიდონ შემკობილი: — ვინ რომელი არის და ყოველს წელიწადზედ იმათ ღვთისაწაულსა გადაიხდიდნენ.

ყ ვ ე ლ ა მ ე რ თ პ ი რ ა დ — დავით მეფე აღღეგრძელოს! აღღეგრძელოს! (ამ ღრის მთაზე ეკლესიის ცისკრისათვის მღვდელი ზარებს დარეკს და საუბროთ ააყოლებს რეკას, მაგრამ კიდევ ლამეა: აქ სერაფიმ ბერი დაიძახებს): „უფალო, გვესმა ხმა დიდებისა შენისა და თაყვანსა ვცემთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა“. (ამასთანავე დაიწყებენ გასვლას და თან ამბობენ): ღმერთო, შენ შეგვეწიე. შენ შეგვეწიე ღმერთო! (სულ ერთიან რომ გავლენ).

ე ლ ე ნ ე — ჩემო სიცოცხლეო ლიპარიდ, მე შენ არ მოგშორდები, — ხვალ ომშიაც შენს მახლობლად ვიქნები.

ლი პ ა რ ი დ — შენმა გაზრდამ სულ რომ არ იყო, ისა სჯობია.

ე ლ ე ნ ე — შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მაგას ნუ მეტყვი.

ლი პ ა რ ი დ — კარგი, აღარ გეტყვი ჩემო ელენე.

ე ლ ე ნ ე -- მამ ამალამ სად იქნები შენ?

ლი პ ა რ ი დ — ვერ დამინახე? წელანვე დავითხოვე ჩემი ამხანაგები? ჩემი საწოლი ეს ხის ძირია, და როგორც მხედავ, ასე მივწეები. ან რა გგონია, ჩემი ძილი რა იყოს? ბევრი, ბევრი მეძინოს, თვალებს მივლულავ ცოტას ხანს, მასუჯან ისევ უნდა ავდგე და ომის საქმეს შევუდგე.

ე ლ ე ნ ე — შენი სულის ჰირიმე, შენს მუხლზე წამოვწეები და ისე დავიძინებ.

ლი პ ა რ ი დ — ამ ხმელს დედა-მიწაზედ?

ე ლ ე ნ ე — შენთან ჯოჯონეთშიც ჩემთვის სასუფეველია.

ლი პ ა რ ი დ — ახ, ჩემო ელენე, ელენე! ამაზე მეტი სიტყვა აღარა მაქვს, რა გითხრა. — მამ მცირედი მოიცადე (ამასთანავე გაბრუნდ-გამობრუნდება, ფოთლებიან ხის ტოტებზე ჩამოამტვრევს და იმ ხის ძირში მოჰფენს, სადაც აღრე ეძინა. მერე მივა, ზედ დაქდება, ხეზე მიესვენება და ორ ფეხს გაიშლის, ერთი-ერთმანეთზე შემოდებულს). ჩემო ელენე! როგორც ნებიერი ყმაწვილი; მოდი წამოწეკ და ჩემს მუხლებზედ დაიძინე.

ე ლ ე ნ ე — დიახ, კარგი იქნება შენ ნუ მომიკვდები ჩემო ლიპარიდ!

(მივა, წამოწევა, მუხლზედ თავს დასდებს, მარჯვენას ხელს გამოართმევს. ორის ხელით მაგრა დაუქერს და თავის გულზედ დაიდებს).

ე ლ ე ნ ე — ახ რა ტკბილად დამეძინება ასე (თვალებს დახუჭავს და მამინვე ტკბილად დაიძინებს).

ლ ი პ ა რ ი დ — მართალია, რომ ტკბილად დაეძინა. ახ, სიყვარულო, სიყვარულო (ამ სიტყვებისთანავე ლიპარიდ თვალებს დახუჭავს და ესეც ტკბილად დაიძინებს ხეზე მისვენებულად. ამ დროს გაბრწყინებული ცისკარი ამოდის ზეცაში იმათ თანასწორად მალა. პატარა ხანს უკან ფარდაც ჩამოეფარება).

დასასრული მეორე მოქმედებისა

მესამე მოქმედება

ფარდა აიხლება, გამოჩნდება ქალაქ ტფილისი და უკან დიდრონი მთები. აქ წინ ზინდორზედ დგანან ასზე მეტი არაბი, სულ ერთიან შეკუთრვილები და საშინელი შავი სახეები აქვთ. ამთავანი პირველი თავილობით.

პ ი რ ვ ე ლ ი — ვაი თქვენ უგუნურო ქართველებო, ვის გაუდექით? ვისი წინააღმდეგობა მოინდომეთ? ხა! ხა! ხა! ხა! უბედურებას მოუტაცნია იგი საცოდავნი; ერთს ფრიალოზედ გადაჰყაროს და იმათი უკანასკნელი ცხოვრება დანთქას. მეტი ღროც აღარ აქვთ. ამ ცოტა ხანში ნახამენ რაც მოუთათ; ნამეტნავად უფრო ამ მიზეზით. რომ ჩვენ არაბნი მოწინავედ დაგვაყენეს თურქებმა; მართო ჩვენი შავი სახით შეძრწუნდნენ და უფრო ჩქარა დამარცხდნენ.

მ ე ო რ ე — მაგას ნუ იტყვი, ძმაო, აგრე თავილობით ნუ ახსენებ ქართველებს. გუშინ ანბავი მოვიდა, მთა და ბარი გაერთიანებულა შავი ზღვიდან მოკიდებული კასპამდისინ და უშიშრად გვიდგანან წინ, გარდა ამისა, ისინი მამულის შეილები არიან და ჩვენ შემოსული ეულები, ამისათვის იგი გაერთიანებულნი ერნი და მამულის შეილები დიდად გამოიღებენ ხელსა!

პ ი რ ვ ე ლ ი — რას ამბობ, ძმაო! — ას ოცი ათასი მეომარი აქა ვართ; ასეთი გამოჩენილი ჯარი, რომ ჭერ თურქეთიდან და არაბეთიდან არ გამოსულა ამისთანა ჯარი და ასიათასი კიდევ დაგვიბარებია. მითაჲ რა უნდა ქნან იმ საწყლებმა?

მ ე ო რ ე — სწორე გითხრა ძმაო?

პ ი რ ვ ე ლ ი — დიალ, კარგი იქნება სწორედა თქვა.

მ ე ო რ ე — პატარა სოფელმა დიღმელებმა, ნახე რა გვიყვეს? ჩვენი ერთი რაზმი დაგვიღუპეს. მართალია, ისინიც სულ გაწყდნენ, მაგრამ ეს იცოდე, რომ ერთმა დიღმელმა კაცმა და დედაკაცმა ხუთი ჩვენი მეომარი მოკლა — გესმის რა გითხრა? დედაკაცები უფრო საშინელები შეიქნენ კაცებზე და ყველანი შეკუთრვილან თავგადადებით.

პირველი — ჩვერ დაღონდებ და მასკახ). მაშ როგორ გგონია ძმაო?

მეორე — დიდ ჩვენს მხედართმთავარს, ქალაქ ტფილისის მპყრობელს ღურბენს მოკახსენე. ჩემი თანახმა შეიქმნა და ახლა შენც გეტყვი, ჩვენ ქართველებთან ძლიერებით ველარას. გავაწყობთ, ამისათვის ცბიერობა უნდა მოვიგონოთ რაიმე და იმითი დავთრგუნოთ, თავდაპირველ საქართველოს როგორ დაიპყრობდნენ თურქები. მაგრამ ჩვენი ცბიერებით მოტყუვდნენ. მიიხედ-მოიხედე, თუ ჩვენი მაცდურობა არა ყოფილიყოსრა. ამ სიმაგრეების მცხოვრებთ დავიმორჩილებდით აქამდისინ?

პირველი — ახლა მეც ვხედავ, — მართალს ამბობ. მაშ როგორ მოვახერხოთ ახლა?

მეორე — მე დესპანათ მივალ ქართველებთან, ამათს მეფეს დავითს და პირველ კაცებს გამოვიხიზოთ, ვეტყვი, ჩვენს დიდს ღურბენს აქვენაჲს სალაპარაკო აქვს თქვენს თავისუფლებასე და გთხოვს მობრძანდეთ მეთქი. აქ რომ მოვლენ. ხუთასი არაბი აგერ იქ ბეჭობში დამიძალამს. უეტრად დაესხმიან და სულ ერთიანათ გასწყვეტენ. მაშინ ქართველები უპატრონოდ დარჩებიან და როგორც გვინდა ისე დავიმორჩილებთ იმათ. თუმცა დალატი და უპირობა იქნება, მაგრამ, რადგანაც ძლიერება და კაცის გონების დამაბნელებელი ოქრო-ვერცხლი ჩვენს ხელშია, შეგვიძლიან ერთი რითივე გავიმართლოთ თავი ქვეყანაში და ბრალი იმათვე დავსდოთ. გაიგონე რა გითხრა. — ოქრო, ვერცხლი. დიდრონს სახელწოდებებს ყირაბე დააყენებს.

პირველი — დიახ, კარგი მოგონებაა, თუ ღმერთი გწამს გაეშურე. საჩქაროდ წადი.

მეორე — ეხლავ, ეხლავ წავალ (გავა).

(პირველივე მობრუნდება და ერთს ეტყვის)

პირველი — შენ როგორღა გგონია ძმაო?

მესამე არაბი — მე არ გგონია გვენდნენ ამისათვის, რომ ბევრი სიკრუე და ორპირობა უნახამთ ჩვენი და რამდენ რიგათ მოტყუებულან.

პირველი — იმ ჩვენს ამხანაგს. დიახ, კარგი ენა აქვს, უთუოთ მოატყუებს.

მესამე — კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს ეს სიპლუტეს არ მიხვედრილიყუნენ ქართველები: ახლა დიახ კარგად იციან ჩვენი ყოველი საქმე. კარგად უნდა ვიცოდეთ: მართალიც რომ უთხრათ, აღარ დაიჭერებენ და ამაოთ ჩავიღის ჩვენი რწმუნება. ან რად უნდა დაიჭერონ, ანუ გვენდნენ. მაშინ, როდესაც რომ ათიათასჯერ შეგვიფიცნია ჩვენს სარწმუნოებაზედ, ღმერთა თავდებად მიგვიცია, ბოლოს ტყუილი გამომდგარა ჩვენი ფიცი და ჩვენი აღთქმა. ახლა კარგათ ისწავლეს ყოველი ჩვენი

საქმე და კარგათ გავითარდნენ, თორემ ნახამთ (ამ სიტყვაზე პირველი არა-
ბი თავსაქედნით გაივლის. გამოივლის და ამის სიარულში მეორე არაბი შემოვა).

მეორე — არა იქნა-რა და ტყუილად ჩაიარა ჩემმა დესპანობამ.

მესამე — განა მე მართალი ვქევი?

პირველი — ღმერთსა ვფიცავ, კვეციანი ხარ. (მასუან მეორეს მოუ-
ბრუნდება:) მაინც ვეითხარ, როგორ იყო?

მეორე — საქართველოს წინა რაზმში მივედი, ლიპარიდ დამხვდა
და ყოველი განვეუცხადე. ლიპარიდმა გაიციხა და მითხრა: ვაი თქვენ
შემცდარნო თურქ-არაბნო, ვილას ატყუებთ? არ გეყოთ აზღენი მოტყუ-
ება ჩვენი? წადი და თქვენს დიდს დურბაზს უთხარო: „ხმალი და ჩვენი
სისხლი გადასწყვეტს ჩვენს საქმესქო“. ამ უკანასკნელ სიტყვასთან
გასწია და სწრაფად წავიდა. ის რომ გამშორდა. ქართველებმა ბევრი
მაგრნეს და გინებით დამითხოვეს.

(მეოთხე არაბი გაჟაგრებით იტყვის):

მეოთხე — რაც მოგვიხდა, სულ ლიპარიდისაგან. ახლა ჩემი რჩე-
ვაც გაიგონეთ, ჩვენ აქედან უკანვე წავიდეთ, ეს პატარა ფერდობი რომ
არის. თორმეტს კაცს დავმალავ იმ ადგილში ჩუმათ. კარგა შორს
როს გაჯივლით. მე უკანვე დავბრუნდები, აქვე მოვალ და მართო ლი-
პარიდს გამოვითხოვ. მე ვიცი ამაყი გული აქვს და უთუოდ გამოვა.
პირდაპირ რომ დამიხვდება და ერთმანეთს შევუტევთ, ამ დროს თორ-
მეტი არაბი გამოვა ფერდობიდან. წამოესევიან, ლიპარიდს მოვკლავთ
და ამით გადავიხიზოთ მაგიერსა.

(ყველამ ერთ პირათ მოიწონეს და პირველი იტყვის):

პირველი — დიახ, ჩინებული რჩევია. (ამასთანავე კმაყოფილნი გაულენ
ყველანი. მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდება მეოთხე არაბი და ხმალამოლებული შე-
შოვა. მასუან ხმალს გაიშვერს და მალა დაიძახებს): ლიპარიდ! (ხმა არ არის და
მეორედ) ლიპარიდ! (ვიდევ ხმა არ არის და მესამედ უფრო ძალიან): ლიპარიდ!
(ხმა მალევე წორიდან): რა გინდა არაბო? რას იძახი?

მეოთხე არაბი — (ეგრეთი ისევე ძახილით). თუ ვაყვაცი ხარ, ჩემ
საომრათ გამოდი.

ლიპარიდ — ეხლავ არაბო! და ნურც გამექევი!

მეოთხე არაბი — თუ კაცი ხარ, გამოხვალ! (და ხმალმოსმული გუ-
ლად დაჯგება) ოო! ის შეჩვენებული რა უშიშრად მოდის. — აი მოვი-
და! — მოვიდა! — მოდი ლიპარიდ, შევიბნეთ და რომელმაც დაეძლი-
ოთ, იმან მოკლას. (ლიპარიდ შემოვარდება).

ლიპარიდ — შე საწყალო არაბო, წერას აუტანიხარ (და შეუბრუნს.
არაბი ხმალს მოუქნევს. ლიპარიდ მისწვდება. წაართმევს, შორს გასტყორცნის არა-

ბი: ხმალს. არაბს მოქნევს. ქვეშ ამოიღებს: ხანჯალს ამოიღებს. გულზე დააქდება და (ტყუის). არაბო, თუ შეინანებ, აღარ მოგკლავ. (ამ დროს თორმეტი არაბი წამოუხევა ლიპარიდს. მაშინვე ხანჯალს დასცემს, მოკლავს, წამოხტება, ხანჯალს მარცხენა ხელში დაიქურს, მარჯვენათი ხმალს ამოიღებს და უშოშრად დადგება თორმეტი არაბის წინ. ამასთანავე სამს მხარეს შემოხვევიან არაბები და ბრძოლა შეიქმნება. ამ დროს ლიპარიდის ძიძილ-შვილი ზურაბ შემოვარდება ხმალოსმული, ამ თორმეტს არაბს ზუაზედ გაყოფს; ექვსს თავისკენ გაიძალკეებს თიატრის მხარის საზოგადოებისაკენ და ლიპარიდს შემოსძახებს): ეს ექვსი არაბი მე და ეგ ექვსი შენ, ლიპარიდ. (მაგრამ როდესაც ხმალს მოუქნევს არაბს და გამოშტებით დასცემს მხარში, ზედ დაამსხვერვებს, ეს ექვსნი არაბნი გარს შემოხვევიან; ორს მისწვდება ზურაბ, მოიქნევს: ლიპარიდისაკენ გაღმოჰყრის და შემოსძახებს):

ზ უ რ ა ბ — ლ ი პ ა რ ი დ! ორი დავლა მომირთმევია შენთვის (ორს კიდევ მისწვდება. უნდა ისინიც გადმოუყაროს, მაგრამ უკანასკნელი ორი არაბი, სწრაფად ხანჯლებს დასცემს ზურგში უკანიდამ და ამით ხელები დაუსუსტდება ზურაბს, მაგრამ იმ ორ არაბს მაინც ხელიდან არ გაუშვებს. ამაობაში წაქცეული ორი არაბიც წამოდგებიან და ოთხთავ ერთად წამოესევნიან. ზურაბმა ნახა რომ ეღვარაა შესწვდეს, უშოშრად შემოუძახებს არაბებს).

ზ უ რ ა ბ — უკანიდამ ნულარ მეპარებით! სირცხვილია, უღონო შევიქენ, მოდით წინადგან, ხანჯლები დამეცით ვაჟეკაცურად (მაშინ ოცის გაბედეს და წინადამ დასცემს ხანჯლებს ოცდახუთ ადგილას, მაგრამ მინამ წაიქცევა, ის ორი არაბი, მაინც ხელში უკირავს და თან იძახის).

ზ უ რ ა ბ ი — ლიპარიდ! ჩემი დაპირებული ადგისრულე, გამოჩენილს დღევანდელს დღესა და პირველად მე მოვეკედი, ჩვენის გამოხსნისათვის თურქებისაგან. (ციდე წაიქცევა, ამაზედ ლიპარიდს ცეცხლივით რაღაც მოეკიდება აგებულებაში და მოელვარის სახით მივარდება თურქებს და ორს მოკლავს, მაგრამ ეს ზურაბის ექვსი მკვლელი წაესევნიან. ამ დროს თავის დანიშნული ელენე შემოვარდება და გამხეცებულის სახით არაბებს მოუხდება და ერთ იმოგანს მოკლავს ხანჯლით: ლიპარიდ შეხედავს, ელენეს იცნობს მაშინვე ხელს მოკლავს, უკან მიიქცევის და თვითონ წინ აეფარება. ამ დროსვე ნინო ოთხის ქალითვე მოეშველება და საერთო ომი გაიმართება. იქიდან სხვა ათი არაბი მოეშველება, აქედანაც ყმაწვილი კაცი აბესალომ და რამდენიმე სომხების ყმაწვილ-კაცები მიეშველებიან და ძახილით დაერევიან, თან აქედანაც და იქიდანაც ემატებიან, ამ ომში ლიპარიდმა დრო იხელთა; მკვდარი ზურაბი ზურგზე წამოკიდებული გაიტანა და თვითონ იქვე ომში შემოვიდა, მაგრამ ამ დროს ქართველებმა ცოტა უკან დასწვიეს, აქ ნახავენ სერაფიმ ბერი, რამდენიმე ბერით დამკლავებულნი, მარცხენას ხელით ღიდრონი გაშიშვლებული ხანჯლები უკირავთ და მარჯვენას ხელით ხმლები. გიჟსავით შემოცვივდებიან მაშინვე არაბებში დაერევიან და წამსვე უკან დასწვივენ არაბებსა. აქ ამ დროსვე არაბები მოეშველებიან და კიდევ უკან დასწვივენ ქართველებსა, მაგრამ გავლუსებულნი ანასტასია და სარა შემოცივიან რამდენიმე თავიანთის ხნის ქალღმერთს, შიშველის ხმლებითა არაბებში დაერევიან და მაშინვე უკან დასწვივენ. იქიდან კიდევ არაბები მოეშველებიან, ქართველებს კიდევ უკან დასწვივენ. აქ ვნახავთ, რომ რამდენიმე ყმაწვილი ქალები შემოცივიდებიან; ამათში დედოფალი გურანდუხტიც შიშველის ხანჯლებით არაბებში დაერევიან და უკან დასწვივენ. რალა გავაგრძელო, აქედან და იქიდან მატება დაიწყეს ქარებმა და ტალღები შეიქმნა; ხან აქეთკენ წამოვა ტალღა და ხან იქითკენ; გარდა ამისა ასეთი ძახილია, რომ ზეცამდი სწვდება მათი ხმა. ქართველები იძახიან);

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი — დღეს მამულის გამოხსნის დღეა, სიცოცხლე ჩვენი მამულის ჭირის სანაცვლო იყოს.

თ უ რ ქ ე ბ ი და ა რ ა ბ ე ბ ი — დღეს ჩვენი სახელის დიდების დღეა — ჩვენი სიცოცხლე ჩვენი დიდებისათვის შეგვიწირავს! (ბევრი ამისთანა ხმებია და საშინელი ყიფინა, ვარდა ამისა, აქედან და იქიდან რამდენიმე თავ-სისხლიანი, მხარისხლიანი, გულსისხლიანი ბრძანა და მინეკი იბრძვიან. მჭიმვთ დაქირლები თავისთავად და რისყოფით ბობლით გავიდოდნენ და მკვდრებით თრევით გააქეთ. ამ დროს ვნახამთ, რომ სერაფიმ ბერი შუაში ჩაიგდეს თურქებმა და რამდენიმე ხანჯალი დასცეს გულში. თუმცა მეტის სიმხნევით გამოვა, მაგრამ სასიკვდილოთ წამოვა, ერთს ფერდობზე წაქცევით გადაესვენება; მარცხენას ხელში ხანჯალი დარჩება, მარჯვენაში ხმალი და უკანასკნელ სიტყვას იტყვის):

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა — გმადლობ ღმერთო, რომ ჩემი მშობლის ქვეყნისათვის მოვკვდი (ამასთანავე სულსაც დაღვეს. ამ დროს, ოთხი ყმაწვილი ქალი ბობლით გამოვლენ ომიდან, ისე ბობლით მივლენ მკვდარ სერაფიმ ბერთან, თავგაწეწილები და სისხლშესვრილები, თავებს მუხლზე გადაუდებენ და მოციხარის სახათ სულს ზედ დააღვევენ, რიგზე წამოწოლილები. ამ საშინელ ამბავში წალებ-წამოღება რომ არის. ქართველებს უკან დასწევენ. ამ დროს ნახავენ, დავით მეფე თავის მთიულებით ჯა რამდენისავე კაცით თურქებში და არაბებში შეუპოვრად დაერევიან, რომ მაშინვე დაამარცხებენ და სულ ერთიანად გაიყვანენ, მაგრამ დავით მეფე დაბრუნდება, იმ ომის შუა ადგილზე სკამს დაადგმევინებს, ზედ დაქდება და ბრძანებას გასცემს).

და ვ ი თ მ ე ფ ე — ჩვენმა ჯარებმა აღარ უსუსტონ, რაც შეიძლოთ მამაცურად მივიდნენ, თურქ არაბების დაშლილი რაზმები ველარ დაეწყენენ და უკან მიჰყვენენ (ამის მახლობლად ბარამ).

ბ ა რ ა მ — ეხლავ ვაცნობებ, ჩემო ხელმწიფევე! (და საჩქაროთ გაეა).

და ვ ი თ მ ე ფ ე — დიახ, კარგა ომობენ ქართველები, კარგა შორსაც დასწიეს თურქ-არაბები, მაგრამ რომ დიდი რაზმები უდგათ, იქ საშინელი ბრძოლა ატყდება და იმისათვის ჩემი ათი ათასი კაცი მზათ იყოს (ერთი მახლობელთაგანი არიშინი).

ა რ ი შ ი ა ნ ი — სულ მზათ გახლავსთ შენი ჭირიმე, თქვენს ბრძანებას ველით.

და ვ ი თ მ ე ფ ე — მამ არიშინაო, გაისარჯე, ჩემი ჯოგრიტი მომიტანე, უფრო კარგათ გავარჩევ ომსა, კარგათ მოშორებით არის ომი.

ა რ ი შ ი ა ნ ი — ეხლავე, ჩვენო ხელმწიფევე! (და გაეა).

და ვ ი თ მ ე ფ ე — ომი გაიყარა და ჯარები შორი-ახლოს უდგანან პირდაპირ ერთმანეთს (ჯოგრიტი მიართვა არიშინამა, გაიხედა საჩქაროთ)!

¹ შენიშვნა. მოხუცებულის პაპიჩემის დიმიტრის დავითა დემურაშვილისაგან გამოგონია ჩემს სიყმაწვილეში: „როდესაც დავით აღმაშენებელს მოუნდომებია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვიათ ერთმანეთი საომრად. ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქით, რომელსაც აღმაშენებლის ცოლს უმჯობინია“. თუმცა ისტორიაში არ არის ეს, მაგრამ მე ამ ორს ქალზე თქმული, ასე გაავკეთე დრამისა ამისა მოსახდენად, ნგონია შესაფერი იყოს?

დაკითხეთ -- არ ვიცი რა ამბავია? მშვენიერი ღურბების ცო-
ლი უბრძანებს ომის დაწყებას. მე იმ ქალს კარგათ ვიცნობ, გამოჩე-
ნილი ვაჟაკია. მხედარი საკვირველი და მართლად ხელძალიანიც. შარ-
შან გაძლიერებულს ომში მომხდა გაგულისებული, ხმალი მუზარადსე
დამალეწა, მივწვდი, მინდოდა დამეჭირა, მაგრამ აუარებელი შემომრები
მოძკვივლენ და ხელიდან გამაგდებინეს. რა ბედაურს ცხენზედ ზის
ის ქალი და ან როგორ მორთულა: სულ პრავლეს ძვირფასის საცმე-
ლით. იმას ჩემი გურანდუხტ უთანასწორდება მშვენიერებით და საცმე-
ლით, თორემ სხვა არ მინახამს მე. მე კიდევ აქა ვარ. რად დააწყენარა
ბრძოლა? — უთუოდ რაღაც განძრახვა აქვს. აი, ცხენი გამოაგდო დაც-
ლილ ასპარეზში: ორს გაჩერებულს ჯარს შუა. ოჰ, რა ანბავი მოხდა?
ცხენი დააყენა შუა ასპარეზში და დედოფალი გურანდუხტ გამოითხოვა
საბრძოლველად. რას ვიფიქრებ, დედოფალმაც თავის მამეულთ ცხენი
ვაიგდო ასპარეზზე. ამან რომ ცხენი გაიგდო, ღურბების ცოლიც გადახ-
ტა ცხენიდან და ქვეითად გამოითხოვა. დედოფალმაც ცხენი დააყენა
და ესეც გადახტა. უნდა შეუტეოს, ამ დროს მოასწრეს ჩვენ ქალაკითა.
გარს შემოეხვივნენ და აღარ უშვებენ. ამას როგორ დაეთმობ მე? —
(მოძრუნდება გაცეცხლებულის სიტყვით). ქათარ, ეხლავე საჩქაროთ მიიქერ.
დედოფალი გაუშონ, თორემ ჩემს წყროპას მიიღებენ.

ქათარ — აქ დავიბადები ამ წამს (და გავარდება).

დაკითხეთ -- (კიდევ გაიხდებს ჰოგრიცში) ოჰ, რა რიგათ შევარ-
დნენ ის ორნი ქალნი ერთმანეთს. ან რა რიგათ შეიბნენ მოსისხლევ.
ღურბების ცოლი ეწევა, უნდა ტყვედ წაიყვანოს ძალის იმედულმა.
ბარა ფეხიც ვერ მოაცლევინა დედოფალს. ღურბების ცოლს გაუჭირდა,
რომ ვერ წაიყვანა. ჰიდილი დაუწყო, დედოფალიც შეეჭიდა და თანას-
წორე ჰიდილი აქვთ. ეტყობათ ერთი ღონე იმათ. ასლა ენახოთ რა იქ-
ნება? — ღურბების ცოლი გაჯავრდა, დედოფლის ტანისამოსს გლეჯა
დაუწყო და იმის ძვირფასს თვალ-მარგალიტს შორს გადაყრა. დედო-
ფალმაც აღარ დაზოგა იმისი ტანისამოსი და დაუფასებელი ნივთნი,
ზედ შემოაფხრიწა და სტყორცნა აქეთ-იქით შორსა. იმ მშვენიერის
ორის ქალისაებრ შავი თვალები, ასე ანათებენ ერთმანეთზე, რომ უნ-
დათ ერთმანეთი ჩაყლაპონ, ის იმათი გასაშტერებელი თეთრი სახე, ასე
შეცვლილი აქვთ ერთმანეთზე, რომ ცეცხლი უელვარებთ. ღურბეზის
ცოლმა, რომ ვედარა გააწყურა თავის მორთულობა მოუშალა დედო-
ფალსა და თავმიშველი დააგდო. ისე ეტყობა, რომ დედოფალი გაწყრა
ამისათვის, რომ ამანაც მოუშალა თავი სრულიად და ისე ეწევიან ერთ-

-- ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ უძველესი ჩვენი ისტორიაც დიდად აქებს მაშინდელ
ქართველს ქალებს და უკანასკნელად მეფის ირაკლის მეორის დროს ხომ რავედნი
ვაჟაკობის მაგალითია, ჩვენი ქალებისა!

მანეთსა წასაქცევად, მხარი მხარზე გადაბმულნი. ჯერ-კი არა ჩანს რა, ვნახით პოლო როგორი იქნება? ამათი მომზინვარე გიშრისფერი თმე-ბი, მუხლებამდის დაშვებული უელვარებსთ საამოთა აქეთ-იქით და ნეტარებათ ეჩვენებათ მაყურებლებს. ის იმათი მიმოწევა-ჭიდილი რა-ლა გითხრა? — მეტის სიანჩხლით ორთავ გონება დაკარგეს, რომა აღარ გაეგებათ რა. სწორეთ ვიტყვი: ამ სახეს თუ გამოხატავს ვინმე, გამოჩე-ნილი მხატვარი; ამ ორთ შექიდებულს მშვენიერებისას, საქებია!... ჰაი, ჰაი, ვინძლოთ დედოფალთ-დედოფალო. ხედავთ, ხელი დარია დედო-ფალმა, ღონივრად მოიქნია, დედამიწაზე დასცა გულალმა და ზედ ღაჯდა სატევარ აწოდებული. გონება დაკარგულს უნდოდა გულში და-ეცა შიშველი სატევარი, მაგრამ სრულს გონებაზედ ჩქარა მოვიდა. სა-ტევარი ქარქაშს მოაქცია: ღურბეზის ცოლი წამოაყენა ზეზე, ერთმანეთს შავი თმები ერთმანეთს გადაუხვიეს დობის ნიშნად. თვითონაც ერთმა-ნეთს გადაეხვივნენ სიამოვნებით. მასუკან დაკოცნეს და ბევრის თავ-დაკვრით გაეყარა ღურბეზის ცოლი (აქ არიზიანს მოუბრუნდება).

და ვ ი თ მ ე ფ ე — არიზიანო, საჩქაროდ მიდი, დედოფალს სთხოვე ჩემაგიერათ, როგორც არის ისე მოვიდეს ჩვენთან.

(არიზიანი საჩქაროთ გაემურება).

და ვ ი თ მ ე ფ ე — ოჰ, რა რიგად შეენის დედოფალი ეხლა! ასე მშვენიერად არ მინახამს ჩემს დღეში! დედოფალი ზეზოვა, ისე როგორც აქილიქსს, დავით მეფე მეგებება. გაღაზნეო!

და ვ ი თ მ ე ფ ე — ჩემო სიცოცხლეო დედოფალო! დღეს გამოჩნდა შენი აღმატებული ღირსება, ხასიათი, გონება, დიდსულოვნება, თუ სი-კეთილე: ყოვლის ძვირფასის ნიჭით სრული ხარ და საკვირველი დედა-კაცი! ერთობ ქართველების პირით გმადლობ დღევანდელის დღისათვის და ყიფიანის ქალონაც დაამტკიცე დღეს!

დე დო ფ ა ლ ი — სწორედ გეტყვი, თუ ვიცი რამ და ან ვარ რამე, სულ შენგნით ჩემო დავით! მაგრამ საკურველს რასმე გიანბობ: ის ქალი მეტად შეფიყვარდა. გულზე რომ დავაჯეე სატევრითა გასაგმირად, თვა-ლი თვალში გამიყარა, იმის სახეს ცოტადი შიში ვერ შვაატყვე და გულ-განსვენებით მიყურებდა. ეს მეტად მომეწონა იმისაგან, სატევარი ქარ-ქაშს მივაქციე და ჩემისვე ხელით წამოვაყენე. რას ვიფიქრებდი, ქარ-თულად მითხრა: გმადლობ დედოფალო, სიცოცხლე მიბოძეო. მე გაკ-ვირვებით კითხვა დაუწყე. ნუ იტყვიო. თხუთმეტი წლისა წაუყვანიათ ქართველი ქალი ანა და ღურბეზს შეურთავს ცოლად უწომო მშვენიე-რებისათვის. ესეც მითხრა ჩემი თავის გამოღება ჩემგნით, თურქების ბრძანებით არის, თორემ ქართველებზე საკურველს როგორ ავიღებდიო. ესეც უნდა გითხრა დედოფალო, რომ ღურბეზიც დიდად მიყვარს! ახლა ჩემო ხელმწიფეო, ნება მამეცი, საშინელი ბრძოლა დაიწყო და ჩვენს ქალებს მივეშველო.

ღ ვ ი თ მ ე ფ ე — მიეშველე ჩემო გურანდუხტ, მაგრამ უფრო
კარგად მოიხრეთ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს.

ღ ე ლ ო ფ ა ლ ი — უთუოდ, ჩემო თვალის ჩინო! (და გავა).

(მცფე პატარა ხანს დაფქრდება, მასუკან ოავის ალებით).

მ ე ფ ე — არიშიანო, ჭოგრიტი მომწოდე. (მიართმევს და გაიხედავს-
მასუკან ჩამოიღებს და მოიხედავს ღმილით).

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ჩემო თევდორე კლდეკარელო, ომი ჭერ არ გეო-
ნახამს ჩვენ.

თ ე ვ დ ო რ ე — თქვენ მზეს ვფიცავარ, ჩვენი ომები ამასთან თამა-
შობა იყო, — რა ბრძანებაა, — საშინელება ტრიალებს ორსავე მხრი-
თა. ეს ქვემოთი ქართველები გასაშტერებელნი ვაუკაცნი ყოფილან!
კაცნი, დედაკაცნი, თუ ბერები; ერთმანეთს ვერ მოუვლენ და ცდილო-
ბენ ერთი ერთმანეთს წაუსწრონ წინ, შეხედეთ ჩემო ხელმწიფევე, დედა-
კაცები რომ დაერივნენ და შუა არაბებში იბრძვიან! აი, თქვენი გამჩე-
ნის ჭირივე, ქართველო დედაკაცებო! თქვენს მზეს ვფიცავ, თუ მეტნი
არ არიან კაცებზე, ნაკლებათ კი აღარ ითქმის. ეს ბერები ხომ უკან
აღარ ბრუნდებიან, მაგრამ ძვირათ ჰყიდიან თავის სიცოცხლეს თურ-
ქებზე.

(ამ დროს ბარამ შემოვა და მოახსენებს).

ბ ა რ ა მ — თქვენი ბრძანება აღვასრულე, ჩემო ხელმწიფევე!

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — გმადლობ ჩემო ბარამ. (ამასთანავე ოცდაათი მოხე-
ცებულუბი დახავსებულა ქართველები შემოვლენ ყუარჩნებით და დავით მეფეს მო-
ახსენებენ):

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ბატონს ჩვენს გაუმარჯოს!

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ღმერთმა გაგიმარჯოთ მოხუცებულეხო. — საი-
დან მოდიხართ, ან სად მიხვალთ?

ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა გ ა ნ ი ბ უ რ დ უ ლ ი — მთიდგან და
ბარიდან შევიყარენით მოხუცებულეხო, რვაათასი მეტი; აქ ჩამოვედით
ომის შესატყობლად. თვალთ რიგიანათ ველარ ვხედავთ. აბა ჩვენო
ხელმწიფეო! ველით გვიბრძანოთ რამე-რა ვიცით, ძახილი და ხმაურობა
დიდი გვესმის, ამბავი კი არა ვიცით რა.

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ჩემო საყვარელო მოხუცებულეხო, ჭერ არ გა-
დაწყვეტილა და კიდევ ბრძოლაა საშინელი!

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — (ერთის ხმით) ღმერთო შენ გადმოიხედე
ჩვენკენ მოწყალეების გულით...

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ძმაო თევდორე, ჩვენი მებრძოლეები დაგვშორდ-
ნენ, იმ დიდ რაზმებსაც დაანლოვდნენ (ყიდევი ჭოგრიტში გახედავს).

ღ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ღმერთმა მშვიდობა და ძლიერება მისცეს ჩვენ

ქართველებს. საკვირველება იმათი ვაჟკაცობა! ღეთის წინაშე უნდა ითქვას, რომ თურქ-არაბებიც დღეს კარგნი არიან და უშიშრად იბრძვიან. ხედავთ რა ამბავი მოხდა? ის დიდრონი რაზმები რომ იდგნენ, უფროს ერთმა შემოუტოეს ქართველებსა და უკანვე წამოიყვანეს, მაგრამ, დიახ, წყნარა მოაქვთ ფეხები და ომით მოდიან, რომ ზურგი არ უჩვენებიათ. ძმაო ბარამ, მოლი ჩემი ჭარი მოამზადე, მეც მალე შემოვუტევე. (ბარამ თავს დაუკრავს, საჩქაროდ გავარდება და დაეით მეფე ისევ იტყვის კოგრიტში მახურებელი): ძმაო თვედორე, მე ვიამბობ რაც ამბავი იქნება. აი, ივანეს ხუთი არაბი დაეხვია. — ხმალგატეხილსა. მარჯვენა ხელით ერთი არაბი შეიკაცა და მარცხენათი მეორე. მესამე გაიქრა ხმალმოსმული და თავში უნდა სცეს, მაგრამ იმ მესამეს კბილით მისწვდა მოღერებულს ხელში და ასეთი მოუჭირა, რომ შიშველი ხმალი გააგდებინა. ხედავ, იმის ცოლი სარა გაჩნდა, თვალებგადმობრუნებული, თმაგაწეწილი; მოუხდა დამკლავებული და გაშიშვლებული ხანჯალი დასცა სამთავ გულში და თავისი ქმარი გამოიხსნა სიკვდილისაგან. მართლად, რა გამოჩენილი, კარგი დედაკაცი ყოფილა! ის ორი არაბი იქ ველარ დადგნენ და საჩქაროთ გაიქცნენ. სად არის და სად არა, თორმეტი თურქი შემოეხვიათ ორთავ, თუმცა რამდენიმე მოჰკლეს ცოლ-ქმართ, მაგრამ ისინიც იქვე დახოცეს და იმათი სიკვდილი სანატრელია! მძიმე დაჭრილობა ეტყობოდა ფეხში ივანეს, თორემ მშვიდობით გამოვიდოდნენ ორნივე. რაც აღტქმა ჰქონდა სარას კიდევ აღასრულა: სადაც ჩემი ქმარი მოკვდება მეც იქ უნდა მოკვდეთ. აბა დედაკაციც ასეთი უნდა! მეორეს მხარეს, ლიპარიდს და აბესალომს შემოეხვევიან ყმაწვილი კაცები და ქალები, დედოფალიც იმათში ბრძანდება, ესენი არ დაბრუნებულან და ერთმანეთ გაჯავრებულები ხელგამოღებით იბრძვიან. — ამათი ბრძოლა უფრო მხიარული ბრძოლაა და ასე ჰგონიათ ქორწილში ვსხედვართო, მაგრამ ყველანი ლიპარიდს შეჰყურებენ და იმის ბრძანებისამებრ ომობენ ყველანი. თავის დანიშნულისათვის მარცხენა ხელი ჩაუვლია წელსართყამში მაგრა, და მარჯვენა ხელში ამოღებული სისხლიანი ხმალი უჭირავს; იმის დანიშნული იწევს, არ უშვებს და ბარგუაში კიდევ ბრძანებლობს. მართალია მოსაწონი ყმაწვილი კაცია, ჩინებული ვაჟკაცი და ყოვლის გონიერებით სრული! ბერებისა ხომ რაღა გითხრა! თითქმის სულ ერთიან გაწყვეტილან, რაც დარჩომილან ისინიც მძიმედ არიან დაჭრილები, მაგრამ იმათი ნახოცი თურქ-არაბები მძოვრათ ყრიან. ქალაქ ტფილისის მამასახლისის აბულელის და იმის ცოლისა რა ვიამბობთ? ესენი ასე ომობენ, გეგონება ოც-ოცი წლისანი არიან. ეს შინდორიც ასე შეღებილა სისხლითა, რომ რამდენსამე ადგილებში წყაროსავით მოდის და თან ემატება კიდევ. მე არ ვიცი, ამაზე საშინელს ომს სადღა ვნახამთ და მეომრებისაგან ამისთანა ბრდღენვას? (დურბინს ჩამოიღებს, აღარ გაიხედავს და გულმობიერად იტყვის): ჩვენ ჩვენი მამულისათვის ვიბრძვით და

ლურჯ-არაბები სახელისათვის. ზეცასა შინა მოსამართლო ღმერთო! შენ შექმენ სამართალი ჩვენსა და თურქებს შორის. (კიდევ გაიხედავს კოგრიტო და დაიძახებს): მოზოლის მამულის ერთგულნო მოხუცებულებო! თურქების და არაბების, ამ უკანასკნელმა რაზმებმაც შემოუტყეს. აბა ახლა არის ჩვენი აღდგენისა და დაცემისა უკანასკნელი ყამი. (ამასთან წამოხტება და კიდევ მოხუცებულებს დაუძახებს): მოხუცებულებო, ევედრეთ ღმერთსა ჩვენის გამარჯვებისათვის. (ღურბინდს სკამზე დააგდებს. თვითონ გავარდება და თავის მხლებლებიც თან გაჰყვებიან).

(უკარგნებზე დაბჯენილები მოხუცებულები მწარეთ დაღონებულები თავს ჩაჰკიდებენ და ბოლოს ერთი იმათგანი იტყვის):

ბ უ რ დ უ ლ ი — ვინიცობაა თუ ღმერთი გაუწყრა ჩვენს ცოდვას და ჩვენი ჯარი დაბრუნდეს, აქ ჩვენ რვა ათასი მოხუცებულები დაუხვდეთ თურქ-არაბებსა გულმიშვერთ, მინამდისინ ჩვენ გაგვწყვეტენ, მანამდისინ იქნება ჩვენმა ჯარმა დაისვენოს მცირედ კიდევ; წესში მორყვანონ თავი და ომი გაუახლონ; იქნება ამით ღმერთმა გამარჯვებაც მოგვცეს.

ე რ თ ბ ი რ ა დ მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ მ ა — კარგი იქნება, კარგი.

კ ი დ ე ვ ბ უ რ დ უ ლ ი — ძმანო ნადიბაიძე, (ერთს თავის აშანაფთაგანს ეტყვის) შენ თვალი კიდევ კარგათ გიჭრის, აბა კოგრიტში გაიხედე და ბრძოლის ანბავი გვიანბე!

(ნადიბაიძე აიღებს, გაიხედავს და დაიძახებს)

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — ჩვენს ჯარს თურქ-არაბის ჯარი სამ მხარეს შემოხვევია და ორსავე მხრივ საშინელება! ალაც ერთს მხარეს ცხენიანი ჯარი აღარ არის. — სულ ერთიან ქვეითები იბრძვიან და ეტყობათ უკანასკნელ ყამზედ არის ორსავე მხრით ბრძოლა (მოხუცებულები ქედებს დაიშვლებიან. დაეცემიან დედამიწაზედ და საშინელს ხმით იძახიან).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ღმერთო, ნუ გაგვწირავ! ნუ გაგვწირავ ღმერთო.

კ ი დ ე ვ ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — ღმერთო დაგვიფარე! რას ვხედავ? დავით მეფე შუაში ჩაიგდეს თურქ-არაბებმა, ამ ღროს ყმაწვილი ქალები გაუჩნდნენ და საზარელი კვეთა შეიქმნა. ოჰ, საცოდავები! — სულ ქვედასცეს საწყალი ქალები თურქ-არაბებმა, დავით მეფესაც საჭურველი და ტანისამოსი სულ ზედ შემოახიეს: ეწევიან. უნდა ტყვედ წაიყვანონ. ხმალი და სატევარი თურქებზე დამტვრეული აქვს. მუზარად მოშლილი საშინლად იბრძვიან და მუშტით იგერიებენ მტერსა (მოხუცებულები დადამიწაზედ აწყვებენ თავსა და ეწევალით ღრიალებენ).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ოჰ, საშინელება! ოჰ, დაიღუპა! ზეცავ ჩამოიქცე! დედამიწავ გასქდი, ჯოჯობეთის ამღზნებარო ცეცხლო, გად-

მოდის შენის სანდვრით და დაუდგრომელი კაცი ახოცე შენის ძლიერს ალით! ოჰ! ვაება! (პატარა ხანს უკან კიდევ წაღიბაძე).

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — იი დალოცვილი დავით მეფე, ძლიერს ვაყკაცობას გაუტაცნია და თავის მხლებლები უკან დაუყრია. ის მთიულები საშინელის ხმლებით თურქების გუნდებს აპობენ, უნდათ მეფემდისინ მოახწიონ, მაგრამ სიმრავლისაგან ვერ მიუხწევიათ და ამათაც თურქები ახვევიათ, რომლებსაცა სულ ზედ შემოხეული აქვთ ჩაჩქან-ჭაჭვი და უკანასკნელს ეამზედ იბრძვიან (კიდევ მოხუცებულები იმ მდგომარეობით თავს აწყვებენ და ვაებენ).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ღმერთო! ზღვები აღმართე, ქვეყანა წალეკე და ერთი ერთმანეთის მოსისხლე კაცი მოსპე ქვეყნით. ეგება მცირედ მოისვენოს კაცმა ბოროტისაგან; დამხობა! დამხობა! (პატარა ხანს უკან).

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — ოჰო? ოჰო! მოიცადეთ, საკვირველს ამბავს გიამბობთ, აი, ერთი ვილაც მშვენიერი: ოქრომკედის წითელის ტანისამოსით და კიდევ სხვა მეორე ყმაწვილი კაცი, თვალგემობრიალე, საშინელის ხმლებით თურქებს მოერევიან წინა. იმათ გვერდით, ორი მშვენიერი ქალები მოსდევენ გაშიშვლებულის სატევრებით: ის ერთი მგონია დედოფალი გურანდუხტ იყოს ბრწყინვალეს ტანისამოსით. უკან და აქეთ-იქით რამდენიმე გუნდი ყმაწვილი ქალებისა და ყმაწვილი კაცებისა მოსდევენ ხმლებმოღერებულები, გამგელებულის სახით, ეტყობათ თავის ბატონის გამოსახსნელათ მიდიან (მოხუცებულები ხელაპყრობით მალა აიხედავენ და საცოდავის ხშირ დაიძახებენ):

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ღმერთო! შენ შეეწიე იმათ, ღმერთო! (და თავზე მიწას იყრან).

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — შეჩვენებელი თურქ-არაბები, კიდევ გამხნევდნენ, რამდენიმე რაზმები მივიდნენ იმ ყმაწვილ ქალებზე და კაცებზე:

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — ოჰ ღმერთო! ქვეყნის ფართოს დააზილე ის შენი ლიტრის სელის ქვა, რომ სრულიად დაილეწოს ქვეყანა და შენი შემაწუხებელი ადამიანი აღარ იყოს არსად (მოხუცებულებმა კიდევ თავის წყვება დაიწყეს მიწაზე და მასუკან ასე მოჰყუნენ).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი — თუ ამ შენის შესაზარებელის რისხვებით ვერ გამოიმეტებ კაცსა, ღმერთო! ეს მაინც ასე ინებე, რომ ამ ერთს საუკუნეში, ნულარ მისცემ ადამიანს შვილიერებას. ეს იქნება წყნარ-წყნარი ამოფხვრა კაცისა ქვეყანაზე, მაგრამ არ, ასეთი შენი საშიშარი რისხვები, როგორც ის მოვლენილები უეცარი შენგნით! მაინცა ხომ კეთილი არ არის ეხლამდელსა დროსა კაცობრიობაში დაყმენდილი ბოროტების მეტი, მამ ისევ სჯობია, მხეცებს დარჩეს მთელი ქვეყანა, ისინი მაინც ნებისაებრ იცხოვრებენ თავისუფლად...

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე — (პატარა ხანს უკან) ძმებო, ნულარ სწუხართ, იმ ყმა-

წვილ-კაცებს. იმისთანა მომდევრებს, თურქ-არაბებმა ვეღარ გაუძლეს და სულ ერთიანად შემოიფანტეს. (მოხუცებულებმა აიხედეს და კიდევ ძაბილი შექმნეს):

საქართველოს მოხუცებულები — შენ წინაშე დაჩოქილნი შემოგყურებთ ხელგანპყრობით ღმერთო! გადაწყვიტე ჩვენს მხარეს.

ნადიბაიძე — მიხარებია, დავით მეფე გამოიხსნეს ყმაწვილებმა — ქალებმა და კაცებმა.

მოხუცებულები — ოჰ, გმადლობთ ღმერთო! გმადლობთ.

ნადიბაიძე — დავით მეფე ჯერ დედოფალს გადაეხვევა... ნასუჯან იმ ორს ყმაწვილკაცებთან მივიდა და ძმურად ჩაიტკბო გულში. ნეტავი ვინ არიან ის საკვირველი ყმაწვილკაცები? ღმერთო, შენ მიეცი იმათ მშვიდობა (მირად კიდევ გაჩუმდება და მასუჯან იტყვის): უცხოს ამბავს გააპობთ კიდევ; იმ მთიელებმაც გაარღვიეს და დავით მეფეს თაყვანი სცეს ჯაჭვ-ჩაჩქან ჩამოფხრეწილებმა, ამასთანავე მეფის თანამხლებლებს ქართველებმაც შემოიფანტეს თურქ-არაბები და მეფეს კალთაზე აკოცეს. მაგრამ ხელმეორეთ შეიკრიბეს ძალი თურქებმა და ერთობლივ შემოუტიეს. აქ განახლდა საშინელი ბრძოლა და ძაბილი.

მოხუცებულებმა (კიდევ შექმნეს ვედრება): საშინელის სისხლის ღვრისაგან გამოხსნილსა ნულარ გაგვწირავ შენ წილში ნარგებსა დედოფალს ზეცისაო! (პატარა ხანს უკან).

ნადიბაიძე — მოგილოცავ ძმებო! თურქები სულ დაფანტეს ქართველებმა და გამარჯვებული სიხარულით მოდიან ჩვენსკენ.

მოხუცებულები — (დამხობით) ოჰ, ღმერთო! სხვა მეტი რაღაა ჩვენთვის ქვეყანაზე! (ამასობაში დავით მეფე, დედოფალი, ლიპარიდ, აბესალომ, ქალები, აბულელი, ანატასია, მთიელნი და სხვანი შემოვლენ დაღალულები და მოხუცებულებს მიულოცავენ. ჯერ დავით მეფე ბრძანებს და მასუჯან სხვანი).

დავით მეფე — მომილოცავს მოხუცებულებო, გავიმარჯვეთ ღვთის შეწევნით (ამასთანავე ყველანი): მოგვილოცავს, მოგვილოცავს.

მოხუცებულები — ღმერთო, გაიგონე ეს ხმა, რა არის ჩვენთვისა დღესა! ეს ხმა, შენს საყდარზე დაამკვიდრე მკვიდრად, ნათელსა მოუწყვეტელსა შენსა!... (და დაემხობიან დედამიწაზე მადლობისათვის, მასუჯან შეხედავენ, ნახავენ, რომ ზოგსა დაფხრეწილი აქვს ტანთსაცმელი, ზოგსა გასისხლიანებული და სულ სხვადასხვა უცნაური სანახაური არიან, მასუჯან წამოდგებიან, დავით მეფეს კალთაზე აკოცებენ და ბურღული მოახსენებს).

ბურღული — ახლა აღარც გვეშინიან, ჩვენო ხელმწიფეო, თუნდ მთელი თურქ-არაბები მოვიდნენ ჩვენზედ, ჩვენი მთის ძმები მოვლენ ჩვენ შესაწვენელად და მასუჯან თურქ-არაბებმა სახონ თავიანთი ყოფა. ღვთით განვთავისუფლდით და ამას იქით კარგის მეტს სხვას რაღას ვიფიქრებთ, ჩვენო ხელმწიფეო! ახლა ჩვენ ჩვენი დრო მოგვიჭამია და

ამას იქით ღმერთსა შევევედრებით, ჩვენი შვილების შწვილობის მყუდროებით ბედნიერებასა!.. რაცა ვნახეთ ესეც საკმაოა ჩვენთვის ჩვენო ხელმწიფეო, დავით!

და ე ი თ მ ე ფ ე — გმადლობ მოხუცებულებო, რადგან ახლა ღმერთმა გამარჯვება მოგვცა, ამას იქით ვიღასი გვეშინოდეს? (ამ უჯანასკნელ სიტყვასთან დავით მეფე მოიხედავს და სერაფიმ ბერს მკვდარს დაინახავს. მეფე, დედოფალი მივლენ და თაყვანსა სცემენ, მასუკან მობრუნდება და ლიპარიდს უბრძანებს): ლიპარიდ, შენი დედ-მამის ამბავი გაიგონე?

ლიპარიდ — დიახ, ჩემო ხელმწიფევი! წვრილად ვიცი. თქვენს თავს ვფიცავ, იმათი სიკვდილი სანატრელია!

და ე ი თ მ ე ფ ე — დიახ, ჩემო ლიპარიდ, მაგრამ ანდერძი ხომ არა არის რა იმათი? მე ცოცხალს ველარ მივუსწარ.

ლიპარიდ — როგორ არა, ჩემო ხელმწიფევი! მშობლის მამული-სათვის ილოცვიდნენ თურმე და ჩვენი გამარჯვებისათვის. ბოლოს ეთქვათ: ჩვენს სასაფლაოს ეკლესიაში დაგვმარხეთ ორივე ერთათაო, რომელნიცა კიდევ წაასვენეს ჩვენის ეკლესიისაკენ.

მე ფ ე — მაშ აქედგან წავიდეთ, დიდის დღესასწაულით დაემარხოთ; ღმერთმანი ღირსნი არიან იგინი! (მასუკან მობრუნდება და იკითხავს). შემატყობინეთ, ეს ოთხი მკვდარი ქალი ვინ არის, სერაფიმის მუხლზე რომ უდევთ თავი?

ა ბ უ ლ ე ლ ი — ობლები გახლავან ეს ქალები, ჩემო ხელმწიფევი! ჩემმა ძმამ სერაფიმ ბერმა სამ-სამი წლისანი მოიყვანა ჩემთან და დიდის ვედრებით ზთხოვა: დიდის ყურადღებით მეპატრონა ამათთვის, მეც აღუთქვი და ჩემს შვილზე არ ვარჩევდი ამათ. ამ ბრძოლის წინა დღეებში ჩემთან გახლდათ ჩემი ძმა და აღსაჭურველად რომ ევმზადებოდით, ჩემგნით წასულს ჩემს ძმას კარზე დახვედროდნენ ეს ქალები. ეთქვა ამათთვის: „ჩემო საყვარელო შვილებო, დრო მოვიდა თურქები გავრეკოთ და თქვენცა გთხოვთ თქვენსა ძმებს ქართველებსა მოეხმაროთ“. ესენი სიხარულით მისულიყვნენ; ხელზე ეკოცნათ და კიდევ აღუთქოთ. ამის გამო, ჩემს ქალს ელენესთან გახლდნენ და აღარ შორდებოდნენ, მაგრამ როდესაც კი მოკლილი გახლდნენ ხოლმე, ყოველთვის დაჩოქილნი იდგნენ, ანდრია მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი რომ მოგვიტანა, იმის წინაშე და გულმხურვალე ცრემლით ევედრებოდნენ ჩვენს განთავისუფლებას. თუ მართლა ეს ამბავი არ მომხდარიყო, უთუოდ მოლოზნად აპირებდნენ შესვლას ამ მოკლე ხანებში, მაგრამ მამულს შეეწირნენ მსხვერპლად და ამან ანუგეშა ესენი (ამის შემდეგ დაჭილი ბერი).

ბ ე რ ი დ ა ქ რ ი ლ ი — ჩვენო ხელმწიფეო! როდესაც სერაფიმ ბერი მოკლეს, ეს ოთხი ქალი გაჯავრებულები დაერივნენ მკვლელებში, თუმცა სერაფიმის სისხლი იზღეს, მაგრამ ესენიც იქვე გაგმირეს. მასუკან

რის ყოფით ბოზლით გამოვიდნენ და სერაფიმის მუხლზე დალიეს სული; სერაფიმის მადლობის შეღებებით (დავით მეფე მცირედ შეფიქრდება და მასუკან იტყვის).

და ვ ი თ მ ე ფ ე — ნეტავი იმისთანა წამალი იცოდეს ვინმემ, რომ ესენი ამ სახით დარჩნენ, — ასე დაუშლენი, როგორც არიან. (იმ მოხუცებულთაგანი ერთი წამოდგება და მოახსენებს):

ზ ა ქ ა ი ძ ე — მე ვიცი, ჩემო ხელმწიფე! მე შემძლიან, ჩვენი მამაპაპის სწავლა არის მაგგვარი მკურნალობა მკვდრებისა, მაგრამ ორმოც წელიწადს შემდეგ ისევ დაიშლება.

და ვ ი თ მ ე ფ ე — ეგეც საკმაოა, პატიოსანო მოხუცებულო, რომ ორმოცი წელიწადი აგრე უყუროთ მაგათ, მაგრამ ახლა ეს მიბრძანეთ:— ეს სერაფიმ ბერი და ეს ქალები, მამულის მოწმობის ღირსნი არიან თუ არა?

ე რ თ პ ი რ ა დ — ღირსნი არიან! ღირსნი! ღირსნი!

და ვ ი თ მ ე ფ ე — მაშ ყველამ დავიჩოქოთ ამათ წინაშე და პატივი ვცეთ! (სუხველანი მუზარადებს დაიხდიან, გულზელ დაიკრფენ, მოწიწებით და თავ-დახრით იმათ წინაშე დაიჩოქებენ, ამ დროს შუა ხალხიდგან ერთი დაიძახებს მაღალი ხმით):

გ ო რ ჯ ა ს პ ი რ — ნათელი! ნათელი! (ამასთან განცვიფრებით ყველანი შეხედვენ გაღმა და განკვირებით დაიძახებენ):

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ნათელი ჭეშმარიტი! ნათელი ჭეშმარიტი! (და თვალე-ბი მაღლა დარჩებათ ხელაპყრობილებს, ნათელი ზეცისა ჩამოვა; სერაფიმ ბერსა და იმ ოთხ ქალებს დაადგებათ. ამასთანავე უკან პატარა გორაზე გადმოდგებიან თურქებისაგან თვალბ-დათხრილი რამდენიმე ქართველი კაცები და დედაკაცები, — თვითთულად, თვითო ყმაწვილს ათი და თერთმეტი წლისას უჭირავთ ხელი ხელზე მოკიდებულნი, რომელსაც თურქების დამარცხება შეუტყვიათ. მოსულან, ზევით ხსენებულს გორაკზე გადმოდგებიან და ამ ქვემო ლექსსა გადმოჰგალობენ მეომრებსა ზედა. ე: გალობა ღიახ მშვენიერი ხმა უნდა იყოს).

„გვესმა მოვსულვართ, მოლოცვით, მღერით,
გამოხსნა ჩვენი ძლიერის მტერით,
ძლივს ჩვენმა ბედმა ამოიქშვინა
თავისუფლებით თვის ზღუდეს შინა.
შეების ნიაენი, ანგელოზთ მადლნი
დაგვდის, გვაგრილებს, გვესურვისაცა,
გვირგვინი ღვთისა მოწამობისა
აჰა დაგვედგა ცით მადლობისა!“

(ამას რომ გაათავებენ მადლობისათვის დედამიწაზე ემხოზიან ესენი, მასუკან ერთობ-ლოვ დაჰყოფენ).

ღ ა ლ ა დ ე ბ ა — ქალაქ ტფილისიდან თურქები გადიან და მთელს

ქალაქს ცეცხლი ეკიდება საშინელი! (დავით მეფე წამოკება მედიდურის სახით, განსვენებულის გულით მიხედავს ცეცხლს წაქიდებელს ტფილისს და ხელის მიღებით იქით).

და ვ ი თ მ ე ფ ე — და აღვაშენებ მე! (ხელი იქითკენ აქვს მიღებული).

ე რ თ ო ბ — დავით აღმაშენებელი აღღეგრძელოს, აღღეგრძელოს, აღღეგრძელოს.

ძახილის შემდეგ ფარდა ჩამოეშვება

მეოთხე მონათხევა

ფარდა აიხლება, გამოჩნდება უმაღლესი და ვრცელი ეკლესია მცხეთისა. ამ ეკლესიის შუაზე ცოტა აქეთ აწყვია ორ გროვად ადამიანის ძეგლები თურქ-არაბის ომში დახოცილნი ქართველებს; ჯერ ქალებისა და შემრე კაცებისა. ამთ შუაში მისვენებული სხედან სერაფიმ ბერი და ამას აქეთ-იქით გვერდით უსხედან თავისი ოთხი გაზრდილი ქალი, თქვენთვის ცნობილი ზევით. ამათი მნახველი იტყოდა ცოცხლები არისო. ეკლესიის აქეთ-იქით გვერდზე ტყის ხეებია გაშლილი და გაფოთილი, ამ ტყის პირში მოაჭირი აქვს გაულიო, ორსავე მხარეს, დაბალი, რომლებზედაც დგანან თვითო მცირე ქალთა და კაცთა დასი. ორივე ეს დასი უცხოთ არიან შორთული: ესენია მგალობლები. — ეკლესიის წინა ტიტველა პატარა გორა არის მწვანე და უცხოთ ბიბინებს. ამის წინ ვრცელი ადგილია სწორე, სადაც ოთხი მშვენიერად შორთული ყმაწვილი ქალები შემოვლენ და ერთი ამათგანი იტყვის.

პ ი რ ვ ე ლ ი ბ ე გ უ მ — ჩემო დებსავით: საყვარელო! ვინ იცის რავდენი სიხარული გემართებს ჩვენ! — ჩვენი მშობელი ქვეყანა განთავისუფლდა და ამაზე მეტი ბედნიერება რაღა იქნება ჩვენთვის!

მ ე ო რ ე რ ო დ ა მ ი — მართალია დიდი სიხარული გემართებს, მაგრამ გავიგონე ორასი ათასი თურქი მოსულა სამშლვარზედაო.

მ ე ს ა მ ე ს ო ს ა ნ ა — მეც ესე გავიგონე, მაგრამ, ესეცა თქვეს ორასი ათასი კავკასიის ჯარები იქ დახედებათო. საკურველი მეფე დავითი იმათში ბრძანდება, ასი ათასი ქართველების ჯარითაო და თავისი საყვარელი ლიპარიდიც იქ თურმე ჰყავს ქართველების სპასპეტათა. აბა ვილასი გვეშინიან ჩემო დებო.

მ ე ო თ ხ ე ბ ა ზ ი ყ ა — დიდათ მიკვირს! იმ დალოცვილმა დავითმ მეფემ ჯვარი როგორ არ დასწერა ლიპარიდსა და ისე წაიყვანა.

ბ ე გ უ მ — დიდათ უნდოდა თურმე, მარამ ლიპარიდს მოეხსენებინა: მე და ჩემს დანიშნულს ღმერთთან აღთქმა გვაქვს, მინამ სრულებით ჩვენს მშობელს ქვეყანას განთავისუფლებულს არ ვნახამთ, ვერ დავიწერათ ჯვარსაო.

რ ო დ ა მ — ჰეშმარიტად, მეტად კარგნი არიან ორნიც, ღმერთსა სა-

ფერად დაუბადებია ისინი, ეხლა წავალ, ელენეს შემოვიყვან ჩვენთან. რალა წავიდე, აგერ კიდევ მოდის (მიუღენ, მიეგებებიან და სიამოვნით აკოცებენ ორნი).

ბ ე გ უ მ — ჩვენო საყვარელო ელენე, როგორა ბრძანდები?

ე ლ ე ნ ე — ღვთით კარგათ გახლავართ. თქვენის მშვიდობისას რალას მიბძანებთ?

ბ ე გ უ მ — ჩვენც კარგათ ვართ (მასუკან ჰკითხავს): ქალო, შენი საქმროს ანბავი არა იცი რა?

ე ლ ე ნ ე — არა, არავიცი რა. (და ამასთანავე გაწითლება).

ბ ე გ უ მ — შე კუდრაჰვე. შე კუდრაჰვე, რად გაწითლდი?

ე ლ ე ნ ე — ქალო ბეგუმ, შე ეშმაკო, შენ რალათ გაწითლდი? შენი საქმროსათვის განა? (ამ სიტყვაზედ სულ ერთიან ეს ქალები გაწითლდებიან, სიცილს ვეღარ დაიჭერენ და სიამოვნით კასკასებენ).

რ ო ღ ა მ — ქალებო, უსვინდისოთ ნუ ვიქასკასებთ! ვიცით ჩვენი საქმროები გვიყვარს დიდათ. კარგია დავჩუმდეთ თუ ღმერთი გვწამს (ამასთან ამთი ხნისა და აგრეთვე გაუთხოვარი, ერთი ლამაზი ქალი შემოვარდება ამათთან და შემოსძახებს ამათ).

მ ა ნ ი ე ა — ქალებო, ჩემო საყვარელნო დანო! უცხოს ამბავს გეტყვით, უცხოს ამბავს!

ე რ თ ო ბ — რა ანბავია შენ გაზრდას მანიეაე? ჩქარა გვითხარ.

მ ა ნ ი ე ა — ქალო ელენე, ეხლა ეს არის შენი საქმაროს წიგნი მორეთო ჩვენ კათალიკოზს, დავით მეფის ბრძანებითა, მოეწერა „ორასა ათას თურქებთან ომი მოგვიხდაო, მაგრამ კავკასიელებმა ჩვენ ქართველები აღარ გვაომესო, რომელთაცა ასე დაამარცხეს თურქები, რომ მოუხედავათ გაიქცნენო.

კ ი დ ე ვ ე რ თ ო ბ — ქალო, ვინ გითხრა?

მ ა ნ ი ე ა — ამ დროს მამაჩემი იქ ხლებოდა კათალიკოზს, მოვიდა და იმან გვიამბო ეს ანბავი (ამ სიტყვაზე უფრო გატაცებული სიხარული აიტაცებს ამ უმანყოთა გაუთხოვართა ქალთა; გაშლილ ბაღდადის ხელსახოცებს დაუწყობენ ერთმანეთსა ცემას ნელად, თან დარბიან და მხიარულად ერთმანეთს ეუბნებიან):

გ ა უ თ ხ ო ვ ა რ ნ ი ქ ა ლ ნ ი — ქალო, თავისუფლება! თავისუფლება მოგვილოცავს! მოგვილოცავს სიხარული! — მოგვილოცავს ბედნიერება! — ბედნიერება მოგვილოცავს! — ქალებო ბედნიერება! (ბოლოს როდამ დაწყნარდება და ამ ქალებსაც დააწყნარებს ამ სიტყვით).

რ ო ღ ა მ — ქალებო დავწყნარდეთ, ამის იქით სულ ბედნიერებაა ჩვენთვის! — ღვთის მოწყალებით ჩვენს საქმროთაც ვნახამთ თურქებზედ გამარჯვებულებს.

ბ ე გ უ მ — მაშ ჩემო საყვარელო მეგობრებო, მცირედ ვილიდინოთ და შევექცეთ.

ს ო ს ა ნ ა — მოითმინეთ, ჩემი წინწილი მოვიტანო, იმაზედ დაამ-
ლერეთ.

ბ ე გ უ მ — გურიის ქალები ღიღინს რომ ამბობენ, იმათი მშვენი-
ერი ტკბილი ხმა ვსთქვათ. — ჩვენს მეფე დავითს და ჩვენს მამულს ქე-
ბა შევასხათ.

რ ო დ ა მ — ქალებო, მამულის განთავისუფლებით ველარა გაგი-
ჯიათ რა, ახლა რას იტყვით, რომ რალაც უპირველესი საგანია, ის დაგვი-
ვიწყებია, იმას ვერა ვხედავთ, იმაზე არას ვამბობთ და ატაცებული
ვართ გიყსავით? (ამ სიტყვაზე წინწილის მოტანა აღარ დასცალდება სოსანას და
ჟველანი ჰკითხავენ).

ე რ თ პ ი რ ა დ — რა არის, რას ვერა ვხედავთ?

რ ო დ ა მ — აბა ეკლესიისაკენ შეიხედეთ!

ე რ თ ო ბ — (განკვირების დაძახებით): ვუი, ამ ჩვენს თავს, მშობლის
მამულის წმინდა მოწამენი: სერაფიმ ბერი, იმის გაზრდილი ოთხი ქალი
და სხვანი! წავიდეთ, კეთილ მოწიწებით, კრძალვით თაყვანი ვცეთ იმათ
გეამებს და იმათ ძელებს!

(მივლენ და თაყვანს სცემენ, ამ ღროს მოაჩირიდან გალობით წარმოსთქვამენ
ამას): კეთილ მოწიწებით თაყვანსა გცემთ ჩვენო მამულის მოწამენო.
(დასრულებაზე პირველ ადგილსავე მოვლენ, მწკრუდ დიჩოქებენ, რომელთაცა ნა-
ხევარი სახე იმ მოწამებისაკენ აქვთ და ნახევარი ტიატრის საზოგადოებისაკენ. თავს
დაჩოქებული ბეგუმ მოყვება, რადგანაც ხნით ცოტა უმფროსია ამათზე; ამისათვის
იმას ეკუთვნის ზრდილობის წესით).

ბ ე გ უ მ — ცისა და ქვეყნის შემოქმედო, უხილავო ძლიერებაო, ჩვე-
ნი მშობელი ქვეყანა ხომ იმისათვის შექმენ, რომ კაცობრიობის ბუდეთ
ყოფილიყო, მთელი ქვეყნიერების აღორძინებისათვის, რადგანაც გამ-
რავლდა კაცი მთელს ქვეყანაზედ. ქვეყნის გასამშვენიერებლად და გა-
საპატიოსნებლად, ნაცვლად სიყვარულისა და პატივისცემისა, იმ თავიდ-
გან აქამომდე მოუხდინან შვილნი შორეულნი თავიანთ მამა-პაპის ბუდ-
გასა, სადაც თავიანთ ძმებსა სტყვევიან, იმონებენ, ფეხით ლახვენ და
მიწასთან ასწორებენ, რომ თავის აღების ღონე აღარ აქვთ. ოჰ, დაუმაღ-
ლებელო კაცო, უმაღურო ღვთისაო, განა იმისათვის მოგვცა სრული
გონება ღმერთმა, რომ თქვენსა ძმებსა ძირითურთ იღებდეთ? დადევ
კაცო, — კაცო დაწყნარდი, — კაცო განისაზღვრე შენი მძვინვარება, —
კაცო კარგი, ნულარ იქიმები და ნუ იწურები, თორემ მომეტებული შე-
ნი გაწევა ღმერთს განარისხებს? კაცო, კარგია აკმარე თქვენსა ძმებსა
ავდენი ტყვევნა (აქ ტირიან ქალები მასუკან კიდევ). კაცო შემოიკრიბე კე-
თილ-გონიერება და ნუ მძლავრობ ამდენს, თქვენცა მამულის მოწამენო,
(ხელს იქით მოიშვარენ) ამაზე ევედრეთ დაუცხრომლად ღმერთსა.

(სხვა თქმა აღარ დასცალდება, დედოფლის გურანდუხტის მახლობელი ქალი მაია
შემოვა).

მანია — გაიგონეთ ქალებო. დედოფალი შობრძანდება დღევანდელი დღესასწაული უნდა გადაიხადოს დიდის გამოჩენით (ეს ქალნი მწკრივით დადგებიან, გურანდუხტ შემოვა მდიდრათ შორეთული, თან მოჰყვება ხნიანი ძველი ქალები და აგრეთვე ყმაწვილი ქალები და ყმაწვილი კაცებიც. მანა ამას რომ დაასრულებს. უცრად თვალეზზე ხელს მიიფარებს და დაიძახებს):

რას ვხედავ! იმ თავგადადებულ ომში დაჭრილ ანუ დაჩეხილი ქალები თურქ-არაბებისაგან! მამულის მსხვერპლი მოაქვთ ღონიერს დედაკაცებს. — იმ დაჩეხილ ქალებსაც უნდათ ამ თავისუფლების დღესასწაულში დაესწრან და ჩვენთან ერთად იღღესასწაულონ. ოჰ ღმერთო! შენს კეთილს გულსა ილმე ჩვენი მამულის სიყვარული!

(ამასთანავე ერთი მუხლით დაიჩოქებს და მადლობას შესწირავს ღმერთსა ესიტყუოდ. ამ დროს შემოსავალში ერთს ქალს შემოიყუანენ. ეს ქალი უხით ოთხს დედაკაცს საკაცებზე. რომელიცა სხვადასხვა თურქების დარჩენილი საქურველით არის შემზადებული. ზედ არის ცოტად გადასვენებული ქალი ამ საკაცებზე და სხვა ქალებიც ამ გვართ მოჰყავთ. ამ ქალის უკან ეს პირველი ქალი არის ღლიპარდის დეიდაშვილი ნინო. მოიყვანენ ამ ქალთ და შუაში დადგებიან საკაცებით დედაკაცები; აქედანაც მეფე და სხვანი მივლენ კრახლვით, საღღესასწაულს სახით).

ნინო — ჩვენო დიდო კავკაზიაე! შენს ქვეყანაზედ დაბადებული შენი ქალები, შენი ჭირის სანაცვლონი იყვნენ შენი მამულისა. არა ერთხელ. ყოველთვის და ყოველ ყამს...

მეფე — კავკაზიის ქვეყნის ჰაერო, წყალო, მთანო, ბარნო და სრულიად ერნო! იხარებდეთ დღესა დიდებისა თქვენისა! ხედავ, ჩვენო მშობელო ქვეყანა, რას გადიხდი დღესა, ანუ საღღესასწაულსა? ჩვენი გამოხსნისა დღესა! თავისუფლებასა ჩვენსას! ჩემო საყვარელო დაო ნინო და ერთობ ქალებო! მოდით ამ საკვირველ ბედნიერებასა შინა! — როგორ დამავიწყდება? ჩემო დაო ნინო! ერთმა დასმა თურქ-არაბებმა შუაში რომ ჩამიგდეს და გარს შემომეხვიენენ? იმ ჩვენს თავგადადებულ ომში შენ და შენი მეგობარი ქალები რომ მომეშველენით? — ჩემი გულისათვის სულ ერთიან ქვე დაგცეს საქურველით? ზოგი დაიხოცა და ზოგი გამოგვიხსნეს ჩვენმა ჯარებმა? როგორ დამავიწყდება ჩემო დაო ნინო, ის თქვენი შემოწირული სიცოცხლე ჩემთვის? (ამასთან თვალეზზე ხელს მიიფარებს და ნინოს წინ დაიჩოქებს).

ნინო — ჩვენო ხელმწიფეო! აღმაშენებელო დავით! ჩვენო განმაცისკრებელო დავით! ყოველი კავკასიის ერნი დიდნი და მცირენი შენ გიგალობენ. შენ დიდსა სახელსა, ვითარცა ფსალმუნნი დავითისა შენ აღგამალლებენ. შენ გაქებენ ცამდის! იცოცხლე ჩვენთვის!.. იცოცხლე ბევრი და ბევრი წელიწადები... (მოაჭირდგან წარსთქვეს): იცოცხლე, იცოცხლე დავით!...

კვალად ნინო — დიდო დავით, შენი ჭირიმიე, თქვენ არ გეკადრებათ მუხლის დადრეკა, ჩვენ უნდა შორიდგან თაყვანს გცემდეთ და შორილამ შემოგტრფიალებდეთ, ვითარცა მზესა ბრწყინვალესა!

მე ფე — არა, ჩემო დაო ნინო! მეც კაცი ვარ, მე არა ვარ თაყვანის საცემი, მე ვარ ძე კავკაზიისა, ვითარცა სხვა მამულისა ძენი. მე ვარ მორჩილი უნცროსი ძმა კავკაზიელთა, მე ვარ მხოლოდ ნიშანი, ერისაგან წოდებული მეფედ. ესე იგი ჩვენი ქვეყნის ერთა ერთობისა, ერის რჯულის დამცველი, ერთა წესისა და არა თვით უფალნი აღმოსავლეთისა, იგი უგუზურნი, მხოლოდ იგი დიდებისა და პატივისმოყვარულნი და არა კაცობრიობისა. მეფე არის მეუფება, და მეუფება არის სიტყვა განსაზღვრული. მაშასადამე მე ვარ საზოგადოების, ერთა რჯულის დამცველი და შისის წესისა. აი, ეს არის მეფობა, მხოლოდ ესა.

ნინო — შენამც განაცვლება კავკაზიის ქალები. შენ შეილებსავით რომ გიყვარს, ჩვენო უკეთილესო მამაო! აბძანდით შენ გეთაყვანოს ჩვენი თავი (და დაღება ფეხზე, მასუკან ლიპარიდს მიიყვანს):

მე ფე — ჩემო დაო ნინო! აი, შენი დეიდაშვილი ლიპარიდ, ძმასავით შენი საყვარელი.

ნინო — ოპ. ლიპარიდ! მოდი გადამეხვიე შენს დას ნინოს (გადაეხვივა. მასუკან კვალად).

ნინო — ჩემო უსაყვარლესო ძმაო ლიპარიდ! განა, ჩემო ძმაო, საკვირველი ამბავი მოგიტანე ჩვენი განცოცხლებისა, ჩვენი გაპატიონებისა, ჩვენი ქვეყნის გაფურჩქვნისა უმშვენიერეს ყვავილსავით და დასასრულ ჩვენ კავკაზიელთ ერთობისა! მოგილოცავთ, მოგილოცავთ კავკაზიელნო უტკბილესსა თავისუფლებას! — იყავით ძლიერ, იყავით ერთმანეთის სიყვარულსა შინა, — იყავით ერთმანეთის ერთგულნი, იყავით თავგანწირულნი თქვენის მამულისათვის. — გახსოვდეთ უწინ რა იყავით თურქებისაგან დაცემულნი და ესლა ღმერთმა რა მოავლინა ჩვენთვის, ნურცერთს ნუ დაივიწყებთ. აბა, ახლა სად არიან მამულის მოწამენი? იქაც მიგიყვანეთ (და მიულოცავენ). წმინდანო ღირსნო, მამულის მსხვერპლნო და გმირნო! ყოველთვის და ყოველ ჟამს თქვენთვის იქადაგებენ მეცნიერნი, ბრძენნი და მათ წერილებში ჩაიწერება სახელები თქვენი! თქვენ ხართ მაგალითი ყველასი მამულის სიყვარულისა!..... (ზევით მოაჩირიღგან წარმოსთქვებს) ხართ მცველი მამულისა (ამას რომ დაასრულებენ, იტყვის):

ნინო — ნულარსად წაგვიყვანთ, აქვე დაგვსხით, ამ გორაზედ, მამულის მოწამეს სიახლოვეს.

(მიიყვანენ და მარჯვნივ დასხამენ, წამებულ ცოტა ქვეით დაპირილებს, ანუ დაჩეხილებს მიიყვანენ და მარჯვნივ დასმენ. დაეით მეფე და სამნი სასულიერონი თავის სასხდომზე დასხდებიან, სხვანიც წყობით დაღვებიან აქეთ-იქით, კარგა მოშორებით, რომელსაცა თეატრიდგან საზოგადოება პირდაპირ უნდა ხედავდეს მამულის მოწამეთა, ეკლესიის აქეთ-იქით მგალობლებსა მოაჩირებზედ და სრულიად ყოვლისა. ამ დროს მამულის ერნი მოვიდნენ დიდრონის დროშებით, მოაჩირების თავის ნაპირზე და მგალობლები ცოტა ქვემოთ დარჩნენ ეკლესიისაკენ. სამი დროშა ერთ მხარეს არის მოაჩირის ნაპირზე და სამი მეორეს მხარეს მოაჩირზედ, რომელიცა ექვსი დროშები უც-

ხოლო არც მორთული. პირველ დროსას აქვს გამოსახული მხატვრობა: მოფრინვალე თერთმეტი მტრელი; თითო მტრედსა თვითო გაშლილი ჯარდის რტო უჭირავს ნისკარტი და ყოველს რტოსა თითო თეთრის წერილის ასოზედ სწერია ასე: თავისუფლება. ამას გვერდით მეორე დროშაზეა დახატული მშვენიერი მორთული ქალი გადმოშლილის შავის თმით, გაშლილს წალკოტში ვარდების ქვეშ მისვენებული, ორი ხელით ფრთებ-გაშლილი გვირგვინი უჭირავს თავის გულზე მიკრული, რომელსაც ნისკარტით უჭირავს გაშლილი წითელი ქალაღი ზედ დაწერილი თეთრის ასოებით — თავისუფლება. მესამე დროშაზეა დახატული სხვადასხვა კრელი ჩიტები, ფრთებგაშლილი და განბნეულს სხვადასხვა ხილსა ჰკენკენ მოხარულნი, რომელზედაც თვითო ყოველს ხილზედ თითო თეთრი ასო ზედ სწერია: თავისუფლება. ახლა მეორეს მოაჯირხედ, პირველს დროშაზეა დახატული კავკასიის მთის ფრიალო კლდე, ზედ არწივის ბუდე, შიგ არწივი თავის ბარტყებით ჯდანან ფრთებგაშლილები სიხარულის სახით და ქვემოთ კლდეზეა დაწერილი თეთრის ასოებით: თავისუფლება. მეორეს დროშაზეა დახატული ერთს პატარას მთაზედ ჩამომხტარი ყმაწვილი კაცი ცხენიდან, მშვენიერი ცხენი უკან უდგა, თვითონ მთაზედ ზის ბედნიერის სახით, მარჯვენას ხელზედ ქორი უხრს, მის გარშემო მწვერებია, წინ ნანადირევი, აქა-იქ ჰყრია: კურდღელი, მელა, ხოსობი, დურაჯი და სხვა ნანადირევი. ქვემოთ აქა-იქ მწვანეზედ თეთრი ასოების წერილებია: თავისუფლება. მესამე დროშაზედ არის დახატული აშლილი დიდრონი ხეების ტყე, ტყის ქვეშ ქობულდანი ირემი, გვერდით მისი ფერი, ამასთან თავის ნუჯრები და ზედ გაფოთილის ხეზედ არის დაწერილი თეთრის ასოებით: თავისუფლება. ამ დროს სამი ქალი, მშვენიერად ჩაცმულნი: ერთს ამთვანს ჩანგი უჭირამს, და კაცი უცხოთვე ჩაცმულნი, მოვლენ მეფის წინაშე, დაიხოქებენ და ამ ლექსს ღლინით იტყვიან. უმშვენიერების ღმით და ჩანგსაც იმათ შიადევენებს ეს მესამე ქალი ტკბილის ღმითა. აი ის ლექსი:

„განახლდა, ბრწყინავს ჩვენს ცისკრად,
ტომი დავითის დღეს დავით.
მამულს სინათლე მნათ დარად
მოგვეცა მალღალ აწ ზეცით.
აღარა გვმართებს ქმუნვა ჩვენ,
კავკაზიისა შვილებო!
განსცხრით, იშვებდით, დასტკბით თქვენ
თავისუფლებით მდიდრებო!“

ესენი რომ ამ ლექსს გაათავებენ, მასუკან ტყეში ორს მოაჯირხედ ეკლესიასთან, ფერხელის ხმით იტყვიან ამ ლექსს, რიგი, ხან აქეთ და ხან იქით, როგორც წესია ფერხელისა. და მერმე ფერხულსაც დააბმენ ტრიალით ორსაც მხარეს. აქ დავით მეფე იმ სამს სასულიეროთა რაღასაც ეტყვიის ჩუმათა, ისინიც ადგებიან და აქედგან გავლენ. მეფეც ფეხზე დადგება; — ამ დროს მოსამსახურენი შემოვლენ, საჭდომ საეარძლებს მეფისას და სასულიეროთა გაიტანენ გარეთ, ფერხულის სიმღერა რომ გათავდება, მგალობლები და სხვანი მოაჯირის ნაპირს მოადგებიან და ყურებას დაიწყებენ. ამ დროსავე ნახვენ; სამს სასულიეროთა ორ-ორის ქალისათვის ჩაუვლიათ თვითო ხელი; თვითო ზუამი დგანან და სამ-სამი მწკრივით მოდიან ერთად. ეს ქალები არიან დანიშნულნი: ელენე, ბუგუმ, როდამ, სოსანა, ბაზიყა და მანიყა. მოიყვანენ ეს სასულიერონი ამ ექვსსა ქალსა, მეფის წინაშე დააყენებენ და თვითონ მეფის მახლობლად დადგებიან მარჯვნივ).

მეფე — ყმაწვილო კაცებო, ძმანო ჩემნო! ლიპარიდ, აბესალომ, მანზა, არდიშ, დავლე და საეარ! თქვენ ძლიერის მამულის ერთგულე-

ბისათვის უკეთესი ჯილდო მე არ მეგულება თქვენთვის, როგორც ეს მშვენიერნი ქალნი კავკაზიელნი! თუ თქვენი ნება იქნება, ამ თავიანთ დანიშნულებზე დავაქორწინოთ და გვირგვინი დავადგათ?

ე რ თ ბ ი რ ა დ — ღირსნი ღირსეულთათვის! (მეფე ელენეს ხელსა ლიპარიდის ხელში მისცემს, ბეგუმის ხელსა — აბესალომს, როდამის ხელსა — მანხას, სოპანას ხელსა — არდიშს, ბაზიყას ხელსა — დაელეს და მინიყას ხელსა — სავარს და თან ამ სიტყვას დაატყვას):

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — აჰა, მამულის ჯილდო — მამულის ძეთა! (ამ სიტყვასთანავე ოქროს სინით თორმეტს ბრწყინვალეს გვირგვინს შემოიტანენ, შუბლზე სხივ-მოსხმულს, ვარსკვლავებთანს. ამ დროს ეს ყმაწვილი კაცები და ქალები თავ-თავის დანიშნულებითა მეფის წინაშე დაიჩოქებენ. ამათ მეფე გვირგვინს დაადგამს თავზე და ორსავე ხელს ამთ გადაათარებს ამ სიტყვიერ. დედოფალი შემოსავალის ცოტა მომორებით ორს მუხლზე დაიჩოქებს და მძიმეთ თავიანთსა სცემს ეკლესიისაკენ. ამ შოაჭირიდან მგალობლები აუწვებენ გალობას). სვეტო, სამკვიდრეო ქართველთაო! მოწიწებით გეანბორებით. (ამას რომ გაათავებენ, დედოფალი გურანდუბტ ცალ მუხლზეა დაჩოქებული მცხეთის ეკლესიისაკენ).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — შენ სვეტიცხოველის კვართო! საუფლო ეკლესიაო. ვახტანგ გორგასლანის აშენებულო ცხეთოსის კუნძულზე; მკვიდრ სვეტზე დადგენილო, დიდებო ჩვენი! სვეტო სიმაგრეო, კარებო ივერიისაო. რა ხელმან პირველად მოგვითხრა ქრისტიანობა, — ქრისტიანობა გლოვის ტირილით... შენ ტირილო, გულ-ამოჯდომილო კეთილო, შენ შეუზავე მადლი ზეცისა ქვეყანასა ჩვენსა; შენ ლმობიერ ესალბუნე ჩვენსა მიწას, ბედნიერების აღმოსაცენად, რომელსაც მოვკრეფდეთ ჩვენსა კონად, ჩვენსა გულში ჩასაკონად... (ხელს განაპყრობს და თან ატარდება. მასუკან აქედან მამულის მოწამებთან; ცალს მუხლზედ დაჩოქებული). თავით თქვენით მირთმეულნო დიდსულოვნად, ძღვენნო მამულისანო! შენ სერაფიმი! დასდე თავი ჩვენის ხსნისათვის და მოიკალ მტარვალთაგან. არა იყო შენს გონებას აღმატება შენი, არა უუპატივეცემულება. არა მოქალაქეობის ბრწყინვალეობა და არა რაი სოფლის დიდება, თვინიერ მამული შენი და თავისუფლება ჩვენი. ყმაწვილობითვე იყავ ამაში და ამაში დაასრულე შენი სიცოცხლე. შენ განდგეილო კაცო კლდისაო, შენ დაღადებას როგორ დაუტევდა უფალი. შენსა ღვარსა ცრემლსა ვინ შესწყვეტდა, თუ არ თავისუფლება ჩვენი. უსულო კაცო ახლა სიცოცხლე შენი და ამ ოთხის ღვთის შვილის ქალისა, რა გულ-მდიდრად მოგვართვი ჩვენ... თქვენ იყავით დაბადებული ტანჯვისათვის, დატანჯული ჩვენის თავისუფლებისათვის, საუკუნოდ დაუვიწყარნო ჩვენნო!

(ამის შემდეგ მძიმედ თავიანთ სცემენ მოწამეთა, აქედან რომ უნდა წამოვიდეს, ამ დროს დედოფალი უეცრად დაიკვირებს).

გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ — ახ! ჩემო სიცოცხლეო მეფეო დავით! (და განუქანება ხელგანაპყრობით. იქიდანაც მეფე ეგრეთვე და ერთმანეთს გადაეხვევიან ტრუიალებით).

დავით მეფე — ჩემო გურანდუხტ!

დედოფალი — ჩემო დავით!

მეფე — კიდეც დამარცხდნენ ბარბაროსი თურქები.

(ამ სიტყვაზე ღედოფალი დაეშობა, შემდეგ ხელგანწყობით დაჩოქილი).

დედოფალი — შენ შეიწირე ჩემი ესე მადლობა ღმერთო!

(ამასთან აღება და შერე მეფე).

მეფე — დიახ საჩქაროდ გამოვეშურე, ჩეენის მამულის მოწამეთა ღლეობაში და არც შენ გეწყინება ჩემი უეცრად მოსვლა.

დედოფალი — ოღონდაც რომ მართალია, როგორც მიაძებოდა შენი მოსვლა! აბა ახლა თქვენი ანბივი მიაძებე, ჩემო ხელმწიფეო!

მეფე — წაიქცა თურქების ძალა და განიბნივნენ, როგორათაც ჭილყავები. ჩვენ ქართველები აღარ გვაომეს კავკაზიელებმა; ორასი ათასი შეიქრა. რომ გენახა საშინელი გრგვინვა იყო, საზარელი სახე! კაცი მივუგზავნეთ კავკაზიელებს, ვთხოვეთ: მოგეხმარებითო ქართველებში. მავრამ არა ქნეს. ახლა ჩვენი დროა მამულის ომიო. კავკაზიელების მნედართმთავარნი, ის ოთხი ყმაწვილი კაცი: მანზა, არდიშ, დავლე და სავარ. გადაეწატნენ ვაჟკაცობით ვაჟკაცობას! აქ ლიპარიდმა და ლიპარიდის მეგობარმა აბესალომ ველარ მოითმინეს უომრობა და დაერივნენ მტრის გუნდებში, ის ყმაწვილი კაცები ერთმანეთს შეხვდნენ: მანზა, არდიშ, დავლე, სავარ, აბესალომ და ლიპარიდ. უთხრეს ერთმანეთსა: დღეა გასაშტერებელი, დღეა ვაჟკაცობისა და დღეა გამარჯვებისაო. ამასთან დაერივნენ ის ექვსნი; ამათ მთელი ჯარი მიჰყვა ერთ-პირად და მამინვე მოშალეს გამაგრებული თურქები ერთის მაგარის ადგილიდან. წაიყარეს წინა და სხვადასხვა ფერ ყვავილებსავით გაიფინენ მინდორზედა გაქცეული თურქები. აბა ვილა დააყენებდა იმათ ჯარსა, მზე კიდეც მალა იყო ხუთი შუბის სიმაღლეზედ, რომ იმათი ჯარისკაცი. ელარსად ველარ ვნახეთ, ასე დაიფანტნენ და დამარცხდნენ. ის ექვსი გამარჯვებული ყმაწვილი კაცი, ომიდგან გამობრუნებული მოვიდნენ და გამარჯვება მომილოცეს. კარგი ჟამის წელიწადები იმათ სახეს ელიმებოდა, ამის მეტი ჯილდო მე იმათთვის არა მაქვს რა. ეს მშვენიერი ჩვენი ქალები, იმათ მივართვი საცოლედ მაშინვე, როდესაც რომ მიდიოდნენ ჯარათ თურქებზედა. ასეც ვუთხარი მე იმ გამარჯვებულ ყმაწვილ-კაცებსა და თავმოწონებულებსა სამართლად. ამ ამბავში ქალაქის ანის კარები გაგვიღეს ჩვენთა ძმათა სომხებმა და დიდის დღესასწაულით შეგვიყვანეს, რომ იმათი აღტაცებული ხმა ზეცამდისინ სწეუებოდა! იქ რაც საჭირო იყო გავარიგე, მასუკან დაეწინაურდი და აქ გაზღავარ თქვენ წინაშე მოსრული. დანარჩენი ლიპარიდისათვის დამინებებია, ის გიახლება მეგობრებით და ის მოგიტანს უფრო კარგ ამბავს.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი — გაქვთ გამარჯვება უზომო და მილოცვა გეკადრებათ საკადრისი თქვენი.

მ ე ფ ე — უცხო დროს მოვედი დედოფალო, ახლა იქ ვიახლოთ, იმათ პატივი ვცეთ. იმ სანატრელებს. (აქედან შივა და თაყვანსა სცემს მოწინებით. ამასთან ერთობლივ მივლენ და მამულის მოწაშეთა თაყვანსა სცემენ: მოაჩირხედ მვალობები იტყვიან ამას). შენ გაქვთ, ღმერთო! შენ შეგწირავ მადლობასა!

(გალობს დასრულებასთან შუა ადგილს მობრძანდება დავით მეფე და მოაჩირხედ-დაც მვალობები დაჩუმიდებიან, ამასთან ქალებთან შივა და ალერსით ეტყვის):

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე — ჩემო საყვარელნო დების მსგავსნო, მოდით გულზედ შემემთხვიევენით (მივლენ და შემთხვიევიან).

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე — კარგო ქალებო! თქვენ საქმართა დიდი დაუვიწყარი ვალი დასდეს მშობელს ქვეყანას! ჯილდო ამის მეტი არა მაქვსრა იმათთვის, რომ მშვენიერს ჩვენს ქალებს მიგართმევთ, ჩემს შვილობილებს და ჩემს ხელით დაგადგამთ გვირგვინს შეუღლებისას.

(ესი- თავს ჩაჰკიდებენ, მეფე ხელს დაუპირს იმათ, მიიყვანს, თვითონ მეფის საჯდომზე დაადება. გუარანდუხტ ეგრეთცა. მარკვენას მხარეს ქალებს მოიყენებს მწკრივად და სხვა ქალებს ზოგს კიდევ აქედან, ზოგსა იქით მარცხენას მხარეს, დაუღებან მწკრივად. კაცებიც აგრეთვე გაყოფილიან და ამ წესით დაუგებიან. უნდა ბძანოს რამე, ამ დროს ორი კაცი შემოვლენ მდიდრად ჩაცმულები, წადგებან, მეფეს მამედ დაუკრავენ თავსა და ერთი მათგანი მოახსენებს):

უ ც ხ ო კ ა ც ი — ჩვენ, ხელმწიფეო, ჩვენ ინდოეთის სომხები განლავართ. ინდოეთამდისინ მოაწია თქვენი ამბავი; მაშინვე შევიყარენით ინდოეთის სომხები, ჯერ ღმერთს მადლობა შევწირეთ ჩვენი ძმების, თქვენი განთავისუფლებისა თურქებისაგან, მასუჟან რამდენიმე ამოგვარჩიეს და თქვენ წინაშე გამოგვაგზავნეს საჩქაროთ. აქ მახლობლად რომ მოვედით, შევიტყეთ თქვენი აქ ბრძანება; ჩვენმა უფროსმა გაახლათ ჩვენი თავი და პირათ გვითხრა: „საჩქაროთ იახელით, ჩვენს მეფეს დავითს ჩვენი მოსვლა მოახსენეთო“.

(აქ დღე სიხარული წეიქმნება და მეფე დაიძახებს):

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე — დიახ, უცხო ამბავი გავიგონეთ და უცხო დროსაც მოხვედით. მითხარით თქვენს უფროსს რა ჰქვიან?

ი ნ დ ო ე ლ ი ს ო მ ე ხ ი — ოჰანეზა ჰქვიან, ჩვენო ხელმწიფეო. დავით მეფე თუ გიყვარდეთ გაეგებენით და პატივით შემოიყვანეთ (გაეგებებიან და პატივით შემოიყვანეთ დიდად მდიდრად მორთული. თან თავისი ამხანაგები მოსდევნენ. ამ დროს მოაჩირიდანვე გალობას წარმოსთქმენ) მოგვეგებებით მხიარულნი მამულისა ძმებსა. (აქ მეფე წამოდგება და შუა სახლში მიეგებება, ზევით მოაჩირხედაც გალობის ხმა გაწყდება).

(მეფე შივა, ოჰანეზას გადაეხვევა ამ სიტყვით):

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე — პატივცემულო ოჰანეზ, ეს ჩემი კოცნა მარტო თქვენ ინდოეთის სომხებს არ გეკუთვნისთ, სადაც კი სომხები იყვნენ,

ომათვისაც მითავაზებოა და ეს კოცნა იყოს ნიშანი ჩვენი ერთობისა, რადგან ერთი მამის შვილები ვართ და ერთი სისხლისანი (ამასთან გამოზრუნდება და თავის ტახტზე დაბრძანდება, ოპანეზაც მოეა, მეფის წინაშე დაიჩოქებს და მოახსენებს):

ოპანეზა — ჩვენო ხელმწიფეო დავით! ინდოეთის სომხებმა დიდი დღესასწაული გადავიხადეთ თქვენი განთავისუფლებისა, რომელთაც ერთობ მოგილოცესთ აღტყინებულის გულით. ნიშანი თქვენის თავისუფლებისა, ეს საკვირველი ბრწყინვალე და ძვირფასი თვალი მოგართვეს ბატის კვერცხის ტოლა (მერე წამოდგება, ოპანეზაც კოლოფიდან ამოიღებს და გაფრთხილებით მიართმევს, მეფეც გაშინჯავს შემდეგ).

მეფე — პირითა ჩემითა დიდათ გამადლობენ კავკასიის მთების და ჩვენი ბარის ერნი, შავი ზღვიდამ კასპამდისინ, მაგ ჩვენი თავისუფლების ნიშნისა და მოლოცვისათვის. ეგ თვალი ჩვენ თარგამოსიელთ ერთობის ნიშნათ იყოს საუკუნოდ.

(ამასთან მომცროს სტოლს შემოიტანენ, თეატრის პირთან დასდგამენ და იმ ფაღს ზედ დასდებს მეფე სტოლის ნაპარზე, რომელსაც ყველანი ხედავენ თეატრულად. მეფე დაბრუნდება ოპანეზასთანავე, მხიარულის მოლოცვით).

მეფე დავით — გულმღიღრად მოხედედი ოპანეზ, კეთილის გულით მოგილოცე ტკბილი თავისუფლება, რომელნიცა არც ჩვენ დავრჩებით გადუბდელი: ჩვენც მოგილოცავს ანის ქალაქის გამოხსნა და უნამეტნავესი ნაწილი სომხეთისა. ანის სომხები დიდის ყოფით შეგვიძღვნენ ქალაქს და სადაც ბებიაჩემი, სომხების დედოფალი, ცოლი ღალაქის მეფისა მარხია ეკლესიაში, ის საფლავს უანბორე ამ სიტყვით: გიხაროდენ დედოფალო, ეკლესია შენი გამოხსნა მტერთა ხელთაგან. იმ დროს შეირყა საფლავი დედოფლისა და მოისმა ხმა: მადლობა უფალსო. ჩვენც იმისი მახარობელი ვართ, პატივცემულო ოპანეზ!

(ოპანეზა დამხობა დედაშიწაზე, შემდგომ ორის მუხლით დაიჩოქებუი ხელ განაწრობით).

ოპანეზა — დაუსრულებელი საკვირველებო! ეს კაცი დავით, შენგნით მოვლენილი ქვეყანაზე, მისთვის მოგვეცე ქეშმარიტად, რომ ჩვენ თარგამოსიელნი შეგვაერთოს ერთს სახედ და ერთს თარგამოსიელად! ვინც ამის აზრს გადავიდეს, შენი დამძიმებული რისხვა დაეცეს იმას!

(ზევით მოაჩირიდან გალობით)

მგალობელნი — შენი დამძიმებული რისხვა დაეცეს იმას, ღმერთო!

(შემდგომ მეფე დავითი და დედოფალი სამეფოს ტახტზე დაბრძანდებიან, ამ დროს, სამი ჯაფშნიანი ზოსტრამეორტყმულნი და მუზარად დახურვილნი შემოვლენ; მეფის წინაშე წარსდგებიან და თაყვანს სცემენ ამ სიტყვით):

ერთი ამათგან — მახარობელნი ვახლავართ, ჩვენო ხელმწიფეო დავით! ლიპარიდ გიახლათ ერთობ ამხანაგებით! (ამ სიტყვებზედ ეღვენეს

და იმის ამხანაგთ ქალებს გული აუჩქარდებათ, სისხლი ძვარებას დაუწყებთ; ველარ შესძლებენ იქ დგომას და ბარბაქით, რა ყოფით გავლენ ამ შეყრილობიდან გულის მოსაბრუნებლად. აქ მეფე ღეღამიწაზე დაემხო, მასუკან წაპოჩოქებს და ხელ გაპყრობით ამას იტყვიან ზეცისადმი).

და ვ ი თ მ ე ფ ე — შენი განგების მოწყალებაა, ზეცაო ჩვენი თავისუფლება! (ამ სიტყვასთან მოაჩირღვან ქალნი და კაცნი, ამ სიტყვით წარსტუმენ მშვენიერის ვალობით. ვალობას რომ დაასრულებენ, მეფე ზეზე დადგება. შერამე შეიქმნება სისხარული და ძახილი).

ე რ თ ო ბ გიხაროდენ ჩვენო თავისუფლებაო! ჩვენო თავისუფლების განცხრომაო! გიხაროდენ! გიხაროდენ!... (ამ ძახილით მიდიან მისაგებულად თან კვალად იძახიან): „მშვიდობა შენი მოსვლა, ლიპარიდ, — მშვიდობა ერთობ თქვენი მოსვლით, ძმებო ჩვენო! (ლიპარიდ, იმის ამხანაგნი შემოსავალში დახვდებიან და შემოსძახებენ). მოგვირთმევეია თავისუფლება! მოგვირთმევეია თავისუფლების გამოსხნა! მოგვირთმევეია ერთობ თარგამოსიელნო, თავისუფლება თავის ბედნიერებითურთ! (ამასთან შემოვლენ. შუა ადგილას დადგებიან, ლიპარიდს ოქროს სინი უქირაშს ორის ხელით, ზედ პორტრეტი სდგას უცხო მხატვრობით დახატული, მიიტანს მეფის წინაშე, დაიჩოქებს ამ სინით; მხატვრობას მიართმევს და თან გაახსენებს):

ლი პ ა რ ი დ — აჰა, ჩვენო ხელმწიფეო თარგამოსიელთაო! თქვენს ერთგულს და მამულის ძლიერთ მოყვარეთ ერთობ თარგამოსიელთა, მოგვირთმევეია თურქების ჭაჭვისაგან გამოსხნილი თარგამოსის ქვეყანა და ჩვენი სრული თავისუფლება!

(მეფე გამოართმევს იმ სინს ამ სიტყვით)

და ვ ი თ მ ე ფ ე — ჩამომირთმევეია და ჩემს გულსა ზედა მომიწვევია სრულის გულით, ღვთის მადლობით შეწირვით თავისუფლება ესე ჩვენ თარგამოსიელთა! (ამასთან გულზე მიიკრავს, მასუკან ემთხვევა. შერე მიიტანს და პრწყინვალეს თვალს აქედგან დასდგამს სტოლზე. ამ პატრეტს შეხედვენ, ნახვენ, რომ საშინელს ზღვაში ხომალდი დაღუპული და ზედ ქალნი და კაცნი სხედან მწარედ შეწუხებულნი და ზოგნი მტრალნი, სხვადასხვა სახედ, რომლისათვისაც უტაცია ხელი განგებასა ზეციდანა, დაღუპული ხომალდი გამოაქვს საშინელის ზღვიდან, ქვემოთ, ანუ ზემოთ დიდრონის თუთრი ასობით სწვრია ესრეთ: მიელოცოს თარგამოსიელთა თავისუფლება!..... პატრეტს რომ დასდგამს მეფე გამობრუნდება. ლიპარიდს გადაეხვევა, ლიპარიდიც დაიჩოქებს და მეფეც გულზე მიიკრავს სიყვარულით).

მ ე ფ ე — ჩემო ლიპარიდ! ერთობ თქვენს! ასეთი ვალი დასდეთ თქვენს მშობელს ქვეყანას, რომ საუკუნოდ თქვენი სახელი იხსენება.

(ლიპარიდ, რომ მუხლზე ადგება, მასუკან აბესალომს მიიხმობს, აბესალომეც იმის წინაშე დაიჩოქებს და მეფე გადახვევით ეტყვის):

მ ე ფ ე — შენც ჩემო აბესალომ! დიდი პატივისცემის ღირსი ხარ დაუვიწყარი. ვითარცა ლიპარიდი! (აქ ლიპარიდ ოთხს ყმაწვილ კაცს მიიყვანს მეფისთან, კავკაზიელ მხედართმთავართ).

ლიპარიდ — ესენიც თქვენი გახლავან, ჩემო ხელმწიფეო!

მეფე — ჩემგნით დანიშნულნი, ჩვენს ოთხს ქალებზე საქმროდ, კავ-
კახიელთ მხედართმთავარნი!

ესენიც მეფის წინაშე დაიხოკებენ და მეფეც გადახვევით ეტყვიან)

მეფე — მოდიტ ჩემო შვილნო, კავკახიელნო! მოდიტ ჩემნო მეგო-
ბარნო! მოდიტ, ჩემს გულს მოეყრდენით მკვიდრად! მოდიტ ჩემს გულ-
თან, რომელიცა სავსეა თქვენის სიყვარულით.

(მასთან ამთნი ჯარისკაცი მშვენიერად ჩაცმულნი, მუზარად დახურვილნი, ჯა-
კნფრობიანი და ზოსტომორტყმულნი შორიდგან თაყვანს სცემენ მეფესა).

მეფე — არა მხოლოდ მე, არამედ ერთობ თარგამოსიელნი გმადლო-
ბენ თქვენ, ქეშმარიტსა ძეთა თარგამოსიელთა (მასუკან მობრძანდება და
ლიპარიდს ეტყვის). ლიპარიდ, აბა ახლა დედოფალს და ამ პატიოსანს გვაშ-
თა ჩვენი ამბავი მოახსენე.

ლიპარიდ — დიდებულო დედოფალო თარგამოსიელთაო! შეწვე-
ნითა მღვთისათა თურქების დამკვიდრებული მფლობელობა შეიმუხრა
ჩვენსა ზედა საუკუნოდ. იმათი უსვინდისო პირი მიიქცა იმათ ქვეყანა-
სავე. მხოლოდ ახლა ჩვენი კეთილმდგომარეობისა და თანხმობის „რკუ-
ლი“ დავსდვით, რომელსაცა დავმორჩილდეთ და იმის ბრძანებას თავსა
შევწირავდეთ. ერთობ თარგამოსიელნი ამის მეტი აღარა გვაკლია რა,
ჩვენო დედოფალო და პატივცემულნო გვამნო, რომლისგანაც ყოვ-
ლისფრით გაბედნიერდებით და გაძლიერებული ვიქნებით მარადის!

ერთპირად — რჯულსა დავმორჩილდეთ! — თავისუფლება აღღე-
გრძელოს! (ამასთან შემოსავალში დაიძახებს სამი ხმა ბოხის ხმით და ნელა):
ჩვენ კათალიკოზი, სომხების პატრიარხი და ჩვენ მაჰმადიანი პირველი
ახუნდი. თარგამოსიელნი დავით მეფე! არც ჩვენი სასულიერო დავრჩე-
ბით უმონაწილედ ჩვენ თარგამოსიელთ თავისუფლების დღესასწაულ-
ში! — შევწირავთ ოსანნი მალალთა შინა ღმერთსა!

დავით მეფე — სასულიერო თავნო! მობრძანდით, სასულიერო
თავნო! თქვენი ხელი-ხელს მოკიდება უფრო ძლიერი ნიშანია ჩვენ
თარგამოსიელთ ერთობისა! (მთვა შუა ადგილას, იმათ წინაშე დაიხოკებს, მუზა-
რადსა მოიხდის და იტყვის):

მეფე — ჩვენო სასულიერნო მამანო! გვედრებით ერთობ თარ-
გამოსიელნი გვაკურთხოთ თქვენის წმინდის ლოცვით!

(სამნი ხელს თავზე დაადებენ ამ სიტყვით).

სამნი სასულერიონი — ყოვლად დამბადებელო ღმერთო!
შენი საფარველი ხელი დავსდევ თარგამოსიელთა და ამ ჩვენს მეფე
დავითსა: ჩვენი ერთობისა, — ჩვენ თარგამოსიელთა! (ამ სიტყვასთან
გამოტრიალდებიან ამ სიტყვით): ახლა ნება მოგვეცი ჩვენო ხელმწიფეო,
მივიდეთ, მამულისა მოწამეთა თაყვანი ვცეთ! (მივლენ და თაყვანს სცემენ
მამულის მოწამეთა. აქ მოაჩირიდგან გალობას აუშვებენ). კურთხევა არს ერთობა

თარგამოსველთა! (ამასობაში სამს სასულიერო საჯდომს საეარძლებს მოიტანენ და დავით მეფის საეარძელთან დასდგამენ მარჯვნივ. ეს სასულიერო დაბრუნდებიან და ზედ დასხდებიან. ამასთან თორმეტი ეპისკოპოსი შემოვლენ დიდის პატროსნებით, რომელთაც სამ ეპისკოპოსს ოქროს სინზე მდიდარს გვირგვინს შემოცანენ; ქართლის კათალიკოსს და სომხების პატრიარხს მორათმევენ. ესენიც აიღებენ და დავით მეფისაკენ წამოვლენ. მეფე დავით ამათ წინაშე დაიჩოქებს ცალ მეხლზე. ეს რომ დაიჩოქებს, ახუნდიც ორის მეხლით დაიჩოქებს და ორსავე ხელეხსა განაპყრობს, ერთს დაბლა და მეორეს მაღლა ზეცის შემქვერტელი. პატრიარხები მოიტანენ და მეფეს გვირგვინს დაადგამენ თავზე).

პ ა ტ რ ი ა რ ხ ე ბ ი — ჩვენო თარგამოსიელთ ღირსასხოვარო მეფეო უდიდებულესო! დავით აღმაშენებლად წოდებულხარ და იწოდებოდე ქვეყნის დასრულებამდე, ასე!

ე რ თ ბ ი რ ა დ — დავით აღმაშენებლად! ქვემარტად აღმაშენებლად.

ა ხ ლ ა მ ო ა ჯ ი რ ი დ ა ნ მ გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი გ ა ლ ო ბ ი თ — იყავ აღმაშენებლად და იდიდებოდე აღმაშენებლად უკუნითი უკუნი-სამდე!

(ამ ამბავში დედოფალი დამხობილია და როდესაც მგალობლები გაათავებენ. წამოიჩოქებს).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — განთიადისა ცისკრის რიყრაყო! იგულისხმე ჩემი ეს შეწირული მსხვერპლი, — მადლობა, ჩემის კარგის დავითისათვის ღვთისა მიმართ! შენ მთავარო, წინამორბედო სულთა მართალთაო, ეს ჩემი შეწირულება, ჩემის დავითის საბედნიეროდ, აღუშენე საყდარი დიდებისა ზეცას! ჩვენ თარგამოსიელების ასამაღლებლად! (ახლა გალობით).

მ გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი — ჩვენო ნუგეშო, იყავ აგრე კეთილ მრავალ-ყამი... ვითარცა ყოფილხარ, მარად დედოფალო!

(მეფე მხარზე ხელს დაადებს და ასწევს).

მ ე ფ ე — დედოფალო, დედოფალო! გეყო, დადგე ფეხზე; მე ვარ შენი კვარცხლბეკი, შენი მონა შენი სიყვარულისა! სასურველო ჩემო!

(და გადაეხვევიან სურვილით. ამ დროს მეფის მოძღვარი არსენ იყალთოელი შემოვა. ოლარჩამოგდებული, ერთი დიდი ჭვარი, ორი ხელით ძლივს მოაქვს და შემოსძახებს მეტის კმაყოფილებით).

ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი — აღმაშენებელო დავით, ამ ჭვარცმულის მადლმა ქრისტემ გაკურთხოს, რომ მაგისტანა კარგი დაგბადა ღმერთმა ჩვენთვის!

(აღმაშენებელი თაყვანა სცემს ჭვარსა).

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — მოგმართავ ჭვარო პატროსანო და შენ წინაშე დავემხობი პირ-მიწა გაერთებით, ჩვენის გამოხსნის მადლობისათვის. (ამ დროს შემოვლენ ფილოსოფოსი იოსებ, თეოფილე, ივანე ტაიქისძე, ეფრემ მცირე და პეტრიწი ქირკიმელი, ამათ ყოველთ თვითო დიდი წიგნი უჭირამო პარაკლი-

ტონის ტოლა, რომელთაც მიუძღვის წინ ფილოსოფოსი იოსებ. მოვლენ და მეფე. წინაშე მწკრივდ დადგებიან).

ჯ ე რ ი ო ს ე ბ ი — ჩვენი დავიწყებული ფილოსოფია, თურქებისაგან განდევნილი, ჩვენს ქვეყანაზე კიდევ გამოვიდა, ხოლო სულ შენგნით აღმაშენებლო დავით!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — არა ჩემით, ჩვენი უღრმესი მსწავლულის ფილოსოფოსის იოსებით!

თ ე ო ფ ი ლ ე — თურქებისაგან დაცემული ქართველების, ქართველთ სიტყვიერება აღყვავდა და უმაღლესსა ხარისხსა აღვიდა, აღმაშენებლო, შენგნით!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — სრულის მეცნიერის და უნაკლულოს ქართულის მცოდნეს თეოფილესაგან იქმნა ესე.

ი ვ ა ნ ე ტ ა ი ჭ ი ს ძ ე — დავით აღმაშენებლო! თურქებისაგან წამხდარსა ქვეყანასა ჩვენსა კვალად ზნეობა დაუწმინდე, ძირითურთ ამოთხრილსა სამართალსა ჩვენსა, სწორე სამართალი მიეცი, რჯული დავიმკვიდრეთ და კეთილმოსვენებით ვიცხოვრებთ უმანკოებით.

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — ვინ არ გაქოს, ანუ არა განგადიდოს ივანე ტაიჭის ძე. ყოველი ესე კეთილი ნაყოფიერი შენ მიერ დაითესა და ჩვენ კი ვიგემეთ.

ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე — ჩვენი წერილები და წიგნები გაპატროსდნენ მეტისმეტად! სასწავლებელში სწავლა, მეცნიერება და სიბრძნე შეიშკო, რომელითაც განათლდა და გაბრწყინდა ქვეყანა ჩვენი! შენგნით აღმაშენებლო!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — შეგასხამ ქებას სახელითა ეფრემ მცირესა, გარნა საქმით წარჩინებულსა კაცსა. ყოველი ესე შენი არს და შენ გეკუთვნის მართლა.

ბ ო ლ ო ს პ ე ტ რ ი წ ი ჭ ი რ ჭ ი მ ე ლ ი — შენგნით აღმაშენებლო დიდო! უცხო ქვეყნის კარგნი და უდიდესნი სასარგებლო წიგნები მჭიდროდ გამრავლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ენაზედ. ასეთის ქართული ენით ვკითხულობთ და ველარ ვძლებთ სიამოვნით.

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — შენ გეტყვი მადლობასა პეტრიწ, შენ დაგვაგვალე და არა მე, რომელთა დაუფიწყარი იქნება ჩვენში საუკუნოდ. (ამის შემდეგ შემოვლენ ნინია კახაბერიძე, აბულელი, კლდეკარელი თევდორე, ქათარ არიშანი და ბარამ. კახაბერიძეს ვერცხლის სინი უჭირავს. ზედ აწყვია ზოსტერი, ჭავჭავანი, მუხარადი, ხმალი და ყოველი საკურველი. მოვლენ და ესენიც მწკრივით დადგებიან).

ნ ი ნ ი ა კ ა ხ ა ბ ე რ ი ძ ე — ჩვენი მხედრების წინამორბედო დიდო აღმაშენებლო დავით! ეს ჩვენი საკურვლები, თურქებისაგან გათხრილის საფლავის პირზე ეყარა. თუ შენ არ გამოსულიყავ ქვეყანაზე, ესე ჩვენი საკურველი იმათ გათხრილის საფლავში დაიმარხებოდა და ქარ-

თველის სახსენებელი გაწყდებოდა ქვეყანაზედ. გამოიხსენ ქვეყანა!
განადიდე მამული! და ვილასი გვეშინიან ახლა!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — აგრე ნუ მოგწონთ თავი ჩემით ძველნო მხე-
დართმთავარნო ჩვენო! თქვენი იყო ყოველი, თორემ ჩემით რაი? უფ-
რო სწორეთა ვსთქვათ: ღეთისაგან! (ამ დროს ნახვევნი რომ სოფლის გლუხე-
ზი, მხენელ-შთესველნი მოდიან, ყველას თითო ხორბლით სავსე ხონჩები უქირავეთ
ორის ხელით, ამათ მოსდევენ საქართველოს მეშვარეები, რომელთაცა კუნწულა და
კუნწულა გაფოთვლილი ვაზები მოაქვთ, მტენებდაკიდებულის ყურძნებით და აღ-
მაშენებელს შემოსძახებენ).

ჯ ე რ მ ხ ვ ნ ე ლ მ თ ე ს ვ ე ლ ნ ი — ჩვენო აღმაშენებლო დავით!
თურქებისაგან ჩვენს გაოხრებულს, ასი წლის გაყიმირზებულს მამულზე,
აი, როგორ აღორძინებული თავთუხი პური მოგვდის ახლა, რომელი-
თაცა უნაკლონი ვართ ყველანი, ყოვლისფერით და რომელნიცა დღე-
გრძელობასა შენსა ვნატრულობთ, საქართველოს დედაკაცნი და კაცნი;
ხელაღპყრობით სულ ერთიან (აღარ დასცალდება სიტყვის თქმა).

მ ე მ შ ვ რ ე ნ ი — აბა ვინ არ ვინატროთ შენი დღეგრძელობა? ამ
ვაზების ადგილას, დიდრონი აშლილი ტყეები იდგა თურქებისაგან გაოხ-
რებულს ჩვენს მამაპაპის მამულზე, დათვებით სავსე ახლა გაფურჩენი-
ლი წალკოტები გვიხარბიან, ლამაზის დამატკბუნებელის ხეხილებით.
ხეხილების ხილით ვიტკბარუნებთ პირსა და ამ ვაზების საუცხოვოს წი-
თელის ღვინოებით შენს სადღეგრძელოსა ვსვამთ კაცნი და დედაკაცნი
სულ ერთიან. ყოველი ეს, სულ შენი მოწყალეაა დავით აღმაშენე-
ბლო!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — არა, არა ჩემი ღეთის მოწყალეაა! იმას შეე-
წიროთ მადლობა. (და პირ შიწა დაემხოზა დედაშიწაზედ. ზევით მოაჩირიდგან).

მ გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი — იცოცხლე და იდღეგრძელე ჩვენთვის. ამასა
ვთხოვთ მარად ღმერთსა აღმაშენებლო! (ამ ამბავში მოვა მეფე და ბრძა-
ნებს).

მ ე ფ ე — ყველამ კარგათ ვიცოდეთ, დღეს ჩვენი დაკავშირების დღეა,
ამისათვის ნახევარი აქეთ მხარეს დადექით და ნახევარი იქით. და-
კავშირება ჩვენი ესე: მრავალყამიერ... (მოაჩირიდგან ქალთა და კაცთა შშვე-
ნიერის გალობით წარმოსთქვებს). მრავალყამიერ (ამას, რომ მორჩებიან, მეფე და
დედოფალი სამეუფოს საჯღომზე დაბრძანდებიან).

მ ე ფ ე — და თქვენ, სასულიერო მამანო, გთხოვთ ინებოთ, აქ ჩემს
ვეკრდით დაბრძანება!

(მივლენ მარჯვენას მხარეს, აქეთ-იქით პატრიარხები დასხდებიან და შუაში
ახუნდს დაისმენ. ამასთანავე ოქროს სინზე დაწყობილსა, წვრილს, წითელს, გრძელს
ზონარს მოართმევენ, რომელსაც ორსავე აიღებს).

მ ე ფ ე — გთხოვთ, ერთი ზონარი ერთი მხრისამ მიიღოთ, მეორე მეო-

რე მხრისამ (და ორსავ მხარეს მისცემს, ისინიც გაშლიან და თვითო წვერსვე მეფეს მისცემენ).

მე ფ ე — აი, ასე ვიყავით ჩვენ გაყოფილი, როგორც ეს ზონარები; ახლა ღეთის განგებით, ასე შევერთდით ერთობ თარგამოსიელნი, როგორც ამ ზონარების წვერები შეიკვრიან ახლა. (და თორმეტ რიგათ გამოანასკვამს. მეფე აქეთ-იქით გაშლით დაიჭერენ ამ გაერთიანებულს ზონარს. მეფეც მარჯვენა მხარეზე გადიოლებს უკან და მარცხენა მკლავ ქვეშ გამოიოლებს და ბრძანებს):

მე ფ ე — ასე მაგრად და მკვიდრად შეიკრას ერთობა ჩვენი, როგორც ეს ზონარები გამოიკრა დიდო და გამოუთქმელო საკურველო ღმერთო! შენის განგებით, შენის ძლიერებით, დავიმკვიდრეთ სახელმწიფო ჩვენი, დიდი ჩვენის თარგამოზის კავკასიის ერისა! იყოს ერთი კავკასია და ერთიც კავკასიის ერი საუკუნოდ.

ე რ თ ბ ი რ ა დ — იყო კავკასია და კიდევაც იყოს კავკასია, ერთ სამეფოდ! (ამას უკან მგალობლები წარმოსთქმენ ამას გალობით).

კ ვ ა ლ ა დ მე ფ ე — ვინც ამას იქით ჩვენი კავშირი დაარღვიოს, წყეულიმც იყოს...

ე რ თ ბ ი რ ა დ — წყეულიმც იყოს! — წყეულ! (იქ ზევით მოაჩირღვან ზარის გალობით წარმოსთქმენ): წყეულიმც იყოს!....

კ ვ ა ლ ა დ მე ფ ე — ახლა ეს შეკრული ზონარი წაიღევით სალაროში შესანახად. (საჩქაროდ მოვლენ, სინზედ დასდებენ შეკრულ ზონარსა და საჩქაროდ წაიღებენ. ამ დროს შემოსავალში ერთი დასი ყმაწვილები შემოცვივდებიან, თერთათ ჩაცმულნი, ათის წლიდგან თორმეტს წლამდისინ; კალთაში უყრიათ სხვადასხვაფერი ყვავილები და ამას იძახიან):

ვ ა ე ბ ე ს ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — წმინდა უმანკო თავისუფლება ჩვენი მოგვილოცავს დიდო კავკაზიავ! (მოვლენ და ყველას ყვავილებს გადააყრან ეგრეთვე ძახილით): ჩვენო გამომხსნელო! რა კარგი ამბავი მოგვიტანეთ! რა კარგი!

(ამასთან გამოტრიალდებიან და მეფეს გადააყრან ყვავილებს ამ სიტყვით):

ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — აღმაშენებელო დავით, ჩვენო მამაო! გადღეგრძელოს ჩვენთვის! გადღეგრძელოს!

მე ფ ე — მოდით ჩემო შვილებო! მოდით ჩემო საყვარელნო — განა თქვენც გიყვარს თქვენი მამული, როგორც ჩვენ დიდრონებს?

ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — ძალიან! — ძალიან გიყვარს ჩვენი მამული, ჩვენო მამაო დავით აღმაშენებელო! (ამ სიტყვებზე ერთს ყმაწვილს აიყვანს და გულში ჩაიკრამს, მას უკან იტყვის):

მე ფ ე — ჩემო საყვარელნო შვილნო! ახლა წადით, მამულის მოწამეთა თავყვანი ეცით (წავლენ მამულის წმინდა მოწამებთან).

ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — მამულის მოწამენო! ოჰ, რა რიგად გვიხარია ჩვენ თავისუფლება ყმაწვილებს! (იმათაც ყვავილებს გადაუყრან და თან ჰკოცნიან, ამასთანავე საღღესასწაულოს მრავალეამიერ წარმოსთქვამენ ზევით მოაჩირღვან).

ზეცაო დაინახე ჩვენი დღეობა დღეს. (ამას რო გაათაყებენ, ჩვენი კათალიკო-
ზი წამოდგება და ამას იტყვის):

კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი — დიღო კავკაზიელნო! გულ-მტკივნეულად გე-
ვედრებით სულიერი მამა თქვენი; ერთნი იყვენთ და ერთმანეთი გიყ-
ვარდეთ გულით. ამაზე უკეთესი მე რაღა უნდა გითხრათ თქვენ კავ-
კაზიელნო! რასაც გეუბნებით საქმითაც შეუღდექით ამას. ნუ მივხედავთ
ჩვენს სხვადასხვა საჩუმუნოებასა, ერთი მამის შვილები ვართ და ერ-
თი სისხლი გვიცემს ძარღვეში. შევეთვისდეთ და გავერთდეთ ვითარცა
შედუღებულნი რკინანი მაგარნი! — დაიჭერეთ ჩემი ესე სიტყვა, თორემ
კიდევ წარგვიტაცებენ უცხო თესლნი და მაშინ საგლოველი გაგვიხდება
თავი. გონებაში ესე წარმოდგენა შესაძრწუნებელი უნდა იყოს ჩვენ ყვე-
ლასათვის! ღმერთო! დაგვიფარე ამ საშინელის უბედურებისაგან კვალად.
(ზევით მოაჩირიღვან წარმოსთქვეს გალობა); ღმერთო დაგვიფარე! (გალობას
რომ გაათაყებენ, კვალად შემოსავალში შეიქმნება ყმაწვილების ძახილი):

ქ ა ლ ე ბ ი ს პ ა ტ ა რ ა ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — ერთობ კავკაზიელნო!
ღმერთმა გადაგიხადოთ ჩვენი მაგიერი, ჩვენი გამოხსნისათვის თურქე-
ბისაგან. (მოვლენ და ყველას თავიანთს სხვადასხვა ხელ საქმეთა მიართმევენ ამ
სიტყვით. ამ ქალებს ეცათ წითელი ტანისამოსი და ქოლისხანა ეკრათ თავზე).

ქ ა ლ ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — ეს გახლავსთ ჩვენგნით გაკეთებული
ხელსაქმე; მადლობით მოგვირთმევი კავკაზიელნო! (ესენიც მადლობის
თავის დაკრით გამოართმევენ, მაგრამ ხმას ვერ გასცემენ, რადგანაც მეფე იქ ბრძან-
დება. მასუკან მეფესთან მივლენ).

ქ ა ლ ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — ჩვენო ხელმწიფეო! ჩვენო მამაო, აღმა-
შენებელო დავით! (და გარს შემოებევიან) აი, შენთვისაც მოგვირთმევი
ეს ჩვენი ხელსაქმე მადლობით. (ზოგი რას მისცემს და ზოგი რას. მეფეც ღო-
დის სიაშოვნებით გამოართმევენ ამ სიტყვით):

მ ე ფ ე — ჩემნო შვილნო! ჩემნო ნუგეშნო! უკეთესი ჯიღლო აღარ იქ-
ნება რა ჩვენთვის, როგორც ეს თქვენი ღვაწლი! მადლობით მიგვიღია
კავკაზიელთა! გმადლობთ პატარა ქალებო! კვალად გმადლობთ...

(ამასთან ერთს პატარა ქალს აიყვანს, ჯერ ველში ჩაიკრავს, მასუკან ხელში დაი-
ჭერს და მერე ხელის ნიშნებით ეტყვის ყმაწვილ ვაჟაკებს და ქალებს):

მ ე ფ ე — ანგელოზების მსგავსნო ყმაწვილებო! აი, თვალი გადაავ-
ლეთ, როგორი ბედნიერები ვართ თავისუფლებით კავკაზიელნი! (ამ
სიტყვაზე ერთობ ყმაწვილები დაიჩოქებენ და ზეცისადმი ხელს განიპყრვენ მადლო-
ბისას უსიტყვოდ. აქ მოაჩირიღვან წარმოსთქვენ გალობით): უმანკოება მიითვალე
ზეცასა შინა ღვთაებაო! (მასუკან წაელენ ყმაწვილი ქალები, მამულის მოწამეთ
თაყვანს სცემენ და მოაჩირიღვან ამ მადლობას იტყვიან: სანატრელ ხაროთ მა-
მულის მოწამენო!

მანამ გალობას გაათაყებენ, ეს პატარა ქალები მივლენ და ყმაწვილ ვაჟებთან
დასხდებიან. აქ სომხების პატრიარხი წამოდგება და ამას მოჰყვება):

სომხების პატრიარხი — დღეს გადვიხდით უკანასკნელს წა-
შის დღესასწაულსა, გამარჯვებისა დღესა თურქებზე (ხელს გაიშეერს მა-
მულის მოწამეთა ზედა). ეს ღირსახსოვარი, ჩვენი განმთავისუფლებელნი
და გამამხსნელნი არიან თურქების საშინელის ბრჭყალებისაგან, რომე-
ლნიცა ცამდისინ სწვდებოდა სიამაყით და იმათი განძვინებული ამპარ-
ტანება ეშმაკებსაც გულს შეუღონებდა, არამც თუ კაცსა? ამათ მძლავ-
რნი თურქები დასთრგუნეს, განსდევნეს და ჩვენის თავისუფლებით
დაგვატყბეს საუცხოვოთ. მხოლოდ ახლა შრომა უნდა ჩვენს მშობელს
ქვეყანას, ჩვენი ღვაწლი, ყოვლის კეთილით აპყვავდეს კეთილნაყოფი-
ერი ჩვენი ქვეყანა ჩვენის ცდითა და ყოვლად შემძლებელსა ღმერთსა
შე აღარ მოვასვენებ ჩემის გულმხურვალეს ვედრებით, რათა მყუდრო-
ების მშვიდობით და ბედნიერად სუფევდეთ მარადის... ყოვლის სული-
თა და გულით გთხოვთ, ჩემი ეს თხოვნა და ანდერძი დაიმარხოთ, ვი-
თარცა სულიერის მანისავან ერთობ კავკაზიელნო უკუნიითი უკუნიისამ-
დე... (მოაჩირიდანაც გალობა წარმოსთქვეს): დაბეჭდილიმცა იყოს სიტყვა ევე
ღვთის სვეტზედა.

(ესენი გალობას რომ გაათევენ, ამ დროს პირველს თავდადებულს ომში დაქრილი
კაცები, თუმცა გამთელებულნი, მაგრამ სხვადასხვა სახით დამახინჯებულნი. ზოგს შე-
მოიყვანენ, ზოგნი ჯოხებზე დაბჯენილნი მოდიან და თან მოიძახიან):

დაქრილი კაცები — ჩვენო დიდებაო! ჩვენო უაღრესობაო!
და ყოველო ჩვენო საკვირველო თავისუფლებაო! მოვდივართ, მოვიძა-
ხით: თავისუფლებაო თავისუფლებაო! — ძლივს არ გაგვიმხიარულდა
გული კავკაზიელთა! (ამათ წაეგებებიან წინ მეფე და ყოველი სხვანი ამ ხმით):

მეფე — მოდით, მოდით, ნახეთ თქვენი სისხლით ნაშოვარნი თქვე-
ნი თავისუფლება!

დაქრილნი — დიდება შენდა ღმერთო! ოჰ! რასა ვხედავთ! ჩვენო
თავისუფლების დღესასწაულს! — ახლა უნდა დავიხოცნეთ! — სიხა-
რული იქნება ჩვენი სიკვდილი!....

მეფე — იღღესასწაულეთ! იცოცხლეთ ბევრი, — ხედავთ თქვენს
თავისუფლებას ყოვლის თავის ბედნიერებითურთ! ჩვენთვის არის ეს-
ლა: ცა ახალი და ქვეყანა ახალი!

დაქრილები — დავით აღმაშენებლო! შენი ქვეყნის განმაახლე-
ბლო! ნეტავი ჩვენ, რომ ამ ბედნიერებით გხედავთ შენი აბა ახლა ჩვე-
ნო ძმებო, სადა ხართ? ერთობ კავკაზიელნო, მოდით აქ ჩვენთან! —
ჩვენო გამომხსნელნო, ჩვენო სიცოცხლენო! (მივლენ იმათ წინაშე და თავს
დახრიან დაბლა).

კვალად დაქრილები — თვალებო, გაძეხით ამათის ყურებით,
ამათის ნახვით! ოჰ, რა ბედნიერები ვართ ეხლა ჩვენს (პატარა ხანის ყურების
შემდეგ). აბა ახლა მიგვიყვანეთ მამულის მოწამეებთან (და წაიყვანენ) მამუ-

ლის მოწამენო! ალტაცებულის სულით თაყვანსა გცემთ. თქვენს სიწმინდეს, თქვენს წამებულებს მამულისათვის! საუკუნოდ ჩხენება სახელი თქვენი, (მოაჯირიღან მგალობლები გალობით). ქეშმარიტად საუკუნოდა. (მინამ გალობას გაათავებენ, მოიყვანენ და მეფის მახლობლად დადგებიან. გალობას რომ მორჩებიან, დაკრძები იტყვიან):

და კ რ ი ლ ე ბ ი — ღვთის გულისათვის ამ ადგილას დაგვსხით: ჩვენც უყუროთ ჩვენის თავისუფლების დღესასწაულსა! (და დასხმენ. ამ დროს ახენდი წამოდგება და ამას იტყვის):

ა ხ უ ნ დ ი — ჰოი, ღმერთო! სამყაროსა შინა დაგუბებული სიბრძნე შენი გადმოუშვი განათლებითა თვისითა, ვითარცა დაწმენდილი მდინარე დიდი, რითაცა აღივსოს ყოველი არე ჩვენი მთისა და ბარისა, — შავი ზღვიდან კასპამდისინ, სადაც შეილები მათი გავითარდებოდეთ შენი ზეციურის განბრძობითა, ვითარცა უბრწყინვალესი, ფასდაუღებელი თვალი გამოხედოვნებული ჩინებულთა ხელოსნებთაგან! ჰოი, ღმერთო! ავდენი საუკუნოების განყოფილი ძმობა ჩვენი, შენ შეაერთე. შენ გვასწავლე სიყვარული და ერთობა, მზგავსი ანგელოზებისა! — აჰა, ღმერთო! სულ ერთობრივი შენ შემოგძახით და შენგნითვე მოველით ამას დიდი კავკაზიელნი!

მ ე ფ ე — არამც თუ თქვენი დაქორწინების დღე იყოს დღესა, ანუ შეუღლებისა, ყმაწვილო ადამიანებო, რომელთაცა გვირგვინი გადგასთ თავზედ. არა, დღეს თქვენმა თან იქორწინა და შეუღლდა თავისუფლება ჩვენსა კავკაზიის ქვეყანასა, გადმოვიდა მაღლი ზეცისა ჩვენზედ და ბრწყინვალე გვირგვინი იმის. შემდგომ ღმერთმან გაკურთხოსთ ყველანი კავკაზიელნო და თქვენს თავისუფლების ბედნიერებასა საფლავსა ჩამამძახებდეთ თვისის სადღესასწაულოს ხმოვანებით: ყოველთვის და მარადის კავკაზიელნო!

ამას რომ მეფე დაასრულებს, ეს შეუღლებულნი წამოდგებიან ფეხზე და მეფეს მდაბლად დაუკრავენ თავსა, მეფე ამათ წაიყვანს და გორის ძირში დაიჩოქებენ, კეთილმოწინებით, მოასლოვოდ მოწამებთან; ნახევარი აქეთ მხარეს და ნახევარი იქით. ექვს-ექვსნი ერთად თავის ცოლებით, ესენი რომ დაიჩოქებენ, მეფე გამობრუნდება, აქ ნაპირზე მოვა და სავედრებელის გულტკივნეულობით ამას მოპყვება:

მ ე ფ ე და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — დიდი ჩვენის მამის თარგამოსის ჩრდილო! (ამას რომ იტყვიან, მცხეთის ეკლესიის კალთებზედ დიდი ფარდა გადაიხდება ანაზღად კედლის ფერი და არც ეტყობა ფარდობა, რომელთაგანც დიდი მხატვრობა გამოჩნდება, თვით თარგამოსი დახატული, გრძელ-თეთრწყერა, თავშიშველი თეთრ-თმინი, ორს ხელი გაშლილი აქვს და იმის ხელუბჭევში, დაჩოქილნი არიან იმის რვა შვილი. ოთხი ერთს მხარეს და ოთხი მეორეს მხარეს, ამათ გარშემო ახვევია იმათი ჩამომავლობანი, ქალნი და კაცნი, რომელნიცა თარგამოსს შეპყურებენ ყველანი. ეს მხატვრობა კარგი უნდა იყოს! თარგამოსის ზევით აწერია: ჩემო სახლის მომავალნო, კურთხეულ არის ღმერთი! კურთხეულმცა იქმნას ნაყოფიერება თქვენი. ილიდეთ მისგან, იბედნიერეთ მისგან, ყოველად განუყრელი ერთად! ამას რომ

ნ: ხენ, ყველანი დაეშობიან ამ მხატვრობის წინაშე, შემდეგ ადგებიან და განკრ-
ძალული შეპყურებენ იმ მხატვრობას. აქ შეფე ისევ).

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი — ჩვენო მამაო თარგამოს! აჰა, დაინახე, დღეს
შენი შვილები, რას ამბავში არიან, რას დღეს გადიხდიან! ერთობ თარ-
გამოსიის დიდო კავკაზიელნო! ძენო და ქალნო! აგერ ამ ეკლესიის გარ-
შემო შეკრებოდეთ თარგამოსის მამისა ჩვენისა წინაშე და ამ ჩვენს
მამულის მოწამეთათანა იმ სანატრელებთან, იმ სისხლ დათხეულებთან
მამულისათვის! — აქ ამ მშობლის მამულის საყდართან ხშირად იდღე-
სასწაულებდეთ! აქ იგემოვნებდეთ, მთლად რა არას კაცობრიობისათვის
თავისუფლება!.... აი, როგორი ბედნიერები ვართ ეხლა!.... აი, მართლად
ბედნიერება ეს არის!.. რათა ვტირით ეხლა ასე? რა არის ეს ცრემლი?
ცრემლი ჩვენის თავისუფლებისა! დაგვდენ ხელი და გული შენი ღვთაე-
ბაო! იგი კეთილი გული და იგი ძლიერი ხელი; ჩვენი მფარველობისა, ჩვე-
ნი განუყრელობისა ღვდაო ღვთისაო! — ქეშმარიტად გვირგვინი ესე, თავ-
სა ჩვენსა ზედა არს შუამდგომლობა შენი, ბოძებული მის მიერ ჩვენის
კავკაზიელებისათვის! გვირგვინი ესე თავსა ჩვენსა არის ნიშანი შენი
წილხდომილის, ჩვენი მშობლის მამულისა! ჩვენ ხომ ვერ გამოვსთქვამთ
ჩვენის გულის მადლობასა ღვთაებისასა ჩვენის თავისუფლებისათვის,
თვით შენ უწყი ღვდაო ღვთისაო, ვითარა ვგრძნობთ ჩვენ ამასა! შენ
ღვთაებაო! — ნულარ გაგვიმეორებ იმ თავგადადებულს, იმ უუსაშინ-
ლესს ბრძოლასა, კვალად რომელნიცა ან უნდა დავცემულიყავით სულ
ერთიან, ან არა და თავი გამოგვეხსნა! ოჰ! რა იყო ის ტფილისის ბრძო-
ლა, ის უკანასკნელი ქამი!... (ამასთანავე შეფე დაიჩოქებს, სხვანიც ეგრეთვე,
ტელის განწყობით, მოწიწების სახით და მოაჯირდგანაც დაიჩოქებულნი ხელგანყ-
რობით იტყვიან ამას გალობით, რომ მოაგონდებთ ის ქამი). — ღვთაებაო! ოჰ,
ის უკანასკნელი ქამი (სამჯერ წარსთქმენ ამას).

დასასრული

ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა

(ტრაგედია ოთხ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი

მეფე თეიმურაზ საქართველოსი, თავის ამალით.
დედოფალი თამარ, მეფის მეუღლე, თავის ბანოეებით.
ანა და ქეთევან, ამათი ქალები.
ირაკლი, მეფის და დედოფლის ძე, თავის ამალით.
ცხერის მწყემსო.
გივი, ირაკლის გამზრდელი.
რევაზ, საქართველოს თავადი.
სიდონია, ამისი ცოლი.
ომან, კიდევ საქართველოს თავადი.
ბარბარე, ამისი ცოლი.
სარიდან, ყმაწვილი კაცი, ომანის და ბარბარეს შვილი.
მელანია, სარიდანის ცოლი, რევაზის და სიდონიას ქალი.
ვარდუა, მელანიას თანა-შეზღილი მოახლე.
ზაქარია, მოძღვარი მეფისა და სახლუელობისა.
ფშავლების დედა-კაცები თავის წერილის შეილებით.
მთის ქარები.
ბესარიონ, დაკუთრებული საქართველოს თავადი.
ამის ცოლი კეკე.
გმირისეული, ბესარიონის გამდელი.
ასლან, კიდევ საქართველოს თავადი ამასთან ოცდაცხრა თავად-აზნაურნი.
იოანე, ბერი ალავერდისა.
ოსმალურად ჩაცმული ქართველები.
ალავერდელი, ალავერდის მღვდელ-მთავარი.
შაოსანი ქალები.
მგლოვიარე საკინძ-ჩამოხსნილი ქართველები.
ბაზაზი.
მეწერიშალე
მეხილე (ბაყალი).
შპარსავე (დალაქი).
დაფარული ვინმეები.

თელავის კაცი და დედაკაცი.
გ რ ი გ ო ლ, თამარ დედოფლის მოსამსახურე.
ორი საფლავის მთხრელები.
ორი მოსამსახურე ყმაწვილი ბიჭები.

პირველი მოქმედება

ფარდა აიხდება, გამოჩნდება ფშველების მთები, ერთს კლდის ძირში პატარა ვაკე ადგილია, სადაც დილა ადრთან მეფე თეიმურაზ მეორე მოვა და მწუხარებით მიიხედ-მოიხედავს.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ამ მოლაქევარდულს დილაზე რავდენი ხარობს, ამ დაწმენდილსა დილაზე? — რავდენი განსცხრებიან შენ მშვენიერო დილავე, შენის კარგის ჰაერით?... აგერ, რავდენიმე ფარა ცხვარი გამორეკეს, სულერთიან თოვლისავითა თეთრად ნათელი; დღეს დილის გათენების ცივკრილისაგან ცვარით ნამულზე, მის წინწყლითა მოციალეს, იმ ყვაილებით შერეულსა მწვანეზე და იმ მოხდენილს მაღალს მთაზედ. რა გემოვნებით, რა ლამაზად მოიძოვენ, ის უმანკო პირუტყვები იმ საუცხოვოს მოლსა, საუკეთესოს ჰაერით გაბიბინებულს. ყოველი სიძვირფასე ამათა სულ არაფერი: შენთან შენ მიმობნეულო არვედო, შენს დედამიწის მდებლობედ დაშვებულო მეტად კარგო. შეგვარგებათ თქვენ არვედნო, თქვენის ქვეყნის გემოვნება, ეგე თქუენი გამომზდელი სატკბუნარი ეგე თქვენი. ახლა შენცენ შენ ჩვენო მამულო! ეჰ, სატრფიალო დილა, შენ შეგემკობა, შენ გეალერსება, შენ ჩვენს მამულს გაფუჩქენილსა, აწ აფუტყვნილს მტერთაგან: გულგამლითა, გულადორძინებითა და გულმდიდრად, სამკაული მის ზეცისა! — აგერ მზეც ამოვიდა, ამ დილის მზე, აგერ იმ დიდ მთას იქით ზევიდგან. მზემ ამოიტანა მაღლი ზეცისა და მაღლი ღვთისა. ზენაარო. მზეო, აქ მე რალა? განა მწუხარება აღრტვინებული, გულმტკივნეული საჩივარი ღვთის წინაშე? ხედამ მზეო? ახლა ხომ შენის თვალით უყურებ საქართველოს. რა ზარია დაცემული იმ ჩვენს მშობელს მამულზედ! აღმოსავლეთიდგან მტერი ებრძვის, დასავლეთიდგან მტერი, სამხრეთიდგან მტერი, ჩრდილოეთიდგან მტერი, მტერი, მტერი, მტერი! აიმსო მტერთა საქართველო, უნდათ ჩვენი მცირედი საქართველო წარიტაცონ, არ ვიცი რომელს ერთს უნდა გახვდეს, რომელს ერთს? ამის გამო აღელებულს უკიანეს ზღვასავითა შემოხვევია, ვით მცირე ხომალდს, აუარებელი მტერი საქართველოს და სწეწენ ცოტა ქართველებსა (ამასთან ხელგანწყობილი დაიძახებს). რა საშინელს უბედურებაშია ჩავარდნილი ჩვენი საქართველო! დაიფარე შენის ძლიერის ხელით ღმერთო! ოჰ! სოფელო, სოფელო ცრუვი შეაწუხე კაცი, შეაწუხე, როდემდისინ? (ამ დროს ზევით

ცხვრებთან ერთი მწყემსი მოვა გრძელკომბლიანი, კომბალზე დაეჭინება, მთის მოსავალზე ხელს მიიღებს და იტყვის):

მ თ ი ე ლ ი მ წ ყ ე მ ს ი — ჩვენო გამომზდელი მიწის მოსავალო, თქვენ მაინც ნუ უღალატებთ საქართველოს, კარგი მოსავალი მოდი, რომ მშვიერი მაინც არ ამოეხუთოთ უკანასკნელი სული ბარის ქართველებსა.

მ ე ფ ე — გესმის ყურო? იქ ბარში, ბარის ქართველი კვდება ტანჯვით, აქ მთაში უკვენისის გული უბირს ქართველს მთისას? ჩვენ რა გვმართებს ამის შემდგომ?

მ თ ი ე ლ ი — (ცხვრებისაკენ დიდ გძელს კომბალს მოიქნევს) გრჩი ეი. ცხვრებო აქეთ მოდიო, შენსა ერთსა კრავსა ნადირი მოიტაცებს, სხვა ოცი ფარა მაინც რჩება უვნებელი, მაგრამ აბა, ახლა ჩვენს ძმებსა ბარის ქვეყანაში, უდიდესი ჭარები რომ გადასწოლია და თავის კბილებში ლლარქნის იმათ კევსავით; მოიწონებ ამას ღმერთო! გრჩი ეი, აქეთ ცხვრებო! იქ მთას იქით წყალი მოსვით ცივი და მეც დავეწფავო, ნაწლევები გამიგრილდეს, იწვის იმ ჩემი ძმებისათვის (პირიქით გადარქვა და თვითონაც მთის თავზე დადგება, ხელი ზეცისაკენ მიღებული) ეს კარგი არ არის შენის სახელისათვის, ღმერთო! (და თვითონაც გადავა).

მ ე ფ ე — მოდი ნუ აღუღდები გულო? მოდი მოითმინე გულო? გამწარებულო, გამწარებულო მწუხარებავ, ვაი ჩემი ბრალი! (საცოდავთ ატირდება და თვალეზე ხელეხს მიიფარებს. ამ დროს თამარ დედოფალი, მეფე თეიმურაზის მეუღლე და იმათი შვილი ირაკლი მოვლენ, თამარ დედოფალი ტრჩილით).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩემო ბატონო, ჩემო ხელმწიფე! რა არის ამდენი შენი მწუხარება, ამდენი შენი ვალალება მამულისა?

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — თამარო. შენა ხარ? მოდი ჩემო თამარო, სანუგეშო სიტყვა მითხარ, ეგება დაჩაგრულმა გულმა განიხაროს მცირედ მაინც, მაგრამ შენს უკან რომ ვილაც დგას, ვინ არის ეგ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი თ ა მ ა რ — ჩვენი ირაკლი, ჩვენი უსაყვარლესი შვილი გახლავსო.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ირაკლი შვილო, მოდი შენს გაზრდას ჩემს საიმედოს პირზედ გაკოცო. რათ იმალები შე გაუბედაო ირაკლი, (ხელის დაქვრით, კონით მიიყვანს თავისთან) შენმა გაზრდამ ირაკლი, გაუბედაობა აღარ გშვენის; ახლა თხუთმეტი წლის ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცურათ უნდა მოიქცე ამას იქით (ხელიდან აღარ გაუშვებს, მასუკან დედოფლისაკენ). ასე ჩემო თამარო, საქართველოსათვის კვდება გული სრულად.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩემო სიცოცხლო, ჩვენი ღვთისმშობელი თავის წილხდომილს მამულს აგრე რიგად არ გასწირავს, სრულად დაილუპოს. ეს რაცაა მოვლენილი ჩვენზე, ჩვენი ცოდვის გამოა. მოვიწინაოთ.

მეფე — რასაკვირველია, იმისი იმედი მაქვს, მაგრამ არ ვიცი საიდან რა მოგვევლინა, რომ ყოვლის ცოდვით შევიბღალენით ქართველები, რომლის გამო ყოველი ჩვენი სიმხნე და ვაჟკაცობა სრულად დაიკარგა. აბა რა ვქნათ ყოვლისფრთა ღონე მიღებულთა, ყოვლისფრთა ღვთის შემცოდეთ?

დედოფალი — კაცისაგან კაცი ხდება, ზეცისაგან კაცი კეთდება, კიდევ ვიტყვი, მაშინ, როდესაც რომ თავის ცოდვას მოინანიებს. ამის განსაკურნად სამკურნალოს ვიტყვი ცოტას: კაცის გული სარკეა კაცისათვის, ჩაიხედოს თავის გულში, თუ ყოველი არ დაინახოს რაც ხვანჯია იმაში? ადვილია ის ხვანჯი ამოიღოს და გასტყორცნოს შორსა, თუ მაშინვე არ შემუხროს თავის ცოდვა კაცმა.

ვინც ამას ძნელად მიიღებს სვინდისით მკვდარია, ვინც არ იყურება თავის გულის სარკეში და ვერას ხედავს, ანუ არ უნდა დაინახოს თავისი ხასიათის ნაკლებობა; ის იქნება გარეგანი ველური.

მეფე — გარეგანი ველური და დაწყევლილიცა.

დედოფალი — ჩემო თვალის სინათლეო მეფევე, მაშ წამობრძანდით. ყავა მიირთვით, დრო არის. (ხელს დაუქერს; მეფე თეიმურაზ დაღონებული გაწყევბა, მაგრამ ირაკლი კი იქ დარჩება. ირაკლი ერთს ქვაზე ჩამოყდება ამ სიტყვით).

ბატონიშვილი ირაკლი — რა გონიერი დედაკაცია დედაჩემი, ანუ კეთილი სული, მართლა რომ მეფის ვახტანგის ქალობა ეტყობა. იმ ბრძენის კაცისა, მაგრამ იმ მამაჩემმა მეფემ რა მითხრა, ის სიტყვა: ახლა თხუთმეტი წლის ვაჟკაცი ხარ შენაო. ამისმეტათ არ უთქომს ეს სიტყვა ჩემთვის. ეს სიტყვა გულზედ დამაჩნდა ძლიერად! ჰოო, ვაჟკაცი თხუთმეტი წლისაო. სხვა ვაჟკაცობა სადღაა? განა ხმალი უნდა ვიტვირთო ახლა, გაღესილი, დაპირული კარგათ.

მასუკან საქართველოს მტერთა ვინ რა უნდა იყოს? იმ განძვიენებულთა მიერთა? (ცოტა დაფიქრება შემდეგ) განა ბედო, ჩემს ცდასთანა, ჩემის ცდისა შენც მონაწილე იქნები და ჩემის კარგი შემწე? ვნახოთ ღმერთი რას ინებებს. (პატარა ხანს დაფიქრება და მასუკან იტყვის). დიას! რასაკვირველია, ახლა კი ვიცი. მამაჩემს მეფეს უნდა ვთხოვო; სათხოვარი სხვა იქნება და საქმე კი სხვა შეუდგება. ასე სჯობია (ამ დროს ორნი ამისი დანი ქეთვან და ანა შემოცვივან და გადახვევით ეტყვიან).

ირაკლის დები — საყვარელო, გულის სატრფიალო ძმად ირაკლი, ჩვენი მშობლები გთხოვენ, მოდი ყავა დალიეო. (ხელს დაუქერს და გაარბენინებენ. ისინი რომ გავლენ, ერთი შუახნისანი პატარა წვერთმიანი შემოვა, ეს არის ბატონიშვილის ირაკლის გამზღელი ვივი და იტყვის).

გივი — იმ ჩემმა გაზდილმა რაც წარმოსთქვა, სულ გავიგონე, აჯერ იმ კლდესთან ვიდექი მოფარებით, სადაც ისმოდა იმის ლაპარაკი,

დიახ, კარვით. მართალია, ის უკანასკნელი სიტყვები დაფარულის აზრით წარმოთქვა, მაგრამ ვიციტ რაც იქნება.

ჩემი გაზრდილი, ძველი ქართველის გაზრდილი ირაკლი, ბევრჯერ ამ დიდს მაღალ მთებზედ რომ წავიყვანდი, ამისთანა ლაპარაკს არ მოვკლებდი ხოლმე:— ჩემო გაზრდილო ირაკლი. ყოველ საქმეს თავისი ტვირთი აქვს, თავისი წონა. ხელამ ირაკლი, როგორ წონაშია ჩავარდნილი ჩვენი საქართველო ეხლა (ხელს მიიღებს საქართველოზე). რა სასწორზედა დგას ამ მინუტში? შეიძლება ოთხსა ლიტრა ხორბალსა პატარა ქვის აბრა ეთანასწორებოდეს წონაში? რასაკვირველია არა. მაშთუ არა, იმ პატარა აბრას მძიმე ფოლადი გვერდით რომ დაუდოთ, იმ ოთხს ლიტრას ხორბალს ადვილად დასძლევს განა? ისე კაცის გულია. თუ თქვენ, ირაკლი, ისეთი გული გექნებათ შენ და მამულის ქართველებს იმ ფოლადსავით იცოდეთ იმ საშინელსა მტრებსა ადვილად შემუსრავთ და საჩქაროთ გამოიხსნით საქართველოს. პატარა ირაკლი, სულ ანგვარის ლაპარაკით გამიზნია, ამ გვარის ჩაგონებით, მაშ დრო არის ახლა საქმესაც შეუდგეს (ამასთან ირაკლი დაბრუნდება იმე ადგილს და შევისძახებს).

ირაკლი — ჩემო მოკირნახულე გივო, რას ლაპარაკობ ასე გულმოდგინედ?

გივი — ჩემთვის რაღასაც, რომელსაცა ბევრჯერ მიტომს შენთვის. ირაკლი, ყავა მიირთვი?

ირაკლი — დიახ გიახელ.

გივი — გემრიელათ, ტკბილათ მიირთვი?

ირაკლი — არ ვიცი, ყავა კარგი იყო, შაქარი ბევრი ეყარა ფინჯანში, მაგრამ უგემურათ ვსვამდი და მწარეთ მეჩვენებოდა.

გივი — განა დედოფალმა კარგის თეთრის პურით დავალევიანა?

ირაკლი — არა, გემრიელი ნაზუქი მამცა, ამით დალიეო, რა ბრძანებაა. ისიც ისე ხელში დამრჩა ის ნაზუქი, რომ გემოთ არ მინახავს.

გივი — გეტყობა წუხელის კარგის ვახშმით, კარგათ გამაძლარხარ.

ირაკლი — საჭიროების გამო ვქავე, თორემ არც ის მიამა.

გივი — მაშ წუხელის კარგის განსვენებით დაიძინებდი?

ირაკლი — სამი საათი არ მქონდა ძილი, დანარჩენი უამები ვიტანჯებოდი.

გივი — იტანჯებოდი? მიზეზი, ჩემო ირაკლი?

ირაკლი — საქართველოს და ქართველების უბედურება მტანჯავდა და კვალადცა ვიტანჯები, ჩემო მოკირნახულე გივო.

გივი — აგრე უნდა, იტანჯე ირაკლი, რომ ღმერთმა შენის ტანჯვისათვის მამული დაუბრუნოს ქართველებსა. შენ უნდა ქართველების მსხვერპლი იყო და ქართველებს შეეწირო მოწამედ. შენი მსხვერპლი სისხლი, იცოდე, ქართველების ძველი იქნება, დაუვიწყარი, საუ-

კუნო! შენ ერთი შეეწირები შენს მამულსა, სხვა ათასობითა ქართველებსა ცოლშვილებით შეჭირვებულთ გამოიხსნი და განათავისუფლებ. ნომილოცავს ეს ბედნიერება შენთვის, მე შენს გამზდელს გივსა, კარვო ირაკლი. ღმერთო! არ ვიცი რა დაემართა საქართველოს, რა საიდუმლო გველმა გადაიარა მართალს ქართველებზე, რომელნიცა დაწამლულსავეთ შევიქენით, გარეტებული ვეხეთქებით აქა-იქა, არ ვიცით რას ვშვრებით, გაშტერებული ვარ! ამისთანა უბედური დრო არასდროს არ დამართებია საქართველოს, ამისთანა სამგლოვიარო და სატირელი დრო.

გარდა გარეშე მტრებისა, ძმა ძმაზედ აღმდგარვართ, მამა შვილზედ, შვილი მამაზედ, ცოლი ქმარზედ, ქმარი ცოლზედ, სადაც განყოფილება, განწვალვა და დაუნდობლობა დიდი არის ქართველებში, ასე რომ ძალდი პატრონს ველარ იცნობს რიგიანათ. ამ წუწქს დროში. ამის გამო თემი თემსა სდევს, ხეობა ხეობას, მთიელები მთიელებს და მთელი საქართველო ამ ვაებაში ჩაღუპულა დასანთქმელად. ამ განწირულების დროს, თუ შემთხვევა იქნება ოდესმე, მაინც არ დაივიწყებენ თავის მამულს ქართველები, დასდასობით გამოვლენ შეუპოვრად. გარეშე მტრებსა ხმალს დასცემენ თავისის ძლიერის მკლავებითა და კიდევ გარეკენ თავის მამულიდგან. მხოლოდ გაუძენ ამისთანა კაცებს და საწადელს მიეხწვივი ჩემო ბატონიშვილო ირაკლი!

ირაკლი — მაშ, ჩემო მოჭირნახულე გივო, მოციქულათ უნდა მიმეგზავნო მეფეს მამაჩემთან.

გივი — მიბრძანე რა გნებავს?

ირაკლი — ნება მომცეს ქვემოვ სოფლებისკენ ჩავიაროთ, მიცნან ხალხთა.

გივი — არა, სწორეთ მითხარ, რა აზრია ეგა?

ირაკლი — მოხსენებით ეს მოახსენე და აზრი ეს არის, რომ საქართველოს მტლეთ დავედო, ან არა ჩვენი მამულის შვილები გამოვიხსნა. იცი, ჩემო მოჭირნახულე გივო, ესლა რა ამბავი მოუვიდა მეფეს?

გივი — (სიტყვის აკანალებით) — უთუოთ რაღაც უბედურება კიდევ!

ირაკლი — გაღმა მხარის კახეთი და ქიზიყი სულ გაოსმაღებულიან.

გივი — ვაი ჩემს თავს, იმ ძველი ქართველების შვილები?

ირაკლი — კეთილის და გონიერის დედიჩემის ძუძუების რძე ბრაზად გადმექცეს, თუ მე ეს დავითმო. (ამ სიტყვებზედ გივი დაემხო, ირაკლის მარჯვენა ფეხს აიღებს და თავის თავზედ დაიდებს ამ სიტყვით).

გივი — ეს ჩემი თავი მუნღიანის ძაღლების წილი იყოს, თუ ხმლის მეტი იარალი მე ვინმარო მტერზედ (მასთან ასწევს ირაკლი თავის გამზდელს ამ სიტყვით).

ირაკლი — მაშ საჩქაროდ მიმოციქულე მამაჩემს მეფესთან.

გ ი ვ ი — ეხლავ, შენ ნუ მოკვდები ირაკლი! (და საჩქაროთ გავა. ეს რო გავა მეორეს მხრიდან ორნი დანი ისევ მოვლენ და აჩქარებით ეტყვიან).

ქ ე თ ე ვ ა ნ და ა ნ ა — შენ გაზდას, რას ელაპარაკებოდი შენს მოჭირნახულეს გივსა, რას ამბავში ხართ შენ და ისა?

ი რ ა კ ლ ი — თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, წადით ქართველებისათვის ილოცეთ, ამაზედ მეტს ნულარას მათქმევენივით ჩემო უსაყვარლესო დებო!

ა ნ ა — სად წავიდეთ, ვის მივმართოთ? უშენოთ ღმერთმა ერთი წამიც ნუ გვაცოცხლოს ირაკლი.

ი რ ა კ ლ ი — რა ამბავია, რას შეშინებულხართ, მითხარ?

ა ნ ა — სადაც წახვიდე, ჩვენც შენ გამოგყვებით; შენთან მოკვდებით, შენთან დავიხოცებით მამულისათვის, სამნივ ერთი მსხვერპლი ვიყოთ მამულისა, შენი ჭირიმე.

ი რ ა კ ლ ი — რას ამბობთ ქალებო? ნუ მაჯაერებთ, ნუ მიკლავთ გულს (ანა და ქეთევან, ერთი აქედანა და ერთი იქიდანა გადაეხვევიან გულმტკივნეულისა სიტყვით).

ქ ე თ ე ვ ა ნ — შენს თავს ნუ მოგვაშორებ ჩვენ. შენს სახეს რომ აღარ შემოვხედოთ, ვის დაუწყოთ ყურება? ჩვენსა სისხლსა ნუ დაზოგავ, უთუოთა სამნივ ერთად შენმა მზემა. უფრო კარგი და საამო არ იქნება, ჩვენაც შენთანა თავი დავდოთ, მამულზედა მამულისათვის. (ამ სიტყვაზედ თავსა გულში ჩაუღებენ და ატირდებიან. ამ დროს თამარ დედოფალი შოვა და ასე რომ წახამს ამათ იტყვის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ქალებო, რა დაგმართვიათ? რად ჩასტირით გულში ირაკლის?

დ ე ბ ი — (საჩქაროთ თვლების მოწმენდით) არა, არაფერსა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თუ არ მეტყვი, დიდად მეწყინება. (ქალები შეკრთებიან და ისევ ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი — ჩემმა ხელმწიფემ მამამ მიბრძანა: ახლა ყმაწვილიო აღარა ხარო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მეც ვიტყვი, ყმაწვილი აღარა ხარ, მასუკან?

ი რ ა კ ლ ი — ის სიტყვა ჩემს გონებას აღარ ეშვება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჰოო, აღარ ეშვება? ერთი მართალი და გონიერი სიტყვა, ვისაც მცირედა გრძნობა აქვს, რომელს არ შესძრავს, ნამეტნავად შენისთანა გრძნობიანს ყმაწვილს. მითხარ რა განძრახვა მოგსვლია თავში?

(ამ სიტყვაზედ ორნივე დანი ატირდებიან ქეთიხით და ტირილს ვეღარ დაიჭერენ, ამ ტირილზე მოტრიალდება).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ქალებო, ქეთიხებთ? ოჰ, ქეთიხებთ და საცოდავად. ეგ თქვენი ქეთიხი ვიცი ზეცაში აიჭრა ამ წამს. იქ ზეცას დამოეკიდა მაგ ცრემლისა გულმტკივნეულება ღმრთაების დასაყვედრად.

ღმერთო, ეს რა წარმოვთქვი? აი, ასეა დაუხედავი, უფიქრელი სიტყვა! ღმერთო! ნუ გამირისხდები შეცდომებისათვის, ყოვლით ნაკლულს დედაჯაცსა (მასუან ქალებსაყენ). ქალებო! თუმცა მიხვედრილი ვარ, მაგრამ მინდა სწორეთ მიაბზოთ, რა ამბავია?

ქ ე თ ე ვ ა ნ — აქ გაიხლებოდით, აგერ იმ კლდესთან მოფარებით რომ მოვედით, გაზრდილი და მოჭირნახულე ერთმანეთს შეეფიცებოდნენ საშინელის მტკიცის ფიცით მამულზე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — აგრე ირაკლი? — პირჯვარს დაგწერ მეც. მშვიდობით ამიერ. ეხლავ მინდა გამოგიტირო მე (ირაკლი დაიჩოქებს დედის წინაშე, ქალებაც შორიხლოს, საწყალობელის ტირილით დგანან). წადი, წადი შვილო, თუ ჩემი მშობლიური გული არ ატირდება შვილის ტანჯვით, ღმერთი რას მისცემს ჩვენს ქვეყანასა? ახლავ გამოგეთხოვები გადახვევით ჩემს ერთს ძესა, ჩემს ლამაზს, ლოყებზედ უკანასკნელად გაკოცებ, გულში ჩაგიკრავ მაგრა სიყვარულით. ეს, ეს არის გამოგიმეტე: მკვდრის საკაცე, ან მამული, შვილი! (ირაკლი ძუძუებზე მივარდება).

ი რ ა კ ლ ი — ამ ძუძუების უტკბილესი რძე, ჩემი გამომკვებელი ყმაწვილობისა, ის შენი კეთილი სული დაგვიფარავს ქართველებსა, უსაყვარლესო დედაო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — იმედი მაქვს დაგიფარავსთ სიძარტლე და ქეშმარიტება. მაგრამ ხედავ, აგერ შენი მოჭირნახულე გივიც მოდის. (ირაკლი წამოდგება, გივი მოვა და ხელმოქდომით დადგება შორი-ახლოს).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — გივო, მეფე წაბძანდა ზევით სოფლებისკენ?

გ ი ვ ი — საჩქაროდ გადაჯდა ცხენზე, რამდენიმე დღით წაბძანდა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ხომ არა გიბძანა რა?

გ ი ვ ი — რისა შენკიმიე? (ირაკლი ჩამოართმევს სიტყვას).

ი რ ა კ ლ ი — დედავ! მე გაუფიქრებელი მოციქული.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — კარგი, აღარას გკითხამთ, ქალებო, წავიდეთ, დრო არის (თავის ქალებით გავა. ირაკლი და გივი იქ დარჩებიან).

ი რ ა კ ლ ი — რა ამბავი მომიტანე?

გ ი ვ ი — ნება მოგცა, წავიდესო. ახლა დაყოვნება აღარ უნდა.

ი რ ა კ ლ ი — მას წავიდეთ მოვემზადნეთ (ორნივე წავლენ. ესენი რომ წავლენ, ერთი ფიქრისაგან ატაცებული მშვენიერი ქალი შემოვა).

მ ე ლ ა ნ ი ა -- გვეგონა, ამ ფშავლების სიმაგრეებში რომ შემოვიდოდოდით, მყუდროდ დავრჩებოდით აქ მაინც. წინათ განძრახვა სულ ასეა. აბა რა ვიცოდით, რა შეუდგებოდა ამას? ჩემმა მომნათლავმა მეფე თეიმურაზმა, ეს ერთი კვირა იქნება, მე ერთს ყმაწვილს კაცზე ჭვარი დამწერა, აქ ამ სიმაგრეში, საქართველოს კაიკაცის შვილზე, რომ ორი ესე სახლი მკვიდრად გაერთებულყვენ ერთმანეთში, ოჯახების განსაძლიერებლად. იგი, ოჯახების გაერთება არის, მაგარი სვეტი საქართველოსი! ხედავ ბედო! ამ ერთს კვირაში როგორ შეგვიყვარდა მე და

იმას ერთმანეთი, როგორის სურვილით! თითქმის გიყები ვართ სიყვარულით! სულ ამას ვეუბნებით ერთმანეთსა: რა კარგი ყოფილა სიყვარულიო! ამ სოფლის ბედნიერება თურმე ეს არისო. ასე და ამ ყოველით ვიყავით ეს ერთი კვირა; ამ ერთის კვირის ასეთი სიყვარული, საკმაოა ჩვენთვის? ეს სიყვარული ათასი წელიწადი კიდევ ცოტაა, არამც თუ ერთი კვირა. თქვენი ჭირიმეთ, რა ამბავია ჩვენს თავზე? მე წინათვე ვგრძნობ, რომ ჩემი ესე საესე სიყვარული უბედურად შეიცვლება. ბარემ ეხლავ გამოგეთხოვებით ჩემო თაო საუკუნოდ. (მწარედ ატირდება, მასუჟან კიდევ). ეხლა ეს არის ბატონიშვილს ირაკლის ჩემი ქმარი დაებარებინა; ემზადებიან მამულის გამოსახსნელად, მაგრამ ეს ჩემი სიყვარული ხომ დაობლდა... მამულო და სიყვარულო, რომელი აღვირჩიო მომატებულად? (საშინელს გულის აღელბაში შვევა და აქეთ-იქით გჟსავით ეხუთქება ამ აიტყვებით) ვუე, რა ვქნა? უბედნიერესი სიყვარული! ფასდაუდებელი სიყვარული! ღეთაებიანი სიყვარული! როგორ დავთმო? ეს სიყვარული რომ არ დაითმოს, მამულს რალა ერგო? ახ, მამულო და სიყვარული! რომელი აღვირჩიო? არავეინა ხართ შემამძახოთ? ღმერთო მამე ძალა მე ემაწვილსა ქალსა, რომელ ამოვირჩიო? ოჰ! ამამირჩევიო მამული! (ამასთან ჩაიშლება დედამიწაზედ და მკლავზედ ძლივს დაეყრდნობა გვერდზედ წამოწოლილი, რომელსაც გული ასდის და დასდის სისხლის მღელვარებით. ამ დროს ამის ქმარი მოვარდება, ამ მდგომარეობაში რომ ნახავს ხელს სტაცებს, გაფრთხილებით წამოაყენებს და თავის გულზედ მიიყრდნობს).

ს ა რ ი დ ა ნ — მელო, რა დაგმართვია? რათ მოსულხარ აქ? რათ გიწუხდება გული? კარგია, მოსულიერდი ჩემო მელო.

მ ე ლ ა ნ ი ა — (ხელსახოცს პირზე მოისომს). ჩემი სარიდან ხარ? შენა ხარ სიცოცხლეო?

ს ა რ ი დ ა ნ — მე ვარ. მიაბმე შენი ამბავი.

მ ე ლ ა ნ ი ა — რა ვიცი, რათ მოვედი აქ, მწუხარების ფიქრმა გამამიყვანა შინიდან უგზოუკვლოდ აქ მოვსულვარ.

ს ა რ ი დ ა ნ (საჩქაროთ მიატანს) — ბატონიშვილს ირაკლის რომ დავებარებინე ეხლახანს, იმ დროს ერთმა ჭაბუკმა რომ გაიარა ჩვენი ქოხის წინ და სანათურითგან შენ რომ იმას შახედე, მეწყინა მე ეს და გაჯავრებული წამოველ. იქნება იმისმა მწუხარებამ მოგიყუანა აქა. ნურას იტყვი, არას გათქმევიანებ ჯერეთ, ჯერ ჩემი დამასრულებინე. მოიხედე აქეთ, შენ სად წახტალ ჩემის ხელისაგან, შენის სიყვარულით სასოწარკვეთილსა, ჩემს მუხლზე. კალთაში სულსა ამოგართმევე, კარგად დარწმუნებული იყავ ამაზედ: რად არ იცი, აქამდისინ, რა მქვიან მე? მე მქვიან გაუეითხავი მტარვალაი შენი, ისევე შენის სიყვარულით დასაყვედრი. (ამასთან უეცრად ჩაფიქრდება ცოტათ, შემდეგ) ეჰა, აღელდა სისხლი, ვედარ გავიგე რა რას ვანბობ. მოიცა, მოიცა სრულს გონებაზე მოვიდე (გულს რომ დაიშვილებს) მეტი სიყვარულის გამო, მეტის სულსწრაფობით,

იქნება იმ დროს გვენოს რამე ჩემგნით, ჯავრიანსა დროსა უეცრათა, მაგრამ ამასაც ვერ დაემალავ შენთან, ჩემი გული წრფელი არის. იმ დროს არ შეშინდე, მხოლოდ ეგ უპირატესი თვალები ჩემკენ გადმოატრიალე და საამოდ შამამხედე, რას მიზავს მე, როგორ დაასუსტებს ჩემსა მძლავრსა მტარეალებას შენი სიყვარული? ჩემი დასაკვლელი საჭურველი მოგე ხელში, რაღა გინდა? — აგრე შამამხედე, მოლბა შენი ბარბაროსი, ახლა შენი კრავი, საყვარელო!..

მ ე ლ ა ნ ი ა — რას მეუბნები, როგორ უბედავ ჩემსა ერთსა სიყვარულის საგანს, მაგ დაუხედავს სიტყვებს? ჩემი სიყვარული უბრალო აზრი ხომ არ არის გონებასა გადაეკრას, გადაურბინოს, ჩემი სიყვარული არის, ხედავ ამ გულს? ვინ არის ამ გულში ჩასახული? ვისი სიყვარულის მხატვრობაა აქა, შენ სარიდან?...

ს ა რ ი დ ა ნ — კარგი, ნულარ ჯავრობ, ჩავიხედე, დავინახე ექანდ გულში, მოტევენას ვითხოვ.

მ ე ლ ა ნ ი ა — კაცი ზდილი იგი არის; ქცევა მისი ასე იყოს, რომ არავის არ უთხრას: უკაცრავად, არამც თუ მომიტევე. რა ექნა, ხმაურობამ მიმახედა სანათურისაკენ. დავინახე მგზავრი ვილაც, მაგრამ თვალი ჩემი შენს გზას მოჰყვა, ისევე ჩქარა. ერთმანეთის სიყვარულის შური ორთავეს გვეკლამს, მეც აგრე ვარ. არ მიამის არა ქალის საუბარი შენთან, არა შენის მახლობლისა. ასე ვგონებ დავდნებოდე იმ დროს სრულად. საქმით სცნობენ ამას ჩემსას, თორემ ეხლა რა ვთქვა?

ს ა რ ი დ ა ნ — დაიჯერა ჩემმა გულმა, შენგნით წვრილი არის ესა. შენგნით დახვეწილი, დაძაფვნილი, მაგრამ მაინც მითხარ, რომლის მწუხარების ფიქრმა მოგიყუანა აქა.

მ ე ლ ა ნ ი ა — შენი ჰირიმე წარმოიდგინე, ერთის კვირის ჯვარდაწერილები, ერთმანეთის სიყვარულით გაგიყებულები, ეხლა უნდა გავიყარნეთ მე და შენ? (თავს გულზედ ჩაჰკიდებს, სარიდან მიიყვანს კლდეზედ, ჩამოსომს ამ სიტყვით).

ს ა რ ი დ ა ნ — სუსტო, გულით ლმობიერო ქალო. თუ შენი ქმარი გიყვარს, გული მოიბრუნე და ყურიც დამიგდე.

მ ე ლ ა ნ ი ა — აგრე იყვეს შენმა გაზდამ, თქვი, გავიმაგრებ გულსა.

ს ა რ ი დ ა ნ — (გაივლის, გამოივლის, ხან შედგება) მეტად კარგი და განუყრელი სიყვარული, ეხლა უნდა გაიგლიჯოს სიყვარული ახალი, ახლად შეთვისებული, ვით დაკოკრებული, ცოტად შლილი ვარდი კეთილსა ჰაერსა შეღიმოდეს, კეთილსა ჰაერსა, მაგრამ ბოლოს ცეცხლის ბოლი დაახრჩობს. გაიცინე, გაიკასკასე უზომო სიყვარულო! ვიცი პირდარენილი ვეფხვი შეგქამს ბოლო დროს (მობრუნდება) მელო, ტირი? აკი დამპირდი: გულს გავიმაგრებო, რად ტირი, მელო, რავდენი მე და შენისთანა მაგალითები ჰყოლია საქართველოს, საქართველოს შვილები, სწორედ გეტყვი; გესმის, არ შეიკრთო გული, თორემ მოსაწყველესა

ისარსა მკრავ. ორი რამ მიგვიძღვის ესლა მე და შენ, ბედნიერების გვირგვინი საქართველოსი, ან მორთული კუბო შემოსილის ხუცესითა (აქ საშინლად უეცრად დაიკვილებს მელანია).

მ ე ლ ა ნ ი ა — ვაი!

ს ა რ ი დ ა ნ — მე მოკლე სულო, უსუსურო, მაგას ველარ მოვითმენ, ეხლავ ხანჯალს გულში დაგცემ და მეც დაგაკვდები, ვფიცავ! (გაშფოთებული ხანჯალს ამოიღებს. ამ დროს ირაკლი, გივი და სხვანი ბევრნი მოვლენ, სულ საქურველით შეკურვილნი. ირაკლი ამას რო ნახავს, გაუქანება და სარიდანს ხელს დაუქერს ხანჯლიანს).

ი რ ა კ ლ ი — რას შვრები, სარიდან? რას ემართლებო ამ უმანკოს ჩემს სულიერს დას?

ს ა რ ი დ ა ნ — 'ებრად გაჯარებული ვერას ვაივებს). ეს უძლური ქალი, მანულსა ჰგმობს ჩემი სიყვარულისათვის.

ი რ ა კ ლ ი — გონებაზედ მოდი, შემამხედე!

ს ა რ ი დ ა ნ — ჩემო ბატონიშვილო, მომიტევეთ, ღმერთი გამარჯვებას მოგცემს. (ამობაში მელანია გონებაზედ მოვა).

მ ე ლ ა ნ ი ა — რათა მკლავ სარიდან! რას მემართლები! გგონია მე სიკვდილისა მეშინოდეს? მამკალ ჩქარა, სინანულის თვალებითა ნულარ მიყურებ (მასუან მიიხდავს და ირაკლის დაინახავს) ბატონიშვილო, ძმაო ირაკლი, უცხოს დროს მოხველ, შემოგჩივლებ კიდევ; კინალამ მამკლა ამ ჩემმა ქმარმა, გაუწყურ საქმის გაუჩხრეკელს ამას.

ი რ ა კ ლ ი — კარგი, მე შეგარიგებთ. მაიტანეთ ორთავე ხელი (გამოართმევს) აჰა, გადაეხვიენით ერთმანეთსა და შერიგდით ჩქარა (გადაეხვიეიან და შერიგდებიან) განა ვიამათ თქვე ეშმაკებო ჩემო დაო მელანიავე, ნუ სწუხარ, შენ ქმარს არ მოგაშორებ; ამ სამ დღეს უკან ალავერდს ჩამოდი და შენს ქმარს იქ ნახავ (ორნიც მივლენ და ირაკლიც გულზე შეიტკბობს ორსავე. შეხედვენ, ნახვენ რომ სარიდანს და მელანიას დედ-მამანი მოვლენ. სარიდანის მამა შემოსძახებს).

ო მ ა ნ — ღმერთი გადღეგრძელებს ბატონიშვილო ირაკლი, უარს ნუ გვეუბნები, აი სულ მზათა ვართ, ჩვენც გეახლებით, გეხეწებით და გვედრებით. (ახლა მელანიას მამა).

რ ე ვ ა ზ — შე დალოცვილო, ბარემ წყალში გადაგვყარე. შენს მზე-სა ვფიცავ, თუ არ წაგვიყვან, ძალათ წამოვალთ. მე და ეს ჩემი მძახალი ომან გავიფიცენით — უნდა წამოვიდეთ უთუოდ.

ი რ ა კ ლ ი — აქ მეფესთან ვილა იქნება, თქვე კურთხეულებო?

რ ე ვ ა ზ — ბევრნი ჩვენისთანანი.

ო მ ა ნ — და უფრო კიდევ უკეთესნი.

ი რ ა კ ლ ი — (ებჯვის ომანის ცოლს). ომანის მეუღლეო ბარბარე, თქვენ რაღას იტყვით?

ბ ა რ ბ ა რ ე — შენი ჰირიმე, წაიყვანეთ ორივე, თორემ ველარ მოის-
ვენებენ სახლში.

ს ი დ ო ნ ი ა — თქვენს მზეს ვფიცავ, მე და ჩემი მძახალი ბარბარე
იმისათვის ვიხებელით, გთხოვთ წაიყვანოთ ორივე, რას ბრძანებთ, ბატონ-
ო? წაიყვანეთ, შენი ჰირიმე, ჩვენი მამული ტირის უბედურობით.

ი რ ა კ ლ ი — კარგი, წაიყვან ორთავ. (უეცრად დაინახავენ სარიდანს
და მელანიას. სარიდანის მამა ომან ეტყვის სარიდანს).

ო მ ა ნ — შენ, დიახ, კარგი სარიდან, ეს ჩემი რძალი მელანია აქ
რას აკეთებს?

ბ ა რ ბ ა რ ე — თავის ქმარს გამოჰყოლია უთუოდ.

ი რ ა კ ლ ი — ოთხთავე გთხოვთ, ეს ჩემი სულიერი და მელანია, ამ
სამ დღეს უკან ალავერდს ჩამოვიდეს თავის ქმართან.

რ ე ვ ა ზ — ბარბარე და სიდონიავ, უთუოდ გამოისტუმრეთ.

ს ი დ ო ნ ი ა — დაუქიწყარო და კეთილო ბატონიშვილო! აგრე
იყოს შენმა მზემა. (ამ დროს დედოფალი თავის ბანოვნებით, სასულიეროს კრე-
ბით და ხნიანის ქართველებით მოვლენ. ერთს მღვდელსა ლეთისმშობლის ხატი მოაქვს
ორის ხელით. ამ მღვდელის გვერდით დედოფალს პატარა ძელიკეშმარიტი ხელში
უჭირავს სხვადასხვა ნაწილებით სავსე, ოქროს ძეწკვიანი და სხვანი უკან მოსდევან
ამათ).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — შვილო ირაკლი, ერთობით მოვსულვარ შენთან,
გვინდა გზა დაგილოცოთ, თუმცა საშინელი განსაცდელის გზა, მაგრამ
შენის უბედურის ძმების გამოხსნისა არა ერთის ბარბაროსებისაგან,
არამედ რავდენთაგან. შვილო, მიიღე ლოცვა-კურთხევა ჩემი დედობ-
რივი, დედისაგან გამომეტებული სრულის გულით. ამ ჩემ ძელიკეშმარ-
იტსა, ნაწილებით მოქედილსა, ყელზე ჩამოგკიდებ.¹ (ირაკლი დაიჩოქებს
და დედოფალი ჩამოაკიდებს). ეს გიძლოდეს სისხლისღვრაში, ირაკლი. იმ
ჩვენი სისხლის მსმელების ომებში, რომელთაცა ქართველების ამოთხრა
უნდათ საქართველოთგან ძირითურთ. წადი, ნუ დაზოგავ თავსა ნურას
გაჭირვებაში. ასე გაშფოთებული ვარ უწყალოს ჩვენის მტრებისაგან,
რომ აღარ კვნესის ჩემი გული (ირაკლი მარჯვენას ხელს გამოართმევს თავის
დედას და თავისთავზე დაიდებს).

ი რ ა კ ლ ი — ჩემი აკვნის მოჭირანახულე ხელი ესე, როგორც მი-
მიკრავდა მე შენს გულთან შეთვისებულს და დღედაღამ მიყვებდი, მე
ყმაწვილსა ამომტირალს შენის კარგის ნანით. ის შენი წმინდა ნანა, ის
შენი მშობლიური სიყვარულის ღამისთევანი იყოს ჩვენი, ქართველების
წინამძღოლი, ჩვენო ქართველების ანგელოზო, მფარველო! წავალთ და
გავვიძღვება მადლი შენი დედავ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩემი მადლი, შვილო? არა, მხოლოდ ლმობიერი
ცრემლი, მხოლოდ გულმხურვალე ვედრება ღვთისმშობლისა ამის წი-
ნაშე; მოდი, დაემხე-მოგცეს შემწეობა (მოვა და ლეთისმშობლის წინ დაიჩოქებს).

¹ ის ძელიკეშმარიტი ეხლა მე მაქვს, მაშინ ფშველებში რომ მიუცია დედას.

მღვდელი ზაქარია — (მეფის სახლის მოძღვარი. რომელსაც უკირავს ლეთისმშობლის ხატი) სად წარხვედ დიდებო ჩვენო ქართველთაო! რად ბნელდები ქართველთ მეუფების ანთებულო ხომლო და მისხმულთა წმინდა ნათელთაგან გაბრწყინებულთ არეო ჩვენო! სად იყო ჯავრი მოწყენილობით ჩვენს ბედნიერს სიხარულთან? სადა მწუხარება სიმწარითა ჩვენს სასიცოცხლოს მხიარულებასთან? დიდო განსხვავებულთ უქმე დღეო ჩვენო! რომელი ქართველი და მღვდელი გადმოდგება ამბიონზე შემოსილი, სრულის კმაყოფილების სახით გადმოიძახებს ეკლესიაში — ქრისტე აღსდგა! ვინდა უხმოს სადღესასწაულთ ხმითა — ქეშმარიტად! დაეცა ყოველი ჩვენი კარგი ქართველებისა. ვინდაა ჩვენსა ნაცვლად საქართველოში? — ბარბაროსი მტერი!.. მოწაფეო ჩემო ირაკლი, ეხლა ჩახვალ ბარში, ხოლო რას ნახავ იქ? ვაი! შაოსანთა დედაკაცთა გულხელდაკრეფილთა და წვერათა ბერკაცებსა საკინძთ ჩამოწყვეტილთ, რომლებიცა აღავლავდებიან შენ წინაშე მტრებზედ. მაშინ გაიმაგრე გული. ახლა კი წარვედ ირაკლი, წარვედ შენის ქართველებით, ამ სასწაულმოქმედის ხატის წინამძღოლობით! (ირაკლი და სხვანი დამხოზიან, მღვდელი განაგრძელებს) დედოფალო სიწმინდისაო! ცოდვას ჩვენსა ნულარ დაგვიძძიმებ, ეყო შავნი ჭირნი შენსა ქართველებსა, კარგი, ხელი მოგვე შენი წმინდა გულკეთილი, დაგვადგინოს უფლებისა საყდარზედა კვალად. კარგი გვაჩვენე შენი საქართველო კიდევ. საქართველოდ. ოჰ, სიხარულო, მაშინ!...

(ირაკლი და სხვანი წამოდგებიან მოწიწებით. ამ დროს მალა მთიდგან მთების დედაკაცები ჩამოდიან საჩქაროდ და თავის წვრილი შეილებსათვის ათი წლისა ანუ თერთმეტისათვის ხელი წაუვლიათ ხელში და ერთად მოეშურებიან. მოვლენ და ირაკლის მოეხვევიან მუხლებზე).

მთის დედაკაცები თავის შვილებით — შენ გენაცვალოს ჩვენი თავი ერეკლე, ჩქარა წადი, საქართველოს მიეშველე, თორემ იმხოზა, მიეშველე, შენი კენესამე. ჩვენი მთის ჯარებიც ეშაადებიან ბატონიშვილო. ჩვენს კაცებს ნულარც ერთს ეულარ გამოუშვებთ, იინამ მტრებს ბოლო არ მოულონ, აქეთკენ პირი არა ქნან, თორემ ჩვენს ლეჩაქებს თავზე დავახვევთ ბატონო.

ირაკლი — აი, აი, მივდივართ.

ყველანი ერთპირად — ღმერთო! შენ გაატანე შენი მოწყალეობა ერეკლეს და იმის ქართველებს გამარჯვებისა.

ესენიც სულერთიან — მშვიდობით, ნადირებისათვის ჩვენი ლეში, ან აღდგენა ჩვენის მამულისა. (ამას იტყვიან და კიდევ გავლენ. აქ ირაკლის დებს გული შეუწუხდებთ და თავის დედის გულზედ — ერთი მარჯვენა მხრით და მეორე მარცხნით მიუსვენებიან; ამ დროს ნახავენ — მთიდგან ჯარები ჩამოდიან და ესენიც დაიძახებენ).

მთის ჯარები — გაგვემარჯოს, ან ყორნებსა ჩვენი მძოვრი.

ფარდაც ჩამოეშება.

მეორე მოქმედება

ცარა ახდება. ალავერდია ეკლესია გამოიწვევს, ეკლესიის კარების მახლობლად, ერთი დაკუთრებული ყმაწვილი კაცი თავადიშვილი ზის ქვეშევრდები და თავით უზის ხნაინ გამდელი.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი — ჩემო გამდელი გამირისეულო, ამდენმა თრევამ წვიმა-წუნწუნში და ყინვებში ხეტებამ, ვინ იცის სად და სად, მთებზედ თუ ბარში, ამ მდგომარეობაში ჩამავდო, ასე დამაკუტა. რა იყო მტრის სისხლის ღვრით გავძლე მეთქი. ბევრჯელ ტურასავით წვრილმალთანს ტყეში ვეგდე და ორს სამს დღეში ერთხელ, მადადაკარგული, ცარიელს სმელს პურს ვლრდნიდი ძალსსავითა, ისიც იმისთვის, რომ მშვიერი არ მოვკვდე-მეთქი. რისთვის ვითმენდი მე ამებეს? ახ! უბედურო ჩვენო მამულო, სულ შენთვის. აღარ შემოძლიან განა? იი, ჩემო ყმაწვილკაცობავ! შესაბრალისი ჩვენი საქართველო, ეხლა მე მგავს სწორედ. ხელებს იქნევს, აი ასე ჩემსავითა და ადგომა კი აღარ შეუძლიან, კიდევ ჩემსავითა. საქართველოვ, საქართველოვ! ერთად ვკვდებით მე და შენ ერთის სენით დაკუთრებულები, ცოდონი არა ვართ, რომ ხელგამოუღებელნი დავიხოცნეთ ორნივე სიკუტითა. მერე ვინა? ვაჟკაცი საქართველოს შვილი ბესარიონ და ძლიერი საქართველო, სიმხნით თავმოწონებული! ალავერდო, დაიქეც, ან არა და საქართველო გაამთელე, თორემ შენს ტაძარში ფერფლი ჩაიყრება მტრისაგან, შენის ქართველების ჩვენს დასაყვედრად (აქ თავს ჩაჰკიდებს დაბლა დაღონებული, მასუკან კიდევ ახედავს). ჩემო გამდელი, აგერ აიქ კედელზე ჩამოკიდებული ჩემი იარაღი, მოიტა ჩემთან. (მოუტანს სიჩქარით). ის ბარი კედელზედ რომ აყუდია, იმითი ამ ჩემს მახლობლოდ მიწა ამოთხარე! (სთხრის) კარგა ღრმით რომ მოთხარო, ეგ ხმალი შიგ ჩაფალ და მიწა მიაყარე ზედ. (ჩასდება და მიწასაც მიყარის) ჩემო საყვარელო გამდელი, იცი რა ამბავია?

გ ა მ დ ე ლ ი — უთუოთ ასერთი მტერი მოგიკლავს მამულისა შენა?

ბ ე ს ა რ ი ო ნ — მერე როგორ? სულ ვაჟკაცურად, პირდაპირ და არა ხის უკან ამოჯდომით. ჩემი და შენი სისხლი ავიღე მგონია და მამულსაც ვემსახურე საკმაოდ?

გ ა მ დ ე ლ ი — მამაშენის ანდერძი აღგისრულებია. მაგრამ, ნუ კი გეწყინება, იმან ორი ხმალი დაამარხვინა.

ბ ე ს ა რ ი ო ნ — მეც შევასრულებდი, მაგრამ რა გაეწყობა, დავკუტდი.

გ ა მ დ ე ლ ი — ნუ სწუხარ, კარგს სიზმრებში ვარ, ამ ეკლესიის მაღლი გაგამთელებს.

ბ ე ს ა რ ი ო ნ — მეც მაქვს მაგისი იმედი, რომ კიდევ ვემსახურო

მამულს, მაგრამ ვინიცობისათვის, ეს ჩემი თოფი, იარაღი შეინახე, თუ მოკვდები, ეგ იარაღი ჩემს ცოლს კეკეს მიუტანე: ჩვენსა სამის წლისა ძესა გიგას შეუნახოს, მასუკან იზან იცის.

გ ა მ დ ე ლ ი — გაყვედრი, რად გაგზავნე შენი ცოლ-შვილი ქართლისაკენ, რად მოიშორე, რომ ახლა მაგას ამბობ?

ბ ე ს ა რ ი ო ნ — თავის მშობლებმა გაიწვიეს და რა უნდა მექნა? მეორეც ეს რომ, საშინელი შიშია ეხლა კახეთში: გაღმა მხრის გლეხი კაცნი გაგვიოსმალდნენ სულერთიან. მაგრამ ჩვენ თავადაზნაურნი ვდგევართ მამაპაპისებურად მაგრა და ვერც შეგვირყვევენ გულსა, ვერას საშინელებაში. აბა ახლა რა ვქნა, ბევრი ლაპარაკი აღარ შემიძლიან, დავიღალე. მოდი უკან შემიჯექ, ცოტად წამამსვი, მცირედ ვილოცო.

გ ა მ დ ე ლ ი — კარგსა იქ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ილოცე, ამ ეკლესიის მადლი გამოგიხსნის შენმა გაზღამ. (მთა, უკან შეუჯდება და ცოტად წამოსოფს).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — (უკლებს განხრობით) ჩემი ვეცდრება ამის მეტი არა არის რა, რომ ჩვენის მანულის მტრების ჭავრსა ნუ განატან საიქიოს, ნუ ჩამაყოლებ საფლავში. ღმერთო! თუ ეს უსამართლო შეწუხება იყოს შენი, დიდსა განკითხვისა დღესა, უდიდეს ცოდვად დამდე კისერზე ეს ჩემი თხოვა, ეს ჩემი ხვეწნა. ამაზედ მეტს აღარას დავიჩივლებ შენთან. ჩემო გამდებლო, ახლა კი მიმასვენე ბალიშზე, ძილი მამდის. (მთესვენება და თითონ გადმოვა აქეთ. ამ დროს ერთი ღნაინ ბერი მოვა და იკითხამს).-

ბ ე რ ი ი ო ა ნ ე — გამდებლო, ეხლა როგორ ბრძანდება ბესარიონ? ალავერდელი იკითხამს მაგათ ამბავს.

გ ა მ დ ე ლ ი — მოკითხვისა დიდი მადლობა მამაო იოანე. აქამდის არა ეტყობოდა რა, მეტად სტკიოდა მიუხლები და უძილოთაც იყო. ეხლა მეც არ ვიცი რა არის? უცბოა ჩაიძინა და დიახ კარგათაც ქშინავს. რაც აქ მამიყვანია, ამ აღს დღეში ჭერ ასე მოსვენებით არ ყოფილა.

ბ ე რ ი — ეგენი სულ კარგი ნიშანია გამდებლო, ღვთის მოწყალებით კარგა შეიქნება, ნუ სწუხარ, და თავისებურად რისხვა ღმრთისას დასცემს კიდევ მტერსა. მაგრამ მაგისთანა ძლიერი ყმაწვილი კაცი რად ჩავარდა აგრე კუტად? რა იყო მიზეზი? მიაჩნებ, ალავერდელს მოვახსენო, ილოცოს მაგისთვის.

გ ა მ დ ე ლ ი — რაც შევიძლებ მოკლედ მოვახსენებ, თავი არ შეგაწყინო.

ბ ე რ ი — მეც ყურს დაგივლებ გავიგონო კარგად.

გ ა მ დ ე ლ ი — საწყალი ამის მამა და თხუთმეტი იმის სახლიკაცები, სულ მტრის ხელით დაიხოცნენ სხვადასხვა ომებში. ეს რომ თავს მოესწრო, ამის დედა აჩქარდა: ერთი შვილი მყავს, ჭვარი უნდა დაეწე-

რომ, რომელმაც დააქორწილა და ქართლიდგან მოაყვანილა კარგი გვარის ქალი. ერთს წელიწადს უკან ღმერთმა ვაჟი მისცა, ამასთან ამის დედის ძმა ომში მოკლეს და ამის დედაც მწუხნარებამ გადაიტანა საწყალი. ეს კიდევ არაფერი, ეს როგორც იყო მოითმინა, მაგრამ ამის თხუთმეტი წლის დაი, მალა ჭიხურის მოაჯირზე იჯდა საღამოეამს და კარგის ჰაერით სიამოვნებდა. ეს იყო გაღმა მხარს, თავიანთ სოფელში. ამ დროს საღ იყო და საღ არა ვენახიდან თოფი გამოვარდა ლეკისა და ის საწყალი ქალი გადმოვარდა ქვემოთ მკვდარი. ეს კი ველარ მოითმინა. ზედღატანებით, ამის ცოლსა ქართლიდგან ძმა მოუვიდა და თავისი ცოლი იქ გაისტუმრა საჩქაროდ. ის რომ გაისტუმრა, ამან თოფ-იარაღი შეისხა გულჯავრიანმა და მარტოკა შევიდა ტყეში. რაღა გითხრათ, ორი წელიწადი სდია ჩვენსა მტერთა და იმათი სისხლი ღვარა კარგად. მხოლოდ კვირაში ერთხელ შინ მოვიდოდა, გუდით პურს აიკიდებდა და ტყისაკენვე გასწევდა. მეც მამულის მტრების ჯავრით ხელს უმართავდი, მაგრამ ამ ორი თვის წინათ რას ყოფით მთიდგან ჩამოვიდა, თოვლში გდებისაგან გათოშვილი და კუტად ჩავარდა ქვეშაგებში. რავდენი წამლობა, რავდენი მოვლა; არა ეშველა რა; ბოლოს სიზმარში ერთმა მოხუცმა კაცმა მითხრა: ალავერდს მოიყვა, კარგად შეიქნებაო. მოვიყვანე და ეხლა ვნახოთ ამის სასწაული რასა იქს? (მძინარეს გადმოხედავს) აცა, აცა მამაო იოანე, აქამდისინ სულ გაციებული ჰქონდა ტანი, ახლა ოფლის წინწყლები დააყარა პირზე, ეტყობა ოფლი სდის კარგი. (ამ სიტყვებზე ეკლესიისაკენ) წმინდაო ეკლესიაო, აუარებელისა სასწაულის მოქმედო! ეს ჩემი გაზრდილი გაამთელე, წამოაყენე ფეხზე, რომ კიდევ გამოადგეს ქვეყანას ჩვენსა (ამას რომ იტყვის, ბესარიონ წამოვარდება, ეკლესიის კარებთან მიიჭრება და თაყვანსა სცემს).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — შენი მოწყალეობა, შენი სასწაული შენმა მადლმა! (ბერი ამას რომ ნახავს. სიხარულით გაეშურება ამ სიტყვით).

ბ ე რ ი ი ო ა ნ ე — წავიდე ალავერდელს ვახარო ეს სასწაული (და წავა).

გ ა მ დ ე ლ ი — (თაყვანისცემით) ოჰ! ახლა კი იმედი მაქვს საქართველოც გამთელდება. (ბესარიონ საჩქაროთ გამდელთან მოვა და გამდელიც ფეხზე დახვდება).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — ჩემო გამდელო, ამ ეკლესიიდგან ერთი მრისხანე ვაეკაცი გამოვიდა, მარჯვენეს ხელში შუბი ეჭირა და მარცხენეს ხელში, ერთი თხუთმეტის წლის ყმაწვილი მოჰყუანდა. მოვიდა, მითხრა: ნუ სწუხართ ქართველებო, აი, ეს პატარა ბიჭი გამოგიხსნითო. ამასთან მტაცა ხელი: ადექით ქართველებო, ნულარა ხართ დაერდომილათო. ეს

რომ თქვა, მეც წამოვხტი და ეკლესიას თაყვანი ვეც; ვიცი რაც ჩვენება იყო ეს სიზმარი, მაგრამ ის პატარა ბიჭი ვინ იქნება, ვინ უნდა იყოს ნეტა მითხრა?

(ამას რომ იტყვის, მერე გამღელი გაფაციცებით).

გ ა მ დ ე ლ ი — ოჰ, რაღაც გრიალის ხმა მოდის! (ყურს დაუვლდება).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — გრიალი და ცხენთა ჭიხვინიცი.

გ ა მ დ ე ლ ი — ვაი თუ ოსმალოს ჯარი აქაც მოგვიხდა? (გაეჭანება და შეიხედავს) ღმერთო დაგვიფარე! ერთი რაზმი შემოვიდა ჯარისკაცნი ამ გალავანში დაქვეითებულნი.

ბ ე ს ა რ ი ო ნ — უთუოდ მოყვარენი უნდა იყვნენ, თორემ მტერი ვერ გაბედავს აქ მოსვლას, მეგალაუნეების შიშით. (ბესარიონ წაღება წინ, შეხედავს) რასა ვხედავ! სიზმარში რომ ვნახე, ის ყმაწვილი ბიჭი მოდის, უკან დაიარაღებული. საომრად მომზადებული დასი მოსდევს. დასი, მერე რა დასი? თვითო კაცი ლომსა გვანან და ყველანი პატივისცემით მორჩილებენ პატარა ბიჭს. გამდელიო, უკან დავდგეთ აი, მოვიდნენ და კრძალვით თაყვანი ვცეთ.

გ ა მ დ ე ლ ი — ჭა, გენაცვა, მამე ქვეშაგები ავილო (საჩქაროდ გაარბენინებს და თვითონ იავე შემოვა. ამ დროს ისინიც მოვლენ, ბესარიონ გაეჭანება იმ პატარა ბიჭის წინ ცალს მუხლზე დაიჩოქებს ამ სიტყვით, და გამღელი მოშორებით დადგება გულ-ხელდაკრული. გამდელს შუები აცვია).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — არ ვიცი, შენ პატარა ბიჭო, ვინა ხარ? საიდგან ვინ მოგავლინა ჩვენის ქვეყნის გამოსახსნელად, რომელმაცა ეხლა სიზმარში წარმამიდგინა წმინდა გიორგიმ ეს პატარა ბიჭი გამოვიხსნითო ქართველებო.

(გივი წაღება წინ).

გ ი ვ ი — ბესარიონ, გიცნობ მე შენ. ეს ბრძანდება ბატონიშვილი ირაკლი, მეფის თეიმურაზის ძე.

(ბესარიონ თაყვანს სცემს).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — მშვიდობა შენი მობრძანება ირაკლი! შენი ფეხი კარგი იქნება უთუოდ. აქამდისინ რაც ვიყავ, ერთი ათად შევიქნები ეხლა და სხვა ქართველები ხომ რასაკვირველია. გვინდოდა წინამორბედი და ღმერთმაც მოგვცა. ახლა ჩვენ ვიციტ ვაუკატ ქართველებმა!

ი რ ა კ ლ ი — (ხელს დააულებს. წამოაყენებს) ძმაო ბესარიონ, განა კენესით, სწუხარო ქართველები? დედიჩემის ძუძუებზე დავიფიცე: ჩემს ერთს მუჟა სისხლსა არ დავიშურებ არას საშინელსა ომში, შუაგულს ცეცხლში მე უნდა ვიყო. მე ვიქნები ყველგან მსხვერპლი მამულისა.

(ბესარიონ დაბლა თაყვანსა სცემს).

ბესარიონ — და ჩვენც თავდადებით დაეხმობებით თქვენ წინაშე მამულისა ძეო!

ირაკლი — მაშ მვიმართოთ ამ ჩვენ მამაპაპის ეკლესიას, ჩვენი გულის მოსაოხად (მეც და ეკლესიის წინ დაიხმობს) დიდო მიუწუთმელო ღმერთო! შენის განგებით აღიმართა ეკლესია ესე, ქრისტიანობისა ეთილისა სასწავლებლად, მაგრამ სადღაა გალობანი შენი სადღესასწაულო ეკლესიაო, ის ვულისმსალბუნებელი გალობა და ის დიდებანი შენნი! ვინდა იტყვის კანანახსა, რომელი მგალობელია ჩამოართმევენ იმ ვამოთქმათა საბედნიეროს ხმითა? სიხარულის ნაცვლად შენს ეკლესიაში ცრემლი იღვრება განა? ცრემლი, ცრემლი ამოწყვეტილ საბედულობისა, რომელნიცა მოსწყვიტნეს მტერთა. ქართველების დედანო, შოოსანო, დაეციო ზარი სიკვდილისა, ზარი ქართველთ საფლავებზე, თმაწიწით რომ დასტირით კარგნი დედანი კარგსა შვილებსა.

გამწარებაო ქართველთ დედებისაო, ღვთის წინაშე არტიეთ გული, ასე მტკივნეულად, რომელ მისი გულიც აატკიოთ ქართველებისთვის. (მამათან ამოიღებს და შიშველს ხმალს ეკლესიის კარებზე მიყუდებს) ვის დაეყვედრო ეს ხმალი. ჩარხზე დადებული, გაღესილი მკრელსა პირზე? ისევ პირს კლიტე დავადო, ასე სჯობია. ეს ხმალი რავდენჯერ უნდა სისხლით შეიღებოს, ჩემსავით ადამიანის წითელის სისხლით. ვინ იცის, იქნება იმ ჩემმა მოპირდაპირემ დამასწრას, სულერთია, მაინც მოკვდა ადამიანი უსამართლოდ. სხვა საშვალობა რომ არა გვაქვს ქართველებსა, მაშ რა ვქნათ, რით გამოვიხსნათ თავი იმ ჩვენის სისხლის მსმელების მტრებისაგან, თუ არა ქართველების გაღესილის ხმლითა. (მობრუნებით ქართველებისაკენ) ძმებო, ქართველებო! მოდიოთ დაიჩოქეთ და შიშველის ხმლების წვერებზედ შუბლი დავაყრდნოთ. (მივლენ დაიხმობენ და ამოღებულს ხმლებზე შებლს დააყრდნობენ ირაკლითურთ) გავიფიცნეთ ამ ეკლესიის წინ: მტერსა ხმალი ან ქართველთა სისხლისღვრა.

ერთიან ქართველები — (დამშვიდებულის ხმით). გავიფიცეთ სიღრმეს გულში. (ადგებიან და ხმლებს ქარქაშს მაქცევენ, მასუჯან ირაკლი გამდელთან მივა).

ირაკლი — დედავ შოოსანო, ვინა ხარ შენ?

გამდელი — მე გახლავარ ამ ბესარიონის გამდელი.

ირაკლი — გამდელო, ვისგნით დაგდგომია მწუხარება, ვიზედ გაცვია შავები?

გამდელი — ჩემო ხელმწიფევ! მამა მყვანდა ომში მოკლეს მტრებმა, ჩემი ქმარიც ომში, ექვსი ჩემი ძმა კიდევ ომში, ორი მოსწრობილი ჩემი შვილი — ისინიც ომში. ბოლოს დავრჩი ერთი ღერი დედაკაცი უშვილო, გულგაყვრებული მტრის ჭავრით. რაღა უნდა მექნა: ავდექ ამ ჩემის ბატონის სახლში შემოველ და ეს სამი წლისა მე გავწარადე ამ დროულს ყმაწვილკაცად დიდის კირნახულით, მაგრამ აქა

არ მამეშვა ებედურება: ამ ბესარ-ონის მამაც ონში მოკლეს, ამის დედის ძმაც ომში, ამის დედაც მწუხარებამ მოკლა, ამის დასაც თოფი ჰკრა ლეკმა და თხუთმეტ-ს წლოს ქალმა ჩვენ წინ დალია სული. ესენი რაც მოგახსენე, სულ ჩემის ხელით დამარხულან მიწაში და აი ამათზე მაცვია შავები ბატონიშვილო ირაკლი! (და საცოდაოდ :ტირდება).

ირაკლი — (გაივლის გამოივლის შეწუხებით). ოჰ! რა ძნელი გასაგებია ეს ამბავი! (და მთრედ ჩაფიქრდება. მას-უან გამდელისაკენ) გამდელო, კიდევ არიან ქართველები საქართველოში? რაც დაბოცილან მტრის ხელთ რაც ტყვეთ წაუყვანიათ, იმის გარდა კიდევ?

გამდელი — არიან, მაგრამ მტრისაგან დაჩაგრულნი.

ირაკლი — მაშ, თუ არიან, აღარ ვწუხვარ. ის ჭაჭეებზე დაბმული ლომები ადვილად დასწყევტენ რაზედაც დაბმულან და კანჯართა მოეტევიან თავისებურად. ლომი ისევ ლომია და თავის გვარს არ დაჰკარგავს არას საშინელსა შემთხვევაში, თორემ ჩქარა ნახავ შენის თვალით.

გამდელი (მუხლებზე მოეხვევა). შენამც გენაცვლება ჩემი თავი. ასეთი სიტყვით და მით ბრძანეთ რომ, მჯერა ყოველი ეგ.

ირაკლი — მაშ თუ გჯერა, ეხლა საქმეც გაიგონე.

(თათბირი. ირაკლი ორბეზე დაჯდება ნოკილი და სხანც აქუ-იქით დაესხდებიან).

ირაკლი — აბა რა ექნათ, როგორ გამოვიხსნათ საქართველო? ქართლი, სომხითი ოსმალთ უჭირავთ და იმათი მცხოვრებნი უკანასკნელს მონებაში ჩაცვივნულან. ასეთს მონებაში, რომ ხელის გაძვრა არავის შეუძლიან უოსმანოთ. კახეთი ხომ ეს არის, ოსმალ-ლეკის ჯარი გაღმა მხარში და ქიზიყში ჩამდგარან და ჩვენ საუბედუროთ, ის ჩვენი გლეხნი იმათ აპყოლიან. აქ რაღა დარჩა. რომელი მხარე საქართველოსი, რომ იმითი ადვიდგინოთ კიდევ საქართველო? ეს თელავის მხარეც ხომ სულ სიმაგრეებშიც და ციხეებში დანიზნულან, აბა ახლა რას იტყვით, ამ უბედურობაში გაბმული საქართველო, ვითლა წამოვავყენოთ? (ყველანი ღრმას დუძილში ჩაცვივიან და ბოლოს თავს აღდებენ).

რევაზ — ვითლა უნდა წამოვავყენოთ? თავები წყალში უნდა გადვიყაროთ, ამის მეტი ღონე აღარა გვაქვს.

ომან — ნეტავი ის თავად პირველ დედის ჩემის მუცელში გავწყალელებულიყავ, ეს ხმები კი არ გამეგონა ქართველებისა.

გივი — რად იწყენ თავსა ბატონიშვილო, დაბიზნულსა კახეთის ჯარსა მოვკრებ, მთების ჯარებიც ხომ ჩქარა გიახლებიან, იმ ჯარებით გაღმა მხარში გავალ და მასუკან, რაც ღვთის ნება იყოს, ის მოხდეს.

ირაკლი — ჩემო მოჰირანახელე გივო, გაღმა მხარის კახელები ასეთს მდგომარეობაში არიან ეხლა. რომ თვით ისინი გეომებიან და აღარ დააცლიან უცხო შემოსულსა თესლსა. აბა ახლა გავშინჯოთ: ქარ-

თველობამ რომ ქართველი მოკლას, ჯერ მე დაგიმადლებ?! მე რე ან
ნომავალი ჩვენი შვილიშვილები რას იტყვიან ჩვენზე? *ღლა ზღს*

ბესარიონ — ჩემო ხელმწიფევე! მაინც აქამდისინ გაღმა მხარში
დავეხეტებოდი და გევედრები ნება მიბოძო ეხლაც წავიდე, კიდეც და-
ვიბანო ჩვენი მტრების სისხლით ხელები.

ირაკლი — მაიცადე ჩემო ბესარიონ. ბევრი გაჭირვებული ამ-
ბავი გვიძევს წინ.

სარიდან — ღმერთი ვაღდეგრძელებს, ჩქარა წავიდეთ საომრად,
ამ შოსანს დედაკაცს რომ უყურებ, სული მეღევა აგებულობაში, ამის
შოსნობა საქართველოს ძაძების ჩაცმა ბატონიშვილო.

ირაკლი — საყვარელო სარიდან, ეს უნდა კარგათ იცოდე, თუ
ავჩქარდებით, აჩქარებით ვერას გავაკეთებთ. დამშვიდებით კი მალე,
მაშასადამე მოვითმინოთ კიდეც.

ერთპირად — გვიბრძანე ძეო მეფისაო ერეკლე, მაშ რა გნე-
ბავს.

ირაკლი — (წამოღება და სხვანიც *ერეკლე*) იმათ, იმათვე უნდა იზლ-
ვიონ თავი, იმ შემცდართა ქართველებმა, რომელნიცა გაუდგნენ თავის
მამულს. გავიგონე ოსმალური ტანისამოსი ჩაუტომთ თურმე, ქიზიყ-
გაღმა მხრელთა, შესაკდემელი კაცის ტანისა, ის უკადრისი განახევრე-
ბული ტანისამოსი თვით იმათვე უნდა მოიტანონ აქა და, აქ ჩვენ თვალ-
წინ, ამ თონეში ჩაყარონ. და თვითონვე წაუქილონ ცეცხლი. მაშინ და-
ვიჭეროთ, რომ კიდეც დაგვიბრუნდნენ იგინი, თორემ მინამდისინ ნუ
ვენდობით იმათ.

გივი — უცხო და გონიერი სიტყვა ბრძანე ბატონიშვილო. მაგ-
რამ მაგას რაღა შეუდგეს?

ირაკლი — ჯერ ღმრთის შემწეობა და მასუკან კაცის სიმხნე,
ჩემო მოჭირნახულე გივო, შენ და ბესარიონ გაღმა მხარში უნდა გახ-
ვიდეთ და თქვენ ქიზიყში ჩახვიდეთ რევაზ, ომან. უფროსი კაცები შე-
მოიკრიბეთ, იმათ შუაში ჩადექით და ჰკითხეთ: რა ქნეს, რად გაუდგნენ
მამულს? ყოველს შეცთომილებასა, შეცთომილება ჰქვიან, მაგრამ რა
გვარს შეცთომილებას? გზაზე მივიდოდა კაცი, გზა შესცდა, ესეც შე-
ცთომილებაა. ტყვედ გაყიდა კაცი, ვაი სირცხვილო, ამისთანა კაცსა
სიტყვა როგორღა უნდა უთხრან? ამისთანა კაცი ასე უნდა მოკედეს,
რომ თავის სიცოცხლეში და სიკვდილის დროსაც ხმა არავინ გასცეს.
სასჯელი მოღალატესი ეს არის. ნამეტნავად მამულის მოღალატეს რა
უნდა მოუვიდეს? არ უნდა იყვეს საზღვარი, როგორ გარდახდეს იმას?
ახლა წადით, ჩემაგიერ უთხარით იმათ, თუ ერთი წამის უფიქრალი შე-
ცთომილება იყო მიეტყვებათ, თუ განძრახვით და ნულარ მოვლენ ჩვენ-
თან. ეს არის ჩემი სიტყვა და სიმტკიცე ჩემის ხასიათისა.

გ ი ვ ი — წვეალთ და წაგვეყვება სიტყვა ეგე. იმათ დასაბრუნებლად (და გავლენ გივი, ბესარიონ).

რ ე ვ ა ზ — მაგ სიტყვების შემდეგ ჩოქით წამოვლენ ბატონიშვილ-ლო.

ო მ ა ნ — არამც თუ წამოვლენ, იმედი მაქვს იქვე გადაუწყვიტონ საქმე თავის მტრებსა (ესენიც წავლენ).

ი რ ა კ ლ ი — (მასუკან მიუბრუნდება სარიდანს). მე და შენ რაღა სარი-დან.

ს ა რ ი დ ა ნ — ჩემი თავი თქვენ სანაცვლოდ.

ი რ ა კ ლ ი — მოთმინება კიდევ და შენ სარიდან. შენ უნდა დახიზ-ნულებთან წახვიდე, იმათ შემოუარო და უთხრა ყველას—ქართველს არ ეკადრება დამალვა. ქართველო ხმალი! წინ გვიდგას მტერიოქო. ჯველანი სახლებში ჩამოვიდნენ, ნულარ ეშინიანთ და თავკაცთ კი, აქ მოვიდნენ ჩემთან ჯარად. ვინცობაა თუ გაღმა მხრელებმა უარი გვი-თხრეს, აქედგან გაუძლები ცეცხლში ჩვენს ჯარს და კიდევ შევაჯრწუ-ნებთ იმათ.

ს ა რ ი დ ა ნ — ვინც თქვენს სახელს გაიგონებს, ნამეტნავად თხუ-თმეტის წლის ბატონიშვილისაგან ამ ამბებსა, ყოველი ქართველი შენ წინ მოკვდება ძეო მეფისაო (თავს დაუკრავს და წავა. ის რომ წავა იოანე ბერი შემოვა და მოახსენებს).

ბ ე რ ი ი ო ა ნ ე — ოსანა კურთხეულო, მოვლენილო ვითა ზეცით, თავს მოვიდრეკ წინად შენდა ირაკლი!

ი რ ა კ ლ ი — და მეც თაყვანსა გცემ მამაო ამბორებით (ძეო, ისიც ჯვარს დასწერს და ირაკლიც ხელზე ემთხვევა).

ბ ე რ ი ი ო ა ნ ე — ალავერდელი ცოტად შეუძლებლობს, სარე-ცელზედა ზის და თქვენ მიგელისთ მოუთმენლად. ისწრაფეთ წამო-ბრძანება, რომ წმინდის ლოცვით გაკურთხოს, ვინაიდგან დიდრონი განსაცდელეები გიძევსთ წინ.

ი რ ა კ ლ ი — გამიძეხ და გამოგყვები მამაო! თამამად მოვსულვარ და თამამად შევალ განსაცდელში. ნამეტნავად იმისი წმინდა ლოცვა უფრო განმამტკიცებს მე. (ჯველანი წავლენ. ესენი რომ წავლენ. სარიდანის ცოლი მელანია შემოვარდება გაშფოთებული გიჟსაეით).

მ ე ლ ა ნ ი ა — (შემოვა და დაიძახებს). ვის ებრძვის გული? ვისთვის კვდები თაო ჩემო? ჩემო ჩრჩილო სიყვარულო, ჩემი ძვლების გამოძმე-რელო, ხომ ბადესავით გაჩრჩილე ჩემი სრული აგებულება და ჭრელი გველი ეკლავნება იმის სანათურებში აქა-იქ საწყალო გულო, შენსა შემწვეს სულსაც ტელი აუღია შენზე და წვრილკბილიანი თაგვი მოგ-პარვია და უკანასკნელსა შენსა საფუძველსა მოსთხრის თავის ფესვე-ბით. ახ, ჩემო სარიდან! (თავს მოიგლეჯს, თმებს ჩამოიწმენს და მასუკან გამოუკა-ნება) ჩემო სარიდან, შენ რომ მითხარი? აბა ის შენი მორთული კუბო

სად არის? საწყლად ავტირდე და ზარი გაემართო ვალალებისა, რომ ყველაზე თქვან: რა კარგი ტირილი სცოდნია საცოდავს მელანიას და რა მშვენიერად იგლოვსო თავის სარიდანს (შივა, შუაში დაიჩოქებს და თვალზე ხელს მოისომს). ღმერთო! არ ვიცი რა ამბავია, სად არის სარიდანის კუბო? ეხლა ეს არ იყო, იმის კუბო ზარის გალობით მოჰქონდათ ერთ-სა დასსა ქართველებისა, ომის ცეცხლში გამოვლილთა იმათ და პერანგის საკინძი ჩამოეწყვიტათ ყველას, ის კუბო რა იქნა, იმ ჩემი სიცოცხლის კუბო? უოუოთ ეკლესიაში შეასვენებდნენ. (შივა ეკლესიის კარებთან დადგება გაუბედავთ.) ყურსა გიგდებ დიაკვანო, აბა როგორის ხმით უკითხავ სარიდანის ცხედარს დავითის ფსალმუნებს? (ყურს დაუგდებს და მასუკან კიდევ) არაფრისთანა ხმა რომ არ მოდის, ეტყობა დაბლის ხმით კითხულობს ის ხმაგასაწყვეტი დიაკვანი. სარიდანის მზემ, შემოვალ, შენს კუბოზედ თავს მოვიკლავ. ასე გგონია ჩემის სიყვარული ადვილი იყოს, ქართველი ქალის სიყვარული? ბარემ ამ ეკლესიის კარები გავაღო და ჩემი საქმე გადავწყვიტო ჩქარა; ჩემი ტანჯვის შესამოკლებლად ასე სჯობია. (და საქაროთ გააღებს, გლეებისთანავე ასეთი ხმით დაიკვილებს, რომ ეკლესია დიდ ეხოს მისცემს, ასეთს ეხოს, მართლაც ძლიერს). ვაი, ჩემ თავს! (და გულაზე გადაიქცევა გულ-შეწუხებული. შეხედვენ, ნახავენ რომ ეკლესიის საკურთხეველის კარები ღიაა და ტრაპეზეზე აქეთ და იქით კვლავტრების სანთლები ანთია ორი, ამის დაკვილებზედ ამის მუახლე ვარდუა შემოვარდება გაშფოთებული).

ვარდუა — ქა, გენაცვა, ჩემი ქალბატონის ხმა იყო ის კვილი, ყოველს ჩემს გულის ძილში, იმის მომცრო დახმარებაზე მაშინვე წამოვხტებოდი ხოლმე და ეხლა ეს კვილი რას დამმართებდა, რაც უნდა გულით მიზინებოდა ყურში გამძახა მაყარ თოფსავით. (მოვა და ღია კარებში ქალბატონს რომ დაინახავს გულშეწუხებულს, დაიძახებს) ვაგლან ვარდუავ შენ, ახ! ჩემო ქალბატონო სიყვარულის მსხვერპლო, რა მოგვლენია? (შივა შეუჯდება და კალთაში ჩაიწვენს. ამ დროს ბატონიშვილი ირავლი მოვა ჩქარა და თავზე დაადგება).

ირაკლი — ეს საზარელი კვილი ვისი იყო მანდილოსანო, რომ ჩემს ოთახში ისე მოშორებულს ოთახში, დაიწვილა ვით ასპიტმა?

ვარდუა — თქვენი სურიელის დის კვილი იყო ბატონიშვილო.

ირაკლი — რა ამბავია. მითხარი? *აქედან*

ვარდუა — ჯერ არც მე ვიცი შენი ჭირიმე.

ირაკლი — მაშ წყალი მოვარბენინო (მოზრუნდება და იქვე კედელთან ლიტრას მოუტანს). აჰა, აპკურე, მოასურრიელე საცოდავი (აპკურებს და თვალს გაახილებს).

მელანია — იჰ, რა ამბავია თქვენი ჭირიმეთ.

ვარდუა — გონებანედ მოდი და დაინახავ რა ამბავია.

მელანია — ჩემო საყვარელო ვარდუავ, შენა ხარ?

ვარდუა — მე ვარ, მაგრამ გადმოიხედე, ვინ გადგას თავზე?

მ ე ლ ა ნ ი ა — (ჯაღმოიხედავს). შენამც გენაცვლება ჩემი თავი ძმაო ირაკლი, რომ აქ ბრძანდები ჩემთან ჩემ სანუგეშოთ. (ირაკლი მიეშველება წამოაყენებს, მარჯვნივ ირაკლი დაუპერს ხელსა და მარცხნივ ვარდება).

ი რ ა კ ლ ი — მე გაშტერებული ვარ ჩემო დაო, შენ თავს რა ყოფა მოსულა, მითხარი.

მ ე ლ ა ნ ი ა — შენი ჭირიმე ძმაო! ჩემი სარიდანის კუბო მაჩვენე, მაჩვენე ჩქარა, თუ ჩემი ბედნიერება გინდა (და მწარედ ატირდება).

ი რ ა კ ლ ი — ქალო, რას გაცეტებულხარ? შენი ქმარი სადაც არის ეხლა აქ მოვა, თუ არ დაიჭერებ, აი ეს იმისი წიგნი (გაუშლის, აჩვენებს), იმის ხელია თუ არა?

მ ე ლ ა ნ ი ა — თქვენს მზეს ვთქვათ იმის ხელია. ოჰ! გმადლობ ლმერთო!

ი რ ა კ ლ ი — შენმა ქმარმა დიდათ დაავალა ქვეყანა. ერთი თვის ზაქმე ამ სამსა დღეში აღუსრულებია ისე, როგორც მე მინდოდა. მაგრამ მითხარი, რა მოგჩვენებოდა, ისე გაგიყვებული იყავ წელან?

მ ე ლ ა ნ ი ა — ამ ღამეს გაიხელ აქა და აქ ეკლესიის ძირში გადავხტი გარეთ ჩემის კერძობით. ამაღამ რომ არავინ შემეწუხებინა, იქვე დავიძინე, ამ დროს ჩემი სარიდანის კუბო გამომიტარეს წინა და გიყსავით დავედევნე უკან. აი ეს მამეჩვენა ჩემო ხელმწიფე!

ი რ ა კ ლ ი — ოცნებით სავსე, შე მოკლე სულო! ყოველს სიზმრის ნახვაზე, კლდეზე უნდა გადიგდო თავი? ან ამ ეკლესიის კარები ვის გაუღლია?

მ ე ლ ა ნ ი ა — მე გავალე და ის ანთებული კელაპტრები რომ დანახე, სარიდანის კუბო მეგონა.

ი რ ა კ ლ ი — აქ წამოდი ჩემთან. (მოაყვანს ეკლესიის კარებთან) აქ დაიჩოქე და ჩემთან ერთად შევედრე იმ წმინდასა დაგებულსა ტრაპეზს, ვეგულმტკიცენულოთ ჩვენის სათხოვარსათვის. აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ფიქრები და არა შენი, რაღაებოც რომ წარმოგიდგენია (დაიჩოქებენ). სინძრძნით დადგენილო ტრაპეზო კაცობრიობისათვის, შენს უწმინდეს ტრაპეზს, შენს საიდუმლოს სისხლ-იორცხედა მტერი შეთქმულა დასცენ იგი. შენი ესე ქვეყანა ყოვლის საზოზღრებით შეიბღალა იმათგან, ესეცა სურთ უკანასკნელ ქალწულ მოწამეთა შორის უპატიოსნებისა წვილო და ღვთაების ძეო! შენის დედის გვერდის წილსა ქვეყანასა ნუ გაპყიდი მძღაერს მტერზე, იმ ღვთის მტრების ხელისაგან გამოგვიხსენ და შენი ზეციური რტონი გადმოაფარე იმ სამშობლოს, შენს ქვეყანას. ახლა კი მიჩურეთ ეკლესიის კარები და შენც თავი დაიხურე მელანიავე. (თავიანს სტევენ, მასუკან ადგებიან, მელანია თავს დაიხურავს და ვარდება ეკლესიის კარებს მიხურამს. ამ დროს სარიდან შემოვა უცხოთ დაიარაღებული, მელანია რომ დაინახავს დაიძაბებს).

მ ე ლ ა ნ ი ა — შენამც გენაცვლება ჩემი თავი (გაქანება და ყელზე გადაუხვევა).

ს ა რ ი დ ა ნ — ქალო, წარმოიდგინე აქ ვინ ბრძანდება? მორიდება? მორიდება გმართებს.

მ ე ლ ა ნ ი ა — ვიცი ჩემი სულიერი ძმა მამიტევებს.

ი რ ა კ ლ ი — დაესხენ სარიდან, დიდათ მომწონს მაგისაგან, მაგისთანა სიყვარული შენი.

მ ე ლ ა ნ ი ა — (და გულში ჩაეკონება მელანია სარიდანს. მასუკან მოშორდება) ეხლა კი მოახსენე რაც იცოდე სარიდან.

ი რ ა კ ლ ი — სულ არ მეგონა, დიახ ჩქარა აღგისრულებია ჩემი ჩატარებული საქმე. ჩემი მადლობა ცოტაა. ვინც აგრე ემსახურება მამულს. იმის სახელი საქართველოს მატრიანეში ჩაიწერება, კარგო სარიდან.

ს ა რ ი დ ა ნ — არა ჩემი ცდით იყო, შენმა ბრძანებამ არწივის ფრთები შემასხა ბატონიშვილო და სწრაფათ მოვიარე ყოველი მხარე.

ი რ ა კ ლ ი — მერე ვინ რა გითხრა?

ს ა რ ი დ ა ნ — ამ ფახიზნულებმა და დაღონებულთა, თქვენი სახელე, თქვენი ამბავი, რომ გაიგონეს, თავი აიღეს მაღლა, წელში გაიმართნენ, მკლავები გაიქიმეს და მტრის ჭაფრითა ზმორება დაიწყეს-მამული გამოიხსნან ჩქარა, მაშინვე იმათი ხიზანი სოფლებში გაიფინა და შეუდგნენ თავიანთ მამა-პაპის ცხოვრებისა წესსა (ამაზედ ირაკლი ატირდება და მასუკან ბაღდადის ხელცახოცით თვალებს მოიწმენდს).

ი რ ა კ ლ ი — ნუ დამძრახავ სარიდან. ყმაწვილი ვარ და სიამოვნით ვტირი. ნუ გეგონება ჩემის სახელის გამოჩენსათვის ვტიროდე. არა, ქართველები ისევ ქართველები ყოფილან, თავიანთ მამა-პაპის გვარისებური და კიდევ სწყურიათ საქართველოსათვის სისხლი დაღვარონ, მაგრამ ბოლოს რა მოხდა?

ს ა რ ი დ ა ნ — ქულზე კაცი წამოვიდნენ ჭარათ და ოცდაათი თავდაზნაურნი დაწინაურდნენ თქვენ წინ თაყვანისსაცემლად; პირველს იმათს ჰქვიან ასლან.

ი რ ა კ ლ ი — (სიხარულით) მერე სად არიან ისინი?

ს ა რ ი დ ა ნ — ეხლა აქ გაიხლებიან ბატონიშვილო. (და კიდევ შემოვლენ კარგად შეპურვილი, მივლენ და კალთაზე შეემთხვევიან ირაკლის. ერთი იმათგანი ხინანი).

ა ს ლ ა ნ — ვმადლობ ღმერთსა, თქვენი პირის ნახვა გვადირსა. კიდევ ჩვენკენ მოიქცა ზეცა, კიდევ თავის უხვის მოწყალებით ძეო მეფისაო.

ი რ ა კ ლ ი — მეც დაგპირდებით, თქვენთან სისხლი დაღვარო ჩემი.

ა ს ლ ა ნ — ვინ, რომელმა ქართველმა უნდა გაკადროს ეგ შეწირვა ბატონიშვილო! ჭერ არს ჩვენი სისხლი თქვენის უვნებლობისათვის.

ი რ ა კ ლ ი — არა, პატივცემულო ასლან. მეც თქვენი ძმა და თქვენი მხარის მოამხანაგე. მაგას თავი დავანებოთ, ახლა ამის ანგარიში მითხარი: როგორ გგონია, რავდენი ჯარი გამოვიდოდა დახიზნულებისა თქვენი?

ასლან — შვიდი ათასი მეტი გახლდება.

ი რ ა კ ლ ი — შვიდი ათასი ქართველი იმალებოდა? შვიდი ათასი ქართველი ჯარი, ორმოცი ათასს მტერსა დაამარცხებს ასლან.

ასლან — შენი ჭირიმე ბატონიშვილო! უმწყემსოს ცხვარსა ნადირი შესჰამს, მაგრამ ახლა აღარ ვწუხვართ ქართველები, კარგი ქართველების მწყემსი გადმოხვედი ფშავის მთებიდან და ეხლა ჩვენ ვიცით, როგორც გავიშლებით სათიბებზედ მომთიბლები.

ი რ ა კ ლ ი — მაშ წავიდეთ, დანარჩენნი ჩემ სენაჟში მოვილაპარაკოთ. (გაუღუნ აქ დარჩება სარიდან, თავის ცოლით და ვარდუა).

ს ა რ ი დ ა ნ — ქალო მელო, წელან რა იყო შენს გაზდას, ისე უზღველად მოიქეც? მერე ვისთან? ჩემს ბატონიშვილის წინაშე?

მ ე ლ ა ნ ი ა — ნუ გეწყინება შენი ჭირიმე, ჩემო თვალისჩინო, არ იცი რა გადამხდა თავზე.

ს ა რ ი დ ა ნ — უთუოდ ყმაწვილობა?

მ ე ლ ა ნ ი ა — ძილში შენი კუბო წინ გამამიტარეს და გიესავით დავედევნე უკან. თუ ირაკლი ბატონიშვილი და ეს ვარდუა არ შემსწრებოდნენ მოვკვდებოდი.

ს ა რ ი დ ა ნ — აქი ვთქვი ყმაწვილობა, შენი სულისა, ჩემო სიცოცხლე. წადი მამასვენე, ნულარ მამაყოლებ კიდევ.

მ ე ლ ა ნ ი ა — უსამართლოვ, თვითარჯულობავ, ნეტა რა ხარ? სიტყვა აღარ უნდა გვათქმევინო, ამისთანა ჭირი იქნება? (ტირილით წავა და ვარდუაც გაჰყვება).

ს ა რ ი დ ა ნ — (მიხედ-მოხედვის შემდეგ). გამწარებულო ანუ ტკბილო სიყვარულო. გაკაპასებულო სიყვარულო, ბედნიერო, ანუ უბედურო სიყვარულო. ამათში რომელი ხარ? (ჩაფქრდება და მასუკან კიდევ) განა სიყვარული! სიყვარული უბედური? რომელ სტრიქონზე დაწერილა ეს უბედურება? მეშვიდეს ზეცის ეტრატზე, რაზედაც შავის კალმით დასხმულა ეს ასოები, ჩემი და ჩემი მელანიასი უბედურება! საწყალო მელანიავ, არ ვიცი შენ უფრო საწყალი ხარ, თუ შენ სარიდან. სიყვარულით მელანიავ, ამის მეტი არა გვეშველება რა. მამულისათვის მოვკვდები და შენც მე შემომიდგები უკან. ასე მითქვამს გული. ვიყვნეთ ბედნიერი მამულითა და ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით უბედური. რა უყოთ, რა ვქნათ, ჩვენის მამულისათვის ასე სჯობია (და საჩქაროთ წავა. ის რა წავა, ბერი იოანე შემოვა).

ბ ე რ ი ი ო ა ნ ე — წავიდე ეკლესია მოვამზადო, ამ ცოტას ხანში

საცოდობას ვხახამთ (შევა ეკლესიაში და კარებს მიიხურამს. ამ დროს ირაკლი და სხვანი ყველანა შემოვლენ).

ირაკლი — ამ ხუთს დღეში თითქმის იმედი გადაიწყვიტე, ახლა წინა კაცი მოიჭრა. გვითხრა გვეახლებიანო. აქ ეკლესიის კარებთან და-
ჯებდავთ, აქ შევიტყუოთ რა ამბავსა მოგვიტანენ.

ასლან — აქ სჯობია, თუ საჭირო იყოს აქვე გაეფიცნეთ. (ამ სიტ-
ყვასთანვე გვი, ბესარიონ მოვლენ და თან მოპყვებიან ოსმალურად ჩაცმულნი ქარ-
თელები, ამთ თან მოპყვებიან რევაზ. ომან და კიდევ ოსმალურად ჩაცმულნი ქარ-
თელები, ეს ოსმალურად ჩაცმულნი ირაკლის მუხლებზედ მოეხვევიან და ვედრე-
ბით სთხოვენ).

ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები — ჩვენო
ხელმწიფეო! ღმერთს აბატიე ჩვენი დანაშაული. თუ არ გვაპატიებ,
სუინდისი მოგვკლავს თქვენს მზეს ვფიცავთ. გვაპატიე შენი ჭიიმე,
ქართველურმა გულწრფელობამ შეგვაცდინა ძეო მეფისაო.

ირაკლი — მიპატიებია, მაგრამ რა ამბავი მოგვიტანეთ? (გვი წინ
წამოვდება).

გივი — ბატონო^ს შეილო! უცხო ამბით მოვედით, მაგრამ ჯერ ეს
მოსმინე. რევაზს. ომანს და ჩვენ ხშირი მიწერ-მოწერა გვქონდა ერთმა-
ნეთთან საიდუმლოთ და დიახ, კარგად მოვიყვანეთ საქმე. არამცოთუ
მტრებს გაუდგნენ ესენი — სულერთიან გარეკეს და გააცილეს სამძლ-
ვარს.

რევაზ — ასე რომ იმ ჩვენი მტრების კატაც აღარ იპოება ჩვენს
მამულში.

ირაკლი — ეგ საქმე ხომ ამათ შეიძლეს.

ომან — ამათ და სხვანი აღარავინ მიუშვეს მტრებზედ.

ირაკლი — აღეკით. ამას იქით ჩვენი ძმები იყავით კიდევ.

ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები — (წამო-
ვივლებიან, ოსმალურს ტანისამოსს გაიძრობენ და თონეში ჩაპყრიან. ამასთან ირაკ-
ლისთან მოვლენ და დაჩოქებულები მუხლებზედვე მოეხვევიან). ქიზიყ-გალმამთ-
ხარი შეცთომილებას მოვიხდით თქვენ წინაშე.

ირაკლი — და ჩვენც გიწოდებთ: ძენო მამულისიანო კვალად
(ამ სიტყვასთან თონი^სგან აღი ამოვარდება და ესენიც ფეხზე წამოვდება, ის ტა-
ნისამოსები იწვის და ესენი იძახიან).

ქიზიყ-გალმამხრელნი — განქრი, განქრი, მაგ ცეცხლსავით,
ჩვენო მტერო, ღვთის განგებით.

ბატონი^ს შეილი ირაკლი — რევაზ-ომან, საჩქაროთ გაეშუ-
რენით მამაჩემს მეფესთან, თელავში მობძიანდეს, იქ დავხვდებით ყვე-
ლანი. ჩვენი თავ^სარდასავალი^ს ამბავიც მოახსენეთ ყველა.

რევაზ-ომან — ეხლავ გიახლებით (და გავლენ).

ბერი^ს იოანე — (შემოვა შერყეულის გულით) ბატონ^ს შეილო! ინე-

ბეთ ეკლესიაში შებჭძანება, თქვენ და თქვენმა ქართველებმა. ალავერ-
დელმა პარაკლისი უნდა გადიხადოს საქართველოს და ქართველებისა-
თვის. მეორეს კარბიდან შებრძანდით რომ აქედგან აღარ შეისვლება.
(მაზინვე წაყენ, ხმა: არ ამოიღებენ, ბევრივე შეწუხებით). ღმერთო დაგვიფარე
შენი საფარველის ხელით ქართველები. არ ვიცი რა დანაშაული მიგვი-
ძღვის შენ წინაშე ქართველებსა, რომელის ცოდვით გაწყენინეთ შენა?
სინანულო, სინანულო! რით ვერ მოინანო ავდენი ჩვენი მწარე ცრემ-
ლით. ავდენი ჩვენი გლოვის ვედრებით, ცოდვა ჩვენი, თუ აქვს ქართ-
ველებსა? აი, ეხლაც ვნახამთ ჩვენს სინანულს და როგორ სინანულს?
აბა თავი შაიმაგრე ბერო ითანე? (ჯულხელ დაყრფით, ძალიან დაღონების
შემდგომ) არა, არა, მე აქ ველარ დავდგები საცოდაობით, ვერა ვნახამ
ამოწყვეტილთ სახლუელობათა. (და გიყსავით გაყარდება კარზე. ამ დროს
ეკლესიის კარების სრულიკედელი. ესე იგი ფარდა. უეცრად გაღიწევა. ნახვენ
რომ მთელი ეკლესია განათებულია წმინდა სანთლებით: საკურთხეველის კარები ღია,
ტრაპეზზე სანთლები ანთია ბრწყინვალედ, შუა ტრაპეზზე დიდი ჭვარცმა ასვენია.
საკურთხეველის გარეთ ამბიონზე ალავერდელს დაუჩოქნია პორფირ წამოსხმული
ხელგანწყობით, ამის გვერდით ცოტა უკან ირაკლისა აქეთ იქით ამბიონის ქვემოთ
დაჩოქილნი არიან მწყრეათ სახლულ ამოწყვეტილნი კაცნი და დედაკაცნი. ხნიანი
და ყმაწვილნი. ერთ მხარეს დედანი შავჩამელნი არიან და თავი მოხდარი აქვთ,
თმები გაღმომლილი მხარებზე. მეორეს მხარეს კაცებს პერანგის საყინძი ჩამოუწყვე-
ტიათ და გულისპირი გაღმომენილი აქეთ მარჯვენას მკერდზე. ესენი სულერთიწ
ჩაუღებგამილი ჭვარცმას უყუერებენ დაღონებულები. ამათ უკან აქეთ-იქით ირაკლის
ქართველებს დაუჩოქნიათ იმათ მსგავსებრიც. და გალობასა აუშვებენ სულერთიან
ამას).

ს უ ლ ე რ თ ი ა ნ — განგებაო! აკი შენი გული ზღვა არის კეთი-
ლისა და, სამსჯავრო მართლმსაჯულებისა უძლიერესო დიდებაო! ცისა
შემკვალული ესე ლაღდება. ესე ჩვენი ცოდვის სინანული შეიწყნარე,
ვითარცა შეგიწყნარებია ჩვენთა უძველესთა წინაპართა დედმამისა,
ეგრეთ შეიწყნარე ჩვენი ესე და აღგვიხოცე ქვეშაობებისა მტერნი
იწინი, იგი გამძვინჭბულნი, იწი უსამართლონი დაამხე, დაამხე ცოდვა
ჩვენი, აკმარე ავდენი დევნულება ქართველებსა. (ფარდა ჩამოეშვება).

მესამე მოქმედება

ფარდა აიხლება, გამოჩნდება თელავის პატარა საეპრო ადგილი. აქ გარშემო მო-
ვაკრენი სხედან და ყველას თავისი საეპრო: წინ უწყვიათ გაფენილი.

ბ ა ზ ა ზ ი — ეს ჩვენი საქართველო როდის უნდა შეიქნას საეპრო
ქვეყანა, როდის უნდა მივხვდეთ რა არის ქვეყნისათვის ვაკრობა? რა
გახდება ეს ჩითი-ჩუთი ჩვენი ქვეყნისათვის, ანუ ეს მაუდი, ესეც შო-
რის ქვეყნებიდგან მოტანილი. თუმცა შორიძგან, მარამ მაინც ცოდვის
პურსა ეკამთ. ერთსა ორათ ანუ სამათ ვყიდით და არ ვიცი ღმერთი რა

კარვს მოგვცემს ჩვენ მოვაპტრეო? არც საბოლოო გვიჩანს რამე კარგი, თუ საკუთრება არა გვაქვს რა. ესენი სულ ტყუილია.

მეწვირიმალე — ასე გაშინჯეთ, ეს სათითო და თავის ქინძის-თავები უცხო ქვეყნებიდან მოაქვთ ჩვენზედ გასასყიდათ და ამის შემდგომ რალა გვექნება ჩვენი? რა ვქნათ, რა უყოთ, ღვთის მტრებისაგან არის ჩვენი ესე უსწავლელობა.

მეკუბრე — ეს კი ვიცით პურის გამოცხობა, ესეც იმისათვის რომ მშვირები არ დავიხოცნეთ. რა გაეწყობა გარემოებას, ყოველი გარემოებაში იცის.

მეხილე (მაყალი) — ამ ჩვენს პატიოსანს ხილსა ვეშურებით დროით გავყიდით. ჯერ ვცდილობთ მყიდველი მოვატყუოთ, თუ არ იქნა დავალობთ, წყალში გადავყრით და იაფად კი არ გავყიდით, ვიცით ესენი სულ ცოდვაა, მაგრამ მაინც არ ვიშლით და ჩვენსას ვშვირებით. სად არის ღმერთი, აღარ გვეშინიან იმისაგან, ის არის შორს.

მპარსავი (დალაქი) — დაილოცოს ჩვენი მპარსავების სამართალი, ვინც რას მოგვცემს თვითო მოპარსავში უარს არ ვეტყვი, ხელს მიუშვირთ, როგორც წყალობისათვის, საწყალს კაცსავითა ჩვენ ეს არ გვეთავილება, ამიტომ რომ ამის მეტი მართალი, კეთილი და გემრიელი ლუკმა, სხვა აღარა არის რა ჩვენში კარგი. (სხვებს აღარ დასცალდება სიტყვის თქმა, ერთი ხნითი შეიარაღებული შემოვა).

ასლან — ქართველების სიწრფელე, ანუ სიმართლე და ანუ გულის მიმდობლობა რაღათ გაუშვით, რატომ აღარ თქვით? ქართველების ვაჟკაცობა და მამულისათვის თავის გამოდება რაღათ დაგავიწყდათ? ახლა ამას თავი დავანებოთ, მახარობლად მოვდივარ, ბატონიშვილი ირაკლი მოვა ეხლა და მეფე თეიმურაზიც ჩქარა მობრძანდება.

ვაკარნი — ეს ჩვენი სავაპრო საჩქაროთ გავიტანოთ, რომ ჩვენს პატარა ბატონს დავხვდეთ (ამასთანავე წამოავლებენ თავიანთ სავაპროსა და საჩქაროთ გავლენ. ასლანიც მეორე მხრიდან გავა. ამ დროს უეცრად პირდაპირ ფარდა აიხდება, სადაც მეფის სალხინოა, ის გამოჩნდება სრულიად განათებული და საუცხოვოთ მორთულიც არის, ეგრეთვე საფენშოფენილი. აქ ქალნი და კაცნი ბევრნი ჯგანან მშენიერად ჩაცმულნი და ასლანიც იმათშია).

ერთიანად დაიძახებენ — ძეო მეფისაო ერეკლე! გვიხარის შენი მოსვლა, შენი ნახვა. ვმადლობთ ღმერთსა! (ესეც შემოვა და შემოსახებს)

ირაკლი — მე უფრო კიდევ მომატებით. მაგრამ დიდი ამბებ-გვიძევს წინ.

ასლან — (ყველას მაგიერათ) არ ვიშიშვით მაგისათვის, თავს ჩაფყრით ყოველს განსაცდელში, მარტო მე არ, ესენიც ასე მოგახსენებენ.

ირაკლი — მამ წითელი ჩოხები მოგვიტანეთ და ხონჩებით ხანჯლები (მოიტანენ თვითონ და სხვანიც ყველანი ჩაიძვენ). ეს არის მამულის ძებნა სისხლით და თქვენ პატიოსანო ქალებო, ეს ხანჯლებიც თქვენ შე-

მოირტყით, მოვა დრო, რომ თქვენც გამოიღებთ ხელსა. (ყველანი თვით-
ულად შემოირტყმენ წელზე და წინ მწკრივით დადგებიან კაცების შუა, აგრეთვე ირ-
აკლი).

ირაკლი — ეს საყოფელი არ არის. ორი სათქმელი მაქვს კიდევ,
უნდა სწორეთ მითხრათ: რომელი გინდათ, მტრების ხელში, სხეულის
მოსვენებაში ვიყვნეთ, ეს გინდათ. თუ დაუწყნარებელი სისხლის და-
ღვრა მამულისათვის?

ასლან — არ გაუდრკებით სისხლსა.

ირაკლი — იცით? ოთხსავე კუთხივ მტერი გვახვევია. მერე რო-
გორი? ძლიერნი, რა ვქნათ, რა უყოთ, მონებასაც თავისი სიტკობეა-
აქვს და თავისი სიამოვნე. ასლან, ჩვენი ჩამომავლობა ამოვარდეს სის-
ხლის ღვრითა ის სჯობია, მინამ ჩვენის მონებითა და იმათის სიცრუის
აღერსითა, ჩვენი თესლი გადიცვალოს იმათში.

ირაკლი — კარგი. თქვენი სურვილისამებრ აგრე იქნება. მაგრამ
მე რომ სამოცი წელიწადი მეტი კიდევ ვიცოცხლო და ავდენი წელი-
წადი მამულს ვეძიებდე, შეგიძლიანთ ავდენი წელიწადები ჩემთან გაძ-
ლება?

ასლან — მაშ იმ ქართველების შვილები არა ვართ, რომელთაც
მამულის მძიმე ტვირთი ზურგზე ეკიდათ მარადის?

ირაკლი — წარმოიდგინეთ, ყოველ დღე სისხლის ღვრაში ვიქნე-
ბით: ხან ორთა, ხან სამთა, ხან ოთხთა და ხან ხუთს რიგობასთან, სულ
სხვადასხვა მტრებთან, რომელნიცა იქნებიან ერთი ათად ჩვენზე მომა-
ტებულნი ყოველთვის.

ასლან — მიგვაგებე სიკვდილს, ძეო მეფისაო ერეკლე, ნულარ
ჰყოვნი ღმერთი გადღეგრძელებს. აღრინებული ვართ: ვით ვეფხვი
ქურციკების მაყურებელი შორიდგან და მრისხანედ ბლუოდეს იმათზე.

ირაკლი — რახან აგრეა, მიგაგებებთ სიკვდილსა ჩემი წინგაძ-
ლოლით. (ამ დროს რევაზ და ომან შემოვლენ შეიარაღებულნი).

რევაზ — ძეო მეფისაო, მეფე თეიმურაზ და დედოფალი მობრ-
ძანდებიან. თქვენი ღებიც თან მოჰყავთ და ვინც ფშაველებში გახლდნენ,
ისინიც თან ახლავან.

ირაკლი — (სიხარულით) შორს ბრძანდებიან?

ომან — ახლოს, დიახ, ახლოს მობრძანდებიან.

ირაკლი — მივეგებნეთ.

ერთპირად — მწყალობელსა მეფეს, სიხარულით მიგებება მო-
გვიხდება (და ერთობრივ გავლენ. ისინი რომ გავლენ შელანია შემოვა).

მელანია — გამოვეშურე სარიდანისათვის მამესწრა აქ. ერთი
ფეხით გაუსწვრიათ, მეფის მისაგებებლად წასულან, თორემ მეც იმათ
გავყვებოდი. სარიდანი წამოვიდა, ჩემი სულიც ფრენით დაედევნა.
მისწეოდა იმას და ორთა მოტრფიალეთა კიდევ გვენახა ერთმანეთი. მე

და იმის ერთის წუთის მოშორებაში, რაღაც უზომო სივრცე გვიქვს შუა. არ ვიცი სად ვეძებო, რომელს ადგილს, ანუ რომელს ზღვაში? აი, საუნჯე, საუნჯე ძვირფასი, რომელიცა ედემში განისვენებს ზეფირისებრთა შორის, სიყვარული!... განისვენებს, მაგრამ ისრებით მოსხმულ-მოსისხარი. ჩემო კარგო სარიდან შენმა გაზრდამ, ზეცაში ახელთან ამოგყვები, ქვეშენელში ჩახვალ შიგ ჩამოგყვები. სად გაგიშვებ, ეის ანაბარათ დაგაგდებ, ჩემი ალერსი არ გეკონოს გულზე მარადის? სუ. ხედავ, სადა ვარ აქ? მეფის სალხინოში. კიდევ ვნახე ეს სალხინო? აკი ხელი ავიღეით, ველარ ვნახავდით საქართველოს აკი ამბობდნენ! ვაი ჩვენი ბრალი, საქართველო საქართველოდ აღარ იქნებოა. ქართველები ამოწყდებიან სრულიად ესლათ. ჰგავს რომ კიდევ სწყალობს ღმერთი ქართველებსა. ღმერთო, ხელს ნუ აიღებ ჩვენზედ, მტერს ნუ დაგვაჭაბნინებ, გასაწირაენი არა ვართ ქვეშარიტად ქართველები. (ამ დროს, შორიდან ხმა), — გზა დააგდეთ, გზა დააგდეთ, მეფე მობრძანდება.

კ ი დ ე ვ მ ე ლ ა ნ ი ა — ჰა? ვისი ხმა შემამესმა? ჩემი სარიდანისა? აი, ამ სალხინოში, მე და ის რომ ეთამაშობდით ყმაწვილები, სადაც ჩვენი ცოლ-ქმრობის ამბავი, ჭერ არა იყორა, თვინიერ ჩვენი გიჟობისა. ახ, ის ყმაწვილობის ჩვენი სიცელქე რომ მომაგონდება მეტად მიამება ხოლმე. განგებას ეტყობოდა, რომ რაღაც უნდოდა ჩვენთვის მაშინვე. (აღარც დასცალდება, ამასთანავე ძახილით შემოდიან).

თ ე ლ ა ვ ი ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი — მწყალობელო მეფეო თეიმურაზ! კურთხეულ არს შენი მობრძანება. კიდევ ღმერთმა დაგვიფარა მეფეო. ჩვენო პატარა ბატონო ირაკლი, დიდება გეკუთვნის ჩვენო გამომხსნელო! (ამ დროს მეფე, დედოფალი, იმათი ორი ქალი, ირაკლი და სხვანი სულერთიან შემოვლენ).

მ ე ფ ე — კიდევ შევერთდეთ ძმებო, კიდევ ხელიხელსა გავაბათ, ჩვენის მტრების გასალალად.

ე რ თ პ ი რ ა დ — იყოს აგრე, ხოლო ხმლითა, თორემ ნებით არ მიმართავენ პირსა. (ამ სიტყვასთან ბესარიონ შემოვა და დამშვიდებით მოახსენებს).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — წინ ვდარაჯობდი ბატონიშვილის ირაკლის ბრძანებით, შენი ჭიმიე დიდი მტრის ჯარი მოდის თელავისკენ. ეტყობათ გაჯავრებული არიან, ძალიან მოეშურებიან. გულმა აღარ გამიძლო, ჩვეულებრივ დავერივე, მინამ ერთს მაინც არ მოვჭერ თავი არ წამოველ. (კაბის კალთითგან გამოიღებს და მეფეს წინ გაუგორებს) ღმერთმა გამარჯვება ნუ დაგილიოს ბატონო მეფეო!

მ ე ფ ე — ღმერთმა შენც ნუ დაგილიოს გამარჯვება. მამიშენის შვილობა გეტყობა ბესარიონ. მაგრამ ახლა ჩვენც მოვემზადნეთ საომრათ. ღმერთი და ბედი!

ირაკლი — ჩემო ხელმწიფეო, თქვენ და დედოფალი ბანზე აბანდით, ჩემი დები და სხვა ქალებიც იქ გახლდნენ, თქვენს ამაღასაც ნუ მოიშორებთ, თან იმყოფეთ და დანარჩენი ჩვენზე მოაგდეთ. იქილგან დაინახავთ იმ ზევით ბანითგან ყველას.

მეფე — სიცოცხლო ვეილო! დამინებებია შენთვის. გხედავ იმედულად და საქართველოს მკვიდრ სვეტად. წავალ გულმოსვენებით, ასე მოსვენებული რომ ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ასე.

დედოფალი — ბევრი რაღა გითხრა, მითქვამს ადრით. ვინძლო თავი მამაწონო ირაკლი და დასაქადებლად მყვანდე.

ირაკლის და ანა — დღეის ომი შენი არის, ვნახოთ როგორ ასახელებ თავსა.

ქეთევან — ვნახოთ როგორ გამოჩნდები დღევანდელსა დღესა ომის ცეცხლში?

ირაკლი — მე გითხარით, თქვენი თვალით ნახავთ ყველას (ამასთან გავლენ, გარდა ირაკლისა, ირაკლის ამაღისა და მელანიაც აქ დარჩება სარიდანთან).

ირაკლი — ბესარიონ, როგორ გგონია რამდენი ათასი კაცი იქნება ჩვენზედ მომავალი მტერი?

ბესარიონ — ათი ათასი მეტი უნდა იყოს.

ირაკლი — კარგი რიგიანი ჯარია, თუ როგორი?

ბესარიონ — კარგი, სულ ხელგამომავალი. სულ პრიალებენ ოსმალურს ოქრო-ვერცხლში.

ირაკლი — კარგს ცხენებზედაც სხედან?

ბესარიონ — სულ გამოჩენილს არაბისტანის ცხენებზე.

ირაკლი — წადი ბესარიონ, თვალი აღევნე, რომელს მხარეზედ გაიწევეს იმათი ანგაარი ჯარი? (ბესარიონ წავა. ირაკლი გვიხსიკენ მობრუნდება) ჩემო მოჭირნახულე გივო, ჩვენი ჯარი რამდენიღა გეგულება კარგი ცხენიანი?

გივი — ხუთი ათასი.

ირაკლი — მერე შეუქლიანთ ჩვენ მოპირდაპირეთ ჩვენი ომი?

გივი — რატომ არა, შეუქლიანთ, მაგრამ ძალიან გავეპენტამთა დავამარცხებთ.

ირაკლი — ჩემო მოჭირნახულე გივო! საჩქაროთ გასწიე, თელავიდან გაიყვა ჩვენი ჯარი, თელავის სიმაგრეების ზურგი დაუჭირე და ჩემს მოსვლამდისინაც შორს ნუ წახვალთ. (ამ სიტყვაზე გვი გავა. ირაკლი აქეთ მობრუნებით) რევაზ, ომან, რადგან ბევრს საქმეში გამოცდილები ხართ და ბევრის ამბის მნახველნი, ამის გამო ჩემთან უნდა იყოფნეთ და მხარს მინახავდეთ მარადის. ეხლა შენკენ ჩემო სარიდან. ეს ყმაწვილი კაცები გამოუცდელები არიან. მე და შენ ხომ უფრო, რასაკვირ-

1 პირველი ომი ირაკლისა ნეიშინის მინდორზე იყო, აქ თელავში მხოლოდ სახეთვის დავწერე, ნეიშინის ომიც არის ქვემოთ.

ველია, დღეს გამოვიცდებით და თავი კარგად უნდა ვაჩვენოთ ამ ძველ-
კაცებს, თორემ განსაკიცხად დაგვდებენ ესენი და სიცილს დაიწყებენ
ჩვენზე. გარდა ამისა დღეს დიდი მძიმე დღეა ჩვენთვის. ჭერ პირველად
ყველამ თავი უნდა დაედოთ და დღეს შევაშინოთ მტერი, თორემ თუ
დღეს არ შეშინდებიან გათელვას დაგვიწყებენ. მეორეს მხრივ, კარგს
ნაღმსაც ეგვანება დღეის ომი ჩვენი, დღესა ამისთვის, რომ მამულის
გამოხსნის ჟამის იქნება და წარმოიდგინეთ, როგორი სიხარულით უნდა
დავდოთ თავი მამულისათვის? ორავე თოკი წვერი მამიციან თქვენთვის:
მტრისგან ჩვენი თელვა, თუ სისხლით მამულის გამოხსნა? რომელს
აირჩევთ ქართველებო ამ ორში?

ერთპირად — სისხლით სიკვდილს.

ირაკლი — აგრე? დიან კარგი. დანარჩენიც საომარსა მინდორ-
ზედ მოვილაპარაკოთ (ბესარიონ შემოვა).

ბესარიონ — ბატონიშვილო! თელავს დაუპირდაპირდა მტრის
ძლიერი ჯარი და ჩვენი ჯარიც თელავის ბოლოში დადგნენ დაწყები-
ლები, მომზადებულები საომრად. (ამ დროს მეფე თეიმურაზ, დედოფალი თა-
მარი, ამათი ორი ქალი, სხვა ქალები და მეფის ამაღა ბანზე ავლენ და სადაც დგანან
აქეთ გადმოდგებიან).

მეფე — (გადმოსძახებს) უსაყვარლესო შვილო ირაკლი! მტერი
და ჩვენი ჯარი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, აქედგან უცხოთა ჩანს.
ასე ახლოს არიან ამ სახლის ქვემოთ გალავნის კედლის ძირში, რომ
ჩვენი ჯარის ლაპარაკი ისმის.

დედოფალი — ჩვენი ჯარი აქეთ იხედება, ეტყობათ შენ გელი-
ან მოუთმენლად, ირაკლი!

ანა — მე და თქვენ ხელს განვიპყრობთ ღმრთისადმი ცრემლით.

ქეთევან — ქართველების, თქვენის გამარჯვებისათვის, ირაკლი!
(მასუკან ყმაწვილი ქალები ყმაწვილს კაცებს გადმოსძახებენ, თავიანთ ქმრებსა).

ყმაწვილი ქალები — ჩვენი სიყვარულის ღირსი აღარ იქ-
ნებით, თუ თავგადადებულს ვაყვაცობას არ გვიჩვენებთ დღესა, ჩვენ-
თან ნულარ მოხვალთ. გესმის ჩვენო ქმრებო, აღარ შემოგიშვებთ სა-
ხლში!

ყმაწვილი კაცები — ნუ სწუხართ ქალებო, მტრის სისხლით
შეღებულები გამოვალთ (აქ ნახავენ რომ ბესარიონის ცოლი ამოვიდა ბანზე, მე-
ფესთან მივა და მოახსენებს).

ბესარიონის ცოლი — ჩემო ხელმწიფეო! ხელი მიბოძეთ
გაკოცოთ.

მეფე — ოჰ! ჩემო ნათესაო კეკე, როდის მოსულხარ?

კეკე — ეხლა ეს არის გიანელ (ხელს გამოართმევს აკოცებს. მასუკან დე-
დოფალთან დედოფალი! ჩემმა მშობლებმა თაყვანისცემა მოგახსენეს
უუძღაბლესად (ამასაც ხელს გამოართმევს აკოცებს).

დელოფალი — დიდი ხანია იქიდვან წამოხველ?

ქექე — ორი კვირა იქნება, გზაზე ჩემს ნათესავეებში დამაგვიანდა.

დელოფალი — მშვიდობაა, ოსმალები ზომ არას აწუხებენ ქართველებსა?

ქექე — მშვიდობა გაქლავსთ. მაგრამ დიდს გამოსაღებს ხარკსა სწევნ ქართლელები ოსმალოებისას.

დელოფალი — ნუ ვწუხვართ. განგება გვიხსნის. უცხო დროს მოხვედი ქექე, დღეს ძლიერი ომი იქნება. წამოდი შენი ქმარი გაჩვენო (ძიყვანს და გადმოახედებს) აგერ შენი ქმარი.

ქექე — ბევრის ლაპარაკის დრო არ არის ჩემო ბესარიონ. თუ ის ერთი ჩვენი შვილი გიყვარს, კარგად გამომიჩვენე თავი; დღესა ნამეტნავად დიდის გვამების ამათ წინაშე.

ბესარიონ — ჩემო ნუგეშო! მანდ ბანზე გადმოდექე პარისპირ ომისა. ნახე შენი ბესარიონ, ზურგს აჩვენებს მტერსა. თუ ზედ მტერსა დააჯდება ზურგზე, მაგრამ ჩვენი პატარა შვილი რა გიქნია?

ქექე — ჩემმა დედ-მამამ არ გამამატანეს, იქ დაიბირეს.

ირაკლი — ბევრს ნულარ დავიყოვნებთ. დრო მოვიდა, ახლა კი წავიდეთ ჩემო ხელმწიფეე ბატონო! აქ თქვენ მშვიდობასა დაგიტყეებთ და ჩვენ საომართა გავემართებით დამშვიდებულისა გულთ.

მეფე — მეც გამარჯვება მამელოცოს თქვენთვის ჩქარა. ღმერთი გიძლოდეთ წინ. (ბატონიშვილი ირაკლი და იმის ამაღ სულერთიან გავლენ, მეფე თეიმურაზ და სხვანი ყველანი მეორეს მხარეს, ბანის ნაპირიდან ყურება დაუწყებენ საომრის მხარეს. სარიდან და მეღანა აქ დარჩებიან).

მეღანია — პატარა მაიცა სარიდან, ფანჯრიდგან გავიხედო, რა ამბავია თელავის ბოლოში? (საჩქაროდ გააღებს, გაიხედავს. მაშინვე დაბრუნდება, ლოყაში ხელს შემოკრავს ნელა და ღიბს წყნარა ჩამოიფხოქნის ფრჩხილებით) ქა, შენი ჭირიმი, სარიდან, უცხო მტერსა ჩვენი მამული დაულახავს, შემოსულან აქა. ჩემი და სიყვარული მამულის მსხვერპლი იყოს, ახლა კი გამიმეტებია. უნდა თავი გამოიღო ძალიან და მტერსა დიდი დიდი დააჯდეს, თორემ სრულიად წახდა ქართველების სახელი.

სარიდან — (სიბარულით) მართლა? მართლა. ჩემო მეღანიაე? აგრე, აგრე მითხარ და მასუკან ნახავ შენს სარიდანს ალტკინებულს ოქში. თუ ეხლავ ორი თავი არ მოვიტანო ოსმალოსი, ერთი მეფისათვის და მეორე შენთვის, მე სარიდან არ ვიქნები.

მეღანია — მეც ამ გაღებულის ფანჯრიდგან გიყურებ, ჩემი სული შენთან იქნება, ჩემო სარიდან (საჩქაროდ გვა სარიდან). სიყვარული, რალაც გამოუთქმელი სიამეა საკვირველი! მაგრამ მამულისათვის რა იქნება ერთი შიშველი სიყვარული? სიყვარული, რომლითაცა ორნი დასტკებებიან, ეს რას უზამს მამულს, რას შეეწევა, სადაც ათასობითნი უბედურნი ცრემლს აბნევენ მონებისას. ეს სიყვარული მოყვარულთა

დავანებოთ. თავის გზაზედ წავიდეს, როგორითაც საუკეთესო წყარო შეერთდება სხვასა მცირეს მდინარესა პათოსანს, მე და ჩემის სარიდანი! სიყვარულით მამულს რაო? მაგრამ არა, სიყვარული მამულისა სხვა რამ არის! მამულის შვილები მონებიდგან რომ გამოიხსნებიან, იმთენს სულსა თავისუფლება მიეცემა. რად ღირს ესა მგრძნობელთათვის? ვიცი. კარგად ვიცი. ჩემს სარიდანს მტერი მოჰკლავს უთუოთ, ესეც ვიცი მე ვერ გაუძლებ იმის სიკვდილს და იმის სიყვარულით მეც მოვიკლავ თავს უთუოთა. ეს არ არის საზოგადოების საქმე, ეს არის კერძობითი, მხოლოდ ორის კუთვნილი კუთვნილება. რომელიცა ვერაფრით ვერ მოვერევი იმის ვნების ძალას! იმის ძლიერს ცეცხლსა. ამისთვის იღონდ კი ჩვენი მშობელი ქვეყანა მტრის ხელიდგან გამოიხსნას, მე და ჩემი სარიდანი მამულის პირის სანაცვლონი ვიყვნეთ, თუნდა ათი ათასის გვემულები ტანჯვით არა, აღარ შემოვიყრი გულსა ამას იქით (ამ დროს ზევით ბანიდგან დაიძახებს).

მ ე ფ ე — ნუ გაუშვებთ, ნუ გაუშვებთ, უბრალოდ არ მოკლან.

მ ე ლ ა ნ ი ა — ჰა. ვისას იძახის შეფე? (ფანჯარას მივარდება, გაიხედავს. ისევ საჩქაროდ გამობრუნდება). ჩემი სარიდანი დაერია მტერსა. ღმერთო შენ მიე შეძლება.

მ ე ფ ე — (კიდევ დაიძახებს ზევიდგან) ოჰ, ოჰ, რა საკვირველი საქმე ქნა! ორ კაცს თავი მოსჭრა მტერსა და აქეთ მოარბენინებს ცხენით. (ამ სიტყვასთანვე ცხენზე მჯდომი შემოარბენინებს, ერთს თავს შეფეს აუგდებს ზანზე).

ს ა რ ი დ ა ნ — ჩემო ხელმწიფეო, მეფეო! ჩქარა მამელოცოს გამარჯვება.

მ ე ფ ე — (გაჯერებით) აგერ აიმ შენს ცოლდედას მიუტანე ის თავი (და გაჯერებული პირს მორიდებს).

(მასუკან მეორე თავს მელანიას შეუგორებს ამ სიტყვით).

ს ა რ ი დ ა ნ — ჩემო სატრფიალო კარგო მელანია! ესეც შენი წილი, პირობა მოგართვი (საჩქაროდ ცხენს გააქვენებს და მეორე მხარეს გაჯერდება).

მ ე ლ ა ნ ი ა — (ფხვს ამოჰკრავს) ვინა ხარ შე საცოდო? იმისთვის მოხვედი იმ შორის ქვეყნიდგან, აქ მოგეკლა თავი? მასუკან დედაშენი რა ხმას იტყვის, რომელს ტყის ნადირისას შენს სიკვდილზედ? . . . ანუ ცოლი შენი თუ გყავს? ის განუზომელი ოსმალოს მამული ცოტაა თქვენთვის, რომ ამ მცირეს ქვეყანასაც ებრძვით, და ეს პატარა ბონჩა ქვეყანა თქვენს დიდს განიერთ ხალვარში ჩააგდოთ დასაღუპად? მებრალო შორის ქვეყნის კაცო. იქ ერთი ადლი მიწა მაინც გელირსებოდა დაეფალით, სადაც შენი მახლობლები მოვიდოდნენ ხანდისხან და ღმობიერს ლვთის სასიამოვნოს ცრემლსა დააბკურებდნენ შენს საფლავს. აბა, აქ რა ვითხრა? აქ ყველას წილი იქნება კარზე, ჰაერში: კიანქველა

შენს ძარღვებს ამოიღებს. მატლნი ზომ შენს აგებულებაში ცურვას დაიწყებენ ჩვეულებრივ, ბუზი შენზე განსცხრება, სვაი თავის გამკვეთელის ბრწყალეებითა შენს მკერდს დააფრინდება და დათვი ხეზე ასული შორით გიმზერს, შუალამის ბნელაში ჩუმათ მოვიდეს, თავის გამოქვაბულს კლდეში შეგითროს, რომ აღარაეინ შეეცილოს შენსა. დანარჩენსა აბრაზებულსა ხორცსა და სრულიად დაკვნიტოს შენი უკანასკნელი ძვლები, რომ კაცის ნიშანი აღარსად იყოს შენი. იჰ, კაცო, ეს არის ბედისწერა შენი, ანუ დაბრძანებული ეტლი კაცისა? (წამოავლებს. იმ თავსა და ფანჯარაში გაიხვრის) კაი კაცების პატივისცემის ღირსნი არა ხართ ოსმალს თავებო. (კრდე ფანჯარაში გაიხედავს და საჩქაროთვე გამობრუნდება). ძალიან უწყრება ჩემი სულიერი ძმა ჩემს სარიდანს: ვისი ბრძანებით დაერიე მტერსა ისე დაუხედავათაო? აი, კრდე ეუბნება, მესმის — შე თავხედო, ნულარ მამშორდები თორემ ბორკილში ჩაგადებო. მე ვიცი ჩემის გულისათვის უწყრება, მე ვებრალები (ფანჯარაში გაიხედავს და ისევ მობრუნდება). აგერ გივმა ცხენიდან ჩამოახდინა სარიდან, მუხლზე აკოცინა, შეარიაგა. ვენაცვალე შენს სულსა ძმამო ირაკლი, რა კარგი გული გაქვს, შენმა განზრდამ (ახლა ფანჯარაში ყურებას დაუწყებს. ამ დროს ზევით ბანზე მოჰყვება).

მ ე ფ ე — ჩემო დედოფალო! ხედავ ირაკლიმ როგორ კარგად დააწყო ჯარი, ყველა თავთავის ადგილს?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თქვენს მზეს ვფიცავ, დიდი მხედართმთავრობა ეტყობა ეხლავ.

მ ე ფ ე — დიან. რასაკვირველია. სულ არა ჩქარობს და დამშვიდებული ბრძანებლობს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — შიში გვაქვს რამე ამ ცახის გალავანში?

მ ე ფ ე — სულ არაფერი. მაგრამ ვინცილობისათვის მაინც ოთხი თვის ნუზლი მოუმზადებია ირაკლის.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ის პირველი რაზმი გაუსია, რას ნიშნავს ეს?

მ ე ფ ე — შეიტყოს მტრის განზრახვა, რასა იქს იმათი მხედართმთავარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ოჰ, სულერთიან ოსმალს ჯარმა შემოუტია?

მ ე ფ ე — იფუქსავატეს, ქართველები ცოტა ეჩვენათ. ასე დააწყო ირაკლიმ, ასე აჩვენა თავისი ჯარი. ექვი აღარ არის დედოფალო, ჩქარა დაამარცხებს იმ თავხედებს ოსმალთა ირაკლი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — გივს უბრძანა შეტევათ თავის ჯარით?

მ ე ფ ე — მეორესა და მესამეს რაზმსა. ისინი არიან გამოცდილნი და ბევრს ცეცხლში გამოვლილი ჯარი. მაგათ გულსა ვინ შეარყევს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მხოლოდ ხმლის მეტს იარაღსა სხვას არ ხმარობს გივი?

მ ე ჟ ე — ირაკლის გამზდელი განოჩენილი ვაჟაკია. იმან შიში არ იცის არას საშინელებაში.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რევაზ და ომან აქეთ-იქით გვერდს უდგანან ირაკლის?

მ ე ჟ ე — ძლიერნი მხარნი არიან ირაკლისა ივინი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — სულერთიან ყმაწვილი კაცები ცხენიდან გადახტენ. ირაკლის მუხლებს ეხვევიან, ნებას სთხოვენ მტერზედ მისვლას, მაგრამ ნება არ მისცა.

მ ე ჟ ე — კარგათა ქნა, ჯერ დრო არ არის. ირაკლიმ იცის, როცა დრო იქნება. გივსა ხედავ, აგერ დედოფალო! ერთს ოსმალს ხმალი შემოჰკრა წელში, შუა გაწყვიტა, მეორესა თავზე დასცა და ზედ უნაგირსა გადაჰკრდა ხურჩინსავით, აბა ვინ გაუძლებს იმათ? იმ ჩვენმა სამმა რაზმმა, ესე იგი, სამი ათასმა ათიათასი ოსმალთა შეაფერხა და თანასწორე ომი მოუხდათ. ოსმალები სიხარულით რომ ვერა, ვერა გახდნენ რა, შორს გაუდგნენ და შორიდან დაუწყეს თოფის სროლა. აქ ირაკლიმ დაიძახა, სწრაფათ თავისი ორი რაზმი გაიყვანა დაფარულის ვენახების ორღობეებიდგან. რომელმაცა გაგულისებულმა შეუტია და სხვათაც შეატევებინა გულთამამად. ეს აჩქარება იმისთვის არის ირაკლისაგანა, რომ შეფერხებული ოსმალონი გონებაზედ ვეღარ მოვიდნენ და ამითი გადაუწყვიტოს ომი იმათ. უსაყვარლესო დედოფალო! ყველას დაუწინაურდა ირაკლი, სულერთიან ჩვენი ჯარიც მისდევენ და ცხენებ გამართულები. გაშიშვლებულის ხმლებითა და ზედ დაასხდნენ ოსმალებსა, თვალი აღარ ახამხამებინეს, ღმერთი ნუ გაგიწყრესთ იმათ თავი ვეღარ გაიმაგრონ. გესმის დედოფალო? აჰა, დასცეს ზარი ერთიანად ქართველებმა! ხედავ დედოფალო? გააქციეს ოსმალთს ჯარი ქართველებმა და უკან ხმლის კაფით მისდევენ მამულის გამომხსნელნი ქართველები! (ამასთან მეფე-დედოფალი ერთმანეთს სიხარულის ცრემლით გადაეხვევიან და მარჯვენა ხელის აღებით ზეცისაკენ ღმერთო, გმადლობთ! შენის ზეცისა ქვეშე ვიყვნეთ ჩვენცა ქართველები, დიდის კავკაზიისა და კავკაზიელების ერთს ძეთა დაბადებული ხალახლად.

ე რ თ ბ ი რ ა დ — (სულერთიან ბანზედ მდგომნი) ჭეშმარიტად, დიდის კავკაზიისა ერთს ძეთა!

მ ე ლ ა ნ ი ა — (ვემოდ) ახლა მეც ბანზედ ავიდე. გამარჯვებულნი მოდიან ერთობ ქართველები (და გვა. ამ დროს ორმოცი თუ მეტნაკლები ყმაწვილი კაცები ცხენებს შემოაქენებენ, მეფის წინაშე დადგებიან და ყველანი ოსმალთ თავებს აუყრიან ბანზედ).

ნ ა ო მ ა რ ი ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ე ბ ი — მოგვილოცამს მეფეო! დავამარცხეთ მტერი და კიდევაც დაგვემარცხებინოს ასე ადვილად.

მ ე ჟ ე — მეც გამარჯვება მამელოცოს გულუხვად თქვენთვის

(ამის შემდეგ ირაკლი შემოვა ეგრეთვე ცხენით, რომელსაც მხარში გასხებილი ნახევარკაცი უჭირავს მკლავში თავის მარჯვენეს ხელით).

ირაკლი — ჩემო ხელმწიფეო, მეფეო და ჩემო მშობელო დედაე! თქვენი ლოცვა, ცრემლი იყო დღეს გამმარკვებელი ჩვენი (და იმ გაყვითლის ოსმალის ნახევარს ბანზედ აუგდებს).

მეფე — შენა და შენს ძლიერს ქართველებსა გეკუთვნით ღლე-
ვანდელი გამარკვება შენმა გაზდამ.

დედოფალი — შენ ნუ მოკვდები ირაკლი, მაგ ოსმალომ რომ შემოგიტია ხმლითა, არად შევისაღარე, მალე კი დაასწარ და ანაზღად გააკვეთე ეს თავის მოყვარული შესაბრაალი ოსმალი (და თავის ბაღდაღის ხელსახოცს ესვრის ირაკლის). მაძილოცავს გამარკვება კარგო ირაკლი!

ორივ ირაკლის დები — უსაყვარლესო ძმაო! მინამ გაიმარ-
კვებდით, მწარედ ვტიროდით, ის სიმწარე აი ახლა სიხარულად მოგვი-
ლოცამს შენსა დებსა. (ამასთან წელიდან წითელ შალეებს მოიხსნიან და ირაკ-
ლიზედ გადმოსვრიან. მასუკან, გივი, რევაზ. ომან და ხნიანი მეოპრები შემოვლენ
ცხენებითვე. გივსა ხელით მოჰყავს ცხენი, რომელზედაც გამობილა კაცო ზედ კილია
ხურჭინსავით. რევაზს და ომანს წელში გაწვეტილი კაცები ხელში უჭირაეთ და ყვე-
ლანი ესენი მეფეს შესძახებენ).

ხნიანი მეომარი — ყოველი ჩვენი მტერი ასემც გაწყვეტი-
ლან, როგორც ეს უსამართლო მტაცებელნი, ბატონო მეფეო!

მეფე — თქვენგნითა მაქვს იმედი, იმედი თქვენი ქართველებო
(მასუკან ყმაწვილი ქალები თავიანთის გულიდან წითელს გულსიპირს მოიხსნიან და
თავის ქმრებს გადმოაყრიან).

ყმაწვილი ქალები — ახლა კი თქვენ გეკუთვნით ჩვენა,
უფრო განანლებულის სიყვარულით! მოგვილოცავს გამარკვებასთან
ჩვენი სიყვარულიც (ამ დროს მელანია აუა ბანზე და ყმაწვილი ქალები უკმაყო-
ფილოდ. მინამ ქალები მელანოს ამას ეტყვიან, სულერთიან ცხენონებში გავლენ და
ისევ ქვეითი შემოვლენ). სადა ხარ მელანიავ შენს გაზდას! რად გამოაკლდი
ჩვენში, მიგელოცა შენის ქმრისათვის გამარკვება?

მელანია — მე ასე დროს მიულოცავ, იყოს შესაფერი. თქვენ
იყავით ბედნიერი ჩემო დებო, ნუ ინაღვლით ჩემთვის (სიმწარით წარმოთქ-
ვამს ამას).

მეფე — ახლა კი ქვემოთ სალხინოში ჩავიდეთ. მაგრამ ბესარიონ
სად წასულა ირაკლი?

ირაკლი — ^{ქალაქად} დადევნე დამარცხებულს ჯარსა (ამასთანვე სულ წა-
მოვლენ. აქ ბესარიონ სალხინოში გამოვა).

ბესარიონ — ძალიან დამარცხდნენ ოსმალები, გაიქცნენ. გადა-
იქაჯნენ, მაგრამ ეს ერთი ომი სხვა აუარებელს ომებთან წვეთია ზღვისა.
(ამას რომ იტყვის მეფე თეიმურაზ შემოვა და სხვანიც ყველანი).

მეფე — (ბესარიონს) რა შეიტყე ბესარიონ?
ბესარიონ — თურმე დიდრონი ჯარები უშზადება ალაზნის პირ-
ზედ. კაცები გიახლნენ ქიზიყიდგან, იმათ მოგახსენეს.

მ ე ლ ე — (ირაკლისაკენ) რა ვქნათ შვილო, რას იტყვი?

ი რ ა კ ლ ი — ეხლავ, ეხლავ გიანბლები ქიზიყს, იქ ჩაუხტები ხვალ-
ცე. იმ ალაზნის პირზე. შეიტყონ ვინ ვართ ჩვენ ქართველები. (თავს დაუ-
კრავს. საჩქაროდ ვაჟა და იმისი ამაღაც რან გაჰყვებიან სულერთიან. ქალები და მე-
ფის ამაღაც აქ დარჩებიან. მელანის გარდა, რომელიც იმათ გაჰყვება).

მ ე ლ ე — (ბესარიონს) პატარა ხანს მოიცა ბესარიონ (მაშინვე დადგება).
ვერ შეიტყე იმ ჯარის უფროსი ვინ არის?

ბ ე ს ა რ ი ო ნ — ალისკანტი მოგახსენეს.

მ ე ლ ე — დიან, გამოჩენილი ბელადია დალისტანში ალისკანტი.
(ამ დროს ერთი დაიარაღებული გუდა აკიდებული კაცი შემოვა, უკან ერთი მანდი-
ლოსანი შემოჰყვება აგრეთვე იარაღით).

გ უ და ა კ ი დ ე ბ უ ლ ი კ ა ც ი — ჩემს ხელმწიფეს, მეფეს გაუ-
მარჯოს.

მ ე ლ ე — ღმერთმა გაგიმარჯოს, ვინა ხარ კაცი? (აქ ბესარიონის უკალი
დაიკოვლებს).

კ ე კ ე — ქა გენაცვა, ეს რა ვნახე? (და გაეჭანება, იმ კაცის გუდიდან
ერთს პატარა ყმაწვილს ამოიყვანს და გულში ჩაიკრავს ამ სიტყვით) ბესარიონ, ჩვე-
ნი შვილი გოგია. შენამც გენაცვლება ჩემი თავი შვილო (ბესარიონ გაეჭა-
ნება გამოართმევს და გულზე მიიკრავს სურვილით).

მ ე ლ ე — (საჩქაროთ) მითხარ კაცო, რა ამბავია? (ამას მეფე რომ იტყვის,
ბესარიონ და ამის ცოლი კეკე განკრძალული დადგებიან).

გ უ დ ი ა ნ ი კ ა ც ი — ჩემო ხელმწიფეო! მე ამ ბესარიონის ყმა
გახლავარ; ჩემი და ამ ჩემის მოჯალაბის გახდილია ეს ყმაწვილი. შენი
ჭირიმე ბატონო! დიდი შიშინაობა მოხდა ქართლში. ოსმალებმა აღარ
დანიდეს ქართლელები. იმჟინის ხარკის მიცემა რომ ველარ შეიძლეს
ოსმალებსა, აკლება დაუწყეს ქართლელებსა, ასე გაშინჯეთ, ერთს დი-
დი კაცის შვილსა, პირში ცხენის ლაგამი ამოსდეს, ზედ ოსმალო შასვეს
და ცხენსავით აჭენებინეს. ამ ჩემი ქალბატონის დედმამის სახლიც სულ
დაანიავეს. შამეშინდა, ამ პატარა ყმაწვილს არა ავნონ რა მეთქი. ზელი
წამოვავლე; გამოვიტაცე, ეს თქვენი მუახლეც თან გამამყვა და დღეს
სუთი დღეა გზაზედ ვდგევარ.

მ ე ლ ე — (დაფიქრების შემდეგ) მერე არავინ დაგხვდათ ავი კაცი გზა-
ზედ?

გ უ დ ი ა ნ ი კ ა ც ი — სულ მთამთა ვიარეთ, უგზო-უკვლოთ ტყე-
ტყე.

მ ე ლ ე — არაგვი როგორ გამოხველ, იმ ლაღსა მდინარეში?

გ უ დ ი ა ნ ი კ ა ც ი — არამც თუ ეს პატარა ყმაწვილი, ეს ჩემი
ცოლიც მხარზე შემოვიგდე და ორივ ადვილად გადმოვიყვანე შუალა-
მისას, ვიცოდი კარგად ფონი.

მ ე ლ ე — პური გქონდა გზაზე საკმაო?

გუდიანი კაცი — ამ თქვენმა მუახლემ პურით სავსე გულა გამოიტაცა, წამოიღო.

მეფე — ეგ ყმაწვილი როგორ მოგყვანდა?

გუდიანი კაცი — გულით, ჩემს ზურგზედ წამოკიდებული (ამ სიტყვაზედ მეფე თავის მდიდარს კაბას გაიხდის და გუდიანს კაცს ჩააცმევს).

მეფე — მაგ შენი ბატონის ერთგულობისათვის, ეს კაბა შენთვის მამიციანა და ჩემის ხელითვე ჩაგაცმევ (და ჩააცმევს).

ბესარიონ — ჩემო ხელმწიფეო! თქვენი მოწყალება განუსაზღვრელია ჩვენზე, მეც შენი ჭირიმე ჩემი საკუთარი ზვარი მაგ იოსებისათვის მიჩუქებია ერთგულებისათვის.

მეფე — მაგის მაგიერათ მე გმადლობ ბესარიონ. ჩვენს შვილებში და ჩვენს გლეხებში გარჩევა არ უნდა იყოს ჩვენგანით არასდროს.

გუდიანი კაცი — (მთა და მეფეს მუხლზე აკოცებს) ეს მოწყალება დაუვიწყარი იქნება ჩემი შვილიშვილებისაგან.

მეფე — ახლა კი დრო მოვიდა, ყველანი თავთავისად წავიდეთ, მცირედ მოვისვენოთ და შენ ბესარიონ, შენ საჩქაროთ წადი ირაკლისთან, პასუხს ველით თქვენგანით.

ბესარიონ — უთუოთ კარგსა (და ხველანი წავლენ. ესენი რი გავლენ მელანია შემოვა).

მელანია — მერვე დღეა, ირაკლის ამბავი არა ვიცი რა, სწორეთ სწორია დღეს. რალაც ომების ხმები მოვიდა. ეს ჩემი სიყვარული პრძოლა, ომი არ არის თუ? ეს მერვე დღეა ჩემი ტანჯვა და ჩემი სიყვარული ურთიერთსა ებრძვის, მერე როგორ? ეს გაძლიერებულნი გმირნი შექიდებულან ძლიერის ხელებითა და წელს უღოჯენ ერთმანეთსა გასატეხად. მე თქვენს შუაში ჩავარდნილსა, მე მამიდნობთ თქვენა, ჩენზე მოსეულო ავაზაკებო (ამ დროს სარლან შემოვა).

სარიდან — ოჰ, ჩემო მელანიავ, აქა ხარ შენ?

მელანია — (გაეჩანება, გადახვევა) შენი სულის ჭირიმე, ნეტავი ჩემს თვალებს შენა გნახეს. როდის მოხველ სიცოცხლეო?

სარიდან — ეხლა ეს არის ძოველი.

მელანია — სხვა ამბავი რაღა?

სარიდან — ომებზე დიდრონები. ხედავ ჩემო მელანიავ ამ ჩემს წითელ ჩოხას? ასოცდასამი ტყვია არის გავარდნილი ამ ჩოხაში. ყოველი ახლანდელი მეომარი ქართველი სულ ასე ომობს, ასე თავდადებათ, მაგრამ ბატონიშვილი ირაკლისა რა გითხრა? ის გადაგვემატა ჩვენ. სულ შუაგულს მტრის დასებში ვხედავთ იმას ხმალმოღერებული მტრის თავზე, ამას თავი დაეანებოთ, მითხარ მეფე და დედოფალი სადა ბრძანდებიან?

მელანია — სასტუმროს სენაკში. გინდა მოვახსენო შენი მოსვლა ჩემს ნათლიას?

ს ა რ ი დ ა ნ — კარგი იქნება შენმა გაზდამ (ჯავა მელანია).

კ ი დ ე ვ ს ა რ ი დ ა ნ — საწყალს მელანიას. ჩემს ლაპარაკში, სახე სულ უყვირდებოდა, სულ გადაფითრებული მიძურებდა. უნდა ეთქო რამე, მაგრამ ვერ გაბედა, სიტყვა გულში უკვდებოდა.

(მეფე, დედოფალი და ყველანი შემოვლენ).

მ ე ფ ე — აბა სარიდან, რა ამბავი მოგვიტანე?

ს ა რ ი დ ა ნ — ამ რვას დღეში ოცდაერთი ომი გადავიხადეთ. ასე 'მეშინდნენ ჩვენი მტრები, რომ დაკარგულსავით აღარ ჩანან. ეს მოგახსენათ ბატონიშვილმა ირაკლიმ ჩვეხო ხელმწიფეო!

მ ე ფ ე — უცხო მხარობელი ხარ სარიდან. მაგისტავის ეს ჩემი საათი ჩემს სახსოვრად გქონდეს (ამოიღებს უბიღვან ნისცემს სარიდანს).

ს ა რ ი დ ა ნ — ჩემს სიკვდილამდინ, ჩემს მეგობარ ამხანაგად, ჩემის ჟამების დროს გასატარებლად.

მ ე ფ ე — თქვენი მხრით ბევრი ხომ არ დაგეჰრათ, ან არ დაგეხოცათ?

ს ა რ ი დ ა ნ — არა ისე სათქმელი. თქვენი მეფობის შვილი ირაკლი მაშინვე სწყლავს მტერსა, სწრაფად, ანაზღად, ისე ანაზღად, რომ ვერც მოვა ხოლმე გონებაზე მტერი, ბევრით ჩვენზე მეტნი.

მ ე ფ ე — რაც თქვენს კაცობასა ეკადრებოდა ქართველებო, იმისთანა მომღელი მოგცათ ღმერთმა. ჩემი ქართველებისას რაღას მეტყვი, როგორ იყვნენ?

ს ა რ ი დ ა ნ — თქვენი შვილის ირაკლისდგან მოკიდებული უკანასკნელ მეომრამდინ, ჩვენი ეხლანდელი ომები არის, ხმალი და სიკვდილი. ასე ვომობთ და ასე ინება ბატონიშვილმა.

მ ე ფ ე — ეგ არის და მაგითი დაამარცხებთ მტერსა, აუცილებლად. რევაზ და ომან როგორ ზურგს უნახავენ ირაკლისა?

ს ა რ ი დ ა ნ — მაგარს, შეურყეველს.

მ ე ფ ე — იმის მოჭირანახულის გივისას რაღას მეტყვი?

ს ა რ ი დ ა ნ — უშიშარი, ძლიერი ვაჟაკია ბატონო. მარჯვენე ფერდში მოხვდა ტყვია და მარცხენეს ფერდში გაეარდა. ორსავე ნატყვიარში აქეთ-იქით, ერთში ხელცახოცი დაიცო და მეორეში ბალახი, რომ საჩქაროთ ხელცახოცი ვერ იშოვა და ისევ შუაგულში შევიდა ომის ცეცხლში და ყველას უკან ომიდგან გამოვიდა, ხმალ-მარჯვენა ხელი გაბასრული სისხლით. როდესაც ბატონიშვილს ირაკლისთან ვიახლათ და გამარჯვება მიულოცა, უთხრა: 'შენი დაჭრილობა მაჩვენეო? იმან დაცმულები გამოიღო, რომელსაცა ორსავე მხარეს გადმოხეთქა სისხლმა წყაროსავით. მაშინვე თავისი გამოჩენილი მკურნალი დააყენა და დიახ, კარგად გაუყეთა დაჭრილობა (აქ სარიდან გაჩუბდება).

მ ე ფ ე — (მეწუხებით) დიდათ დაჭრილია, უთუოდ მოკვდებოდა.

ს ა რ ი დ ა ნ — იმის დაქრილობის შემდეგ ჩვიდმეტი ომი კრდევ
გაღვიხადეთ. რომლებშიაც პირველი მეომარი გახლდათ. ყველგან გუი.

მ ე ფ ე — ოჰ, რა რიგად მასიამოვნე, ახლა სად არის ის?

ს ა რ ი დ ა ნ — ბატონიშვილთან განუშორებლივ. თითქმის მორჩა
კიდეც (ამას რომ იტყვის ბესარიონ შემოვა).

ბ ე ს ა რ ი ო ნ — ბატონიშვილმა ირაკლიმ თაყვანისცემა მოგახსე-
ნათ მეფე-დედოფალო. მე ამ სიტყვით დამაწინაურა და თვითონაც ჩქა-
რა გაიხლებათ კარგის ამბით.

მ ე ფ ე — როდის მოვა, ჩქარა?

ბ ე ს ა რ ი ო ნ — უთუოდ ჩქარა, ჩემო ხელმწიფეო! (ამ დროს მეფის
ირაკლის დებე გაეჭანებთან).

ი რ ა კ ლ ი ს დ ე ბ ი — ოჰ, საყვარელო ძმაო! შენ ნუ მოგვიკედე-
ბი, ყოვლის საღამოზე ფეხშიშველა დავიდოდით ეკლესიებში თქვენის
გამარჯვებისათვის.

ი რ ა კ ლ ი — ვიცი თქვენმა გაზდამ, როგორც გტკივათ გული
ქართველებისათვის (მასუან მეფე-დედოფალი მიმეშვიდობებთან).

მ ე ფ ე — მამილოცავს ერთობ თქვენთვის გამარჯვება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მეც ეგრეთვე ქართველებო!

მ ე ფ ე — შეილო ირაკლი, სხვა ამბავი რაღა?

ი რ ა კ ლ ი — სპარსეთის ნადირშას, დემურ-ტაშზედ დიდი ჯარი და-
უმარცხებია ოსმალოსი. ქ. ტფილისში შემოუთვლია ოსმალებისათვის:
საქართველო დაცალეთო და დაუცლიათ კიდეც. თვითონაც თურმე აპი-
რებს იქ მისვლას ოკტომბრის თვეში. გუშინ ჩემთან მოვიდა ორშას-
ხანი, ჩვენ იქ უნდა დავხედეთ ჩემო ხელმწიფეო მამავ!

მ ე ფ ე — (ღმრთისადმი) ქართველსა სცდი, ქართველსა-მწესა, ქართ-
ველსა სჯი, ქართველს იხსნი და ქართველისათვის გამადლობ განგებო!
ახლა ჩემო ირაკლი, რაღას იტყვი?

ი რ ა კ ლ ი — დიახ, საჩქაროთ უნდა გავეშურნეთ, ქალაქ ტფილის-
ში უნდა ჩავიდეთ.

მ ე ფ ე — მამ დედოფალო, თქვენ აქ უნდა ბრძანდებოდეთ ერთობ
ქალებითა. (თავს დაუკრავს ყველას ირაკლითურთ და გავა. სხვანიც ეგრეთვე).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩვენც წავიდეთ, ვნახოთ ტფილისიდგან რა ამ-
ბავი მოგვივა? (ესენი რო გავლენ. მელანა შემოვა).

მ ე ლ ა ნ ი ა — ხუთი დღე გავიდა, არა ვიციოდით რა ქალაქ ტფი-
ლისიდგან ამბავი რამ. ამ პირველ ღამეს წიგნი მოუვიდა დედოფალსა
მეფისაგან. მთელი ქალაქის ერი გამოჰკეცებიათ. ირაკლი ცხენითგან
აუტაცნიათ და ხელდახელ ქალაქი შეურონინებიათ დიდის დღესასწა-
ულით. მეფეს მეტის სიხარულით უტირია (მიიხედ-მოიხედავს) გაკონილა?
ერთი მოსამსახურე არა ჩანს აქ, მოძღვარი დაიბარა პარაკლისისათვის
დედოფალმა (უეცრან რაქდენიზე ხნიანი ღელაყანი და კაცები შემოვლენ).

ერთიანათ — (ხმაშლლა) ქალო, შენ გაზდას, დედოფალს მოახსენე გამობჭძანდეს საჩქაროთ.

მელანია — მითხარით, რა დაგმართეიათ?

ერთიანათ — ჩქარა მოახსენე. თორემ თვით ჩვენ შეეცკივდე-ბით (ამ დროს დედოფალი გამოევა თავის ბანოვანებოთ).

დედოფალი — ეს ვინ ყვირის, ვინ იძახის?

ერთიანად — დედოფალო, რაღაც დიდი წითელი სვეტი გაჩნდა ზეცაში!

დედოფალი — როგორ თუ სვეტი?

ერთიანად — აი, შენი ჭირიმე. აქ გამობჭძანდით კარზე, ზეცი-საკენ შეიხედეთ! (საჩქაროთ გამოვლენ, შეხედენ განკჭფრებით).

დედოფალი — არ გაგონილა! ეს რას მოასწავებს? საშინელი დიდი სვეტია! იმის ბრწყინვალეობას მთვარის შუქი დაუფარავს! აი, აი, ჩამოვიდა (და ჩამოეშება დიდი სვეტ-სხიემოსშელი). მელანია, შენს გაზდას, საჩქაროთ მოძღვარი მოაყვანიე, პარაკლისი ვახდევინოდ.

მელანია — ეხლავ, ეხლავ შენი ჭირიმე. (საჩქაროთ გაეარდება. იმის გაეარდნასთან ის სვეტი გასქდება, ძლიერად დაიქეპებს და მრავალს ეარსკვლავებად განიბნევა. აქ დედოფალი და ყველანი დედამიწაზედ დაეცემიან შეძრწუნებული, ამ დროს დედამიწის ძეგრა მოჰყვება თავის გრვენივით და სრულიაწ სალხინო რყევას დაიწყებს. ამ რყევაზედ დედოფალი და ყველანი წამოცვივდებიან).¹

დედოფალი — ნუთუ ჩვენი უუშვენიერესი საქართველო ამო-იფხვრას, დადრენილს დედამიწის პირში ჩავარდეს? ამის ნაცვლად შენ სჯეა რაღა სრულიად ქვეყანაო? ეს ჩვენი ქვეყანა არამც თუ კაცსა — ანგელოზებსაც ეკადრებათ სამკვიდრებლად, აქ არ არის დასალუპი, კეშმარტად (უარესად შეირყევა დედამიწა და სალხინო).

დედოფალი — (დაივლებით) ვაი, შენი ბრალი საქართველოვ! (გული შეუწუხდება. გულშეწუხებულს წამოავლებენ და კარზე გაიტანენ. სხვანიც ყველანი თან გაჰყვებიან. ისინი რომ გავლენ მელანია შემოვა).

მელანია — მეფე თეიმურაზის წიგნი მოუვიდა დედოფალსა: ეპა, საკურველებაო! ის ზეცის ნათელი სვეტი მთელს საქართველოს დაუნახავს, იმის დაქეპებაზე, არამც თუ თელავი — მთელი საქართველოს ქვეყანა შეძრწულა. ეს კიდევ არაფერი, როგორც ეს ორმაგი დღეა დედამიწა ირყევა მეტის ქანებისაგან: კავკაზიის მთებიდგან დიდრონი ბორცვები გადმოვარდნილა, ბევრი ციხეები დაღეწილა, ბევრი ეკლესიები დაქეუულა და შენობებს ხომ ანგარიში არა აქვსო: ეს რაღაც არის, რაღაც მოსწავებაო დედოფალო! ვაი, თუ ეს მოსწავება იყოს, რომ საქართველო წარიტაცონ ვინ იცის ვინა? ბატონიშვილის ირაკლის

¹ ეს ნათლისა სვეტი და მიწისძვრა ერთს ეპაში არა ყოფილა, მეც აქ სახისათვის ერთად მოვაქციე. მაინც იმ დროებში მომხდარა ორივე ესენი.

დროს კი ეს არ შეიძლება, ასეთი კარგი რამ არის! სალხინოვო! აჰა თუ მოსწავება არ იყოს, აი, კიდევ ემზადები დასაქტევეად! (ამ სიტყვასთან გაიქცევა კარზე გავა და სალხინო დავეცემა დაქტეული. იქ შორს თელავის ქალაქი გამოჩნდება, ბუერი იმისი შენობა იქცევა, დედაკაცი და კაცი, თავის წერილი შეიღებოთა. აქეთ-იქით მიმობრიან, შემრწუნებულები სხვადასხვა სახით. ამის შემდგომ დედოფალი და იმისი ბანოეანი დაქტეულს სალხინოვოდ ამოვილენ. მელანაც იმათთან ერთად მოვა).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — არ ვიცი ამოებამ ეს სახლი დაანგრია, თუ ამ სახლმა ამოება? (რადენჯერზე ფხს დაქკრავს) ამოებავ, ამოებავ? მინამ არ შეისრულე, შენი უინი არ მოიკალ არ დაწყენარდი მიწის რყევისაგან. ერთი ესლა გვაკლდა, ეს უბედურება ქართველებსა, ეხლა რალა კიდევ, რალა გინდა ჩვენთვის ამოებავ? (არევ ფხს დაქკრავს). განა ყოველი ამოებაა და მისთვის გვდევნი ქართველებსა ამოებავ? მითამ მაგითი დანიშალა კაცმა თავისი გონების მიმართულების ძალა ამ სოფელზე? არა, მე კიდევ იქა ვარ, ვინც მომატებულს გამოცდილებაში არის, იმას უფრო უტხოველდება თავის საწადელის ვნება, ამ სოფელში. რავდენი მოჩაკედავი კაცი წამომდგარა ქვეშაგებით. მეც იმედს არ გადავიწყვეტ მინამ ცოცხალი ვარ, შენ რაც უნდა გვდევნო ქართველებსა ამოებავ. ახლა კი წავიდეთ ქალებო, მეფის წიგნი მაძივიდა; ქალაქ ტფილისში უნდა ჩავიდეთ სულერთიან, როცა ნადირშა გავა ქალაქიდგან. წავიდეთ, მოთმინებას მოწყალება მოაქვს ღმრთისა! (ყველანი გავლენ მელანის გარდა).

მ ე ლ ა ნ ი ა — ჩავალ და იქ გათავდება დღენი ჩემნი. ასე ვგრძნობ წინათვე. (ორსავ ხელებს თვალეზე მიიფარებს და ფარდაც ჩამოეფარება).

მეოთხე მოქმედება

ფარდა აიხდება, გამოჩნდება ქ. ტფილისის პირდაპირ აღმოსავლეთ სამხრეთისაკენ ფრიალო კლდე, ზედ გუმბათიანი ეკლესია მეტეხის ღვთისმშობლისა. ეკლესიის წინ ქვემოთ საფლავებით, საფლავების უკან ვარდების ბუჩქებია მხოლოდ ფოთლებიანი უუარდო და ვარდების ცოტა ზევით მალაროა კლდეში გამოკვეთილი, სადაც აქ საფლავების წინ ბატონიშვილი ირაკლი დგას თავის ამალით.

ი რ ა კ ლ ი — (ორ საფლავზე ხელს მიიღებს) ჩემო მოჭირნახულე გიგო, ჩვენში გამოაკლდნენ ჩვენი სარიდანის მამა და ამის ცოლი. სარიდანის მამა იყო ჩემი მაგარი მხარი.

ვ ი ვ ი — ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ორთავ. გაუდრე-ეელი ვაჟკაცი იყო სარიდანის მამა. ხშირად ვნახამდით, მეტრსა კისერზე აჯდა ხოლმე ხმალმოელევარე (ამ დროს დედოფლის თამარის მოსამსახურე შემოვა).

გ რ ი გ ო ლ — ბატონიშვილო, თქვენმა მშობელმა დედოფალმა

მოკითხვა გიბრძანათ. ესლა თელავიდან მდბდანდა, ავლაბარში გადახტა და თქვენი აქ ყოვნა რომ გაიგონა, ისიც მობშანებას აპირებს ამ ეკლესიის თაყვანის საცემად.

ირაკლი — რატომ ქალაქ ტფილისის სამეფოს სასახლეში არ მიბრძანდა, იქ არ გადახტა?

გრიგოლ — აქედგან აპირებს იქ წაბრძანებას. ასე ინება. აი, ბატონიშვილო, დედოფალიც მობრძანდება (ირაკლი მოიხედავს დაძახებით).

ირაკლი — ჩემო შშობელო დედავ! წუხელის სიზმარში გეხვევჯოდი.

დედოფალი — (შემოსავალში) შენმა ვაზდამ ირაკლი! კარგი შვილი მყავნარ და მამულის კარგი ძე! (და გადახვევიან ერთმანეთს) მაგრამ ხელმწიფე მეფე სადა ბრძანდება?

ირაკლი — გუშინ შტხეთას წაბრძანდა; იქ ორ კვირას დარჩება სამეფოს საქმეზე. არა გნებავეთ ღვდელი მოვაყვანინოთ, ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადოთ საქართველოს დღეგრძელობისა?

დედოფალი — როდესაც მეფე მობრძანდება მაშინ სჯობია.

ირაკლი — მაშ თაყვანისცემა ინებეთ ღვთისშშობლის ხატისა ეკლესიაში.

დედოფალი — ვიყავ კიდევ.

ირაკლი — იყო შესაბამი ეკლესიაში მომეხსენებინა, მაგრამ სიხარული სულერთია ყველგან. აქაც გახარებთ დედოფალო!

დედოფალი — რასა? რასა შეილო!

ირაკლი — ქართლიც გაგვიერთდა საქართველოს ერთ სამეფოთ!

დედოფალი — ჩემი სამშობლო ქართლი! ჩემი უსაყვარლესი მამული საქართველოს გაერთებია! (ამსთან დაეშობა, მასუკან წამოიჩოქებს და ხელის დაკრით თავზედ იტყვის) ეს ჩემი თავი შენი ჳირის სანაცვლო იყოს საქართველოს ერთობაო (კიდევ დაეშობა) ვითარ გადავიხადოთ ჩვენ მაღლობა ღვთაებაო! (და აღგება).

დედოფალივე — მაგრამ ახლა ეს მითხარ ირაკლი. ნადირშამ როგორ გნახათ თქვენ ქართველნი?

ირაკლი — მეტად, მეტად მოეწონა. როდესაც ჩვენ ამხედრებულნი ჳარი ნახა, სულ გადაირია. ამ ჳარით ბევრს შევიძლებ, თავის დროზედ მოგიწვევთო სპარსეთში. მაგრამ მამას რალათ უბღვერდა ეს კი აღარ ვიცი.

დედოფალი — რალაც ეშმაკობა, რალაც ცბიერობა იქნება იმი საგან, მაგრამ რაო, რა გითხრა შენ?

ირაკლი — თავიდან მოკიდებული ფეხებამდისინღ ამავლო თვალი და ჩამავლო რავდენჯერმე. ბოლოს მიყურა კარგი ხანი. მერე მიმიყვანა თავისთან და აღერსით მითხრა: კარგო ბიჭო. კარგი ვონება და კარგი ვაყვაცობა გეტყობათ სახეზე. მოუარე შენს მამულს, ჩემს სამ-

სახურშიაც კარგათ იყავიო. მასუკან ერთი ხანი დაგვინიშნა: ამას აქ დავაგდებ ჩემის ჯარითაო თქვენ მოსავლელად.

დედოფალი — მერე სად არის ხანი თავის ჯარით?

ირაკლი — აქ ქალაქში დგანან და კარგათ შეექცევიან ყოველს ჩვენს დიდს გამოსაღებზედ, რომელმაცა მეტად დიდი ხარკი დასდო საქართველოს, მართლა იმ ნადირმა.

დედოფალი — ოჰ, აღარ მიამა მაგის გაგონება. მაგრამ ახლა ეს მითხარ, გეტყობა წირვა აქ მოვისმენიშნირაკლი?

ირაკლი — (დალონებით) დიახ შენი ჭირიმე აქ მოვისმინე. ახალის ორის მკვდრებისათვის ვაწირვინე დღესა.

დედოფალი — როგორ თუ ახალი მკვდრებისა, რომლებსათვის?

ირაკლი — აი, ამ ორი მკვდრებისათვის.

დედოფალი — ვინ, ვინ არიან ეგენი?

ირაკლი — შეწუნდები დედოფალო.

დედოფალი — თქვი ჩემო კარგო შვილო.

ირაკლი — სარიდანის დედ-მამა, ომან და ბარბარე.

დედოფალი — ახ, საცოდავნი, ორნივე მამულისათვის თავდადებულნი (შივა და ორს საფლავსვე თავყანსა სცემს. მასუკან აღგება, რტყვის) თქვენ რომ თელავიდან წამოხვედით, ესენი მაშინვე სომხითისკენ დამეთხოვნენ თავის ნათესავეებში და ახლა არ ვიცი რა შემთხვევით ამ უბედურებს?

ირაკლი — მითამ ოსმალები გავიდნენ ქართლ-სომხითიდან? რა ბრძანებაა. მართლა, იმათი ბძანებლობა აღარ არის საქართველოში, მაგრამ იმათი მეკობრებით აივსო ეს ქვეყანა. ლეკებიც გამოიყვანეს ჯარ-ბელაქნიდან ახალციხეში და დიდი ოხრება დამართეს საქართველოს დედოფალო! არ დაიჩერებ ჩემო უსაყვარლესო დედავ, რომ რაც თელავიდან წამოვედით, ამ ცოტას ხანში ასოცდაათი მეტი ომი გადამინდია. მუსრს ვავლებთ იმათ ჯარებს, მაგრამ ბალახები არიან, ერთი რომ აღარ არის, მეორე თან მჭს დევს.

დედოფალი — ვიცოდი რაც მოხდებოდა. ხომ არ დაგვალა მტერმა ირაკლი?

ირაკლი — ოცდაოთხს საათში, სამი საათი ძილი არა მაქვს, თქვენს მზეს ვფიცავ, დაღალვას რა ჰქვიათ დედოფალო?

დედოფალი — ნუ გეწყინება ჩემო უსაყვარლესო ირაკლი! შვილი ხარ და გკითხვ.

ირაკლი — არა, ჩემო ხელმწიფეო დედავ, დედა ბძანდები და მშობლიურმა სიყვარულმა თავი წაგართო შენი ჭირიმე.

დედოფალი — ახ, ჩემო ირაკლი, ჩემო სიცოცხლევ! მაგრამ ეს მიაზბე, ამათი სიკვდილის ამბავი?

ი რ ა კ ლ ი — თავის ნათესავეებიდგან რომ წამოსულან, გზაზე ოსმალ-ლეკები დახვედროდნენ. ესენი ცხრანი და ოსმალ-ლეკები ერთი ბიარაბის კაცნი. კიდევ თურმე ვერას უზამდნენ, მაგრამ სოფლის ვაშლოვნის ვიწროებში დახვედროდნენ უცებ. ძალიან ხელი გამოეღოთ ამათ, ოცამდისინ ლეკი და ოსმალ მოეკლათ, მაგრამ ბოლოს დროს ესენიც სულ დაეხოცათ და დღეს მეშვიდე დღეა ამათი დასაფლავება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — სარიდან სად არის? აქ არ იყო ამათ დამარხებაში?

ი რ ა კ ლ ი — დღეს ოცი დღეა ოსმალს სამძლვარზედ გავგზავნე ჯარით. რალა მოგახსენოთ იმის სამსახური ანუ ვაქაცობა! ჩვენგნით ყველასგან დაუვიწყარი უნდა იყოს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მელანია რომ შეიტყობს სარიდანის ამბავს, რა რიგათ იამება.

ი რ ა კ ლ ი — ჩემი სულიერი და მელანია როგორ გახლავსთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — კარგათ. ამაღამ მარტყოფს მოვა თავის დედმამითა და ხვალ ავლაბარში გადახტებიან, იქ მზათა აქვთ სახლები.

(ამ დროს ორი საფლავის მოხრეხნი შემოვლენ წერაქვ-ნიჩბებითა, თავს დაუკრავენ დედოფალს და ბატონიშვილსა).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ვინა ხართ ნიჩბებ-წერაქვეებით?

პ ი რ ვ ე ლ ი — უსულოს ადამიანების ხელოსნები.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — პირველი გაგონებაა, მკვდარსა ხელოსანი ჰყვანდეს.

მ ე ო რ ე — არა, ხელმწიფეო დედოფალო! უხელოსნოთ არა შეიძლება რა. ქვასაც ხელოსანი უნდა და მკვდარსაც.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ორსავ გეტყობათ კარგად გაზდილობა, ვისთანა ხართ გაზდილი?

პ ი რ ვ ე ლ ი — კავკაზიის მთიულეთის მთაში, ერთს გამოქვაბულს კლდესა, ერთი მოხუცი ბერი იყო, დიდი ხნის განდგეილი, სადაც ბორბოხების მფრინველების მეტი სხვა სურიელი იმ ადგილს არ იპოებანიმ ბერთან ხშირათ დავდიოდით და იმისაგან ვისწავლეთ, რომ ამ სოფელში ანთებული სანთელი კაცის ერთის შებერვით გასაქრობი, რომელიცა ვიწროთ სცხოვრობს ამ განიერს ქვეყანაში, ყოვლის დაუმაღლებელი უმაღური, ის რომ კვდებოდა, იმის ანდერძი იყო, რადგან იმ კლდიანს მთაში საფლავი არ გაიჭრებოდა, ჩემი სხეული ერთს კლდეზედ დადეთ, ბორბოხებმა ჩქარა შემჭამონ, რომ ჩემი ამძღვრებულის ხორციით წმინდა ჰაერი არ წახდესო. ანდერძი აღუსრულეთ, მაშინვე დიდრონი ბორბოხები დაეხვივნენ და საჩქაროთ ჩანთქეს იმისი გვამი, რომ ერთი ბეწო ნიშანი არ გაუშვეს იმ კლდეზედა იმ წმინდის ბერისა. ამის მნახველთ, ამოს სოფელს შევაფურთხეთ. შემდგომ ამ ქალაქში ჩამოვედით და ეს ხელოსნობა ამოვირჩიეთ: მარადის თვალწინ გვიდ-

გეს ეს სოფელი, რომელსაცა ეხლა ნახავს თქვენი კეთილი თვალი დედოფალო.

დედოფალი — რას ნახავს ჩემი თვალი ეხლა?

პირველი — კაცისთვის საფლავის გათხრას.

დედოფალი — მერე ვინ არის ის კაცი?

პირველი — ამათ გვერდით უნდა გავთხაროთ საფლავი.

ირაკლი — (აღარ დაადის დედოფალს) რას ამბობთ, ვინ გაგათხრევენებთ მაგათ გვერდით?

პირველი — ასე გვიბრძანეს: ომანისა და ბარბარეს გვერდით გათხარეთო, ამათი საფლავებიც ჩვენ გავთხარეთ.

ირაკლი — ვიმ გიბრძანათ, ვინ არის მბრძანებელი?

პირველი — დიდის ყოფით მოაქვთ ერთი ყმაწვილი კაცი, დიდი კაცის შვილი.

ირაკლი — რას ამბობენ, რა მესმის არ ვიცი! (უერად რავდენიმე სარიდანის ამხანაგი შემოვლენ საკინძ ჩამოსხნილი. ყველას თვითნათი საქურველი ყელზე ჩამოკიდებული აქვთ წინ გულთანა. შეწუხებულები დედოფალსა და ირაკლს იავეს დაუკრავენ უსიტყვოდ, ირაკლი მიხედება რაც ამბავია).

ირაკლი — სარიდანის ამბავი ხომ არა არის რა?

(ერთი ამხანაგებთაგანი შეწუხებით).

ბესარიონ — სარიდან თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნა ბატონიშვილო.

ირაკლი — როგორ! ჩემი ძმა სარიდან გარდაიცვალა? (სარიდანის ამხანაგები მწარეთ დაღონებულები თავებს ჩაკიდებენ. დედოფალი, სხვანი ყველანი დიდად შეწუხდებიან და ქალები თვლებზე ხელსახოცს მიიფარებენ) ხედავთ? რა ძვირფასი განძი დაქკარგა ჩვენმა მშობელმა ქვეყანამ? მითხრით მიზეზი რა იყო იმის სიკვდილისა?

ბესარიონ — წალკის მახლობლად ვიდექით, ვიქნებოდით ორი ათასი ჩვენ, ხელსა ქვეშე სარიდანისა და სამძღვრისა დარაჯობას ვეწეოდით, ოსმალოს მამულიდგან მტერი არ გამოსულიყო. ამ ხუთი დღის წინეთ დილა ადრიან ხუთი ათასი ოსმალო გამოვიდა ჩვენის სოფლების დასაკვრელად. თქვენ ნუ მოუკვდები ჩვენ თავს ბატონიშვილო, რომ ჩვენ იმათ არ დავრიდებოდეთ, მაშინვე დავერიენით; მოვშალეთ იმათი დასები და ხმლის კაფით ვდიეთ იმათ მამულამდინ, რომელთაცა წინ მიგვდევედა სარიდანი, ღია გულით, ხმალმცემელი მტრის თავზედა. თორმეტი ოსმალის თავების სისხლით შეიღება კაბა-კალთები და სწვარალა შენი ჰირიმი? (ამ სიტყვებზედ მედიღურად დაღება მაგრამ გულმერყეული).

ირაკლი — (გულზედ ხელს დაიკრავს) ნეტავი მეც შენთან მომკვდარიყავი ჩემო სარიდან! ბოლოს ჩემო ძმებო?

ბესარიონ — ოსმალის მამულის სამძღვარზედ რომ მივრეკეთ
მტერი, სადაც ნახევარი ძლივს გადაგვირჩნენ, იქ სად იყო და სად არა,
გამოვარდა თოფი ერთის ჭაგიდგან, მოხვდა გულში სარიდანსა და იქვე
ვაგვრთავდა, ბატონიშვილო ირაკლი!(და თვალებზე ხელებს გადაისოშ).

(დღღოფალი მუხლზე ხელს დაიკრავს და ქალები კეითისს დაიწყებენ).

დღღოფალი — ბევრჯელ, ბევრჯელ ავტირდებით. მაგრამ რა
უყოთ, დრო ისეთია. მხოლოდ მეორე შესაწუხი ეს იქნება, მელანიაც
თავს მოიკლავს უეჭველად.

ირაკლი — დაე მოვკვდეთ. ჩვენი მწუხარება, ჩვენი ტირილი
ჩვენ მკვდრებზედა უფრო თავს გამოგვადებინებს იმ ჩვენის მტრების
ჭაერი და ფიცხვლათ მოვინდომებთ მაგიერის გადახდასა. სისხლსა
სისხლი მოაქვს და პატივსა პატივი. ეხლა ეს მითხარი ბესარიონ, გუამი
სარიდანისა რა უყავით?

ბესარიონ — მოასვენებენ. თავის დედ-მამასთან აქ უნდა დავა-
საფლავოთ, ყველა ვიციტ ამათი ამბავი, გუშინწინ შევიტყვეთ.

ირაკლი — რადგან მომზადებული ყოფილხართ, წადით მოასვენ-
ეთ. (ჩიჩი რომ წავლენ, მასუკან საფლავების მთხრელებსიაკენ) და თქვენ პატი-
ოსანო ხელოსნებო, თქვენცა თქვენსა ხელობასა შეუდევით, საფლავი
გათხარეთ. (მივლენ თხრას დაუწყებენ და მიწას აქეთ პყრიან). ჩემო მოკირნა-
ხულე გივო, შენ კი საფლავს დაადეგ, კარგათ გაათხრევიენ. (გივი გიჟ
დააღვება და ესენი ყველანი უკან დაიწვიენ კარგა მოშორებით, გულხელდაკრეფილი,
დახ დაღონებით დადგებიან).

გივი — კარგათ გათხარეთ საფლავი, გესმით ძმებო?

პირველი — როგორ გნებავსთ, ძალიან ღრმათა თუ ცოტა ზევით
დავიპირით?

გივი — როგორც რიგი იყოს.

პირველი — დიდსა კაცსა ღრმათ შემშენის და ღარიბსა ცოტა
ზევით.

გზვი — ამის მეტად არ გამიგონია ეგ.

პირველი — არ გამიგონიათ?

გივი — არა, მერწმუნე.

პირველი — მაშ სულ ერთი იქნება, ცოტა ზევით დაიმარხოს თუ
ღრმათა?

გივი — რასაკვირველია სულერთი იქნება.

პირველი — მაშ რიგიანი ანუ კარგი საფლავი რა უნდა იყოს?
ჩვენი ვალისამებრ ოთხს კედელს ჩავთხრით ამ მიწაში, თავსა და ბო-
ლოს ვიწროს და გვერდებს გძელებს. პირველები იქნება ერთი ნაბი-
ჯის ზომა და მეორეები სამი. რაშიც დიდკაცობა და სიღარიბე ორივე

ერთად და ერთგვარად, ფართოდ თავსდებიან. ამაზე მეტი ხომ არა გნებავს რა. მოკირნახულე გივო?

გივი — კარგად ამბობ. ეგ არის კაცის მოთხოვნილება კაცისათვის, მაგანე მეტი სხვა არაფერი და მაგის მეტს არას ვითხოვ თქვენგნით.

(ამ დროს გალობა მოისმის დამარხვისა: წმინდაო ღმერთო. ესენიე წინ წამოდგებიან, რომელნიც უკან იდგნენ. ამ დროსვე სარიდანის ცხენს შემოიყვანენ ორი შაოსანი კაცი უკულმე წეკაზმულსა. უნაგირ-ს ტახტზე სარიდანის იარაღები ჰკიდია: მოიყვანენ და სარიდანის კუბოს შემოიტანენ ამხანაგები, მდიდრად შორთულსა და შუაში რომ შოიტანენ, ბატონიშვილი ირაკლი თავს აიღებს, გვექანება ჯერ კუბოს გადახვევა ქეითინით, მასუკან შუაში დაასვენებენ, მერე ერთს მუხლზე დაიჩოქებს და მოაქმას მოჰყვება. დედოფალი და ქალები თვალეზე ხელსახოცს მიიფარებენ).

ირაკლი — ჩემო უსაყვარლესო ძმაო სარიდან და თავდადებულო მსხვერპლო მამულისაო, დაუსრულებელს დიდებაში განიშნადე თავი წასააკლელად შენის მამულის გულისათვის. სიხარული მამულისათან გამოგატანა ბედმან შენმან ყმაწვილს კაცსა: წაიღე და წაირონიე შენი სიხარული. შენი ბედნიერება შენი ყმაწვილკაცობისა შენ გულზედ მოკვდა ამ სიტყვით: წმინდაო ღმერთო! ახლანდელი უკულმართო ბედო ქართველებისავე. როგორ დაგწყევლო, შენი ძვირი როგორა ვთქვა, როგორ დაგაყვედრო. აჰა, მხოლოდ დაინახე ეს უსულო ქართველი სარიდანი. ჩემო სარიდან! განა შენი ტკბილი ძმა მე ვიყავ, შენი გულშემატკივარი მამაც? აბა ძმაო რა ამბავი მიუტანო ჩემს შვილობილს, შენს მელანიას შენი ამბავი? უნდა მივიღე, გამოუტყხადო: შენი სარიდან მოკვდა; ჩემის ხელით მიწა დავაყარე-მეთქი. საწყალი შენი მელანია, შენი საყვარელი, ამ თქმას ხომ საზაროდ გაიგონებს, ოჰ, საშინელებაა! (ამ სიტყვებზედ დედოფალი მივა).

დედოფალი — სიცოცხლეო შვილო ირაკლი, გვედრები მოითმინო შენი კირიმე (ილიას დაუპერს, ირაკლიც აყვება) საფლავი მზათ არის?

საფლავის მთხრელები — მზათ არის (კუბოს ასწევენ და საფლავში ჩასვენებენ).

ირაკლი — ახ, ჩემო სარიდან, რა ძნელი გასამეტებელი ხარ? შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახელი მარადის ცოცხალი იქნება ჩვენში (მიწას შაყრის კიდევ ირაკლი). გმადლობ ღმერთო, შენი ნებისამებრ იყოს (მეტანიას მოუყრის და საფლავში ჩასძახებს) მშვიდობით ჩემო სარიდან, თავის დროზედ განახამ მეცა, ყველას გიამბობ რაც მოხდება ჩვენს ქვეყანაში. (აღგება წამოვა და სხანიც თან გამოჰყვებიან. მესაფლავებეც ნიჩბებით მიწას აყრიან და თან ლაპარაკობენ).

პირველი საფლავის მთხრელი — აი, ეს არის კაცის დიდება. აქამდისინ ბატონიშვილი ირაკლი, იმის დედა დედოფალი და იმათი დიდი კაცები, ამ ყმაწვილს კაცს დასტიროდნენ გულმტკივნეულათ, განუსაზღვროელის პატივისცემით. ახლა ჩვენს ხელში დარჩა, ჩვენ საფლავების მთხრელების ანაბარათ; ვეშურვებით დროით დაეფლათ

და საჩქაროთ წავიდეთ. ვაი, კაცის დიდებო, რა უბრალო მოჩვენება რამა ხარ.

მეორე — მაგას აგრე ვერ ამბობ ძმობილო. კაცის დიდკაცობა კარგი რამ არის, თუ იმის დიდკაცობას დიდი გონება აქვს და იმ გონებასა კეთილად ხმარობს, თუ არა და თუ დიდი კაცი სულელია, ანუ გონიერი არის და ბოროტად ხმარობს თავის გონებასა, ღეთის საგიებელი საქმეა იმის დიდკაცობა. ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, ახლა ამ საწყლის სარიდანის ამბავი ვილაპარაკოთ.

პირველი — რა ვილაპარაკოთ? ეგეც უთუოდ იმისთანა ბატონი იქნებოდა ავი კაცი, როგორიც ეხლა თქვი.

მეორე — ღეთის გულისათვის ნუ იტყვი მაგას, ღმერთს აწყენინებ. ეს სარიდან ღეთიური ყმაწვილი, კაცი იყო. უნდა იცოდე რავდენს დაცემულსა ეწეოდა. რამდენჯერ მინახავს თავის ტანიდგან თავის პერანგი გაუხდია და გლახისთვის მიუცია, თორემ მაგის გაცემულს წყალობასა ვინ მოსთვლის. . .

პირველი — აბა ძმაო, სულ მაგისთანა ადამიანები უნდა იყვნენ ქვეყანაზე, რომ ქვეყანა ბედნიერი იყოს. . . ღმერთო შენ დაუმკვიდრე სასუფეველი ამას. ძმაო, ამხანაგო, ცოლი ჰყვანდა მაგას?

მეორე — როგორ არა, დიახა ჰყავს. იმასაც კარგად ვიცნობ, ისიც იმისთანა კეთილია, როგორც ეს სარიდან იყო.

პირველი — რა საცოდავი იქნება, თუ ამ ყმაწვილის კაცის სიყვარული აქვს?

მეორე — დიდათ უყვარდათ ერთმანეთი, მგონია ველარ იცოცხლებს ის ქალი.

პირველი — მაშ საწყალი, უბედური იქნება ისიც?

მეორე — უთუოთ, აგრე მგონია (ამ სიტყვისთან უკანასკნელს მიწას მიაყრიან საფლავზე და შეწუხებულის ოხვრით დააპირებენ გასვლას).

საფლავების მთხრელები — (ნიჩბებზე დაუდებით) კეთილისთვის კეთილი გაგყვება საიქიოს, მაგის მეტი სხვა არაფერი კარგი, ამ უპიროს სოფლიდგანა, სარიდან. (ახლა ნიჩბებს საფლავზე დაკრავენ რამდენჯერმე). გესმის სარიდან? კეთილის მეტი კარგი არა გაგყვებოდა რა. არა (და გავლენ).

(აქ მელანიას თანაშემწეები, იმის საყვარელი მუახლე ვარდუა შემოვა თავდადებულის სახით, ერთი ჯოხი უპირავს, ქალის თეთრი ლეჩაჟი ახვევია ჯოხზე ბაი-რალსავით და გაშლილია).

ვარდუა — ეს რა უბედურება მოუხდა, ჩემის ბატონების სახლსა? ახალი ჩვარდაწერილები, ყმაწვილი კაცი და ყმაწვილი ქალი, ერთმანეთისთვის გაგიყვებული რომ იყვნენ სიყვარულით, რა იქნება იმათი გული, რავდენს სიამოვნებაში? იმათ ტრფიალებას და იმათს სრულს

ბედნიერებას ვინ გამოსთქვამს, რომელი სიტყვა? ამ დროს უეცრად მტერმა რომ ქმარი მოუკლას, რა დაემართება იმ ქალს? ოჰ, ჩემო ქალბატონო მელანიაჲ, მე შენი თანაშეზრდილი მუახლე ვარდუა, შენს სიკვდილს არ დაესწრობა, მე უფრო ადრე გაგიძღვები წინა და მასუკან შენი ნება იყოს. ჯერ სარიდანის ამხანაგი, ძმად შეფიცებული ბესარიონ მოვიდა მელანიასთან დღესა და სარიდანის უკანასკნელი სიტყვა უთხრა: თუ ჩემი სულის მოსვენება გინდა ჩემო მელანიაო, ჩემს შემდგომ იცოცხლე, კარგი ყმაწვილი კაციც შეირთე ქმრათაო. თქვენს მოსისხლეს მტერსაც ნუ დაემართება, რაც მელანიას მოუვიდა. მთელი ოთხი ეამი გულშემოყრილი ეგდო, ამასობაში დედოფალი და ირაკლი შემობრძანდნენ, იმათ რას ყოფით მოაბრუნეს. ჩემმა ქალბატონმა, ცოტა გული რომ მოიბრუნა, დაჯდა, თავი მოიხადა, თავის მშვენიერს შავსა თმასა წეწა დაუწყო და საცოდავად ატირდა. იმის მოთქმაზე გული ცეცხლით გვემსებოდა. დედოფალსა და ირაკლის მეტის მწუხარებით გული შეუსუსტდათ და გულშეწუხებული გაიყვანეს ორივე. როდისაც დამშვიდნენ, ყველანი თავთავისად წავიდნენ, საიღუმლოთ მიმიხბო მელანიამ, ეს თავის ლეჩაქის ბაირალი მომცა: წადი ჩემო ვარდო, ეს ბაირახი სარიდანის საფლავზე დაურქვე, ვიცოდე იმის საფლავი რომელია, მოვიდე და იმის საფლავზე გული მოვიოხო. მე მოვალო მადაროს ზერელითგან, არავინ დამინახოს მცნობმაო, მეც იმის გადაწყვეტილი სიტყვა გავიგონე ღვთისმშობლის ხატის წინა, რომ სასიკვდილოდ მოდის აქა და მინამ იმის სიკვდილს ვნახამდე მე—მე დავასწროვ (ამასთან სარიდანის საფლავთან მივა).

ჩემი ქალბატონის უსატრფიალესო სარიდან! ეს ბაირალი ჩემი ქალბატონის სიკვდილის ნიშანია, შენი ჰირიმე ბატონო (და ბაირალს საფლავში ჩაურქობს. მასუკან გამობრუნდება კალთიდან ქარქაშით შიშველს ხანჯალს ამოიღებს ამ სიტყვით). მე მაინც ვარდლუას მეძახიან, მივალ და იმ ვარდებთან გულში დავიციე ამ სატევარსა, მე, საქართველოს ქალი სიკვდილის დაურიდებელი. (ამასთანავე წავა გულგანსვენებით, ვარდთან რომ მივა, ხანჯალს ეტყვის) გამოჩენილო მტრების მდევნელო მამაჩემო ხამხაძეო, ეხლა გამოუჩნდება ამ შენს სატევარსა გამკვეთელი პირი! (აიღებს დასაცემად და დაიძახებს) აჰა ესეც შენი სახსოვარი მამავ, დედაჩემს რომ დაუგდე: ამაზედ მამიგონეთო (დაიციემს გულში და წაიქცევა კიდეც. ხანჯალს გულიდან ამოიღებს და აქეთ გაღმოსტყორცნის სისხლიანს, თვითონ ვარდებში შევა დაეგდება, რომ ვინც შემოვა ვერავინ ვერ დაინახავს. ამასთან ერთად აზნაურშვილი საამ შემოვა, ორს ჯობზე დაბჯენილი მოდის და უჟაზე რომ დადგება).

და კ რ ი ლ ი ა ზ ნ ა უ რ შ ვ ი ლ ი ს ა ა მ — მეც ვიტყვი: ცოცხლებში ურევივარ მეთქი, მე აზნაურშვილი საამ საქართველოსი. თელავში რომ მტერი დაამსხვრია ირაკლიმ, იქ ალაზნის პირზე უფრო დიდი ჭარები შეიკრიბნენ ოსმალ-ლეკებისა და ქიზიყის განადგურება მოინდომეს. ქიზიყელები დიდს ვაებაში ჩაცვიდნენ. ეგონათ ჩვენი

აღსასრული მოახლოებულაო; რას ვიფიქრებდით, ამ დროს დაიძახეს: პატარა ბატონიშვილი მოვიდა ზევითი კახეთის ჯარითაო. ამ სიტყვაზე ყოველმა ჩვენმა დედაკაცებმა, თავის ქმრებსა, თავის ხელით იარაღ შეასხეს ტანზე და ცხენებიც შეკაზმული გამოჰგვარეს საჩქაროთა ამ სიტყვით: წადით, ერთს დღეს დაბადებულ ხართ, ერთს დღეს უნდა დაიხოცნეთ, ადრე გვიან, სულერთიაო. გავსხედით ცხენთა, ჩაუხედით ჩვენის ბატონიშვილით, ნეიშინის მინდორში. სადაც თავადადებული კათა მოგვიხდა სამსოდენსა ჩვენზე მტერსა მტერთას: აბა ვილა დადგებოდა უკან. თვით ირაკლი ორჯელ შევიდა შუაგულს მტრის ჯარში ხმალ-მოსმული და ჩვენც ცხენების თავები გასწორებული, ირაკლის ცხენის თანასწორად დავერიეთ მტერში, დავამარცხეთ მტერი, მაგრამ მე და ერთი გლეხი, მტერთა მოგვიმწყვდიეს, მე ოცდაშვიდს ადგილს დამკაფეს ხმლითა და გლეხი თერთმეტს ადგილს. ღვთის წინაშე, არც ჩვენ დავრჩით ხელცარიელები, ჩვენც შევიკალით რავდენიმე, მაგრამ რა გაეწყობოდა, ისინი ბევრნი იყვნენ. ბოლოს ჩვენს ჯარისკაცებს ვებოვეთ მკედრებში. ორივე უგონებო, საიდგანაც საკაცითა წამოვედეთ ბატონიშვილს ირაკლის რომ დაენახა ჩვენი საკაცე, მოსულიყო, თავის ხელით აეწია, თავის ბინაზე მივეტანეთ, სადაც კარგი მკურნალები მიეჩინა ჩვენთვის. აბა რაღა ვილაპარაკო, იმის მოწყალებით დღეს მეორეც ჩავედგა სული ორსაც, რომელიცა ჩამოესულვარ მადლობისათვის. სხვა რაღა შემიძლია სრულიად დაუწვილსა? ის გლეხი კი კარგად გამოთელდა, აღარ შორდება ბატონიშვილსა და ყველგან თან ახლავს. ვაი მე: რომ მეც ისე არა ვარ. მაინც იმის კარსა ამოვირთმევ სულსა, იმის კარებს აღარ მოვშორდები. ირაკლის სახეს ვუყურო. ბატონიშვილის ირაკლის ხასიათი მაინც ასეთია, რომ ყოველს ომში დაქრილებსა თვითონ უვლის და მოკლულებისთვის აწირვინებს. ვეთაყვანე შენს გამჩენს, ირაკლი! მაგრამ სად ბრძანდება, აკი მითხარეს იმისი ყოფნა აქ. ეტყობა წაბრძანებულა. მაშ შინ ვიახლები (მობრუნდება, სისხლიან ხანჯალს რომ დაინახავს, ხელში აიღებს). ვილასაც სამღთო დაუკლამს, სისხლიანი ხანჯალი აქ დარჩომია და თვითონ წასულა. (ხანჯალს კარგად გასწვენს). ერთს საფლაზე დადებს და მასუკან იტყვის) ასლა კი წავიდე ბატონიშვილი ირაკლი ვნახო (და გავა. ის რომ გავა, იმ მალაროს ხერელში მელანია შემოვა, თემოხდელი, თმა გადაწლილი აქეთ-იქით მხრებზედ და სარიდანის საფლავს რომ შემოხედავს, იქვე ჩიოვლება და შიგ მალაროს კლდეზე მიესვენება თვალდახუჭული, შემდგომ, ცოტათ რომ მომბრუნებს გულს, ადგება, იმ მალაროში წამოვა თავში ცემით. თმაწეწითა და იმ მალაროდგან რომ გამოვა დაიძახებს).

მ ე ლ ა ნ ი ა — ვაი, ჩემ თავს, ჩემო სარიდან! ნაცვლად მე და შენი ვარდულად შეღიშებისა და იადონებრ შეხმოვანებისა, ახლა ზარახდლი მოვდივარ შენს საფლავეზე, სადაც ჯოჯოხეთში სამუსიკოს ხმას რომ სცემენ წაწყმენდილებისათვის, იმ ხმას მიეგვანება ეს ხმა (მივა და საფ:

ლავის თავს დაიჩოქებს). შე უბედურო მელანია, აბა სასიკვდილო დრტვინვა ამოუშვი. ჩემო სარიდან, ეს სიტყვა რა ძვირფასი სიტყვაა ჩემთვის! შენი სახელი მე არ მინდა გავწყვიტო, მინდა დაულალავად ვიძახო სარიდან! სარიდან!... სხვა რა ნუგეშია დამრჩომია ამის მეტი, რომ შენი სახელი უნდა მოვიგონო შენი მშვენიერი ყმაწვილკაცობა. შენი გონიერი თავი, შენი საუცხოვო სიტყვიერი ენა, შენი გაცეცხლებული სული, საშინელის სურვილით რომ უყვარდა მელანია! ნაცვლად მე და შენი ბედნიერი სიყვარულისა ახლა ნაღველა ამამძახის: მოკვდი. მოკვდი მელანია, შენ ამ სოფელში კეთილს აღარას ნახავ, სინამ სიყვარულის ვნება დაგადნობდეს და ტანჯვით მოკვდე, სჯობია ადრითვე მოიკლა თავიო. ჩემო სარიდან! შენ რა ხელი გაქვს მაგ საფლავში? მე რა შენი შესაფერი ტირილი ვიცი? მე უნდა ვიწვე შენ მაგიერ მაგ საფლავში და შენ სტიროდე უბედურებით მეხდაცემულს, შესაბრალსა მელანიას. ღმერთო! აბა ხელი გადმოიღე, ამ ჩემს გულსა შეახე რას ამბავს გაიგონებ? მაშინ იღობ, რაც არის უბედური მწუხარება. თორემ ეხლა რას შეიტყობ, ყოვლის დიდებით და ყოვლის ბრწყინვალეებით შემკობილი ღმერთო! ჯოჯოხეთო, ჯოჯოხეთო! შენი აღრეულება მოიშნადე, მე სასუფეველი აღარ მინდა, მინდა მოვიდე, მაგ შენს აღლელებულს ცეცხლში ჩამოვაგდო ჩემი სული და შენს ანთებულ კუპრის სიღრმეში კენესავდეს შეძრწუნებული გვედრები ჯოჯოხეთო, რაც საშინელება შენს მიდამოს არეში იყოს, სულერთიან ჩემ სულს მოუსიო და ყოვლის სატანჯველით სტანჯო. მაიცა ღმერთო, მეც ამ შენს მოცემულს სულზე გადგიხდი მაგიერს. მე აღარ მინდისარ ღმერთო, აღარც შენი სასუფეველი. ორივესათვის უარი მიყვია. უშენოთ ჩემო სარიდან, ღმერთიც და სასუფეველიც ჩემთვის ბრაზია. შე უსამართლო და უწყალო ღმერთო! რად გამამატალე ჩემი სიცოცხლე სარიდან? ეს რომ წამართვი, ამის ნაცვლად რას მაძლევ. რით ვინუგეშო, რით ვიცხოვრო? მეც ხომ ადამიანი ვარ. აბა იმის პასუხი მამე. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! (მუშტს გაუშლის და დაიქნევს რავდენჯერზე. მასუკან დაიჩოქებს. გულზე ხელს დაიწყობს და ზეცას შეხედავს). ღმერთზე უდიდესი აღარაეინ აღარ ხარ უფესკრულს ზეცაში? გელდაჭრილი ჩემი საჩივარი გაიგონო, ღმერთი მიიხზო და შენს სამჯავროში ჰკითხო: რომლის მართლმსაჯულებით აღარ მყავს სარიდან? განა მისთვის გაგვაჩინა, რომ ყმაწვილობითვე უბედური ვყოფილიყავით. ამ წუთისოფელში ჩვენ? არ დაგვატლიდა, რომ, ეს სოფელი ჩვენც ამოგვეკამა ჩვენი ყმაწვილობის შესაფერად? ეს არის იმის სამართალი, იმის მოწყალება? (ამასთანავე საშინლად დაიკოუნებს) ეიი! თუ ღმერთზე უდიდესი იყო ვინმე, გამოჩნდი და სამართალი მიყავ (თვალი ზეცაში დარჩება და მასუკან გადაიქცევა დასუსტებული. მერე მოსურვილდება წამოიხედავს, საულავებს გადახედავს. ხანჯალს დინახავს წამოხტება და დაიძახებს) ჩემს სამართალს მე გადავწყვეტ (ამასთანავე გაეჭანება, ხანჯალს წამოაღებს, გააერებული მალა

შესტყორცნის და შესძახებს), შე ჩემო მოსისხლეო განგებო, ნეტავი შემეძლოს ჩაგიგდო და ჩემ კბილებ ქვეშ დაგლეწო ცბილების ღრჰენას შეიქმს. პატარა ხანს უკან ხანჯალი წამოვა, ამას ეგონა სისხლიანი არისო და დაიძახებს) ოჰ, ოჰ, ხანჯალი სისხლიანი მოდის (ხანჯალი მოვა და ადგილზე დაერქობა. ამაზე ეს შეერთება და ზეცაში თვალი დარჩება ამ სიტყვით) ოჰ! რას ვხედავ, ზეცა გაიხსნა, იქიდგან გადმოდის ეს სისხლი (და დედამიწაზედ დაეცემა). რა ვქნა, ამ საცოდავ გულსა საშინლად უყვარს სარიდან და იმისმა გადარეულმა სიყვარულმა მაგმობინა ღმერთო! (დედამიწაზე დაემხო, მერე წამოდგება და ზეცაში შეხედვით) ღმერთო, გმადლობთ! სისხლი შეწყდა. ჰგავს რომ მამიტევე ჩემი დაუხედავი შეცდომილება. ვინ მიხვდება შენს საკვირველს საქმეს ღმერთო! აი, ზეცა კიდევ გახსნილია, ზედ სარიდან გადმომდგარა, — ხელს მიქნევს: აქ მოდი, აქ მოდიო. ჰგავს ღვთის ბრძანება ასე არის, მე და სარიდან იქ უნდა ვიყვნეთ, ამ სოფლისანი არა ვართ ჩვენ (ამასთანვე შესძახებს) მოვალ, მოვალ ჩემო სარიდან, ჩქარა განახამ (გამობრუნდება ხანჯალს შორს გასტყორცნის და დაიძახებს) ნეტავი იცოდე სატევარო, რა რიგად შემძაგდი, შე ზეცის მავნებელო, შენა. (მასუკან სარიდანის საფლავს რავდენჯერამ აკოცებს ამ სიტყვით) შენ გენაცვალოს ჩემი თავი სარიდან, კიდევ ბედნიერები ვიქნებით, კიდევ შევიყრებით ერთად. (და ეკლესია, რომ არის კლდეზე, იმის მხრისაკენ გავა საქაროთ და უკანიდგან კიბზე ასვლას დაიწყებს უჩინრად. ამ დროს თავმოშელებილი შემოვარდება მელანიას დედა)

ს ი დ ო ნ ი ა — (გაშფოთებული კვილით) შვილო, შვილო მელანიავ, სადა ხარ? სად დაიკარგე? ცამ ჩაგყლაპა თუ დედამიწამ? მკვდრებო, მკვდრებო, მითხარით სად არის ჩემი მელანია? ამისთანა იქნება, რა იქნა? ვუი, ამ ჩემს თავს! ჩემი მოხუცებული გამდელი მოვიდა, მითხრა: ქალბატონო, მე ყურს უგდებდი, მე ყურს ვუგდებდი, შენი ქალი სარიდანის საფლავზე წავიდა, მიეშველე თორემ უბედურებას შეიმთხვევსო. წამოვხტი და გიყსავით გამოვიჭერ. ახ, სად არის? მიშველეთ რამე თქვენი ჭირიმეთ (ამასთანავე სარიდანის საფლავს მივარდება, ორის ხელით გაშფოთებული მიწასა ჰყრის და ზედ დასძახის) სარიდან, შვილო სარიდან! შენი მელანია რა იქნა? დედისერთა, შენი უსაყვარლესი მელანია? ვინ შექამა, რომელმა ვეშაპმა ჩანთქა? სარიდან, შვილო სარიდან, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მითხარი მელანია რა იქნა?

(ამ სიტყვასთან ეკლესიის კედლის მალლიდგან გადმოდგება).

მ ე ლ ა ნ ი ა — დედავ, რა ამბავია, რა ყოფა გაქვს? (სიღონა გაეჭანება, იმის წინ ქვემოდგან დაუჩოქებს).

ს ი დ ო ნ ი ა — შენი ჭირიმე შვილო, რათ წამოსულხარ, რა გინდა აქ?

მ ე ლ ა ნ ი ა — ჩემო საყვარელო დედავ, ჩემი ეამი მოახლოებულია.

ს ი დ ო ნ ი ა — როგორ თუ ჟამი?

მ ე ლ ა ნ ი ა — სარიდან ზეცითგან მეძახის: აქ მოდი ჩემო სიცოცხლეო, ჩემო მელანიაო.

ს ი დ ო ნ ი ა — ქა, გენაცვალე, შემცდარა. სიყვარულს როგორ აუტანია! (ძუძუებზე ხელის დაღებით) მელანიაო, მელანიაო! ამ შენს ძუძუებს პატივი ეც, ამ შენს გამზღვლებსა და ნუ გაიუბედურებ თავსა.

მ ე ლ ა ნ ი ა — დედავ, დედავ! აბა ჩემი სიცოცხლე რაღა იქნება, მე დარწმუნებით ვიცი უთუოთ დავკლექდები, ჩემი ხანიერის სნეულებით თქვენ უნდა შეწუხდეთ, თქვენ ტანჯვას უყურო და მე ბოლოს მაინც მოვკვდე. მინამ ხანიერის სნეულებით მოვკვდებოდე, ეხლავ რომ მოვრჩე, უფრო კარგი იქნება (ამსთანავე ორსავ ხელებს გაშლის) ჩემო უსატრფიალესო მშობელო მამულო, ჩემო უსასურველესნო მემამულეთ ქალნო და ძენო და ჩემნო უუსაყვარლესნო დედა, მამავ, ესე არის გეთხოვებით ყველას, მშვიდობით. ჩემს სარიდანთან მივდივარ და ერთობით თქვენს ბედნიერებასა ღმერთსა ვთხოვ გულმზურვალეს ვედრებით (ამ სიტყვასთანავე ეკლესიაში შევა. აქ საშინლად დაიკვივლებს).

ს ი დ ო ნ ი ა — ვაი ამ ჩემს თავს. ავიდე ეგება მიუსწრა და თავი არ მოვაკვლევიანო (და კვილით გავარდება) მელანიაო, შენი ჭირიმე, მელანიაო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ნუ მოიკლავ თავსა, მელანიაო, მელანიაო! მოიგონე ღმერთი! (და ესეც იქით მხარეს ავა ეკლესიასთან. მინამ ეს ავა. მელანია ეკლესიიდან გამოვარდება და ფრილოს კლდეზედ თავს გადმოიგდებს. ამ დროს სიდონიაც ავა და კლდეზედ კვილით გამოდგება) თქვენი ჭირიმეთ, რასა ვხედავ? ამ ფრიალოს კლდეზე გადავარდნილა! ვაი ამ ჩემს თავს!

დიდრონი კლდეები თან ჩაიტანა საშინელის ჩახაჯუხით, მიდის და მდინარეს მტკვარში ჩაყარდა მკვდარი. ღმერთო ეს რა საშინელებაა! (ამასთან ეკლესიაში შევარდება და კვილით დაიძახებს) ღმერთო, ჩემი სულიც მიიბარე, მეც შენთან მოვდივარ (ამ სიტყვასთანავე გამოვარდება და ესეც კლდეზედ გადმოიგდებს თავსა. შემდეგ ამისა რევაზ მოდის ცივის გულით აუჩქარებელი).

რ ე ვ ა ზ — ეხლა ხანს გამოამკლავნეს საზარო ამბავი! დიდი კაცები! დიდი კაცები! ესეც დიდი კაცები. აი, ორი დიდი კაცის სახლი ამოწყდა და მოვრჩით. ნურავინ ნუ იტყვით — დიდი კაცი ვარო და ამით ნუ გამაყდებით. არავინ იცის, იქნება შენი დიდკაცობა ორს ჟამში ასე დაეცეს, რომ შენი საფუძველიც აღარ გამოჩნდეს. აი, როგორც ჩვენი ორი სახლი. აბა სადღა ჩანს ჩვენი დიდკაცობა? ამ ცოტას ხანში, ჩვენი ორი სახლი ასე დაემხო, ერთის სახლისა ამ საფლავების მეტი აღარა ჩანს რა. მეორე სახლისა დედა-შვილნი იმ კლდეზედ გადაცვივდნენ, მხოლოდ მე დავრჩი ერთი ღერი კაცი და მეც ამ ცოტას ხანში იმათ შეუდგები. რახან ასე მოხდა, მაშ ჩემი სიკვდილი უფრო სხვაგვარი სიკვდილი უნდა იყოს, სხვა უმაგალითო, რაც ჩემს კაცობას ეკადრება, თორემ მახვილით ერთი არაფერია, ანუ კლდეზედ გადავარდნა ახალი არ არის

საქართველოში (გამობრუნდება და დიძახებს) ჩემო გაზრდილნო, ჩემო მეგობრებო, ჩემო პატარა ბიჭებო!(ოთხი პატარა ყმაწვილი მოსამსახურე შეჰყონა). რაც გითხარით მზათა გაქვთ?

ე რ თ ი მ მ ა თ გ ა ნ ი ნ ი ნ ი ა — მზათ გახლავს ჩვენო ბატონო!
(და დაღონდება).

რ ე ვ ა ზ — წადით შემოიტანეთ!

(ამ სიტყვაზე მუხლებზე მოეხვევიან მოსამსახურეები).

ნ ი ნ ი ა — შენი ჭირიმე ნუ მოიკლავ თავსა. ასეთი არა მოგხდენიათ რა. არ მომხდარიყოს.

რ ე ვ ა ზ — ჩემო ძმებო! ამაოა თქვენი თხოვნა. გადავწყვიტე, უთუოდ უნდა მოვიკლა თავი (ოთხსაე ხელით ასწავს ამ სიტყვით). წადით ძმებო, შემოიტანეთ, ნულარ ჰყლენით (ოთხივ დაღონებული გავლენ).

რ ე ვ ა ზ ი — წავდგები ღვთის წინაშე წმინდის სინდისით, მაგრამ ვიცი დამაყვედრებს ჩემის თავის ძალათ სიკვდილს, მაგრამ ესეც ვიცი, თვითონვე მამიტევს. ადამიანსავით სულმოკლე ხომ არ არის ის. იმან იცის, ადამიანი როგორ მცირე არის ყოვლისფრითა, როგორი ვიწრო გული აქვს თმენის მოუთავსებელი. ამის იმედი მაქვს მე, რომ ჩემსა სუსტსა და მოუთმენელს გულსა მოუტევებს მოუთმენლობასა (ამასთანავე ერთ დიდს გოდორს შემოიტანენ მოსამსახურენი თლილი ქვით საეხს და შუა დასადაბენ) ამ შუა ადგილს დაედგები, ასე რიგად უნდა ამოქოლოთ ოთხივს კუთხივ გაწყობილი, რომ თანასწორე შენობა მოვიდეს.

ნ ი ნ ი ა — სული შეგიგუბდებათ, საშინელის ტანჯვით მოკვდებით.

რ ე ვ ა ზ — ნუ მეტყვიტ მაგას, ჩემთვის საშიში არა არის რა. მოიტანეთ, დროით ამქოლოთ (გოდორიდან დიდ ქვას ამოიღებენ).

რ ე ვ ა ზ — მარჯვენეს ფეხის გვერდთან დასდევით: (დასდებენ და წელამდისინ მოვა) ეგ ფეხი აგრე რიგათ ვერ გააძლობს მატლებს, აქეთ მხარეს ახლა (იქით მხარეს მარცხნივ დასდებენ მეორე ქვას ეგრეთვე წელამდისინ და ორივ ქვებით შეიკვირიან ერთმანეთში). ეგ მარცხენა ფეხიც ფუქსავატი იმათთვის. ახლა კიდევ მარჯვენა გვერდზე (მესამე ქვას ამოიღებენ და წელამდისინ მოვა). ეგ ტანი კი კარგს ნაღიმს გაუშლის მატლებს. აბა ახლა მარცხენა მხარეს (მეოთხე ქვას მიიტანენ. დასდებენ და მარტოკა თავი დარჩება ზევით). აბა ეგ არის კარგი მხვედრი წილი იმათი, აბა კარგად, დაინახეთ: ეს არის კაცი? აბა ესეც კაცი. მაშ ეგ უკანასკნელი გუმბათიანი ქვაც აიღეთ ჩემო გაზრდილებო, გაბედვით დამადგით თავზე, ხელი არ შეგიკრთეთ.

ნ ი ნ ი ა — რას ბრძანებთ ბატონო? ღვთის საწყენს ნუ შვრებით, იმისი წინააღმდეგია ეგა.

რ ე ვ ა ზ — იმისი საწყენი და წინააღმდეგი ის არის, რომელ ვისაც აწუხებს უსამართლოთ. მაგრამ მაგ გუმბათზე ქრისტიანობის ჯვარი რომ

არის, სიკეთილის საფუძველი. იგი აღმოსავლეთისკენ შიბრუნეთ, პირი აქითკენ უყავით. ყოველი წყალობა ღვთისა აღმოსავლეთში სუფევს, იქ არის იმისი სამეფო!...

ნ ი ნ ი ა — ამ შენს ოთხს გამზდილებს ნუ დაგვაობლებ მაინც. როგორც ჩვენ ობლები შენის ღიდის ჭირნახულით დავიზარდენით, ისე გვაპატიე, ისევ მოგვეცი შენი სიცოცხლე ჩვენ.

რ ე ვ ა ზ — ჩემადგიერ მიდით ბატონიშვილს ირაკლისთან, ყოველი ჩემი ამბავი უამბეთ, ის არ დაგაგდებთ, იმისი გული მოწყალებით სავსეა, მაგრამ მამულს და ირაკლის ერთგულად ემსახურენით, თქვენს უკანასკნელს სისხლს ნუ დაზოგავთ, როგორც თქვენის მამულისათვის, ნურას შემთხვევაში. ახლა ირაკლის ხელის გულზედ შემდგარა მამული და ირაკლიც იღვწის, იტანჯება მისთვის, დაუბრუნოს უფლებანი თამარისა, გესმით ძმებო, გაიგონეთ?

ნ ი ნ ი ა — გავიგონეთ, თქვენი გაზდილები ვართ ბატონო.

რ ე ვ ა ზ — (მალალს ხშითა) ნუ, ნუ, თქვენ ნულარ დადგებით, საჩქაროთ წადით, ჩემთვის ნუ ინალვლით, მშვიდობით ძმებო (ესენი წამოვლენ, კარგა მოშორებით მწყრივთ დადგებთან უკან გაჩუბებული და ერთმანეთს ხელით ანიშნებენ აქ ვიყოთ).

ა ქ ო ლ ი ლ ი რ ე ვ ა ზ — (იძახის) საწყალო ჩემო ცოლშვილო, ანუ ერთიანათ ჩვენო ამოწყვეტილო მოყვრობაო, თქვენც იმ სვანეში ჩახვედით. იმ საუკუნის სახსენებელში გაჰქრა ყოველი ჩვენი ბედნიერება, სადაც სიკვდილი ფუფუნებს ყოვლის განცხრომითა, სადაც სიბნელის სიცხოვლე ანთია, რომელშიაც სიღარიბის სიმდიდრე სტკებან და სიმდიდრის სიღარიბე თავსა იწყლავს? იღლესასწაულე, იღლესასწაულე, მანდ ამოთსრაღს შავსა მიწის საფლავში. სიკვდილო! სხვა დიდების ტახტი არსად არის შენი, არის ეგ, დაჰქარ, ე მანდ კმაყოფილებით შენი დაწყნარებული, დამშვიდებული ხმოანება, სადაც უსულო სულიერად სცხოვრებს და დამწყვედეულის სანათურიდგანა უკრავს ჩუმსა მუსიკასა, იმ მუსიკას, რომელსაცა დაჰყვედრის საწუთროსა. მოვიდა, მოვიდა, იგი, ჩემი დროცა მოაწლოვდა, ჩემის პურადობით დაგზვდები შენ? შეკრთი? აკი გამბედავი სულთამხუთავი წინ გიძლოდა გამწყვეტებულის რვალის შუბით? სად არის იმისი შეუცთენელი მორბედობა? ახლა აქ შემომეპარე. აქა ჩემთან? რადლა მიჰყეტ თვალებს შეშინებულს? მოდი, ნომეხვიე შენთან ერთად შობილს, შენთან ერთად დაბერებულს, ჩემო განუყრელო ამხანაგო შენ, სიკვდილო. დაო, ძმაო, ხორცო! თქვენს გაყრაში მაინც რჩება ჩემი მამულის სიყვარული აქა, ღვთაებისაგან ჩემის ღედის მუცელშივე გამოსახული ჩემზე. გესმის ასეთო წმინდაო სიყვარულო? არსად არა გახვიდე აქედგან. გარს ეარე შენს მამულსა, როგორც გვრიტი ბლარტებს თვისსა. ახლა კი თავს დაგიკრავ, გამოგეთხოვები ჩემი გონებისაგან განუყრელო. მხოლოდ ერთო საგანო ჩემო

მამულისა სიყვარულო! მშვიდობით, მშვიდობით იყავი აქა, შენ კი პირს
გარიდებ, შენ ტანჯვაო, შენ ყოფილხარ რაცა, თორემ არა ძნელი. ოპ,
საზარელო, საზარელო ტანჯვაო სიკვდილისაო! გულსა მომებჯინა, ყე-
ლში მახრიალებს, სული შემიგუბდა. აჰა. აჰა მოვრჩი, დაეახვიე ჩემი
სიცოცხლის გორგალი სრულად.

უკანასკნელად სამჯერ კიდევ დაიხრიალებს ყელიდგან და მოკვდება კიდევ. ამ
ლაპარაკში იმისი ოთხი მოსამსახურე გულ-ხელ დაკრეფილნი იდგნენ, თავჩაყიდე-
ბულნი დაღონებით და გაჩუმებული ისმენდნენ იმის უკანასკნელ სიტყვას. უკანას-
კნელად ეს რო თქო: ჩემი სიცოცხლის გორგალიო და ამასთან სამჯერ რომ დაიხრია-
ლებს, ესენი გაეჭანენ და ნინიამ მაინც კიდევ ჩამძახა.

ნ ი ნ ი ა — ჩვენო ბედნიერებაო ბატონო, კიდევ ამოიღე ხმა (ხმა
-ღარ არის) დაიფშვინვე მაინც, შენი სიცოცხლის ნაპერწკალის ხმა გავი-
გონოთ მაინც (და ურს მიუგდებენ), ახლა, ვაი ჩვენს თავს, მომკვდარა.
(და იმის საქოლავს დაუჩოქებენ ორი აქეთ და ორი იქით საქოლავის ცოტა წინ).

ნ ი ნ ი ა ვ ე — დალოცვილმა სად მოიკლა თავი, როგორის სიკვდი-
ლით? ვერ მიძხვდარვარ, ღმერთო შეიწყალე ამის სული, რა კარგი სახ-
ლეულობა დაეკარგეთ. ახლა რაღა გაეწყობა, როგორც ჩვენმა ბატონმა
გვიბრძანა, წავიდეთ, ერეკლეს ვეახლოთ. მამულო და პატარა ბატონო
ერეკლე! ჩვენი უმანკო, უცოდველი, ჩვენი დაობლებული ყმაწვილბი-
ჭობა თქვენი ერის სანაცვლო იყოს ორივესი. წავიდეთ ბიჭებო, წავი-
დეთ, თავი დავდოთ ქართველებო.

და ფარდა ჩამოეფარება.

და ს რ უ ლ დ ა.

1862 წელსა ზაფხულს
ს. კაზრეთს.

გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა

- მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო!
ბორცენო, ჭალაკნო მშვენიერნო, ტურფა არენო.
მთანო ამაყნო, ახოვენნო, ცად მიბჭენილნო,
- 4 წყალნო აღმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო!
მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირთ ძეთ სამარევე, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
- 8 სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!

1834 წ.

წიგნი მოწერილი რუსეთიღამ

- განდევნილს შორსა, შეუწყნარსა ამ წყვედიადს მხარეს,
გული ძლივს მიძგერს, ველარ ვუმზერ შენს ნათელ სახეს!
რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,
- 4 ის იცის ღმერთმა მალლა ერთმა. არ ითქმის ენით.
ახლად შემოსულს ამა სოფელს მწერტს ჭმუნვა მკვლელი,
ვერ მახარებენ ღამით მთვარე, დღე მზე ცხოველი.
რა ველარ გხედავ, სული მიკენესს, გული მიკედება,
- 8 ეგრეთ ყვაეილი მზის უსხივოდ უდროვოდ ჭკნდება.
თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,
ვინ ჰკითხავს: „რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო?“
სამშობლო ჭვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა
- 12 სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელს თვალსა,
ვით განდევნილთა-თვის ჭვეყნითა მის მღერა ტკბილი:
ვით უდაბურში, მზით დამწვარში, მგზავრს წყარო, ჩრდილი!
- 18 ქრესტომათია ნაწ. I

სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;

ვიყავ ქაბუკი, სამშობლოსკენ იწევდა გული.

დღე და ღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა

- 4 ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.
შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან,
ჩემს ღარიბს ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან.
სულ თვალ-წინ მქონდა წარსულთ დღეთა ყოფა-ცხოვრება,
- 8 ჩვენი სიცოცხლის უზრუნველის დროთ მდინარება,
ჩვენის სამშობლოს მშვენიერი მთანი და ბარნი,
ველნი მწვანენი, მთებით უფსკრულს წყალნი მქუხარნი,
ნათლის ცის ქვეშა ეამნი-დღენი ნეტარებისა,
- 12 დღენი ლხინისა, შექცევისა და სიმღერისა;
ჩვენი სიმდიდრე, მარგალიტნი, უტოლო ქალნი,
ეშხით სავესენი მათნი შავნი, ცხოველნი თვალნი;
მათ შუა ერთი, — ვით ცაშია მარტო მთოვარე
- 16 სხვა ვარსკვლავებზედ უფრო მნათი, უფრო ელვარე, —
მშვიდი და წყნარი, წრფელი გული, უმანკო მტრედი,
მესია სევდა, ლოდინითა დაბერდა გული;
მაგრამ სამშობლოს მოველ ტკბილის ოცნებით სრული:
- 20 აქ არის ჩემი მარგალიტი, ტკბილი ოცნება,
ვნახავ და გული დაჩაგრული გამიახლდება.

ვნახე სამშობლო; როგორც კულავ, მდიდრად შვენოდა;
ლურჯი, წმინდა ცა მხიარულად მას დასცქეროდა.

- 28 ისევ ცისკარი, მოქედილი ვარსკვლავებითა,
ისევ მთა-ბარნი, შემოსილნი ყვავილებითა,
ისევ ის ბუჩქნი, გაფურჩქენილნი, ზურმუხტი მდელი,
ისევ ის ტურფა, მშვენიერი ჩვენი სამშობლო,
- 32 ისევ ის ერი მომღერალი და მხიარული;
ყველგან სიცოცხლე, მოძრაობა და სიხარული!
მხოლოდ ის დამხვდა... ცისა ლაყვარდს აღარ უმზერდა,
მშვენიერს მკერდს ქვეშ წმინდა გული ძლივდა უძგერდა;
- 36 ის აღარ იყო ამა სოფლის და ამიერი,
მაგრამ კი იყო მაინც ტურფა და მშვენიერი!

ქველი ღმანისი

- მამა-პაპათგან ხვედრად შემხვდა ღმანისი ძველი.
ღმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?
სალა ფრილო, უნაყოფო ხარ აღმართული,
4 მწვანე მდელითი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული;
შენს სალა გვერდზედ ვერ გავაღლებ გუთნითა კვალსა,
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;
ვაზს არ ახარებ, რომ რთველითა გული ეიხარო,
8 რომ შენის ღვინით გულის კმუნვა, სევდა ვიქარვო;
დარღვეულს გზაზედ შენზედ ასვლას კაცი ძლივს ჰბედავს.
მაშა ღვთის თვალსა შენზედ მადლით არ მოუხედავს.
მაშა, ღმანისო, არაფრისთვის არა ხარ სარგი,—
12 რად მინდინხარ მაშ, თუ ჩემთვისა არა ხარ მარგი?...
მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელს ქუდზედ მორტყმული გარე,
მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარი და მამათ არე,
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,
16 ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!
მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურო,
დიდ ხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდ ხანს გიყურო!
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
20 დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი,
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.
მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება,
24 რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკენესებს და სულსა სტანჯავს,
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?...
განქრი, ღმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,
28 ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა!

1866 წ.

ორი სიზმარი

უძძენი ვაწ. აბაშიძეს

I

ვნახე სიზმარი: აღვსულიყავ მას მთას წმიდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.
ჩვენი სამშობლო, მშვენიერი ჩვენი ივერი,

- 4 მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემთ თვალთა წინა.
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მის წიაღს შინა.
მზის სხივნი, უხვად ბრწყინვალენი, მაზედ მნათობდნენ,
მაგრამ უსულოს და გაყინულს ველარ ათბობდნენ;
- 8 წყალნი ჩნდნენ, მაგრამ შემდგარიყო მათ მდინარება,
ყვავილთ და მდელოს აღარ ჰქონდათ თვის მკენარება;
აღარ იძროდნენ აღარც ხენი, აღარც ნიაგი,
ბუნება იყო სრულად მკვდარი, სრულად უძრავი.
- 12 ვხედავდი მრავალთ მაგარ სადგურთ, ტაძართ დიდებულთ,
მაგრამ შემუსვრილთ, დარღვეულთა და დატყვებულთ.
ეგრეთ უსულო ჩემთ თვალთ-წინა იღო ივერი,
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.
- 16 ეგრეთ ასულსა ტურფას, წმიდას, ახლად მიცვლილსა,
გულ-ხელ დაკრეფილს, გაციებულს და ფერმიხდილსა,
აღარ აცხოვლებს ცა ბრწყინვალე და ქვეყნის შვება,
მაგრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება.

II

- 20 ვნახე სიზმარი; კვლავ აღვედი მას მთას წმიდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.
ვხედავდი ივერს, გარდაშლილსა ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაელვიძნა მის წიაღს შინა.
- 24 მზის სხივნი, უხვად ბრწყინვალენი, მაზედ მნათობდნენ
და მის მთა-ბართა და ხეობათ უხვად ათბობდნენ;
წყალნი ნაკადნი ფრიალოთგან, ქუხილით სჩქეფდნენ,
მოკამკამენი მდინარენი ველებზედ რბოდნენ;
- 28 ზურმუხტნი ველნი და ყვავილნი კაცთ და ბუნებას
უხვად და მდიდრად უგზავნიდნენ თვისს სუნნელებას;
მაგარ-სადგურნი და პალატნი, წმიდა ტაძარნი
თვის ნანგრევთაგან დიდებულად იყვნენ ამდგარნი;
- 32 მხიარული ხმა წერაქეთ-ბართა, საღმრთო ხმა ზართა,
მალლა შესძახდა განღვიძებულთ მთათა და ბართა;
ვხედავდი ივერს მის ძეთ ხელით, ძლიერის ნებით
ტურფად მორთულსა მშვენიერის შენობებებით;
- 36 ვხედავდი მალლა ცას ნათელსა და მშვენიერსა,
დაბლა მიწაზედ — ერს მშრომელსა და ბედნიერსა.
გამომელვიძა.....

- არის აღბილი, მის შვენებას ვერ აღწერს ხელი,
როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი!
მისი შვენება ედემისა არის შვენება,
- 4 იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.
თვალს მოაშორებთ, თქვენი გული იმისკენვე რბის,
იმის კვლავ ნახვას სიხარულით გული მოელის.
ზაფხულს ზეფირი მას დაჰქროლავს და მაზედ ხარობს,
- 8 ზამთრით მზე მარად მაზედ მნათობს და მის გულს ათბობს;
ლამის მნათობნი სიხარულით მას დასცქერიან,
უხვად თვისს სხივსა ზამთარ-ზაფხულ მას უგზავნიან.
ესე არს მიწა საყვარელი ვარსკვლავთ და მზისა,
- 12 ზურმუხტ მდელოსი, ფურჩენილ ყვავილთ და ნათლის ცისა!
- დიდი შენობა მის დიდს მთაზე არს აღმართული,
ათასის წლისა ხავსით არის იგი მორათული.
დგას დიდებულად, გულამაყად, მტკიცედ და მაგრად,
- 16 თითქო უბრძანებს გარეშემო ხეობათ და მთათ:
„აქ ვდგავარ მარტო, უმეზობლო, ვდგევარ ლიტონი,
„მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი!...“
- რა შენობაა ის შენობა? — ჰკითხეთ თითონ მას.
- 20 ათასის წლისა მის კედელი მოგცემთ თითონ ხმას,
იმის კედელი, ჟერაც მტკიცე, არ-დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რვეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: „მე აღმშენდი ხელით ძლიერით,
- 24 „ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.
- „ამ ათას წელში მრისხანებით შე მბერდნენ ქარნი,
„იძროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი:
„სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ.
- 28 „ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს ცდილობდნენ.
„მაგრამ, ხომ ხედავთ... აწცა მაგრად, ვით ძველად ვდგევარ,
„თუმცა ათასის წლის ხავსითა შებურვილი ვარ!
- „აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა — ცა,
32 „როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა!

- „აქ ჩემს წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
 „თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
 „პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული,
 36 „ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული!“
 „აქ განისვენებს... მის სახელი?... — დიდი დავითი!
 „მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ.. გელათი“

1879 წ.

ჯვარი ვაჟისა

I

- ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
 ზღვა ჰქუხს და შფოთავს, ზღვა დულს და ლელავს;
 ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისერის,
 4 განრისხებული ღრიალებს, ყვირის.
 ტალღა ქუხილით აღიმართება
 და გრგვინვით უფსკრულს უკუევარდება;
 ზღვა მდულარეა, მთლად არის შავი,
 8 არსად ჩანს აფრა, არსად ჩანს ნავი...
 ან ზღვად მავალმა ვილამ გაბედოს
 მაშინ თვის ნავი მას უფსკრულს ანდოს?
 და თუ ბედს ენდო და თუ ბედი სწამს,
 12 ბედი ვერ იხსნის, უფსკრული შთანთქამს...
 მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!
 მორბის უშიშრად, მორბის ღვთის ძალით,
 მოეშურება, მოფრინავს, მოჰქრის,
 16 ზვირთთ განრისხებულთ გულამაყად სჭრის.
 აფრა გაგლიჯონ ქარნი ცდილობენ,
 ხომალდნი დანსთქან ზვირთნი ცილობენ;
 განრისხებულნი გარს ეხვევიან,
 20 ქუხილით, გრგვინვით ეჯახებიან.
 მდულარე ტალღა უკუიქცევა
 და ღრიალითა კვლავ მიესევა.
 ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი—აფრასა!
 24 ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი—ზღვასა?
 არა, ხომალდი ზვირთთ არც-კი ებრძვის,
 შეურყეველი მოფრინავს, მოჰქრის!
 ჩანს, ზეცით აძევს მას დიდი ვალი,
 28 ჩანს, მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი.
 მაგრამ გამოჩნდა შორით ნაპირი,

- მოჰქრის ხომალდი შეუპოვარი!
 ზღვამ მოუმატა თვის მრისხანება,
 32 უფსკრულს მის შთანთქმა მას ესწრაფება:
 ტალღა და ზვირთნი მთებივით აღდგნენ
 და ნავის გვერდებს მრისხანედ სცემენ;
 აფრასა ჰბერაეს ქარი ძლიერად, —
 მიქროლავს ნავი შეუპოვარად,
 36 მიქროლავს, მირბის, — კენესის ზღვა შავი...
 კოლხიდის კიდეს მიფრინდა ნავი...

II

- ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,
 40 არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება:
 ნათელი, ტურფა, ვით ოცნება, მშვენიერია,
 მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწყერია;
 ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა,
 44 ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც ღროს წარსულსა,
 ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმინდა ასული,
 მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული!
 მაღალ შუბლზე აქვს აღბეჭდილი მას მაღლი ღვთისა,
 48 ნათელს თვალეებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა.
 გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება,
 იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება!
 მიდის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
 52 არ ეშინია სიმშვილისა, არც უგზო გზისა;
 ვერ აბრკოლებენ მას ჰაობნი, ვერცა მდინარნი,
 ვერც ფრიალონი, უფსკრულნი და მთანი მყინვარნი:
 არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:
 56 დედა-წმიდისა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.

III

- ვინ ხარ, ასულო, სით მოხვედი, რა აზრი მოგაქვს?
 რაც ხელს გიპყრია, მნიშვნელობა, გვითხარი, რა აქვს?...
 ივერის ერნო, უამბორეთ წმიდის ფეხთ მტვერსა;
 60 თქვენში აღაგზნებს ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა:
 არა! ვერ იგრძნო წმიდის სიტყვა ერმა ველურმა,
 არ განაცხოვლა მისი გული სიტყვამ ციურმა!
 წმიდამ ცრემლითა ცას მიმართა, ხელნი შეჰყარა:
 64 ერი ველური, კერპთ-მსახური, ღმერთს შეავედრა.

- იელა ცამან, იქეჟა ცამან,
 კენესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
 შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
 68 ბნელმა მოიცვა ცა და ქვეყანა...
 აღღა გრვეინვითა მრისხანე ქარი,
 ანთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
 შეუსვენებლად ცა სჰეჰს და ელავს,
 72 ჰაერი ცეცხლით და ალით ლელავს,
 სეტყვა და მეზი მიწის პირს სცემენ,
 მრისხანე ქარნი ხეთ ძირით ჰგლეჯენ
 ცეცხლის ისართა ცა მიწას ესერის,
 76 ირყევა მიწა, ბუნება კენესის...
 ცამ მოიკრიფა, რაც ჰქონდა ძალი
 და მიწას დასცა ცეცხლი და ალი;
 მთანი-და ბარნი დასქდნენ, დაიყვენენ,
 80 კერპთ-მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...
 თვის მრისხანება ცამ შეაყენა,
 მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
 წმიდის ფერხთ-წინა დაემხო ერი,
 84 წმიდამ მას ჯვართ დასწერა ჯვარი!...

V

- ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა
 მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა;
 წმინდა ასული, წმინდა ნინო ცამ მოგივლინა,
 88 ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.
 მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,
 მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური;
 „ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნოება,
 92 „ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება“!
 სადაც სწირავდნენ კაცთა მსხვერპლად კერპთ და ბომონთ კარს,
 იქ ისმა მალლა გალობის ხმა; „წმიდა, წმიდა არს!“
 მოისმა მალლად დიდებული, საღმრთო ხმა ზართა,
 96 მალლა შესძახეს მას ხეობათ, მთათა და ბართა.
 დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი,
 აშენდნენ, აღდგნენ დიდებულად წმინდა ტაძარნი;
 ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი
 100 შთამოიღვარა, და განათლდა გონება ბნელი;

- დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა, —
 დღესაც-კი გვატკბობს მათ დროთ ენა ამერ-იმერთა, —
 მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა?
- 104 რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა!
 დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
 სადღა არიან? აღარ არიან,
 მათ დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი
- 108 ჩვენ თვალთ-წინ პირქვე ტიელად ჰყრიან;
 მგზავრი, მოსული უცხოს ქვეყნითა,
 დადის მათ შუა უკვალო გზითა,
 ჩვენს ისტორიას მათში ეძიებს,
- 112 მაგრამ ვერა რას, ვერა რას ჰპოვებს!
 რაც წარწერილნი მათზედ ყოფილან,
 ისინიც დროთგან მთლად აღმოფხვრილან!
 მხოლოდ ჩვენ გვესმის მათ უცხო ენა,
- 116 ივერიის ძეს უყვარს მათ სმენა!
 ჩვენს გულს უხმონიც ბევრს უამბობენ.
 რაც რომ ყოფილან, მაზედ უბნობენ.
 მაშა მტრის ხელსა არა რა მორჩა?...
- 120 არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა;
 ჭვარი ვაზისა!... მაღლი იმ ჭვარის
 ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

[1880 წ.]

ორი შენობა

- ორ შენობასა ვხედავ თვალ-წინ, რა გათენდება:
 ერთში მათგანში ჩანს სიცოცხლე და მოძრაობა;
 ვითა საფლავი გაყინული არის მეორე,
- 4 არ აქვს მის წიაღს კაცთ სიცოცხლის ნიშანი მცირე.
 ახალთ დროთ ტურფად ნაგებია ერთი შენობა,
 მგზავრად მიმავლის თვალს იზიდავს მისი შვენება;
 წალკოტი ჰყვავის მშვენიერად მის კედელთ გარე,
- 8 ზურმუხტ მდელოთი მოსილია იმისი არე,
 გარეთ და შიგნით მის კედელი არის მორთული,
 როგორც რომ სასძლოდ მშვენიერი ტურფა ასული;
 მაგრამ მის კედელს, ამ დროთ ნაშენს, მისს კირსა და ქვას,
- 12 ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი და არც ღონე აქვს.

- მეორე არის ძველთ წინაპართ სადგურის შთენი,
სავსე ღონითა, ღონით სავსით ხელით ნაშენი;
კოშკნი მაღალნი, ციხე ვრცელი, წმინდა ტაძარი,
- 16 დიდი პალატი, დიდი არე, როსმე მდიდარი,
ღღეს კი უჭერო, უპატრონო, აოხრებული,
გრძელთ წელთ მოხუცი, დაჩაგრული, დახავსებული!
იმის წიაღში ამოსულა ბალახი მწარე,
- 20 შამბით და ეკლით მოცულია იმისი არე:
ვინც მას შეჰხედავს, დაფიქრდება და შეიბრალებს
იმის დანახვა გულს აწუხებს, თვალს არ ახარებს.
- იმ ერთს არა აქვს გრძლად დგომისა ღონე საკმარი,
24 მას დანაგრევენ სამოცის წლის სეტყვა და ქარი;
და რა კედელნი სუსტნი, ნაზნი დაინგრევიან,
მისი ნანგრევნიც მიწის პირზედ მსწრაფლ განქრებიან;
განქრება მასთან მისი კვალი და მის ხსენება,
- 25 არ აქვს წარსული, მომავალი მას არ ექნება.
- ის კი, მეორე, ის მოხუცი შვიდასის წლისა?
მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა;
თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,
32 მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული!
და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევიან,
შთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;
დარჩება მისი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება,
- 36 მაგრამ დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება.
მას აქვს წარსული დიდი, გრძელი, და ისტორია,
იმის წარსული მის კედლებზედ სისხლით სწერია!

[1881 წ.]

გ ა ნ კ ი თ ხ ვ ა

პოემა

I

- ღამეა ბნელი, ღამე წყვედიადი,
ცაში ვარსკვლავი არსად ანათებს.
მაგრამ უშიშრად მხედარი მარდი
- 4 უგზო-უკვალოდ ცხენს მიაქროლებს.

- რაშია შავი, დოლის შევენება,
 მას ეგულხმება პატრონის ნება,
 მას ვერ აბრკოლებს სიბნელე ცისა:
- 8 ჩანს, ნაცნობია იმ უგზო გზისა.
 მირბის, მიქროლავს მერანი შავი,
 მას ძლივსლა ასწრობს მთების ნიავი;
 იმისნი თვალნი ცეცხლებრ ანთიან,
- 12 იმისნი ნალნი ნაპერწყლებს ჰყრიან,
 აღვირი კისერს აქვს მინდობილი,
 მირბის, მიქროლავს თავ წინ მიხრილი.
 მაგრამ მას მხედარს არ ესწრაფება?
- 16 ნუთუ მას თავი არ ენანება?
 ნუთუ არ დასდევს უცხო მხედარი,
 რომ ელვამ გასჭრა ბნელი ცის კარი,
 რომ ცამ იქექა და დაიგრგვინა,
- 20 რომ იმის გზაზედ, ახლო, მის წინა
 მდინარე დიდი რისხვით მდინარებს,
 აღელვებული მირბის, ღრიალებს?
 არა, არ დასდევს! ის მხოლოდ ჰხედავს,
- 24 გაღმა, შორს რალაც სინათლე ბეუტავს...
 არა! სიციცხლე მისი იქ არის,
 სადაც მის რაში მიქროლავს, მირბის;
 იქ არის მისთვის სამყარო მთელი,
- 28 ალთქმის ქვეყანა და ცა ნათელი:
 უნდა მხედარმა იქ მიაწიოს,
 ან იმ სინათლეს თავი შესწიროს!
- 32 სკექს ცის კამარა, გრგვინავს და ელავს.
 მდინარის ტალღა ღრიალებს, ღელავს.
 აბა, მერანო, აქ გამოჩნდება,
 რაც გაქვს სიმარდე და ძლიერება!
- მშვენიერია მერანი შავი,
 36 როცა მიფრინავს ამაყად დოლში,
 მას ვერას ავენებს მტრის თვალი ავი,
 კვალს ვერ შეუშლის ვერც ერთი რაში!
 ყველას წინ მიჰქრის, ყველას წინ მივა,
- 40 შორს მას მისდევენ სხვა რაშნი ძლივა.
 მაგრამ აქ დოლი არის სხვა-გვარი:
 აქ ჰყავს რაყიფად დიდი მდინარი,
 მის მძიმე ზვირთნი, მის ტალღის ღელვა,

- 44 ბნელი ცისკარი, ქექა და ელვა!
 ზენა მის თავზედ გრგვინავს და ელავს,
 როგორც მდინარე, ცაც ისე ლელავს.
 აბა, მერანო, გახვალ, თუ ვერა?
- 48 თუ მაგ ზვირთებში შენია წერა?
 მაგრამ ის რაში არის სხვა რაში,
 არის უტოლო, ვით მთვარე ცაში
 მაგრამ მის რაშის ასე წესია:
- 52 ერთის კამართ ზვირთთ მიესია.
 მიაწვა მძიმედ დიდი მდინარე,
 მას წინ დაუხვდა ტალღა მღელვარე,
 ზვირთნი ღრიალით გარს ეხვევიან,
- 56 „ვერ გახვალ“! თითქო ემუქრებიან.
 არა! მას ზვირთი გზას ვერ შეუშლის:
 ცის და მდინარის ლელვას დასცინის!
 ფეხს ვერ იკიდებს, მაგრამ მიცურავს,
- 60 ძლიერის მკერდით ზვირთთ ტალღას სთრგუნავს,
 მღელავს მდინარეს პირდაპირ აპობს,
 ტკბილის იმედით მხედრის გულს ამკობს!
 დაუახლოვდა გაღმა ნაპირსა,
- 64 მოჰკიდა ფეხი მდინარის ძირსა,
 მიუხტა ნაპირს გამარჯვებული,
 ნაპირი დახვდა მთლად ჩარღვეული!
 ახლა, მერანო, გახვალ, თუ ვერა,
- 68 თუ შენის მხედრის მოვიდა წერა?
 რაშმა ერთ წამსა მიჰხედა მხედარს
 და კვლავ მიუხდა ამაყად მდინარს!
 დაჰყვა მრისხანის, მღელავის დენას,
- 72 იმის ზვირთების და ტალღის რბენას...
 ზენა მის თავზედ გრგვინავს და ელავს,
 როგორც მდინარე, ცაც ისე ლელავს,
 ზვირთნი და ტალღა გარს ეხვევიან,
- 76 „ვერ გახვალ, ვერა!“ — ემუქრებიან.
 მაგრამა რაში მიცურავს, მიდის,
 გავა, თუ ვერა — ის ღმერთმა იცის!

II

- ვისია ესე მაგარ სადგური,
 80 თუმცა მოხუცი, ჯერ არ-უძლური?
 აქვს მტკიცე ციხე მოვლილი გარე,

- ამაყნი კოშკნი და ვრცელი არე.
 მის მფლობელია შტო დიდებულთა.
- 84 ქველთა სახელით საფლავს ჩასულთა
 როგორც მის ციხე დახავსებულა,
 ისე მის გული არ დაჩაგრულა:
- 88 დგას ისე მაგრად, ვით მისი არე,
 თუმც ბევრი ნახა მან ბრძოლა მწარე;
 სიყრმით ბრძოლებში არის აღზრდილი,
 ბრძოლებში ხშირად უღვრია სისხლი!
 ეხლაც კი ნატრობს, კვლავ ბრძოლა ნახოს,
- 92 რომ სამშობლოსთვის კვლავ სისხლი ჰღვაროს;
 სწუხს მისი გული, გული გმირისა:
 არსად არ ისმის ხმა ნალარისა!
 კმუნავს და ოხრავს მოხუცი ქველი,
- 96 მაგრამ მას უყვარს მოთხრობა ძველი:
 თვის მეზობლებთან ძველ დროს იგონებს,
 მით გულის კმუნვას, სევდას იშორებს.
 აჰა, ბრძოლაა, ფიცხელი ბრძოლა,
- 100 ესმის ყიჟინა, ნალარა, სროლა!
 ორის მხრით ხმალი კრიალებს, ელავს.
 ფიცხელი ბრძოლა გრგვინავს და ლელავს:
 ლელავს მის გული; თოფს, ხმალს მისწვდება.
- 104 მაგრამ რომ ოცნებს, მოაგონდება,
 ამოიოხრებს, ჩაჰკიდებს თავსა:
 „ღმერთო, შევესწარ რა დროს მე ავსა!“
 უყვარს სამშობლო მიწა. მამული,
- 108 მის ისტორიის დიდი რვეული
 გრძელი და ბნელი ხშირად წინ უღვეს.
 ამოიკითხავს და ცრემლთ ცხარტ აფრქვევს,
 უყვარს მას წმინდა ქრისტეს ტაძარი,
- 112 მალღით ზარის ხმა, წირვა, ცისკარი:
 შევა ტაძარში, ღმერთს დღისთვის ჰმადლობს,
 გალობენ სხვანი, ის მათთან გალობს!
 უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი ყმანი, —
- 116 მისთვის ის ყმანი არიან ძმანი, —
 მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,
 მათ საუბარი, უმზაკვრო ენა
 ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი!
- 120 ერთნი არიან ყმა და პატრონი!
 მაგრამ მის შვება, მის სიხარული

- არის მის მტრედი, — მისი ასული,
 ვარდი ფურჩვნილი გაზაფხულისა.
- 124 ტურფა ვარსკვლავი განთიადისა.
 ჰსურს თვის ვარსკვლავის მას გათხოვება
 წესით და როგორც არის ჩვეულება:
 მის საქმროდ თითონ ჰყავს არჩეული.
- 128 სიმხნით, სიქველით სახელგანთქმული,
 დიდის გვარისაც მარტო შტო არის;
 მაგრამ ასულის გული სხვაგან რბის!
 როგორ! მის ასულს სხვა ვინმე უყვარს?
- 132 გმირი ვერ გულხმობს სიყვარულს ამგვარს,
 მოხუცს არა სწამს ის სიყვარული:
 არ იცის გმირმა დიაცთა გული!
 ასული სტირის, მამა არ ისმენს,
- 136 ასული მამის უარს ვერ ითმენს!
 ვინც უყვარს, მხოლოდ იმას წაჰყვება,
 და ან უღროვოდ საფლავს ჩაწვება!
 შუალამეა. მოხუცსა სძინავს,
- 140 სძინავს არ ესმის, ცა სკექს და გრგვინავს:
 სძინავს და ჰხედავს უცხო სიზმარსა:
 დიდი ყრილობა არის მის კარსა,
 არის ნადიმი, დიდი მზადება,
- 144 მისვლა და მოსვლა, მხიარულება.
 ისმის სტუმართა ხმა მხიარული,
 ყველას აქვს ნათლად სახე და გული;
 ჰხედავს: მხედარნი შორით მოდიან,
 მღერენ: „მოვდივართ, მოგვიხარბიან!“
- 148 მღერენ და თანვე ცხენზედ მარდობენ,
 თოფით, დამბაჩით, ხმლით ნავარდობენ!
 ჰხედავს საწოლში მძიმედ მორთულსა
 თვის თვალთ სინათლეს — თავის ასულსა.
- 152 მას ტოლნი ქალნი გარს ეხვევიან,
 „რა ტურფა რამ ხარ!“ — ეუბნებიან;
 ყამჩით, ჯაჭვებით, აღმასებით რთვენ,
 თვალთ უკოცნიან, უალერსებენ.
- 156 სასძლო ასული მშვენიერია,
 უხარის მოხუცს, ბედნიერია!
 კმარა, მოხუცო! ეგ არს ზმანება,
 არს მხოლოდ ავი, ცრუ მოლანდება!
- 160 გამოიღვიძებ, გმირო საბრალო,

- შენს ყურს მოაწევს ხმა სავალალო,
რომ გაგიტენდა დღე ბნელი, შავი,
რომ შენი ვარდი, შენი ვარსკვლავი
164 შენს ციხე-კოშკში აღარსად არის,
რომ სხვის არეში მნათობს და ჰყვავის!
დაახშობ შენის სადგურის კარსა,
თავზე მოიყრი მტვერს და ნაცარსა,
168 დასწყეველი შენს დღეს და შენსა არეს
და ობლად ჩახვალ მამათ სამარეს!

III

- შეწყდა ცის გრგვინვა, ცამ მოიწმინდა,
ვარსკვლავებითა, მთვარით გაბრწყინდა.
172 ილევა ღამე, განთიადია.
მთიები ცაში კიდევ ანთია;
ლაქვარდის ფერად ზენა ლურჯდება,
მთიები ცაში თრთის, ბეუტავს, ქრება;
176 მზის წინმორბედმა, სხივმა ცხოველმა,
მზის ამოსვლისა მახარობელმა,
კამარა ცისა გააპო, გასჭრა.
ტურთად მბეუტავი მთიები განქრა.
180 მაგრამ თვით ჩნდება მნათი ქვეყნისა,
ელვარე ალით, ტანი ცეცხლისა,
დიდ მთათ რიგთ უკან მნათი ამოდის
და სხივს ელვარეს ცაში უხვად ღვრის!
184 ამოდის ნელად და დიდებულად,
ამოდის, ჩნდება... გამოჩნდა სრულად:
ცა და ქვეყანა აენთო სხივით,
დიდი ბუნება აღდგა თვის ძილით.
- 188 ვხედავ, გაბრწყინდა მზით ამაყი დიდთა მთათ რიგი,
ზოგან უძირო უფსკრულებით გაჭრილა იგი,
ზოგან მის წვერნი დიდებულად ცამდინ ასულან
და, ვით გვირგვინით, ყინულით და ხავსით მორთულან.
- 192 მას სპეტაკს გვირგვინს მზე ვერ აღნობს და ვერას აენებს,
ძევს საუკუნოდ; მხოლოდ მზეზედ, ვით მზე, ელვარებს,
მათ მთათ პირდაპირ დგას და მისდევს სხვათა მთათ რიგი,
არ არს უძირო უფსკრულებით გაჭრილი იგი,
- 196 იმისნი წვერნი ცის კიდემდის არ აღმართულან.
ხავსით, ყინულით არ მოცულან და არ მორთულან.

- დიდთა მთათ რიგი მას ამაყად შორით დასცქერის,
თითქო ჰსურს უთხრას, დააყვედროს, თითქოს დასცინის;
- 200 „თუმცა მდებლოთი ზურმუხტის ფრად მთლად შემოსილხარ,
თუმცა ტყეებით და ბუჩქებით ტურფად ფურჩენილხარ,
და შენს თავზედა გადმოსულა მადლი ციური, —
მაგრამ ჩემთან ხარ მინც ბალღი და უსუსური!“
- 204 ორ მთათ რიგთ შუა გარდაშლილი წევს ვრცელი ველი,
მარად ბრწყინვალე, მზის სხივითა მარად ცხოველი,
მოწყალე ღვთისგან დალოცვილი და ბედნიერი,
მათ ორ მთათ რიგთა გამოზრდილი და ნებიერი.
- 208 ორნივე ორის მხრით სიყვარულით მას დასცქერიან,
დაცხება, — ნიავეს სუნნელოვანს მას უგზავნიან;
მის გულს და წიაღს ცვარით ნამენ და აგრილებენ,
წყალთა ნაკადით, თვის წიაღით რწყვენ, აცხოველებენ;
- 212 იზიდვენ თითონ სეტყვას, მენსა და ქარიშხალსა,
რომ მოაშორონ თვის საყვარელს მშვენიერს ველსა.
- მშვენიერი ხარ, სამოთხე-ველო,
დიდის მოთხრობის წიაღში მცველო!
- 216 მალღის მწვანე მთით გიმზერ და გიმზერ!
შენს დიდს მშვენებას სულს და გულს ვიწერ,
გიმზერ და თვალი ველარ გშორდება,
გიმზერდე მარად, გულს ენატრება.
- 220 მშვენიერი ხარ, სამოთხე-ველო,
შენთ გმირთ ძეთ ძვალთა და სისხლის მცველო!
მწარე ბრძოლები, რაც შენ გინახავს,
აწინდელ შენს ძეს არ სჯერს, არა სწამს!
- 224 ძველთ ღროთ ძე შენნი მწარედ იბრძოდნენ,
ფეხს არ იცვლიდნენ, იხოცებოდნენ.
და აწ ხარ ტურფად გამშვენებული,
დიდის მეფისგან გაშენებული,
- 228 როსმე ყოფილა ის მეფე გმირი...
ეხლაც დგას მისი დიდი სადგური,
მაგრის კოშკებით, ციხით მორთულა,
მალღითგან შენზედ გადმოკიდულა.
- 232 იქიდგან თურმე გმირი გეტრფოდა,
გეტრფოდა თურმე და მას ფიქრობდა,
რომ დაჩაგრული კვლავ გაგაშენოს,
რომ წალკოტებით კვლავ დაგაშენოს!

- 236 მშვენნიერი ხარ, სამოთხე-ველო,
 გულის, სულისა, თვალი წარმტაცველო!
 ედემის სწორად ღმერთმა დაგნიშნა,
 კაცთ საფუფუნოდ შენ გაგაჩინა.
- 240 მაგრამ შენზედაც კაცი არ სცხრება:
 მას სდევნის მარად სხვა და სხვა ენება.
 აჰა, მას ველზედ, მდინარის ნაპირს,
 ვხედავ მხედარსა, ტანად-პირად გმირს;
- 244 მთლად შექურვილა იარაღითა,
 თოფით, დამბაჩით, ხანჭლით და ხმლითა!
 რაღაც კვალს ეძებს გაშფოთებული,
 ძლიერად უძგერს მას მკერდ-ქვეშ გული!
- 248 ფიქრობს: „განმიქერ შენ მე მთიები,
 ან შენს სისხლს დავლევე, ან შეგაკვდები!“

- დილაა, გრილი, მაისის დილა,
 მხედარი იწვის, მხედარს არ ჰგრილა;
- 252 ბულბული ბუჩქში გალობს და უსტვენს,
 მხედარი ციურს მგოსანს არ უსმენს;
 მდელი ნამითა აღმასებრ ბრწყინავს,
 მის დიდ შვენებას ვერ გრძნობს, ვერ ჰხედავს.
- 256 ფუფუნებისთვის მას არ სცალიან:
 გულს სისხლი აწევს, სისხლი სწყურიან!
 დაჰქროლავს ველზედ, როგორც უგონო,
 როტავს: „გიპოვნი! უნდა გიპოვნო!“
- 260 უეცრად შედგა: იპოვნა კვალი,
 სისხლით და ცეცხლით აენტო თვალი!
 მიჰყვა მას კვალსა, თვალს არ აშორებს,
 ხან წყნარად მიდის, ხან ცხენს აშურებს,
- 264 რისხვით ხან კივის და ხან იციინის!
 ვინ მოჰკლავს ვისა? — ის ღმერთმა იცის.

IV

- სამეფო ტახტზედ ზის მეფე ქველი,
 ოქროს გვირგვინი მის თავზედ ბრწყინავს;
- 268 მეფე მოწყალე, მეფე გამსჯელი,
 რა გათენდება, ერისთვის ზრუნავს;
 თავის სამეფოს თვითონ განაგებს,
 არ ანდობს თვის ერს მოხელეებს მძლავრებს.
- 272 არის გულღია და მოცინარე,
 მაგრამ დღეს ფიქრი რაღაც აქვს მწარე...

- ნათელი სახე მოღრუბლულია,
მაღალი შუბლი მოქმუხვნილია;
- 276 სწუხს მისი გული ჩვილი და ქველი:
უნდა განსაჯოს დღეს მოძმის მკვლელი,
მის მარცხნივ, მარჯვნივ დგანან მსაჯულნი,
მხედართ-მთავარნი და დიდებულნი.
- 280 დგას მეფის წინა ვინმე ასული,
მდიდრის შვენებით ღვთისგან მორთული.
მაგრამ მის ცხოველ, მშვენიერ თვალებს,
ვით კვლავ, ნათელი დღეს არ უნათებს.
- 284 გიშრის თმა-კავი, გიშრის დაღალი
უწნავი მხრებზედ აქვს გადაშლილი,
მის სპეტაკს ლაწვზედ ცრემლი ელვარებს,
შიშით მოელის, მეფე რას ბრძანებს.
- 288 ბრძანა მეფემან: „ვით დაისჯება,
ვინც შეუტრაცყო თვის მშობელთ ნება?
ვით დაისჯება იგი ასული,
ვინც შეუტრაცყო თვის დანიშნული,
- 292 თვის დიდი გვარი ვინც დაივიწყა
და უცხო ვისმე უსირცხვოდ წაჰყვა?“
იღუმალ არის მსაჯულთა კრება:
ტურფა ასული მას ენანება.
- 296 მაგრამ მეფის წინ წარსდგა ასული:
„მეფევ, არ იცი შენ სიყვარული!
შენ გიყვარს, მეფევ, შენი პორფირი,
შენ შენი ერი ქველი და გმირი,
- 300 გიყვარს შენ შენი სამეფო ტახტი,
შენი ბრწყინვალე ოქროთ პალატი,
შენი გვირგვინი, თვლებით ელვარე, —
შენ სიყვარული არ იცი მწარე!
- 304 შენი გულია განსვენებული,
არ იცი, მეფევ შენ სიყვარული!
მე კი მეფეო, სხვაგვარ მიყვარდა:
ის სიყვარული გულს ალით მწვავდა,
- 308 ქვეყნად მიყვარდა მე მხოლოდ ერთი,
ის ჩემთვის იყო ამ ქვეყნად ღმერთი!
რაკი პირველად მე ისა ვნახე,
მთლად ჩემი არსი მასში დავსახე;
- 312 ჩემთვის მზე მხოლოდ მითი მნათობდა,
გული მარადწამს მის გზისკენ რბოდა!

- მის მშვენიერი ნათელი სახე
ჩემთვის შეიქნა უწყალო მახე:
- 316 მას ვერ ვხედავდი, — კენესოდა სული
იტანჯებოდა უწყალოდ გული!...
ჩემმა მშობელმა სხვაზედ დამნიშნა;
გულმა, ხელმწიფევ, ვერ მოითმინა:
- 320 ბრძოლით დავსუსტიდი და დავიტანჯე,
წავეყე, მეფეო, მეფევე, დამსაჯე!“
შუბლს დაეწერა მეფეს ღრმა ფიქრი;
„ნუთუ ეს გრძნობა ქვეყნად არს ხშირი?“
- 324 დგას მეფისწინა ჰაბუკი ვინმე,
სახეზედ უჩანს მას ფიქრი მძიმე.
მაგრამ მას ერი გმირად უწოდებს:
მას არ ეშინის, მეფე რას ბრძანებს;
- 328 ბრძანა ხელმწიფემ: „ვით დაისაჯოს,
ვინც მოძმის ზრახვით სისხლი დაღვაროს?“
მსაჯულთ წარმოსთქვეს სიტყვა: „სიკვდილი!
მოძმის მკვლელს ქვეყნად არ აქვს ადგილი!“
- 332 მეფის წინ წარდგა ჰაბუკი გმირი:
„მეფევე, ეხლაც ვარ ცოცხლადვე მკვდარი
სიკვდილი ჩემთვის რა სასჯელია?
სიკვდილი ჩემთვის სანატრელია,
- 336 ქვეყნად სიცოცხლე სხვისთვის მიწოდდა,
ჩემი სიცოცხლე ჩემთვის არ მქონდა!
მნათი ვარსკვლავნი, მზე და მთოვარე,
ცა ვარსკვლავებით მდიდრად ელვარე
- 340 რაც ცის-ქვეშ სხვისთვის არის ნათელი,
ამიერ, მეფევე, ჩემთვის არს ბნელი!
ჩემს გულს სიცოცხლე, მეფევე, აღარ აქვს,
როგორც მოწყვეტილს მთითგან სალა ქვას,
- 344 მე აღარ მელის ამ ქვეყნად შვება
სიკვდილი, მეფევე, გულს ენატრება!“
მაგრამ დაემხო ტურფა ასული:
„მეფევე, მხოლოდ მე ვარ ბრალეული!
- 348 დედის ერთაა, დიდო ხელმწიფევე,
ხელმწიფევე ქველო, მეფევე მოწყალევე,
მაგის მშობელნი გებრალეობდნენ,
მათ ცის მნათობნი არ დაუბნელდნენ!
- 352“ ეგ არის მათი მზე და მთოვარე,

- ნუ დაადგებათ მათ ეტლი მწარე!“
 ტირის და ჰგოდებს ტურფა ასული.
 გამხიარულდა ხელმწიფის გული.
 356 ბრძანა მოწყალემ და დიდებულმა:
 „მეც მოგიტევე, ვით ამ ასულმა!
 იყავ ამ სოფლის კვალადცა მგზავრი,
 წადი და მოძმის სისხლს ნულარ დაღვრი!“
 360 მამულისათვის შენ ხარ საჭირო,
 შენს მამულს თავი უნდა შესწირო!
 და შეიწყალებს ღმერთი შენს სულსა,
 თუ რომ შესწირავ თავს შენს მამულსა! —

V

- 364 არს მონასტერი განდგომილთ დედათ,
 მალალს მთაზედა დგას ის ლიტონად,
 ადგილი მწირი და უდაბური,
 კაცთ საცხოვრებლად ძნელი სადგური.
 368 ფრიალო სალა ხეს არ აგვარებს,
 ზურმუხტი მდელი თვალს არ ახარებს.
 მყუდროა, ჩუმი მის ტაძრის გარე,
 ვით სასაფლაო, გარდაცვლილთ არე;
 372 მხოლოდ მის ზარი თვის ხმას დიდებულს
 ასმენს ხეობას მიმყუდროებულს,
 ხეობის ერნი იწერენ პირჯვარს
 და თაყვანს-სცემენ შორით მას ტაძარს.
 376 წმინდა დედანი იქ მოღვაწეებენ
 და სოფლის ვნებათ იქ ივიწყებენ.
 ლეთისადმი სული აქვსთ შეწირული,
 მხოლოდ ლეთისათვის მათ უძგერთ გული.
 380 მაგრამ დღეს ისმის ხშირად მის ზარი,
 არის მოცული ერით მის კარი.
 იქ შეყრილია მთელი ხეობა;
 იმ დიდის ტაძრის არის დღეობა,
 384 ის დღე არს დიდი დღესასწაული.
 ტაძარი არის გაბრწყინებული.
 ისმის გალობა, ვედრება ლეთისა,
 საკმელის კმევა, საღმრთო ხმა მღვდლისა.
 388 მაგრამ ვინ არის იგი ასული,
 მშვენიერებით მარტო მორთული?
 დგას მღვდელ მთავრის წინ სამოსლით თეთრით

- მხრებს გარდაშლილის გიშრის-ფრის თმებით,
 392 გულზედ უწყევია მას ნორჩნი მკლავნი.
 მიმართულნი აქვს მალლა ცად თვალნი;
 ობოლი ცრემლი წამწამზედ ბრწყინავს;
 თავის გარშემო ვერაფერს ჰხედავს.
- 396 ქვეყნად აღარ არს იმისი სული,
 მთლად არსით ცაში არს დაკარგული!
 ის აღარ არის ამა ქვეყნისა,
 მაგდალინეა გვიდო რენისა!
- 400 მის გარე დგანან წმიდა დედანი,
 ხელთ მათ უპყრიათ წმინდა ლამპარნი.
 მას მღვდელ-მთავარი ჰკვეცს გიშრის თმასა.
 ლოცვით და ცრემლით აბარებს მასა,
- 404 ვინც მხოლოდ ერთი გულს წყლულთა ჰკურნავს,
 ვინც ცოდვილთათვის მამებრივ ზრუნავს.
 რაც გაიტანჯა ამ სოფლად, კმარა, —
 მზა არს ნუგეში — შავი მაზარა,
- 408 წყვდიადს სამარეს თან ჩასატანი;
 იმითი მორთეს მის ნორჩი ტანი.

დასრულდა სულა, დაბრუნდა ერი;
 დაიხშო მძიმე მონასტრის კარი.

- 412 ასული სოფელს აღარ ეკუთვნის,
 იმ უღაბურში დახშული არის,
 თვის სინიდისთან და მალლა ღმერთთან,
 კაცთა გულისა მხილველთან ერთთან.
- 416 მოწყალე ჰკურნავს მის გულის წყლულსა,
 იგი უცხოვლებს დავრდომილს სულსა.
 მაგრამ მას ხშირად კვლავ აგონდება,
 წარსული ხშირად მას ელანდება:
- 420 მას ეზმანება სამშობლო ველი,
 მის მწვანე მღვლო, მის მზე ცხოველი,
 ის ციხე-კოშკნი, ის ვრცელი არე,
 მათზედ მნათობნი ვარსკვლავნი, მთვარე;
- 424 ის ღამე ბნელი, ხმა ფეხთ ცხენისა
 და საშინელი წყევლა მამისა;
 მას ეზმანება იგი მხედარი,
 გულით მას ნელად სწვეთს სისხლის ცვარი!
- 428 ტაძრის სალა-კლდის ქვას დაემწობა
 და ლეთის წინ ცხარე ცრემლით იღვრება...

და იგი ცრემლი, ცრემლი ნათელი
ცად იმართება, ვით საკმეველი.

VI

- 432 მაგრამ სად არის ჰაბუკი გმირი,
იმ ღლით თვის სახლის სტუმარი ძვირი?
მას ძვირად ჰხედავს იმის არე;
იქ არის, სადაც არს ბრძოლა მწარე.
სად მამულისთვის, გმირნი იბრძვიან
- 436 სადაც სჯულისთვის იხოცებიან,
რომელს მხარესაც არს გაქირვება,
იქ თავის რაზმით დაიბადება.
- 440 მიაწვა მტერსა, — სადღა არს მტერი?
მტრის ნაცვლად არის კომლი და მტვერი!...
მაგრამ ხანდახან მსწრაფლ ჩაფიქრდება,
რალაც წარსული მოაგონდება:
- 444 მას აღარ ახსოვს, რომ არის ბრძოლა,
არ ესმის, არის ფიცხელი სროლა,
ყურს ველარ უხმობს მხედართა გრიალს,
ველარა ჰხედავს მათ ხმალთა კრიალს.
- 448 მის მხარეს ტყვია, ვით სეტყვა მიდის,
მაგრამ ხანდახან მსწრაფლ ჩაფიქრდება,
მის გული ცხელმა ტყვიამ განგმირა:
სამშობლო მამულს თავი შესწირა.

[1881 წ.]

კაცი ის არის

- კაცი ის არის,
ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
- 4 ღედა-მიწასა
და მის წიაღსა
ღვთისა მადლობით, მხიარულებით.
- 8 აპობს და არღვევს,
დალაღვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;

და იმ ტკბილს ნაყოფს
ქვრივ-ოხერთ უყოფს
12 და უშრობს მშვიერთ ობოლთა ცრემლებს.

კაცი ის არის,
ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა“
16 და სიყვარულით
აღვსილის გულით
დავრდომილ ძმათა მოეხმარება;

ვინც საქმით ქველით,
20 გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალ ღვთაებას;
ვინც ცდილობს მისწვდეს
და ჰკუთით მიხედეს
24 საღმრთო განგების იღუმალ ნებას, —

გამოიძიოს,
გამოიკვილოს
დიდი, უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
28 და ჰპოვოს მასში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში
მის საიდუმლო: ჭეშმარიტება.

და მის ძლიერით
32 სიტყვით და აზრით,
ვით აბგარ-აბჯრით, მთლად შეიჭურვოს,
და იგი სიტყვა,
მღელავი ვით ზღვა,
36 მალლა უშიშრად ერთა ამხილოს.

ვინც უდგას შორსა
სიცრუევეს, შურსა,
ვის არა ეხება პირმოთნეობა;
40 აქვს სული წრფელი,
სიტყვა ნათელი,
გულს დაიმარხა ჭეშმარიტება;

- ვის არა სცხვენის,
 44 ვის არ ეშინის,
 იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,
 და იმ ღვთაებას,
 ჰეშმარიტებას,
 48 არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.

- ვინ ვრაცხოთ კაცად?
 არ ვიცი არსად,
 ვერსად ვერ ვპოვებთ მას წმინდა არსსა
 52 იყო კი ერთი, —
 ის იყო ღმერთი.
 ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა!

[1892 წ.]

გ ა ლ ი ა

სადაც გინდ ვიყო, რა მგამა,
 ყოფაცა მქონდეს ნებისა.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

- ნუ დაატყვევებთ შროშანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია;
 ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს სტვენდეს ბალშია.
 ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,
 4 მის სანაგარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.
 ნუ დაატყვევებთ გულს ტურფას: იმისი გული ზღვა არის;
 ვინც უყვარს, დეე მას წაჰყვეს, სიკვდილი არის სხვა მისთვის;
 ღმერთმა მას მისცა ის გული, მის არსი იმის გულია,
 8 იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!
 ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა;
 დეე, მაღლა თქვას, წარმოსთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.
 ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაშია?
 12 ბევრით ჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

[1882 წ.]

სამშობლო ქვეყნის პასუხი

(ილია ჭავჭავაძის ლექსის გამო:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“).

მკითხავ, ჩემო პოეტო: რაზედ მოგიწყენია?

ნება მომეც მეც გკითხო: შენ კი მოგილხენია?

მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!

4 მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია!

თქვენთ პოეტთ ჩემზედ ლექსნი მრავალგვარნი ხშირია!

მაგრამ მათ ტკბილნი ლექსნი ჩემთვის ტკბილი ჩირია!

მომაკვდავს სიმშლითა ძროხას ეუბნებიან:

8 „მოიცა, ნუ მოკვდები: ველნი ამწყანდებიან!“

რა მაწუხებს, რა მტანჯავს, რაზედ მომიწყენია? —

ჩემო ტკბილო მგოსანო, ბევრი მომითმენია!

არაბთ, ოსმალთ, სპარსთ, ლეკთა ჩემზედ უნავარდნით;

12 ჩემნი ტაძარ-პალატნი უმუსრავთ, უნგრევიათ:

ჩემთვის ათს საუკუნეს ჩემს ძეს — ერს უბრძოლია,

ეს ჩემი მკერდი — გული მის სისხლით მორწყულია!

ერთის ხელით ხრმლით მდგარა, ერთით უმუშავნია.

16 ისე თავის სამშობლო მტრისგან გადურჩენია.

მაგრამ დაცხრა ომის ხმა, შეიცვალნენ დროები,

გაჩუმდა ნალარის ხმა, შეწყდნენ სისხლის ღვარები:

ველოდი: მამათ დიდს ღვაწლს ძენი დაასრულებენ,

20 შრომას ძმობას, ერთობას, სწავლას დააარსებენ,

მუშაობით, ოფლის ღვრით დანგრეულს აღმადგენენ,

და ძეთ აღყვავებულსა და მთელს ჩამაბარებენ!...

ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმაცობა,

24 სწავლის წილ—სმა და ძილი, ძმობის წილ—დავა. მტრობა!

ზოგთა თავის ქონება ბითურ-ცხრაში წააგეს

და თავისი ცოლ შვილი მშიერ გლახად დააგდეს!

ზოგთ დავა-დარაბაში დაჰლუპეს, რაც ებადათ,

28 რაც ქველ მამა-პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად!

ჩემთ დიდებულთ ძეთ ძენი ბევრნი ეხლაც იღვწიან:

მარჯნივ და მარცხნივ ჰფანტავენ... სად?—თითონ არ იციან!

ჩარჩებს ფულებს ართმევენ, მერე ემალებიან

32 და ან ვალის დაცლასა ცრემლით ევედრებიან!

მთელის წლის შემოსავალს ერთ-ორს კვირაში სცლიან,

მაგრამ, ჩემო პოეტო, კარგად შეექცევიან!...

ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჰერ-ნაჰერ მყიდნიან;

36 სხვადასხვა ურიანი ჩემ პატრონად დგებიან,
ჩემთ დამცველთა ძეთ ძენი მათ მონებად რჩებიან!
ისინიც არ ვარგანან, თუ ვინმე მათ სჯობიან:
ცხოვრების არაცოდნით ვალებში იხრჩობიან!

40 სხვა უცხო პატრონები — კეთილს არას მასმენენ,
თქვენს გამზრდელთა ძუძუთგან რძის ნაცვლად სისხლს
მაღენენ!...

ნუ ფრინავ მარად ცაში, ნუ უმზერ მარად ზღებსა,
ცოტა ძირს დაიხედე, ნახავ მაგალითებსა:

44 შეჰხედეთ თქვენთ უმცროსთ ძმათ, ჩემს უმცროსს ძეთ—გლეხებსა,
როგორც თქვენ, ისინიცა ჩემის გვამის სახსრებსა.
რატომ ვერ მოუარეთ? რად ჩაუგდეთ ჩარჩებსა?
ავაზაკთ, სისხლის მსმელთა, მყარალს ავშანს და ღვთის მტრებსა...

48 შენ-კი ტკბილის ლექსებით და ნაზად შეუბნები:
„თქვენის ზრუნვის საგანი მე ვარ და მე ვიქნები!“
ტკბილის ლექსებისათვის ჩემს გულს აღარ სცალიან:
ჩემ პატრონად, პატრონად ძუნწნი ჩარჩნი დგებიან.

[1883 წ.]

ხმა სამშობლო ძველისა

ღმერთი მლოცავდა,
როცა მბადავდა,
მომცა შევენება მე ედემისა;

4 ტურფა მთა-ბარნი,
წყალნი მცინარნი,
სხივით ელვარე წინ მკერდი ზღვისა;

ტყენი ფურჩვილნი,
8 ზურმუხტნი ბუჩქნი,
ველნი, მოსილნი ყვავილებითა;
ზედ გადმომკიდა
ცა ლურჯი, წმინდა,
12 მარად ბრწყინვალე მნათობთ სხივითა.

და ეგრეთ ღვთის ქმნილს,
მისგან დალოცვილს,
მეალერსება ლაქვარდი ცისა;
16 სუნნელოვანნი

მბერენ ნიაენი,
ვარ საყვარელი ვარსკვლავთ და მზისა!

- დამბადა ასე...
20 სიმღიდრით სავსე
ეს ჩემი მკერდი და წიაღია;
მაში რძე ტკბილი
.მაქვს მე შთაღვრილი,
24 ჩემთ ძეთთვის იგი მარად მაქვს ღია.

- მაშ რაღას ელით?
მაგარის ხელით
ჩემი წიაღი აღმოიკვლიეთ;
28 ნუ გეძნელებათ,
ნუ გებრკოლებათ,
ყოველს სიძნელეს შრომითა სძლიეთ!

- ძენო, იგონეთ,
32 ოფლით იშრომეთ:
ოფლით, შრომითა აღმოცენდება
ტკბილი ნაყოფი,
ჩემს მკერდში მყოფი;
36 თქვენთვის არს იგი, სხვას ნუ დარჩება!

[1883 წ.]

პ ო ე ტ ს

- მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,
5 მათ ღუღუკი, დიპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიჟინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?
10 მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩენილი, ვით ყვავილი ველისა,

- მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
 ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.
 იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი,
 15 დაგვანახვე ველნი, ბორცვნი და მთანი;
 მალა ზეცა, ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;
 მთლად ბუნება, დიდი, გასაკვირველი,
 ველნი, ბორცვნი, ტურფად იფურჩენებოდნენ,
 წვერნი მათაა ცის კარს ებჯინებოდნენ;
 20 ცის კამარა ბრწყინავდეს მნათობთ სხივით,
 ან გრგვინავდეს ელვითა და ქუხილით;
 კაშკაშებდეს მზის სხივითა ზღვის გული,
 თვის ნაპირზედ მშვიდად მიძინებული;
 ან მრისხანე ცაში ზვირთებს ისვრიდეს
 25 და თვის მკერდზედ ნავთ ხომალდებს მუსრვიდეს..
 დაგვანახვე დიდებული ბუნება,
 იმის დიდი მრავალგვარი შვენება.

- სხვანიც დიდი საგანნი გაქვს, პოეტო:
 გმართებს ძველ დროთ გმირნი გამოგვიხატო,
 30 მამულისთვის მათ ბრძოლა საშინელი,
 ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ველო-

- დაგვანახვე ასული მშვენიერი,
 სახეს უჩნდეს გულის ჭმუნვა ძლიერი,
 იყოს ვარდი, აედრისგან ფერმიხდილი,
 35 და ყვავილი, ქარისგან თავმიხრილი.
 ნაზი, ტურფა, მშვიდი და წმინდა გული,
 მაგრამ მთელის არსით შეყვარებული.
 მისი სატრფო შორს შავს ბედთან იბრძოდეს:
 მშვენიერი ცხარის ცრემლით იღვროდეს;
 40 შილერისას ჰგვანდეს ამალიასა,
 ან შექსპირის ციურს ოფელიასა,
 შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
 იმათ ბაღში და იმათ ვენახშია;
 დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;
 45 ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი...
 და ჩვენც მალა გვამხილე, რაც გვჭირს ავი-

სიზარმაცე და უმეცრება შავი!

რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,
50 ან ლოპიანს ან დიმიტრი ონიკოვს?
ჩემი გული სხვა-გვართ სურათებს ითხოვს.
მაინც ამ ხმით ვცდი, როსმე რამ გიამბოთ,
მდაბიური, — იქნება, ზოგთ გიამოთ.

[1884 წ.]

ბ ი რ ი შ ი

- მშვიდობა შენდა, შენთა შტოთა, შენთა ფურცელთა,
მფარველო გულის, ჰე, ტირიფო, დაობლებულის!
შენ ხარ მცნებითი სახსოვარი დღეთა წარსულთა,
4 შენ ხარ გუშაგი მშობლიურის მიწისა ჩემის!
- თვალთა, პირველად ახილულთა, წარმოუდგე შენ,
გულის პირველი გრძნობა იყო გაცნობა შენი,
ჯერეთ სოფლისა განმეცადა მე ჩრდილი ოდენ,
8 შენ უკვე ყოველთ ფიქრთა ჩემთა იყავ საგანი.
- სიციოცხლე ჩემი აღმოცენდა შენებრ ნელიად
და შეეთვისა ნარნარ გრძნობით შენსა შვენებას
და სიყრმე ჩემი განივლიდა შენსა ქვეშ ნათლად
12 და მე სიამით დავმზერდი ჟამთ მყუდროსა დენას.
- თუმცა მრავალთა ქარიშხლისა სასტიკ კვეთებათ
გარდმოუქუხავთ ხშირად ჩემზე მრისხანებითა,
მაგრამ მე შენდა ტრფიალება გულთა ნუგეშად
16 შემრჩა აქამდე აგზნობილი მხურვალეებითა.
- შენ შტოთ გერებით სდევნი სახით კმუნვის ღრუბელსა,
შენ ფოთოლთ ნელის შრიალითა მესაუბრები,
მაგონებ სიყრმის შექცევასა და სიხარულსა
20 და თვალთ ცხოველად მეხატვიან ძველი დროები.
- ვიყვნეთ მეგობრად, ვიდრემდი სულს ვგრძნობთ ჩვენ
თვის შორის,
ურთიერთისა ხელშემწყობი ვიქმნეთ ისევ ჩვენ,
შენ უწინდელებრ მომაგებდე ნუგეშსა ტკბილსა,
24 მე ჩვეულებრივ შემოგტრფოდე თვით სიკვდილამდენ.

უკეთუ პირველ თვალთა ჩემთა გიხილეს მკეწარად,
ან ველს დაცემულ, შტო გაფანტულ ქარიშხალითა,
ან სიციხისაგან გარუჭვილი აღუყვავებლად,
28 ან განგლეჯილი საზარელის ცისა ცეცხლითა.

მერწმუნე, მაშინც არ დაგტევებს მეგობრის ხელი,
გულ სიბრალულთ მოვაგროვებ გამხმართა წვერთა,
აღმოვაცენებ, და ვიქნები შენად მზრუნველი,
32 და სიციცხლითა აღვაყვავებ ფოთოლთა შენთა.

ხოლო, უკეთუ, ჰოი, ტირიფო, გლახ ჩემი ბედი
შენს უწინარეს მომისწრაფებს მე აღსასრულსა,
სულის იმედად თან წამყვება მაშინ იმედი,
36 რომ მტვერსა ჩემსა მიცაილებ შენსა აჩრდილსა.

და განმიგრილებ ჩემს სამარეს ცისკრისა ნამით,
და დააჩრდილებ სიციხისაგან გრძელ-ხშირ-შტოებით,
და იგი ნამი დაეცემა გულს ნეტარებით,
40 მომეფონება იგი ჩრდილი სამოთხისავეთ.

20 ივლ. 1837 წ. ხელთუბანი.

ფ ი ა ლ ა

მიყვარს ფიალა სპეკალი,
ოდეს ღვინის ნაპერწკალი
ნათობს, დუდს, ელავს მასშიგან,
4 თითქოს ლალის ნათელ-წყალი.

მიყვარან ძოწნი ბაგენი,
ეშხით, ღიმილით სავსენი
და სიყვარულის წყურვილის
8 კოცნითა დამაცხრობელნი.

მაგრამ, ბაგესა გამშრალსა,
უეშხოს, ღიმილ-გამქრალსა,
მოწყენით ვუმზერ შორითა,
12 ვითა ფიალას ნაცალსა.

1838 წ. ივლისს.

ს ა ლ ა მ უ რ ი

- იყო დრო, ოდეს სალამური, ჩემად მომლხენი,
შეეხებოდნენ რა ბაგენი მას უნაღვლეღად,
არაკრაკებდა სიხარულით და ხმანი მისნი
4 განიბნევოდნენ ყრუსა არეს მოუთმენელად.

- და მხოლოდ ბნელი და დუმილი წყნარისა ღამის
იყვნენ მოწამედ საიდუმლოთ აღტაცებათა,
და მხოლოდ ტკბილი იადონი წალკოტთა შორის
8 ნარნარ შტვენითა მოჰსძახოდა გულის კვნესათა.

- იყო დრო, ოდეს მშვენიერი ესე ბუნება
მიმდევსა მისსა გრძნეულებით გამოაცებდა
და დამატკობდა სიყვარული, თავისუფლება
12 და გული ჭერეთ ზრუნვათათვის არ გამღებოდა.

- იყო დრო... მაგრამ, ჰეი, მაცთურო ამაოებავ,
რად დამიღეწე ოქროვანი ხატი ოცნების?
რად დამდე ჭაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ
16 აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის.

- სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,
სადაც ჰსჭკნებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი,
სად სალამური მექმნა ჟღერით დაყრუებული
20 და უპასუხოდ განიფანტნენ ტბილნი შტვენანი.

1838 წ. 19 ნოემბერი.

უ ლ ა ბ ნ ო

- ვის არ გიხილავსთ უღაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სკვრეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
4 და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?

- ვის არ გიხილავთ იქა ხე, მწარედ
გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ
8 გარდმოკიდული დამტკნარ შტოებით!

- ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!
მეც ეგრეთ ვიქმენ დღეგანამწარი,
ვერლა მებალოს ტკბილი იმედი,
12 ვერლა აღყვავდეს მით გული მქენარი!

1838 წ.

ჩ ა ნ გ უ რ ი

- რისთვის ჩანგურით ჩემად საკვდავად,
რისთვის აღვიძებ ჩემში სიყვარულს
და განვლილთა დღეთ და სიტკბოებათ
მოგონებასა გულში დამარხულს,
5 და მას დროს, ოდეს ჩანგურის სიმებს
განუცხადებდი მე თვისსა კირებს?
თვალთა დაბინდულთ ვერლა იხილონ
გაზაფხულისა დღენი მაშვენნი,
მოგონებათა ვერ აღადგინონ
10 სიკაბუკისა მხიარულ წელნი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

- ღრუბელი გარდიყარა, მაგრამ გარეშე ბნელი
არტყია მთებს უძრავად ღამისა საბურველი;
ფენ-ქვეშ მოჰსჩანს ქალაქი, ვითა სამარე შავი,
4 მხოლოდ ერთი ნაცნობი ბეუტავს ცაში ვარსკვლავი.

- მიყვარს, მთიებო ღამის, შენი თალხი სხივები,
მათ განალვიძეს ჩემში იღუმალი ფიქრები.
მახსოვს აღმოსვლა შენი, მახსოვს სხვა ტურფა მხარეს,
8 მუნ, სადაც ალაზანი ღელვათა მოაქანებს.

- მოჰქრიან გარე ნიავს ფოთოლნი შერხეულნი
და ჰალაკებში ტკბილად იმღერიან ბულბულნი.
მუნ ერთხელ მეც სიამით მინდვრად დავსეირნობდი,
12 და შენცა სხივებითა გზასა განმინათებდი...

1863, 18 ოქტომბერი.

მ დ ი ლ ა რ ი

- ის არ არს მდიდარ, ვინც რომ მარად ჟამს
თვინიერ შრომით არსების პურს სჭამს;
ვისაც თვისს ჭერქვეშ აქვს მოსვენება
და ხანდისხანაც თავისუფლება.
- 5 ის არ არს მდიდარ, ვინც ცხრომით ბრწყინავს,
ვინც რომ სიცოცხლეს ატარებს ლხინში;
კახურის ძალით ამაყად გრგვინავს
და ტკბილს ოცნებას მოელის ძილში.
ის არ არს მდიდარ, ვინც რომ იხრჩვების
- 10 ვერცხლის და ოქროს ნაკადულშია,
ვისიც საუნჯე არ დაითვლების,
ხოლო სიკეთე არ აქვს გულშია.
ის არ არს მდიდარ, ვინც რომა ჰსწავლით
განივითარა თვისი გონება,
- 15 რათა მტკიცითა ამა იმედით,
წელილად დაჰსტყუოს სხვათა ქონება.
ის არ არს მდიდარ, რომელმაც ღვაწლით
შესძინა თვისს თავს ესე ქვეყანა,
ვინცა დიდება იყიდა ფულით,
- 20 იამპარტავენა მახლობელთანა.
სიმდიდრე ესე სრულად ფუქია,
მას ამ სოფელსევე გამოხრის ჭია,
ხოლო სამარეს მოგველის ჩვენ სხვა:
გულზედან ლოდი, ორიოდ სიტყვა.
- 25 იგი არს მდიდარ, ვინც აზრით ვრცელით
შეფრთოსნა თვისი სული უკვდავი,
და სასარგებლოდ ქვეყნიერების
სიმართლისათვის შესწირა თავი.
იგი არს მდიდარ, ვინც ჰგონებს მარად,
- 30 რომ მონაგარი თან არ გაგვყვება,

- ყველა პატივი მოარულ ჩქარად
 სიცოცხლის კართან დაიმარხება.
 იგი არს მდიდარ, ვისიც რომ კარი
 შეწუხებულთვის არს მარად ხსნილი,
 35 ვინც თვისს ქონებას არის საკმარი
 და სხვის ბედისა არ არს ნატრული.
 ნამდვილ იგი არს მსოფლად მდიდარი,
 იგი სულსაცა ცაში ამზადებს;
 40 თუმცა აქ არ აქვს პური გამხმარი,
 გარნა მუნ ყველას გადააქარბებს.

1857 წ.

გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა

- მესალმე, ჩემო თვალის სინათლევე,
 მესალმე, ჩემო ბედნიერებავ,
 ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევე,
 გესალმი შენცა, კეთილცხოვრებავ!
 5 განშორებისა საათმან დაჰკრა,
 მშვიდობით, სულო, მშვიდობით გნახო,
 მაგრამ სად გნახავ? ტყვილი არს ნატვრა,
 უნდა ტანჯვაში დღენი დავმარხო.
 ფეის აღარ მომცემს თვე მაისისა
 10 და დილის ცვარი არ გამაფხიზლებს;
 აღარ გამათბობს მე სხივი მზისა,
 ღამეც არ მოჰგვრის ძილსა ჩემს თვალებს.
 უნდა მრთელი დღე ვაფრქვევდე ცრემლთა.
 უნდა მიხრავდეს გულსა ნალველი,
 15 განუშორებლივ შენი სახელი
 არ შორდებოდეს ბაგეთა ჩემთა!
 ნეტარ რათ მომცა ღმერთმან მე გული,
 რათ დაგინახე მე შენ თვალითა;
 ნუთუ მისთვის, რომ სიმწუხარითა,
 20 ოხვრით და ტანჯვით ამომხდეს სული?
 მაგრამ არ ვნანობ, რომ ყმაწვილობა,
 ვითარ თვეს ვარდი, შენ შემოგწირე,
 თუმც დამრჩენია სიცოცხლე მცირე,
 გარნა სიცოცხლეს ემატა გრძნობა.
 25 ოდესმე ბედი შენ გაგიღიმებს,

- კვალად მოგიყვანს სადგურს მშობლისას;
 მაშინ იხილავ საფლავს მდებარეს
 მსხვერპლს უბედურის სიყვარულისას.
 იქნება ერთხელ სასაფლაოზედ
 30 გამოიარო ჩაფიქრებული,
 თუ რომ მონახავ ჩემს სახელს ქვაზედ,
 იქიდგანა ჰსცნობ, რომ სიყვარული
 ამა სოფლითგან წამყოლია თანი..

1858 წ.

მ თ ვ ა რ ე

- ახ, მთვარევე, მთვარევე, დამწვართ იმედო,
 მსურს ჩემი ტანჯვა შენც გაგიბედო.
 მთვარევე, ხომ გახსოვს ის ტკბილი ღამე,
 მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე...
 5 შენის ვერცხლებრივ ნათლით მოსილნი
 ხის ძირს ვისხედით, გვდიოდა ცრემლნი...
 გახსოვს, რა სიტყვით იგი ბედს ჰსწყევდა,
 რომელიც იმას მე მაშორებდა...
 იმისი ფიცი, იმისი იმედი,
 10 ეხლაც ყურთ მესმის და კენესის გული!
 მაგრამ სად არის ჩემთვის ის ბედი,
 რომ განმიახლოს მან სიყვარული?..
 ნუთუ იმ სიტყვებს ჰსწერდა ყინულზედ?..
 მაშ მე რათ შემრჩა ესრე ღრმად გულზედ?
 15 მთვარევე, შენ მოგთხოვ ჩემს საყვარელსა,
 მონახე იგი ყოველ მხარესა!..
 თუ ნახო, მთვარევე, ჩემი მტანჯველი,
 უთხარ—იმ ხის ძირს ყოველღამ ველი.
 უთხარ, რათ მტანჯავს, რათ არ შიბრალებს,
 20 რატომ არ მოვა და არ მახარებს?
 თუ ნახო, რომ ის უალერსებს სხვას,
 ნულარას ეტყვი, სულ ნუ გაჰსცემ ხმას;
 მაშინ ამ ხის ქვეშ მოვიკლავ მე თავს
 და ქვეყნად მოვჰყენ ჩვენს მწარე ამბავს.

1861 წ.

- ნუთუ, ტურფავ, უძლიერეს უცებ გიწყო ძგერა გულმა?
ნუთუ, მართლა ყინულის მთა გარდაგიდნო სიყვარულმა?
ნუთუ, ტანჯვა სიყვარულის უზრუნველმან იცის უკვე?
- 4 ნუთუ, ამა ტკბილმა გრძნობამ აღგიშფოთა სიკბაბუკე?
ტურფავ, მოთმენით მიიღე ესე ხარკი ბუნებისა,
ამაყ გულსა ნუ შეიღეწ, ისმინე ხმა გონებისა.
შენებრ ბევრსა უბრძოლია, სიყვარულს არ მონებია,
- 8 დღით ღიმილი, ღამით ცრემლი დამარცხებად ჰგონებია.
მაგრამ ვისაც ზეცის ალი უბოლს გულში დაფარულად,
იგი უმეტეს იტანჯვის, ხმება, ჰქნება ზეზეულად.
ტურფავ, ესე ნეტარი დრო მეორეთ აღარ ბრუნდება,
- 12 სიცოცხლისა განთიადი ამის შემდეგ გვიბინდდება,
სითბოს ნაცვლად გულში ყინვა უგრძნობელად გვეპარების,
თვალში ბრწყინვა, ლოდის ვარდნი მოულოდნელად გვაკლდების.
მათ მაგიერ გესლიანს გულს სხვა ნივთები გვემატება,
- 16 შური, ძრახვა და სიანჩხლე, სიკორე და ბოროტება.
ამ დროს ამურიც გვიწყობა, სხვასთან მიაქვს მას ღიმილი;
ჩვენლა გვრჩება ოხვრა, ნანვა, მოგონება და ჩივილი.

1865 წ.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა ლ მ ი

- სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი?
ღმერთმანა გყო თუ ეშმაკმან, კაცის გულსა ჩანერგილი;
ყველა მოლექსებისაგან ეგრე რათ ხარ შემკობილი,
- 4 ვარდი რათ გაქვს ეკლიანი და ნაყოფი ესე ტკბილი.
- ყველგან შენ იდგამ სამეფოს, სადაც ჰსტვენს ვარდზედ ბულბული,
ყველა შენ გიკმევს გუნდრუკსა, ვისაც შერჩენია გული:
ჰბაბუკია თუ მოხუცი, ორნიუ შენგან აღვზნებულნი,
- 6 ჩონგურის კვრით შესძახიან: სიცოცხლეა სიყვარული!
- შენ წახველ, სულო, და განჰქრა ჩემში სიცოცხლის ღამპარი,
მაგრამ იმა მხურვალეებით გულსა ებრძვის მისი ალი.
ფიქრი, გონება შენკენ რბის, შენს ზხას უმზერს ჩემი თვალი,
- 12 მოვედ, ტურფავ, განმაგრილე, ამ ლოდინით ნუ მომკალი!

ხან ვწყევ, ხან ვლოცავ იმ საათს, როს გიხილვ შენ პირველად,
მას აქეთ ნათელი ღლენი გადამექცნენ ღამე ბნელად.

სიცოცხლე ტვირთად გამიხდა, საზიდველი მეტად ძნელად.

16 მოვედ, სატრფოვ, დამენახვე, სიკვდილს ნუ მყოფ სანატრელად!

1865 წ.

ანუკა ბატონისუვილი

I

შუამთის მონასტერი დავალებული არის თავის აღშენებით თეთრის შინდისაგან. როდესაც კახეთის მეფეს ლევანსა ეთხოვნა ცოლად მამია გურიელის ქალი თინათინი და გურიიდან მოჰყვანდათ გრემსა ჯვარის დასაწერად, ამ ქალმა მომავლობაში გზაზედ იხილა სიზმრად თეთრწვერიანი ბერი, მდგომარე საუცხოვოს მწვანით მოსილს ველზედ, რომელმაც, რა მიაწოდა ამ ქალს პატარა შტო თეთრის შვინდისა, უთხრა მას: „შვილო, შენ შეიქმნები ცოლი ღიდებულის კაცი-სა, მაგრამ შენი ღიდება არა მდგომარეობს ქვეყნიერების კმაყოფილებაში, არამედ მოსძებნე ხე ამა შვინდისა და მუნ აღაშენე ტაძარი ღეთისა. იგი იქნება შენი ღიდება და შენი მფარველი“.

სიზმარი ესე ჰქონდა ამ ქალსა შთაბეჭდილი გულში და არავის არ უმხელდა მას, მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც საჭიროდ დაინახა ამ ქალმა ძებნა თეთრის შვინდის ხისა.

ქმარი მისი ლევან იყო ღიდი ვაჟკაცი. ჰყვანდა ლეკნი დამონავებული ისე, რომ იმის დროს კახეთში ძროხა არ დაიკარგებოდა; მაგრამ ბევრთა კარგთა ხასიათთა შორის, აქენდა მას ბევრი ბიწიცა. თინათინ დედოფალი, აღესილი ყოელის კეთილის სათნოებითა და ღეთის მოშიშარი, უთმენდა ლევანს მრავალს ავ საქმესა, მაგრამ ის კი ცდილობდა გამოეყვანა ცოლი მოთმინებისაგან. მობეზრებულმან ლევანის ცუდის ყოფაქცევითა, თინათინმა სთხოვა ერთხელ მას — მისცეს ნება, აღმოირჩიოს თვის საცხოვრებლად მონასტერი. ლევან მეფე სიამოვნებით ეთანხმება მასზედ. მასშინ დედოფალმა გაგზავნა საძებნელად იმ თეთრის შვინდის ხისა, რომელიც ენახა მას სიზმარში და რამდენსამე ღლეზედ მოართვეს მას მსხმოიარე ტოტი თეთრის შვინდისა, რომლის ხეც დგომილიყო უცხოს ალაგსა შუა მთაში. დედოფალმა ქმრის შემწეობით და თავის მზითვით იქ აღაშენებინა ჩინებული მონასტერი და შვილითა თვისითა მცარეწლოვანის აღექსანდრეთი განშორდა მუნ სიკვდილამდინ.

ხოლო ლევან მეფემ თინათინის სიკვდილის შემდეგ ითხოვა ცო-

ლად შამხლის ასული, რომელიც მონათლა ქრისტიანულად. ამასთან მიეცა ორი ქალი და ოთხი ვაჟი: გიორგი, ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო. უფროსმა ქალმა მისმა მოუპოვა მას სიძედ ქართლის მეფე სვიმონ; მაგრამ ეს მხიარულება არ იყო ლევანისთვის ხანგრძლივი. სვიმონმა სთხოვა მას შემწეობა განსაყრელად ქართლიდგან სპარსთა, რომელთაც ეჭირათ მრავალნი სიმაგრენი და ხშირის დარბევით აწუხებდნენ ქართლსა, ხოლო ლევანი იყო იმჟამად მეგობრად სპარსეთის შაჰ თამაზისა და ამის გამო თვითონ აშკარად ვერ გაბედა მიეცა თავის სიძისათვის შემწეობა, არამედ ჩუმად გაუგზავნა მას შვილი თვისი გიორგი ჯარითა. ამით დაესხათ ძეგვთან აღდგომა ღამეს შავედრი სულთანი ჯარით. ბრძოლაში მოკლეს გიორგი და ამოწყვეტეს მრავალნი კახნი. შვილის უბედურების მსმენელმა ლევან მეფემ ვერ აიტანა მწუხარება ესე და ჩქარა თვითონაც შთავიდა საფლავად.

სადაც ბევრნი ბრძანებულნი არიან, იქ ცოტა გამგონენი ეყოლებათ. ლევან მეფის შემდეგ, თუმცა შვილნი მისნი განაგებდნენ კახეთსა, მაგრამ ხშირად იყო ხოლმე მათში განხეთქილება პირველობაზედა.

ლევანის უფროს შვილსაც, თინათინისაგან შობილს ალექსანდრეს, შესწყინდა „დაბადების“ კითხვა მონასტერში. მამის შემდეგ მან შემოიკრიბა ზემოკახეთი და წავიდა ქართლს ბედის საძებნელად. აქ დაუმოყვრდა ალექსანდრე ბარძიმ ამილახვარსა. ესა და ქსნის ერისთავი ელისბარ ეყვნენ მას შემწედ და ალექსანდრე დიდის ჯარით მოვიდა კახეთის დასაპყრობლად. მისი ძმანი: ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო შეებნენ მას თორღასთან, მაგრამ იძლიეს. თვითონაც ბრძოლაში ამოიხოცნენ და ალექსანდრე 1574 წელსა მარტო შეიქმნა მპყრობელი მთელის კახეთისა. სატახტო ქალაქი მაშინ იყო გრემი.

II

გრემს, მაღალს კოშკში, რომელიც იყო გარეშემორტყმული ქვიტკირის კბილებიანის გალავნითა, ეჩოქა ძვირფასის ხალებით მოფენილს ოთახში ღვთისმშობლის წინაშე ყმაწვილი ქალი მშვენიერის სახისა მცირე ფერმიხდილი. ეს ფერნაკლულება თითქოს უფრო ამშვენებდა ამ ქალის დიდრონს შავს თვალებსა, დაწითლებულთა იმჟამად ცრემლისაგან. რომელსაც გაეველო რამდენიმე სველი ხაზი მის ლოყებზედ.

— ოჰ, წმინდაო ქალწულო მარიამ! — წარმოსთქო კვალად ამ ქალმა, — ნუ მისცემ ეშმაკს ჩემზედ ძლევასა; მომეც ძალა მოთმინებისა; ნუ გამომიღვე შენს შიშსა და ნუ გამხდლი მოღალატედ ჩემის ვალდებულებისა, ჩემის ქრმისა, ჩემის შვილისა!.. მე აღარ

შემიძლიან ბრძოლა ჩემს გულთან, ჩემს სიყვარულთან, რომელიც არ მაძლევს არც დღე და არც ღამე მოსვენებასა, რომელიც მიხრუკავს გულ-ღვიძლსა, რომელიც მინთია ესრედ იღუმალად... დედაო მარიამ! შენ განანელე ეს ცეცხლი, შენ გამიგრილე ეს გული, რომელშიაც ვინც ჩაიხედავს, აღშფოთდებიან სირცხვილით. მაგრამ სული ჩემი დუმდება ამ ბრძოლაში; სისხლი მეწვეის სიყვარულისაგან. მე ვპგრძნობ, რომ ახლოვდება ჩემთვის ის დრო, როდესაც განიხსნება ჩემ ფეხთ ქვეშა უფსკრული და იგი შთანთქავს ჩემს ნამუხსაცა, ჩემს პატიოსნებასაცა, ჩემს მოვალეობასაცა, ჩემს სულსაც...

ამ დროს ოთახის კარი განიღო ჩუმად და მალალის ტანის კაცი, მამაცურის შეხედულებისა, წაადგა თავს ამ ქალსა.

— ანუკი! — წარმოსთქო მან.

ქალი შეკრთა ამ ხმაზედ, იგი გაყვითლდა, ტუჩებმა დაუწყვეს ცმაცუნნი, თვალნი მიხუქნა და თითქოს ლამოდა გულის წასვლასა.

— ანუკი! — განიმეორა კაცმა, — შენ რალაცა გაქვს გულში, რომელსაც მიმაღავ... ნუთუ ჩემი სიყვარული ეგრე მცირე არის შენს თვალში, რომ ვერ მოგინდვია ჩემთვის შენ საიდუმლო?... ანუ შენა გგონია, რომ მე ვერ დავფარავ მას?... მაგრამ, მე უგუნური, რასა გკითხავ? მე უკვე მივხვდი, რაზედაც ლოცულობ ეგრე მხურვალედ, თვალ-ცრემლიანი. შენ ლოცულობ განთავისუფლებაზედ სიყვარულისაგან, ესე იგი ლოცულობ ჩემს სიკვდილზედა! ილოცე, ანუკი, ილოცე! მეც შემოვავრთებ ჩემს ლოცვასა. შენის სიყვარულის დაკარგვასთან მეც მომესპოს სიცოცხლე! — და ეს კაციც დაეცა მუხლებზედ ამ ქალთან. მაგრამ ეს არ იყო ის წმინდა ლოცვა, რომელიც ამსუბუქებს და ანუგეშებს ნალვლიანს გულსა. არა სიმშვიდე და დაწყნარება, არამედ მხურვალეება ეწერათ მათ სახეზედა და მათ ლოცვამა, აღვსილმა ქვეყნიერების სიტკბოებითა, ვერ მიახწია სამოთხის კარადმდე. თვით მლოცველთ ეშინოდათ, რომ არ უსმინოს მათ უფალმა და სურდათ დაებრუნებინათ უკანვე ყოველი თავიანთი ნათქვამი სიტყვა. შემდეგ მათ შეხედეს ერთმანეთსა... კლავნი მათნი გადაეხვივნენ, ტუჩები შეეწებნენ ერთმანეთისა და ლოცვა მათი დასრულდა ფიცით ერთმანეთის საუკუნოდ სიყვარულში. სახლობის კავშირი, სახელი პატიოსნებისა, შიში ღვთისა და დამრახვისა — ყოველი დაავიწყდა მათ. მაგრამ განგებამ დაწერა მათი საქმე იმ ფურცელზედ, რომლისაგანაც არა იწმინდება რა უსისხლოდ.

ეს ყმაწვილი ქალი ანუკა იყო, ალექსანდრე მეფის დაი, მამით ერთნი და დედით ცალ-ცალკენი, ესე იგი, შამხალის ქალისაგან ნაყოლი.

იქნებოდა ოთხი წელი, რაც ამ ქალის ქმარი, ოთარ ჩოლოყაშვილი, გაეყოლებინა მეფე ალექსანდრეს სპარსეთში თავის შვილის

კონსტანტინესათვის, რომელიც მოეთხოვნა შაჰ-აბაზსა ძველად კახეთის ერთგულებისათვისადმი.

მაღალი კაცი, რომელსაც შეეპყრა გული ანუქასი, იყო კეთილშობილთაგანი, სიყრმით შეყენებული თვის დედისაგან ბერად და, თუმცა იგი კიდევ იყო შესული უდაბნოში, სადაც მიიღო სახელი უდაბნოელისა, მაგრამ ჩქარა აღმოაჩინა მან თავისი საქებური ხასიათი, რომ იგი ცოცხალთ ცოდვილთ ქალებს უფრო თაყვანსა სცემდა, ვიდრე განსვენებულთ წმინდანებსა, და ამისათვის, რა ვერ დასთმო უდაბნოელმა სოფლიური კმაყოფილება, იგი იძულებული იყო მოეხსნა ეს წოდება თვისი და გამოპარულიყო უდაბნოდგან. აღშფოთებულმა ამ ვაჟის დედამ მომართა ოთარ ჩოლაყაშვილსა და შეევედრა, აღუჩინოს რამ უდაბნოელსა შესაფერი საქმე თავისთან.

ოთარმა იმყოფინა ეს ყმაწვილი კაცი თავისთან და, რა ბოლოს შეამჩნია მას სიმალხაზე, გამრჩელობა და სხვა მრავალი კარგნი ნიჰნი, მისცა თავის ყმა-მამულის მოურაობა. ხოლო როდესაც ოთარ აპირებდა სპარსეთში წასვლასა, მან ჩააბარა უდაბნოელს თავისი სახლ-კარიცა, ვითარცა ერთგულს თავის შინაურს კაცსა.

მრავალთა მხლებელთა შორის ანუქას ახლდა თხუთმეტის წლის ყმაწვილი, საამილახვრო აზნაურშვილი. სახელად ტიტკო. იქმნებოდა სამი წელი, რაც ტიტკო ემსახურებოდა ანუქასა და ასე შეეჩვია იმის ხასიათსა, რომ ყოვლის მის თვალისა და წარბის მოძრაობით იცოდა რაც სურდა. და ვიდრე ანუქა ენით გამოსთქვამდა თავის სურვილსა, ტიტკო უკვე აღასრულებდა ხოლმე მას. ამ გონიერებისათვის და სხვაფერი მალხაზობისათვის ანუქას მეტად შეუყვარდა ეს ყმაწვილი და ეკიდებოდა მას ისეთის აღერსით, ვითარცა თავის საკუთარს შვილსა. მაგრამ ტიტკოსათვის განვლო უკვე იმ სანატრო სიყმაწვილის დრომ, როდესაც ერთის ვარდის ბუჩქის დანახვა ერჩივნა მას ერთს ჯგუფა ვარდივით ქალების დანახვასა: და როდესაც მას კურდღლისა და მელის დევნა ტყეში ერჩივნა ლამაზ ქალებთან ლაპარაკსა.

ტიტკო შეიპყრა რაღაც მძიმე ნაღველმა. ვარდის სიწითლე მის ლოყებზედ შეიცვალა სიყვითლით. თვალები ჩაუცვივდა და სახემ მიიღო ჭმუნვარებითი გამოთქმა. მას შეუყვარდა განმარტოებითი ყოფნა ტყეში ანუ ბაღში; მაგრამ უფრო ხშირათ იგი ავიდოდა ხოლმე მაღალს კლდეზედ, საიდგანაც დაფიქრებული უყურებდა ჩამავალს მზესა, როდესაც ეს მეფე ბუნებისა ამშვენებს ხოლმე გამოსალმების დროს მიწასთან ლაყვარდ ცასა ოქროთი, ვერცხლით, პურპურით. ამაოდ ხიხვინებდა ტიტკოს ყარაბაღული ცხენი და ცდილობდა გაეღვიძებინა თავის პატრონში აღრინდელი სიყვარული; ამაოდ ელაქუცებოდნენ და წმუკუნით დაუხტოდნენ მას საყვარელნი მწევარ-მეჭებარნი, რომელნიც ცდილობდნენ მოეგონებინათ ტიტკოსათვის სასია-

მოვნო კურდღლაობა, მაგრამ მას ესენი აღარ ესია მოვნიბოდა. ტიტკო ისარივით გაექანებოდა ხოლმე მხოლოდ იქითკენ, საიდგანაც მოესმოდა მას ნარნარი სიმღერის ხმა ანუკასი, რომელსაც მარტომყოფობის უამს უყვარდა ხშირად მღერა სხვადასხვა სამიჯნურო მუხამბაზებისა. ამ დროს ტიტკო მიიპარებოდა ხოლმე ჩუმად ანუ ოთახის კარებთან, ანუ ამოეფარებოდა ხესა და სტკებოდა ამ ზეციურის ხმით, რომელსაც მოჰყვანდა ეს ყმაწვილი ალტაცებაში და აფრქვევინებდა მდულარებასა... ერთ ხანად, როდესაც ანუკა 'მინ არ იყო, ტიტკო შევიდა მის ოთახში, იპოვნა იმისი ლექსების წიგნი. ჯერ მხურვალეობით დაჰკოცნა მას, შემდეგ ჩაიჭრა ბაღში, საჩქაროდ გადასწერა რამდენიმე მუხამბაში და რამდენიმე დღე ჩუმათ იხეთქდა თავსა მათ ზეპირად დასასწავლებლად.

ერთხელ, მარტო მყოფი ბაღში, ტიტკო მღეროდა ანუკას საყვარელს მუხამბაზსა, ჯერ გაუბედაობით დიღინებდა, შემდეგ და შემდეგ მისცა მან თავის ხმასა სრული თავისუფლება. ამ ხმამ მოიზიდა სახლითგან ბაღში ანუკა, რომელიც ჩუმად კარგა ხანს ყურს უგდებდა. როდესაც ტიტკომ დაასრულა, ქალმა ალერსით ხელი დაადო მას თავზედა.

— ვინ გასწავლა, ტიტკო, აგრე კარგად მღერა?

— სიყვარულმა... დიდმა ლექსების სიყვარულმა, ქალბატონო!

— მიჰყევი, შვილო, ბოლომდინ. კარგი ლექსები კაცს უმაღლებს გულსა და უწმენდს სულსა. — და რა ამეებს ეუბნებოდა, ანუკა უსვამდა მას თავზედ ხელსა. მაგრამ ტიტკომ შეჰყვირა აღრეულის ხმით:

— ქალბატონო, თუ ღმერთი გწამს, ქალბატონო... ხელი ამართვი თავიდგან!

— რა იყო, შვილო?

— ოჰ, ქალბატონო, მომიტევე! მე მეგონა, რომ ტვინი მეწოდა შენის ხელის შეხებით!

— როგორ? განა ჩემი ხელი მოწამლულია?

— რა მოგახსენო... მე კი რაღასაც წვასა ვგრძნობდი. — ტიტკომ წარმოსთქო ეს სიტყვები ესრეთის მთრთოლვარის ხმითა და ასეთი ფერი დაედო, რომ ანუკამ კვალად მიადო მას შუბლზედ ხელი და შეჰყვირა:

— ღმერთო დიდებულო! რა სახით გენთება თავი! მეშინიან ავად არ გახდე!... არც არავინ არის, რომ მამეშველოს!... ტიტკო, რა დაგე-მართა?... ოჰ, ღმერთო, გული მისდის!.. — მართლაც, ტიტკო გაყვიო-ღდა, ვითარცა წმინდა სანთელი, ცივმა ოფლმა დაასხა მას ტანზედ, თვალნი მიხუჭა და თავი დაჰკიდა ანუკას მხარზედ, რომელმაც გულზედ წიყუდა და ყოვლის საშუალებით ცდილობდა მოებრუნებინა.

ტიტიკოც ჩქარა მოვიდა გონზედ და ღრმის აღმოხვრით განახილა თვალნი. მან მოიგონა ყოველი, რაც შეემთხვა და სთქვა მწუხარებით:

— მე მეგონა, რომ ვკვდებოდი!.. ოჰ, რატომ არ მოკვდი?

— რათა, შვილო? — უთხრა ანუჟამ, — რას ნიშნავს შენი ესრეთი უეცარი ავადმყოფობა? მითხარ, ტიტიკო, გამიხსენ შენი გული, ვითარცა დედაშენსა. წლოვანებით თითქმის შეგეფერები კიდეც დედად და სიყვარულით-ხომ უფრო... მე კარგა ხანია გამცნევ, რომ სახის ფერი სრულიად დაგეკარგა, თანდათან ხდები; ნადირობაზედაც ხელი აიღე. შენი ხელები პირთის ხოლმე, როდესაც მშველი ცხენზედ შეჯდომასა. ხომ არავინ შეგყვარებია, შვილო? ტყუილად ნუ მიმაღავ. მე მესმის და ვიცი ტანჯვა სიყვარულისაგან... ესრეთ კეთილშობილი ხარ გულითა და ხასიათითა, რომ, რასაკვირველია, არ ამოირჩევ შენს უღირსსა. რაც ჩემგან შესაძლებელია, მეც ვეცდები დაგეხმარო შენის ბედნიერების შესადგენლად.

— რას ბრძანებ, ქალბატონო! — მოახსენა ტიტიკომ მორცხობით, — განა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილებს მაგისთანა ფიქრი მოუვათ?.. ან რა არის სიყვარული?.. ანობენ, ყმაწვილკაცები სიყვარულისაგან პირველად ხდებიან და ავადმყოფობენ და შემდეგ ისევ კეთდებიანო. მე, მადლობა ღმერთსა, დამშვიდებული და კმაყოფილი ვარ ყოვლითა. მხოლოდ, ქალბატონო, ნუ მომაკლებთ თქვენს სიყვარულსა და წყალობასა...

— ჰო, შვილო! — უთხრა აღმოხვრით ანუჟამ, — მე უფრო მეტად ვსაჭიროებ გულითადს სიყვარულში, ესე იგი ერთგულებაში, ვიდრე შენ შეგიძლიან წარმოიდგინო. მე უბედური დედაკაცი ვარ და ქვეყანაზედ არავის არ უყვარვარ, ყველასგან დატოვებული ვარ. რაც უნდა ნალველი მტანჯავდეს, არავინ არა მყავს ერთი ნუგეშის მცემელი, ერთი რჩევის მომცემი...

ამ დროს ტიტიკო მოეხვია ამ ქალის მუხლებსა და, რა აკოცა კაბის კალთასა, წარმოსთქვა აღტაცებით:

— ნეტავი ჩემი ლუქმა-ლუქმად აქუწვა საჭირო იყოს შენის მწუხარების განსაქარებლად! ოჰ, ქალბატონო, შენ შემომივლე თავსა, შენის ფეხის მტვრად მაქციე! ჩემთვის ქვეყანაზედ მხოლოდ ეგ იქნება ბედნიერებად, რომ მე შენ შემოგწირო ჩემი სიტოცხლე!..

ანუჟამს შეეშინდა ტიტიკოს აღგზნებულის თვალებისა, რომლითაც წარმოსთქო მან ეს სიტყვანი. ანუჟამა ნახა, რომ მეტად შორს შევიდა უნებურად ლაპარაკში ამ ყმაწვილთანა და, რა უნდოდა გამოეცვალა საგანი ლაპარაკისა, უთხრა:

— გესმის, ტიტიკო! მე არ მინდა, რომ ეგრეთი საუნჯე, როგორც შენი ხმა, უბრალოდ დაიკარგოს. ამას შემდეგ ნულარ იმღერი ისე, როგორც მოგხვდება. ჩემთან მოდი ხოლმე: მე გასწავლი პანგებს სად

უნდა ილილინო, სად უნდა აამაღლო და დაამდაბლო ხმა. ეხლა დაიწყე, აი, ეს მუხამბაზი. ყოველი სიტყვა ამ სიმღერისა სიამოვნებით ჰხვდება აღამიანის გულსა.

— ვისი შეთხზული გახლავს ეს ლექსი? — ჰკითხა ტიტკომ.

— უდაბნოელისა.

— ოჰ, თუ რომ მცოდნოდა, რომ იმისია, მე არასოდეს არ ვისწავლიდი მაგას ზეპირად; არამც თუ ვიმღერებდი.

— რატომ, ტიტკომ? იქნება შენ მწყურალათა ხარ იმასთან?

— არა, ქალბატონო, ჩვენ ერთმანეთისათვის ორი სიტყვაც ერთად არ გვითქვამს, მაგრამ, არ ვიცი რათა, როცა იმას დავინახავ ხოლმე, ასე მგონია, ეკლები თვალში მირჭვია... იუდას რომ გაუყიდნია ქრისტე, მუ უდაბნოელი ის იუდა მგონია.

— ნუ, შენ გაზრდას, ტიტკომ! როდი უნდა კაცი გძულდეს, მეტადრე უმიზეზოდ. ღმერთი ყველას განსჯის თავის საქმის კვალად. ეცადე, უყურო ყოველსა კაცს ტკბილის და კეთილის გულით და მაშინ სიცოცხლე არ გეჩვენება შენ ისე შავად და ბნელად, როგორც სხვებსა... დაიწყე ამ მუხამბაზის მღერა. არა მგონია, რომ ამისთანა სიტყვების დამწყობსა ცუდი გული ჰქონდეს.

ანუკამ მოისო ტიტკომ გვერდით და დააწყებინა მღერა და თერთონაც მიაყოლებდა ხოლმე ბანსა. ხანდახან ტიტკომ შუა ალაგს გასწყვეტდა სიტყვას, თითქოს დაავიწყდაო და დაშტერებით შესცქეროდა აღგზნებულის თვალებით მშვენიერს სახეს ქალისასა. ანუ ხანდახან მღერაში ასე ათამაშებდა თავსა, რომ ვითომ უეცრად, მიიტანდა ხოლმე ქალთან ახლოს, რა სურდა, რომ შეხებოდა მის სახეს ანუ ლეჩაქის წვერი, ანუ კაეები ანუკასი და მაშინ ტიტკომ გრძნობდა გამოუთქმელ ნეტარებასა: ტანში დაუვლიდა რაღაც ჟრუანტელი, ტუჩებს ჰკუმავდა, თვალში ცრემლი უბრწყინავდა. მათ ვერ გაიგეს, როგორ გაფრინდა დრო. ბოლოს ანუკამ უეცრად აწია თავი მაღლა და ნახა თავის წინ მდგომარე უდაბნოელი, რომელიც შეკმუხვნილის წარბებით და მრისხანე თვალებით ყურებდა მათ ერთად მსხდომთა და ტკბილად მღერალთა. მაგრამ ანუკამ, ვითომ ვერ შეამჩნია მისი მუქარება, ანუ ყური არ მიუგდო მას, უთხრა გულგრილად:

— მშვიდობა შენი ნახვა, უდაბნოელო! გიხაროდეს შენც ჩემსავით, მე ვჰპოვე ამ ყმაწვილში ახალი ღირსება: ეს მღერის საუცხოვოდ და მე მსურს, რომ სრულიად განვითარებული შეიქმნას სიმღერაში. ეს მოუპოვებს ამის მოხუცებულს დედ-მამას დიდს სიხარულსა.

— მე თქვენზედ ადრე შევამჩნიე, ბატონისშვილო, თუ რომ მაგას აქვს ნიჭი, უნდა მხოლოდ ბლიაძობის ნიჭი ჰქონდეს, — უთხრა უდაბნოელმა.

ტიტიკო მიხვდა იმის დაცინვასა. მას თვალებში სისხლი მოუვიდა და სახე აელანდა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

ბატონისშვილო! — განაგრძელა უდაბნოელმა. — მე მსურს თქვენთან მოლაპარაკება ერთს საგანზედ, რომელიც არ ითმენს უკუნდებასა. გთხოვ, მომისმინოთ... აზნაურშვილო, წაილე ეს ჩემი ხმალი ჩემს ოთახში და ნულარ მოხვალ, ვიდრე არ დაგიძახოთ.

— უკაცრაოდ, ბატონის მოურავო! — უთხრა ტიტიკომ ამაყად, — მე ვემსახურები აქ მხოლოდ ბატონისშვილს ანუქასა და არა უდაბნოელსა!

ახლა უდაბნოელი შეიცვალა სახეზედ. ტუჩებმა უწყყეს მას ცმაცუნი მწარის პასუხის სათქმელად, მაგრამ ანუკა დაეჩქარა მათ გასაშველებლად და უთხრა: „ტიტიკო, დაუჯერე უდაბნოელსა“.

ტიტიკომ თავი დაუქრა ნიშნათ მორჩილებისა, ჩამოართო უდაბნოელს ხმალი და ლაზ-ლაზნით მიდიოდა შინისკენ.

— აზნაურშვილო! — შეჰყვირა უდაბნოელმა, — ორის ხელით დაიჭირე ეგ ხმალი, არ გააგდო და არ გამიტეხო, შენ თავზედ მეტათა ღირს.

ტიტიკომ მსწრაფლად ამოაძრო ქარქაშითგან ხმალი და, რა მსუბუქად ჰაერში გაიქნია-გამოიქნია, უპასუხა:

— დამშვიდებული ბრძანდებოდე! იმდენი ღონე იპოვება ჩემში, რომ შემიძლიან მოვიგერო ყველანი, ვინც უნდა იყოს... გესმის, ვინც უნდა იყოს... — დანაშთენი სიტყვები ტიტიკოსი უდაბნოელმა ველარ გაიგონა, რადგანაც ის კარგა მანძილს გასცილდა.

— შენი მსლებელნი მეტად კადნიერდებიან, ბატონისშვილო, შენის სისუსტით მოპყრობითა, — უთხრა წყენის ხმით უდაბნოელმა.

— მე აქ უმადურს უფრო ვხედავ, ვიდრე კადნიერებსა, — უპასუხა ცივად ქალმა.

— უდაბნოელი მიუჯდა მას ახლოს და იგინი დიდხანს ლაპარაკობდნენ ერთად. მათი სიტყვები თუმცა თავაზიანი იყვნენ, მაგრამ როგორღაც მახვილნი. მათ სახეზედ და მოძრაობაზედ ეტყობოდათ, რომ საგანი ლაპარაკისა იყო არა სიყვარული, არა აღრინდელი ნარნარება, არამედ ორივეს მხრით რაღაც შიში, ყვედრება, მუქარება. განგებულეზას გარდუწყვეტია თავის საუკუნე კანონებში, რომელ იგი, რაიც შემდგარ არის ცოდვისაგან, არ დასტკბების დიდხანს მოსვენებით.

განეგლო უკვე სამს წელსა, რაც უდაბნოელს და ანუქას შეეფიცნათ ერთმანეთისათვის საუკუნოდ სიყვარულში, რომელიც უკეთესი იქმნებოდა, რომ არც ერთს არ ჩანერგოდათ. ხოლო სამი წელი სამი-ჯნურო საქმეში — სამი საუკუნე არის.

მათთვის ეხლა ის დრო მოსულიყო, როდესაც პირველად ვარდის ფურცლისაგან დაწნილი ძეწკვი რკინის ბორკილად გარდიქცევა ხოლ-

მე, რომლის სიმძიმესაც ვერც ერთი მხარე ველარ იტანს და ცდუნობენ მოიხსნან როგორმე. როდესაც სიყვარულის მაგიერად საგანი მათის ლაპარაკისა შეიქმნება ხოლმე ერთმანეთის ყვედრება, ანჩხლობა, შემოწყდომა, შხამიანობა... ანუკა ეხლა ხედავდა, რა უგრძობ კაცს შესწირა მან პატიოსნება და ნამუსი თვისი; ვისთვის შეიქმნა დამპარლვეველი ერთგულებისა ქრმისა თვისისა და ყოველი მოგონება ამაზედ სტანჯავდა მას გამოუთქმელად.

ამ მძიმეს და სატანჯველსა ფიქრში იყო შესული ანუკა, როდესაც მას მოახსენეს, რომ რევაზ ჯორჯაძე გიახლათო. ეს იყო მალალი და გამხდარი კაცი, ოცდათორმეტის წლისა, მაგრამ ხშირს ავადმყოფობას აღრე გამოეწოდა მის თავზედ ჭალარა. რა შევიდა, რევაზმა მძიმედ დაუკრა ანუკას თავი.

— მშვიდობა შენი ნახვა, რევაზ! — გმადლობ, რომ ჩემი კარის გზა კიდევ გახსოვს. რისგან არის გაგიბედნია... დაბრძანდით.

— კარგად მოგეხსენება, ბატონისშვილო, რომ ტყვე გახლავარ ლოგინისა, ამ წყეულის ჩემის სენისაგან ვარ მოკლებული სიამოვნებას, ათასში ერთხელ მაინც გიახლოთ ხოლმე.

— ეგეც ჩემი ბედი, — უთხრა ქალმა ამოხვრით, — ვიზედაც კი გული მინდობილი მქონდა, ყველანი შემომეფანტნენ!.. მაინც რა გემიზებებათ?... აღარც დედათქვევნი მაგიარა ერთხელ.

— ოჰ, ბატონისშვილო ჩემი სნეულება გულშია. მარად ღმერთს ვევედრები, რომ მომანიჭოს საუკუნო მოსვენება. ვგონებ, თავის მოწყალეებაში ეხლა კი სმენულობს უფალი ჩემს ხვეწნასა. მაგრამ კმარა, ბატონისშვილო ჩემზედ ლაპარაკი. მე ამისთვის არა გხლებიჯა... გვედრები ანუკი, მოთინებით მომისმინოთ, ვითარც თქვენს ერთგულს ყმასა და ნათესავსა... ვიდრე ვიცოდი, რომ თქვენ უშიშროებაში ბრძანდებოდით, მე განშორებული გახლდი თქვენგან... მაგრამ ეხლაც მეშინიან, როგორ გაგიბედო იმ საგანზედ ლაპარაკი, რომლისათვისაც აქ გაიხელი... ანუკავ! თქვენ ჩემთვის არა უნდა დაგემალათ რა. თქვენ იცოდით, რომ თქვენი ერთგული ვყოფილვარ და ვარ. მაგრამ მე არ შევალ გამოძიებაში თქვენის გულის საიდუმლოსა, თუ რომ თქვენ არ მხდით მაგის ცოდნის ღირსად, მე მზათა ვარ დავძთე ჩემს უცნობლობაში. მაგრამ შეიტყეთ, რასაც ლაპარაკობენ შენზედ, იცოდე საშიშროება, რომელსაც ეძლევი და ერთად მოვიფიქროთ, როგორ აღვაცილოთ იგი.

— მე არ მესმის, რევაზ, რას მეუბნები ანუ რა საიდუმლოს გიმალავ, ვისგან მომელის შიში ანუ რა მიზეზით?..

რევაზმა აავლო თვალი ოთახს, მიახლოვდა ანუკას და ყურში უჩურჩულა: „ანბობენ, მიზეზი აკვანში გეწვესო“.

— ვაი, თვალეები დამიდგა! — დაიკვილა ანუკამ და წამოიჭრა

ფეხზედ, — ვინ გამცა, ვინ გახდა ჩემი მკვლელი? — და იგი კვალად მიეშო ტახტზედ ღონემიღებულნი.

— ნუ ეძლევით უბრალოდ სასოწარკვეთილებას — უთხრა რევანზმა, — ესლა უნდა დავაწყოთ, რა უნდა ვქმნათ.

ანუკამ შეკრიბა უკანასკნელი მხნეობა და რა მიიღო ამპარტავენე-ბითი სახე, სთქვა:

— მართალია, მე დანაშაული მაქვს ღმერთთან და ჩემს ქმართანა. იმათ გარდა ვის შეუძლიან მომთხოვოს ანგარიში ჩემს ქცევაში? ნუთუ ჩემი ძმა ალექსანდრე? მაშინ ის დასჯის ჩემში თავის საკუთარს ცოდოსა. ერთის წლის ჯვარდაწერილი ქმარი ამგლიჯა გულიდგანა და გაატანა თავის სასიკვდილო შვილს ურჯულს ქვეყანაში! რას ჰფიქრობდა, ნუთუ მე არ ვიყავ შედგენილი სისხლისა და ხორცისაგან?

— გამიგონეთ, ალექსანდრე მეფეს გაუგია, რომ რომელნიმე იმის ბოროტნი მტერთაგანნი ცდილობენ დაამდაბლონ პატიოსნება იმის სახლობისა და ამისათვის ჰყრიან შენზედ სხვადასხვა ავ ხმებსა. რასაკვირველია, თუმცა მართალიც იყოს, დამნაშავე ამაში არის თვითონ ალექსანდრე, მაგრამ ის მიუტყეებს თავის თავს იმას, რასაც სხვებში კი არ მოითმენს. ამასთანავე იმას განუზრახავს, რომ სხვების შესაში-ნებლად შენზედ მოილოს სასტიკი მაგალითი.

— გამიგონე, რევანზ! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამისთანა საქმეში ცარიელი სიტყვა მეტად მცირე არის დასაჯერებლად. იქმნება მართლად ცოტა ან ბევრი მელოდეს რამ საშიშროება, მაგრამ ჯერ ფიქრიდგან გარდაწყვეტამდინა და გარდაწყვეტიდგან აღსრულებამდინ კიდე შორს არის. ალექსანდრე ვერ გაჰბედავს დასაჯოს თავის მამის სისხლი და ხორცი.

— ეგ მართალი ბრძანება არის, მაგრამ პირველად იცოდეთ, ანუკი რომ მე აქ უსაბუთოდ არ ვიხსენებოდი და არ ვაგიბედავდი ამ საგანზედ ლაპარაკსა; მეორედ — მე განვიზრახე აღარ დამეზოგა ჩემი სიცოცხლე და თუ რომ გთხოვ, იყოთ ფრთხილად, გთხოვ არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის და მათთვის, რომელნიც გიღირან რათმედ.

— კარგი, კარგი, რევანზ, ნუ მტანჯავ; მითხარი რაც იცი.

— დღეს ალექსანდრე მეფემ დამიბარა, ვგონებ რაღაც წიგნების გადასაწერად. რა შეველ იმის ოთახში, ვნახე, ის ელაპარაკებოდა ვილასაც ქალაქიდგან მოსულს ჩაფარსა. ვიდრე მასთან ლაპარაკს დაასრულებდა, მე მიბრძანა მოვიცადო მეორეს ოთახში. ჩაფარი გავიდა და მეფე დიდხანს იყო დაფიქრებული და თითქოს მე კიდევ დავავიწყდი. შემდეგ იგი წამოდგა, დაიწყო ბოლთის კვრა და ხმამაღლივ ლაპარაკი, ასე რომ უნებურად მესმოდა იმის ნაწყვეტი სიტყვები: „ანუკამ შემირცხვინა ოჯახი და გააციანა ჩემზედ მტერიო, — ამბობდა იგი, — იმას არ ასვენებდს ჰარამი შამხალის სისხლი, რომლისაგანაც უნდა დაიცა-

ლოს და რამდენიც დროით, ის უკეთესი იქნებაო... მე არ გავისვრი იმის სისხლში ხელსა. ეს ეკუთვნის თავის ქმარსა. იმას უნდა ვაცნობო ყოველი და დავიბარო სპარსეთიდგან. მსაჯული თავისი ცოლის მოქმედებისა თვითონ უნდა იყოსო... მე მანამ არ მოვისვენებ, — ვიდრე ორივეს, ანუკასაცა და უდაბნოელსაცა არა ვნახავ შავ მიწის ქვეშაო“. ამ დროს მე მომივიდა ხველა და ამის ხმამ მოაგონა მეფეს ჩემი თავი. იგი შემობრძანდა და მიბრძანა: „ჩაფარმა უსიამოვნო ამბავი მომიტანა ტფილისიდგანო. იმის ფიქრმა და სხვა ჯავრმა დამავიწყა შენი აქ მყოფობაო. ჩემი შვილები — დავით და გიორგი წაკიდებულან, ნასვამნი ყოფილან და ხანჯლებით უწვევიათ ერთმანეთზედათ. გიორგის უყვედრებია დავითისთვის, რომ შენ შეთქმა გქონიაო ჩემს სასიკვდილოთაო, დაუჭერინებია დავითი და იმასთან რამდენიმე თავადისშვილი და დაუპატიმრია... ცოტა აღრეული ვარ და მე ესლა ველარას გეტყვი, რისთვისაც დავიბარეო, კვლავ იყოსო“. მე თავი დუქარ და მაშინვე თქვენიკენ გამოვსწიე. ახლა თუ საჭირო ვარ რაშიმე თქვენი, გთხოვთ მომიხმაროთ.

ანუკას სისხლი გაუშრა შიშისაგან, რა შეიტყო, რომ იმის ქმარს იბარებენ სპარსეთიდგან.

— გამხნევედი ანუკი, ღმერთი მოწყალეა, — უთხრა რევანმა.

— ახლა შენ იცი, — უთხრა ქალმა, — მე შიშმა წამართო სიმხნევეც და გონებაც. რასაც მიჩივებ, ყველაში დაგემორჩილები.

— მაშ დროს ნუღარ დაჰქარგავ, ბატონისშვილო. ესლავ მისწერე წიგნი შენს ძმისწულსა, მანუჩარ დადიანის ცოლს ნესტან-დარეჯან დედოფალსა. ღვთიური ხასიათის ქალია. ის არ მოინდომებს, რომ თავის მამის ოჯახში ამგვარი სისხლი დატრიალდეს და ამით უფრო სახლის უპატიურობა უმეტესად გამოცხადდეს. ის გაჰბედავს აქედგან ჩუმთა გაგაპაროს და თავისთან შეგინახოს... მე ვკისრულობ შენის წიგნის გაგზავნასა ერთგულის კაცის ხელით. რაკი დედოფლისაგან მიიღებ პასუხსა, შენ შეგიძლიან გაუჭირებლივ ჩახვიდე გორამდის ანუ სურამამდინ, ხოლო იქ თქვენ აღარასფრის შიში აღარ გექნებათ... ინებეთ, წიგნი დაწერეთ.

ანუკამ იწყო წერა, მაგრამ ჩვეულებრივმა მჭერმეტყველობამ უღალატა მას. იგი ვერა ჰპოვებდა სიტყვათა გამოსათქმელად თავის ჰახრისა. შლიდა დაწერილსა და რამდენჯერმე ახლად იწყებდა წერასა. გული მისი აღშფოთებული იყო საშინლად. დასასრულ, როგორც იყო გათავა და, რა მისცა რევანს, უთხრა:

— წაიკითხე, როგორც რიგია ისე დამიწერია თუ არა? მგონია არა არის რა ქალთათვის ისე ძნელი საწერი, რაც თავის ცოდვის აღწერა.

რევანმა გამოართო და წაიკითხა:

„ჩემის ფიქრიდან განუშორებელი, პატივცემული ჩემი ძმისწულ-
ლო ნესტან-ღარეჯან დედოფალი!

შენი უბედური მამის დაი გვედრება, დაიხსნა იგი სიკვდილისა-
გან. დამნაშავე ვარ თუ არა იმ საქმეში, რომელიც უნდა მოხანონ
ჩემის სისხლთ. ნება მომეცით გავჩუმდე ამაზედ. მაგრამ დამნაშავეც
რომ ვიყო, ნუთუ ჩემი ახალგაზრდობა. მოშორება ქმართან და სი-
სუსტე დედაკაცის გულისა არა კმარან მოსატყვევებლად ჩემის 'მეც-
დომილებისა? მე ნეშინის ჩემის ქმრისა, მაგრამ უმეტესად ჩემის ძმის
ალექსანდრესი. გვედრები, დედოფალი, გამომიხსენით უპატიურის
სიკვდილისაგან. რომელიც ახლო და აუცილებელი არის. მე მზათა
ვარ, საუკუნოდ შევაფარო ჩემი ცოდვილი თავი რომელსამე მონას-
ტერსა. რომელსაც თქვენ დამინიშნავთ და შეესწირო დანაშაუნი უბე-
დურნი დღენი ჩემი ღმერთსა, რათამცა მოვიწინაო ჩემი ცოდონი“.

— მე ვგონებ. მეტი აღარა უნდა რა, — უთხრა რევაზმა, — გა-
დასწერეთ და ძალოდ ეს მოუმატეთ. რომ პასუხი ჩემს სახელზედ
მოიწეროს დედოფალმა.

— უდაბნოელი? — სთქვა თავდახრილმა ანუკამ, რომლის ლოყე-
ბაც შეიწო წითლად სირცხვილით, — ნუთუ ის უნდა დავუტეო თავის
ზედის სინაბრად?

— უდაბნოელმა იცის, რომ ურჯულონი ემტერებიან საქართვე-
ლოს, — უპასუხა რევაზმა მტკიცედ, — იგი უნდა წავიდეს და ჭე-
არის მტერთან ბრძოლაში დასთხიოს სისხლი, რომ პატიოსნური სიკვ-
დილით მიიღოს ღვთისაგან მოტყეება... უმეტეს, უდაბნოელმა არ უნ-
და იცოდეს ჩვენი დაწყობილება. თავის თავის მოსარჩენლად იგი არ
დაგინდობს თქვენ დასალუბავად.

ანუკამ მიიმედ ამოიოხრა და დაუწყო წიგნს გადაწერა მთრთოლ-
ვარის ხელით. როდესაც მან გაათავა, რევაზმა საჩქაროდ დაწო შავი
ამ წიგნისა, დაბეჭდა ახალი წმიდა სამთლით და როდესაც ზევიდ-
გან აწერდა აღრესსა, ამ დროს კარებს უკან მოესმათ მათ ჭერ ყრუ
ლაპარაკი, შემდეგ ხმაურობა ჭიდაობისა და რახვანი ადამიანის და-
ცემისა. კარი მწრაფლად შემოჯახებით გაიღო და კარებზედ გამო-
ცხადდა უდაბნოელი, რომელიც გაანჩხლებული უკან ვილასაც უყი-
როდა: „შენ უთუოდ სიციოცხლე მოგქარბენია!“.

რევაზმა საჩქაროდ წიგნი უბეში ჩაიღო, მაგრამ უდაბნოელმა შე-
აპცნია ეს მოძრაობა. მან წარდგა ორი ნაბიჯი წინა და, რა გარდაავლო
მრისხანე თვალი ოთახსა, უთხრა ანუკას მწარეს ღიმილით:

— თუ რომ არ დაგიშლია, ბატონისშვილო, მცველების დაყენება
კარებზედა, მე გირჩევ, რომ აღმოარჩიოთ ხოლმე მიანიც კაცნი უმეტეს
ლონიერნი, თუმცა იმაზე კადნიერნი კი აღარ შეიძლება.

— მე მგონია, რომ ჩემს სახლში საკმაო უნდა ყოფილაყო ჩემე

ბრძანება, რომ ვერავის გაებედნა აქ შამოსვლა დაუკითხავად, — უთხრა ამპარტავენებით ანუკამ.

— თქვენ შეცდომით გგონებიათ, როგორც ხედავთ, ამიტომ რომ მე შემოველ როგორც იყო. — აქ ღიმილი შესწყდა ტუჩებზედ უდაბნოელსა და რა მისცა ნება თავის ცოფიანობასა, შეჰყვირა: — რა საიდუმლოება გაქვთ ერთმანეთთან? ვის უგებთ მახესა? დარწმუნებული ბრძანდებოდე, რევაზ ჯორჯაძე, რომ მე ისე არ ვაკებინებ ძაღლსა, რომელსაც მეც არ გამოვგლიჯო ერთი ბლუჯი ბალანი. რა წერილი დამალე უბეში? აქ მაჩვენე!

— უდაბნოელო, ეგ თქვენ არ შეგეხებათ, — უბასუხა რევაზმა დაწყნარების ხმით.

— მაგას მე გავარჩევ, როცა წიგნს წავიკითხავ.

— უჟაცრავად, უდაბნოელო, მე არა მაქვს ჩვეულება აღვასრულო იგი, რაც მე თვითონ არა მსურს.

— რევაზ! მე არ მიყვარს არც მოთმენა, არც წინააღმდეგობა, აქ მიბოძე წიგნი, თორემ...

— უდაბნოელო, თუ რომ ჩემი პატივისცემა კიდევ გიღირს რაჟმე, — უთხრა ანუკამ, — დაჩუმდი და აქედგან გადი პატარა ხანს. აქ ჩვენ საკუთარს საქმეზედ ვლაპარაკობთ და არავის საიდუმლოზედა.

— ბატონისშვილო ანუკი, დრო არის დაუტევოთ ხასიათი ბრძანებლობისა. მე ამ სახლის მოურავი ვარ თქვენის ქმრისაგან დაყენებული და ყოველივე უნდა ვიცოდე.

— ბატონო უდაბნოელო, გარწმუნებთ ღვთის სახელით, რომ ეს წერილი შენ არ შეგეხება და როგორც შენს სახელს ცაში ვერ იპოვნი. ისე ამ წიგნში, — უთხრა რევაზმა.

— ჯერ შენ ემზადები ცაში ასასვლელად. შენი სახელი ეძებე იქა და არა ჩემი. მამე ეგ წიგნი! თუ რომ თქვენ წმინდა საქმეს იჰერდეთ, ეგრე უარზედაც არ იქნები მაგ წიგნის წაკითხვინებაში.

— ეგ ახირებულია! მე შენს დაწერილს წიგნებს როდი ვჩხრეკავ, რომ მე ჩემი ნაწერი წაგაკითხო! ან რა მიზეზითა, ანუ რა ნებითა მოხოვ ამ წიგნსა?

— მე? იმის ნებითა, ვისაც ჩააბარა თავისი ოჯახი და ცოლ-შვილი ბატონის სიძემ ოთარ ჩოლაყაშვილმა.

— შენ კიდევ ჰბედავ მაგის მოგონებასა? ოო, უდაბნოელო, გიჯობს გაჩუმდე...

— მიფრთხილდი, რევაზ, ენაზე გაკებინებ მაგ სიტყვისათვის!.. აქ მიბოძე ეგ წიგნი.

— ვერასოდეს ვერ გიბოძებ!

— ძალით წაგართმევ! — და უდაბნოელმა მიიწია რევაზისაკენ.

— რას შვრები, შე უგუნურო! — უთხრა ქალმა, რა ჩაუდგა ნათ შუაში, — რა ეშნაკის ცხენზედ შემჯდარხარ!

— თქვენი საქმე არ არის, ბატონისშვილო! ეს არც თქვენ დაგაყრის კეთილსა... მიბოძე რევანზ წიგნი.

— გეუბნები, ვერ მოგცემი წიგნი ჩემს გულშია. შეგიძლიან შენის ხანჯლით ამომართო. მხედავ, მე დანაც არ მიჭირავს ხელში.

უდაბნოელმა წაივლო ხმალს ხელი და გაბრაზებულმა მიიწია რევანზისაკენ, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა უძრავად და უშიშრად ერთს ალაგს. ამ დროს კარები რახუნით გაიღო და, რა აღრეულის სახით შემოვარდა ტიტოკო, წარმოსთქო ხმამალლა:

— ბატონის სიძე ოთარ...

ამ სახელის ხსენებაზედ ყველას თითქოს ელვამ დაუარა ტანშიო. უდაბნოელმა გარდასდგა ორიოდ ნაბიჯი უკან და, რა საჩქაროდ ჩააგო ხმალი ქარქაშში, ცდილობდა მიეცა თავის სახისათვის დამშვიდებითი მდგომარეობა. ანუკა, თითქოს გულშელონებული მიმჯდარი ტანტზედ, წამოხტა მსწრაფლად ფეხზედ და უძრავად მიაქცია თვალნი კარებისაკენ. რევანზმაც იფიქრა, რომ ამ დროს იმისი იქ ყოფნა საკირო არ არის, რადგანაც არ ეკუთვნის იმ სახლობასა, ამჯობინა თავის მორიდება და ჩუმად, დაწყნარების ნაბიჯით გავიდა კარზედ; მაგრამ დიდად გაკვირდა იგი, რომ არა თუ მას კარებში არ შემოხვდა ანუკას ქმარი ოთარ ჩოლაყაშვილი, არამედ გალავანშიც ვერ ნახა არავითარი ნიშანი იმის მოსვლისა.

ანუკა და უდაბნოელი უყურებდნენ გაჩუმებულნი რამდენსამე ხანს კარებსა და ელოდნენ ოთარის შემოსვლასა. დასასრულ უდაბნოელმა ჰკითხა ტიტოკოს:

— რა იქნა ბატონი ოთარ?

ხოლო რა იანგარიშა ტიტოკომ, რომ რევანზი უკვე გასული იქნება გალავანსა, მიიღო დაციწვითი სახე და, რა მიუბრუნდა ანუკას, განაგრძელა გაწყვეტილი სიტყვა თვისი:

— ბატონის სიძე ოთარ ჩოლაყაშვილი გიგზავნით, ქალბატონო მოკითხვასა და ითვლევინება, რომ მას იმედი აქვს გნახოსთ მარიამობის თვის თხუთმეტამდინ. — ამასთან ტიტოკომ მდაბლად დაუქრა თავი და გაბრუნდა, რა მიაქცია გვერდზედ უდაბნოელს დაციწვითი კერცა. უდაბნოელი მიხვდა, რომ იგი გააბრძოვეს და, რა იწყო მან თითებზედ კბენა და კბილების კრაკუნის, წაიბუტბუტა ჩუმად: „გარდგინდი ამის სამაგიეროს, ავო ძაღლო!“

ამის შემდეგ ანუკა ერიდებოდა უდაბნოელთან შეყრასა, ანუ ცდილობდა, მართო მაინც არ დარჩენილიყო მასთან. ხოლო ტიტოკოს

მყოფობა კი შეიქმნა საჭიროდ ქალისათვის, რომელიც ხედავდა მასში ერთგულსა და სანდოს ყმაწვილსა კაცსა და ამისთვის მან მოუმატა მისდამი ჩვეულებრივი ალერსი: ხან ლოყებზედ უსვაჲდა მძევნიერს ხელსა, ხან მის კიკინებს ეთამაშებოდა ხოლმე და ანუკას არ აგონდებოდა, რომ ტიტკო იმ ჰასაკშია შესული, როდესაც სიყვარული ქარიშხალივით აოხრებს კაცის გულსა. ხოლო ვისაც გამოუცდია ძალა პირველის სიყვარულისა, იგი გაიგებს, რომ ეს ალერსი ქალისა ემსგავსებოდა ქარსა. რომელიც უძლიერესად უკიდებს ანთებულს ცეცხლსა.

ერთხელ მშვენიერს საღამოზედ, ანუკა ჩავიდა ბაღში სასაიერნოდ და, დაყურდნებული ტიტკოს მხარეზედ, შესცქეროდა დაფიქრებული ცასა, რომელიც დაფეროვნებულიყო ათასფრად ახლად ჩასულის მზის სხივისაგან. ხოლო ტიტკო კი შესცქეროდა ამ ქალს სახეში, სადაც ჰპოვებდა თავის სამოთხეს, თავის მზეს და ყოველს ცის მშვენიერებასა. თვალნი ყმაწვილის ვაჟისა ცოტ-ცოტად აივსნენ ცრემლითა, რომელთაც უტირლად იწყეს დინება ლოყებზედ. მაგრამ მეყვესეულად მას გაუშრა ცრემლი, თვალეზი გაუგანიერდა და გამოსცეს მათ რაღაც ცეცხლებრივი ბრწინვა. ციების თრთოლამ დაუარა მას ტანში და, რა ველარ შეიმავრა თავი, და თვითონ არ იცოდა რას შერებოდა, ტიტკომ მოხვია ხელეზი ანუკასა კისერზედ და უგუნურად უწყო მას კოცნა პირზედ, გულზედ, ხელეზზედ.

შემკრთალსა ერთს წამს ამ მოქმედებითა, ანუკას მოუვიდა კანკალი მრისხანებისაგან და, რა ძლიერად ჰკრა ხელი ტიტკოსა, მოიშორა თავიდგანა. ჯავრისაგან ქალმა ხმა ველარ ამოიღო, თუმც მრისხანება თვალეზში უდგა მას. იგი გამობრუნდა შინისაკენ, ტიტკოც თავდალუნვილი მოსდევდა, თითქოს არა დაუშავებია რაო.

— დამიძახეთ ინდოს აქა! — უბრძანა ანუკამ გოგოს, რა შევიდა შინ.

რამდენსამე წამს უკან ინდო შემოვიდა. ეს იყო ლეკი, ქრისტიანულად მონათლული, ყმაწვილობისას მოყოლილი ანუკას დედასთან. ერთგული და ჩუმი. ვაჟკაცურის შეხედულებით, იგი ძვირად გაიყინებდა ხოლმე და ვერავინ ვერ გაიგონებდა მისგან თვეში სამ სიტყუასა, გარდა იმისა, რომელიც საჭირო იყო სათქმელად.

— ჩემო ინდო, — უთხრა ქალმა, — ჩვენმა ტიტკომ მოისურვა შინ წასვლა, თავის მოხუცებულთ მშობლებთანა. მეც არ შემიძლიან დაუშალო წასვლა. საწყალი დედა, ვგონებ რამდენი ხანია ელის ამის ნახვასა. დაეხსენ, ნახოს თავისი შვილი გაზრდილი, ვითარც შეშვენის კეთილშობილთა. ეს ეყოლება ნუგეშად იმის მოხუცებულებასა. ინდო, გააცილე ტიტკო ქართლამდინ და ეტყვი ამის მშობელთა, რომ ტიტკო გვემსახურებოდა ერთგულად და პატიოსნურად. თუ რომ მოუნდებათ მათ ჩემი შეწვევა ამაზედ, მე ვთხოვ, გაბედვით მომმართონ მე.

დაარწმუნე საკუთრად ტიტყოს დედა, რომ მე კმაყოფილი ვიყავ ამის ქცევით, ზოგიერთის ყმაწვილურის ქცევის გარდა, რომელნიც მიეტყევაბა ამიტომ, რომ ყოფილა ყმაწვილური. აგრეთვე ურჩიე ჩემ მაგიერად, დაეშუროს, რომ შერთოს ტიტყოს ცოლი იმისთანა ქალი, რომელსაც შეეძლოს თავისი სილამაზით, კარგის ხასიათით და ყოფაქცევით გაუნელოს ტიტყოს მეტად აღზნუნული გული. მიე, წაიყვანოს თავის ყარაბაღული ლურჯი ცენი თავისის სამკაულით, აგრეთვე ბატონის საჭურავიდგან მიეცი თოფ-იარაღი, ხმალი, ხანჯალი, გაწყობილებით. მშვიდობით. ხვალ, ვიდრე მზე თავს აპოჰყოფს, უნდა გასულნი იყვნეთ გრემიდგან. თუ გზაზედ ავად გაიხდეს, ურემს შეუბმევინებ და სიბრთხილით წაიყვან. ვიდრე მშვიდობით არ ჩააბარო დედამისსა, მანამ არ დაბრუნდე... წაღი ტრტიკო, ღმერთმან ხელი მოგიმართოს. კარგი ამბავი შენსგამო ჩვენთვის ყოველთვის სასაამოვნო საჩუქარი იქნება... აჰა. ეს ბეჭედი, ჩემს მაგიერად დედაშენს მიეც (მან წაიძრო თითიდან ზურმუხტის ბეჭედი და მისცა). აჰა, ეს ოცდაათი ოქროც მამაშენს ნიართვი.

ტიტყო გაყვითლებული, თვალბდახრილი, მწუხარებისაგან შეწუხებული გამოჰყვა ოთახიდგან ინდოსა, ვითარც მსხვერპლი სასიყვდინოდ განმზადებული მისდევს თავის ჯალათსა.

ქალი კარგა ხანს უყურებდა ტიტყოს, რომელსაც ფეხები ებლანდებოდა სიარულში. შემდეგ ქალმა მიიფარა ხელი თვალბზედ და სთქვა: ოჰ, მე ბედკრული, რამდენის უბედურების მიწეზი ვარ!

უკვე დაღამდა. ანუკამ დაითხოვა მოახლეები. უბრძანა მათ, რომ თვითონ გაიხდის და ნულარავინ ნუ შეაწუხებს მას შემოსვლითა. მან უკვე ასწია საბანის წვერი დასაწოლად, მაგრამ შურასა ქვეშაგების სისუფთავემ შეაყენა იგი.

„ჩემო საქორწინო საწოლო. — ამბობდა ქალი, — შენ ეხლაც იმ სიწმინდავის სუნი გიდის, ვითარც ჩემის ქორწინების პირველს ღამესა. შენ თვალისათვის ისეთივე თეთრი ხარ, ვითარც ზეციდგან პირველი ჩამოვარდნილი თოვლი, მაგრამ ღვთის თვალქვეშ კი განა არის ვინმე იმისთანა ღარიბი, რომელსაც კი ამაზედ ქუქყიანი ქვეშაგები ჰქონდეს?.. მე კი აქ გამოვსცადე წაშნი ნეტარებისანი: აქ მომილოცეს მე პირველად ტკბილი სახელი ვაჟის დედობისა... ოჰ, ნეტავი მაშინ დამეძინა საუკუნოდ და გამომეღვიძა ცაში! მახსოვს მე ის წამიცა, როდესაც ჯვარდაწერილნი და დაბრუნებულნი ეკლესიიდგან შემოვედით მე და ოთარი ამ ოთახში. მან მითხრა მაშინ: — ჩემო ცოლო, ბატონისშვილო. მიანდერძებია შენთვის ეს სარეცელი და მასთან ჩემი პატროსნება და ოჯახის ნამუსი. მე ხშირად შემხვდება ცხოვრება შორს შენგან და არავინ არ გეყოლება კეთილის დარიგების მომცემი და შეცდომილებისაგან შემყენებელი. ისწავლე, შენ თვითონ უყურო შენს

თავსა; ეცადე, გაამაგრო გული და სული შენი. გახსოვდეს, რომ შენი ცოლებრიური ერთგულება, სასიამოვნო ღვთისა, იქნება ჩემთვის და ჩვენის მომავლის შეილებისათვის უძვირფასეს ყოვლისა, რაიც კი იპოვება ქვეყანაზედა. სიწმინდე ცოლისა არის გვირგვინი ღიღებისა მის ქმრისათვის; სიწმინდე ღედისა არის საუკეთესო მზითვეი მის ქალებისათვის. ღედის უნამუსოება სდებს საუკუნოდ ლაქასა იმის შეილის შეილებსაც. — ეხლა რომ ოთარმა მკითხოს მე: „გახსოვს შენი აღთქმანი?“ არ მისცემდაა ჩემს მაგიერ პასუხსა სიწითლე ჩემი სირცხვილისა?... ეს საქორწინო საწოლი, ეს წმინდანების სახელნი ზომ ერთის ხმით დაიძახებენ: „ჩვენ შეგინებულნი ვართ, შებილწებულნი ვართ!“ ოო, რატომ არ გაუღაყდი მე ღედას მუცელში! რად დავიბადე, რატომ არ მოვკვდი ჩემის უცოდველობის დროსა!.. იტირე, იტირე, ანუკი! ცრემლი არის პირველი ნიშანი შეწყნარებისა ღვთის რისხვისაგან“, — და ანუკამ ჩაყო ბალიშში თავი და ჩუმად ქვითინებდა. დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში ბატონისშვილი, მაგრამ უეცრად მას მოესმა, რომ მეორეს ოთახში ფანჯრიდან ვიღაც ჩამოხტა; მერმე მოესმა ფეხის ხმა. ქალი მსწრაფლად წამოხტა და წინაშე მისა იდგა ტიტკო. თუმცა გული ქალისა შეიწროვდა რაღაც საშიშო წინათგრძნობითა, მაგრამ მტკიცის ხმით ჰკითხა:

— აქ რაღათ მოსულხარ? რა გინდა ტიტკო?

— მე მოველი საკითხავად: სად არის ჩემი გული, რომელიც შენ შეამსხვრიე; სად არის ჩემი სიცოცხლე, რომელსაც მოუღე ბოლო; სად არის ჩემი სული, რომელიც წაწყმიდე; სად არის ჩემი მოსვენება, რომელიც აღაშფოთე?

— ტიტკო! შემიბრალე, ნუ მომიმატებ ტანჯვაზე ტანჯვასა უიმი-სოდაც აუტანელსა...

— შენ კი გებრალეობდი? შენ, ვითარცა დამკვნარი ვარდი, მომგლიჯე და დამაგდე. ვითარც უგრძნობელი ქვა. ჩემი გული დათრგუნე... შენის სიმკაცრით განადვიძე ჩემი ნაღველაც: მე მოვსულვარ...

— რისთვის, უგუნურო? აკი გაგისტუმრე შინა!

— მე, მოვსულვარ, მოგთხოვო სიყვარული, რომელსაც მპირდებოდი, რომლითაც მაქეზებდი...

— რას ამბობ, შვილო ტიტკო, როდის გპირდებოდი, ვინ გაქეზებდა?... შენ თვითონ არ გესმის რას ჰბოლავ.

— მაშ შენ არა მკოცნიდი ხოლმე თავზედ? ლოყებზედ ხელს არ მისომდი? ჩემს თმას არ ეთამაშებოდი? ნარნარად არ მელაპარაკებოდი? მე ყოველივე მახსოვს, რისგანაც აინთო ჩემს გულში ეს შემკმელი აღი... მართალია, შენ სიტყვით არა გითქომს რა, მაგრამ რას ნიშნავენ სიტყვანი? რისთვის არიან? ენას როგორ შეუძლიან გამოსთქვას ის, რასაც მე ვხედავდი შენს თვალებში, შენს სახეში, შენს ალერსში?..

ნუთუ ვეგონა. რომ ჩემი საცოდავი გული აიტანდა ამაებს უგრძობ-
ლად? შემობრალე, მომეცი მცირედი ნაწილი შენის სიყვარულისა, ბა-
ტონისშვილო!..

— ჰკუაზუნე მოდი, ტიტუკო, მე დედად გეფერები...

— მე რას დავსდევ მაგას. შენ მშვენიერება ხარ, შენ ჩემი სალო-
ცავი ხარ. განა ვკითხულობ როდის დაბადებულხარ? რა არის დრო?
ჩვენი მთელი სიცოცხლე ერთი წამია. ერთის წვეთის სიყვარულით
დამატებე...

— ტიტუკო, ხომ იცი, რომ სხვისი ცოლი ვარ...

— სხვისთვის რატომ არ გაბრკოლებდა ეგ წოდება? სხვას, შენს
უღირს კაცს, რათ ავსებდი ეგრე უხვად ჯილდოთი, რომლისაც ერთი
ნამცეცი ჩემთვის არ გემეტება?..

— შემარცხვინე, ტიტუკო, ყელი გამომჭერ. მე არ შემიძლიან ვიწ-
ყინო შენის სიტყვებით, მაგრამ იფიქრე ჩემის სულისათვის მაინც...

— მე რომ ჩემი თავი მოვიკლა, მაშინ შენი სული დაიხსნება?

— კარგი, ტიტუკო! შემომხედე: მე ვიმდაბლებ თავსა, ვივიწყებ
ბატონისშვილობასა. მუხლდაჩოქით გვეედრები მე ცოდვილი, გადი,
მომეც მოსვენება მონანებისა...

— ჯერ შემიყვარე და მერე მოინანიებ.

— არ შემიძლიან, შვილო!

— მაშ ნუ მიშლი მე მიყვარდე.

— მეტად კადნიერდები შენა... ეხლავ გადი, თორემ ბიჭებს დაუ-
ძახებ.

— ნუ დაუძახებ, თორემ მე გადმიწყვეტია ჩემი თავიც მოვკლა და...

— ოჰ, წმიდაო ქალწულო!.. ტიტუკო, დედაშენი მაინც გებრალე-
ბოდეს... დაეშურე იმის ნახვასა. იმ საცოდავს შენის გზისაკენ ეჭირება
თვალი...

— შენ დედაც დამავიწყე და მამაცა!.. შენ კი გებრალეობდა ისინი?
შენ უბრუნებ იმათ საყვარელის შვილის მაგიერად ცხედარსა. შემობ-
რალე, ანუკი, შენ ხარ მთელი ჩემი სიცოცხლე... დამინიშნე რამ ძნე-
ლი აღსრულება და ჯილდოდ მომეც შენი სიყვარული... მითხარი, რა
გნებავს მოვიმოქმედო? გინდა მკვლეული შევიქმნა ვისიმე? მზათა ვარ.
გინდა ამ ფანჯრიდგან გადავარდე, საიდგანაც ძლივს ამოველი? მაგა-
საც აღვასრულებ, მხოლოდ, მითხარ, რომ გიყვარვარ. ერთის ყლუმპის
სიყვარულით განაგრილე ჩემი მწყურვალე ტუჩები, მხოლოდ ერთის
ყლუმპით...

— ოჰ, ღმერთო, მკაცრად მტანჯავ და მახდევინებ ჩემს ცოდოსა...
გული მეგლიჯება...

— გამიგონე, ბატონისშვილო! როდესაც მე შევაძხხიე შენი სიყვა-
რული უდაბნოელთან. მე უკვე მიყვარდი შენა, გაგიყვებით მიყვარდი,

მაგრამ კული ჩავიჩუმე. ეს კიდევ არაფერი: რომ არ შემეწუხებინე, ჩე შენ არ გეუბნებოდრი, რომ შენი აღმორჩეული მიჯნური უხვად ურგებლა სიყვარულსა თვისსა თქვენ გოგოებსაცა განურჩევლად. ჩემგან ხარ დავალებული იმით, რომელ აქამომდე თქვენი სიყვარულის ამბავს არ მიუხწყევია არც თქვენ ქმარამდინ და არც ალექსანდრე მეფედინა. მე გიფრთხილდებოდით დღითაც და ღამითაც. როდესაც უდაბნოელი მოდიოდა ხოლმე ღამე თქვენს საიდუმლოდ სანახავად, მე მას დავსდევდი უკან უჩინრად. მე შემეძლო, მომეკლა იგი და, ღმერთმა იცის, რა მოთმინებას ვაძლევდი ჩემს თავსა, რომ ეს არ აღვასრულე. მაგრამ არ მოვჰკალ შენი საყვარელი, რომ შენ არ გემწუხარნა. თქვენს დასაცველად მე დავაგდე ხმა, რომ ამ მხარეს ეშმაკები დადიან გათენებადმდინ. მე ყარაულად გიდექი ხოლმე კარებთან. არც სიცივისა მერიდებოდა და არც უძილობისა ამიტომ, რომ მეშინოდა არავის არ ენახეთ უდროვოდ, რადგანაც თქვენ თვითონ უზრუნველობით გავიწყდებოდათ ყოველი შიში. შეგიძლიან წარმოიდგინო, რა სატანჯველსა ვგრძნობდი ხოლმე, როდესაც მესმოდა ხმა თქვენი კოცნისა, დაპირება მეორეს ღამის მოსვლისა! მე ყოველს ამას ვითმენდი 'შენის სიყვარულის გულისათვის. მე კიდევ დავიტანჯებოდრი ჩუმად, რომ შენ კიდევ გყვარებოდა უდაბნოელი, მაგრამ ახლა შენ თვითონ იცანი იგი, დაწვრილებით გაიგე იმისი ხასიათი. ის შეიქმნა შენი მტერი. შენ ყველაზედ უმეტესად იმისი უფრო უნდა გეშინოდეს და კიდევ გეშინიან. ეხლა შემიძლიან მოგთხოვო, 'შემიყვარო მე, შენი ერთგული შენი საუკუნოდ მონა...

— დამშვიდდი, შვილო ტიტკო! მე მესმის შენი ტანჯვა ჩემს შესარცხვენად. შენ იჯდები ჩემს გულში იმ დრომდინ. ვიდრე ჩემი ძვლები განშორდებიან ერთმანეთს საფლავში... მაგრამ, შვილო, ამოიფხვენ ჩემი სიყვარული. მე არა ვარ შენის წმიდა გულის ღირსი. დრო ჩქარა მოგიჩენს მაგ წყლულსა. ნუთუ ჩემისთანა უბედურს დედაკაცს კიდევ მიმატება უნდა უბედურებისა? დამიმტკიცე, ტიტკო, შენი სიყვარული შენის სიმტკიცით, მოთმენით...

— ეხლა გეშინის ჩემი და სიტყვები მოალბილე? ეხლა არ იყო, ინდოს რა მწარე სიტყვებით მატანდი? შენ მაგდებდი შენის სახლიდგან, შენის გულიდგან და, თუ არ გშინებიყო სულისა, ამ სიცოცხლიდგანაც გამაგდებდი. დასაცინავად მომიყარე ერთი მუჟა ოქრო მოსარჩენად ჩემის გულის წყლულისა!.. ოჰ, ამოლავდი, ამოიფხვენ ჩემო სიყვარულო ამისთანა შეუბრალებელს, ცივს, უგრძნობს დედაკაცთან!.. არ ვიცი. რა მაბრკოლებს მე, რატომ არ მოვახსენებ მეფეს შენს ქცევას. რატომ არ ღავსტკები სახილველით შენის უპატიურობითის სიკვდილისა!

— წადი, დამაბეზლე!

— არა, მე თვითონ მოგვლავ შენა...

-- მომკალ. ჩქარა!

-- დაგაბეზლო, მოგვლა!.. რას ვროტავ მე უგუნური? ბატონის შეი-
ლო, შენის სიყვარულის მეტი არა მინდა რა...

— დაიკარგე!

— შენ ჩემი უნდა გახდე! შემდეგ თუგინდ ჯოჯოხეთმა, თუგინდ
ეშმაკმა ჩამოტან!.. მე ვგაყდები, ტვინი მეწვის, აღარ შემიძლიან
მოთმენა...

და ტიტოვ მივიარდა ანუკას. ქალმა ხელი ჰკრა მას. საშინელი
თრთოლა და სისუსტე მოუვიდა, თითქოს უკანასკნელი ღონე გამო-
ვლია და, რა არავისაგან არ ელოდა შველასა, ქალი რაცხავდა თავის
თავს უკვე შერცხვენილად... მაგრამ ამ დროს იმის მხრების ზემოდ-
გან გაიღვავა გრძელმა ხანჯალმა და ელვასავით დაერქო ტიტოვს
გულში. დაჭრილმა გადასდგა ერთი ფეხი უკან, გაიქნია ხელები, ცდი-
ლობდა სიტყვის ამოღებასა, მაგრამ მხოლოდ გაუგებარი ჩურჩული
მოისმოდა. ცხელის სისხლის ლულამ წამოხეთქა და გააქრო სანთელი.
სიბნელეში მოისმა ხმა ადამიანის დაცემისა და შანდლის რახარუხი.

ანუკამ შესწივლა საშინელის ხმითა და დაეცა იგიც უგრძობლად
იატაკზედ. დიდხანს იყო იგი აქ მდგომარეობაში. დასასრულ, სა-
შუალ რაღაც ბურანისა, მას მოეზამნა ტიტოვ სისხლით მოსვრილი,
რომელიც მუკით იღებდა გულიდგან შედედებულს სისხლსა და ამ
ქალს პირზედ ასხამდა. შემდეგ ვითომ მოესმა მოხუცებულის დედა-
კაცის ტირილი და ხმა, რომელიც სწყევლიდა ანუკას და სთხოვდა თავის
შვილს ტიტოვსა. აქ ანუკას გაპოედვიძა. შიშით გარდაავლო მან
თვალნი ოთახსა.

„რას ნიშნავს ეს?“ იგი იჭდა თავის ქვეშაგებში, სანთელი სუს-
ტად ბუუტავდა. არეულობა არაფერში არა სჩანდა და არსად სისხლით
არა იყო რა შესვრილი. ქალმა არ იცოდა რა ეფიქრებინა.

„ნუთუ ყოველი ესე სიზმარი იყო?“ — ჰფიქრობდა იგი და, თით-
ქოს კიდევ დარწმუნდა ბოლოს ამბზედ. ანუკამ გაალო აივნის კარი და
ის იყო ალიონი ამოდიოდა, სასახლის ეკლესიისაჲ ჩამოჰკრეს ცისკ-
რის ზარი. მწუხარება ჰგრძნობს საჭიროებასა ლოცვაში. მან საჩქა-
როთ გარდიცვა სამოსი და წავიდა ცისკარზედ. იგი დასდგა კარებთან
სვეტის ძირზედ და როდესაც მღვდელმა ჩამოილოცა, ანუკამ მოიდრი-
კა მუხლი, მაგრამ მიწა შეირყა ამის ფეხს ქვეშ და შიშისაგან რომ არ-
სად ჩავარდეს, ხელები გაშალა რისამე მოსაჭიდავად. მას შეხვდა ვი-
ლასიც მკლავი, რომელმაც შეიმაგრა წაქცევისაგან. ქალმა შეხვდა ვის
ეკუთვნოდა ეს ხელი და ნახა თავის სიახლოვეს დაჩოქილი უდაბ-
ნოელი.

— ოჰ, ჩენის ცოდვილის ფეხქვეშ ღმერთი მიწას არყევს, — უთხრა ქალმა.

— დამშვიდდით! — უპასუხა უდაბნოელმა, — წუხელის გათხარეს ეს საფლავი და სჩანს ჯერ ახალი მიწა არ დამჯდარა.

ანუკამ მიიღო ხელი თვალეზზედ და დაუწყაო ტუჩებს კენეტა, რომ უნებურად არ შეეკივლა. იგი გამოვარდა საჩქაროდ ეკლესიიდან, ვითარც გიჟი და მოვიდა შინ არეული, გაყვითლებული, გულმოწყვეტილი.

— ოჰ, საცოდავო ტიტო! — შეჰყვირა მან, — ნეტა რა პასუხი გავსცე შენს სიკვდილში დედაშენსა, ღმერთსა, ჩემს სინდისსა?... ოჰ, რა უბედურათა ვარ ქვეყანაზედ გაჩენილი!..

IV

ალექსანდრე მეფე იჯდა შექმუხნილი თავის სასახლეში. წინ ედო მას დიდი ფარჩის ბალიში და მახედაც ქალაღი. იმას უკვე დაეწერა ორი წიგნი და მესამეს ათავებდა. ერთი იყო შაჰ-აბაზთან, მეორე თავის შვილთან კონსტანტინესთან და მესამე თავის სიძესთან ოთარ ჩოლაყაშვილთან. რასა სწერდა მეფე შაჰ-აბაზს და კონსტანტინეს, ცნობას ამაზედ ჩვენამდინ არ მოუხწევია, ხოლო ოთართან კი ეს მიეწერა:

„პატივცემულო ჩემო სიძევ ოთარ ჩოლაყაშვილო! მიღების უმაღლამ წერილისა ადექ და გამოეშურე კახეთს. შაჰ-აბაზისა და კონსტანტინესათვის შენი დაჩქარების მიზეზი იქნება შენი ცოლის მძიმედ ავადმყოფობა, რომელთაც მეცა ვწერ ამაზედ, ხოლო ნამდვილი მიზეზი არ მინდა მივანდო ამ ქალაღსა და როდესაც ღმერთი მშვიდობით ჩამოგახწვევინებს აქამდინ, მაშინ მე თვითონ პირად გეტყვი. მხოლოდ ეს კი უნდა იცოდე, რომ, რა საქმისთვისაც გიწოდებ, შეგეხება საკუთრად შენა და შენს ოჯახს, თუმცა ჩემზედაც შორს არ არის. წამოსვლა შენი უნდა იყოს ჩუმად, ორიოდე-სამის კაცი; ხოლო აქ მოსვლა კი უფრო უჩუმესად, ასე რომ, მანამ მე არა გნახო, არავინ არ იცოდეს შენი ჩამოსვლა. პირდაპირ ჩემსას მოხვალ და ეცადე, რომ შენი მოსვლა დაჰფაროს ბნელმა ღამემ“.

ერთი თვის შემდეგ კახეთიდან ჩაფარის გაგზავნისა თეირანში, ალექსანდრე მეფეს მოახსენეს ერთს ღამეს, ვიღაც თეირანიდან მოსულს ვაჭარსა სურს მისი ნახვა. ალექსანდრე მიხვდა ვინ უნდა იყოს ის ვაჭარი და უბრძანა მიღება მისი. ეს ვაჭრულად ჩაცმული იყო ოთარ ჩოლაყაშვილი, მაღალი ვაჟკაცი, მზისგან შემწვარი, შავის წვერ-ულვაშით მობუშბლული.

მეფემ აკოცა მას შუბლზედ, იმანაც — კალთაზედ და მხარზედ. მეფემ ჰკითხა ამავეი თეირანისა, შაჰ-აბაზისა და თავის შვილის კონს-

ტანტინესი. ოთარმა მიაართო მათგან განოგზავნილი უხვი მოსართმევი, მაგრამ შვილის გამო კი არ მოუტანა სასიხარულო ამბავი: ცბიერი შაჰ-აბაზ ცდილობდა კონსტანტინეს გაათარებასა და იმასაც ჰქონდა მიღრეკილება იმათ სარწმუნოებისადმი.

— დალილი იქნები, ჩემო სიძევ, — უთხრა მეფემ, როდესაც მწუხარებით მოისმინა თავის შვილის ამბავი, — აჰლამ მოისვენე და ხეალ გაცნობებ რისთვისაც მოგიწოდე სპარსეთიდგან. ერთი ფიქრი ამ საგანზედ მიხურებს სახესა სირცხვილით.

— მომიტევეთ, მეფევ! ერთი თვე არის ჩემმა თვალმა და გულმა არ იციან მოსვენება, რაც თქვენგან წიგნი მივიღე. რალაც სასტიკი წინათგრძნობა მტანჯავს. სჯობს ყოველი უბედურება ჩემი ეხლავ ერთად გავიგო, ვიდრე ამაღამ თითო წვეთობითა ვყლაპო.

— მაშ, მოამზადე ყურები სამძიმოს გასაგონებლად. იცოდე, ჩემო სიძევ, რომ მე შენში და შენ ჩემში შერცხვენილნი ვართ, გავხდით მტრის დასაცინავნი და დასაძრახისნი. ოჯახი შეგვირცხვა და მიზეზი ამ შერცხვენისა არის ავი სისხლი შამხლის ქალისა, ჩემი დაი, შენი ცოლი...

— ანუკა?

— ჰო, იმისმა ქცევამ მოგვეჭრა თავები...

— ოჰ, მიბრძანეთ, ვინ არის ის უბედური?... გულ-ღვიძლს ამოვკლევ მკერდიდგან, ვინც უნდა იყოს! — შეჰყვირა ოთარმა.

— ისიც შენი ერთგული უდაბნოელი!

— ისა? ჩემი მოურავი?... რომელსაც მე მშვიერი მტეელი გაუძღე, რომელსაც მამობას უშვრებოდი, რომელსაც მივანდე ჩემი ოჯახი!.. ოო, ღმერთო!

— ოჰ, იმან დათრგუნა წიხლით კავშირი მეგობრობისა, იმან გიორგულა შენ, საყვარელს ბატონს, თავის კეთილისმყოფელს...

— ოჰ! ყურებო, ნუ დამეცემით, თავის სარქველო, ნუ ამვარდები, თვალებო, ნუ დამეხუჭებით!.. ოჰ, ოჰ, ეგ რა მიბრძანეთ ჩემო ხელმწიფევ!.. და აქამდინ ის კიდევ მზეს უყურებს, კადევა სტკება ღლის სინათლითა?..

— ეგ შენი საქმე იყო და იმისთვისაც მოგიწოდე სპარსეთიდგან, რომ ღირსეულად ყველას თავისი მიაგო.

— მეფევ, შენი ჰირიმე, დარწმუნებული ბრძანდებით რასაც მიბრძანებთ? თვით ბრძენს კაცს არ შეუძლიან ყოველი ნახოს თავის თვალთა და ხანდახან უნდა მიენდოს სხვასა...

— მე ყველას თვითონ ვხედავ... განა ამისთანა საქმეს დაურწმუნებლივ იტყვიან? დაბრძანდი, ჩემო სიძევ, მხნეობა იქონიე და გარდავსჭრათ, რა უნდა ვქნათ. აჰა, მე რა განმიზრახავს ამის გამო... და შეფე ხმამდაბლივ, რალასაც უჩურჩულებდა დაწყნარებით, დაყოვნე-

ბოლ. ოთარი მკვდარს ემგზავსებოდა და მხოლოდ მარჯვენა ხელი მისი იძროდა — ხან ხანჯლის ტარს უჭერდა, ხან მუშტსა, ხან თითებს იტკაცუნებდა. ბოლოს, თითქოს იგი გამოვიდაო ბურანიდგან, სთქვა ყოუის ხმით:

— თქვენ დანერგეთ ჩემს გულში ჯოჯოხეთი... რა უნდა უთხრა მე ჩემს შვილს ერასტის, ოდესმე რომ მკითხოს იმან: „სად არის დედა-ჩემი?“

— ერასტის არა ეცოდინება რა და თუ შეიტყობს, იტყვის: „ეგრე უნდა გექნათო“. მე იმას დედასთან აღარა ვგზავნი, ჩემთან იზრდება. ოთარმა ღრმად ამოიოხრა.

— რატომ ეგრე სუსტად ექცევი ამ საქმესა, ოთარ? — უთხრა მეფემ, — მე დავიყრუე გულში ხმა ჩემის სისხლისა და ჩემს დას ხელში გაძლევ, ხოლო შენ კი არ შეგიძლიან დაამარცხო შებრალება შენს დამნაშავეს ცოლისადმი?

— შენი ჭირიმე, მეფევ! იგი დედა არის ჩემის შვილის ერასტისა... მაინც მე ვერ გავებედავ, მე არ შემიძლიან დაერწმუნდე ერთის თქვენის დარწმუნებითა. მე უნდა ვნახო ჩემის თვალითა. ნება მომეცით მოვიწმარო ჭერ ღონისძიება, რასაც მე დავინახავ საჭიროდ.

— მოიქეცი, როგორც გსურს, — უთხრა მეფემ, — მაგრამ სიჩუმიტ, უხშიეროდ... დაიმარხე საიდუმლო ჩვენის ლაპარაკისა და როდესაც დარწმუნდეთ მწარეს სიმართლეში, მაშინ მოიგონე, რომ თავადის შვილი ხარ და ქუდი უნდა გეხუროს ნამუსიანი. ამაღამ ქვეით სახლში ჩადი, იქ შენთვის ყოველი გამზადებულია.

ოთარ წამოდგა შეიწროებულის გულითა და გამოვიდა სასახლიდან ბარბაცით, ვითარც დაჭრილი კაცი.

V

ნესტან-დარეჯან დედოფალმა, რა მიიღო ანუკას წერილი, მაშინვე მოსწერა პასუხი და სთხოვდა სურამამდინ როგორმე მოსულიყო და იქ ენოაშველებდა კაცებსა და გარდიყვანდა თავისთან სადადიანოში, სადაც შეეძლო მას ეცხოვრნა უშიშრად და თავისუფლად. მაგრამ ვიდრე ეს წერილი მოუვიდოდა, ანუკამ უკვე გულიდგან ამოიღო გაქცევა იმერეთში. იგი თითქოს ჰგრძნობდა თავის გარდასახედსა და არა ცდილობდა ბედთან ბრძოლასა.

სიყმაწვილეში ანუკასა ჰყვანდა დობილად თავის გამდლის დისწული, თავისავით ლამაზი და იმისივე ტოლი, სახელად მარიკო. თავის გათხოვების შემდეგ ანუკამ მარიკოც გაათხოვა ერთს მღვდლის შვილზედ სოსიკაზედ, რომელიც ექვსის თვის შემდეგ ჯვარის წერისა, იძულებულიყო გაჰყოლოდა თეირანში ოთარ ჩოლაყაშვილსა, რადგანაც იმისი ყმა იყო. ანუკა, როგორც ყმაწვილობაში, ეგრეთვე ქმრის დრო-

საცა, მიანდობდა ხოლმე მარიკოსა თავის საიდუმლოსა, რომლისაც დაეცა მან კარგად იცოდა. ხოლო როდესაც ანუკამ გარდიცვალა ფეხი სწორის გზიდგან ბრუნდეს გზაზედ და დაიკარა შესაკიცხავი საქმე უდაბნოელთანა, მაშინ, არა თუ მხოლოდ იმან მოაკლო მარიკოს ნდობა თავისი, არამედ მძიმეთაც ეჩვენებოდა იმისი თავისთან ყოფნა, აუშვია ხედავდა, რომ მარიკოს გაგიყვებით უყვარს იგი და მზად არის თავი შესწიროს იმის გულისათვის.

მარიკო იჭდა თავის სახლში ჩაფიქრებული და ვილაცამ უეცრად კარი დაურახუნა. მარიკო შეხტა, მაგრამ მაშინვე წამოღგა და გაალო კარები. იმის წინ აღგა ინდო, ანუკას მსახური.

— ნშვიდობა შენი ნახვა, ინდო. ეს საიდგან გარჯილხარ ჩემთან? — ჰკითხა მარიკომ.

— ქალბატონმა შემოგითვალა. ამაღამ შუალამისას ჩემთან მოდიო. საჭირო საქმე მაქვსო. მოხვალ. ჩემი ოთახის კარებს თითს დაკრავ და ნაშინვე გაგიღებ. ეცადე, არავინა გნახოსო. — ინდომ დაუქრა თავი და გამობრუნდა კარებისაკენ.

— ქა, მოიცადე ინდო!.. რას მიეჩქარებია... — მაგრამ ინდო უკვე შორს იყო.

რა მარტო დარჩა, მარიკო შევიდა ფიქრში: რისთვის მიბარებს ნეტა ქალბატონი? ისიც ჩუმად შუალამისას?.. სჩანს ნდობა სრულებით არ მოუკლია ჩემთვის, მე კიდევ შემძლიან გამოვადგე რაშიმე, ვასიამოვნო რითმე? — ამ ფიქრმა გაამხიარულა მარიკო. მან დაივარცხნა თმები, თავი გაისწორა, კაბა გამოიცვალა. მაგრამ მარიკოს ეგონა, რომ დრო არ იძროდა. შუალამე უნდა გაეგო მანლის ყოვლზედ. თითქოს ყველა მეზობლის მამლებს იმ ღამეს ხრინწი შეეკარათ და გაჩუმდნენ ანუ ტურამ დაახჩრო ყველა... მაგრამ აჰა, იმათმა მამლაყუჩამ ფრთა შენოჰკრა ფრთასა, მარიკო უკვე კარზედ გავარდა და კლიტეს ადებს კარებსა. თავის მხრით ანუკაც ელოდა მას ეგრეთვე მოუთმენლად. იმასაც ეგონა, რომ უთუოდ მარიკო ნშობიარეთ არის. რომ ესრეთ დაიგვიანაო. პირველ თითის შეხებითა მარიკოს წინ კარი გაიღო. ანუკა იჭდა კიბეზედ, გაყვითლებული ვით მომაყვდავი. მის მოშორებით სანთელი ბეუტავდა და ანათებდა მას უთანასწოროს მწუხარეს სინათლითა. რა მარიკო დაინახა. ბატონისშვილი წამოღგა და მოეხვია მას. იგინი შევიდნენ შინ.

მარიკო გაცვიფრდა, რა დაინახა მშვენიერად მორთული აკვანა, მაგრამ ამის მშვენიერებას უმეტესად ამაღლებდა შიგ მწოლიარე ყმაწვილი. მარიკო მივარდა მას და დედაკაცების ჩვეულებისამებრ დაუწყყო ამ ყმაწვილს ალერსი და კოცნა. ისიც წვრილ თათებს ათამაშებდა და უცინოდა. თითქოს ესმოდაო იმისი ალერსი.

ანუკა შეიწროებულის გულით, მღუმარე უყურებდა ამ სახილ-

ველსა და, რა ეშურებოდა, რომ ძვირფასი დრო არ დაეკარგა, სთქვა მან ძალდატანებით:

— ამ მშვენიერს თავს ჩქარა შეუმტვრევენ კედელზედ, ამ მშვენიერს გაფურჩქნულს ხელებს და გულს ჩქარა გარდააქცევენ საზარლად შეზელილ სისხლად და ხორცად...

— რას ბრძანებთ. ბატონისშვილო! რომელი ღვთის მტერია იქმნება მაგისი მქნელი? ან ვინ გაბედავს მაგასა ოთარ ჩოლაყაშვილის სახლში?

— თვით ჩოლაყაშვილი.

— არ მესმის, — სთქვა თრთოლით მარიკომა. — ბატონი ხომ ქრისტიანია...

— ეს ყმაწვილი მარტო მე მეკუთვნის და არა ჩემს ქმარსა... გესმის ეხლა, მარიკო?

— ოჰ, წმინდაო დედაო!.. რა უყოთ, ჩვენ ქრისტიანები რათა ვართ, თუ არ მიუტყვებთ! განა ქმარი რომ არის, შებრალება არ უნდა ჰქონდეს? ყმაწვილი ღვთისა არის!..

— ის მომკლავს მეცა და ამ ყმაწვილსაცა.

— თქვენ ძმა მეფესთან მიბრძანდით.

— ეგრეთვე ის მომკლავს მეცა და ამასაცა...

— რა იცით? ლეკნი ხომ არ არიან! განა ისინი მონათლულნი არ არიან ქრისტიანულად?

— ოჰ, მარიკო, შენ არ იცნობ კაცებსა: იმათ უყვარვართ ჩვენ, როდესაც მათ მოიზიდავს ჩვენდამი უინი. და თუ ჩვენ აღარ შევიყვარებთ მათ, ისინი გეჯიან, ვითარც დამნაშავესა. ცოლი რომ დნებოდეს ქმრის სიყვარულითა და იხრჩობოდეს წყურვილითა, ქმარი ერთს ნაბიჯს არ გადასდგამს წყლის მისაწოდებლად, და თუ გაიგო, რომ ცოლი აღარა ჰფიქრობს ქმარზედ, იგი მშვილდ-ჩაარივით გამოექანება სპარსეთიდგან ცოლ-შვილის ამოსახოცავად.

— მაშ რაღას უყურებთ, ბატონისშვილო, გაიქეციეთ სადმე ან მონასტერში შედით სადმე, იქ ღმერთი მოგიტყვებსთ...

— მე არ შემიძლიან გაქცევა. მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულსა. დაე, დამეცეს ღვთისაგან მოვლინებული რისხვა! რად მინდა სიცოცხლე, როდესაც სინიდისით უნდა ვიტანჯებოდე, როდესაც ნამუსი ჩემი გასვრილი იქმნება ყველას წინ? მე უნდა ყველას პირი ვარიდო, ვისაც შემოვხვდე. მეფის ქალისათვის სიკვდილი უმჯობესია, ვიდრე თავს ვინაზიდე ძირსა და სირცხვილით შუბლი მეწოდეს... მაგრამ ამ ყმაწვილს რაღა შეეცოდება აქეს? ეს უმანკოა და არ უნდა გაიტანჯოს ჩემის გულისათვის... უნდა მოვარჩინოთ.

— რასაკვირველია, უნდა მოვარჩინოთ! — სთქვა მარიკომა.

— ოჰ, მარიკო, შენ გამოჩნდი ჩემს მანუგეშებლად ამ მწუხარე-

ბაში. წაიყვანე ყმაწვილი... შენი იყოს. დაიფარე და გაუფრთხილდი ისე, როგორც შენი საკუთარი. — ამ სიტყვებთან ანუკამ ამოგლიჯა აკვანიდგან ყმაწვილი და კალთაში ჩაუგორა მარიკოსა. ყმაწვილი უცი-ნოდა და ხელებით მის თმის ნაწნავს ეთამაშებოდა.

მარიკო ჰკოცნიდა მას ცრემლიანის თვალებით და ეუბნებოდა:

— ნუ გეშინიან, ჩემო პატარა ანგელოზო, მე მოგარჩენ შენ. ვერა-ვინ შემოგეხება შენ, დიდხანს უნდა იცოცხლო დედისათვის. თუ რომ კაცები უღთონი და შეუბრალებელნი არიან, დედაკაცები კარგნი და კეთილნი არიან და ღმერთიც უშველის მათ.

— მარიკო, შენგან ველოდი მაგას. არავითარი საჩუქარი და მად-ლობა ჩემი ვერ გარდაგიხდიან ამ სიკეთეს, მხოლოდ ღმერთი იქნება იმისი გარდამხდელი. სინიდისისაგან ვიტანჯები, რა მაგონდება, რომ ვცდილობდი ოდესმე შენს მოშორებასა ჩემგან, როდესაც ცოდოსა-გან ვიყავ დაბრმავებული. ღმერთმაც გარდამახდევინა სამაგიერო... მომიტყევე...

— კარგი ქალბატონო, შენ გენაცვალე! — უთხრა მარიკომ, რა თვალებში ცრემლი მოუვიდა, — თქვენ შორიდგანაც მწყალობელი იყავით ჩემი... მიბრძანე, რა უნდა ვქნა მე. დავეშუროთ ღამის სიბნე-ლესა, ვერავინ გაიგებს, რომ მე აქა ვყოფილვარ.

— აჰა, ჩემო საყვარელო მარიკო! მე ყოველი მომიმზადებია. აიღე ეს პატარა ყუთი, ამაში ფული და ძვირფასი ქვებია. ეს საკმაო არის, თუ ცოცხალი იქნება, ყმაწვილის გასაზრდელად და შენ საცხოვრებ-ლად. თუ ღმერთი არ შეგვარჩენს, მაშინ სულ შენი იყოს. აი, კიდევ წერილი, რომელსაც გთხოვ შეინახო საიდუმლოდ. როდესაც სადადი-ანოში მიხვალ დედოფალთან, მხოლოდ იმას შიართვი.

— სადადიანოში! რას ბრძანებ, ბატონისშვილო? მე მეგონა, რომ...

— რა მეგონა?

— რომ მხოლოდ სახლს გამოვიცვლიდი, დავდებოდი საღმე მიყ-რუებულს ქუჩაში და ჩემს შვილობას დავარქმევდი...

— მაგითი ვერ გადაარჩენ ჩემს შვილს სიკვდილსა. მაგას დაუწყე-ბენ დენას, ვითარც გარეულ მხეცსა. შენც მხოლოდ საშიშროებაში ჩააგდებ შენს თავსა. ათასი ალაჯის სივრცე ძლივს დაჰფარავს მაგას მტრის თვალებისაგან.

— ქალბატონო, მე როგორ შემიძლიან იმერეთში წასვლა! თქვენ ხომ მოგეხსენებათ, ქმარი მყავს, რომელიც ეხლა აქ არ არის. უიმი-სო დაუკითხავად როგორ წავიდე? როცა მოვა, რას იტყვის?.. არ იფიქ-რებს, რომ გავპარულვარ ვისთანმე, ექვში არ შევა?.. ვერა, ქალბატო-ნოჯან...

— ნუ გეშინიან, მარიკო, რაკი სოსიკო გრემში ფეხს შემოსდგამს,

ვეფიცები მანის ჩემის სულსა. მაშინვე დაეიბარებ და ყველას ვეტყვი, იმასაც მაშინვე თან გამოგაღვენებ იმერეთში.

— რა ვქნა, ქალბატონო, აქ რომ ლუქმა-ლუქმა ამკუწონ იმას ვორჩევ იმერეთში წასვლას. ჩემი დედ-მამის სათლავი აქ არის, ყველა ჩემი ნაცნობი, ნათესაობა... სხვა ქვეყანაში კი, ყველანი სხვა თვალე-ბით დამიწყებენ ცქერასა. ასე შეგონება, ყველანი მე დამაყვედრებენ: ჩვენს წყალს რათა სომ, ჩვენს ჰაერს რათა ჰყლაპავ, ჩვენის მზით რათა თბებიო...

ანუკა ამის ლაპარაკში რამდენჯერმე შეიცვალა სახეზედ და ბო-ლოს ხელებზედ მივარდა მარიკოსა:

— მარიკო, ნუთუ ესრედ შეწუხებულს დედას კიდევ ნახავ სადმე? შენ ისევ ჩქარა დაბრუნდები შენს სამშობლოს ქვეყანაში, ამიტომ რომ ჩემი და ჩემის შვილის მდეგნელნი ჩქარა ჩამომყვებიან მე საფ-ლავში... საყვარელო ცოდვის შვილო ჩემო, უბედურს ვარსკვლავზედ დაბადებულო, შეეხვეწე მარიკოს, დაგიხსნას სიკვდილისაგან: ამის ხელშია შენი სიცოცხლე, მე არ შემიძლიან შენი გამოხსნა... მარიკო, მარიკო, გებრალეობდეს დედა, რომლის თვალწინაც ყელსა სჭრიან შვილსა!

რა ნახა, რომ მარიკო სდგას გაქვავებული, ანუკამ წაავლო ხელი ყმაწვილსა და სასოწარკვეთილებაში გავარდა ბანისაკენ.

— თუ შენი შეველა არ შემიძლიან, შვილო ჩემო, შენთან სიკვდილს კი შევძლებ. ღმერთმა გიშველოს, მარიკო, ნუ გკითხოს მან ჩვენი ცოდო.

მარიკო მივარდა ანუკას კალთაში და შეჰყვირა:

— ვუი, ჩემს სიცოცხლეს! რას შვრები, ქალბატონო!.. მივდივარ, წავალ, ეხლავე წავალ თუ გინდ ჯანდაბაში... — და ხელიდგან გამოგ-ლიჯა ყმაწვილი, რომელიც ხმაძალივ გაჰკიოდა.

— დრო მიდის, დავეჩქარნეთ, — სთქვა ანუკამ გულამოსკებით. მშვიდობით, შვილო! შენ არ უნდა გახსოვდეს შენი შთამომავლობა... მარიკო, გაძლევ სრულს დედობრიობის ნებას ამ ყმაწვილზედ. გაზარ-დე ღვთის შიშში და სიყვარულში. ასწავლე წიგნი და ლოცვები. ნუ გაუხსენებ ვისი შვილი არის და ნუ ეტყვი ჩემს სახელსა. ნუ მოახს-ნევიანებ კისრიდან იმ წმინდა ნაწილსა, რომელსაც ჩემის გულიდგან ვაძლევ... ეგ დაიფარავს ყოვლის განსაცდელისაგან! მშვიდობით, შვი-ლო, მომიტევე სიცოცხლე, რომელიც მოგანიტე. მომიტევე ცოდო. რომელშიაც გშობე! მშვიდობით! ჩვენ ამ ქვეყანაში ერთმანეთს ველა-რა ვნახავთ, მაგრამ იქნება ღმერთმა თავის მოწყალეობით იქ შეგვეყაროს ერთად. ყოველდღე და ღამ ცრემლით მაგის ვედრებაში ვიქმნები, სის-ხლით დავიბან ჩემს ცოდოსა... წაიყვანე, მარიკო. მე მეშინიან პირჯვარი გადავსწერო. ჩემმა კურთხევამ იქნება კარგი არა მოუპოვოს რა.

— აკურთხე, აკურთხე შენი შვილი. ღმერთი შეიწყნარებს შენს კურთხევასა და შეისმენს დამწვრის დედის ლოცვასა.

— უფალო, გასწმინდე ერთს წამს ჩემი ცოდვილი ხელი, რომ შემეძლოს ჭვარი გარდავსწერო ამ უმანკო კრავსა. — ანუკამ აღწია თვალნი ზეცისადმი მხურვალეს გულითადის ლოცვით. მან გადასწერა ჭვარი და სასოებოთ უთხრა—წადი, შვილო, ჩემო, შეერთდეს ლეთის კურთხევაც ჩემს ლოცვასთან შენზედ. ყოველი ჭირი და უბედურება შენი მიეცეს დედაშენს... წაიყვანე მარიკო... გათენებამდინ მოვა ვინმე ჩემგან, რომელსაც გაპყვები.

მარიკომ გაახვია საბანში ყმაწვილი და, რა მიიკრა გულზედ, გამოეშურა კარებისაკენ.

— მაიცა ერთი კიდევ ვაკოცო, მარიკო, — უთხრა ტირილით ანუკამ, — ერთი კიდევ... კიდევ... შვილო, მშვიდობით სამუდამოდ.

მარიკო გულამომჭდარი გამოვარდა საჩქაროდ სახლიდან.

VI

რა თთარ ჩოლაყაშვილი გამოვიდა მეფიდგან და დანიშნულს სახლში ჩავიდა, იგი მიეცა ღრმა ფიქრსა. იგი ხან შუბლზედ მიიქერდა ხელსა და ხან გულზედ, თითქოს ეშინოდა, რომ ან თავი არ გახეთქოდა, ან გული არ ამოვარდნოდა მკერდიდგან.

— სოსიკო, მარტირუზ! — დაუძახა დასასრულს ოთარმა მსახურებსა, რომლებიც თან მოპყვენენ თეირანიდგან, — თქვენ უნდა დამიმტკიცოთ ეხლა თქვენი ერთგულება და სიჩუმე. წადით სასახლეში, უთხარით ჩემს ცოლს ანუკას... არა! მოიცადეთ... საწერ-კალამი მომეცით...

ოთარმა დაიწყო წერა, მაგრამ ხელი უკანკალებდა და არ ემორჩილებოდა. რა ცოტად დაიმშვიდა ლელვა სისხლისა, მან როგორც იყო დაწერა ორიოდ სიტყვა და რა მისცა ბარათი მარტირუზას, უთხრა: — ეს მიართვი ქალბატონს და მოახსენე, რომ ვითომ თქვენ ორიოდ დღით დაწინაურდით ჩემზედ. მე ჯერ კახეთში არა ვარ, გესმით? მე ვითომ ჯერ ისევ გზაზედა ვარ. ეცადეთ, შეამჩნიოთ ყოველი, რასაც ლაპარაკობენ ანუ რასაც შვრებიან ჩემს სახლში. და თუ გეჩვენათ რამაღირსი ყურადღებისა, მაშინვე მომახსენებთ. მე აქედგან ჯერ არ გამოვალ. წადით, იყავით ერთგულნი თქვენის პატრონისა და ისიც არ დაგივიწყებსთ. — ოთარმა ხელით ანიშნა და ბიჭები გამოვიდნენ.

რა გამოსცილდნენ რამდენსამე ნაბიჯს, სოსიკომ უთხრა მარტირუზას:

— მარტირუზ, მე ეხლა აქედანვე შინ წავალ და შენ მარტო მიართვი ქალბატონს ეგ წერილი და საჩუქარიც მარტო შენი იყოს. მე მაგაში წილი არ მინდა.

— შინ თუ წახვალ, უთუოდ შენი ცოლი კარზედ იდგება ყარაულად შენს მოსაგებებლად. ამ დროს უეცრად რომ მიხვიდე და შენს მაგიერად ნახო ვინმე, შენც ხომ ბატონი ოთარივით გვულზედ გეცემა და ფიქრში შეხვალ.

— რას ტუტუცობ, მარტირუხ, ყველა დედაკაცი ხომ ერთნი არ არიან.

— მაშ რა არიან? თაფლი ტკბილი რად არის? იმიტომ, რომ ფუტკარებს უყვარსთ ერთის ყვავილიდგან მეორეზედ გადაჯდომა, განა? დედაკაციც იმათი მგზავსნი არიან, იმათ გული ყველასათვის ტკბილად აქვსთ, მაგრამ ისინი მარტო ქმრებს კი ჰკბენენ ფუტკარივით.

— შენ, რაც გინდა, სთქვი, მარტირუხ, მაგრამ, აი, მე ჩემს სახლს ვხედავ, სადაც დავბადებულვარ... სინათლე მოჩანს კარებიდგან. აბა, შეხედე, მარტირუხ, კარებზედ ხომ არავინა დგას? მე თვალეები ცრემლით ამევსო, ვეღარასა ვხედავ... ღმერთო! რაღაც ჩრდილი სჩანს, ვილაც დგას კარებზედ, არა, მარტირუხ?..

— ჰო, ვილაც დედაკაცია...

— ჩემი მარიკო იქნება! საწყალი, უთუოდ მელის, ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტარებია ესრედ უძილოდ ჩემს ლოდინში...

სოსიკომ ააჩქარა ფეხი სიხარულით და შესძახა მოუთმენლობით: მარიკო!

— სოსიკო! — მოისმა ქალის მხიარული ხმა და ერთს წამს გარდაეხვიენენ ერთმანეთს... სიღრმეს მათის სიყვარულისას ამტკიცებდნენ მათი ცრემლი და კოცნანი.

მარტირუხა შორიდგან უყურებდა ამათ სიხარულსა და ოხრავდა.

— მეც სასახლეში მყავს ჩემი ალვისსახარა, მეც იმას მოვეხვევი. ის ქალბატონის შინაურს ამბავსაც მეტყვის იმდენს, რომ მე ვერც კი დავისწავლი.

მარიკოს სიხარულისაგან თვალეები უელავდა და სახე გასწითლებოდა.

— მარიკოჯან, მარტო სიხარული და სიყვარული კაცს არ აძლობს. დალაღული ვარ, ძალიანაც მშინან. არა გაქვს რა ვახშმად?

— განა შენ და ბატონი ოთარი ერთად არ მოხველით? ჯერ სასახლეში არა ყოფილხართ?

— ერთად მოველით, მაგრამ ბატონს არ უნდა, რომ სხვამ იცოდეს იმისი მოსვლა. მაგრამ ამაზედ მერე ვილაპარაკოთ.

მარიკომ საჩქაროდ წაგლიჯა თავი ვარიასა და მოატაბაკა. ერბოკვერცხმა და ცივმა ღვინომ შეავსო ამათი სუფრა.

— ბატონი ოთარიც მობრძანდა? რა მიზეზი არის, რომ თვითონ ჯერ არა ცხადდება?—ჰკითხა მარიკომ თავის ქმარსა.

— მიზეზი ცხადია, — უთხრა ქმარმა ხმადაბლივ, — თეირანშიაც ლა-

პარაკობდნენ აქაურნი ბეზირგნები ანუკას ქცევაზე. მე ვგონია ოთარი იმიტომ მოვიდა, რომ სამუდამოდ მოაშლევინოს თავის ცოლს ეგ ამბავები.

— არა გრცხვენია, მაგას რომ ამბობ? განა ყველა ხმას კაცი უნდა ერწმუნოს? სჩანს ამას იქით ნამუსიანი სახელი პატიოსნის დედაკაცისა არის დამოკიდებული პირველს დამბეზღებელზედ. ეგები მტრობით, ჯავრით, შურით მოიგონეს? ან თვითონ ბატონი კი აქამდინ თეირანში მონასტერში ატარებდა დროსა? იმას კი არ შეუხედნია ბრუნდეს თვალით არავისათვის? მაშ, იმასაც უნდა გადაახდევინონ სამაგიერო!

— კაცი სხვა არის და ქალი სხვა,—უთხრა ქმარმა,—უნამუსო დედაკაცს შეჰყავს სახლში უკანონო შვილები, აძლევს მათ მამულიდგან წილსა, რომელზედაც ნება არა აქვსთ. ძმებში იბადება მძულვარება. მერმე ჩხუბი და ხანდახან სისხლიც მოხდება ხოლმე. აი, ქალის უნამუსობა რას მოასწავებს, მაგრამ კაცისა კი არაფერია.

— რაც სასარგებლო ყოფილა, ის თქვენ კაცებს კანონად დაგიდევიათ. კაცი და დედაკაცი ერთის სისხლისა და ხორცისა არ არიან? ორივე ავს ერთგვარად უნდა გადახდეს, ამიტომ რომ ორივეს მოვალეობა ღმერთთან ერთნაირია.

— შენ ძალიან გისწავლია ჰრელი ლაპარაკი! — უთხრა შექმუხნით ქმარმა,—საიდგანა ჰკრეფავ მაგ ურცხვს სიტყვებსა?

— ჩემის საკუთარის გონებიდგანა.

— თუ უფრო იქიდგანა, რომ გინდა შენი ქცევაც დაიფარო? გაჩუმდი, მე ეხლა ვხედავ, რომ შენ და ბატონის შვილს ანუკას მხიარულად გაგიტარებიათ აქ დრო. მაშ, მაგასა ნიშნავდა შენი კოცნა და სიხარულით მოგებება? ვაი, უბედურო, უბედურო ჩემო თავო!.. მარტირუზა მართლად მეუბნებოდა, რომ ქალებსაც ფუტკარივით სხვადასხვა ყვავილებზედ გადაჯდომა უყვართო, მე კი თავგატეხილი მოვეჩქარებოდი შინა. ეს რალა სიცოცხლეა! მაგრამ შენც არ გაგახარებს ჩემი სიკვდილი, მარიკო! შენ მე მომატყუე და შენც მოტყუებული იქნები. სიცოცხლე შენი მწარე იქნება და სიკვდილი — უარესი.

ამ დროს მოისმა პატარა ყმაწვილის ტირილი.

ამ ხმაზედ სოსიკოს ასე ეგონა, ცივი წყალი დაასხესო. იგი გავითლდა საზარლად, ტუჩები აუკანკალდა, თვალებმა უწყეს ბრიალი. ვითარც ცოფიანი მხეცი მივარდა იგი მარიკოსა. სტაცა მკლავში ხელი და შეათრია იმ ოთახში, საიდგანაც ყმაწვილის ტირილი მოისმოდა. რა მარიკო დაინახა, ყმაწვილი გაჩუმდა და იწყო ტიტინი: ტატა, ტატა!

— ოჰ, ოჰ! — შეჰყვირა საზარლის ხმით სოსიკომე. — შე უნამუსო, ეს რა დამახვედრე!.. და ასე ძლიერათა ჰკრა ხელი მარიკოსა, რომ იგი დაეჭახა აკვანსა. აკვანი რახარუხით წაიქცა და ყმაწვილმა შეჰკვილა. განცვიფრებულმა, შეშინებულმა მარიკომ ხმა ველარ ამოიღო თავის

გასამართლებლად დელეისაგან. იგი სწორედ ვერ მოეგო გონზედა, რომ ეთო რამ ქმრისათვის, რომელიც მალღის ხმით გაანჩხლებული ღრიალებდა. „შე ურცხვო, შე ჩემო ჯოჯოხეთო, უნდა მოგკლა! შენც მოვკლავ, მაგასაცა და ჩემს თავსაცა“ და საშინელმა ხანჯალმა გაიღწია იმის მორთოლვარეს ხელში.

— გამიგონე, სოსიკო!.. — ლულულულებდა მარიკო და ტირილისაგან ვერ გაეგრძელებინა ლაპარაკი.

— გაჩუმდი, შე უნამუსოვ!.. უნდა მოგკლა, ემ წამს!..

— დამაცა!..

— არ იქნება დაცდა. სთხოვე ღმერთსა გაპატიოს... გაათავე?

საცოდავმა მარიკომ, რომელსაც ცრემლი ახრჩობდა და შიში ენას უკრავდა, მიაშველა ხელი დარტყმის ასაცილებლად. სოსიკო გაგიყე-ბული ელოდა წამსა, რომ ცოლის სისხლში ამოებანა ხელები.

— დამაცადე!.. ერთი სიტყვა!..

— შე აღარ ვიცდი.. გაათავე ლოცვა? ჯოჯოხეთი იყოს შენი სამყოფელი აქაც და იქაცა.—სოსიკო მივარდა მარიკოსა, რომელსაც მაშინვე გული წაუვიდა. სოსიკო აღარ ფიქრობდა იმის შებრალებაზედ. მან მოგლიჯა ქალს გულის პირი და ასწია ხელი გულში ხანჯლის დასაცემად; მაგრამ ამ დროს უბიდგან მარიკოს გავარდა წიგნი რომელ-მაც შეაყენა სოსიკო. რა იფიქრა, რომ ეს იქნება მიწერილი საყვარელთან, სოსიკომ მსწრაფლად აიტაცა წიგნი რომ შეიტყოს სახელი თავის ცოლის საყვარლისა და მერე იმასთანაც გასწორებულყო. წიგნი მიიტანა სამ-თელთანა და წაიკითხა ზედ წარწერილი: „ნესტან-დარეჯან დედოფალსა, ნანუჩარ დადიანის მეუღლეს, მდაბლად მიერთოს“. სოსიკო არ ერწმუ-ნებოდა თავის თვალებსა, ხელმეორედ წაიკითხა ნაწერი, ხელში ატრი-ალეზდა ამ წიგნს,—ბოლოს გახსნა და წაიკითხა:

„სულითა და ხორციტ განათლებულო, ჩემის გონებიდგან განუ-შორებელო ჩემო ძმისწულო ნესტან-დარეჯან დედოფალო!

მიიღეთ თქვენი შემაწუხებელი, მაგრამ უკანასკნელი თხოვნა შენის უბედურის მამის დისა. ჩემმა ცოდომ დამაბა მე აქა იმ იმედითა, რომ იქნება ქვეყნიერების ტანჯვის გამოვლილი, ველირსო ღვთის შეწყალებასა. შე განვიზრახე მივენდო ბედსა, რომელიც არ მიბრალებს, მაგრამ არ მინდა ჩავიყოლიო ჩემს უბედურებაში უმანკო ყმაწვილი, რომელიც ღირსია ყველასაგან შებრალებისა. დაეხმარეთ ჩემს უბედურს შვილსა. აკვანი მისი გარეშემორტყმულია გველებითა. ამისი მკვლელი მიიღებს საჩუქარსა, ვითარც მკვლეელი საშინელის მხეცისა. მხოლოდ თქვენ დედოფლურს ძლიერებას შეუძლიან გადაარჩინოს ეს ბედკრული სიკვდილსა... დედაკაცი, რომელიც მოგართმევს ამ ყმაწვილსა, არის ჩემი გამღლის დისწული, ჩემი ერთგული და ჩემთვის თავგადადებული. იგი განშორდა მე უამსა ჩემის შეცდომისასა და ცოდვისაგან დაბრმავე-

ბისასა და დამიბრუნდა, როდესაც მოვთხოვე შეწევნა. ეს ქალი მოდის მარტო, მაგრამ ვეცდები, როცა ქმარი მოუვა, ისიც მოვწიო გზაზედ. გთხოვ, დედოფალო, მოწყალე ბრძანდებოდეთ ამაზედ. სიკეთე, რომელსაც დასთესავ ჩემს შვილზედ, მიეგებება შენს პატარა შვილს ლევანსაცა. მაგის სადღეგრძელოთა გთხოვ, დედოფალო, უპატრონო ჩემს შვილსაცა, რომელიც იქნება კავშირი ჩემი იმ ქვეყნიდგან ამ ქვეყნამდინ. როდესაც მიიღოთ ცნობა ჩემს სიკვდილზედ, ნუ დამივიწყებთ, მომიგონეთ თქვენს წმინდა ლოცვაში და პანაშვილიც გარდაახდევინეთ ჩემის ცოდვილის სულისათვის. ღმერთმა მოგცეს ამ ქვეყნად ბედნიერება, რომლისაც ღირსი ხართ თქვენის უმაღლესის სულოვნებით და კეთილის გულით. დავშთები შენის ბროლის ხელების მკოცნელი უღირსი, მაგრამ საფლავადმდე პატივისმცემელი ბატონის-შვილი მამიდა ანუკა ჩოლაყაევისა“.

სოსიკო მიხვდა თავის შეცდომილებასა ამ წიგნით. მან მაშინვე მიაგლო ტახტედ ხანჯალი და მივარდა მარიკოს მოსაბრუნებლად. ხან წყლით, ხან ძმრით უზელდა ყურებსა და ცხვირსა. დასასრულ ქალმა თვალები აახილა და დაინახა, რომ ქმარი მზრუნველობით უვლიდა მას. ქალი ცოტ-ცოტად მოვიდა გონსა და მოაგონდა ყოველი, რაც მოხდა. აკვანზედ დაგდებულმა გახსნილმა წიგნმა აცნობა ქალსა საიდგანა დაიბადა იმის ქმარში ეს მზრუნველობა.

— რა? გამოხველ იქვიდგან? — უთხრა წყრომით ქალმა.

— ოჰ, მარიკო, რა მხეტური ფიქრი მომივიდა! ნუთუ ეჭვი შემოვიტანე შენზედ? ღმერთო, კეჟა სადა მქონდა, რამ გამაგოჟა!..

— კარგი, დრო აღარ არის მაგისი. სადაც არის მოვლენ... მანამ მე ყმაწვილს ჩავაყო. შენ ჩაიკერე ახალუხში ეგ ოქროები და ძვირფასი ქვები, რომელიც ანუკამ მიბოძა ამ ყმაწვილის გასაზღვლად.

მართლაც, ამ დროს მოესმათ კარების დარაჯუნება. სოსიკომ გაიხედა და ნახა ორი კაცი ცხენებშეკაზმულნი, ანუკასგან გამოგზავნილნი. ცოლ-ქმარმა საჩქაროდ გამოჰკრეს ბოხჩაში რაც კი ებადებოდათ ღირსი წასადებად; მუხლი მოიდრიკეს ღვთისმშობლის ხატის წინ, რომელიც ესვენა კუთხეში, და მხურვალედ ვედრების შემდეგ, მარიკომ აიყვანა ყმაწვილი. სოსიკომაც აიღო ხურჩინი და სახლიდგან გამოვიდნენ. კარზედ კიდეც დაიწერეს პირჯვარი და შესხდნენ ცხენებზედ. ერთი კიდეც შეხედეს თავიანთ ქოხსა და ჩუმად ამოხვრა ჩაყლაპეს. „მშვიდობით, მშობლიურო ქოხო.—სთქვა სოსიკომ,— კიდეც როდისმე თავ შეგვაფარებინებ, თუ ბედისაგან არ გვიწერია სხვა ქვეყანაში სიკვდილი“.

რა სოსიკოს მოშორდა თავის ამხანაგი მარტირუზა, იგი გაეშურა ოთარ ჩოლაყაშვილის სასახლეში და დაარახუნა ალაყაფის კარები. რამდენჯერმე კიდეც განიმეორა კარების რაკარუკი, მაგრამ ხმა არავინ

გასცა. „სჩანს. ქმარი შინ არ ჰყავს და არც სიხარულით ელიან მას. — იფიქრა მარტირუზამ, — უეცრად მოსულნი ქმარნი უნდა ელოდნენ ამ გვარს მიღებასა, მაგრამ, რადგანაც მე ქმარი არა ვარ, არც ლოდინის მოთმენა მაქვს“ — მარტირუზამ აიღო ერთი ლოდი და ასენაირად იწყო კარის მტკრევა, რომ ერთს წამს სახლში ყველანი გამოაღვიძა და შიშით მოვარდნენ კარებთან 'შესატყობრად, რა მოხდაო.

როდესაც მარტირუზას შემოერთყნენ მსახურნი, ის მიუბრუნდა ინდოსა და უთხრა:

— მე გამოგზავნილი ვარ ოთარ ჩოლაყაშვილისაგან და მინდა წიგნი მივიართო ანუკა ბატონისშვილსა. ეს არის გზიდგან მოვდივარ.

ინდომ შეიყვანა მარტირუზა თავის ოთახში, დააბანინა პირი, გაუწმინდა მტვერდადებული ტანისამოსი და წარუდგინა ანუკასა.

ანუკას არ ეძინა. თუმცა დიდი ხანი იყო, იმისმა თვალებმა ძილი არ იცოდნენ, მაგრამ იმ ღამეს უფრო შვილის გასტუმრების ღელვისაგან მოუსვენებელ მდგომარეობაში იყო. მარტირუზამ დაიჩოქა ერთს მუხლზედ და წიგნი მიართო. ქალმა ჩამოართო, წაიკითხა და გულგრილად უბრძანა: ინდო. მგზავრს მიეცი საჩუქარი ხუთი ოქრო... არა, მეტი მიეცი, ათი ოქრო მიეცი, ამიტომ რომ მაგისგან მოტანილი ამბავი უფრო სასიამოვნოა; ბატონი ოთარ ჩქარა აპირებს მობრძანებასა. წადით... პური აჭამე, ინდო!

როდესაც ესენი გამოვიდნენ, ანუკა მიუბრუნდა რევაზ ჯორჯაძის დედას ელენეს, რომელიც ერთი თვე იმ ჟამად განუყრელად იყო ხოლმე მასთან სასაუბროდ და უთხრა;

— ელენე. ჩემი სიკვდილი მოახლოებულია. არ იქნება ურიგო, ვეზიარო.

— რას ბრძანებ, შენს მზესა, ბატონისშვილო. რა გიჭირსთ სასიკვდილოდ? ღვთის მოწყალებით 'მეუძლოდ არა ბრძანდები და სიხარულიც დღეს-ხვალ მოგელის. თქვენი მეუღლე გზაზედ არის, მაგრამ წმინდა საიდუმლო ყოველთვის მარგებელია სულისადა და ზორცისადა. ეს მარიაშობის მარხვაც დიდი მარხვის თანასწორია. მეც მინდოდა გავნდობოდი მამა' ზაქარიასა, მაგრამ იმ ჩემის ცოდვით საესეს თავ-პირი დასიებია. თურმე ფუტკარი უნელეზიათ და ამ დროს იმას გაუვლია ახლოს. დახვევიან ფუტკრები და სულ დაუსუსხავთ ასე, რომ თავ-პირ შახვეული შინ წევს თურმე, კარზედ აღარ გამოდისო.

— მაშ, ისე უნდა შეუთვალეთ, — უთხრა ანუკამ, — რომ აქ კი აღარ მოვიდეს, ეკლესიაშივე ზეგ დილით, ცისკრის წინად, გაგვანდოს, მანამდისინაც ხალხს ნუ შაუშვებს.

— ეგრე კარგი იქნება, — მოახსენა ელენემ, — ეგრე შეუთვლი ხვალა მამა ზაქარიასა.

არც ერთი მოგზაური, არც ერთი მლოცავი არ მისულა თავის ბინაზედ იმ კმაყოფილებით, რომლითაც მიუჯდა დასასრულ მარტირუზა გაშლილს სუფრასა. უხემა ვახშამმა ჩქარა გააძლო იგი, მაგრამ, რამდენსაც ბევრსა სომდა, იმდენი წყურვილი კი ემატებოდა, ვითარც ცეცხლს ემატება ხოლმე შეშის მიმატებით. მაგრამ მარტირუზა ღვინოში იყო მონათლული: ის გონებას არა ჰკარგავდა სმაში, არამედ უფრო ფრთხილი, ეშმაკი და ოხუნჯი შეიქნებოდა ხოლმე. ბებერი კაცია, სიმთვრალეში უფრო გონებიანათა სჯის და ლაპარაკობს, ვიდრე სიფხიზლეში. ამათგანი იყო მარტირუზაცა. რა მოსამსახურეთა ნახეს, რომ მარტირუზას ვახშამი დაუსრულებია, ივინი თითო-თითოდ შემოეცალნენ და წავიდნენ დასაძინებლად, მას შერჩა მხოლოდ ალვისსახარა და იმასაც ის უნდოდა.

— ოო, ჩემო ბედის ვარსკვლავო ალვისსახარ! — უთხრა მარტირუზამ, — რა იქნებოდა ცა უვარსკვლავებოდ, რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე უშენოდ! შორს, თეირანშიაც შენ იყავ ჩემ გვერდიდან განუშორებლივ. სიზმარშიაც და ცხადათაც შენ გელაპარაკებოდი, შენკენ მოფრინავდა ეს ბებერი, მაგრამ სიყვარულით სავსე გული...

— ნუ ყბედობ. ლოთო! — უთხრა ალვისსახარამ, — მგონია, რამდენისათვის გაგიმეორებია ეგ გაზეპირებული სიტყვები, რომელნიც ემგზავსებიან ძველს ტანისამოსსა: ერთი ძაფი რომ გამო-სძვრეს, თავისთავად იშლება.

— ალვისსახარ, შენი კოკობის სულის მზემა. მამიჩემის ალაბაგის საფლავის მზემა, ერთისთვინაც არ მიტკომს მე სიყვარული.

— ვიცი, ერთს არ ეტყოდი.

— არც ბევრსა, დედი ჩემის მათუას ცხონებამ. ვისაც შენი სახე თან გაჰყვებოდა, იმას გულში ადვილი კიდევ დარჩებოდა სხვისთვის?

— მაშ, ერთბელ რატომ წიგნი მაინც არ მომწერე? — უთხრა ალვისსახარამ, — შენ გეგონა. რომ შენის ნეტს თვალები არავისა აქვს? რამდენი მთხოულობდნენ, მაგრამ ზედაც არავის შევხედე. ერთი ყმაწვილი კაცი კი... საწყალი, მგონია აზნაურიშვილიც იყო, შავის უღვაშებით... მწუხარებისაგან ჩავარდა...

— სად? ღვინის ქვევრში?

— შენ, მგონია, არ გჯერა, რასაც გეუბნები, — უთხრა ქალმა წყენით.

— ნუ ჯავრობ, ჩემო ალვისსახარ, ახლო მოიწიე ჩემკენ: როდესაც მე შენ გეხვევი. ასე მგონია, მთელ ქვეყანას ვეხვევი. წარსულს თავი დავანებოთ. ვანა მწყურვალ კაცი, როდესაც წყაროს დაინახავს

და დაეწაფება ხოლმე, ჰკითხავს იმას, გუშინ ვინ დაგლიაო? სიყმაწვილედ მიდის. ალვისსახარ. უნდა სიბერეზედ ვიფიქროთ. მგონია ურიგო არ იქნება ბეზირგნობა დავიწყო. მე თეირნიდგან გამოვგზავნი კარგს ჰინდის ყალანქარებს, მარჯნის კრიალოსნებს, ფირუზის ბეკდებს და ნენ აქ გაჰყიდი...

— რასაკვირველია. ეგ კარგი იქმნება, მაგრამ მაგას ხომ ფული უნდა?

— დიად, ჩემო თვალის ჩინო, ყველას ფული უნდა. უფულოდ, ჩემო ალვისსახარ, შენი ბრილიანტის თვალეზიცი ზიზილაკად გამოჩნდება... სხვის თვალში... იმედი მაქვს, რომ შენი მზითევი...

— მე მზითევი არა მაქვს.

— ოო, მაშ მშვიდობით ჰინდის ყალანქარებო, ფირუზის ბეკდებო! — შეჰყვირა მარტირუზამ.

— განა ჩვენ უმზითოდ არ შეგვიძლიან ჯვარის წერა?

— რატომ არა, ჩემო სიბერის იმედო, მაგრამ შენ ხომ კარგად იცი, რომ მზითევი არის ქორწინების ტანსაცმელი. უმისოდ ქორწილი ტიტველი იქნება და შენ, რასაკვირველია, მიხვდები, რომ ტიტველა სიარული ურიგობა და მოუხდენელი არის.

— მე არა მკერა, რომ ამდენის ხნის თეირანში ნამყოფსა, შენ ფული არა გქონდეს, — უთხრა ალვისსახარამ. — რა გეჩნია?

— შენ ხომ მიცნობ, ჩემო ვარდის კონავ, რა ხალვათი გულის ბატრონი ვარ. მე გაჭირვების ტალკვესი ვიყავ ყველასათვის, ხელი და ჰიბე ღია მქონდა, ვისაც კი მოუნდებოდა რამა. რასაკვირველია, ხუმცა დაკარგულად არა ვრაცხავ ჩემს გაცემულებსა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევ ნაღდი სჯობია იმას.

— ცხონებით გამიძღები, რაც შენ ხელი და გული ღია გქონდეს! მაშ ჩემთვისა გაქვს თვალეზი დაბრმავებული და გული მოხურული? ერთხელ ერთი ბეკედი არ ვიცი შენგან... მაშ, ისევ მე უფრო გამფრთხილებელი ვყოფილვარ შენზედ. მე კიდევ მეპოეება ათ თუმანადინ.

— ათი თუმანი! ვითომ ზღვაში ერთი წვეთი მეტი ყოფილა. ეგ სულ ერთია, ვითომ სულ არ გქონია რა, ჩემო თვალის სინათლევ; მაგრამ, თუ შენ ერთ რაშიმე შემეწევი, ჩვენ კიდევ შეგვიძლიან ბედი დავიმეგობროთ. გამიგონე, ლამაზო, აქეთ მოიწიე, ყური არაინ მოგვივადოს... შენ უნდა იცოდე, რომ ჩვენი ბატონი ოთარი ძალიან ძალდი კაცია. იმასა სურს შეიტყოს, მართლა ცოლი ატყუებს იმას თუ არა. იმან გამოგზავნა მე აქა ამიტომ. რომ მე აქ უთვალთვალო ყოველს და რაც მოხდება, ანუ რასაც ვნახავ, იმას მოვანსენო ხოლმე, თუ რომ მე წარუდგენ ბატონს ოთარსა. საბუთს რასმეს იმაზედ, რაზედაც ის ეკვში არის, მაშინ მივიღებ იმისაგან ოცდაათ

თუმანს საჩუქრად, დანაშთენის წყალობის გარდა ახლა, ჩემო სიცოცხლე ალვისსახარ, შენზედ არის დამოკიდებული, მივიღოთ ის უფლი და, რაკი ამას მიუმატებთ შენს ოცდაათს თუმანსაცა...

— მე ოცდაათი თუმანი არ მითქვამს და არცა მაქვს-მეთქი, ათი თუმანი მხოლოდ.

— შენი ათი თუმანი და ისიც ოცდაათი, შეადგენს ორმოცსა. მაშინ, ჩემო ბედის ვარსკვლავო, ჩვენ შევიძლებთ ჯვარის წერასა და შემდეგ ვაჭრობასაცა.

რა ეს თანხები მოისმინა მარტირუზასაგან, მაშინ ჰკუამსუბუქმა და ანგაარმა ალვისსახარმა მოუთხრო მარტირუზას თავის ქალბატონზედ ყოველი, რაც კი იცოდა რამ, და იცოდა იმან მეტად ბევრი ამიტომ, რომ ანუკას განსაკუთრებით უყვარდა იგი და განუშორებლივ იმას იმსახურებდა ხოლმე. სხვათაშორის ალვისსახარამ უთხრა ისიც, რომ ის თავის ჩვეულებრივ კარებიდგან ყურს უგდებდა და შეიტყო, რომ ქალბატონი ხვალ თუ ზეგ აპირებს ცისკარზედ გაენდოს ზაქარია დეკანოზსა. მარტირუზამ იცოდა უკვე უფრო მეტი, ვიდრე რაც საჭირო იყო. მაგრამ ეს გოგო არა სცხრებოდა ყბედობისაგან, ვითარც ზოგიერთი ბლიაძენი, რომელნიც ერთის შაურისათვის დაიწყებენ და ერთ მანეთად აღარ გაათავებენ. რა მარტირუზამ ნახა, რომ იმისი ყბედობა აღარა ღირდა ყურის გდებათა, მან დაიწყო თვლენა; და ალვისსახარი მხოლოდ მაშინ გაჩემდა, როდესაც მას შემოესმა ხვრინვა თავის საქმროსი.

— ეხლა რომ ამას არ ესიამოვნება ჩემი ლაპარაკი და ხვრინვა ამოუშო, როცა ჯვარს დაიწერს ჩემზედ, მაშინ რალასა იქს? — სთქვა ალვისსახარამ თავისათვის და გაჯავრებულმა, რა ერთი კარგად უჩქმიტა მძინარეს, გავიდა იმ სახლიდგან.

ლამე იყო წყნარი და ნათელი. ამ მშვენიერს ღამეს ერთი კაცი ფრთხილად მიიპარებოდა გრემის ვიწრო ქუჩებში, მთავარანგელოზის ეკლესიისაკენ და, რა შემოუხვია საყდრის ვალავანსა, მივიდა ერთის სახლის კარებთან, რომელიც დააკაკუნა მან ჩუმად. გავიდა რამდენიმე ხანი და ხმა არავინ გასცა. მერმე განიმეორა კარის რაკუნნი უძლიერესად.

— ვინ არის? — შემოსძახა ბოხმა ხმამ შიგნიდგან.

— წმინდაო მამავ! — უპასუხა უცნობმა, — ერთი მგზავრი არის ქალაქიდან მოსული, რომელიც გზაზედ ავად გამხდარა და ეხლა უკანასკნელ დღეშია. გთხოვს უმორჩილესად, გაანდო და წმინდა საიდუმლო მიაღებინო.

— ავად ვარ, შვილო. ფუტკრებმა დამსუნთქეს. მამა ივანესთან მიდიოთ.

— არა, მამაო, მე ვიცოდი შენი ავადმყოფობა და მომაკვდავსაც

უთხარი. მაგრამ იმან თავი მოიკლა: მე სხვას არავის გავენდობი, თუ არ მამა ზაქარიასაო. სჩანს, ის კაცი კარგად გიცნობსთ. რაც თან ფული მაქვსო, ვერავის ვერ ვანდობ იმის მეტსაო. საწყალი, ვისთვის აგროვებდა იმდენ ფულსა? არც ცოლი ჰყავს, არც შვილი.

— კარგი, შვილო! — შემოჰყვირა წმინდა დეკანოზმა, რა შეიტ-
ხო ფულის ხმა, — რაკი თვითონ მოუნდომებია ჩემთან განდობა,
ალარ დაეზარდები. მანდ მომიცადე. შვილო, ეხლავ გარდვიცომ ტანთა.

— მამაო, ოლარი არ დაგავიწყდესთ, თავზედ უნდა დაიღოს; აგრე-
თვე საყდრის გასაღებიც ჯიბეში გქონდეს, წმინდანის ნაბანს თხოუ-
ლობდა.

— კარგი, კარგი, შვილო! ყველას წამოვიღებ.

დეკანოზი გამოვიდა და გაჰყვა უცნობს. ეს უცნობი იყო მარტი-
რუზა, რომელიც ნაბადს იფარებდა პირზედ, რომ არ შეემჩნია მოძ-
ღვარს. მათ გაიარეს რამდენიმე ვიწრო ორღობე და, რა მივიდნენ
ერთს შემოსახვევ გზასთან, მარტირუზამ დაახველა.

ამ ხმაზედ მსწრაფლ გამოვარდნენ ორი კაცი და შემოეხევიენენ დე-
კანოზსა, რომელმაც სტაცა მარტირუზას მაჯაში ხელი და შეჰყვირა:
„შე ურჯულოვ, მამატყუე? რა დამიშავებია თქვენთვის? რად გინდათ
ჩემი სიკვდილი? შეიბრალებთ ჩემი ცოლ-შვილი“.

— არა, მამაო, გეფიცები ღმერთსა, ჩვენ ავს არას გიზამთ. ჩვენ-
თვის საჭირო არის ეხლა შენი ანაფორა და ოლარი და არა შენი სი-
ცოცხლე. მერმე ჩვენ ისევ შინ მიგიყვანთ უენებელად. მანამდისინ,
მამაო, ნება მოგვეცი, თვალები ავიკრათ.

— რაც გინდათ მიყავით, შვილნო! ეხლა მე თქვენს ხელში ვარ.
ჩვენი საზოგადო მამა უფრო ბევრს ეწვალა ჩვენთვის. მე უფრო ჩემს
თავს არ ვნანობ, არამედ იმათ, რომელნიც გინდათ მოატყუოთ ჩემის
ტანისამოსით.

დეკანოზს აუკრეს ხელსახოცით თვალები და, რა პატარას ხანს
აქეთ-იქით ატარეს, შეიყვანეს ერთს ცარიელს გომში. იქ გახადეს მას
ანაფორა და მოხსნეს ოლარი, შემდეგ ესენი მარტირუზამ გამოიტა-
ნა და გამოვიდა და დანაშთენი დეკანოზის ყარაულად დაშთენ იქა.

ცამ მიიღო მტრედის ფერი. მთავარანგელოზის ეკლესიაში ორი-
ოდე წმინდა სანთელი აქა-იქ ბეუტავდა, რომლის მკრთალ სინათლე-
ზედ ადამიანი შეამჩნევდა საკურთხეველის კარებთან მდგომარეს
მოალს მღვდელსა თავ-პირ ახვეულსა. იმის ქვემოდგან იდგა დიაკვანი
და სჩანდა, იგინი ვილასაც მოუთმენლად ელოდნენ. განვლო მცირე
ჟამმა. ორნი მძიმედ შალებში გახვეულნი ქალნი შევიდნენ ეკლესია-
ში და. რა მოიყარეს მუხლი ხატ წინა, ერთი მათგანი გაბრუნდა კარე-
ბისაკენ და მეორე მიახლოვდა საკურთხეველსა, საიდგანაც მოისმოდა
ყრუ ლოცვის ბუტბუტი მოძღვრისა.

— მამაო ზაქარიავ, მე მსურს გაგენდო. — უთხრა ქალმა, — მო-
შიტყვე, რომ შეგაწუხე ავადმყოფი.

— ღმერთმა მოგიტევეს, ბატონისშვილო! ჩვენ ღვთის მოსამსა-
ხურენი ვართ, ყოველს ქამს მზად უნდა ვიყვნეთ ჩვენის ვალის აღსას-
რულებლად... დიაკვანო, კარზედ გადი.

ეს დიაკვანი იყო ჩვენი მცნობი მარტირუზა, რომელიც გამოსე-
ლის დროს დიდხანს დააცქერდა მწუხარებით ქალსა, რომელიც აპი-
რებდა განდობასა.

ქალი შევიდა საკურთხეველში და მუხლი მოიდრიკა წინაშე მოძლ-
ვარისა, რომელმაც ბუტბუტით გარდაათვარა მას თავზედ ოლარი.

— მამაო! — უთხრა ქალმა, — მართალია, რომ ღმერთი მიუტე-
ვებს ყოველს ცოდოს, თუ რომ ადამიანი არ დამალავს თავის მოძ-
ღვართანა და ბოლოს მოინანიებს?

— დიდი ცოდვილი ის არის, შვილო, რომელსაც მაგაში ექვი აქვს; —
უთხრა დეკანოზმა აღშფოთებით. — ადამიანს უფრო ჩქარა მოს-
წყინდება ცოდვის ქმნა, ვიდრე ღმერთს მიტევება.

— ამინ, წმინდაო, მამაო, ამინ! მე ვალიარებ შენს წინაშე ყოველს
ჩემს ცოდოს, ამ ტკბილის იმედით, რომ ღმერთი მომიტევებს არა
თუ იმიტომ, რომ მე ღირსი ვიყო მოტევებისა, არამედ იმიტომ, რომ
ღმერთი დიდსულოვანი და მოწყალე არის.

— აღიარე, შვილო, ყოველი ცოდო, რამეთუ ჩვენ ცოდოსაგანა
ვართ შედგენილნი და ელოდებ ღვთისაგან სულის განკურნებასა, —
უთხრა დეკანოზმა ნერწყვის ყლაპვით.

— მამაო, მე ცოდვილი ვარ ყველაფერში. თუმცა მრავალი კეთი-
ლიც მიქნია, მაგრამ უფრო სახელის გულისათვის, ვიდრე სულსა.
ისე არ მიძლევია მოწყალეობა მარჯვენის ხელით, რომ მარცხენას არ
გაეგო და თითქმის მიხაროდა. როდესაც ხმა ჩემს კეთილმოქმედება-
ზედ გრძელდებოდა ხალხში და მე მაქებდნენ ამის გამო.

— შენ, შვილო, შენის კეთილის მოქმედებით გიყიდნია ამ ქვეყ-
ნადვე დიდება. ნუ მოელი მაგისტვის ცაში ჭილღოსა. შენ შენი აქვე
მიგილია. ეგ ამოება არის. განაგრძელე.

— მამაო, მე ცოდვილი ვარ ღმერთთანაც და ჩემ ქმართანაც...
მე უღალატე მას. გულმა მომატყუა. ასე მეგონა, ბედისწერას ავეტანე
და სიყვარულს ვერსად ვერ დავემალეობოდი. ბოლოს ენახე, რომ მხო-
ლოდ ჩემის აღგზნებულის თავიდგან იყო წარმოდგენილი ის მაღალი
სიყვარული, რომელსაც მე ვხედავდი ზეციდგან მოვლინებულად. მე
თვითონ ჩემის ხელით მოვითხარე ჩემს ფერხთ ქვეშ უფსკრული და
ჩავევარდი. რა მცირე დრომ განვლო, მე მოველ გონებაზედ და ვიხი-
ლე ჩემი თავი შერცხენილი. წაწყმედილი... ვარ მას აქეთ დიდს სინა-

ნულში. სატანჯველში, ვაფრქვევ მწარეს ცრემლსა. არ ვიცი, ღმერთი მომიტევებს, თუ არა?

ბეგრჯელ შეგიცოდავს? — ჰკითხა მოძღვარმა ყრუის, განგრძელებითის ხმით.

— ოჰ, მამაო, საკმაოდ... ნუ მკითხავ მაგას, თუ რომ გინდა, რომ სირცხვილისაგან აქვე შენ ფერხთან არ მოვკვდე...

— ვისთან გიცოდავს? შენი შემაცდენელი შენი ნათესავი ხომ არ არის? რა ჰქვიაან?

— რათა მკითხავ, მამაო, ვინც არის? მე ვამტყუვენებ მხოლოდ ჩემს თავსა და არა სხვასა. მე არ შემიძლიან, გითხრა ვინც არის.

— საჭიროა, შეილო! — უთხრა კანკალით მოძღვარმა, — მასთან ახლოს და შორის ნათესაობის კვალად იქნება შენი ცოდოც ანუ მძამე, ანუ მსუბუქი...

— შენ მაგითი მაშინებ, მამაო!

— მითხარ, ნათესავია შენი?

— ნათესავი არ არის, მოურავია ჩემის ქმრისა...

— მოურავი!

— გარდა მაგისა, მამაო, მე ვარ ღედა... ვაყიშვილი მყავს იმისაგან...

— შეილო?... რა ჰქვიაან? რამდენის ხნისა არის?

— ჯერ წლისა არ არის...

— სწორედ ამბობ? სად არის? ვისთანა გყავს?..

— რათა კითხულობ მაგას, მამაო! ვითარც არწივმა, მე მალლა აუშენე მას ბუდე, სადაც ვერ მისწვდება მტრის ხელი.

— ერასტი ვისი შეილია? — ჰკითხა მთრთოლვარის ხმით მოძღვარმა, რომელიც აქეთ-იქით ტოკავდა, თითქოს ფეხქვეშ ნაღვერდალი უყრიაო, — იმაში ვილასი სისხლი სდგას? ნუ სცოდავ ღმერთსა, სწორეთა სთქვი.

— ნუ მკლავ სირცხვილით, მამაო! ერასტი საკუთარი ჩემი და ჩემის ქმრის ოთარის სისხლია. ნუთუ აქ რომ მყოლოდა ქმარი, მე შევიქმნებოდი დამარღვეველი იმის მოვალეობისა?

რამდენსამე წამმა განვლო მღუმარებაში...

— რად დაჩუმიდით, მამაო? ნუთუ ჩემი ცოდო ისეთი მძიმეა, რომ უფალი ვერ იპოვის მისთვის მიტევენას თავის მოწყალებაში?... გახსენი. მამაო, ჩემის ცოდოს კავშირი, ნუ წამართმევ სასოებას... მე სიკვდილის კარებთანა ვსდგევარ, დიდხანს აღარა მაქვს სიცოცხლემანუგეშე რითმე. ნუთუ არა გაქვს იმედი, დაიხსნას როგორმე სული ჩემი ცოდვისაგან, როდესაც წარვსდგები ღვთის სამართლის წინაშე?

ამ დროს მოძღვარმა გაიძრო ანაფორა, მოიგლიჯა ხელცახოცი, რომლითაც ახვეული ჰქონდა მას: თავ-პირი და, რა მიიტანა ანთებული

სამთელი ქალის თვალებთანა, თვითონაც დაიდრკია მისკენ თავი და უთხრა აღრეულის ხმით:

— მიცნობ თუ ვეღარა, საყვარელო ანუკი? ეს ტაძარი არ იყო პირველად მოწამე ჩვენის აღთქმისა? აქ არ წარმოვსთქვით ჩვენ პირველი ფიცი ერთმანეთის საყვარულისა? აქ არ მივიღეთ ჩვენ პირველი ბედნიერება ქვეყნიერებისა? ნუთუ ყოველი ესე იყო სიზმარი და ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიღვიძებთ მძიმეს ძილისაგან? ნუთუ მაგაებს ველოდი, გამეგონა შენგან?..

— ვუი, ჩემს სიცოცხლესა!.. ოთარი!.. — შეჰყვირა ანუკამ და გარდიქა გულდაღმა.

ქმარი დიდხანს ადგა მას თავზედა. თითქოს გონებადაფანტული, შემდეგ მიახლოვდა მას და სთქვა: „ღმერთმა მოგიტევოს, ანუკი, შენი ცოდოც და ჩემი ტანჯვაც, რომელშიაც ამას იქით მე გავატარებ ჩემს სიცოცხლესა. ჩვენი ერასტი იქმნება ამას შემდეგ დამატკობელი ჩემის ობოლის სიცოცხლისა და მომაგონებელი იმ ნეტარის ღრონისა, რომელიც ოდესმე შენთან გამოიტარებია. იმას არ ვაცოდინებ შენს ორგულობასა. წადი და მოიგე სული მონასტერში. იქმნება ღმერთმა შეიწიროს შენი ცრემლი და მოგიტევოს ის ცოდონი, რომელთაც ვერ მოგიტევებს ქმარი და შეილა!..“ ამა სიტყვებით ოთარმა დაუჭირა ქალს ხელი ასაყენებლად, მაგრამ ქალს მაჯა აღარ უცემდა. ქმარმა გულში ხელი ჩაუდო — აღარც გული სცემდა... ოთარი ჰგრძნობდა თავის ზღაპრულს, რომ სხეული ანუკასი თანდათან ცივდებოდა და შეშდებოდა. ოთარმა შიშით დაიწერა პირჯვარი და გამოვიდა ეკლესიიდან.

მესამე დღეს იმავე ეკლესიამ მიიღო დიდის ყოფით გვამი საბრალო ანუკასი, რომლის უეცარი სიკვდილი მააწერეს სადამბლესა.

1860 წელსა 15-ს ენენისთესა,

ტფილისი

შენიშვნები, აქრატები,
პირინები და კომპონენტები

ოქტაჰედრისა და ვარიანტებში ნაჩვენები ლიტერები ნიშნავს:

- A — აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საეკლესიო მუზეუმის ფონდი;
- Hi — ამავე ინსტიტუტის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი;
- S — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი;
- Q — ახალი ფონდი.

აღ. ჰ ა მ ჰ ა მ ა მ ა მ

აღ. ჰავეკაძის თხზულებათა ჩვენამდე მოღწეული ავტოგრაფები და ხელნაწერი ნუსხები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ქრესტომათიაში შესულ ნაწარმოებთაგან ავტოგრაფები აქვს ლექსებს: „სხე-დასხვისა დროისათვის კაცისა“ S—2482, „კავკასია“ S—2481. გარდა ამისა, ტექსტების შედარებისათვის გამოყენებულია ხელნაწერები S—1512, გადაწერილი დავით რექტორის მიერ, H—1196, გადაწერილი დ. დადიანის მიერ და A—701.

ლექსები შედარებულია აგრეთვე აღ. ჰავეკაძის თხზულებათა ყველა ძირითად გამოცემასთან.

სხე შენი

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, გვ. 220 (B).

ნაბეჭდი: დ. ჩუბინაშვილის ქრისტომათია, 1846 წ., II, გვ. 232 (D). „ივერია“, 1877 წ., № 8 (C). ა. ჰავეკაძის ლექსები, 1881 წ., გვ. 1 (E). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, 1930 წ., გვ. 3 (F). ა. ჰავეკაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ. გვ. 3 (A).

სათაურად „ლაჯარამ“, დავით რექტორის მიერ ასეა განმარტებული: „ლაჯარამ“ სპარსულია, „მ ა შ ა ს ა დ ა მ ე“, BE.

1. მემახევა BDC; მე მახევა EF; 3. დაუსრულებელა D; 4. ოხვრა C; 6. მომძივარ B; 7. მსახენის D; 8. ბალახმის-კარს C; 13. ისრებთ D; 14. ლაჯვარის B, ლაჯვარდის ფერ C; 16. D+ რადგან სწავლისა გაქვს შენ სურვილი, გონება აყვარ მღვიძრად ქურვილი ცნობა გიბრწყინდეს ნისლით ბურვილი და განგაშოროს გულის წყურვილი.

ჰ ა მ ზ რ ო ნ ი ზ რ ო ნ ი

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, გვ. 263 (B).

ნაბეჭდი: დ. ჩუბინაშვილის ქრისტომათია, 1846 წ., II, გვ. 233 (C). ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები, II, 1904 წ., გვ. 5 (D). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, 1930 წ., გვ. 2 (E). ა. ჰავეკაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 4 (A).

სათაური, „მასტამ იალალზედ შარაშური შუშტარ მუხალიფში“, სპარსულია: „სურვილის სიმთვრალე“ B.

1. ნაქებნი C; 2. წარივლტნენ BCD; 2. განქრნენ B; განქრნენ C; 2. სიზმარებრ DE; 6. ძალ B; 7. სულ მდგარად E; 9. დაქსილი B; 10. იმედოვანებს C; 12. მევლტის B; მევლტის C; 13. უსასოდ ყოფა სჯობს მისთვის შეკდარად BDE; 18. თუმცა D; თუმცა მას ჩემებრ უცავს სიმტკიცე DE; 21. ესაყე BC;

მუხაზბაზი ლათინური

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, გვ. 264, (B).

ნაბეჭდი: დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატია, 1846 წ., II, გვ. 233 ((C). ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები, 1904 წ., გვ. 6 (D). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, 1930 წ., გვ. 24 (E). ა. ქავკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით 1940 წ., გვ. 5 (A).

სათაურს დავით რექტორი ასე განმარტავს: „ლათაია თათრულია: გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა“, B.

1. ნეტაი C; B+იალალი, იალალი, DE+ არიარალი, DE თარიარალი; 3. შემოდგომამ B, შემოდგომამა CDE; ბახუზი C; 4. B იალალი, იალალი. 5. ჰყინედეგ BC; 6. ვერა CD, ვეღარა E; ფრინედეგ B, ჰფრინედეგ C; 7. არ შეგევაშინოს სიცავემ C; 8. B ბრწყინედეგს, იალალი იალალი, ბრწყინედეგს C; 14. ყურძნის წვენი გემება D; 15. თითონ C; 18. რომ D; დავლით C; 27. ომამდისე გულს გაიხეთქ C; 28. შემდეგ მოდის სტროფი „აქიმო თუ გაქვს ქამალი...“ D; 29. დავეხსნათ ცოდვილთა კებასა (ვასილ შვაბიჩის მიერ გადაწერილი რვეულის მიხედვით ასწორებს ი. გრიშაშვილი) A; 32. შემდეგ C-ში აკლია სტროფი „აქიმო თუ გაქვს ქამალი...“; 42. ვეცხლით BC; 60. B. გვერდით გაკრული ხელით:

ღვინო ხასიათს არ ჰსცეალებს,
ხასიათს უმატებს ძალებს,
კეთილის ზნისა მქონენო,
დალიეთ კეთილს გიმრავლებთ.
ღვინოვ, გიქებ სასწაულსა,
შენ აქრობ მტერობა-შურსა
ერთის ჯამით დააზავებ
ბედნიერს და უბედურსა.

ეს სტროფები ა. ქავკავაძისა არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დავით რექტორი ჩვეულებრივ მიუწერდა ლექსს. შესაძლოა ისინი დავით რექტორს ეკუთვნოდეს.

1. ბ ა ხ უ ს ი — ბერძნული მითოლოგიით ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთი. პოეტი აქ ღვინოს გულისხმობს.

2. ნო ე — ბიბლიური პერსონაჟი. ბიბლიის მიხედვით, მსოფლიო წარღვნის დროს გადარჩა ნოე თავისი ოჯახით. მისი კიდობანი, თითქოს, არარატის მთაზე გაირიყა წყალმა. ნოემ პირველმა იგემა ყურძნის წვენი და თრობაც მისგან გავრცელდა.

სიხვარულო ძალსა შინსა

ხელნაწერი: დავით რექტორის S — 1512, გვ. 260 (B).

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1852 წ., № 6 (C). ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები, 1904 წ., გვ. 10 (D). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, 1930 წ., გვ. 4 (E). ა. ქავკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 10 (A).

2. ოხვრას D; გსცემდეს C; 3. რბოდეს C; 4. ამ სტროფის შემდეგ „გულთა საწყლავად კუბიდონს შენ უძღუენ ესე ისარი“, იქვე აღნიშნულია, რომ ეს სხვისია B; 6. ჰსჯულსა C; 7. ჰკვი საცა C; 8. ჰყავს C; მე C; 9. რად მე ვის C;

უწყალმ სენება

ხელნაწერი; დავით რექტორის S—1512, I ვარიანტი, გვ. 237, II, გვ. 256 (B₁, B₂).
ნაბეჭდი: „ივერია“, 1877, № 12 (C). ა. ქავჭავაძე, ლექსები, 1881 წ. (D). ა. ქავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 17 (A).

სათაურად: მუსტაზადი, დავით რექტორი ასე განმარტავს: მუსტაზადი თურქთა ხმათა ზედა სათქმელი ხუთშიარად, თითო შაპირი ხუთი ტაეპია და თითო ტაეპო ათოთხმეტ მარცვალაა (გვ. 160, 256) BD;

1. უწყალმ BB₁D; დაგვოლა B₁; 2. გექმნა B; ყოველი სულნი B; 3. სუსტ-გვეო B; მნათობთაგან B₁; 4. უეზამდ B₁; ყოვლემად C; მტკივნეული B₁; 7. ხლებიან B₁; 8. მწყლველი BB₁D; ზრდებიან B; 10. ამად გეჩანს ლხენად მოსაწველად საკვდავნი რულნი B; 12. მიგვენა B₁C; 14. ეს ტაეპი გადაადგილებულია და მომდევნოს შემდეგაა B₁CD; შეუბრალმან CD, 16. და უფასო B₁; კშოთომილვარ B, შობილ ვართ B₁; 20. ამ ტაეპს ენაცელება ტაეპი „უცნობოდ რამე თვისთან მქლომე არს ოდენ ჩრდილი“ B₁; სხვა ვარიანტებში ეს მომდევნო ტაეპია, თანაც ოდნავ სახეშეცვლილია B₁; 21. თავსა ახარებს, მათთან არებს გული ბრმობილი B₁; 22. ამად B, განღვიძით C; განძვიძით B₁; ოხრეთ B₁; აღძრეთ BB₁; 24. ნეტარ B₁; უკუმელირსოს B; 28. მეუ B; მუნით B₁C; ნუგეშნი B₁CD; 30. შავაღნი C.

1. ე ლ ი ს ე ს ვ ე ლ ი — ბერძნული მითოლოგიით, ნეტართა და ცხონებულთა სამზოღის ადგილი საიქიოს, სამოთხე; აქ, ალბათ, საქართველო უნდა იგულისხმებოდეს.

უწყალმ სივგარულმ

ხელნაწერი: დავით რექტორის S — 1512, გვ. 288 (B).

ნაბეჭდი: „ივერია“, 1877 წ., № 4 (C). ა. ქავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 19 (A).

სათაურად: „ბოი საღუჩინარის ხმაზედ“, დავით რექტორი ასე განმარტავს: სომხურია ტანი საღბის მსგავსია“ (გვ. 329) B.

1. ესთა B; 2. რასთვისა B; 10. გული მიწყდეს C; 11. ეს ზომად C; 16. ცნობა მთვრალი C; 17. ედუმარებ C; 22. მსდევენ C; 23. გარნა ვერსადა A; გარნარა ვერსად B.

ხმგერს გლახ-გული

ხელნაწერი: დავით რექტორის S — 1512, გვ. 279 (B).

ნაბეჭდი: „ციცკარი“, 1852, № 2. ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, გვ. 7 (D). ა. ქავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 24 (A).

8. ლალით გამომბერდა ლხენას D; 9. გახსოვს ოდეს D; წინად C.

სხვადასხვინს დროისათვის კაცისა

ხელნაწერები: ა. ქავჭავაძის ავტოგრაფი S—2482 (B). დავით რექტორის ხელნაწერით S—1512, გვ. 551 (C).

ნაბეჭდი: „ციცკარი“, 1863 წ., № 10 (D). „ივერია“, 1877 წ., № 3 (E). ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები, 1904 წ., გვ. 13 (F). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, გვ. 8 (H). ა. ქავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 29 (A).

სათაურად „ამაოება“ D; უსათაურო E.

3. მწრთელი D; 4. შეუღევით B; 5. გვემატების D; 6. კსცელის ACDEFH; 7. თვის მებრ E; 10. საკმაოსა D; უხე-ა F; 12. ვპოვებთ ACDFH; შეგვექმნების ACDEH; შერის კმუნვა D; 13. ტვირთვის ACDEFH; შეილდებრ F.

ვაპ, სოფელსა ამას

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, 249 (B).

ნაბეჭდი: „ქრებული“, 1871 წ., № 5, გვ. 17 (C). ა. ქავეკავაძე, ლექსები, 1881 წ., 28 (D). ა. ქავეკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 30 (A).

უსათაურო BCD

1. ვაი B; ვაი C; სოფელს C; 3. და თრგუნვის BC; 4. ი. გრიშაშვილის თქმით, შან გაასწორა, იყო „უსაფუძველოთა“—შეცვალა „უსაფუძველოთა“, უნდა აღინიშნოს, რომ ასევე „უსაფუძველოთა იკითხება S—1512, ასეა, C; 7. კსძრაზვენ BC; შეკრულნი BC; 8. ზოგნი C; განმდიდრებულნი B; 11. ურთიერთის მკვეველობენ B; მვეველობენ CD; 12. შეუწყალად BC; 19. სკნებიან B; 21. სხვისაგან B; 32. არნ მოცულნი BC; 37. მქონელნი BCD; 38. ნაცეარტ C, ნაცეარკთ D; 43. მოელოდლეთ DC; თანეესწორებას C.

ვისხაზ გსურთ

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, 219 (B).

ნაბეჭდი: „ქრებული“, 1871 წ., № 5 (C). ა. ქავეკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 34 (A).

სათაური: დუგაჲს გუშა, ხარიბა ქაქაშას ხმა სპარსულია: იეკალი იმის ხელში ენახე, სისხლი ამიღულდა“, B; აქვს ი. ქავეკავაძის შენიშვნა: „ესეც კაზარმობის ლექსი უნდა იყოს“ C, ი. გრიშაშვილი ასაბუთებს, რომ ლექსი პოეტის პირველი პატიმრობის დროსაა დაწერილი 1804 წ., A, 285 გვ.

1. კამბავთა BC; 4. ურვისგან B; 5. ვსკვერეტ BC; კმონებს B; 7. პრთული BC; 9. მეორდება მთლიანად C; 12. გამომკვეველად B; 15. ეპხედავ B; კვლავ C; 21. განსაკვირვე C; 24. მთლიანადაა მოტანილი C-ში.

სივპარულსა შევუპყრინვარ

ხელნაწერი დავით რექტორის S—1512, 247 (B).

ნაბეჭდი: ა. ქავეკავაძე, ლექსები, 1881 წ., (D). ა. ქავეკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 49 (A).

სათაური: ოსმალის ყაიდა, ბირნაზინან, ბირყაზინანის კმა. თათრულ-ოსმალური: ერთი ნაზ-ნაზინანი, ერთი მიმორხეული.

18. მსტვენსა B; 29. პრხევა B.

იხმინეთ, მხმინეთ

ხელნაწერი: დავით რექტორის S—1512, 228 (B).

ნაბეჭდი: „ივერია“, 1877 წ., № 11 (C). ა. ქავეკავაძე, ლექსები, 1881 წ., გვ. 68 (D). ი. ეკალაძის ანთოლოგია, III, გვ. 18 (E). ა. ქავეკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 67 (A).

მუსტახადი BCDE. 1. მსმენნო B; 2. რაგვარნი C; კხშირნი B; 3. პრთულნი B;

4. დავკარგეთ BC; აშიაზე პ. უმკაცრესი ხელით „აქ ჯობია „სრულნი“ D; 7. მრავალ ათასნი E; C-ში არაა ეს ტაეპი; მრავალ-ათასთანი BD; 14. განპრჩევანი B; 17. გპლივა E; 22. გვაწვივეს BC; დაგვახვივეს CD; შური E; 26. მათს B; დიღს B.

შპა, ჩემო ოცნებაჲ

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1852 წ., № 5 (B). „ივერია“, 1877 წ., № 3 (C). ა. ქავკავაძე, ლექსები. 1881 წ., (D). ა. ქავკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 72 (A).

სათაურად „ოცნებას“, ხელმოწერა: ლ. ი. 1840 წ., B; ეს ლექსი ზ. ჭიჭინაძემ 1875 წელს შეიტანა ლ. ისარლოვის ლექსების კრებულში, გვ. 16, ამავე ინიციალებით ჩაწერილია ლექსი S—1512-დავით რექტორის დავთარში 1327 გვერდზე სხვა ხელით.

2. დარი B; ჩვენებას B; უბრალოთ B; მამოფინეთ B; 4. დამამბობოღელთა B; 7. მამეც B; ოხერანი B; 8. ხილვანი B; ოხერანი D; 10. მამერალს B; ჩემსა B; B-ში ბოლო ორი ტაეპი არის ლექსის მე-7 და მე-8 ტაეპები.

ა ბ ვ კ ა ს ი ბ

ხელნაწერი: ავტოგრაფი S—2481 (B).

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1852 წ., № 6 (C). ა. ქავკავაძე, ლექსები, 1881 წ., (D). დ. ჩუბინაშვილის ქრისტოშაბათი, 1863 წ. გვ. 140 (E). ა. ქავკავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით გვ. 77 (A)

1. ზღვის E; მიმყარდნობი E; 2. ტერფითა D; 3. კაკაზი B; 4. თვის შორის რე DE; 5. დაამშვენად C; 6. და ოფლნი C; 7. ქუხით CE; 8. ჰრწვეენ E; 9. ზურგი CE; 11. ტუირთაგანსა AD; 12. გარდმოაგდეს E; ზევებსა E; 13. განაშტერნი D; 14. ერთმანეთის CE; 15. აღმუყანელი ACDE; 16. ხიტომით და რახით A; რამით დაა-ლტომით DE; რახით დანხლტომით C; უფსკრულამდე CDE; 18. შევეებით F; 19. დედაშიწასა A; 23. კაკაზ BCE; მთა E; 24. მესკრავს CE; ზოგ D; დიდი მბრძანებელი CDE; 25. აქსე E, აქსე D; 26. დახდეს რა CE; შერაყანდ B; 27. ფანტულნი E; 28. სხვა და სხვად ACDE; 29. ნაულონსა D; 31. საამონი CDE; 33. მუნით CDE; „რა“ არ გვხვდება DE; ნაცელად „ტუისა“ არის „წყლისა“ E; 36. ფეხთა E; ქვეშე E; მქუხარე CE; მქუხარეთ D, მების E; 37. უმაღლეს CD; 43. ზღუდე C; 45. როსსთ ACDE; 46. მიებრინა CDE; მიებრჯნა A; 47. სამზღვარი CDE; 48. ტინამან CD; შარამ E; გზათ CDE; 49. შეეკმევენ C, შეეკმევენ DE; 50. არიდეს CE; 53. მსცემდენ ACD; ჰქუხოდენ D; 54. ესეთთა DE; 56. რა მე C.

1. პ ო ნ ტ ო — შავი ზღვის ძველი სახელწოდება.

2. პ რ ო მ ე ტ ე, პრომეთე—ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ღმერთების სურვილის წინააღმდეგ აღამიანებისათვის ციდან ცეცხლის მომტაცებელი; სასჯელის სახით ზევსმა იგი კავკასიის მთაზე მიაჯაქვა, სადაც ზევსისვე მიჩენილი ძერა გულღვიძლს უჭიჭგნია.

3. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი პაულე — საქართველოს მთავარმართებელი საქართველოს ბრესეთთან შეერთების პირველ წლებში, მოკლეს ბაქოში 1806 წელს და თავი სპარსეთის შაჰს საწუქრად გაუგზავნეს; ციციშვილის ნუსხი 1811 წელს მარკოზ პაულუჩიმ გადმოასვენა ბაქოდან და სიონის ეკლესიაში დაკრძალა.

ბელნაწერი: H—1196, დ. დადიანის გადაწერილი, 319 (B).

ნაბეჭდი: „ციკარი“, 1852 წ., № 2 (C). დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატია; 1863 წ., გვ. 138 (D). ა. ჭავჭავაძე, ლექსები, 1881 წ., (E). ა. ჭავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 92, (A).

გოგჩის ტბა BC; უსათაურო DE; თარიღი 1841, მარტი B.

2. ლელაეს C; მრისხანედ ACDE; 4. ცის B; 5. ძაძვით DE; 6. ნიშნი BCDE; 7. ყუავებულან BCD; 8. ვხედავთ BC; 11. თვალთა DE; 16. აწმყოზედ C; ხედავ C; 17. ძლივ CDE; ყოფილი C; ტაძრად E; 18. იღრეკილენ C; 22. ხედაეს B; დამჩოქელად C; 23. წარმველენი C; 24. შეაფერებს E; შორის C; 25. ოთხ კუთხედისა C; 26. ადვილ E; 27. მკრთალნი DE; 28. აღრევ C; 30. ვეცხლით BE; ვეცხლითა D; ნღობითა D; 32. წარშლილან C; 33. მიხხვედ C; 34. კვალად D; 36. სტყორცა C; ტყორცა BD; 38. ურთიერთთანი D; აღმალღებულან C; 41. მალლის C; 40. განშეებულან და განცხრომილან B; 42. წყალობათ C; 45. რაედენ B; 47. ეარდო C; მწყობნი C; 48. რაედენ გზის C; 50. უგრძნია E; მოღრუბელია C, მოღრუბელია B; მსკრელის B; წარწყმელით ACDE;

გოგჩის ტბა — (თურქ. „გოქჩაი“ — ლურჯი წყალი) ახლანდელი სევანის ტბა სომხეთში, ტბიდან გამომდინარეობს მდინარე ზანგა.

ახლოით განხიზრეპილი კავი

ბელნაწერი: A—701 (B).

ნაბეჭდი: ა. ჭავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით; გვ. 169 (A). თხზულება გადმოთარგმნილ-გადმოკეთებულია ფრანგულიდან.

1. ფარნაოზ ირაკლის ძე — ერეკლე II შვილი, აღ. ჭავჭავაძესთან დაახლოებულა, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გადაასახლეს რუსეთში.

ბრიგოლ ორბელიანი

ტოლუბაში ანუ ომის უმედვ ღხინი და საღვებრძელო
1827 წელსა

ტოლუბაში

დადუმდა ბრძოლის გრგვინვა საზარი,
ველი მოიკეა მყუდრომ საღამოს².
მხოლოდ მაშვრალი ჰსციდილობს მხედარი,
4 ცეხელი აღაგზნოს და განისვენოს.

აჰა მთოვარეც ნელიად შუქსა
მოჰფენს სიაპით ჩენდა საშეებლად!³.

¹ პირველი ვარიანტი-ავტოგრაფი (რედ).

² გადახაზულია ორი ვარიანტი:

ა. წყარო სისხლისა შეჰსწყდა საღამოს.

ბ. და მოუწოდა მყუდრო საღამოს

³ გადახაზულია პირველი ვარიანტი:

ვითა ნუგეშსა ჰფენს საამურად.

- შევექეთ ვინც დღეს გადავრით ომსა!
8 კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად.

- ძმანო! შორიგის სავსე ფიალით,
გარემოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმით ვინცა გეჰორდა ამ სოფლით,
12 და მრისხანებით ამა დღეს წარსულს.

- და შენ ჰე ლვინოვ! ყოვლად ძლიერო!
ლხინით, შექცევით გულნი აღ[გ]ვიგზნე!
გულის ქირთ მღვევნო! ნიჰო ციურო,
16 ვინ არის, რომელ გჰსვა და არ აღხინე?

დასტალუღი

- ოი შენ ლვინოვ! ყოვლად ძლიერო!
ლხინით, შექცევით გულნი აღ[გ]ვიგზნე!
გულის ქირთ მღვევნო! ნიჰო ციურო;
20 ვინ არს, რომელ გჰსვა და არ აღხინე?

ტოლუბაში

- ძმანო! აღვავსოთ ფიალა, წინაპართ მოსახსენებლად.
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეჰსწირეს აქ მსხვერპლად:
თვით გორი ესე წითელი არს მათ მხნეობის მაჩნელად¹,
24 რომელიც ბტერთა შემუსვრით შეიქმნა სამარედ ვრცელად.

- ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ჰარის შებერვით არს მქრალი;
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი.
28 გზა ცხოვრებისა ვინც გაწელო და არ აღბეჭდა ნავალი.

- მიწასთან გასწორებულან ძველთ დროთა გმირთა სადგურნი!
ჰარმან აღგავა მათნიცა მიწისა პირით საფლავნი²!
წინაპართაგან რაღა გეშთა? — დიდებისა მოედანი!
32 მათი სახელი, მათ ზრმალი და დიდნი მათი საქმენი!

- ძმანო! სიამით მიემართოთ თვალნი
წარსულთა დღეთა საუკუნეთა!
მათ შორის ჰსჩანან სახე ნათელნი
36 გმირთა მამულის განმადიდეთა.

¹ გარნიჩაის მდინარეს და ერევანს შუა მეფე ირაკლიმ დაამარცხნა და შეიპყრნა აზათ-ხან; ამავე ადგილს ორმა ჩვენმა როტამ დაამარცხა ასანხანი და ნალხანი, რომლისა შემდგომ მოვედით მეგობრები ჰართველნი და ირაკლის თათზე, საიღამაე აიღო ამა მეფემან ერევანი, იმ გორაზე ვლხინობდით. (აეტორის შენიშვნა).

² ვარიანტი (გადახაზულია):... ამა ქვეყანას საფლავნი.

- მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული
 ველსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინვით?²
 ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
 40 მოსილ არს მეხით, ელვით და რისხვით.

დასტალული

- გმირნო, მამულის მადიდნო! თქვეთ გშენისთ ქება, დიდება!
 თქვენთ სახელთ სიამაყითა წარმოქსთქვამს კშთამომავლობა!
 თქვენთ საქმეთ სმენით, სიამის მოხუცს ცრემლ მოედინება!
 44 მხნეობით აღტაცებული, ქაბუჯი ხრმალსა მიქსწვდება!

ტოლუბაში

- ჰე მამულო სასურველო! ვინ გახსენოს რომ მის გული
 არ აღპთრთოდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
 ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,
 48 არა დაკლას თავი თვისი, შენდა სახსნად, ვითა მსხვერპლი!

- ვინ არ შევქსტრფოთ მას ადგილს, სად აღჰვეხილნეს პირველ თვალნი!
 სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენნი
 სად იღუმალ ცრემლთ აფრქვევინ აწ ჩვენთვის გულის სატრფონი!
 52 სადაცა არს უწმინდესნი წინაპართ ჩვენთ სამარენი!

- მამულისათვის ფიალა სავსე ვსვათ სიამოვნებით,
 და იქმნას აღყვავებული კეთილდღეობით, დიდებით!
 იქმნას მის ქედი აღჰყვანილ ცათამლის ძეთა მხნეობით,
 56 და სიყვარულით მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით.

- უმეტეს ჩვენთა სიცოცხლეთ ვრაცხიდეთ ჩვენსა მამულსა;
 მის დიდებისთვის სიამით წინ შეჰვხედეთ ათასს მახვილსა!
 მოსრულმან ხილვად ჩვენთ საფლავთ ქსთქვას ამოხვრითა თვის გულსა:
 60 „რომელ უბრალოდ არც ამათ უელიესთ ამა სოფელსა!“..

¹ ეახტანგ მეფეს მუზარადზე აქენდა გამოსახული მგელი და ლომი; და ამისთვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგ-ასლანად ანუ მგელ-ლომად. საშინელ იყო ყიზილბაშთათვის ხილვა მუზარადისა მის (ავტორის შენიშვნა).

ვარიანტი იქვე: თავსა მგელ-ლომი, ხელსა მახვილი,

ვინ არს გმირი ეს რომ მოვალს გრგვინვით?

ამ ტაეპების ზემოთ ავტოგრაფში გადახაზულია:

აჰა მიხედეთ! ძველთ დროთა გმირნი
 დამტევებელნი იმიერ სოფლის;
 მოსილნი ნათლით, ცით მიმავალნი,
 მოისწრაფიან დაცვად მამულის.

დასტალული

- მამულისათვის ფილა საესე ვსვათ სიაშოენებით!
და იქმნეს აღყვაეებელი კეთილ-დღეობით, დიდებით!
იქმნას მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
64 და სიყვარულით მისდამი ვხარობდეთ გულსა ადგზნებით! —

ტოლებათი

- ვაი! ვისაც თვალნი ჩემებრ ტრფობით გულს თვის მკვლარად ჰხედენ
მარა, ჰე, შენ მეგობრობავ! შევბის ვარსკვლავად აღეგზენ!
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვაილნი მოაფინენ,
68 და განვილილ სიხარულითა თანა-მავალად შეგვექმნენ.

- მისი არს მხედრი სანატრველ, ჰხვდა ვისაცა მეგობარი.
მის სიციცხლე სიხარულით სიკვილამდე არს დამტკბარი:
როს ეწვევის მწუხარება, ან გულსა კმენვისა ისარი,
72 განჰქარვდების მეგობრისგან; აღყვაეების გული მქნარი.

- ჰე მეგობრობავ წმინდაო! ფილა აღქაფებელი,
შენდა არს ერთგულთ ხმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! ვანვაახლოთ სიხარული!
76 შეესვათ ძმანო! დაეამტციოთ ურთიერთთა სიყვარული.

- ამა კავშირმან განჰსდევნოს ჩვენგან შორს სულმოკლეობა,
შეეხვდეთ უშიშრად სიკვილისა, შეეშუსროთ მტერთა მრავლობა;
სიციცხლით ვპოოთ სახელი, ან სიკვილითა დიდება.
80 ცულ არს კაბუეის უბრალოდ განქარებული ცხოვრება.

- შევექცეთ ვიდრე ეაში გვაქვს, ვინ უწყის ზვალ ვინ მოგვაკლდეს,
ნაცვლად ლხინისა იქმნება გეითხრიდენ ვისმე სამარეს.
ოხ ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,
84 ანუ ჰსკვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს —

- დღე აწინდელი ამისთვის მოეწყვიტოთ ვითა ყვაილი,
რომლისა სუნი, სიტურფე არ არის ჭერეთ გამქრალი:
ხვალის იმედით არ ცვარვოთ დღე ეს სიამით აღსილი,
88 თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ფრიად არს მათეუნებელი!..

- მეგობრობასა წმიდასა შეეწროთ სრულად რაც გვაქნდეს,
დავნერგოთ გულსა გრძნობა ეს, და აღთქმა არა გვაიწყდეს...
ვიყვენეთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს,
92 ცრემლნი კურთხევა მეგობართ, თან ვავაყოლოთ, სამარეს.

დასტალული

- ჰე მეგობრობავ წმინდაო! ფილა აღქაფებელი,
შენდა არს ერთ-გულთ ძმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! ვანვაახლოთ სიხარული,
96 შეესვათ, ძმანო! დაეამტციოთ, ურთიერთთა სიყვარული.

ტოლუბაში

ქვანო! იეიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება!
მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბოება,
რომლისთვისცა შეგვიწირავსთ გული და სრულად ცხოვრება,
100 შეეხვით ღვინო! მის საღვებრძელოდ გვეღირსოს ხალვა ეგება!

სადა ხარ, სიხარულის დღევი აღარა უქმოიქცევი?
ლომილით შენსა შეყრასა ნუთუ ამაოდ ვისურვი?
ნუთუ გულისა სიამე დამეპკნო საუკუნოდა?
104 და ჩემი ბედნიერება წარსულთ დღეთთანა წარვადა?

ოდეს გულმან იგრძნოს ტრფობა, სიცოცხლე მაშინ აღკვეცდეს;
რა არს უამეს, რომ სატრფო თავსა ჩვენსა გვაიწყებდეს.
მას შეპსტროლოდეთ, შევპხაროდეთ, შევპფრფინვიდეთ, იგ გეტანჯავდეს.
108 და საამოს ეშუი კეცხლით გულსა ჩვენსა დაგვიწვავდეს?

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი;
რა განჭრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;
თუმც ძნელ არს მისი მოწყვეტა, მით, რომ არს ეკლით მოსილი,
112 მარა სიძნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს აღზრდილი.

რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ტყბილთა ქირებთა?
ვის არ შეეხო ეშუი გულს, არ ჰხარობს თვისთა წყლულებთა.
მიხედეთ ვარდსა! მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა¹,
116 ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა. —

ტრფობის ალითა, ვისაცა ჩვენ შორის გული ეწოდეს,
და სახე სატრფოს მარად ვის სულსა აღბეკვლით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაი! წინა საბრკმელად აღუდგეს,
120 გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღასრულებდეს?—

ვინ არ არს მსხვერპლად განმზადებული,
თვისი სიცოცხლე ვინ არ წაჰრსწყმიდოს?
ოლონდ სიამე მას მოუსყიდოს,
124 ვის მიერც უკრთის სურვილით გული!

ვისდამი სუნთქვა თვითოეული,
თვითოეული გულისა ძგერა!
არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი,
128 იგი ჩვენს ფიქრსა საღ განეშორა².

¹ წაშლილია ვარიანტი: მაშინა მოჰფენს ვარდიცა უმეტეს სუნნელებათა.

² ოთხი ტაეხი („ვისდამი სუნთქვა“ და შემდეგი) ავტოგრაფში აშინაზა მიწერილი.
დედანში წაშლილია მიმდევრო ტაეხები, მისი პირვანდელი ექვივალენტი:

(მის სახე. მის ხმა თან არა გვდევსა)

ვის სახე, ვის ხმა ყველგან მარადის

ვინა სადა ბედმა გარდაგვეყარნესა

განუშორებლად ჩვენს ფიქრს თანასუბდევს.

ამ ტაეხებიდან ორი უადგილოდაა შეტანილი 1928 და 1935 წწ. გამოცემათა ტექსტებში (მდრ. შესაბამისი ადგილი).

როს ვარდის სუნთქვა მოაქვს ნიაესა,
არა ვგრძნობთ სატრფოს ტბილსა სუნთქვასა?
ანუ როს ვჰხედავთ ვარსკვლავსა დილის,
132 მომთქუნსა ნათლის და მკრთოლვარესა;

ვინ არ ვჰსცნობთ მასში სატრფოსა გულის,
სიამოვნებით მომცინარესა? —
ვინდ ჟამსა ძილის თვალთა დახშულსა,
136 წამსაჲ იგაჲე წარმოგვიდგების;

მაშინ სიზმარი ჰსჯობს სიცოცხლესა,
და სინანულით განგვეღვიძების — 1.
მაშა სატრფოსთვის კვალადღა ერთგზის
140 ფილა სახეჲ შევსვათ წყურელით,

ვისურვოჲ რომე მის ცრემლნი კმუნვის
განშრეს ერთ ლეინო ამა ფიალით!
დღენი შეებისა მისთვის არა ჰსწყდეს 2.
144 ჰშვენოდეს მარად სიამის ნათლით!

ახ! სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჩნდეს,
რომ ენა ვებმოდეს მეტ სიზარულით. —
ჰე, ჩემო ღმერთაჲ! აჲ შენ მოგმართავ, კვალად ისმინო შორით სიტყუანი!
148 ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა, იღუმალთ ოხრვათ ხარ შენ საგანი!

თუ არა შენზე, უბნობდეს სხვაზე? უწყოდეს ჩემი ენის როტუანი!
ვაი თუ ჩემმან, გლახ შეემან ბედმან, აჲ განმისახლერა მეტ აღსასრული
ვაი თუ მოვჰკვდე ესრეთ ყარობად, გულს არ დამეცეს სატრფოსის ცრემლი!
152 არ მესმას შენი, ხმა საამური, სიკედლის ჟამის დამატკობელი!

არა ვემთხვიო ბაგით ძლიე ცოცხლით, უკანასკნელად მშვენიერს შენს ხელს;
რომ სახე შენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
მუნ სანუგეშად, მუნ საშეებლად, და რათა მითვე ვჰსცნა უკვდავება.
!56 რაა ვინდ მოვჰკვდე! მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა წარაჰყვება!

უკვდავება არს სულის დატკობა, რომელს დასასრულს არა ექმნების!
მამ სახე, სულის დამატკობელი, იმერ სოფელს არ განგეშორდების!
და სიყვარული ჩვენთ დღეთ მაშენი სიცოცხლესთანა არა დამტრდების!
160 თვარა სიყვარულს თუ დავკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?
უშენოდ თვითთა სასუფეველი, ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს.

(1827—1832 წწ.)

1 ამის შემდეგ გადახაზულია ორი ტაჲი:

ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ჩემთა უბნობად, იღუმალთ ოხრვათ, ხარ შენ საგანი!
თუ არა შენზე, უბნობდეს სხვაზე, უწყოდეს ჩემი ენის როტუანი!..

2 ვარიანტი იქვე: საამო დღენი მისთვის არა ჰსწყდეს.

„მ ტ ი რ ა ლ ს ნ... ს“ — იგულისხმება ნინო ჰევქვიაძე-გრიბოედოვისა. ლექსი დათარიღებულია 1829 წლით. სწორედ ამ წლის 30 იანვარს მოკლეს თეირანში მისი მეუღლე ა. გრიბოედოვი, რომელიც რუსეთის სრულუფლებიან ელჩად მსახურობდა ირანში.

„მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი“ („ ა ნ უ მ ა ს მ ე ე ღ ვ ი ნ ო ს...“) — მუხამბაზი ეწოდება ხუტაეპიანი სტროფებისაგან შედგენილ ლექსს, რომლის ტაეპთა, მარცვალთა და სტროფთა რაოდენობა ქართულ პოეზიაში მკაცრად განსაზღვრული არაა.

„ი ა რ ა ლ ი ს“ — ლექსი ეძღვნება იარალი შანშიაშვილს, რომელიც ქართველ ბატონიშვილებთან ცხოვრობდა რუსეთში. იგი იყო მომღერალი და თარზე დამკვრელი.

„მ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი კ ი ც ხ ე ი თ ა...“ — დაწერილია 1832 წლის შეთქმულების პერიოდში და პოეტის პოლიტიკურ თვალსაზრისსა და მებრძოლ განწყობილებას გამოხატავს.

„პ ე, ი ე ე რ ი ა ე!“ — დაწერილია 1832 წლის შეთქმულების პერიოდში და ეს ლექსიც ავტორის მებრძოლ სულისკვეთებას ადასტურებს.

„ჩ ე მ ს და ს ე ფ ე მ ი ა ს“ — ეს ელეგია ეძღვნება პოეტის დას ეფემია დიბიტრის ას. ორბელიანი-ბარათაშვილისას. (გარდაიცვალა 1848 წ.).

„მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი“ („ს უ ლ ი თ ე რ თ ნ ო...“) — ლექსში მოხსენებული პირება თვით გრ. ორბელიანის მიერვეა დახასიათებული ტექსტის სქოლიოებში.

„დ ი მ ი ტ [რ ი] ო ნ [ი კ ა შ ვ ი ლ] ი ს და რ დ ე ბ ი“ — ამ ლექსის ლირიკული გმირია გრ. ორბელიანის თანამედროვე, ცნობილი მოქეიფე და ყარაჩოღელი XIX ს. 50-იანი წლების თბილისში.

„მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი“ („გ ი ნ დ მ ე ძ ი ნ ო ს...“) — ამ ლექსში გამოყვანილია განთქმული ყარაჩოღელი, მეთევზე და მოკრივე ლაშიანა. ჩ ა მ ჩ ი-მ ე ლ ქ ო, რომლას ლექსიდანაც აღებულია ერთი ტაეპი ეპიგრაფად, ფსევდონიმი თბილისელი მოლექსის მელქო გულქანოვისა (ცხოვრობდა XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. 20-იან წლებში).

„პ ა ს უ ხ ი შ ვ ი ლ თ ა“ — დაწერილია 70-იან წლებში, ე. წ. „მამათა და შვილთა“ გაცხარებული პოლემიკის დროს (რაც უნივერსიტეტის დაარსების საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა). ლექსი პასუხია ი. ჰევქვიაძის „გამოცანებისა“. „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტი „გამოცანების პასუხის“ სახელწოდებით (1872 წ.) გაცილებით მკაცრია. შერბილებული სახით ეს ლექსი ავტორმა დაბეჭდა 1874 წ. „ცისკარში“ (№ 7—8) „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით.

„ააკაიები“ — იგულისხმება ა. წერეთელი.

„რიონელები“ — იგულისხმება ნ. ნიკოლაძე, რომლის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო „რიონელი“.

„გოგობელები“ — იგულისხმება გ. წერეთელი.

მესხი — სერგეი მესხი, იმხანად გაზ. „დროების“ რედაქტორი.

მეველე — გაზ. „დროების“ თანამშრომლის დავით მიქელაძის ფსევდონიმი.

მელიქალები — იგულისხმება „დროების“ გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

პ ო ე მ ა „ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო“ — დაწყებულია 1827 წელს, საბოლოო რედაქცია 1870 წლითაა დათარიღებული.

ფარნაოზი — ქართლის პირველი მეფე, რომელსაც მემატიაენი ქართულა ანბანის შედგენას მიაწერენ.

შირიანი — ქართლის მეფე. მის დროს, IV ს. 30-იან წლებში, ქართველებმა მიიღეს ქრისტიანობა.

ვახტანგ გორგასალი — ქართლის მეფე (V ს. II ნახევარი).

დავითი — დავით აღმაშენებელი, გაერთიანებული საქართველოს მეფე (1089—1125).

ფეიქსი — შიშოლოგიური ფრინველი, რომელიც ცეცხლში დაწვის შემდეგ კვლავ ცოცხლდება. განახლებისა და უკვდავების სიმბოლო.

შირვანი — ყოფილი შირვანის სახანო, დღევანდელი აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ნაწილი.

დერბენდი — ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის პირას.

დიდი ორბელი — თამარის ეპოქის მოღვაწე.

შოთა უკვდავი — რუსთაველი.

ბრძენი ჰყონდიდელი — ანტონ ჰყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი.

დიდი მხარგრძელი — ზაქარია მხარგრძელი. ამირსპასალარი, გამოჩენილი სარდალი.

გამრეკელი — ამირსპასალარი, გამრეკელ-თორელი.

სინოპი — ქალაქი მცირე აზიაში (თურქეთში) შავი ზღვის პირას.

არეზი — მდინარე არაქსი.

თავრიზი — ქალაქი ირანში.

ყაფლანქუ — ადგილი ირანში.

ყაზმინი — ირანის ქალაქი ყაზვინი.

ქეთევანი — კახეთის დედოფალი, დედა თეიმურაზ პირველისა. შაჰ-აბასის ბრძანებით აწამეს ირანში 1624 წ.

ვახტანგი — ქართლის მეფე ვახტანგ VI, სჯულმდებლად წოდებული, პოეტი და მწიგნობარი. გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წ.

აზათი — აზატ-ხანი, ავღანელთა სარდალი. დაამარცხა ერეკლე მეორემ ერევანთან 1752 წ.

ახინძის ომი — 1770 წელს ერეკლე მეორემ სოფ. ასინძასთან დაამარცხა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

ნიკოლოზ დიდი — რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი (1796—1855 წწ.).

ზანგი — ზანგა, მდინარე სომხეთში, გამოდის გოგჩის (სეფანის) ტბიდან.

„უ ბ ნ ო ბ ა ჩ ე ე ნ ი“ — ნაწუეტი ამოღებულია გრ. ორბელიანის დღიურიდან „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, რომელიც პოეტს უწარმოებია 1831 წლის 9 ივნისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე, იმ დროს, როდესაც მან მთავარსარდლის გენერალ პანკრატოვის ბრძანებით კავკასიის კორპუსის დარჩეული ჯარისკაცები წაიყვანა პეტერბურგს „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისათვის“.

„მგზავრობა“, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში შეუფარავლად გამოქვეყნებულია გრ. ორბელიანის პოლიტიკური მრწამსი. „მგზავრობა“ იმ დროსაა დაწერილი, როდესაც გრ. ორბელიანი უკვე შეთქმულების წევრი იყო და აღფრთოვანებით წერდა ისეთ პატრიოტულ ლექსებს, რომლებშიც მკვეთრად გამოვლენილი მეფის რუსეთის საწინააღმდეგო სულისკვეთება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ „მგზავრობაშიც“ იჩინა თავი პოეტის პოლიტიკურმა რადიკალიზმმა. ავტორის პოზიცია ყველაზე ნათლად გამოჩნდა მის ცნობილ დიალოგში გენერალ ივანე აფხაზთან (1764—1832 წწ.), რომელსაც პოეტი სტავროპოლში შეხვდა. ეს დიალოგი ორ მამულიშვილს შორის საქართველოს წარსულისა, აწმყოა და მომავლის შესახებ მრავალმხრივად საგულისხმო, როგორც ეპოქის ყველაზე დიდი ტყიულების გამოშხატული. ამ დიალოგის მიხედვით, ი. აფხაზი ისეთივე გულმხურვალე მამულიშვილია, როგორც თვითონ გრ. ორბელიანი. არც ის არის საკვებით კმაყოფილი შექმნილი ვიწარებით, მაგრამ, ითვალისწინებს რა ისტორიულ ვითარებას, გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით, ი. აფხაზი შეგნებულად უჭერს მხარს საქართველოში რუსეთის ძალაუფლებას. იგი კატეგორიულად წინააღმდეგა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა, რადგან ხედავს, რომ არუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად ქართველი ხალხი გადაარჩა ფიზიკურ განადგურებას და რუსეთისავე გზით იგი დაუკავშირდა ახალ,

რუსულ-ევროპულ კულტურას. მისი დევიზია: „დრომ უნდა ადადგინოს საქართველო“. ამ მხრივ ი. აფხაზი ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილის თვალსაზრისს გამოხატავს, რომელმაც თავიდანვე შეგნებულად გაიზიარა რუსეთთან საქართველოს დაკავშირების აუცილებლობა და ამიტომ უფრო „ზომიერი“ პოზიცია დაიკავა.

ვრ. ორბელიანის ნაწერების ავტოგრაფები ძირითადად დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ლენინგრადის ფონდში (ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივიდან, შეთქმულების საქმეები, რვ. XXI) და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (№ 171), ხოლო პეტრის მიერ ნასწორები ხელნაწერები ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (პ. № 83, 84) ¹.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი

- A — S 2516 (ავტოგრაფული კრებული 1843 წლისა) ე. თაყაიშვილისეული ვარიანტი.
B — H 2033 (ავტოგრაფული კრებული 1843 წლისა) ბ. ვეზირიშვილისეული ვარიანტი.
C — S 2701 (ავტოგრაფული კრებული 1841 წლისა) მ. ორბელიანისეული (გუნიასეული) ვარიანტი.
D — S 2484 (მაიკო ორბელიანთან გაგზავნილი ლექსების ავტოგრაფები) საგინაშვილისეული ვარიანტი.
E — H 1115 (ავტოგრაფული კრებული 1842 წლისა) ერისთავისეული ვარიანტი.
b — ნ. ბარათაშვილის პირველ წერილში ჩართული ლექსების ავტოგრაფები.
G — პირველნაბეჭდი ლექსები („ივერია“, 1882 წ., № IV—V) გაცემოლებული ევ. ჰავეკეაძის არქივში დაცული ავტოგრაფებიდან.
F — ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემა.
K — ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემა.
P — ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1968 წლის გამოცემა.
h — ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1972 წლის განც. ცემა.
] — მაგიერ

შეშოლამება მთაწმიდაზე

ახ, მთაწმიდაო, მთაე წმიდაო, ადგილი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითა შევინობენ, როს მონამენ ცვარნი ციურნი,

4 ოდეს საღამოს დაშთვენ ამოს ციავნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყვავს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზე მდგომარეს!
ძირს გაშლილს აღმად ველსა ყვაივლინი მოჰფენენ რეცა ტაბლას წმიდასა

8 და გუნდრუქჳ ღმერთთან სამადლობელსა შენდა აღკმევენ სუნენულებასა.

¹ ტექსტი და კომენტარები იბეჭდება ვრ. ორბელიანის „თხზულებათა სრულ კრებულს“ მიხედვით (1959 წ. ა. გაწერეილისა და ჯ. კუმბურაძის რედ.).

² პირველი ვარიანტი.

მახსოვს იგი დრო, შესატრფო დრო, როს სეველიანი,
კლდევ ბინდ-მოსილო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდო
12 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და ხალულიანი!

ახ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მიმქრალუბული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი აწცა მაქვს გულსა ზედ დაჩნეული;
აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან
16 და შენს წიაღში დაფიქრ-მოსილს მიმოობითა განიბნევიან.

მე, შენსა მპვრეტელს, მავიწყდების საწუთროება;
გულის-თქმა ჩემი შენს ჩქით... იქით... ზესკელსა სადგურ!
ეძიებს, რათა დაქმთოს აქა ამოება,
20 მაგრამ ჰაერშივე განქარდების, ვერ ჰსცნობს უცნაურს!

დაფიქრებული ვიდექ სერზედა და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხარს, აღმსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ანცნი ნიაენი, ნელიად მქროლნი, ღელეთა შორის აღმოკენესოდნენ
24 და მდუმარენი შემოგარენი მით ჩემაა გულსა ეთანხმებოდნენ.

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანი!
ვინ მოგხილოს, რომელ მყისვე თვითა ფიქრთ შეება
არა იპოვოს, არ ნუგეშ-ჰყოს გულთა ვაება,
28 გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანი!

ჰსდუმენ ყოველნი არე-მარენი; ბინდი გადევრა მთისა კამარას;
მქრალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს ვით ნუკრი მისი ამარას
ვარსკვლავი მარტო, მოციმიცმარე; მისი ღიბრი არს მინახებელი,
32 მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამამშვრალი ლოცვით ქალწული.

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოლაქება!
ჰოა ადგილნო, მახსოვს, რასაც ეჭვიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;
36 მხოლოდ გული გრძნობს, თუ ვითარი ჰსძლევნით მას შეება.

ჰოა მიმწუხროო სატრფიალო, შენ დამშოი მხოლოდ გულში საშვებლად!
როს კმუნვარება მომესევისა, შენდა მოვილტვი განსაქარებლად;
როს უტყყენი ჩემნი აღმოხვრანი შემომახვევენ ფიქრიანობას,
40 მაშინ მზირალნი შენზედან თვალნი ითხოვენ შენგან მისთვის მისნობას!

[1833 წ.]

ღამე ყაბახუად !

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
თალხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის.

¹ პირველი რედაქცია, რომელიც ჩართულია გრ. ორბელიანთან მიწერილ წე-რილში, იბეჭდება იონა მეუნარგიას პუბლიკაციის მიხედვით („დროება“, 1885, № 114). მას უძღვის უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით მიმართვა „და გ...სთან“, რომელიც დაბეჭდილია ამავე წერილთან ერთად.

- ბევრჯერ მინახავს სახე შენი შევნიერებით —
- 4 ძველის ახალთან, ახლის ძველთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ლამე, როს მთვარე შუქით
მოჰფენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით,
და მომდინარე მკველებითა ხუვილით მტკვარი
- 8 ზვირთთა ალატყვევლს შორით სმენად დასამტკობობარი

- ამგვარი იყო ის ლამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
- 12 პირად-პირადად სეირნობდენ კეკლუც-მო.ილნი
და მათ გარემო შეპფრფინეიდენ ყმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწინებით ღრუბელთ ეფარა,
- 16 რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.

- „თქვი რამ“, იტყვიან, „ყაფლან, ყაფლანი“, ზოგნი ქალები,
„თენად თავა უფლად! ახლა პრანქვას ნუ კი მოჰყვები“.
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაილილინებს
- 20 გულის საკედავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ გსმენიათ მის ღმობით თქმა, რომ მყის სევედები,
კეკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკვიდრები?
კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკაკებს
- 24 და მას ნიათი არე-მარეს შეამუსრკებს.

- უეცრად მარჯვნივ დავინახე თეთრ-კაბიანი,
მათ შორის მდგომი, ვინ მიმხადა მსწრაფლად ცნობანი.
არ ვიცი, ამ ღროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
- 28 სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვქკარ, და ახლა ერთი
ღვას აქა მწყაზრად, ვით ქურციკი, ვეფხვთა შორისა.
- 32 ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა.

- თვალი შემასწრო მან ამ ღროს მე და შემომლინა,
ამან გამამხნო, და გულის-ძგერით წარესდგევი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ, რომ მე მეღირსა კვალად
- 36 სანატრი ჩემთვის ნახეა თქვენი აწ მხიარულად“. —
„გმადლობთ“, მითხრა მან, „რომ თქვენ მაინც ვახსოვართ კიდევ,
ახლა მოდაა — ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ.“ —
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
- 40 ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოენას და ვერც ღროები“.

- ამა სიტყვაზე ვარდი ღაწეთზედ მყის აეფურცლა;
ამ ღროს ნიაემანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ღამაზად მოჩნდა,
- 44 რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვისდა.

ამ დროს მათემატიკაში შექმნილი ალგებრაობისა, რომელმაც ჩემს გულს სანდომობით შეება მოკლეს; მაგრამ სხვა მენით მიხმობდა სატრფოსა ქალსა.

48 რომელი მყისვე მიეთარა. ნათელი—თვალსა:

[1836 წლის ზაფხული]

შემოღება მთაწმიდაზე

დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ., № 1.

1. აბ. მთაწმიდა. მთავ. წმიდაო C: მთავ. წმინდავ BP.

2. დამათქვამელი ABC. 3. შევნიან AEKP. 5. იდუმალობა CF (E-ში ყოფილი იდუმალობა, შემდეგ გასწორებულია: იდუმალობა). 7. ვითა]რეცა CBEF. 9. ნაღვლიანი] სეველიანი C (E-ში ეს სიტყვა წაშლილია და თავზე მიწერილია: ნაღვლიანი). 13. აქ] ახ CE. 16 და მიემწყვდარსა შესა ჩიადში მიმოობითა განიბნევიან CE (E-ში ეს ტაეპი წაშლილია და ჩაწერილია ტრადიციული ვარიანტი. 18—20 CE ავტოგრაფებში იკითხება: გულს-აქმა ჩემი შეს იკითა... ზესენელსა სადგურს ეძიებს, რათა დაშთოს აქა ამოება... მაგრამ პერშივე განქარვდების, ვერ მსენობს უცნაურს (E-ში ეს ტაეპი გადახაზულია, თავზე აწერია მოკვდაკნი, შემდეგ ეს სიტყვა გადახაზულია და დაწერილია ვერ მსენობენ. 19. სამყოფთ BFP, დაშთოს B. 20. მსენობენ ABEP. 22. აღმსები C. 23. მხოლოდ ნიავნი ნელიად მქროლი CE (E-ში წაშლილია და გასწორებულია). 24. და ზოგჯერ ჩუმნი] და მღუმარენი CE. 27. იპონოს P. 27. დახსნას KP. 29. მსღუმდა ABEP; მსღუმენ ყოველი არგმარენი CE (E-ში გასწორებულია არსებული ტრადიციით). 30. 1972 წლის გამოცემაშია (ა): „ამარ“, რაც კორექტურული შეცდომაა: 30 მოპადევს BE; მისსა C. 31—32. ვითა უბიწი და შევნიერი სული ლოციითა მიიქანცება და სახე მისი ამქვეყნიერი, მით უფრო შვენი ვაციურდება. მას ჰკვანდა მთარე შექმნიბინდული დისკო ვაესლი, მინახებელი CE. (E-ში ტაეპი გადახაზულია და ამაზე დაწერილია ახალი: „გინახავს სული ყოით უმანკო წრფელითა“; უკანასკნელი სიტყვა შეცვლილია: „მხურვალე“). 32. ნახად მოარე] სახე მოსრილი E; ნახად მოარე ABE; შექ მიბინული E. 34. ვეიქრობდი E. 36. ზოგ ავტოგრაფსა და ნუსხებშია სული. ზოგში კი გული. 3. ინგოლიყვან 1968 წლის გამოცემაშია სული, სერალოდ დასადგენია, რომელი მთავანი უნდა დამკვიდრდეს. 36. მსღუმენით ABCEP. 37. პოა საღამო, მყედრო, საამო C.

ძინა გრ...სთა

დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიამში“, 1862 წ., № IV—V.

ღამე შაბანზე

დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიამში“, 1862 წ., № IV—V.

9. აქ-იქ] აქ-იქ C. 15. მსტყვი CG. 20. ანლოდეს CG. 26. მოპკეარ CG. 27. მსღვას CG. 30. წარვმსდევი C. წარვდევი G. 33. ჰმალღობთ G. 36. მამიშლიან CG.

შიქანი მტკერის პირას

დაიბეჭდა „სისკარში“. 1862, № 1, სათაურით: „შიქანი მტკერის პირზე“, სათაური „შიქანი მტკერის პირას“ დადასტურებულია სამ ავტოგრაფში:

1. 1841 წელს შეკრებულ ავტოგრაფულ კრებულში, რომელიც მაიკო ორ-

ბელარუსის ვაუგაზენია პოეტს, S—2701 (C); 2. 1842 წლის კრებულ-ავტოგრაფში. მგონის ევემპლარი. ცნობილია ერისთავისეულ ვარიანტად, H—1115 (E) და 3. 1843 წელს შესრულებულ ავტოგრაფულ კრებულში, S—2516 (A). „ფიქრნი მტკვრის პირზე“ კი დამოწმებულია: 1. 1843 წელს შესრულებულ პოეტის ლექსთა ავტოგრაფულ კრებულში, ბარბარე ვეზირიშვილისეულ ვარიანტში, H—2033(B); 2. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემაში (პირველი გამოცემა); 3. დაიხტ რექტორის მიერ შედგენილ კრებულში უცნობი პირის მიერ ჩაწერილ ნ. ბარათაშვილის ლექსებში; S—1512 და 4. უცნობი პირის მიერ შესრულებული ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის ნუსხის ნუსხაში, H—772. ზოგიერთ ნუსხაში გვხვდება აგრეთვე „ფიქრები მტკვრის პირზე“, „ფიქრი მტკვრის პირზე“ და სხვ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრიტიკულ გამოცემებში გვხვდება, როგორც პირველი — „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1939, 1945, 1972 წწ. გამოცემებში), ისე მეორე — „ფიქრნი მტკვრის პირზე“ (1968 წლის გამოცემაში) დასათაურება.

1. წყლისა F. 2. აქ („აქ ვეძიებდი“), 3. აქ („აქ ლბილს“), 4. აქაც („აქაც ყოველი“) მუნ („მუნ ვეძიებდი“), მუნ („მუნ ლბილს“), მუნცა („მუნცა ყოველი“). C. ამრიგად, პოეტს 1841 წლის შემდეგ შესრულებულ ავტოგრაფებში არქაული სიტყვები „მუნ“, „მუნცა“ ყველგან შეუცვლია ახლით: „აქ“, „აქაც“. მე-5 და მე-6 ტაეპები C-ში (1841 წლის ავტოგრაფში) იკითხება: „ლურჯად მოღელავს და ღუღუნებს მტკვარი ანკარა. ფერ-მკრთლად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა“. ასეთივე რედაქციით შესულა იგი E-ში (1842 წლის ავტოგრაფში). მაგრამ, აქ პოეტს ჯერ წაშლია მე-6 ტაეპი („ლურჯად მოღელავს და ღუღუნებს მტკვარი ანკარა“) და მის ნაცვლად დაუწერია: „მშვენიერებთ ჰკრთის ლაევარდი ცისა კამარა“, შემდეგ ორივე ტაეპი მე-5 და მე-6, ძველი და ახალი მთლიანად გადაუხაზავს და მარცხენა მხარეს დაუწერია: „ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა და მის ზვირთებში კრთის ლაევარდი ცისა კამარა“. 10. მრავალთა დროთა C. 16. უძღველნი მებრძოლენი CE (E-ში წაშლილია „მებრძოლენი“ და დაწერილია: „უძღველნიც“). 18. F-ში იკითხება: „არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს, რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება“. 19. ჰმფოთვენ და დრტვივენ იგინიც დრტვივენ C. 24. მისია ფიქრი C. 26. შთამამაელობას ABCE. 27. ეს ტაეპი დასაზუსტებელია 28. ჰსთქვას ABCEF. 32. და სოფლისთვის არა იზრუნვოს] და სოფელს კი არა რა არგოს F.

თავადის ზ... ძის ახულს ექ... ნახ

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1860 წ., № 9, სათაურით: „თ. ე. კ.“.

8. მოჰსცეს ABEF.

„ვარდი და ბულბული ლექსია სამღერალო, რუსულიდამ ნათარგმნი თ-ის კაეპქეაძისავან“ (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).

სული ობოლი

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1860 წ., № 11.

2. ჰსიხის ABEF. 4. დაჰკარგოს F; 15. ჰსწორისა ABEF.

ჩემი ლოცვა

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1852 წ., № 4.

6. ჰსცოდა ABEF.

არ უპივინო საბრფოო...

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1863 წ., № 12, სათაურით: „ჩემს სატრფიალოს“.

8. სიცხითა] ღამისა D; 12. განსათავებლად] გასათავენლად B გამთბუნებლად F; 13. პრკო D; 20. დაჰსდვან ABEF.

პოვე ტაპარი

დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წ., № 5, სათაურით: „ფანტაზია“.

1. შესაფარი] შესწყყნარი B. (E-ზე ეს სიტყვა გადახაზულია ფანქრით და თავზე დაწერილია „შესაფარი“. 7. სიავით] ბოროტით BDE; 9. შეეჰსწირავდი ABDEFB. 10. დავჰსდებდი BD; 17. მჰსწრაფლად ABDE; 19. მოჰსძავდა ABEF, მოჰსძულდა D; 20. დამშთა მე მისგან მხოლოდ ცეცხლი იგი დამქრალი BD.

მეჰვარს თვალები

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1861 წ., № 1, სათაურით: „თვალები“.

8. ჰსქვერეტდეს ABF.

სუმბული და მწირი

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1862 წ., № 9, სათაურით: „ქილის ყვავილი და მწირი“.

1. სუმბული] ქილის ყვავილი D. 6. ჰსწორთა ABDEF; 8. სიყვარულის] სიოცხლის A. დასადგენია „სიყვარულის“ თუ „სიოცხლის“ — რედ. 20. უჩრდილებს BDEF; 22. მისგან შენ] რომლისგან DE, იქნებოდი BF; 34. შენებრივ DE; 36. მამხვდეს D.

რად ჰმეღარი კაცსა

დაიბეჭდა „ცისკარში“. 1852 წ., № 4, სათაურით: „ქალი“.

3. გემჰსქვალვის ABF; 4. ჰსცემ ABEF; 6. მჰსწრაფლად ABEF; 7. შენაჰსქვალედი ABF.

მირბის, მიმარანს

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1860 წ., № 6, სათაურით: „ჩემს მერანს“, „მერანი“ S.

1. თავგანწირული მხედარი E. 3. გაჰსწი ABEFB. (აღნიშნულ წყაროებში ყველგან „გაჰსწი“, „ჰსწორთა“ ფორმა დატული—რედ.) 4. სამძღვარი, სამზღვარი, თუ საზღვარი დასადგენია. აეტოგრაფთა ტრადიციას: „სამძღვარი“ — რედ. 17. ჩემს მამულში] ჩემსა მიწაში B. 18. ნუ დამიტრებს სატრფო სულისა, ნუ დამეცემის ცრემლი მწუხარის B; 20. მამაყრის ABEF. 29. ცუდათ E; ჩემის სულისა ესე კვეთება B; ეს განწირულის] ეს განწირვა E (შემდეგ წაშლილია და გადასწორებულია). 35. გაჰსწი ABEFB. თარიღი: „მაისისა 9-სა, 1842“ BE. ლექსი დაწერილია 1842 წლის აპრილში — რედ.

საზღაპი მეფის ირაკლისა

დაიბეჭდა „ცისკარში“, 1860 წ. № 7.

4. გარდმოხედო ABFB. 5. ვჰსცემ B. 8. ვჰკაბო A; ვჰსკაბო BFB. 15. ხმლით ABFB; 24. ჰსცემს ABFB.

სულთ აორობო

დაიბეჭდა „ციცკარში“, 1852 წ., № 4.

2. აღმავთორად] განამწარად B; 14. მიენალობდი, ეუმსხვერპლიდი BF.

უპვიზრობ ცრემლსა

დაიბეჭდა „ციცკარში“, 1856 წ., № 2. სათაურით: „მადლობა სიტურფისა“;
4. შექსწირავ BF; 5. ჰხარობს BF; 12. კქმნა F.

ჩ ი ნ ბ რ ი

დაიბეჭდა „ციცკარში“, 1862 წ., № 10.

3. ფოთულთ F; 6. გარდმოჰსცემენ F.

მადლი უნს გამჩინს

დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ., № 2.

3. ვსელდგმულვარ F; ვასცემ F; 5. ღარიბი] ყარიბი მოვსრულვარ F.

ბადი ქართლისა

პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი:

A — S2517 — (აეტოგრაფი, 1843—1844 წწ.) — ე. თაყაიშვილისეული ვარიანტი.

B — H2034 — (აეტოგრაფი, 1843—1844 წწ.) — ვეზირიშვილისეული ხელნაწერი.

C ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემა.

K 1945 წლის გამოცემა.

P 1968 წლის გამოცემა.

z 1972 წლის გამოცემა.

დაიბეჭდა „ციცკარში“, 1858 წ. № 9.

1. გვექსწრაფე B. 25. ბატონს თვის ჯარი] ქართველთა ჯართა BC. 26. დაება-
ნაკათ BC; სპასთა B./25-ე და 26-ე ტაეათა ანალოგიურ რედაქცია შეტანილია
პ. ინგოროყვას მიერ 1968 წელს გამოცემულ ძირითად ტექსტში—რედ. 29. აღმოჩნ-
და A; 31. ზე-დაჰნათლიდა ა. 45. შექსლაველა ა. 58, 59. მხდალსა განამხნევს, მხნეს
განაღვიძებს და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს] მხდალო, განგამხნევს, მხნე,
განგაღვიძებს და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს BCP. 63. შექრთეს ა.
66, 67. თამაზ, ენისენთ მოურავის ძე, და იოანნე, კახთ აბაშიძე“, BC-ში ემატება
„სომხითის გმირნი ყაფლანიშვილნი და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი“. ეს გვე-
რკობილი რედაქცია შეტანილია 1968 წ. გამოცემაში—რედ. 82. დაჰსდვეს B, დაჰ-
დეს C. 83. სპჩანს A; არს BC. 85. და არსად ეამთა მოწამე] და ეამთ მოწამე
საღამე BCP. 91. გარდაიციემის BC. 101. ტაეპს BC-ში ემატება: „ძველთაგან ასრე
ნაამბობია, რომ ზოგჯერ ზერხი ღონეს სჯობია“. აღნიშნული ტაეებში შეტანილია
1945 და 1968 წლის გამოცემათა ძირითად ტექსტშიც. 120. ჰსნა ABC; სიმუნთლე
BC. 121. სიმდაბლე BCP. 138. ნაპირნო] აღგილნო BCP. 148. შექსძახებს ABC;
149. გამწვანებულ ABC; 150. გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა] კრიელესოხის
ართობს ქარვთა BC. 165. თათბირნი მათნი] სულით მამაცინი BCP. 178. ზე] ზედ
BC. 181. განეუმზადებდი ა (ABC-ში „განეუმზადებდი“); 182. მე რა მამაყარეს
BCP. 183. მე ჩემთა ძეთა] ჩემმა შეილებმა BCP. 185. გული] სული BCP.

186. ამავობითა BCP. 191. ერთიერთს ჰბარკვენ] ერთმანეთსა ჰკელენ BC; ჰბარკვენ ა. 195. რომ] რაც BC. 196. აბა,] მარქვი, BCP. 196. ვხედავ] ჰხედავ BCP. 198, 199. პოი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად წულარ განსწორავ ქართველთა ტანჯვად! ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ წულა მოველენ საწყალთა ქართველთა... BCP. 206. მასკ მსურს რომ] მას მინდა BCP. 210. ჰსკეროდა ABC. 220-222. სახელმწიფოსა ერთობა სჯულის არარას არგებს, ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს]. სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს. BCP. 234-235. და, მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი, მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი,] და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს, მაშინ მან უწყის, რაც მოავგაროს, BCKP. 242. ექთქობ ABC. 252. დასკერდა ABC. 269. ჰსთქვი ABC. 274. ჩემსა] მე ჩემს BC. 280-ე ტაჰს BC-ში ემატება: „ბოლო ივერნი მამულს ჰკლოვობდნენ“, იგი ჩართულია KP-შიც. ეს ტაჰი ავსებს ობოლ რთობას („განსამართლებდნენ — ჰკლოვობდნენ). 289. ყმაწვილობის BCP. 300. კიდე] კვალად BCP. 302. ვსცნა ABC. 308-ე ტაჰს ემატება: „და მომავლმან აწ ქალაქისკენ გამოიარა თავის სახლისკენ“ BC. იგი ჩართულია KP-ში. 312-324-ე ტაჰები: „ერთს კაცს მოჰმადლებ...“ ვიძრე: „ერსა ეყუთენის გულის-თქმა მეფის“... უერნად „ცისკარში“ არ არის დაბეჭდილი, იგი ამოულია ცნებურა. 302. ჰაზრთა. 309. ჰაზრთაგან. 312. მოჰმადლებ 313. ჰმონებენ. ა. 324. მეფის გილის-თქმა ერსა ეყუთენის BCP. 331. შეჰმფთოთ] უყუა BCKP. შეჰმფთონა A. 336. მიხედების KP. 402. ვაჰკარდეს ა. 410. ჰხედავს ა. 412. ჰსუფევს ABC. 415. ვაღარჰა ა. 416. აღივსო კვალად ერთი ტფილისი BCP. 417. ჰსცნა A; ჰსცნეს BC; ცნეს P. 428-429] დიდი ხანია გულს ირაკლისა გარდუწყევტია ბედი ქართლისა! BCKP.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ავტობიოგრაფიები და ნუსხები

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამწერლო მოღვაწეობა განისაზღვრება 12-ოდე წლით (მისი პირველი ლექსი თარიღდება 1833 წლის 18 მაისით და უკანასკნელი — 1845 წლის თებერვალ-მარტით). სამწუხაროდ. მან თავისი ლექსების ვერც ერთი ტაჰი ვერ ნახა დაბეჭდილი. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ საქართველოში მძიმე რეჰეიმში დამყარდა. იმხანად მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა ქართულად, მათ შორის ორად ორი პოეტური თხზულება — ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესიანი“. 1833—1845 წლები იყო ჰევდვითი სიტყვია სიღატაკის ხანა. მამინდელი მოღვაწე თაობა იძულებული ვახდა დაეკაყოფილებულიყო ხელნაწერა უერნალების გამოცემით, საოჯახო აღბობების შედგენითა და ღებრატურულ შეკრებებში მონაწილეობის მრლებით.

ნ. ბარათაშვილი ლექსებს ხელნაწერების სახით ავრტყელებდა: 1840-იანი წლებადან მან დაიწყო კრებულების შედგენა და მეგობარ-ნათესავეებს შორის ვავრტყელებდა. დღეისათვის ცნობილია რამდენიმე ასეთი კრებული: ქაიკო ორბელიანისეული, ეკატერინე ქავჭავაძისეული (1841 და 1843 წლებისა). ქეთევან ორბელიანისეული (იგივე ბარბარე ვეზირიშვილისეული), ქეთევან ერისთავისეული (რომელიც 18/6 წელს დამწვარა) და თვით პოეტისეული შავი სამეშაო ცალი. რომელიც დღეს ბარბარე ერისთავისეულ ვარიანტადაა ცნობილი. ეს კრებულები ხელიდან ხელში ვადადიოდა და სხვადასხვა ნუსხად მრავლდებოდა.

ნ. ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვის იდეა პირველად ჩასახულა 1846 წლის 14 იანვარს, როდესაც პოეტის მეგობრები შეკრებილან რეჰევაზ ანდრონიკაშვილთან სადილად. ნინოობა დღეს. იმავე წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი, ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი, გრიგოლ

ორბელიანს სწერდა: „14 იანვარს (კნეინა წინოს დღეობაზე) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველი რევებ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად. ჩვენთან იყო ყაფლანიც (იგულისხმება მომღერალი ყაფლან ორბელიანი; მას ნ. ბარათაშვილი იხსენიებს ლექსში „ღამე ყაბაჩხედ“), რომელსაც ვთხოვეთ «სულო ბოროტო» ემღერა, მაგრამ, წარმოიდგინე. არც იმან და არც ერთმა ჩვენგანმა არამცთუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი, არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შეეწუხდით, რომ განსვენებულის მშვენიერი ნაწერები იკარგება. მაშინვე განვიზრახეთ განსვენებულის ყველა ლექსები დავბეჭდოთ ჩვენის ხარჯითა“... .

მეორე დღიდანვე ამ თაოსნობას სათავეში ჩაუდგა თვით ლ. მელიქიშვილი: მან გამართა ხელმოწერა, ხუთ დღეში შეაგროვა ათასი მანეთი, შეუდგა ნ. ბარათაშვილის ნაწერების მოგროვებასაც. განუზრახვთ კრებულის გამოცემა ერთ წიგნად პოეტის სურათითურთ. საამისოდ მელიქიშვილს გრ. ორბელიანისთვის უთხოვია დაეწერა „წინასიტყვაობა წიგნისათვის, ბიოგრაფია განსვენებულისა და ეპიტაფია მისი ძეგლისათვის“. მაგრამ ეს წამოწყება ვერ განხორციელდა. შეგროვილი ფული მოჰხმარდა პოეტის გაღარიბებულ ოჯახსა და საფლავის კეთილმოწყობას.

პირველად ნ. ბარათაშვილის ლექსები ბეჭდურად გამოამზეურა გ. ერისთავმა 1852 წელს „ცისკარში“ (№ 4). აქ დაიბეჭდა ოთხი ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ (= „რად ჰყვედრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. მაგრამ ჟურნალის დახურვის გამო სხვა ლექსების პუბლიკაცია იმავე წელს შეწყდა. მისი განახლება შეძლო ივ. კერესელიძემ 1857 წლიდან, როდესაც „ცისკრის“ ხელახალი გამოცემა დაიწყო. ამ დროიდან 1876 წლამდე (ე. ი. ბარათაშვილის ლექსების კრებულად გამოცემამდე) „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“ გამოქვეყნდა 25 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. მათი პირველი ბეჭდვის ქრონოლოგია ასეთია:

„ცისკარში“ 1858 წელს დაიბეჭდა „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ („ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“), „გალობა სიტურფისა“ („შევიშრობ ცრემლსა“), „ჩჩილი“ (№ 2), „ბედი ქართლისა“ (№ 9); 1860 წელს — „ფანტაზია“ („ვპოვე ტაძარი“) (№ 5), „ჩემს მერანს“ (№ 6), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (№ 7), „ჩემს ვარსკვლავს“ (№ 8), „თ. ე. ჰ.“ („თავადის ჰ...ძის ასულს ეკ...ნას“) (№ 9), „საყურე“ (№ 10), „სული ობოლი“ (№ 11), „სატრფოვ, მახსოვს“ (№ 12); 1861 წელს — „თვალეზი“ („მიყვარს თვალეზი“) (№ 1), „ჩონგურს“ (№ 3), „აღმოხდა მნათი აღმოსავალს“ (№ 6); 1862 წელს — „ფიჭრი მტკვრის პირზე“ (№ 1), „ნაპოლენი“ (№ 2), „ხმა იღუმალი“ (№ 3), „ჩემთ მეგობართ“ (№ 5), „სუმბული და მწირი“ (№ 9), „ჩინარი“ (№ 10);

1863 წელს — „ჩემს სატრფიალოს“ („არ უკიენო, სატრფიო“) (№ 12).

„საქართველოს მოაზრება“ 1863 წელს დაიბეჭდა „შემოღწევა მთა-წმინდაზე“ (№ 1) და „მადლი შენს გაჩენს“ (№ 2). ხოლო „კრებულში“ 1872 (№ 7) და 1873 (№ 2) წლებში — „ზვირთები მოდუღუნებენ“ („ქვე-თევან“) და „დამქროლა ქარმან“.

ამ პირველნაბეჭდი ლექსების დედნებია ნ. ბარათაშვილის ავტო-გრაფები ან სანდო პირთა მიერ ავტოგრაფებიდან გადაწერილი ნუსხე-ბი. ამას ადასტურებს ტექსტების შედარება და პ. უმიკაშვილის ფოიად საყურადღებო ცნობა. რომელიც დაცულია მის ერთ-ერთ ავტოგრა-ფულ კრებულში: „ცისკარში“ რაც ბარათაშვილის ლექსებია დაბეჭ-დილი 1860 წლის დაწყებიდან. ეს ლექსები ჩემის ნაწერიდან არის. 1860 წლის წინა კი არ ვიცი, საიდან დაუბეჭდიათ. მე გადმოვწერე აღ-გქსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილი რვეულითგან, რომელშიც, ნახსოვს, მოხსენებელი იყო, რომ სარდიონ ალექსიევი-მესხივეის რვე-ულითგან გადმოვწერეო. ის რვეული გიორგი ჩიქოვანსა ჰქონდა და ილია ჭავჭავაძეს, ვგონებ, დაუქარგავს. იმ რვეულში ყველა ლექსი იყო, რაც მიწახავს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი, ერთს გარდა. რომელიც „კრებულის“ 1873 წ. პირველ (უნდა იყოს მეორე) ნომერშია (იგულის-ხმება „დამქროლა ქარმან“). ამას გარდა, იქვე იყო „ჩინარი“, რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“ 1862 წ. ოქტომბრის ნომერში“.

პ. უმიკაშვილი ამასვე წერს ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის მისეულ ხელნაწერ რვეულში, რომელიც დაცულია ცენტრარქივის ძველ-ქართული ხელნაწერების კოლექციაში 820 №-ით.

ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი შეიტანა თავის ცნობილ „ქრისტომატიანში“ დ. ჩუბინაშვილმა და კ. ლორთქიფანიძემ მის მიერ პეტერბურგში გამოცემულ „ჩონგურში“.

1876 წელს გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი გა-მოცემა. რომელშიც დაბეჭდილია „ბედი ქართლისა“ და 30 ლექსი, ნათ შორის — ორი ახალი ლექსი — „შენნი დალანი“ და „კნიაზ ბარათა-ვეის აწარფეშაზედ“. წიგნმა დიდი ინტერესი აღწრა მკითხველ საზოგა-დოებაში. გაზ. „დროება“ დაბეჭდა გ. თუმანიშვილის ვრცელი რეცენ-ზია (1876 წ., № 60—61).

1879 წელს ეს გამოცემა ხელახლა გადაიბეჭდა უცვლელად. მას მოჰყვა 1886 წელს მესამე შევისებული გამოცემა (ტექსტები დასაბეჭ-დად მოამზადა პ. უმიკაშვილმა). მასში შეტანილია პოეტის რვა წერი-ლი და ხუთი ლექსი, რომლებიც იონა მეუნარგიამ აღმოაჩინა ეკატერინე ჭავჭავაძის არქივში („ივერია“, 1882 წ., № 4—5).

1890 წელს ზ. კიკინაძემ გამოაქვეყნა მეოთხე გამოცემა. მან პოე-ტის კრებულს დაუმატა ორი ადრე დაბეჭდილი ლექსი — „მწროდე კაქვასო“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ამის შემდეგ 1915 წლამ-

დე, როდესაც დ. კარიჭაშვილმა აღმოაჩინა ეპიგრაფა -- „ელენეს და მარიაჰს“. პოეტის ნაწერებს აღარაფერი მიმატებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირად წერილებს, რომლებითაც შეივსო 1895 წლის გამოცემა. ეს უკანასკნელი კი (რედაქტორები იყვნენ ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი) მომზადებულია დასაბუქდად მოკლე ფილოლოგიური აპარატი იმდროინდელ მეცნიერულ დონეზე და თავისი ღირსებით ყველა წინა გამოცემაზე მაღლა დგას. მეცნიერული მნიშვნელობა მას არც დღეს დაუკარგავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მწერალ-მოღვაწენი დაინტერესდნენ ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული საკითხებითაც (ისინი შეუდგნენ პოეტის პირადი წერილების პუბლიკაციას). ამ მხრივ გზა გაკვალა ილია ჭავჭავაძემ. 1872 წლის 9 დეკემბერს მან კირილე ლორთქიფანიძეს გაუგზავნა ჟურნ. „კრებულში“ დასაბუქდად ნ. ბარათაშვილის ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი ასეთი შენიშვნით:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ქრთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის. ის ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, X, 1963 წ., გვ. 27—28).

ეს წერილები დაიბეჭდა ილნიშნული შენიშვნით 1873 წლის „კრებულში“ (№ 1). იმავე წლის „კრებულის“ მესამე ნომერში პ. უმიკაშვილმა გამოაქვეყნა პოეტის ოთხი — III, IV, V, VII წერილი. მათ ერთვის რედაქციის შენიშვნა: „ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბუქდად გადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“.

დასახელებული რვავე წერილი ნ. ბარათაშვილის ლექსებთან ერთად გამოქვეყნდა 1886 წელს, მესამე გამოცემაში. ამის შემდეგ ლექსებისა და წერილების პუბლიკაცია ტრადიციად დამკვიდრდა.

1885 წელს იონა მეუნარგიამ გრ. ორბელიანის არქივში აღმოაჩინა გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ორი წერილი, რომელიც მან იმავე წელს გაზ. „დროებაში“ (№ 114) გამოაქვეყნა.

1893 წელს, როდესაც ქართველი საზოგადოება ნ. ბარათაშვილის ნეტის გადმოსასვენებლად ემზადებოდა, ჟურნ. „კვალში“ (№ 7, 10, და 11) პ. უმიკაშვილმა დაბეჭდა ქართული თარგმანები ოთხი წერილისა მიხ. თუმანიშვილის და ზაქარია ორბელიანისადმი, ხოლო ორი წლის შემდეგ (1895 წ.) იგივე ოთხი წერილი თარგმანების გარეშე გამოაქვეყნეს პოეტის თხზულებათა მეხუთე გამოცემაში ე. თაყაიშ-

ვილმა და დ. კარიჭაშვილმა. ამის შესახებ „კვალის“ ახალი ამბების მიმომხილველი იუწყებოდა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ „შეუკრებია პოეტის ნ. ბარათაშვილის დაუსტამბავი წერილები და აპირებს მის გამოცემას“ (1895 წ., № 19). აღბათ, ამ „დაუსტამბავ წერილებში“ იგულისხმებოდა სწორედ ის ოთხი ახალი წერილი, რომლებიც დაემატა 1895 წლის გამოცემას წინა ორ (1886 და 1890 წლების) გამოცემასთან შედარებით.

ასეთია მოკლედ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბეჭდვის ისტორია XIX საუკუნეში.

1876—1895 წლებში ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ხუთი გამოცემა. იმავე წლებში გაცხოველდა ძეგლი ნ. ბარათაშვილის ხელნაწერების შესაგროვებლად. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მისი მესვეურები და აქტიური წევრები: გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ზ. ჰოჭინაძე, ი. მეუნარგია, ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი. მათ ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ პოეტის ნათესავები და თანამედროვენი. ეროვნული მნიშვნელობის ამბავი იყო, რომ 1893 წელს ქართველმა ხალხმა დიდებით გადმოსაცენა განჭიდან ნ. ბარათაშვილის ნეშტი და მშობლიურ მიწას მიაბარა. რკინიგზის სადგურზე თავმოყრილმა ხალხმა მუხლი მოიდრია სათაყვანებელი პოეტის ნეშტის წინაშე და ამით უკვდავების გვირგვინი დაადგა თავის ეროვნულ ღირსებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მწერალ-მოდერნიზმმა, ნ. ბარათაშვილის გენიის ასეთმა დიდმა დამფასებლებმა, ვერ შესძლეს მისი ყველა ნაწარმოების, ყველა ავტოგრაფისა და ნუსხის თავმოყრა. ჯერ კიდევ 1883 წელს ი. ჭყონია გაზ. „დროებაში“ (№ 264) წერდა: „...ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის და სხვათა ნაწერების ბედი ძლიერ გვაშინებს. . . ამ დღეებში «ციცკრის» ერთ-ერთს ნომერში (თებერვლის წიგნი, 1858 წ.) ლექსთა განყოფილებაში წავაწყდი ერთ ლექსს (ლაშქრობა ქართველთა კავკასზე) „ბედი ქართლისას“ ავტორისას. ვინ იცის, რამდენი ამისთანა და ამაზე უკეთესი ნაწარმოები დარჩა უდროოდ მიცვალებულის ნიქს ნ. ბარათაშვილისას და როგორ უწყალოდ ჰხრავს მათ თავგთა რაზმი პოეტის ვერდამფასებელთა კერძო პირთა სკივრებში“....

ი. ჭყონიას შიში ნაწილობრივ გამართლდა. ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ერთი ნაწილი დაკარგულია. არსებობს კ. მამაცაშვილის ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილს დაწერილი ჰქონია პოემა „ივერიელი“. იგი 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 206) წერდა: „მასსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუკითხავს — „ივერიელი“. ამ პოემაში იყო აღწერილი აყვავებული ცხოვრება მე-10, მე-11 და

მე-12 საუკუნეებისა“. 70-იან წლებში ზ. ჰიჭინაძეს თბილისის ბაზრობაზე ერთი მეწვრილმანისაგან შეუძენია ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილი რვეული ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. იმავე მეწვრილმანეს ჰქონია მეორე რვეულიც, რომელშიც თითქოს მოთავსებული ყოფილა პოემა „ივერიელნი“. იგი მას იმჯერად ვერ უყიდა. მაგრამ, მერმე რომ მისულა, ველარ უპოვიათ. დაკარგულია აგრეთვე „ასტრა“ (სატრფიალო ლექსი, მიძღვნილი ლაბიელის ქალისადმი), ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, რომელიც პოეტს რუსულიდან უთარგმნია; რუსული სტატიები — „Письмо из деревни“ და „О папской власти (I. О возвышении папизма, II. О падении его)“, რომლებიც გამოუქვეყნებია მ. თუმანიშვილს ხელნაწერ ეურნალში „Цветок Тифлисской гимназии“, ყრმობისდროინდელი ეპიგრამები, რომლებსაც ძლიერ აუღელვებია მაშინდელი ჩინოვნიკობა; 1844—1845 წლების ნაწერები და ზოგიერთი ცნობილი ლექსისა და წერილის ავტოგრაფები. არსად არა ჩანს ლევან მელიქიშვილის ნაქონი ლექსები, მიმოწერა და სხვა მასალები. რომელთა შესახებ ცნობას ვეძებდეთ რ. ერისთავი; ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილი ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც ზ. ჰიჭინაძეს შეუძენია: საისტორიო ხასიათის ნაშრომი, რომელიც პოეტს პ. იოსელიანისთვის გადაუცია. და მრავალი სხვა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ზოგიერთი ავტოგრაფი (ან ნუსხა) კვლავ გამოვლინდეს ჩვენი სიძველეთსაცაუების გაურჩეველ (ან აუწერელ) ფონდებში. ცნობილია რომ ჩვენი მეცნიერებისა და მწერლების გულმოდგინე მუშაობის შედეგად გამოჩვეურდა მრავალი საყურადღებო მასალა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. მაგ.:

1924 წელს ს. გორგაძემ აღმოაჩინა ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ნაწერები, 1933 წელს გ. ლეონიძემ — ავტოგრაფი ლექსისა „ძრწოდე კავკასო“, 1935 წელს ა. გაწერელიამ — ყრმობისდროინდელი წერილი გრ. ორბელიანისადმი: 1937 წელს გრ. აბაშიძემ — ორი წერილი ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი, 1945 წელს კ. მეძველიამ და შ. ჩხეტიამ — ავტოგრაფები იმ წერილებისა, რომლებიც დღემდე პ. უპიკაშვილის ასლების მიხედვით ქვეყნდებოდა. ამასთან შ. ჩხეტიამ გულმოდგინედ შეისწავლა საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდები და აღმოაჩინა მრავალი მასალა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ეს მასალები მანვე მეცნიერულად აღწერა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა. უკანასკნელ ხანს დაიბეჭდა „შესხმა აგრიკოლასი“ (თარგმანი ერთი ფრაგმენტისა ტაციტუსის „აგრიკოლას ცხოვრებიდან“).

ამჟამად პოეტის მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს 41 ლექსს, 1 პოემას, 2 პროზაულ თარგმანსა და 18 პირად წე-

რილს. აქედან ცხრა ლექსის („ჩინარი“, „მადლა შენს გამჩენს“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, „ელენეს და მარიამს“, „ვარდი და ია“, „ნარგოზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“), ერთი თარგმანისა („Платье Шахро“) და ორი (II და XI) წერილის ავტოგრაფები დაკარგულია. მათ მაგიერობას ეწევა ნუსხები და პირველნაბეჭდი ტექსტები.

ბარათაშვილის თხზულებათა კრებული სულ ოცჯერ გამოიცა. აქედან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე გამოქვეყნდა შვიდჯერ:

1. 1922 წლის გამოცემა — „ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები“, სამსონ ფირცხალავას რედაქციით. გამოცემას დართული აქვს ი. მეუნარგიას, ე. თაყაიშვილის, გ. ჯაფარიშვილის, დ. უზნაძის, ს. გორგაძის და სხვ. წერილები:

2. 1930 წლის გამოცემა — „ნ. ბარათაშვილის ნაწერების სრული კრებული“, პ. ინგოროყვას რედაქტორობით:

3. 1937 წელს დაიბეჭდა სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში ნ. ბარათაშვილის ლექსები. ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ი. ბალახაშვილმა, რედაქტორი ი. ჩიქოვანი;

4. 1939 წლის გამოცემა — „ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები“ ი. თავაძისა და ა. გაწერელიას რედაქტორობით. მხატვარი ლ. გუდიაშვილი. აღნიშნულ გამოცემაში დაბეჭდილია გამოკვლევები: პროფ. სიმონ ჯანაშიას — „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“, ლევან ასათიანის — „ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბოლოცკი“, პროფ. ა. შანიძის — „ბარათაშვილის ენა“, გ. ნადირაძის — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლაიზევიცი“ და სხვ.

5. 1945 წელს პოეტის გარდაცვალების ასი წლისთავზე გამოიცა „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი“. გამოცემას ხელმძღვანელობდა სარედაქციო კომისია: ი. გრიშაშვილის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, გ. ქიქოძის, ს. ჩიქოვანის, ს. ჯანაშიას შემადგენლობით. რედაქტორი კ. კეკელიძე. გამოცემას დართული აქვს პ. ინგოროყვას ნარკვევი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, კომენტარები: გ. აბზიანიძის, ა. გაწერელიასი და სოლ. ყუბანეიშვილისა, ლექსიკონი — ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის, კ. კეკელიძის წერილი „გამოცემისათვის“ და სხვ.

6. 1968 წლის გამოცემა — მიძღვნილი პოეტის დაბადების 150 წლისთავისადმი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, პ. ინგოროყვა, დ. სტურუა, ვ. ჭელიძე. პოეტის თხზულებათა ტექსტი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ. გამოცემას დართული აქვს პ. ინგოროყვას ვრცელი ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და გ. ლეონიძისა და პ. ინგოროყვას მიერ დამუშავებული კომენტარები.

7. 1972 წელს აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით გამოიცა „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი“. გამოცემა შევესებულია ახალი მასალებით. ტექსტები ავტოგრაფებთან შედარებული და დადგენილია ივანე ლოლაშვილის მიერ. დართული აქვს აკაკი გაწერელიას წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ივანე ლოლაშვილის ფილოლოგიური ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, მისივე კომენტარები და ლექსიკონი.

ლექსების ავტოგრაფები და ნუსხები

6. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფები და ნუსხები დაცულია აკად. კ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A (=საკლესიო მუზეუმის), H (=საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ის), S(=წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ის) და Q (ახალ) ფონდებსა და მწერალთა არქივებში, პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერთა კოლექციებში. ეს მემკვიდრეობა სხვადასხვა დროს შესწავლილი და აღწერილია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემლების, დასახელებულ დაწესებულებათა თანამშრომლებისა და საკითხით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ.

6. ბარათაშვილის ლექსების ძირითადი დედნები, რომელთაც ანგარიში უნდა გაეწიოს კრიტიკულ ტექსტის მოსამზადებლად, დაცულია ზემოთ დასახელებულ კოლექციებში 14 დასახელებით. ზოგი მათგანის შიფრები და აღწერილობა ასეთია:

1. A ავტოგრაფი (S 2516) ცნობილია ე. თაყაიშვილის ვარიანტის სახელწოდებით; შეიცავს 88 გვერდს.

კრებული იწინება თავფურცლით, რომელსაც აქვს წარწერა: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან. 1843“, ქრონოლოგიური თანამდებრობით მოთავსებულია 26 ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „თავადის ქ...ის ასულს ეკ...ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურე“, „ჩჩვილი“, „სული თბოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს“, „არ უკიეინო, სატრფოო“, „ვჰპოვე ტაძარი“, „მიყვარა თვალები“, „სუმბული და მწირი“, „შენნი დალალხი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მერანი“, „საჯლავი სეფის ირაკლისა“. „ენიან ბარათაშვილის აზარტემაზედ“ და „სულო ბოროტო“.

პალეოგრაფიულ მხარეზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ კრებული პოეტს გადაუწერია ვიღაც ახლობელი და ძლიერ პატივსაცემი პირისა-

თვის, ხელნაწერს აქვს ერთადერთი მინაწერი: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან. ნების პროსპექტზე № 54. ე. თაყაიშვილი“. ალბათ, კრებულის მფლობელთა ვინაობა ბუკინისტმა არ იცოდა, თორემ ე. თაყაიშვილი ამაზე სადმე რაიმე ცნობას მოგვაწოდებდა. მაგრამ ერთი რამ დამაფიქრებელია: როგორ მოხვდა ხელნაწერი პეტერბურგში? მისი თავდაპირველი მფლობელი ხომ არ იყო ეკატერინე ჭავჭავაძე? ცნობილია, რომ 1858 წელს ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის ხელნაწერ ლექსებს გაეცნო ცარსკოე სელოში, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ცხოვრობდა. გაეცნენოთ კოტხა აფხაზის მოგონება: „მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავიდით და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს (sic). ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები. რამდენადაც მახსოვს. ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქართლს ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოადგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოლავდა ბარათაშვილით“. დღეს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ილიას და კოხტა აფხაზს ცარსკოე სელოში უნახავთ ნ. ბარათაშვილის ის ავტოგრაფული კრებული, რომელიც 1887 წელს პეტერბურგში შეიძინა ე. თაყაიშვილმა.

ნ. ბარათაშვილის ლექსებს ღიად ეტანებოდნენ 60-იანი წლების ქართველი პეტერბურგელი სტუდენტები. 1865 წლის 9 მარტს ნიკოლოზ ყიფიანი პეტერბურგიდან სწერდა თავის მამას — დიმიტრი ყიფიანს: „ნიკ. ბარათაშვილის „მერანი“, „ქართლის ბედი“. „სტეკრის პირზედ“, „ფანტაზია“, „სულო ბოროტო“ და სხვ. ათასჯერ გადავიკითხე და კიდევ არ მეყო. ყოველს ამის სიტყვაში, ყოველს ლექსში აზრსა მხედავს კაცი, გრძნობასა და ისეთი ძალა აქვს ამისს ლექსსა, რომ არ შეიძლება არ დაღონდეს კაცი. როცა ის თავისს ტანჯვას გამოსთქვამს: მისი ლექსების პოპულარიზაციას პეტერბურგში, უეჭველია, დღად შეუწყო ხელი ეკატერინე ჭავჭავაძის სალონმა, რომელიც ქართველ სტუდენტთა საკრებულოს წარმოადგენდა.

2. B ავტოგრაფი (H 2033) ცნობილია ბარბარე ვენიურიშვილისეული ვარიანტის სახელწოდებით; მისი თავდაპირველი მფლობელი ყოფილა გრ. ორბელიანის რძალი. ზაქარიას მეუღლე. ქეთევან ორბელიანი. კრებული შეიცავს 58 ფურცელს.

რვეული იხსნება თავფურცლით. როპელსაც აქვს წარწერა: ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათაშვილისაგან“. შემდეგ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოთავსებულია 27 ლექსი, დაწერილი 1834—1843 წლებში. ესენია: „ბულბული ვარღაჲდ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ჩონჯურს“, „თავადის ქავ. .ის ასულს ეკა. .ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“. ნა-

პოლიონი, „საყურე“, „ჩივილი“, „სული ობოლი“. „სატრფოვ, მანსოვს“. „ჩემი ლოცვა“. „ჩემთ მეგობართ“, „აღმოჰხდა მნათი“, „არ უკვირო. სატრფოო“, „ვპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირი“, „მერანი“ („მაისის 9-სა. 1842“), „რად ჰყვედრი კაცსა“, „სათლავი მეფის ირაკლისა“, „მიყვანს ოვალეები“, „შენნი დალალნი“, „ენიაზ ბარათაევის აზარფეშანედ“, „სულო ბოროტო“ (უთარილოა), „შევიშრობ ცაემლსა“ (უთარილოა).

ხელნაწერის დასასრულს (31v—32r) სხვა ხელით ჩაწერილია გ. დენაძის ლექსი „დილა“, რომელსაც შეცდომით აწერია „თ. გ. ორბელიანისა“. გრ. ორბელიანს ეს მინაწერი ფანქრით გადაუშლია და მიუწერია ქვეშ: „ტყუილია“.

ხელნაწერის პირველ ფურცელზე მოთავსებულია ე. თაყაიშვილის წარწერა „კნ. ბაობარე ვეზირიშვილისა“. ეს ბარბარე ასულია მელიტონ ბარათაშვილისა, დაი ჩვენი პოეტისა, გათხოვდა პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილზე.

3- C ავტოგრაფი (S 2701) ცნობილია მაიკო ორბელიანისეულ (გუნიასეულ) ვარიანტად; შეიცავს 17 ფურცელს.

კრებულს აქვს თავფურცელი წარწერით: „1841 წელი, ტფილისი“ (1r); მის მეორე გვერდზე მიწერილია: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემობრალეებ შენსა ყარბსა ძმასა. თ'ის ნ. ბარათოვისაგან“ (1v). ამ მინაწერის ადრესატი არის მაიკო ორბელიანი, პოეტის მეგობარი და ნათესავი, რომელთანაც მას მიმორწერა ჰქონდა.

მეორე ფურცლიდან იწყება ლექსები: „ბულბული ვარდზედ“ („ივნისის 18-სა, 1833“), „ქეთევან“, „ძია გ. სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „შემოლაგება მთაწმიდაზედ“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩონგურს“, „საყურე“, „ჩივილი“ (წყდება ტაეპით „ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით“), „ჩემი ლოცვა“ (იწყება მე-9 ტაეპიდან „ცხოვრების წყაროვ“, დასაწყისი აკლია). სულ 12 ლექსია. მას უნდა აკლდეს კიდევ ორი ლექსი — „სული ობოლი“ და „სატრფოვ, მანსოვს“, შეიძლება მესამეც — „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“, რომელიც პოეტს ეკ. ჰავჭავაძისათვის იმავე წელს გადაწერილ კრებულში შეუტანია. ერთის გარდა ყველა ლექსი უთარილოა.

C ავტოგრაფი აღმოჩნდა 1891 წელს. იგი მოქალაქე არეშიძეს ზ. კინაძისათვის მიუტანია გასაცნობად, ხოლო უკანასკნელმა გაზ. „ივერიაში“ (1891 წ. № 79—80) დაბეჭდა ვრცელი წერილი „ბარათაშვილის ლექსების რვეული“, სადაც შეეხო კრებულში შეტანილ, რედაქციულად განსხვავებულ ლექსებს (ზოგიერთი მათგანის ვარიანტებიც გამოაქვეყნა). შემდეგ ეს კრებული ხელთ ჩავარდნია წიგნებით მოვაკრე

ვინმე ლაზარევს, ხოლო 1895 წლის ახლო ხანში შეუქმნია ვალერიან გუნიას, რომელსაც ჰერ დროებით უთხოვებია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მეხუთე გამოცემის რედაქტორებისთვის, შემდეგ კი შეუწირავს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის.

ხელნაწერი შედგენილობითა და რედაქციულად ფრიად მნიშვნელოვანია. მისი ორი ლექსი — „ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ამ C ავტოგრაფითა და იონა მეუნარგიას პუბლიკაციით.

4. D ავტოგრაფი (S 2484) წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქალაღზედ დაწერილ 5 ლექსს, რომლებიც პოეტს წერილებთან ერთად გაუგზავნია მაიკო ორბელიანისათვის. ამჟამად ეს ლექსები და წერილები აკინძულია მაგარ, კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში, რომელშიც დაცულია ხუთი ლექსი: „სატრფოვ, მახსოვს“, „ვჰპოვე ტაძარი“, „ღამქროლა ქარმან“, „არ უკიეინო სატრფოო“, „ქილის ყვავილი და მწირი (=სუმბული და მწირი)“. ყველა ლექსი უთარილოა.

5. E ავტოგრაფი (H 1115) ცნობილია ერისთავისეულ ვარიანტად: შეიცავს 14 ფურცელს. ჩასმულია მუყაოს კოლენკორგადაკრულ ყდაში: დაზიანებული ფურცლები აღდგენილია; გადაწერილია მხედრულად 1842 წელს.

კრებულს უძღვის თავფურცელი. რომელსაც აქვს წარწერა, შესრულებული ე. თაყაიშვილის ხელით: „ნ. ბარათაშვილის ლექსები, ავტოგრაფი“, იმავე გვერდის თავკიდურზე ს. ფირცხალავას მიუწერია: „ბარბარე იაკობის ასულის ერისთავის ვარიანტი“. მეორე გვერდზე მოთავსებულია ზანდუკი:

„1. ბულბული და ვარდი, 2. ქეთევან, 3. შემოღამება მთაწმიდაზედ, 4. ხმა იღუმალი, 5. ფიქრი მტკვრის პირზე, 6. ჩონგური, 7. ჩემს ვარსკვლავს, 8. ეკატერინას, 9. ნაპოლეონ, 10. საყურე, 11. ჩჩვილი, 12. სული ობოლი, 13. სატრფოვ, მახსოვს, 14. ჩემი ლოცვა, 15. ჩემთ მეგობართ, 16. აღმოჰხდა მნათი, 17. არ უკიეინო, 18. ვჰპოვე ტაძარი, 19. სუმბული და მწირი, 20. მირბის, მიმაფრენს, 21. რად ჰყვედრი კაცსა, 22. საფლავი მეფის ირაკლისა, 23. მიყვარს თვალები, 24. შენნი დალაღნი, 25. ბარათაშვილის აზარფეშაზედ, 26. სულ ბოროტო, 27. შევიშრობ ცრემლსა“.

ამას მოსდევს ლექსები შემდეგი თანამიმდევრობით:

1. „ბულბული ვარდზედ“ („1834“), 2. „ქეთევან“ (უთარილო), 3. „ხმა იღუმალი“ („1836“), 4. „შემოღამება მთაწმიდაზედ“ („1836“), 5. „ფიქრნი მტკვრის პირას“ („1837“), 6. „ჩემს ვარსკვლავს“ („1837“), 7. „ჩჩვილი“ („1839“), 8. „სული ობოლი“ („1839“), 9. „სატრფოვ, მახსოვს“ („1840“), 10. „ჩონგურს“ („1837“), 11. „თავადის ჰავ...ის ასულს ეკა...ნას“ („1839“), 12. „საყურე“ („1839“), 13. „ნაპოლეონ“

(„1838“). 14. „ჩემი ლოცვა“ („1840“), 15. „ჩემი მეგობარი“ („1841“), 16. „აღმოჩნდა მნათი აღმოსავალს“ („1840“), 17. „არ უკიჟინო, სატრფოო“ („1841“), 18. „ევპოვე ტაძარი“ („1841“), 19. „ქილის ყვავილი და მწირი“ (ანუ სუმბული და მწირი) („1842“). 20. „თავგანწირული მხედარი“ (=მერანი) („მაისის 9-სა 1842“). 21. „რად ჰყვედრი კაცსა“ („1842“).

ზანდუკსა და კრებულში მოთავსებული ლექსების დასათაურება, თანამიმდევრობა და რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა. კრებულში არ არის ზანდუკის ექვსი უკანასკნელი ლექსი, რომელთაგან „სულო ბოლოტო“ და „შევიშრობ ცრემლსა“ 1843 წელსაა დაწერილი. აქედან ირკვევა, რომ თუ კრებული შედგენილია 1842 წელს, ზანდუკი გაკეთებული აქვს მას 1843 წელს. დამაფიქრებელია ლექსების თარიღებიც: ყველა ადრინდელი თარიღი პოეტს ადგენილი აქვს მეხსიერებით. ამასთან ეს თარიღები მიწერილია გაკრული ხელით ერთდროულად 1842 (თუ 1843) წელს. C ავტოგრაფში, რომელიც გადაწერილია 1841 წელს ნაიკო ორბელიანისთვის, თარიღი უწერია მხოლოდ ერთ ლექსს „ბულბული ვარდზედ“, 11 ლექსი კი უთარიღოა. საყურადღებოა, რომ იმ ერთ ლექსსაც C-სა და E-ში სხვადასხვა თარიღი უზის: „ივნისის 18-სა, 1833“ (C) და „1834“ (E). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. ბარათაშვილს E-ს ყველა ლექსი ერთდროულად დაუთარიღებია. საერთოდ E წარმოადგენს შავ ცალს და ფრიად მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად. მისგანვე ირკვევა, თუ რომელი კრებულია პოეტის უკანასკნელი რედაქცია:

ქულნაწერს შემოუნსავს ნ. ბარათაშვილის ორტაეპიანი ფრაგმენტ (1r):

მოახლებულა აღსაჩული შენიც კავკასო,

თვალხარბო გმირო, გულ-ემადღროვ, ბერო კაპასო, —

რომელიც შეიძლება „ძრწოდე კავკასოს“ ადრინდელი რედაქციის ნაწყვეტს წარმოადგენდეს, თუმცა ამ ვარაუდს ზოგი მკვლევარი უარჯობს. ფაქტია, რომ დამოწმებული ფრაგმენტი ემთხვევა ლექსის ტექსტს „ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულია“. ჩანს, პოეტს განზრახული ჰქონდა 14-მარცვლოვანი საზომით დაეწერა ლექსი „ომი“, მაგრამ შემდეგ ეს განზრახვა შეუცვლია.

6. F დედანი წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის პირველ ბექტურ გამოცემას, რომელიც მოამზადეს დასაბეჭდად პ. უმიკაშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ლიტერატორთა წრემ 1876 წელს. პ. უმიკაშვილის ცნობით, კრებულის რედაქციის წევრები იყვნენ კ. ლორთქიფანიძე, გ. თუმანიშვილი და ბ. ჯაფარიძე. გამოცემას საფუძვლად უდევს პ. უმიკაშვილის მიერ B ავტოგრაფიდან გადაწე-

რილი პირი, რომელიც დატული ყოფილა კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში. რაკი გამოცემის დედანი ნაპოვნია და გარკვეულა იმ სხვაობის წყაროც. რომელიც შეინიშნება B ავტოგრაფსა და 1876 წლის გამოცემას შორის, ცხადია, ამ გამოცემას ნ. ბარათაშვილის ლექსთა ტექსტის დასადგენად მნიშვნელობა აღარ აქვს.

7. G ავტოგრაფი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის საკეთრება ყოფილა, დაკარგულია, მაგრამ შემონახულია მისი ხუთი ლექსის ბეჭდური პირი, რომლებიც ეკატერინეს პირად ქალაქებში აღმოაჩინა ი. მეუნარგიამ. გამოქვეყნდა ჟურნ. „ივერიაში“ 1882 წელს სათაურით: „ხუთი, ჭრეთ არ დაბეჭდილი ლექსი ნ. ბარათაშვილისა“ (№ IV—V, გვ. 55—61). ესენია: „ძია გ...რს“, „ღამე ყაბახზედ“, „ნა...ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“. ლექსებს ერთვის რედაქციის შენიშვნა:

„ეს ძვირფასი ლექსები ნ. ბარათაშვილისა მოგვივიდა ჩვენ ბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებ. ც. ეკატერინეს ქალაქებში უპოვნია. ხუთივე ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კილოზედ ეტყობა. რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდენ“... (გვ. 55).

პირველი სამი ლექსი, ი. მეუნარგიას ცნობით. „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რვეულში ფერად ქალაქზედ, რვეული არის გადაწერილი 1841 წ.“ (გვ. 55). ორი უკანასკნელი ლექსიც „ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი 1841 ფურცელ ქალაქზედ. მისგან ხელმოწერილი არ არის. სინამდვილეს ხელს გარდა თვითონ დედოფალიც ამტკიცებს“ (გვ. 61). დღეს ეს დედნები სად ინახება. არ ვიცით.

8. H ავტოგრაფი (H 2417) შეიცავს ერთ ლექსს: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტემბრის 23-სა, წელსა 1844-სა, ტფილისს“. აქვს ხელმოწერაც: „თ'ის ნ. ბარათაშვილის მიერ“.

9. H¹ ავტოგრაფი დატულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში 16398 N-ით (ძველი ნომერია 60/4). შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 27×20 სმ.); დაწერილია გასანთლულ ქალაქზედ წერილად, შავი მელნით (1r-v). შუა ადგილას ქალაქი ამოხეულია და ტექსტი დაზიანებული. მუზეუმმა შეიძინა 1933 წელს არტემ გაბუნიასგან. მისი ადრინდელი მფლობელი ყოფილა მიხეილ ბირთველის ძე აუშვანიშვილი. წარმოადგენს ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტემბრის 23-სა, 1844 წელსა, ტფილისს“. ერთვის ხელმოწერაც: „თ'ის ნ. ბარათაშვილის მიერ“ (1v). მასვე მოეპოვება მინაწერი მკრთალად შავი ფანქრით:

„კნ. ნ. ბარათოვი“. ტექსტში შეტანილია რედაქციული ცვლილება, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნის.

10. H² ავტოგრაფი (H 572) შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 21×17 სმ). მოთავსებულია ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“. ერთვის მას თარიღი და ხელმოწერა. საქართველოს საისტორიო-სკეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეუწირავს ლეონარდ ივანეს ძე ზუბალაშვილს.

11. I დედანი წარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ავტოგრაფი დაკარგულია; ტექსტი გამოაქვეყნა ნინო ორბელიანმა 1886 წელს ჟურნ. „თეატრში“ (№ 30, გვ. 337); ერთვის სარედაქციო შენიშვნა: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნენინა მართა ერისთავის თასზედ და ჭერ არსად დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვუსურვებთ, რომ სხვებმაც მიჰბაძონ პატივცემულ კნენინას და ყველა ამისთანა ძველი დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა გახადონ მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად“.

12. J დედანიც წარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ჩინარა“; დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1862 წელს (№ 10).

13. K დედანი (S 5190) წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა ლექსების ალბომს. მასში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ლექსები: „სატრფოვ მახსოვს“, „დამქროლა ქარმან“, „ვჰპოვე ტაძარი“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ქილის ყვავილი და მწირი“, „მიყვარს თვალები“, „სულო ბოროტო“. „რად ჰყვედრი კაცსა“ და სახუმარო ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“. უკანასკნელი ლექსის ტექსტი ცნობილია მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხით, რომელიც აღმოაჩინა დ. კარიკაშვილმა.

14. L დედანი (H 2684) წარმოადგენს XIX საუკუნის 30-იანი წლების პოეტურ თხზულებათა ანთოლოგიას. მასში მოთავსებულია გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა ლექსები. კრებული შედგენილია და გადაწერილია 1833—1834 წლებში მ. თუმანიშვილის მიერ. მასში შეტანილია ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ლექსები: „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „ვარდი და ბულბული“, „კავკასიური მოთხრობა“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“, ხელნაწერი აღმოაჩინა ს. გორგაძემ 1924 წელს.

ხელნაწერების შედგენილობისა და ქრონოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ადრინდელი კრებულია L, რომელიც შეუდგენია მ. თუმანიშვილს 1833—1834 წლებში, 1841 წლით თარიღდება ორი კრებული: C და G ავტოგრაფები. ამათგან პირველი ჩვენამდე მოღწეულია, მეორე კი დაკარგულია, მაგრამ ირკვევა, ეს ორივე ავტოგრაფი თითქმის ერთნაირი შედგენილობის ყოფილა. E ავტოგრაფი გადაწერილია 1842 წელს და წარმოადგენს პოეტის

შავ ცალს, რომელშიც შეტანილია მრავალი რედაქციული ხასიათის შესწორება. აქედანაა გადაწერილი A და B ავტოგრაფები. რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემებს. A ავტოგრაფის თარიღია 1843 წელი, B ავტოგრაფიც მის ახლო ხანშია გადაწერილი, მათი ტექსტობრივი შედარებიდან ირკვევა, რომ A ავტოგრაფული კრებული წარმოადგენს დღემდე ცნობილ კრებულებს შორის ყველაზე გვიანდელ რედაქციას. ამიტომაც ნ. ბარათაშვილის იმ ლექსების ტექსტისა და ვარიანტების დასადგენად, რომლებიც მოთავსებულია A-ში, უპირატესობა. სწორედ ამ ბოლოდროინდელ კრებულს ენიჭება, ხოლო შედარებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს კრებულები, ცალკეულად მოღწეული ავტოგრაფები და ძირითადი ნუსხები. ამით მკვლევარს შეუძლია გაითვალისწინოს ამა თუ იმ ლექსის რედაქციულ თუ ვარიანტულ ცვლილებათა პროცესი.

ნ. ბარათაშვილის ლექსების. აღწერილი დედნების გარდა ჩვენს სიძველეთსაცავებში ინახება გადანაწერი პირებიც, რომელთაც, მართალია, ტექსტის დადგენისათვის არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ყურადღებას იპყრობენ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

„ბედი ქართლისა“

პოემა „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შედეგ-რია. პოეტს დიდხანს უმუშავნია ამ პოემაზე. თანამედროვეთა გადმოცემით, მას სამშობლოს კეთილდღეობის პრობლემა მთელი მოღვაწეობის მანძილზე აწვალებდა. ზ. ჭიჭინაძე იუწყება: ნ. ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს მეგობრებისთვის, რომ „ბედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავში, იქვე განვიზრახე ამისი დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდევ, მაგრამ არ ვაჩენდი. ვიდრე გვარიანად არ შევიმუშავებდიო“. სხვათა გადმოცემით, როდესაც ნ. ბარათაშვილს პოემა დაუსრულებია, ჰკვკავაძიანთ ბანზე წაუეითხავს საჯაროდ და მსმენელებს დიდად მოსწონებიათო (იქვე). ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ცნობები, მაგრამ დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1839 წლიდან 1844 წლამდე ავტორს პოემა რამდენჯერმე გადაუმუშავებია. ეს შემოქმედებითი ისტორია თავისთავად მეტყველებს. რომ თხზულება პოეტის ხელიდან დიდი ჯათის შემდეგ გამოსულა.

ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცულია პოემის ორი, ერთმანეთისაგან რედაქციულად განსხვავებული ავტოგრაფი, თერთმეტი ხელნაწერი პირი და ერთი პირველნაბეჭდი. სულ 14 დედანი. ავტოგრაფების ნაკლებ აღწერილობა ასეთია:

1. A ავტოგრაფს (S 2517) ეწოდება თაყაიშვილისეული ვარიანტი:

შეიცავს III+38 გვერდს. გადაწერილია 1843—1844 წლებში, შავი მელნით, მხედრულად.

პოემა მოთავსებულია 3—32-ე გვერდებზე, უძღვის სამსტროფიანი შესავალი „კახთა მიმართ“ (გვ. 1—2), რომელსაც აქვს ხელმოწერა: „თ. ნ. ბ.“ თავფურცელს აწერია: „ბედი ქართლისა. თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს“. სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხვეული ასოებით.

ხელნაწერს აქვს ერთადერთი მინაწერი: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე № 54. ე. თაყაიშვილი“. აქედან ჩანს, რომ ეს ავტოგრაფი წარმოშობით დაკავშირებულია ლექსების A კრებულთან. მისი აღრინდელი მფლობელიც ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო. ილია ჭავჭავაძეს „ბედი ქართლისა“ ამ ავტოგრაფის მიხედვით უნდა გაეცნო 1858 წლის ზაფხულში, როდესაც იგი, სტუდენტი, ეკატერინეს ეწვია სტუმრად ცარსკოე სელოში.

2. B ავტოგრაფი (H 2034), ე. წ. ვეზირიშვილისეული ხელნაწერი, რომელიც საკუთრება ყოფილა ქეთევან ორბელიანისა; გადაწერილია 1843—1844 წლებში, მოლურჯო ქაღალდზე, მხედრულად: გამოცემულია ლითოგრაფიულად 1916 წელს, ხოლო ფოტოტიპურად — 1963 წელს „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში“ (გვ. 81—135).

პოემა მოთავსებულია 4r—29r გვერდებზე; უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“ (3r—v), რომელსაც აქვს ხელმოწერა „X X X“ და თავფურცელი: „ბედი ქართლისა, თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს“. სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხვეული ასოებით. 1r გვერდზე ე. თაყაიშვილის ხელით მიწერილია: „კნ. ბარბარე ვეზირიშვილისა“, საიდანაც ირკვევა, იგი პოეტს გადაუწერია თავისი დისთვის.

A ავტოგრაფში შენახულია პოემის უკანასკნელი (მესამე) რედაქცია. კანონიკური ტექსტისათვის უპირატესობა მხოლოდ ამ ხელნაწერს უნდა მიენიჭოს. B ავტოგრაფი წარმოადგენს პოემის მეორე რედაქციას, რომლის სხვაობა ვარიანტებში უნდა აღინიშნოს.

„ბედი ქართლისას“ ტექსტის ისტორია არის ბრწყინვალე დადასტურება, თუ ნ. ბარათაშვილი როგორი გულისყურით მუშაობდა სიტყვაზე და როგორი მონდომებით ცდილობდა აზრის (შინაარსის) მაღალმხატვრული ფორმით გამოხატვას. ეს ისტორია ააშკარავებს ბიოგრაფიული ცნობების სინამდვილესაც, რომ პოეტს „ბედი ქართლისა“ რამდენჯერმე დაუწერია და დიდხანს უფიქრია მის სრულყოფილ დამუშავებაზე.

„შემოღამება მთაწმიდაზედ“ ავტოგრაფებში დაცულია სამი ვარიანტი. ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მათი

შედარება საინტერესო მასალას იძლევა პოეტის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. აი, ერთი ნიმუში:

ა. მკრქალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს, ვით
ნუერი, მისი ამარას

ვარსკვლავი მარტო, მოციმციმარე. მისი ლიბრი არს მინაზებული.
მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით
ქალწული.

(მ. თუმანიშვილის მიერ 1833—1834 წლებში შედგენილი კრებული).

ბ. ვითა უბიწო და შევნიერი სული ლოცვითა მიიქანება
და სახე მისი ამქვეყნიური. მით უფრო მშვენი გაციურდება,
მას ჰგვანდა მთვარე შუქმიბინდული,
დისკო-გავსილი, მინაზებული (CG).

გ. გინახავთ სული ჭერეთ უმანყო. მხურვალე ლოცვით მიქანებ-
ბული?

მას ჰგვანდა მთვარე. ნაზად მოარე. დისკო-გადახრით შუქმიბინ-
დული (AB).

მესამე ვარიანტს ბოლოზე მიწერილი აქვს „1836“, მაგრამ ამ დროს იგი პოეტს არც დაუწერია და არც დაუმუშავებია. C და E ავტოგრაფების ანალიზი გვაძლევს საბუთს დაეასკვნათ, რომ ნ. ბარათაშვილს საბოლოო რედაქცია შეუქმნია პოეტური აღმავლობის პერიოდში მაშინ, როცა მან დაწერა „მერანი“.

„ძია გ. . . სთან“ არის შესავალი ლექსისა „ღამე ყაბახზედ“. იგი გაუგზავნია 1837 წლის თებერვალს გადასახლებაში მყოფი გრ. ორბელიანისათვის. პოეტი გრძნობს, რომ მისი ბიძა გახდა მოღალატე გამცემლობის მსხვერპლი, და ამიტომაც მიმართავს:

ძიავ. ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართო ა ვ ი ს ე ნ ი ს ა გ ე ს ლ მ ა ნ.

ცნობილია, რომ იასე ფალავანდიშვილმა გასცა 1832 წლის შეთქმულება: „ავი ენის გესლმა“ მაშინ ბევრი პატრიოტი იმსხვერპლა და ახალგაზრდა ბარათაშვილი ამას ძლიერ განიცდიდა. შეიძლება ამ განცდის ანარეკლი იყოს ქეთევანისადმი მიმართული სიტყვებიც:

ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,
მოასვენოთ ეზდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ
უბიწოო სიყვარული?

ყაბახი არის სპორტული სახეობა და აგრეთვე ადგილი, სადაც თვით ყაბახი იმართებოდა, ახლანდელი კომუნარების ბაღის ქვედა ნა-

წილში მტკვრის სანაპირომდე. გრ. ორბელიანის ცნობით, „ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ თავსა და ესროდნენ ჩირითს. და ვინც მოარტყამდა, თავი იმისი იყო ჩილდოდ გამარჯვებისა“ (გრ. ორბელიანი, თხზ., 1959 წ., გვ. 16). თეიმურაზ მეორე საგანგებოდ აღწერს, თუ ყაბახში მონაწილეს ნიშნის ჩამოსაგდებად როგორ უნდა ესროლა ისარი (სარკე თქმულთა, სტრ. 587, 589—590):

ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგით;
კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგით;
კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: „სროლაში, მკლავო, მარგით!“

ასე უნდა მას ღლე კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა:
მკლავზედ მშვილდი შემოიცვას, წელს ყოდალი¹ გაირკოსა,
ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი² მან უყოსა,
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.
უნდა მშვილდი დახეული ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დააზაროს,
ყაბახს მუხლი გააცილოს, მაშინ უნდა გარდინხაროს,
ესროლოს; თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

სპორტის ზოგიერთი მოყვარული დიდად იყო გატაცებული ყაბახით. მაგ., ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილს — დარისპან ამირეჯიბს ყაბახში მონაწილეობის მისაღებად უყიდიდა ყარაბაღული თეთრი ცხენი, რომელშიც მიუცია 200 ლესეტინა მიწა სალოლაშნიდან მტკვრამდე. მაგრამ ჩირითის ტყორცნის დროს ამ ცხენს ფეხი მიწის ნახეთქში ჩაეკარდნია და მოსტეხნია. ამიტომ დარისპანს პირველი ადგილი ვეღარ აუღია, გამარჯვება მოუპოვებია კონა ერისთავს (ი. ლოლაშვილი, გიორგი ლეონიძის ორი ჩანაწერი ნ. ბარათაშვილზე). თავის დროზე ამ სანახაობის ძლიერ მოყვარული ყოფილა გრ. ორბელიანიც (იხ. ლექსი „იარალის“). ამას ადასტურებს ნ. ბარათაშვილის სიტყვებიც „გიყვარს ყაბახის კარგიც და ავიც“.

ბ. „ღამე ყაბახზედ“ პოეტს დაუწერია 1836 წლის ზაფხულში და 1837 წლის თებერვალს გაუგზავნია ბიძისთვის. იგი 1841 წლის ახლი ხანში გადაუმუშავებია და შეუტანია ლექსთა ხელნაწერ კრებულში. „ღია გ. . . სთან“ მთავრდება სიტყვებით „აჰა, ის ღამე“ და ა. შ. ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსი დაუმთავრებელია. ამიტომაც ი. მეუნარგიამ მისი პუბლიკაციისას მე-12 ტაეპის შემდეგ და-

1 სამფრთიანი ისარი.

2 დაქიმვა: ფეშრი უყოსა — დაჭიმოს.

უსვა მრავალწერტილი. ამას ყურადღება მიაქცია მ. კეკელიძემ. მან თავის წერილში ნ. ბარათაშვილის „ღამე ყაბახზედ“ აღნიშნა შემდეგი: „ეს ლექსი (იგულისხმება „ძია გ. . სთან“, ი. ლ.) გააზრებულია არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ როგორც შესავალი ლექსისა „ღამე ყაბახზედ“. ლექსი წარმოადგენს მიძღვნას გრ. ორბელიანისადმი და მასში ასხნილია, თუ რატომ ეძღვნება „ღამე ყაბახზედ“ გადასახლებაში მყოფ პოეტს. ხოლო „აჰა ის ღამე“ გახლავთ — „ღამე ყაბახზედ“... ჩვენს უნიჭიერეს მგოსანს ეს ორი ლექსი გათიშულად არა ჰქონია წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთს ავსებენ და პირველი ყოველთვის დაუსრულებელ შთაბეჭდილებას დატოვებს, თუ მეორისაგან იზოლირებულად დავბეჭდავთ და განვიხილავთ. ამიტომ მომავალში მათი პუბლიკაციის ფორმა უნდა შეიცვალოს: ისინი ერთმანეთს გამოუცალკევებლად უნდა მისდევდეს და საერთო სათაურად მიეცეს „ღამე ყაბახზედ“ („კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 7).

მართლაც, ორივე ლექსი ერთმანეთთან შინაარსობრივად ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი დაცილება არ შეიძლება. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ „ძია გ. . სთან“ და „ღამე ყაბახზედ“ ერთ ლექსად გამოვაქვეყნოთ. მათი პუბლიკაციის ტრადიციული ფორმა პოეტისმიერია და მისი შეცვლა უმართებულოა.

მკვლევრები ფიქრობენ, რომ ლექსში „ღამე ყაბახზედ“ ასახულია პოეტის პირველი სიყვარული ვინმე ნინოსადმი. 1846 წელს, 19 იანვარს ლ. მელიქიშვილი სწერდა გრ. ორბელიანს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა (ნ. ბარათაშვილის, ი. ლ.) იყო ნინო“ („მნათობი“, 1938 წ., № 12, გვ. 169, სქ.). ი. მეუნარგია ერთგან ამ ნინოს მოიხსენიებს ორბელიანად („ქართველი მწერლები“, სოლცაიშვილის რედაქციით, ტ. I, 1954 წ., გვ. 217). პოეტი ამ ნინოს სახელდებით არ იხსენიებს. მაგრამ რაკი მის პირველ სიყვარულს ნინო რქმევია, შეიძლება მართლაც მკვლევართა მოსაზრება გაზიარებულ იქნეს, რომ „ღამე ყაბახზედ“ დაწერილია ამ ნინოს ტრფობის შედეგად.

აქა-იქ ქალნი პირად-პირადად სეირნობდნენ, კეკლუცმოსილნი (10) — აქა-იქ მრავალფერად და კეკლუცად მოსილი ქალები სეირნობდნენ. „პირად-პირადად... კეკლუც-მოსილნი“ შეიძლება დაწერილი იყოს შავთელის შთაგონებით: „ვაქებდეთ ერთ-ნო... ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა. პირად-პირადად განშევენებულსა“ (76,1—2).

ყაფლან — ასლანის ძე ორბელიანი (1813—1878 წწ.) ნ. ბარათაშვილის დედის ეფემიას ბიძაშვილი.

„თავსა უფლად“ — ალექსანდრე ჰაქვაძის ლექსი „თავსა უფლად ვერვინ ჰგონებთ“.

Н. ფიქრნი მტკვრის პირას ცნობილია ABCE ავტოგრაფიული დედ-

ნებით. მან ჩვენამდე მოაღწია სამი ვარიანტი: პირველი თარიღდება 1837—1842 წლებით (CE). მეორე და მესამე — 1843 წლით (ABF). პოეტს ამ ლექსზე დაახლოებით ექვსი წელი უმუშავნია, სანამ მას საბოლოო სახეს მისცემდა, მაგ. E ავტოგრაფს შემოუნახავს ერთი და იგივე ტაეპი (6) სამი ვარიანტით:

- ა. ფერ-მკრთალად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა,
- ბ. მშვენიერებით ჰკრთის ლაყვარდი ცისა კამარა.
- გ. და მის ზვირთებში ჰკრთის ლაყვარდი ცისა კამარა.

ეს კითხვა-სხვაობა პოეტის რთული შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელია.

ლექსის მე-17—19 ტაეპების ტრადიციული წაკითხვა ასეთია (ABE) თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა არი სხვა რამ დიდება, ჰშფოთვენ და დრტვინვენ და ა. შ.

F დედანში (აგრეთვე სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, მ. თუმანიშვილის, დავით რექტორის კრებულისეულ ასლებსა და პირველნაბეჭდში) მე-18 ტაეპის („ამაო სოფლად“) მაგიერ იკითხება ორტაეპიანი ტექსტი:

არც ვინღა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება...

რომელიც თითქოს ლექსში „ტაეპთა ნაკლულევეანებასაც ავსებს სტროფში და რითმის საკითხსაც უკეთ აგვარებს“. ამიტომ 1945 წლის გამოცემის კოლეგიამ ტრადიციული ტექსტი გამოაქვეყნა ასეთი რედაქციით.

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს.
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და ა. შ.

ამ ტაეპებში სტილი დამძიმებულია ორი „რომელიც“ — კავშირით („რომელთ უმაღლეს“ და „რომელთ ხელთ ეპყრასთ“); ამასთან სიტყვა „უმაღლესი“ გამეორებულია. ეს პოეტს უგრძძვნია და ამიტომაც საბოლოოდ მიუღია წაკითხვა „რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“. აქ აზრიც გამართულია, სტილიც — დახვეწილი და პოეტის საბოლოო ნებაც განხორციელებული.

ლექსში შეცვლილია ბოლო ორი ტაეპიც: F-ში იკითხება:

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს.

ე! ვარიანტი პოეტს ბოლოს ასე შეუცვლია:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნვოს.

თავადის ქ...ძის ასულს ეკ...ნას — თავადის (ალექსანდრე) ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას. მიძღვნილია ეკატერინე ჭავჭავაძისადმი (1816—1882 წწ.), იგი 1839 წელს ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკატერინე იყო პოეტის სატრფო, მაგრამ იგი მკვლევართა შორის საყოველთაოდ არაა გაზიარებული. ის კი ცხადია, რომ „საყურე“ და „ნა...ფორტეპიანოზე მომღერალი“ მიძღვნილია ამ ულამაზესი ქალისადმი, და ისიც ცნობილია, რომ ეკატერინე პოეტის ლექსებს სათუთად ინახავდა.

ვარდსა და ბუღბუღს მოეღვინარე — იგულისხმება ალ. ჭავჭავაძის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსი „ვარდი და ბუღბუღი“. რომელსაც ეკატერინე „ტკბილის ხმით“ მღეროდა.

სული ობოლი ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით დაწერილი უნდა იყოს სატრფოს დაკარგვით გამოწვეული სულიერი ობლობის შედეგად. პ. ინგოროყვა იმასაც იუწყება, რომ „სატრფოვ. მახსოვს“ ლექსის ტაეები „თურმე ცრემლი უცნაური მოელოდა ჩემს ობლობას“ ერთგვარი ეპიგრავია „სული ობოლისა“, მაგრამ ეს უკანასკნელი დაწერილია 1839 წელს, „სატრფოვ. მახსოვს“ კი—1840 წელს. ცნობილია, რომ პოეტი საერთოდ დიდ სულიერ ობლობას განიცდიდა. და ეს კარგად გამოხატა მან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში.

ჩემი ღოცვა დაწერილია ლუკას სახარებაში (15.11—32) მოთხრობილი იგავის მასალაზე. „ქე შეტომილი“ და „განსაცდელში შემკოდე შვილი“ არის იგივე უძღები შვილი (БЛУДНИЙ СЫН), რომელმაც მამამისს ქონება გაუყო, განაბნია მეძაეთა თანა და სამკვიდრებელში უკანდაბრუნებულმა. გადატაკებულმა და მშვირბმა. მოინანია თავისი ცოდვები. შემდეგ პოეტს აგონდება ადამის შეცოდება, სამოთხის მშვენიერება რომ უმსხვერპლა წადილს და იხილა სასუფევლის ნეტარება (შესაქმე. თ. 2—3).

ცხოვრების წყარო — ეპითეტია ღვთაებისა.

მაშა დუმილი მცითვალენ — წარმოდგენს შავთელის „აბდულმესიანის“ ბოლო ტაეპის განმეორებას: „ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ“.

არ უკვირო, სატრფოო დაწერილია 1841 წელს. ერთგვარი პრელუდიაა „მერანისა“, რომელიც პოეტმა 1842 წელს შეთხზა.

ვაჟვე ტაძარი დაწერილია 1841 წელს.

მიყვარს თვალები დათარიღებულია 1842 წლით, მაგრამ იგი E ავტოგრაფულ კრებულში არ არის შეტანილი, თუმცა მისი სათაური ხელნაწერის ზანდუკში იკითხება.

სუმბული და მწირი პოეტი წერს, თუ მაისი როგორ „აყვავებს ტურფად ბუნებას“ და მერმე დასძენს:

მოვა ბულბული და დაუშტვენს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ხმას (BDEF).

ეს ტაეპი ასეა დაბეჭდილი 1945 წლის გამოცემაშიც. A ავტოგრაფში „სიყვარულის ხმა“ გასწორებულია „სიცოცხლისა ხმად“. პოეტს ჯერ საყოველთაოდ ცნობილი მოტივი — ვარდისა და ბულბულის სიყვარული გაუხსენებია და ბულბული სიყვარულის ხმის მსტვენავად წარმოუსახავს, მაგრამ შემდეგ ეს ცნება ფართო ასპექტში გაუაზრებია: აი, მოდის მაისი, აყვავებს იგი ბუნებას, ზამთრის სუსხისაგან გამხმარ მცენარეულთ აცოცხლებს და ბუნების გაცოცხლებას მოსდევს ბულბულის სტვენა, რომელსაც პოეტი სახავს სიცოცხლის ხმად. ეს მხატვრული სახე უფრო გრანდიოზულია, ვიდრე სიყვარულის ხმით სტვენა, რომელიც ეხება მხოლოდ ვარდს. სუმბულისთვის კი ეს სტვენა სიცოცხლის მაუწყებელია. დაწერილი უნდა იყოს 1842 წელს. ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის.

მერანი პოეტს დაუწერია ილია ორბელიანის ტყვეობასთან დაკავშირებით 1842 წლის აპრილში. ამის შესახებ თვით იგი აღნიშნავს 1842 წლის 2 მაისს გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. ლექსიც იქვეა ჩართული. B ავტოგრაფში კი მას თარიღად უწერია „მაისის 9-სა, 1842“. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ეს მინაწერი ლექსის რედაქტირების თარიღია. დაწერის შემდეგ ლექსს მხოლოდ უმნიშვნელო სტილისტური ცვლილება განუცდია. შდრ.: წერილის ტექსტი AB ავტოგრაფებთან:

ა. ნუ დავიმარხო მ შ ო ბ ე ლ ს მ ი წ ა შ ი, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

ნ უ დ ა მ ი ტ ი რ ე ბ ს ს ა ტ რ ფ ო ს უ ლ ი ს ა, ნ უ დ ა მ ე ც ე მ ი ს ც რ ე მ ლ ი მ წ უ ხ ა რ ი ს...

ე უ და დ ხ ო მ მ ა ი ნ ც არ ჩ ა ი ვ ლ ი ს ჩ ე მ ი ს ს უ ლ ი ს ა ე ს ე კ ვ ე თ ე ბ ა (B).

ბ. ნუ დავიმარხო ჩ ე მ ს ა მ ა მ უ ლ შ ი, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

ნ უ დ ა მ ი ტ ი რ ო ს ს ა ტ რ ფ ო მ გ უ ლ ი ს ა, ნ უ და დ ა მ ე ც ე ს ც რ ე მ ლ ი მ წ უ ხ ა რ ი ს....

ე უ და დ ხ ო მ მ ა ი ნ ც არ ჩ ა ი ვ ლ ი ს ე ს გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ს ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა (AB).

(ე უ და დ ხ ო მ მ ა ი ნ ც არ ჩ ა ი ვ ლ ი ს ე ს ე გ ა ნ წ ი რ ვ ა, ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა E).

ამ ავტოგრაფებიდან ირკვევა, რომ პოეტს ცვლილება მოუხდენია 1842—1843 წლებში. ამიტომ თარიღი „მაისის 9-სა, 1842“ პოეტისმიერი შეცდომა უნდა იყოს.

სათაური „მერანი“ (ან „ჩემს მერანს“) პირობითია. E ავტოგრაფში მისი სათაურია „თავგანწირული მხედარი“, სხვა ავტოგრაფებში კი ლექსი უსათაუროა.

საფლავი მეფის ირაკლისა პოეტი გულისხმობს ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II თეიმურაზის ძეს (1720—1798 წწ.).

ლექსი ეძღვნება კნიაზ მ...პ... ძეს ბარატაევს. იგულისხმება პოეტის ნათესავი, ცნობილი მეცნიერი ნუმიზმატიკოსი, დეკაბრისტი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784—1856 წწ.). პოეტს პეტრე ბარათაშვილის ალბომში ჩაუწერია ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“.

სულთ ბოროტო დაიწერა 1843 წლის აგვისტოში, გრიგოლ ორბელიანისადმი 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში პოეტი აღნიშნავს: „ჩემი ახალი ლექსი ეს არის“ და შემდეგ მოყვანილია „სულთ ბოროტოს“ ტექსტი.

შვეიშრობ ცრემლსა დაიწერა 1843 წელს.

ჩინარის ავტოგრაფი არ შემონახულა (იბეჭდება F დედნის მიხედვით).

მ რ წ ა მ ს, რომ არს ე ნ ა რ ა მ ს ა ი დ უ მ ლ ო უ ა ს ა კ ო თ ა ც და უ ს უ ლ თ შ ო რ ი ს — შწამს, რომ უსულო არსებთა შორის არსებობს რაღაც საიდუმლო ენა. „უასაკო“ და „უსულო“ სინონიმური ცნებებია. „უასაკო“ ნიშნავს „უხორცოს“, „უსულოს“, „გონის არმქონეს“. პოეტი ამ შემთხვევაში შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური გამოთქმებით:

რადგან ვარდი ამას იტყვის, უ ს უ ლ ო და უ ა ს ა კ ო (879,1).

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომკედლისა დნობილი,

უ ა ს ა კ ო და უ ს უ ლ ო, არ სიტყვიერი, ცნობილი (898,1—2).

მადლი შენს გამჩენს ქვეყნდება, პირველი ნაბეჭდის მიხედვით. ავტოგრაფი დაკარგულია. დაწერილი უნდა იყოს ნახიჩევანში, სადაც პოეტი 1845 წლის იანვარ-თებერვალში მსახურობდა.

ბედი ქართლისას ტექსტის საკითხებზე იხ. ზევით.

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი — ერეკლე მეფის ზედწოდება.

მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი — იგივე ერეკლე მეფე. პატარა კახალ ზედწოდებული.

ა ღ ა მ ა მ ა დ - ხ ა ნ ი — სპარსეთის შაჰი, რომელმაც 1795 წელს თბილისი ააოხრა.

თ ა მ ა ზ. ე ნ ი ს ე ნ თ მ ო უ რ ა ვ ი ს ძ ე — თამაზ ჯორჯაძე, ენისელის მოურავის დიმიტრი ჯორჯაძის ძე, რომელმაც თავი ისახელა კრწანისის ბრძოლაში.

იოანე. კახთ აბაშიძე — იოანე ნიკოლოზის ძე აბაშიძე, რომელიც დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს თავის მემუარებში: „თავადთაგან მეფისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე, ძე ნიკოლოზ დიანბეგისა, რომელიც იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი“ („ქეალი“, 1895 წ. № 194).

„მაგრამ იუდა ქამს ეძიებდა“ — აქ ლაპარაკია იმ ლალატზე, რომელიც ცნობილია ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებასთან დაკავშირებით.

სოლომონ მსაჯული — სოლომონ ლეონიძე. მეფის მრჩეველი და განთქმული ორატორი (1754—1811 წწ.).

სოფიო — დავითის ასული ერისთავი, სოლომონ ლეონიძის მეუღლე.

დავით სარდალი — ორბელიანი (1720—1795 წწ.), ერეკლე მეფის სიძე. ასპინძის ომის გმირი.

I. წერილი გრ. ორბელიანს

1. 1835 წლის ნოემბერში, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ნ. ბარათაშვილმა სამსახური დაიწყო სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში.

2. „განცეცხლებულთა ღვინის განშუბლთა კოჭრის ნიავი განგვიგრილებდეს“ — ეს ტაეპი, ოდნავი ცვლილებით, ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარაღის“.

3. „არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“. ამოღებულია საიათნოვას ლექსიდან „შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ“.

II. წერილი მიხეილ თუმანიშვილს

1. მიხეილ თუმანიშვილი (1818—1875 წწ.) — ნ. ბარათაშვილის სკოლის მეგობარი, ცნობილი ჟურნალისტი. პოეტი, თეატრისა და ლიტერატურის კრიტიკოსი. გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალის „გიმნაზიის ყვავილის“ რედაქტორი.

2. ზაქარია ორბელიანი (1806—1847 წწ.) — პოეტის ბიძა, გრიგოლ ორბელიანის ძმა.

3. ვარლამოვი — გარსევან სტეფანეს ძე ვარლამიშვილი. პოეტის სკოლის ამხანაგი.

III. წერილი გრიგოლ ორბელიანს

1. დ მ ი ტ რ ი ე ე ს კ ი — პოეტი ი. დ. დმიტრიეესკი დაახლოებული იყო პუშკინთან და ლერმონტოვთან. ცხოვრობდა ჯერ თბილისში, შემდეგ კი სტავროპოლში. იყო კავკასიის ოლქის ვიცე-გუბერნატორი.

2. „ჩ ე ე ნ ც ა ხ ა ლ ს ა ხ ლ ე ბ შ ი გ ა დ ა ვ ე დ ი თ . ა ნ ჩ ი ს - ხ ა ტ ის უ ბ ა ნ შ ი . უ წ ი ნ რ ო მ ა ფ ხ ა ზ ი ი დ გ ა“ — ამ სახლში, დღევანდელი ჩახრუხადის ქ. № 17, ბარათაშვილის ოჯახი გადავიდა მუხრანის ხიდის (ახლა ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდი) ახლო მდებარე სახლიდან. ანჩისხატის უბანში პოეტი ცხოვრობდა 1841 წლიდან 1845 წლამდე,

ა ფ ხ ა ზ ი — ივანე ნიკოლოზის ძე. მას მოიხსენიებს გრ. ორბელიანი დღიურში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.

3. ყ ი ფ ი ა ნ ი — დამიტრი ყიფიანი (1814—1887 წწ.) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი, ნ. ბარათაშვილის სკოლის მეგობარი.

4. შ ე ქ ს პ ი რ ი — უდიდესი ინგლისელი მწერალი-დრამატურგი.

5. ლ ა ი ზ ე ვ ი ც ი — იოჰან ანტონ ლაიზევიცი. გერმანელი მწერალი-დრამატურგი, მისი თხზულება „იულიუს ტარენტელი“ რუსულიდან თარგმნა ნ. ბარათაშვილმა. თარგმანი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

6. „ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა“ — რუსული ჟურნალი. „Библиотека для чтения“, რომელიც დაარსდა 1834 წელს სენჯოვსკის (ბარონ ბრამბეუსი) რედაქტორობით. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ლაიზევიცის თხზულების რუსული თარგმანი (1840 წ. ტ. 43).

7. მ ა ი კ ო — ქაიხოსრო ორბელიანის ასული. ლევან მელიქიშვილის დანიშნული, ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და ნათესავი. გარდაიცვალა 1846 წ.

8. ბ ა ლ ა შ ო ვ ი — სამხედრო პირი.

IV. მ ა ხ ვ ე

1. დ ი მ ი ტ რ ი ჯ ო რ ჯ ა ძ ე (1822—1883 წწ.). მსახურობდა დაღესტანში. შემდეგ მეფისნაცვლის საბჭოს წევრი.

2. ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი — ივანე მაღხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1798—1868 წწ.) გენერალი. თავი ისახელა რუსეთ-თურქეთის ომში (1853—1856 წწ.), მონაწილეობდა გურიის 1841 წლის აჯანყების ჩაქრობაში.

3. ივულისხმება კავკასიის ჯარების კორპუსი.

4. ა რ ლ უ თ ი ნ ს კ ი — მოსე ზაქარაიას ძე არღუთინსკი-დოღლო-რუკოვი (1798—1855 წწ.) გენერალი. მონაწილეობდა დაღესტნის ომ-

ებში. სარდლობდა სპეციალურ პოლკს, რომელმაც ჩააქრო გურიის 1841 წლის აჯანყება.

5. ს ა გ ი ნ ო ვ ი — გიორგი საგინაშვილი, დაღესტნის ომების მონაწილე.

6. გ უ რ ა მ ო ვ ი — გურამიშვილი, დაღესტნის ომების მონაწილე, საგურამოსა და ავჭალის მებატონე.

7. ა დ ლ ე რ ბ ე რ დ ი — გრაფი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგი. შამილის წინააღმდეგ ომებში მონაწილე. გენერალი, შემდეგ კარის მინისტრი.

8. „პ ო ლ კ ი ს კ ა მ ა ნ დ ე რ ი გ ა მ ო გ ი ც ვ ა ლ ე ს“. გრ. ორბელიანის პოლკის უფროსი იყო ბორის გაბრიელის ძე კილაშვილი, რომელიც შესცვალა გენერალ-მაიორმა კურასოვსკიმ.

9. ჩ ი ლ ა ე ვ ი — გენერალ-მაიორი კილაშვილი, რომელიც მონაწილეობდა დაღესტნის ომებში.

10. ყ ა ფ ლ ა ნ — (იხ. ლექსის „ღამე ყაბახზედ“ შენიშვნებში).

11. პ ლ ა ტ ო ნ — პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809—1875 წწ.), ცნობილი ისტორიკოსი.

12. გ ი ო რ გ ი — გიორგი საგინაშვილი.

13. ვ ა ს ი ლ ი — ვასილ ყორღანაშვილი, ოფიცერი.

14. ე გ ნ ა ტ ი — ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი (პლატონ იოსელიანის მამა), გიორგი XIII-ის კარის მოძღვარი, ნ. ბარათაშვილის ოჯახის მეგობარი.

V. მ ა ს ვ ე

1. ილია—ილია ზურაბის ძე ორბელიანი, გრ. ორბელიანის ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა. იგი 1842 წელს ტყვედ ჩავარდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1846 წელს მსახურობდა. განჯის მაზრის უფროსად. განჯაში ყოფნისას მან ქვა დაადო ნ. ბარათაშვილის საფლავს. თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს 1853 წლის ნოემბერში ილია მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა.

2. შ ა მ ი ლ ი — საჩაჩნოსა და დაღესტნის იმამი (1798—1871 წწ.).

3. ყ ა ზ ი ყ უ მ უ ხ ე ლ ე ბ ი — დაღესტნის მთიელები (ყაზიყუმუხი მღებარეობს კასპიის ზღვის მახლობლად).

4. ფ ე ზ ე — კარპე კარპეს ძე ფეზე. დაღესტნის ომების მონაწილე, გენერალ-მაიორი.

5. ა ნ დ ა ლ ა ლ ი — ცენტრალური დაღესტნის რაიონი. სადაც ერთ-ერთ გამაჯრებულ აულ ლუნიბში 1859 წელს დაატყვევეს შამილი.

6. ს ი ნ ა ქ ს ა რ ო ვ ი (სნაკსარევი) — სამურის ოლქის უფროსი. ილია ორბელიანთან ერთად ტყვედ ჩაიგდო შამილმა.

7. ყ ა ზ ი ყ უ მ უ ხ ი ს ხ ა ნ ი — ყაზიყუმუხელი ხანების ოჯახის წევრი გარუნბეგი, ყაზიყუმუხის მახლობელი სოფლის ქუთრის სახანოს მმართველი. იგი შამილმა შეიპყრო ილია ორბელიანთან ერთად.

8. ა ვ ა რ ე ლ ე ბ ი — დაღესტნის ერთ-ერთი მხარის აფარიის მცხოვრებნი

9. ა ხ მ ე ტ ხ ა ნ ი — გენერალ-მაიორი, ავარიის ხანი, რომელიც ებრძოდა შამილს.

10. ა ხ ტ ე ლ ე ლ ე ბ ი — სამურის ოლქში (დაღესტანში) მდებარე სოფლის — ახტას მცხოვრებნი.

11. შ ა მ ი ლ ი ს შ ე ი ლ ი — ჭელაღედინი, 1839 წელს მძევლად წაიყვანა რუსეთის მხედრობამ, იმყოფებოდა პეტერბურგში. გამოიხსნა შამილმა 1855 წელს.

12. დ ა რ ლ ო — გამაგრებული ადგილი საჩაჩნოში, შამილის რეზიდენცია 1840—1845 წლებში.

13. გ ა ლ ა ვ ი ნ ი ს ც ო ლ ი — კავკასიის მთავარმართებლის ევგალ. გოლოვინის მეუღლე, ფონვიზინის ასული.

14. ი ლ ი კ ო — ილია ორბელიანი, გრ. ორბელიანის ძმა (იხ. ზემოთ).

15. ზ ა ქ ა რ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გრ. ორბელიანის ძმა (იხ. ზემოთ).

16. ი ა ს ე — იასე ანდრონიკაშვილი. სამხედრო პირი.

17. ე ლ ი ს ო (ელისუ) — სახანო, ბოლო დროს შედიოდა ზაქათაის ოლქში.

18. პ ო ზ ი ნ ი — მიხეილ პოზენი. 1842 წელს სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვთან ერთად ჩამოვიდა კავკასიაში მმართველობის სისტემის შესასწავლად.

19. მ ი ნ ი ს ტ რ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩ ე რ ნ ი შ ო ვ ი (1785—1875 წწ.), იმპერიის სამხედრო მინისტრი, რომელიც 1842 წელს ჩამოვიდა კავკასიაში მმართველობის სისტემის შესასწავლად. მას თან ახლდა სტატს-სეკრეტარი მიხეილ პოზენი.

20. ფ ე ფ ო — ფეფეია, ნ. ბარათაშვილის დედა.

21. ე ლ ი ზ ბ ა რ — შეიძლება იყოს ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი. ერთ-ერთი ორგანიზატორი 1832 წლის შეთქმულებისა.

VI. წერილი მაიკო ორბელიანს

1. მ ა ი კ ო — მაიკო ორბელიანი (იხ. ზემოთ).

2. რ ა ხ ა ე ლ — რახაელ ციციშვილი, ბარათაშვილების ახლო ნაცნობი.

3. ი ა ს ე — იასე ანდრონიკაშვილი.

4. მ ა ნ ა ნ ა — მანანა ივანე (მორმანოზ) ერისთავის ასული, დავით

ორბელიანის მეუღლე (1808—1870 წწ.). ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი და მეგობარი. სილამაზით განთქმული ქალი. ქართული მწერლობის დიდი მოყვარული. მის ოჯახში იკრიბებოდნენ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები, კითხულობდნენ თავიანთ თხზულებებს და ბჭობდნენ ქვეყნის საკირობოროტო საკითხებზე. მანანა მოხსენებული ჰყავს ლევ ტოლსტოის მოთხრობაში „ჰაჯი მურატი“.

5. ტ ა ს ო — (ანასტასია) მანანასა და დავით ორბელიანის ასული. მისთხოვდა ქუთაისის გუბერნატორ ალ. ივ. გაგარინს.

6. ე ლ ე ნ ე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა.

7. ნ ი ნ უ ც ა — ნინო ბარათაშვილი, ნიკო ბარათაშვილის და.

8. ა ნ ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ანა ივანეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა.

9. გ ლ უ ხ ა რ ი ჩ ი — გიორგი ერისთავი. გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და კომედიოგრაფი. ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი.

VII. წერილი გრიგოლ ორბელიანს

1. ა ტ ტ ი ლ ა (ატილა) — ჰუნების მეფე. გარდაიცვალა 453 წ.

2. ე მ ი რ - ა ვ ა რ ი — ასე უწოდებდა ხუმრობით თავის თავს გრიგოლ ორბელიანი, როდესაც ის დანიშნეს ავარიის მმართველად.

3. რ ე ნ ე ნ კ ა მ ფ ი — პავლე იაკობის ძე რენენკამფი, გენერალ-ლეიტენანტი, დაღესტანში მოქმედი დივიზიის უფროსი. კავკასიიდან წავიდა 1844 წ.

4. მ ი რ ზ ა - ს ა ლ ი — ირანის შაჰის ფათალიშაჰის (ბაბახანი) მემკვიდრის აბას-მირზას მდივანი.

5. მ თ ა ვ ა რ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი — იგულისხმება კავკასიის მთავარ-მართველი 1842—1844 წლებში გენერალ-ადიუტანტი ივ. ნეიდჰარტი.

6. გ რ ა ფ ი ჩ ი ჩ ე რ ო ნ ე — ნამდვილი ვინაობა გარკვეული არ არის.

7. „ჩ ვ ე ნ ი ლ ე ვ ა ნ“ — ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1816—1892 წწ.), ნ. ბარათაშვილის ნათესავი და გიმნაზიელი ამხანაგი. ლევანი და ნიკოლოზი ერთად მსახურობდნენ ნახჭევანში. 1842 წელს ლ. მელიქიშვილი შტაბის კაპიტანი იყო. ბოლოს კავალერიის გენერლის ხარისხი ებოძა და 1882 წელს მთავარმართველის მოადგილედ და სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

8. ბ ა კ ლ ა ნ ა — ზედმეტი სახელი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანისა.

9. გ რ ი გ ო ლ წ ე რ ე თ ე ლ ი — გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი, პოლკოვნიკი, მონაწილეობდა დაღესტნის ომებში.

10. ი ლ ი ა — ილია ორბელიანი (იხ. ზემოთ).

11. ი ლ ი ა კ ა რ გ ა დ ა რ ი ს . . . ა მ ი ს ი ს ა ქ მ ე თ ა ვ შ ი

ბოსტანია, გულში სიყვარული — ილია ორბელიანს გასული საუკუნის 40-იან წლებში ჰქონია დიდი ბოსტანი. გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას სწერდა: „ილია დიდ ყოფაშია. ოთხმოცის დღის ბოსტანს აკეთებინებს“.

12. კნიაზი კავკავაძე — ალექსანდრე ჰავჭავაძე.

13. კნეინა — სალომე ივანეს ასული ორბელიანი, ალექსანდრე ჰავჭავაძის მეუღლე.

14. სავარსამიძე — ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძე, ჰარბელაქნის მმართველი, გენერალ-მაიორი.

15. სავარსამიძის ცოლი — სიდონია ზაქარიას ასული სავარსამიძისა.

16. სივრიჩი — აპოლონ სტეფანეს ძე სივრიჩი, პოლკოვნიკი.

17. სივრიჩის ცოლი — მარია ივანეს ასული სივრიჩისა.

18. ბეზაკი — ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკი. ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრი.

19. ბეზაკის ცოლი — სოფიო ყაფლან (მეორე ყაფლან ნიკოლოზის ძე) ორბელიანის ასული. გრ. ორბელიანის დანიშნული. მიათხოვეს ნიკოლოზ ბეზაკს.

20. ეგნატი — ეგნატე იოსელიანი (იხ. ზემოთ).

21. ტაეპი ეკუთვნის მ. ი. ლერმონტოვს (იხ. ლექსი „И SKYЧHO И rpyCTHO“).

22. ფეფო — ფეფია ბარათაშვილისა. პოეტის დედა (იხ. ზემოთ).

23. კატო — ეკატერინე ბარათაშვილი, პოეტის დაი. რევაზ ქსნის ერისთავის მეუღლე.

24. ბაბალე — ბარბარე ბარათაშვილი, პოეტის და, (1825—1919 წწ.) დიმიტრი ვეზირიშვილის მეუღლე.

25. ნინუცა — ნინო ბარათაშვილი, პოეტის და (იხ. ზემოთ).

26. აპლიპუტილა — საალერსო სახელი ნ. ბარათაშვილის ყველაზე უმცროსი დის სოფიოსი (1841—1916 წწ.).

27. მაია — მაია ყოფილა გორიდან. ბარათაშვილის ოჯახში გამზრდელად ჰყოლიათ. ნ. ბარათაშვილის გამზრდელიც მაია იყო.

28. გიორგი — იგულისხმება გიორგი რომანის ძე ერისთავი ან გიორგი საგინაშვილი, ჯერ დაზუსტებული არაა.

VIII. წერილი მაიკო ორბელიანს

1. ტასო — ანასტასია ორბელიან-გაგარინისა (იხ. ზემოთ).

2. ტაეპი ამოღებულია „ვეფხისტყაოსნიდან“.

3. ჯაფარა — ირანელი მომღერალი, სათარას მეტოქე.

4. სულეიმან-ხან — შაჰის უკანასკნელი ხანის სელიმ-ხანის ვაჟი. პოდპოლკოვნიკი, მის ამაღლაში იყო ჯაფარა.

5. ნახევანი — (ნახევანი) — ჰველი ქალაქი მდ. არაქსზე.
6. ორლოვი (ივანე) — დონის ყაზახთა ატამანი კავკასიის ჯარების კორპუსში.
7. „ე. ჰუსლიმანი ნამარი ხანჯალანი“ — სიმღერის ტექსტია: „ეი, ჰუსლიმანო, გულში ხანჯალი დამკარ“.
8. ქაჩალი ძმა — იგულისხმება მიხაკო ქაიხოსროს ძე ორბელიანი, მაიკო ორბელიანის ძმა. ნ. ბარათაშვილის ნათესავი და სკოლის ამხანაგი. წერდა ლექსებს.
9. ივანე — ივანე ორბელიანი, მანანა ორბელიანის ვაჟი, გენერალ-მაიორი.
10. „ორი ტლუ ბიკი“ — პოეტი გულისხმობს თავის თავს და ლევან მელიქიშვილს.
11. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — პოპულარული ხალხური სასიმღერო ლექსიდან აღებული ტაეპი.
12. „ნახალნიკი“ — იგულისხმება ლევან მელიქიშვილი, იქამად ნახჭევანის მაზრის უფროსი.

სოლომონ რაზმაძე

„დიანა ვალია“ — შოთაყბულია თეიმურაზ ბატონიშვილის რეველში, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერებში არის დაცული. ლექსი პირველად გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა (იხ. ვახ. „კომუნისტი“, 1935 წ., № 229. „პუშკინის ლექსები, გადმოლექსულნი სოლომონ რაზმაძისაგან 1832 წ.“). ლექსი დაწერილია 1832 წლამდე. „დიანას მეჭლიში“ — მოთავსებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებში (H—1284, H—3154, S—1540). არსებობს პირველნაბეჭდი („ცისკარი“, 1858 წ., დეკემბერი). ნაწარმოების პირველი პუბლიკაცია აღექსანდრე ორბელიანისაა, რომელსაც იგი „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძისათვის თავის წერილთან ერთად გაუგზავნია: „მოწყალო რედაქტორო ივანე კერესელიძე! მოწყალო ხელმწიფე, გაბოვთ ეს ლექსი „დიანას მეჭლიში“, დაუბეჭდოთ სოლომონ რაზმაძის „ცისკარში“, ყველასაგან დაიწყებულს ჩვენგნი. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ეხლა მაინც მოვჯონოთ ის ყარიბი საწყალი. ჩემს მახლობელ ნათესავს ეპოვა ეს ლექსი თავის ქალაქებში, რომელმაც დასაბეჭდათ მომცა და მეც თქვენთვის გამოგიგზავნია, თორმეტს მშვენიერს ქართველად დაწერილი რაზმაძისაგან, 1832 წელსა. უეცარმა საგანმა განაღვიძა სული სოლომონ რაზმაძისა და იმისათვის იგალობა ტყბილად გაფურჩქნეილს განაფხელზედ, მშვენიერი წალოცის თალარის ქვეშ, სადაც ამ დროს ვმხიარულობდით ამხანაგებნი“.

„დიანას მეჭლიში“ დაწერილი უნდა იყოს 1832 წლის განაფხელზე, მარტის თვის შემდეგ, როცა ს. რაზმაძე პეტერბურგიდან თბილისს ჩამოვიდა თეირანს გამგზავრების წინ და აქ ქართველ შეთქმულებთან ერთად მონაწილეობდა საიდუმლო შეკრებებში.

„უსამართლოა“ — ლექსის დაწერის თარიღი და ადგილი მითითებულია ხელნაწერში: 1834 წელს, დეკემბრის 15-ს, ქალ. პენზა.

„ელბრუხი“ — ხელნაწერის ჩვენების მიხედვით ლექსი დაწერილია 1835 წელს, დეკემბრის 10-ს, ქალ. პენზაში.

„მამულს“ — ლექსის დაწერის თარიღია 1835 წელი. აპრილის 7, ქალაქი პენზა. იგი გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ პოლიევქტოს კარბელაშვილმა წერილში: „სლომონ ივანეს-ძე რაზმაძე“ („დროება“, 1882 წ., № 259).

„ხოფელს“ — დაწერის თარიღია 1841 წლის 22 აპრილი, ქალაქი პენზა. ლექსი დაიბეჭდა „დროებაში“ 1882 წელს.

„ვარდი“ — დაწერილი უნდა იყოს 1832 წლის შემდეგ.

„ილინე წვიმავ“ — დაწერილი უნდა იყოს 1832 წლის შემდეგ.

„დათვი და ცხვარი“ — იგავის ტექსტი მოთავსებულია 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, რე. XI, ფურკ. 1936). პირველად იგი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1926 წ., № 7).

„დათვი და ცხვარი“ ავტორის ჩვენებით დაწერილია თბილისში 1832 წლის ზაფხულში, „არაგვისთავის გამოგზავნის, ვაჩეყე მხოლოდ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს და მათ ლიტოვეს“, — წერს იგი ერთ წერილობით ჩვენებაში 1833 წელს. ეს თხზულება ავტორმა შეთქმულთა ერთ-ერთ კრებაზე წაიკითხა.

ალექსანდრე ორბელიანი

„მთოვარე“ — დაიბეჭდა 1832 წელს, პირველ ქართულ ჟურნალში — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ მეორე ნომერში. ხელმოწერილია ავტორის სახელის ინიციალითა. ჟურნალის რედაქტორმა სლომონ დოდაშვილმა იგი დაბეჭდა განყოფილებაში — „სტოხტქმნილება“ და იქ გამოქვეყნებულ ორ თხზულებას — „მთოვარეს“ და გიორგი ერისთავის პოემას — „ოსური მოთხრობა“ წარუძღვარა შემდეგი: „გამომცემელი ვალად ჰრაცხს განუცხადოს მოთხველთა მადლოცა შემდგომთა ლექსთათვის. რომელნიცა აქა წარმოუდგებიან მსჯელობასა მკითხველთა ჩუწნთასა. დემკრთმან ინებოს რათა იყლოენონ თხზულებათა შინა მრავალ-გეართა სტიხთათა და სასაომუნო არს, რათა საშუალ შემამელეთა ჩუწნთასა გამოჩინდნენ სსუანიცა მბაძველნი ესრეთთა საქმეთანი“. შემდეგ ეს ლექსი აღარსად დაბეჭდილა.

„საქართველოს გაზაფხული“ — ხელნაწერში თარიღია 1821 წელი, ქალ. ტფილისი. დაიბეჭდა „ცისკარში“, 1864 წელს (№ 4), შემდეგ იგი ზაქარია კიკინაძემ შეიტანა წიგნში „ნაწერი ალექსანდრე ორბელიანისა“ 1879 წ.

„კავკაზის მღები მამულის მთიდგან“ — პირველნაბეჭდში თარიღია „1839-სა წელსა 15 სექტემბერს, ქალ. პიატიგორსკს“. დაიბეჭდა „ცისკარში“, 1861 წელს (№ 2), შემდეგ წიგნში „ნაწერი ალექსანდრე ორბელიანისა“ 1879 წ.

„ეპიტაფია“ — ლექსის სქოლიოში ავტორი წერს: „მეთის ირაკლის ასულს. დედა-ჩემს თელე ბატონიშვილს მივართვი ეპიტაფია 12-სა თებერვალს 1845 წელსა“. ეპიტაფია დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წელს (№ 5).

„რუსთაველი“ — ხელნაწერში თარიღია „9 ივლისს 1852 წელსა, ალგეთის ხეობაში, სამების მთაზედ“. იგი დაიბეჭდა „ცისკარში“, 1853 წელს (№ 1).

„უშანკო ხიხლი“ — დაიბეჭდა „ცისკარში“, 1857 წელს (№ 8). შემდეგ ზაქარია კიკინაძემ შეიტანა წიგნში „ნაწერი ალექსანდრე ორბელიანისა“ 1879 წელს.

„დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ფაში საქართველოსი“ — ავტორი თხზულებას ურთავს შენიშვნას: „დრამა მეფე დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ფაში“ ოთხ მოქმედებად, თუ დიანახონ, სამ მოქმედებად წარმოიდგინოს, მაგრამ მე უფრო წასაკითხთ დაწერეთ. თუ ნამდვილი ისტორიულთა რამე გადასდეს ამ დრამა-

მასა, მოგვიტონ. ამკვარები უამისოთ არ დაიწერება. ბატონიშვილი დედა-ჩემი თეკ-
ლე. შეფის ირაკლის მეორის ასული რომ გარდაიცვალა 1846-სა წელსა 11-ს მარტსა,
მწუხარების გამო დაეწერე ეს თხზულება იმავე ზაფხულს ჩემი მეუღლის ეკატერინეს
სოფელს კაზრეთს.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

პიესა წიგნად გამოიცა ზ. კიკინაძისაგან 1891 წელს.

„ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“ —
ხელნაწერში თარიღია „1862 წელი, ს. კაზრეთი“. პიესა დაიბეჭდა „ცისკარში“ 1864
წელს (№ 3), ცალკე წიგნად გამოსცა ზაქარია კიკინაძემ 1877 წელს. ალექსანდრე
ორბელიანის ქალღმერთებში ინახება პიესის ის ხელნაწერი, რომელიც ავტორს ცენზუ-
რაში წარუდგენია. სადაც პიესის დაბეჭდვის ნება მიუცა ცენზორ ყაითმაზოვს 1864
წლის 14 იანვარს. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ პიესას ავტორმა დაურთო ვრცელი
წინასიტყვაობა, რომელშიც ახსნილია პიესის შექმნის მიზეზი და მისი მიზანი. პიესის
წინასიტყვაობა (იგი ცალკე დაბეჭდილში აღარ შეუტანია ავტორს) შემდეგია: „ეს ამ-
ბავი ბატონიშვილის ირაკლის დროსა იმითმ ამოგარჩიე მე, რომ ამის ყმაწვილო-
ბას მოუხდებდა ეს ტრაგედია. დროე იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში.
მაგრამ. რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა,
მგონია იმტოლა ყმაწვილისგან სხვა მაგალითი არ იყოს. არსად ქვეყანაზე! წარმოიდ-
გინეთ, ქართლი და სომხითი ოსმალთ ეკირათ, დიახ მაგარ ბორკილებს ქვეშა. ქიზიყი
და გაღმა მხარი ევრეთვე ოსმალ-ლეკთა, რომელნიცა კიდევ გაოსმალდნენ გლეხნი,
გარდა თავდა-აზნაურებისა და თელავის მხრის მცხოვრებნი ხომ. შიშით შეძრწუნე-
ბულნი, სიმაგრეებში დაიხიზნენ სულერთიან.“

ადრიდგანვე წყნარ-წყნარად დასუსტებული და ძალა მოღებული ერთიანი საქარ-
თველო ჯერ რავედენსამე ნაწილად განყოფით და მასუკან მძვინვარეს მტრებისაგან,
ან-და დასაღუპად ხელში ჩაიგდეს და სრულად უპირებდნენ ძირით ვაებაში ჩაეარდ-
ხილსა საქართველოს. მხოლოდ ნაცარში დამალულსავეთ, ერთი ცეცხლის ნაპერწყალი
იღაც იყო დარჩომილი, ეს იყო ფშაის სიმაგრეებში დახიზნული მეფე თეიმურაზ
მეორე, მაგრამ ვიღა იფიქრებდა მისთვის, ელას ექნებოდა იმისი იმედი, რომელიცა
შეშინებულს თავკსავითა სოროს ეძებდა. თავი დაეხიზნა საღმე, საქართველოზე მოსე-
ულს უანგარიშოს მტრისაგან.

აი, ამისთანა დროში, ის თხუთმეტის წლის ბიჭი, ბატონიშვილი ირაკლი. ფშაის
სიმაგრეიდან გადმოვიდა. პირველად ალავერდს მივიდა და იქიდან დაიწყო საქართვე-
ლოს გამოხსნა აუარებელის მტრებისაგან. ამ დროებსა ნადირშაჰ მოესწრო, დაურ-
ტაშზე ოსმალის დიდი ჯარი დაამარცხა და საქართველოს გარემოება შეიცვალა. თუმ-
ცა შეცვალა, მაგრამ ისტორიით ვიცით. ისეც გაგონილი ამბები, რომ რა არ გამოს-
ცადა მაშინ საქართველომ? რა საშინელება არ იყო დაცემული ირაკლის დროს საქარ-
თველოზე? ამის შეტი სხვა კარგი არა იყო რა არაფერი, რომ ნახევარი საქართველო
გაოხრდა მტრებისაგან, ბევრის ქართველების სისხლის ღვრითა, ანუ ტყვეთა წაყვანი-
ლობითა. მაგრამ, მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ვერაოდეს ვერ გადრიკეს ქარ-
თველების გული იმდენმა უანგარიშოთა მტერთა და ვერცა მამული მოსტაცეს იმათ!
მთელი საქართველოს ხალხი მდევრად გადაიქცა: მეფე, თავადნი, აზნაურნი და გლეხ-
ნი, სულ მდევარში იყვნენ უნამეტნავეის დროები. ყოველს ცისმარე დღესა და ღამეს
ამის შეტი ამბავი აღარა იყო რა მთელ საქართველოში, რომ ხან აქ და ხან იქ დაიძა-
ტებდნენ: მდევარიო, ამ სოფელს მტერი დაეცა და მდევარი მიეშურებაო, აქედან ტყვე
წაიყვანეს და მდევარი დაედვენაო. აქა და აქ მოუკლავთ და მდევარსაც მოუსწვრიაო

(„აღსია, დედაკაცისა და ყმაწვილის განმკითხავი აღარ იყო მტარსაგანს... უიასო კი მოასწრებდნენ, ზოგს ხოცდნენ და ზოგს ტყვედ წაიყვანდნენ). ეს და ამ ადგილას დიდს მტრის ქარს გაუვლია და მეფე თავისი ამალით დასდევნებიაო. იქით ხეობაში მტრის ჭარი შეხდომია და ჩვენს ჭარსაც იმათთვის გზები შეუკრამსო. ამა და ამ წყალს პირზე ჭარი ჩამომხდარა მტრისა და ჩვენი ჭარიც იმათზე გამოსულაო. იქით, ხევით, მთაში დიდი მტერი ამოსულა და მეფესაც თავისი ჭარით იმ მთის ყელები დაუტყვერიაო და აქ მახლობლად ტყეში დიდი ჭარი იყურება, დრო იპოვნონ, დაგვეცნენო, მაგრამ მეფეს არაჯლის ისინი ველარსად წაუვლენო! რაღა გვაგარძელოთ, მიუღს საქართველოზედ მიდიოდ-მოდიოდნენ და პქელადნენ გაუკოთხავად რაც შეეძლოთ ქარ-ბელაქანიდან ახალციხემდისინ და ახალციხიდან ქარ-ბელაქანამდისინ, სადაც იმ ორს ქვეყანაში იყვნენ ჩაწოლინი ქართველ მტერი და ის ბევრი... ამ ორ ბუდეს შუა ისრისებოდა საქართველო იმათაგან. რა-ზედაც, როგორც ხაღზედ ვადიოდნენ და გამოდიოდნენ გაერთებული ლეკ-ოსმალთ ქართველთა დასანთქმელად.² არც სპარსებმა უთავაზეს. ისინი ხომ რაზმ-რაზმებით მოდიოდნენ ერთს მეუკა ქართველებზედ უსირსხეილოდ და სხვანი... თითქმის მთელს საქართველოს ხალხსა გატენილს თოფებზედ ეწინათ. ახალი მღვერიდ-ნო-ული ქართველი ხიზანს რომ გვერდით წამოუწევებოდა და ტყბილად ჩაიძინებდა, ამ დროს დაიძახებდნენ: მღვერიაო. ეს დალილ-დაწყვეტილი კაცი გაოგნებული წამოვარდებოდა და ცოლი გატენილს თოფსა ხელში აძლევდა ამ სიტყვით: კაცო, რას გაოგნებულხარ, კიდევ მღვეარს იმანია. ამა თოფი! გონებაზე მოსული ქართველი თვალებს მოიფშვინებდა და მღვეარში დაჩვეული დამშვიდებით ეტყობა: კიდევ მღვეარს! ამ ერთ კვირასში შვიდჯერ ვყოფილვარ მღვეარს და ესეც მერვე იქნებარა დედაკაცის პასუხი: უსამართლოს მტრისაგან უსამართლოთ რომ იღუპება ჩვენი მამული, მამ რასა იქ, არ წახვალ?

ერთი მაგალითი ხომ არ არის ეს. ასე იყო და ამგვარი მოუსვენებელი ცხოვრება პქონიათ ჩვენთა მამა-პაპათა.

ესენი ხომ შეიძლება სიტყვით ითქვას და უცხო ყურმაც განსვენებულის გულით უაიგონოს, მაგრამ ის ანებები, ის ქართველების სისხლი, ანუ ტყვეენა მამულისათვის არის ჩვენი შეილისშვილების დაუვიწყარი სახსოვარი.

მინამ მეფე ირაკლი მოკვდებოდა, სამოცდა სამი წელიწადი ოხრდებოდნენ და წყდებოდნენ ქართველები. მაგრამ იმათ მტერსაც კეთილი არ მოსდიოდათ, ისინიც დასდასობით იღუპებოდნენ ქართველებსი ხელით. თუმცა იღუპებოდნენ. მაგრამ იმ უანგარისშოთა ცოტა ქართველები რას უზამდნენ? ბაღახი მოითობა, მოვიდა უფრო ბევრი... ეს სისხლი და ოხრება ქართველებისა ეს იყო: ან ამოეწყდეთ სულ ერთიან, ან

1 თითქმის ყოველს სოფელს თავთავისი ციხეება ჰქონდათ, თუ ციხე არა, კომუნიზრ ანუ კომუნი და თუ ესენიც არა, უთუოდ ჭიხურები მანც, სადაც ხიზნით დიხიზნებოდნენ და იქიდან მტერსა ეომებოდნენ. მინამ მღვეარი მოუშველებოდა. დიდი ცხალი მტრის ჭარი იმდენს ენებას ვერ აძლევდა ქართველებსა, როგორათად ქურდი მტერი. თუმცა ძალიან ფრთხილად იყვნენ ქართველები და ყოველს სოფელს, სოფლების გარშემო ყარაულები ჰყოლიათ დაყენებელი. მაგრამ ქურდსა რა გაუმარტობა. ნა-მეტნავად იმათ, ვინცა ჩვენი შემოსასული და გასასული. ყოველი ადგილები და-მეტრებით ქარგად იცოდნენ. დრმა ტყეში იყვნენ ხოლმე დამალულნი და იქ ჰქონდათ ბინა თურმე და იქიდან ჩუმათ ეცემოდნენ ყოველს სოფლებს. ასე, რომ ყარაულებსაც ეკორა გავიდა რა იმათი ამბავი, საიდგან გამოდიოდნენ სოფილუკის დასაკრედად. ეს მტერი უფრო დამე მოდიოდა.

2 თავის დროზედ აღწერი, საიდან როგორ მოდიოდნენ გაერთებული ლეკ-ოსმალთ.

არა და ჩვენი თავისუფლება დაეიმკვიდროთ. აი, მეფის ირაკლის მეორის დრო საქართველოში.

ვასპურკებელი! იმდენმა გარშემოხვეულთა ქართველების მტრებმა, როგორ ძირიანათ ან ამოგადეს ცოტა ქართველები საქართველოდგან, აღრიდგანვე იმ საშინელის მტრებისგან დარჩომილთ? საქმით მსჩანს, რომ უწინდელი ქართველი ყოფილა მართლად მგაბრი ქართველი. ამისთვის მეც ვეცადე, რაოდენ ჩემმა სუსტმა კალამმა შეიძლო, რომ მაშინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა თუ დრო ამ ტრაგედიაში გამოუმხატა. ასე არა დამიწერია რა აქა, მეფის ირაკლის დროის საქმეებთან საოცარი იყოს, ვარა ერთისა, უკანასკნელი რევაზის მდგომარეობა. უთქვამთ ისე არაკისავეთ, მითომ საქართველოში მომხდარ იყოს ოდესმე ეს შემთხვეულება.

ერთი სიტყვით, მაშინდელი მეფის ირაკლის დროის ქართველებს ეკადრებათ მაჟელის მოწამეობის გვირგვინი!

თა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

1862-სა წელსა ზაფხულს
ს. კახრეთს.

ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანის ლექსების ავტოგრაფი S—4906ბ და პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი ნუსხა — S—4906ა, ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ლექსები შედარებულია ხელნაწერებთან და ვ. ორბელიანის თხზულებათა ძირითად გამოცემებთან: 1. ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, სრული გამოცემა მისი ასულის მარიამ ორბელიანისა, პ. უმიკაშვილის და ი. კაეკავაძის რედაქციით, ტფილისი, 1894 წ., 2. ვახტანგ ორბელიანი, ლექსები, სრული კრებული, „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1928 წ.

გამოხალგვა

ხელნაწერები: S—4906ბ, ავტოგრაფი, გვ. 1. (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილის გვ. 72 (D). ნაბეჭდი: ვ. ორბელიანის ლექსები, 1894 წ., 58 (E). ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ. გვ. 3. (A).

3. ცათ PE; 5. გამოშდელი DE; ნაცვლად „მამულო“ „ვენახო“ D; 8. გინ C; C-ში მეორე სტროფი გადახაზულია ფანქრით და მინდორზე ფანქრითვე მიწერალია: „მშვიდობით, ჩემო გამოშდელი, ჩემო ოჯახო, იქნებ იქ მოვეკდე და სამშობლო ველარა ვნახო“...

მეორე სტროფის ამგვარ წყაითხვას, ოღონდ მეორე ტაქში ნაცვლად „ოჯახო“ არის „ვენახო“, იმეორებს DE.

ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1834 წელს.

წიგნი მოწერილი რუსეთშია

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, 1 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 71 (D). ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 57 (E) ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., 4 (A).

სათურს: წიგნი სრულიად ახალ ემანუელობაში D; წიგნი ავტორის სრულიად ახალ ემანუელობაში E.

დაწერილი უნდა იყოს 1834—1839 წლებში.

5. „ღა“ არ არის D; 8. ეგრედ CD; 10. სხვები A; მე-13 და მე-14 ტაეპები აქლი DE.

მოგონება

ხელნაწერი: S—4906ბ, თეთრი, ავტოგრაფი, გვ. 34 (B). S—4906ბ, შავი, ავტოგრაფი, გვ. 34 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 69 (D).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 55 (E). ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., გვ. 5 (A).

3. B-ში „ღამ“ გამორჩენილია; 7. თვალ-წინ B; თვალწინ DE; 8. ჩვენის CD; 10. უბსკრულს B; 17. DE-ში ეს ტაეპი გამორჩენილია; 18. მესია D; 21. ვნახამ B; 22. მდიდრათ B; 30. გაფურჩხვნილი AE; 34. ცის D.

ქველი ღმანისი

ხელნაწერი: S—4906ბ (ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 8 (B) S—4906ბ, ავტოგრაფი, შავი, გვ. 21 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილი, გვ. 65 (D).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 55 (F). ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., გვ. 26 (A).

დაწერილია 1866 წელს, პირველად დაიბეჭდა 1875 წელსა ექვრნალ „კრებულში“, № 10—12.

C-ში გაკეთებულია შენიშვნა: „აქედამ არ გადაიწეროს შესამოწმებლად“. B-ში „უნდა დარჩეს ეს ტეტრადეა, მანამ სულ დაიბეჭდება ჩემი ლექსები; შემდეგ წითელი ფანქრით „დაბეჭდილია“.

ავტორის სათურს სქოლიოს უკეთებს, ჩამოტანილია სქოლიოს ნიშანი, მაგრამ აღნიშნული არაფერია.

სათურს აქვს სქოლიო — „სოფელი ღმანისი მდიდარის შენობათა ნანგრევებდთ ორბელიანთ მამულშია, მაშავერის წყალზე. მამულის გაყოფის შემდეგ ეტრგო ავტორს“.

1. მხვედრად CD; 8. ექიკერეო D; ექიკარო C; 9 ძლოვ C; 12. რათ C; ჩემთვის D; 17. მოგესალმებით C; 23. რათ C; 25. სულს D; 26. ზდაპარს D; 27. განჰქრი BC; 28. ჩემს BC; სატანჯავათ B.

ორი სიზმარი

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 11 (B). S—4906ა, ავტოგრაფი, შავი, გვ. 23 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილი, გვ. 62 (D).

ნაბეჭდი: „ივერია“, 1860, № 1; ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., გვ. 28 (A).

1 წმინდასა BCDE; 5. ჩემ D; 8. სჩნდნენ BCD; 13. დატოვებულთ A; 16. ეგრედ EDE; 16. წმინდას DE; 20. წმინდასა CDE; 23. წიად C; 29. ძდიდრათ C; თვის CD; სულნელებას C; 30. წმინდა BCDE.

არის აღვილი

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 73 (BC). S—4906ბ, ავტოგრაფი, შავი, გვ. 3 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილი, გვ. 7 (D).

ნაბეჭდი: „ივერია“. 1880. № 4. ვ. ორბელიანი, ლექსები 1928 წ. (A).

წ. (A).

მიძღვნა: „იმერთ“ C; ეუძლნი იმერთ D;

1. აღსწერს BCDE; 2. ისია C; ასეა D; 7. ჰსარობს BD; 9. დასკერიან C; 10. თვის C; ზაფხულს BCD; 12. ფურჩენილთ BCD; 15. სდგას BCD; გულამაყათ C; მტკიეით D; მაგრათ C; 16. უბძანებს C; მათ და ხეობათ B; 17. ვლევეარ მარტო C; ვლევეარ ლიტონი C; 18. მბრძანებელი C; თქუნი C; 20. მოგცემსთ D; 22. რეული C; 29. მაგრათ C; 30. შემურვილი B; 33. ჩემსა C; 38. მცელი C.

ჯჰპარი ვაზისა

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, გვ. 34 (B). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 30 (D).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ. (E). ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ. (A).

4. ჰევირის D; 8. სჩანს აფრა D; სჩანს ნავი BD; 9. გაკბედოს B; 12. შთანთქავს BD; 15. მოჭფრინავს B; მოჭრის E; 17. სცილილობენ B; 18. ხომალდი E; დასთქან D; 19. განრისხებული BD; 20. ეჭარებთან D; 21. უკუ იქცევა D; 23. ზღა D; 26. მოჭფრინავს BD; მოჭრის DE; 27. სჩანს B; 28. სჩანს BD; 29. „მოჭრის“ ნაცვლად „მაგრაჰმ“ E; 33. აღსდგენ D; 36. მიჰქროლავს BD; 37. მიჰქროლავს BD; 38. მიჭფრინდა B; 39. ვადმოხტა D; 48. ნათლს D; 52. ეშინიან D; 55. ეშინიან BD; 56. წმინდისა E; 59. წმინდის BDE; 60. ალაგრძნებს B; 61. წმინდის BD; 63. წმინდამ BDE; 68. მოიციო B; 69. აღსდგა B; 76. ჰკენესის B; 80. ღმერთი BD; 83. წმინდის BDE; ფეხთწინა BD; 85. საშუობლო BD; 91. ჰქონდეთ BD; 98. აღსდგენ BD; 115 უხმო B.

ორი შენოვა

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, გვ. 43 (B). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 27 (D)

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 22 (E), ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ. (A).

1. თვალთ-წინ BD; 2. სჩანს BD; 4. ნიშანიც D; 5. ახლად BD; 8. ამისი D; 11. მის D; 26. პირზე BD; განჰქრებთან BD; 27. განჰქრება BD; 28. მომავალი E; 36. ეკმნება E.

განკითხვა

ხელნაწერი: S—4906ბ, — ავტოგრაფი, გვ. 90 (B). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 85 (D).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ. (E). ვ. ორბელიანი; ლექსები, 1928 წ., (A).

1. მწველიადი B; 8. სჩანს BD; 10. ძლიელა B; მთიებით BD; 14. მიჰქროლავს BD; 15. რა BD; 36. მიჰქროლავს B; მიჭფრინავს D; 39. მიჭრის E; 44. ჰქევა BD; 69. ერთს E; 87. სდგას BD; 104. ოცნებრ E; 105. ამოიოხრავს BD; 109. უძვეს B; 110 აღმოიკითხავს DE; 114. ჰგალობენ BD; 118. უბზაკრო D; 123. ფურჩქენილი BD; 151. თვის BD; 169. მამად B; 175. ჰქრება D; 179 განჰქრა BD; 180. სჩნდება B; 182. მთებთ BD; 187. აღსდგა B; ძალათ PE; 190. ზოგვან B; 194. სდგას BD; 199. თითქო BDE; 201. ფურჩქენილხარ BD; 204. ორთ B; 205. მბრწყინვალე BD; 207. ორთ BD; გამოზდილი BDE; 217. შვენებას B; 225. იცვლიდენ B; 226. გაშვენებული B; 229. სდგას BD; 233. ჰფიქრობდა BD; 251. ჰგრილა BDE; 264. ჰკივის BD; 268. განსსეგ-

ლი BD; 269. ჰსრუნავს B; 270. თითონ BD; 278. სდგინან B; 282 ცხოველთ B; მშვე-
ნიერთ B; 293. უსირცხოდ B; 313. ჰრბოდა B; 324. სდგას BD; 329. დაპლვაროს B;
332. წადგა B; წარსდგა P; 335. საფლავი BD; 338. მწათნი BDE; 354. სტირის BD;
359. დაპლერი B; 362. ღმერთი BDE; შენ BDE; 365. სდგას D; 371. სასაფლავო BD;
375. თაყვანსცემენ E; 381. მით D; 385. განბრწყინებული D; განბრწყინებული DE;
390. სდგას BD; მთვარის D; 391. გარდაშლილი BD; 393. მიმართული BE; 395.
თვის გარეშემო BDE; ვერარას B; 399. მავდალინა BD; 400. წმინდა BDE; 407. გზა
ADE; 408. მწველიანს B; 413. დალიშულ P; 414. თვის BD; 421. ის A; 429. ცხარის
BD; 431. ცათ BDE; 436. გმირი D. 447. ხრმალით B; 449. ჰრბის B; 450. განგმირა
BD.

კაცი ის არის

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, გვ. 21 (B). S—4906ა, პ. უმიკაშვილს, გვ. 73 (D).
ნაბეჭდი: „ივერია“, 1882, № 2. ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., გვ. 64 (A).

14. ვისი BD; 18. დაერღობილ BDE; 21. მალას BD; მღვთაებას B; 22. სცდი-
ლობს D; 27. უსაძღვრო B; უსაშღვრო E; 28. მაში PE; 33. მკალი B; 36. უშიშრათ
B; 38. სიცრუეს BD; 43. არ B; რცხენის B; 49. ვასათ B; ვრცლი D; 51. ვმო-
ებთ B.

გალია

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 85 (C). S—4906ბ, ავტოგრაფი, შავი,
გვ. 12 (B). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 54 (D).

ნაბეჭდი: „დროება“, 1882, № 184. ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ., გვ. 77 (A).

ეპიგრაფი არ აქვს BC; 1. ჩასომთ BCD; 3. დაუტყუევებთ A; 4. საღმურია D;
5. დაუტყუევებთ A; 8. სიქვას B; წამოთქვას C; წარმოსთქვას D; ყოფნა BD; 11.
არ შევინს გალია C; რათ C; 12. სყოზიან BD; სყოზია E.

სამოთხლო ქვეყნის პასუხი

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, გვ. 154 (B). S—4906 პ. უმიკაშვილის, გვ. 78
(D).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 63 (E). ვ. ორბელიანი, ლექსები,
1928 წ., გვ. 81 (A).

ეპიგრაფში: „ლექსების“ BD.

5. ჩვენზედ E; 6. ხელი BD; 9. მახედ D; 15. მხრით D; 18. შესწედნენ BD;
20. დაარსებენ AB; 27. ებართ PE; 28. ქველთ BD; 35. გაზდილი E; 36. ჩემს D;
სდგებიან BD; 39. ირჩობიან E; 40—41. გამოტოვებულია E; 40 ეს ტაეპი გამოტო-
ვებულია D; 42. ჰფრინავ BD; 44 . უმცროს BD; 51. ჩემს B სდგებიან BD.

ხმა სამოთხლო ქვეყნისა

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 87 (B). S—4906ბ, ავტოგრაფი, შავი,
გვ. 15 (C). S—4906ა, პ. უმიკაშვილის, გვ. 55 (P).

ნაბეჭდი: ვ. ორბელიანი, ლექსები, 1894 წ., გვ. 43 (E). ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928
წ. (A).

6. მღვლეარე C; 7. ფურჩქენილი BCD; 13. ეგრედ B; 16. სულნელოვანი C, სუნელოვანი D.

პოეტს

ხელნაწერი: S—4906ბ, ავტოგრაფი, თეთრი, გვ. 168 (B). S—4906ბ, ავტოგრაფი, შავი (C). S—4906ა, პ. უშიკაშვილის, გვ. 144 (P).

ნაბეჭდი: „ღრობა“, 1884, № 273. ვ. ორბელიანი, ლექსები, 1928 წ. (A).

4. ტოლუმბაში A; (D-ში სქოლიო აქვს ამ სიტყვას: „გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ეწოდებოდა პირველად „ტოლუმბაში“, რომელიც პოეტს შეაცვლევინა ვახტანგის ძმამ, ქართველმა მწერალმა, ალექ. ორბელიანმა“ — შენიშვნა პ. უ-ისა“).

6. ლუღანდრობა C; 8. მუხამბაზით D; 10. გაფურჩქენილი BC; 12. მშვენიერათ C; 14. დაგვანახე BCD; 15. განუსაძვრელი C; 17. ტურფით C; იფურჩქენებოდნენ BD; იფურჩქენებოდნენ C; 18. ცისკარს BD; 22. მშვიდათ C; 24. მუსერიდეს BCD; 25. დაგვანახე BD; 28. ძეულთ B; 31. დაგვანახე BCD; 39. შილღერისას BCD; 42. ბაკში BCD; 43. დაგვანახე BC; მხარობს B; 44. მღვთისა C; 48. დიშპლიბიტოს BCD; 49. ლ...ანს BCE; დ...ო...კოვს BCDE; 51. ვსდი BD.

ძველი დმანისი

1. დმანისი — დაბა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში. ორი ხიზმარი

1. აბაშიძე, ვასო — (1854—1926 წწ.) ცნობილი ქართველი მსახიობი, ქართული მუდმივი თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი.

არჩხ ადგილი

1. ედემი — სამოთხე, ზღაპრული წალკოტი.

2. თამარი — (1156—1213 წწ.) საქართველოს სახელგანთქმული მეფე. მეფობდა 1184—1213 წწ.

3. დიდი დავითი — (1073—1125 წწ.) საქართველოს უდიდესი მეფე, აღმანებლად წოდებული, მეფობდა 1089—1125 წწ.

4. გელათი — ცნობილი მონასტერი ქუთაისის მახლობლად, სადაც XI—XII სს. არსებობდა აკადემია.

ჭვარი ვაჭისა

1. წმინდა ნინო — საქართველოში ქრისტიანობის შემომტანი IV საუკუნეში.

2. კერპი — წარმართთა ღმერთი, აჩრდილი არსებისა.

3. ბოშონი — სვეტია კერპთა აღსამართავი, კერპთა ტაძარი, საკურთხეველი.

4. ელინი — ძველი ბერძენი.

გაკეთებვა

1. მაგდალინე — მარიამ მაგდალინელი, სახარების პერსონაჟი, ადრე ცოდვილი, ხოლო შემდეგ ქრისტეს მცნების ამლიარბელი. ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. მრავალმა ცნობილმა მხატვარმა და მათ შორის გვიდო რენიმაე შექმნა მაგდალინელის თემაზე ფერწერული ნაწარმოები.

2. რენი გვიდო — (1574—1642 წწ.) იტალიელი მხატვარი. ბაროკოს სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი იტალიურ ფერწერაში.

ბოეტს

1. რუსთაველი — შოთა რუსთველი.

2. შექსპირი უილიამ — (1564—1616 წწ.) დიდი ინგლისელი დრამატურგი.

3. ოფელია — შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი.

4. ლოპიანა — განთქმული ყარაჩოხელი, მოკრევე და მეთევზე. ლოპიანას ზოგჯერ „გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტს“ ეძახდნენ, გრ. ორბელიანის „მუხამბაზის“ პერსონაჟი.

5. ონიკოვი დიმიტრი — ცნობილი მოქვიფე 50-იანი წლების თბილისში. გრ. ორბელიანის ნაენობი და მისი პოეზიის პერსონაჟი (იხ. „დომორტი“ ონიკოვიელის დარღები“).

6. შილერი — შილერი იოჰან ფრიდრიხ (1759—1805 წწ.) გამოჩენილი გერმანელი პოეტი და დრამატურგი.

7. აშალია — შილერის დრამის „ყაჩაღების“ პერსონაჟი.

8. მუხამბაზი — მუხამბაზი ეწოდება ხუთთავიანი სტროფებისაგან შედგენილ ლექსებს. მუხამბას (არაბ.) ნიშნავს ხუთთავიანს. ქართულ პოეზიაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მუხამბაზის სტრიქონებისა და სტროფთა რაოდენობა.

მიხეილ თუმანიშვილი

„ტირიფი“ — დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „თემში“ (22 ოქტომბერი, № 94) სათაურით: დაუბეჭდავი ლექსი პოეტ მიხეილ თუმანიშვილისა, რედაქციის მინაწერით: ეს ლექსი ნაპოვნია თავ. მიხეილ ბირთველისძის თუმანიშვილის ქალაქში და ეკუთვნის მის კალამს. რედ. ეს და სხვა ლექსები გაზეთ „თემის“ რედაქციას გადასცა მიხეილი: შეიღმა გიორგი თუმანიშვილმა. იმის შემდეგ ლექსი აღარსად დაბეჭდილა.

„ფიალა“ — დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარი“ 1858 წელს (№ 2). ხელმოწერის ადგილზე უწერია თ. ლექსი შემდეგ შეიტანეს მიხეილ თუმანიშვილის „რჩეული ლექსების“ 1881 წლის გამოცემაში. პირველ პუბლიკაციას ახლდა შენიშვნა: „ეს ლექსი არის გადათარგმნილი პოლშურს ენაზედ ლადი-ზაბლოცისაგან და დაბეჭდილია მის ლექსებში, გამოცემულს ლეიცილის ქალაქში“.

„ხალაშური“ — დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარი“ 1866 წელს (№ 9), ხელმოწერით ი. კ. ლექსი შემდეგ დაიბეჭდა „ალმანახში“, წიგნი I. გვ. 89, შემდეგ—მიხეილ თუმანიშვილის „რჩეულ ლექსებში“ 1881 წელს.

„უღაბნო“ — დაიბეჭდა 1878 წელს გიორგი თუმანიშვილის მიერ გამოცემულ „ალმანახში“, წიგნი I, გვ. 88. შემდეგ — მიხეილ თუმანიშვილის „რჩეულ ლექსებში“ 1881 წელს

„ჩანჯური“ — დაიბეჭდა მიხეილ თუმანიშვილის „რჩეულ ლექსებში“ 1881 წელს. ლექსი დაუთარიღებელია.

„მოგონება“ — სათაურით „ელეგია“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარი“ 1863 წელს (№ 9), ხელმოწერით კ. ლექსი შემდეგ დაიბეჭდა მიხეილ თუმანიშვილის „რჩეულ ლექსებში“ 1881 წელს.

ბრიგოლ რჩეულიშვილი

„მდიდარი“ — პირველად დაიბეჭდა 1857 წელს ჟურნალ „ცისკარი“ (№ 5).

„გამოსაღმება“ — დაიბეჭდა 1858 წელს ჟურნალ „ცისკარი“ (№ 1).

„მთვარი“ — დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნალ „ცისკარი“ (№ 12).

„... ხადში“ — დაიბეჭდა 1865 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 10).

„ხიუვარულიხადში“ — დაიბეჭდა 1865 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 10).

„ანუკა ბატონიშვილი“ — დაიბეჭდა 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 11). მოთხრობაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები ავტორს აუღია „ქართლის ცხოვრებიდან“ (ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854 წ.). „ანუკა ბატონიშვილის“ ლიტერატურულ წყაროს კი წარმოადგენს იტალიელი მწერლის ი. ფორენტინოს რომანი „იზაბელა ორსინი“. გრ. რჩეულიშვილს ამ რომანიდან არა მარტო სიუჟეტი უსესხებია, არამედ რამდენიმე პასაჟი პირდაპირ გადმოუქართულებია (იხ. ჟ. კუმბურიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 1958 წ.).

ტიქსტი იბეჭდება გრ. რჩეულიშვილის თხზულებათა 1965 წლის გამოცემის მიხედვით (გრ. რჩეულიშვილი, თხზულებანი, ს. ყუბანეიშვილის რედ.).

ლექსიკონი*

- ამარა ერთი რისაზე მქონე (მღრ.: ჩონის ამარა)
ახადარებს ამხიარულებს (სიტყვიდან „დარი“)
აღმევენ აფრქვევენ (სხივებს, სურნელებას)
აღმგზნებელ-ი ამშლელი, განმძლიერებელი (ყეცხლის, დარდის, ქირის)
აღსაგზნებელ-ი ასანთები
ახალი ახალე (თავი)
ბალახში-ი ბადაბში, ძვირთასი ბადაბშური ქვა (ლალი და მისთანანი)
ბახუს-ი მითოლოგიური ცნება — ღვინოსა და ნაყოფიერების ღმერთი
ბორჯვნილ-ი აღმფოთებული, განრისხებული
განაპობებენ ანაყოფიერებენ, პობერს ჰხდიან
განერა გადაურჩა
განმცდლობს განიცდის
განწვლილი-ი გაწვრილებული, დაწვრილებული
გარდმოწირალ-ი მალლიდან მხედველი (მზირალი)
გარშოისარე გარს შემოივლე (ბაკმად)
გაფოთებულ-ი გაშმაგებული
გაცართობდა (ტმესია: გა-ცა-ართობდა)
გაართობდაცა, გაართობდა კიდევ
გეშხვაჯალვის გეკედლება, გეთვისება
გვალმო გვატყინა (გული)
გვირკეს გვეთამაშება
დაბძარულ-ი დაქრილი, დაკოდილი
დამცრობა დამდაბლება (სულით)
დანაგულ-ი საგულეებელი, ნაგულეები, რაც გვეგულება
დანაგულ-ი დაგულელი, დახურული (ყარი)
დაწო დაწვა (ქალაღი ცეცხლით)
ღრტინევენ ჩივიან, შფოთავენ
ველტიან გურბიან (სიამენი)
ვლიხებ ველი ელისეის მინდორი, მთოლოგიურად საშოთხე
ვხხივმუნარე სხივბად მოუფინე
ვაო ვხო
ვაშტ-ი მოლაშქრე
ზე დრო (ჩემი ზე — ჩემი დრო)
ზილფ-ი ქალის თმის კაეები (მღრ.: „ზილფო კაეებო“)
თავ-ახბულ-ი თავაწეული, თავაღებული
თანაწარაბლებით გვერდს აუვლით
თათა მიწაყრილი, ბორცვი, გორაკი
ველზე
ორაშ-ი წახნაგი (ყინულნი ათას-თრამნი — ათასწახნაგოვანი ყინულები)
იმრვის-ი რაც მოძრავია
კაეშანი-ი დარდი, ნადველი
კოდილ-ი დაქრილი
კომლ-ი ცვამლი, ბოლი
ლიზლ-ი ლაქცი, უშნო ხემრობა
მალემა დამალურჯა
მგრძნ-ი მგრძნობი, მგრძნობელი
მღგმოზა არსებობა, მღგომარეობა
მელტვის გამირბის
მეშახვა მახელ მექცა (სახე შენი მე-

* განმარტებულია ძლიერ იშვიათი, არქაული და უცხოური წარმოშობის ხმარებიდან გამოსული სიტყვები. ზმნები გამოტანილია იმ ფორმებით, როგორადაც ისინი ტექსტში გვხვდებიან. **ე. ლოლაშვილი.**

მახევა, მებაღა — შენმა სახემ მახე-
სა და ბაღემი გამაბა)
მეუხეულად უცბად, სწრაფად, მაშინვე
მითილი-ი უცხო (?)
მივალაღებენ დამიტირებენ
მივიაქცევს (ტმესია: მი-ვე-აქცევს) მიაქ-
ცევს-ვე, მიაბრუნებსვე
მიმჭრალეზული-ი მიმჭრალი, გაღეული
მუთუნელ-ი მფლობელი
მოარე მოარული
მოუღბინარე მოუღბინე, ღბინი მიპ-
ვარე
მხასობელი-ი მოიმედე, იმედის მქონე
მტევები-ი დამტევებელი, მიმტევებელი
(სიცრუისა)
მუჭამარი-ი საცეცხლური
მწერტს მჩხელეტს
მწოვან-ი მოლი, მწვანოვანი (ადგილი)
პირად-პირადად მრავალფერად
რაუიფ-ი მეტოქე (სიყვარულში)
რაბ-ი ხმაური (მღრ.: რახრახი)
ხაბრემლად დასაბრკოლებლად

ხარწებელ-ი საქანავებელი
საჭურე საფარი
სულთქმა ოხერა
უვის ჰყავს
უპროშტოდ ვულგ. უკონელად
უცხო-უცხო უცნობ-უცნობ, სხვადასხვა
ღაწვ-ი ლოყა
ღღეულ-ი ღრეული, ნაქეითარი
შანგ-ი შანთი, გახურებული რკინა
შეიწო შეიწვა
შეუორგულ-ი ერთგული
შეფრფინვა სიყვარულით ტრფიალი
შერები იღლები
შთაქრულ-ი ჩაქრული
წილ-ი კალთა
ჭალა-ი კუნძული
ხას-ი დიდებული
ხელეზული-ი გახელეზული
ხლომა ხლომა, ხტუნვა
ჰმპარვენ მტრობენ, ექიმშებიან
პერან-ი ერანი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ალექსანდრე ჭავჭავაძე

სახე შენი	5
ვაქ დრონი, დრონი	5
მუხამბაზი ლათაიური	6
სიყვარულო ძალსა შენსა	8
უნწყალო სენმან	8
უნწყალო სიყვარული	9
სწგერს გლახ-გული	10
სწვადახხვა დროისათვის კაცისა	11
ვაქ, სოფელსა ამას	11
ვისაც გსურთ	13
სიყვარულსა შეუპყრვიარ	14
ისმინეთ, მსმენნო	15
ვაქ, ჩემო ოცნებაე	15
კავკასია	16
გოგჩა	17
ახლოთ განჩხრევილი კაცი	19

გრიგოლ ორბელიანი

მტერალ ნ...ს...	27
მუხამბაზი	27
იარალის	28
*** მისი საბელი კიცხვითა	31
*** ჰე, ივერთაე	31
ჩემს დას ეფემიას	32
მუხამბაზი	35
სალამო გამოსალმებისა	36
დიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარდები	38
მუხამბაზი	39
პასუხი შეილთა	40
თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში	45
მუშა ბოქულაძე	47
ფსალმუნი	50
*** დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ	50
საღვებრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერეენის სიახლოვეს	51
თ. ალექსანდრე ვახტანგისძეს ორბელიანს	64
უბნობა ჩვენი	64

ნიკოლოზ ბარათაშვილი

შემოღობება მთაწმიდაზედ	70
ძრა გ...სთან	71
ლაშე ყაბახზედ	72
ფიქრნი მტკვრის პირას	73
ღავადის ქ...ძის ასულს ეკ...ნას	74
სული ობოლი	74
ჩემი ლოცვა	75
*** არ უკვირნო, სატრფოო	76
*** ვპოვე ტაძარი	76
*** მიყვარს თვალეები	77
სუმბული და მწირი	77
*** რად ჰყვედრი კაცსა	79
*** შირბის, შიმფერენს	80
საფლავი მეფის ორაკლისა	81
*** სულს ბორცო	82
*** შევიშრობ ცრემლსა	83
ჩინარი	83
*** მაღლი შენს გამჩენს	84
ბედი ქართლისა	85

წერილები

I. გრიგოლ ორბელიანს	97
II. მიხეილ თუმანიშვილს	99
III. გრიგოლ ორბელიანს	100
IV. მასვე	101
V. მასვე	102
VI. მაიკო ორბელიანს	104
VII. გრიგოლ ორბელიანს	106
VIII. მაიკო ორბელიანს	108

ხოლომონ რაჭმაძე

*** ვინა ვალია...	111
ღიანას მეჭლიში	111
*** უსამართლოა მართლა ბუნება	115
ელბრუსი	115
მაკულს	116
სოფელს	116
ვარდი	117
*** იდინე წვიმავ	117
დათვი და ცხვიარი	118

ალექსანდრე ორბელიანი

მთვარე	122
საქართველოს გიზაფხული	122
კავკაზის მთები მამუკის მთიდგინ	122
ეპიტაფია	126
რუსთაველი	127
უმანკო სისხლი	129
დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ფაში საქართველოსი	140
ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა	215

ვახტანგ ორბელიანი

გამოსაღება	273
წიგნი მოწერილი რუსეთიდან	273
მოგონება	274
ძველი დმანისი	275
ორი სიზმარი	275
არის ადგილი	277
ჯარი ვაზისა	278
ორი შენობა	281
განკითხვა	282
კაცი ის არის	294
გალია	296
სამშობლო ქვეყნის პასუხი	297
ხმა სამშობლო ქვეყნისა	298
პოეტს	299

მიხეილ თუმანიშვილი

ტირიფი	302
ღიალა	303
სალამური	304
უდაბნო	304
ჩანგური	305
მოგონება	305

გრიგოლ რჩეულიშვილი

მწიდარი	306
გამოსაღება	307
მთვარე	308
*** საღმი	309
ს-ყვარულისადმი	309
ანუკა ბატონისშვილი	310
შენიშვნები, რედაქციები, ვარიანტები და კომენტარები	351
ლექსიკონი	413
სარჩევი	415